



1947



1. 9. 7. 2.



ს ა რ რ ე ვ ი

1 9 7 2 № 8

მოკანეს რობერტ ბახერი	
ადამიანი, რომელიც სდუმდა	3
იანის რიშოსი	
ამხანაგთა ხელები	6
სტანისლავ მისაქოვსკი	
ლექსები	8
ხულიო კორტასარი	
მღევარი	9
ჰ. ჰასკილი	
თქვენ შეცდით, დოქტორო პარსტენ	52
ნიკოლოზ კინჩიძე	
ლექსები	58
სომერსმეტ მოევი	
შეჯამება	61
სანუელ ბეკეტი	
გოდოს მოლოდინში	141
მზია ბაქრაძე	
სამუელ ბეკეტის პიესა „გოდოს მო- ლოდინში“	204
ქველ ბერძნული ლირიკა	
საფთ	209
ალკეოსი	212
ანაკრეონტი	214
მიმნერმე კოლოფონელი	215
კატრინ მენსფილდი	
გარდაცვლილი პოლკოვნიკის ქალი- შვილები	216
ფრანგი პოეტები	
შარლ ბოდლერი	235
სტეფან მალარმე	237
პოლ ვერლენი	238
ფრანსის ჟამი	240
რობერ დესნოსი	242
ანრი მიშო	246
ფედერიკო გარსია ლორკა	
Duende-ს თეორია და თამაში	247
გიორგი ჭელიძე	
ომარ ხაიამის ათეიზმი	256
ვატლავ კუბაძე	
ორი მოგონება	265

რედაქტორი

ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კომპლექსი

ვახტანგ ბეჟუგელი

ტიალა თოფურია
მინილ კვეციანი
ვახუშტი კოტეტიშვილი

ვახტანგ კორიკაძე

ნიკო ყიასაშვილი

ბარბანდი

დავით დუნდუასი

განომცემლობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი

აღაიანი: როგორც სლუღა

„გვინდა სახელი. მხოლოდ სახელი! სახელი!
არ ამბობ? მალე მის თქმას თვითვე შეგვეხვეწები!“
ოთხნი არიან ჯალათები. მათი რვა ხელი
აღიმართება. პირზე დარტყმა შეელეწება.

ეტკინა! მაგრამ გადამალა ყვირილი სადღაც
და კაცმა უხმოდ შეატოკა ტუჩები მხოლოდ.
და კიდევ... კიდევ... ოთხი... ხუთი... შეექვსე დარტყმა...
მან შეშვიდეს სათვალავი დაკარგა ბოლოს.

ყურში იყვირეს საყვირებმა. გულსაც მიენტო
ის ნალვერდალი, ბაგეზე რომ შიშინებს მწველად.
თითქოს ტუჩებზე საკუთარი თითი მიედო
და უმკაცრესად უბრძანა მას: „არც ერთი ზგერა!“

„ო, ბაგევ ჩემო, ჩუმად იყავ! სახელი იგი
გადაივიწყე, შენ მუნჯი ხარ ვითარცა თევზი...“
მკერდზე დააწვა მძიმე ლოდი. აცურდა ირგვლივ
ცისფერი ნისლი. ღრუბლის ფრთები დააწვა მხრებზე.

მას ყელში გული ეჩხარება, ვით ბურთი ცხელი,
მას ნაწილ-ნაწილ ეფლითება მთელი სხეული.
რა გულმოდგინედ ამუშავდა სიკვდილის ცელი,
რა გააფთრებით გაბოროტდა მტერი წყეული.

„გვითხარი ჩქარა! გვითხარ, ძაღლო!“ — ყვირიან ირგვლივ.
„იყუჩე, ბაგევ, დაგავიწყდა შენ ის სახელი!“
მაგრამ წყვდიადით ამოცურდა სახელი იგი
და კაცმა ისევ გადაულაპა როგორც ნალველი.

დარტყმა... კვლავ დარტყმა... მოქნეული, გამეტებული...
 უკვე თვალბშიც ჩაეკიდა ცეცხლი მდაღველი.
 და კვლავ გააბო ხმამ წყვდიადი გამეფებული:
 „არ იტყვი სახელს?! გვითხარ, გვინდა მისი სახელი“



რა სახელს სთხოვენ? ახსენდება. არ შეიძლება
 იმ სახელის თქმა... სხვა რამეზე იფიქრე ჩქარა.
 ბულვარი. სკამი. სეირნობა. ცაც შეიძვრება
 ისე სტექს დაფი. მზე ტატნობზე ჩამოჯდა წყნარად.

ხოლო იმ სკამზე ცეცხლოვანი ფიქრებით გულში
 სხედან ყოფილი სახელები შეკრული წარბით.
 ყველანი სდუმან. ვით სათაგურში,
 ჯადოსნურ წრეში დუმილი დარბის.

შაგრამ ვილაცამ დაარღვია დუმილი იგი.
 თქვა ის სახელი. ენას კბილი! ჩუ, იყავ ჩუმად!
 ვილაცის ყური მოჩანს ახლოს. და აი ირგვლივ
 ის ჯალათებიც აყეფდნენ უმაღ:

„არ იტყვი სახელს?!“ ჭერი ბრუნავს. როგორც მინები
 იმსხვრევიან და მთელღებთან კედლები იგი.
 იქნებ ის ახლა ემზადება დასაძინებლად
 და არ კი იცის ის სახელი რა ძვირად ვიღირს.

განა რა არის ის სახელი? — შვიდი-რვა ასო,
 შვიდი-რვა ბგერა — სხვა არაფერი.
 მაშ რად ცდილობენ ხელკეტებით, სიკვდილის მსგავსით,
 რომ ძალისძალით ამოჰქაჩონ იგი სახელი?

ღიან, ის არის უძვირფასეს სიტყვათა ჯაჭვის
 რგოლი, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება,
 და ის რომ მოსწყდეს ბაგეს ამ კაცის,
 რამდენი კაცი დაიღუპება!

და ყველას ხედავს. ემზადება ბრძოლისთვის იგი.
 „ამხანაგებო! მე ჩუმად ვარ, არ გქონდეთ შიში.
 ამხანაგებო, ყველა ტანჯვა ჯანდაბას იქით,
 არავის გაგცემთ. დავძლევ ცხელი ლითონის შიშინს“.

საოცარია!... შემობრუნდა ჭერი დაბალი.
 მუცელში დარტყმა ჯოჯოხეთურს აყენებს ტკივილს.

ტომარასავით დაეცემა სისხლით დამბალი,
მლაშე ტუჩებზე ტკივილი კივის.



ქართული
საქმიანობა

„არ იტყვი სახელს?!“ სახელი ხომ რგოლია, რგოლი, სხეულში დნება, ბაგეთაგან იღვრება წითლად.
ის იატაკზე იწერება მეწამულ თრთოლვით,
ვით ყაყაჩოთა ღიმილი მინდვრად.

ათრთოლდა ისიც — „ჯალათები წაიკითხვენ,
წაიკითხვენ ამ დაღვრილ სახელს!
არა და არა! ვით დავლუპავ იმათ, მითხარი,
ჯერ ცოცხალი ვარ. კვლავ თვალებს ვახელ.“

ჩქარა წავშალო... ჰო, წავშალო! სცადონ და ახლაც
ამოიკითხონ იატაკზე სისხლის სისველე...“
ბაგეზე ღიმი გაუკრთება. თავს ასწევს მაღლა,
დგება ბარბაცით და სდუმს ისევე.

და ასე სდუმდა, ამ დუმილით სიკვდილს რომ უხმო.
მას არც ფერადი სიტყვა უნდა, არც ქება უნდა.
მაგრამ ყველანი ფეხზე ავდგეთ, მდუმარედ, უხმოდ
დავხართ თავი მის წინაშე, ვინც ასე სდუმდა.

თარგმანი
თეიმურაზ ჯანგულაშვილისა

აქსანაბთა ხელეგი

ჩვენი ხელები შიშველია, უხელთათმანო,
ჩვენი ხელები ქართა ხორკლიან
კლდეზე ათასჯერ დაგვეხეთქია
და დაგვესისხლია.
ათასჯერ ჩავვიბლუჯავს ეკლიანი მავთული,
ათასჯერ გვჭერია ყინვიანი ცხაური
სიკვდილისა.

ხელის მრავალი ჩამორთმევისგან,
წერაქვებისგან, მძიმე ქვებისგან
და ბრძოლებისგან
სქელი კოყრებით დაფარულა ხელები ჩვენი.

წინათ მათ ჰქონდათ ხელთათმანი—ნაზი და რბილი,
წყვილი ხელთათმანი შალისა —
ოჯახის სითბო და დედის ჩრდილი.
გვათბობდა ჩვენ ეს ხელთათმანები,
ხელსაც გვიშლიდა —
შევხებოდით სხვა ხელებს ხელით.

და გაცვთა ჩვენი ხელთათმანები
და დაიხარჯა სახვევებად ჭრილობებისა,
სამზარეულოს ტილოებად, რომლითაც ხეხენ
ქვაბებს და კოვზებს.
უხელთათმანო ჩვენმა ხელებმა
შეიცნეს შრომა, მღუმარება, ტანჯვა, დაშანთვა.
მათგან მრავალჯერ წამოფრენილან
რკინის ფრინველნი მრისხანებისა,
ანამცეცებდნენ მოთმინების კვერს
და ლამის კედლებს აზანზარებდნენ.

და ჩვენს მუხლებზე აწყვია ახლა
ჩვენი ხელები, ასე შიშვლები,
როგორც მზე, მწოლი მაღალ შთის თავზე,
როგორც მთა, მწოლი ცისფერ ზღვის პირზე
და როგორც გული ამხანაგისა
მისი რწმენის და იმედის შუქზე.



აი როგორი ხელები გვაქვს ჩვენ, კომუნისტებს!
როს ეს ხელები ხელისგულებს უჭერენ შენს ხელს,
აინთებიან ჩირაღდნები ყველა ქალაქში,
რომლებიც ახლა ჩვენი ღამის მიღმა არიან.
როს ეს ხელები მიათრევენ აღმართზე ვედროს,
გვწამს ხვალ ისინი
დაეუფლებიან ზღვასა და მზეს.
იცი, ქვით სავსე მძიმე ტომარა
სწორედ ამ ხელთა მეშვეობით ხდება მსუბუქი,
სიმძიმის ნახევარს ეზიდება თავისუფლება.

აი როგორი ხელები აქვთ ჩვენს ამხანაგებს!
შიშველი ხელები,
შიშველ ხელებზე — შიშველი ძარღვები,
როგორც რკინიგზის ხაზები
მსოფლიოს რუკაზე.

შიშველი ხელები.
ხელისგულებზე მთლად წაშლილა ბედის ხაზები,
რადგანაც მთელი მსოფლიოს ბედი
კომუნისტების ხელებს უჭირავთ.



ეკლიანი მავთული

მე ეკლიანი მავთული რარიგ
მაგონებს ხოლმე რტოებს ვარდისას,
მე ერთხელ ვნახე,
იმ რტოებზე როგორ აყვავდა
წითელი ვარდი.
ის იყო კაცი და წელიწადის
დროებში შეცდა.
მაშინ ჯერ კიდევ გაზაფხული არ დამდგარიყო.

კიდე რა?

ვინ თქვა,
არ არისო ქვაში პოეზია.

ცაში ამაყად აზიდული
პირამიდები იზრდება ქვისგან
და გვიზიდავენ თვისი სითეთრით
როგორც გედები უდაბნოებში.

ქვისგან იგება ძეგლები, რომელთ
ქვეშაც გულები გაქვავებულან.

და კიდევ რა?

კედლები ქვისა
და კედლებს შორის, ვითარცა ძვლები
მაღალ კიბეთა საფეხურები.
იმ კიბეთა ქვეშ ქვათა ფილები,
ვით თეთრი ჭები.

და კიდევ რა?

იქნებ ქვა ქვაზე,
იქნებ ქვა ქვაში
და იმათ თავზე
გაქვავებული ადამიანი?..

სული კობასარი

მღევარი

თარგმანი
ლია გოგიშვილისა

ჩ. პ.-ს ხსოვნას

„იქმენ შორწმუნე ვიდრე სიკუდილამდე“.
გამოცხადება იოანესი.
„ო, ჩამომსენ ნილაბი“.

დიდანი თომასი

დედემ ღღისით დამირეკა და მითხრა, ჯონი სადაგლად გრძნობსო თავს; მაშინვე სასტუმროში გავეშურე.

ჯონი და დედე ახლახან დაბინავდნენ ლაგრანჯის ქუჩაზე, მეოთხე სართულის ნომერში. საკმარისია თვალი შეავლო ასეთი ნომრის კარს, რომ მაშინვე მიხვდეს: ისევ ცუდადაა ჯონის საქმე. ფანჯარა ჩაბნელებულ ქვის ჭაში გადის, და ღღისით-მზისითაც კი უსანთლოდ ვერც გაზეთს წაიკითხავ და ვერც კაცის სახეს გაარჩევ.

გარეთ არ ცივა, მაგრამ პლედში გახვეული ჯონი დაგლეჯილ, ძონძებამორჩილ ღრმა სავარძელში მობუზუნდა. დედე დაბერებულა და სულ არ უხდება წითელი კაბა. ასეთი კაბები მაყურებლის გულის მოსაგებად, რამპის ჩირაღდნებისთვის თუ გამოდგება. სასტუმროს ამ პატარა ოთახში იგი საზიზღარ სისხლის ლაქასა ჰგავს.

— მეგობარი ბრუნო პირის მწარე გემოსავით ერთგულია, — საღმის ნაცვლად მეუბნება ჯონა, რომელსაც მუხლებში ჩაურგავს ნიკაპი. დედემ სკამი მომიწია, მე კი „გოლუაზის“ სიგარეტის კოლოფი ამოვიღე.

ჯიბეში ბოთლი რომიც მქონდა, მაგრამ არ მინდოდა მეჩვენებინა — ჯერ უნდა გამეგო, რა ხდებოდა. ამას კი, მგონი, ყველაზე მეტად ხელს უშლიდა ნათურა, ბუხებისაგან შებილწულ ძაფზე ჩამოკიდებული კაშკაშა თვალი. ერთი-ორჯერ ავიხედე, ხელით შუბლი მოვიჩრდილე და დედეს ვკითხე, იქნებ სჯობდეს, ნათურა ჩავაქროთ და სარკმლის შუქი ვიკმაროთ-მეთქი. ჯონი მისმენს,

თვალჩაიციებული მიმზერს, მაგრამ მისი გონება სხვაგან ქრის, ანლა იგი კატას ჰვავს, რომელიც ერთ წერტილს მიშტერებია, მაგრამ თითქოს ხედვის სხვას, რაღაც სულ სხვა რამეს. ბოლოს და ბოლოს დედე ადგა და შუქს ჩააქრო. ანლა, ამ მოშაფო-მორუხო ღურდოში ჩვენ უკეთ ვცნობთ ერთმანეთს, ჩვენს ჩვენს ჩვენს გამხდარი გრძელი ხელი პლედიდან ამოიღო, და მე ვიგრძენ ჩემი რწმუნებულის შემსამჩნევი სიტბო. დედე ამბობს, წავალ, ყავას გავაცხელებო, გამიხარდა, ერთი ქილა ხსნადი ყავა მაინც ჰქონიათ-მეთქი. კაცს თუ ერთი ქილა ხსნადი ყავა მაინც აქვს, მაშასადამე, ჯერ მთლად არ დაღუბულა, ცოტა ხანს კიდევ ვაიტანს თავს.

— კარგა ხანია არ გვინახავს ერთმანეთი, — ვეუბნები ჯონის. — სულ ცოტა ერთი თვე მაინც იქნება.

— შენ მარტო დრო გათვლევინა, მეტი არაფერი გინდა, — ბუზღუნებს პასუხად, — ერთი, მეორე, მესამე, ოცდამეხუთე. ყველაფერს ნომერი უნდა მიანიჭებო. არც ეგ არის შენზე უკეთესი. იცი, რატომაა გაავებული? იმიტომ, რომ საქსოფონი დამეკარგა. ისე კი, საერთოდ, მართალია.

— ეგ როგორღა მოახერხე? — ვეკითხები, თუმცა კარგად ვგრძნობ, რომ სწორედ ეს არ უნდა მეკითხა ჯონისთვის.

— მეტროში, — ამბობს ჯონი. — უფრო დამშვიდებული რომ ვყოფილიყავი, სკამის ქვეშ ამოვდე. მივდიოდი და ვფიქრობდი, რა კარგია, ფეხქვეშ მიდევს და არსადაც არ დამეკარგება-მეთქი.

— უკვე აქ, სასტუმროში, კიბეზე მოვიდა გონს, — ოდნავ ჩაბრინწული ზმით ამბობს დედე. — გიჟივით გავქანდი მეტროში, მერე პოლიციაში.

სიჩუმე ჩამოვარდა და მივხვდი, რომ ფუჭად გარჯილა. მაგრამ ჯონის უცებ აუტყდა სიცილი — მხოლოდ მან იცოდა ასეთი დაგუდული სიცილი, სადღაც კბილების, ენის მიღმა.

— ვილაც გაჭირვებული გაიჭაჭება, იქნებ როგორმე ხმა ამოვადებინო, — ბუტბუტებს იგი. — საქსი კი არაფრად არ ვარგოდა, უარესს ვერსად ნახავდი; ტყუილად კი არ უკრავდა მას დიკ როდრიგესი — ხმა ჩაუწყვიტა, მთელი შიგნეული ამოუბრუნა. თვითონ ინსტრუმენტს არა უშავს რა, მაგრამ როდრიგესი, ერთხელ ხელი რომ შეახოს, სტრადივარიუსსაც კი მოშლის.

— სხვა საქსს ვერ იშოვით?

— ვცდილობთ, — თქვა დედემ. — მგონი, როორი ფრენდს უნდა ჰქონდეს. მაგრამ ცუდი ის არის, რომ ჯონის კონტრაქტს...

— კონტრაქტი, კონტრაქტი, — გამოაჯავრა ჯონიმ. — დიდი ამბავი, კონტრაქტი. უნდა დაუუკრა, და ვერ დაუუკრავ — არც საქსია, არც ფული, არც ბიჭები არიან ჩემზე მდიდრები.

ბიჭების საქმე კი არც ისე ცუდაა, და ჩვენ სამმა ვიცით ეს. მაგრამ უბრალოდ აღარავინ ანდობს ჯონის ინსტრუმენტს, რადგან ან კარგავს, ან მაშინვე თავისებურად მოშლის ხოლმე. ლუი როლინგის საქსოფონი ბორდოში დარჩა, ნამსხვრევებად აქცია და ფეხით გათელა საქსოფონი, რომელიც დედემ უყიდა, როცა დაიდო კონტრაქტი ინგლისში საგასტროლოდ. ვინ მოთვლის, რამდენი ინსტრუმენტი დაუკარგავს, დაუგირავებია ან ნამსხვრევებად უქცევია. მაგრამ, მე მგონი, ყველა საქსოფონს ისე უკრავდა, როგორც მხოლოდ ღმერთი

დაუკრავდა ალტ-საქსოფონს, თუ წარმოვიდგენთ, რომ ცაში ხელი აღდეს ქნარებსა და ფლეიტებზე.

— როდის იწყებთ, ჯონი?

— არ ვიცი. შეიძლება, დღეს, ჰა, დე?

— არა, ზეგ.

— ყველამ იცის დღეებიც, საათებიც, ყველამ, ჩემ გარდა, — აბუზღუნდა ჯონი და ყურებამდე პლედში გაეხვია. — ფიცს დავდებდი, რომ ამ საღამოს ვუკრავ და მალე რეპეტიციაზე ვარ-მეთქი წასასვლელი.

— რა გვალაპარაკებს, — თქვა დედემ, — სულ ერთია, საქსოფონი არა გვაქვს.

— როგორ თუ რა? სალაპარაკო არ არის? ზეგ — ეს არის ხვალ ზევით, ხვალ — დღეს შემდეგ. და თვით „დღეს“ ჯერ კიდევ მალე არ გათავდება, „ახლას“ შემდეგ. როცა აი ჩემ მეგობარ ბრუნოსთან ვმასლაათობ და ვფიქრობ: ეჰ, ნეტავ დაგვევიწყა დრო და დაგველია რაიმე ცხელი.

— წყალი საცაა ადუღდება, მოიცა ცოტა ხანს.

— მდულარეს კი არ ვაძებობ, — თქვა ჯონიმ.

ახლა კი ამოვიღე რომი, და ოთახი თითქოს განათდა, იმიტომ, რომ ჯონიმ გაოცებისაგან პირი დაალო და მისმა კბილებმა გაიელვეს ბინდბუნდში. უნებლიეთ დედესაც კი გაელიმა, ისე გაოცებული და ალტაცებული იყო ჯონი. ყოველ შემთხვევაში ყავა და რომი კარგი რამაა, და გაცილებით უკეთ ვიგრძენით თავი, როცა ორ-ორი გადავკარით და სიგარეტი გავაბოლეთ. უკვე დიდი ხანია შენიშნული მაქვს, რომ ჯონი ზოგჯერ — უცებ კი არა, თანდათან იკეტება ხოლმე საკუთარ ნაჭურჭში და უცნაურად ლაპარაკობს დროის თაობაზე. რამდენი ხანია ვიცნობ, და სულ ეს პრობლემა აწვალებს. ცოტა ვინმე თუ მინახავს, რომ ასე იტანჯავდეს თავს ფიქრით — რა არის დრო. ამას კი მანიად გადაექცა, თანაც ყველაზე საშინელ მანიად მის უამრავ უცნაურობათა შორის. მაგრამ ისე მელაპარაკება თავის იდეაზე, ისე საინტერესოდ გამოთქვამს, რომ ვერც კი შეედავები. გამახსენდა რეპეტიცია გრამჩაწერის წინ ჯერ კიდევ იქ, ცინცინატში, პარიზში ჩამოსვლამდე დიდი ხნით ადრე, რომ მოცდაცხრა თუ ორმოცდაათ წელს. მაშინ ჯონი ჩინებულ ფორმაში იყო, და სპეციალურად წავედი რეპეტიციაზე, რომ მომესმინა მისთვის და ბარემ მაილზ დევისისთვისაც. ყველა კარგ გუნებაზე იყო, ყველას დაკვრის სურვილი ჰქონდა, ყველას კარგად ეცვა (ეს, ალბათ, კონტრასტული ასოციაციით მაგონდება, როცა ვხედავ, რა ჭუჭყიანი და ჩამოძონძილი დადის ახლა ჯონი), ყველანი სიამოვნებით, სრულიად შეუფერხებლად და აუჩქარებლად უკრავდნენ და ფანჯრის იქით ხმის ოპერატორი კმაყოფილებისაგან მოზეიმე ბაბუინივით იქნევდა ხელებს. და სწორედ მაშინ, როცა ჯონი თითქოს თავბრუდამხვევი სიხარულით იყო შეპყრობილი, უცებ დაკვრა შეწყვიტა, გაბოროტებულმა მოიქნია მუშტი და თქვა: „მე უკვე ვუკრავ ხვალ“. ბიჭებმა მუსიკა ნახევარ ფრაზაზე შეწყვიტეს, მხოლოდ ორი-სამი კაცი ისევ ჩუმად აყლარუნებდა, მატარებლის მსგავსად, რომელიც ეს-ესაა უნდა გაჩერდეს, ჯონი კი მუშტს შუბლზე ირტყამდა და იმეორებდა: „ეს ხომ უკვე დავუკარი ხვალ, მაილზ, საშინელებაა, მაილზ. მაგრამ ეს უკვე დავუკარი ხვალ“. და ვერავინ ვერ გადაათქმევინა ეს. ამ წუთიდან ყველაფერი წახდა: ჯონი დუნედ უკრავდა, წასვლას ჩქარობდა (რომ მეტი მოეწია სისაძაგლე, თქვა



გაათრებისაგან ცოცხალ-მკვდარმა ხმის ოპერატორმა), და როცა დავინახე, როგორ ბარბაციოთ, გაფითრებული სახით მიდიოდა, ჩემს თავს შევეკრეთ, რამდენ ხანს შეიძლება გასტანოს-მეთქი ამან.

— მე მგონი, ექიმ ბერნარს უნდა ვუხმოთ, — თქვა დედმა და მღვთაწერად გადახედა ჯონის, რომელიც ყლუპ-ყლუპით სვამდა რომს. — გავუბრუნოთ, და არაფერს არ ჭამ.

— ექიმი ბერნარი მოსაბეზრებელი და ჩერჩეტი კაცია, — თქვა ჯონიმ და ჭიქა გალოკა. — ჯერ გამომიწერს ასპირინს, მერე კი მეტყვის, ძალიან მომწონს ჯაზი, მაგალითად, რეი ნობლეო. იცი, ბრუნო, საქსი რომ მქონდეს, ისეთი მუსიკით დავხვდებოდი, რომ რიხინ-რიხინით წავიდოდა მეოთხე სართულიდან და სულ დუნდულებით ჩაითვლიდა საფეხურებს.

— ყოველ შემთხვევაში, ასპირინი არაფერს გავნებდა, — ვთქვი და დედეს გადავხედე. — თუ გინდა, როცა წავალ, დავურევავ ბერნარს და დედეს აღარ მოუხდება ძირს ჩასვლა ავტომატთან. იცი რა, კონტრაქტი ხომ... თუ ზევ იწყებ, მე მგონი, რალაცას კიდევ მოვახერხებთ. ვეცდები, როგორმე რორი ფრენდს დავტყუო საქსოფონი, და თუ მაინცდამაინც... იცი რა, ცოტა ჰევიანად უნდა იყო, ჯონი.

— დედეს არა, — თქვა ჯონიმ და რომიან ბოთლს შეხედა. — ხვალ, როცა საქსი მექნება. ამიტომ ახლა ამაზე ლაპარაკი არ ღირს. ბრუნო, ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ დრო... უფრო სწორად, მუსიკა გვეხმარება ერთგვარად მაინც ჩავწვდეთ ამ თვალთმაქცობას. არა, კი არ ჩავწვდეთ, კი არ გავერკვეთ — გულწრფელად რომ ვთქვა, ამას ვერაფერი გავუგე. მხოლოდ ვგრძნობ — რალაც უცნაური რამ ზდება. როგორც სიზმარში — ხომ იცი? — როცა გეჩვენება, რომ ჯოჯობეთში მიექანები და გული შიშით გელევა, თუშეცა არც ეს შიშია ნამდვილ შიში. უცებ ყველაფერი ისევ თავდაყირა დგება, უკვე სიმპათიურ ვოგოსთან წევხარ, და ყველაფერი საოცრად კარგადაა.

კუთხეში დედე ფინჯნებსა და ჭიქებს რეცხავს. ვხედავ, ოთახში წყალსადენიც კი არა აქვთ; შევცქერი ვარდისფერყვავილებიან ტაშტსა და დოქს, რომელიღაც ფრინველის მუშიას რომ მაგონებს. ჯონი კი ისევ ლაპარაკობს, პირს პლედით იფარავს და თვითონაც მუშიას ჰგავს: ნიკაპი მუხლებში ჩაურგავს, შავი, გადატყეცილი სახე რომისა და სიცხისაგან უპრიალებს.

— ამაზე რალაც-რალაცები წამიკითხავს, ბრუნო. საოცარი რამაა, საერთოდ კი ძნელია გაერკვეს კაცი... მაინც, იცი, მუსიკა გვშველის. არა, განა ვიგებთ რამეს — გულწრფელად რომ ვთქვა, ამის არაფერი მესმის. — იგი თავში იკაკუნებს მუშტს. ყრულ გამოისმას ხმა, როგორც ცარიელი ქოქოსის კაკლიდან. — არაფერი არ არის შიგნით, ბრუნო, სრულიად არაფერი. არ ფიქრობს და არ ესმის არაფერი. მართალი თუ გინდა, არცა მჭირდება. რალაცას ვიგებ მხოლოდ მაშინ, როცა უკან ვიხედები, და რაც უფრო გადის დრო, მით უფრო გასაგები ხდება. მაგრამ, ცხადია, ეს ჯერ კიდევ როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი გაიგე.

— სიცხემ აგიწია, — ეუბნება დედე ოთახის სიღრმიდან.

— ხმა ჩაიწყვიტე. სწორია, სწორია, ბრუნო. არასოდეს არაფერს არ ვუფიქრებდი, და უცებ ვხვდები, თურმე „მიფიქრია“, მაგრამ ეს ხომ შარშანდელ თოვლს ჰგავს, არა? რა ჯანდაბად მინდა შარშანდელი თოვლის გახსენება, იმი

გახსენება, რომ ვილაცას რაღაცაზე „უფიქრია“? რა ჭკუა აქვს ახლა — მე თვითონ „მიფიქრია“, თუ სხვა ვინმეს. პო, თითქოს არც მე მიფიქრია. ჩხრლოდ იმას ვშვრები, რაც თავში მომდის, მაგრამ ყოველთვის მერე, მოგვიანებით — აი სწორედ ამას ვერ მივმხვდარვარ. ოპ, ძნელი გასაგებია, რა ძნელად ვუყვართი ყლუბიც ხომ არ დაგრჩენია მანდ?

ჭიქაში ჩავწურე რომის უკანასკნელი წვეთება — სწორედ იმ წუთს, როცა დედემ ისევ აანთო შუქი; ოთახში უკვე თითქმის არაფერი ჩანს, ჯონი ოფლად იღვრება, მაგრამ მაინც იფუთება პლედში და ზოგჯერ ისე შეკრთება ხოლმე, რომ სავარძელს ჭრიალი გააქვს.

— ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, როცა ზოგ რამეში გავერკვეე, მაშინვე, როგორც კი ვისწავლე საქსის დაკვრა. შინ, ეშმაკმა უწყის, რა ხდებოდა, გაუთავებელი ლაპარაკი იყო ვალებსა და იპოთეკებზე¹. არ იცი, რა არის იპოთეკა? ალბათ, საშინელი რამაა. დედაჩემი თმას იგლეჯდა, როგორც კი მამაჩემი იპოთეკაზე ჩამოაგდებდა საუბარს, და საქმე ჩხუბით მთავრდებოდა. ცამეტობდე წლისა ვიყავი... თუმცა, შენ ხომ ეს ბევრჯერ მოგისმენია.

ოღონდაც: მომიხსენია კიდევ, და ვცადე სინამდვილე დაწვრილებით გადმომეცა ჯონიზე დაწერილ წიგნში.

— ამიტომ შინ დრო არასოდეს არ გადიოდა, გამიგე? სულ ჩხუბი იყო, თითქმის განუწყვეტლივ, ჭამის დროსაც. ნუგეშად კი — ლოცვა. შენ ვერც კი წარმოიდგენ ყოველივე ამას. როცა მასწავლებელმა საქსი მიშოვა — რომ გენახა, სიცილით მოკვდებოდი, — ასე მეგონა, იმ წამსვე ყველაფერი შეიცვალა. მეტქი. მუსიკამ მომწყვიტა დროს... არა, ისე არ ვანბობ. თუ მართალი გინდა, სინამდვილეში ვგრძნობ, რომ სწორედ მუსიკამ ჩამაყურყუმელავა დროის ნიაღვარში. მაგრამ უნდა გაიგო, რომ ეს დრო სრულადაც არ არის ის დრო, რომელიც... ერთი სიტყვით, რომელშიც ჩვენ ყველანი მივცურავთ.

სწორედ მას შემდეგ, რაც ჯონისა და ყველა იმათ პალუცინაციებს გავეცანი, ვინც ისეთსავე ცხოვრებას ეწეოდა, როგორსაც ჯონი, მორჩილად ვუსმენ, მაგრამ მაინცდამაინც არ ვუფიქრდები მის მსჯელობას. მე, მაგალითად უფრო მაინტერესებს, ვისგან შოულობს პარიზში ნარკოტიკებს. ერთი გამოვკითხავ დედეს და, საშველი არაა, ხელი უნდა ავადებინო ჯონის ჭირვეულობათა ასრულებაზე, თორემ დიდხანს ვერ გაიტანს თავს. ნარკოტიკები და სიღარიბე ერთად ვერ იბოგინებენ. დასანანიია, რომ აი ასე იკარგება მუსიკა, ათობით გრამფირფიტა, სადაც ჯონის შეეძლო აღებეჭდა იგი, — თავისი საოცარი ნიჭი, რომელიც არა აქვს არც ერთ მის კოლეგას ჯაზში. მისმა ნათქვამმა — „მე უკვე ვუკრავ ხვალ“ — უცებ დამანახა უღრმესი აზრი, რადგან ჯონი ყოველთვის უკრავს „ხვალ“, ყველაფერი იმ წუთს დაკრული კი უკან რჩება, რჩება სწორედ „დღეს“, რომელსაც ადვილად სწყდება თავისი მუსიკის პირველი ბგერებიდანვე.

ჯაზის საკმაოდ საღი კრიტიკოსი ვარ, რომ განვსაზღვრო საკუთარი შესაძლებლობანი, და ვიცი, რომ ჩემი კრიტიკიუმების დონე დაბალია იმ მაღალ სფეროებთან შედარებით, სადაც საბრალო ჯონი ცდილობს გადალახოს მხოლოდ მისთვის ხილული დაბრკოლებანი, როცა წამოიხვეწის ხოლმე სიტყვებს, ოხრავს,

¹ უძრავი ქონების დაგირავება.

ქვითინებს და გოდებს გააფთრებული. მას ფეხებზე ჰკიდია, რომ გენიოსად მიმაჩნია, და სრულიადაც არ ყოყოჩობს, რომ თავის ამხანაგებზე ბევრად უკეთ უკრავს. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მას ბედმა არ-გუნა იყოს თავისი საქსის სათავე, მე კი ღმერთმა მხოლოდ მასი „საყვირის“ ბოლო მარგუნა წილად. ჯონი პირია, მე კი — ყური, რომ არა ვთქვამთ ეს პი-რია, მე კი... ყოველგვარი კრიტიკა, სამწუხაროდ, მოსაწყენი ფინალია იმისა, რაც იწყებოდა როგორც ზეიმი, როცა ნეტარებისაგან გეუფლება დაუოკებე-ლი სურვილი — იკბინებოდე და კბილებს აღრჭიალებდე. ჯონიმ კვლავ დაალო-პირი და უზარმაზარი ენით ტუჩიდან მოილოკა დუჟი. ხელებმა ჰაერში მოაზეს უცნაური ფიგურა.

— ეჰ, ბრუნო, თუ შეძლებ ოდესმე ამის დაწერას... ჩემთვის კი არა — ხომ გესმის? — მე ფეხებზე მკიდია. ეს ხომ შესანიშნავი იქნებოდა. მითქვამს შენთვის, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი ვიყავი, და დაკვრა რომ დავიწყე, მივზვდი — დრო გაჩერებული არ არის. ერთხელ ეს ჯიშს ვუთხარი, იმან კი მიპასუხა, ყოველი კაცი ამასვე გრძნობსო, და თუ ვინმე სწყდება დროს... სწორედ ასე თქვა — თუ ვინმე დროს სწყდებაო. არა, მე არ ვწყდება დროს, როცა ვუკრავ. მხოლოდ თვითონ ვმოდრობ დროში. აი როგორც ლიფტშია ხოლმე, ესაუბრები ვინმეს ლიფტში და განსაკუთრებულს ვერაფერს ამჩნევ, ფეხქვეშ კი გეცლება პირველი სართული, მეათე, ოცდამეერთე, და მთელი ქალაქი სადღაც ქვემოთ რჩება, შენ ამთავრებ ფრაზას, შემოსვლისას რომ დაიწყე, ხოლო პირველსა და უკანასკნელ სიტყვას შორის — ორმოცდაათორმეტი სართულია. როცა დაკვრა ვისწავლე, ვიგრძენი, რომ ლიფტში შევდივარ, მაგრამ მხოლოდ, ასე ვთქვათ, დროის ლიფტში. არ გეგონოს, რომ მავიწყდებოდა იპოთეკები ან ლოცვები. მხოლოდ ასეთ წუთებში იპოთეკები და ლოცვები თითქოს გახდილი ტანსაც-მელიაო; ვიცი, რომ ტანსაცმელი კარადაშია, მაგრამ ამ წუთს — ასეა თუ ისე — იგი ჩემთვის არ არსებობს. ტანსაცმელი არსებობს, როცა ვიცვამ; იპო-თეკები და ლოცვები არსებობს იწყებდნენ, როცა ვამთავრებდი დაკვრას, რო-ცა შემოდისოდა მთლად აბურძგნილი დედაჩემი და წუწუნებდა — თავი გამი-ზეთქა ამ მუსიკამ, „წყვეთილიც ყოფილაო“.

დღღემ კიდევ ერთი ფინჯანი ყავა მოიტანა, მაგრამ ჯონიმ ნალვლიანად ჩა-ხედა თავის ცარიელ ჭიქას.

— ეს ოხერი დრო სრულიად გაუგებარი რამაა, თავგზას მიბნევს. მაგრამ მაინც თანდათან ვზვდები, რომ დრო ძეხვი კი არ არის, რაც გინდა ჩატენო, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, საქმე ის კი არ არის, რით დატენი, მთავარია — რამდენს ჩატენი, დიახ, რამდენს. აი, ხედავ ჩემს ჩემოდანს, ბრუნო? შიგ ორი კოსტიუმი და ორი წყვილი ფეხსაცმელია. ახლა წარმოიდგინე, ყველაფერი ეს გადმოყარე, მერე ისევ ჩადე ორივე კოსტიუმი და ორი წყვილი ფეხსაცმელი და უცებ ხედავ, რომ იქ მხოლოდ ერთი კოსტიუმი და ერთი წყვილი ფეხსაცმელია. არა, ასე არა. ასე ვიტყვი: როცა გრძნობ, რომ ჩემოდანში შეგიძლია ჩაატო მთელი მაღაზია, ასობით, ათასობით კოსტიუმი, როგორც მე ვატევ ხოლმე მუ-სიკას იმ მცირე დროში, როცა ვუკრავ. ზოგჯერ. მუსიკას და ყოველივე იმას, რასაც ვფიქრობ, როცა მეტროში ვზივარ.

— მეტროში?

— დიახ, დიახ, სწორედ მეტროში, — ამბობს ჯონი და ეშმაკურად ეღიმე-

ბა. — მეტრო დიდი გამოგონებაა, ბრუნო. მეტროში რომ ზიხარ, კარგად იცი, რით შეიძლება გაქედო ჩემოდანი. არა, მეტროში ვერ დავკარგავდი საქსს. აა-ა-რა...

სიცილით იგუდება, ახველებს, და დედე შეშფოთებით შესცქერის მაგრამ ჯონი ხელს იქნევს, ხარხარებს, სუნთქვა ეკვრის ხველებისაგან და მიძინებს ავით ხტის პლედის ქვეშ. ლოყებზე ცრემლი ჩამოსდის, ტუჩებთან ილოკავს ცრემლს და იცინის, იცინის.

— საქმე ახლა ეს როდია, — ამბობს იგი, როცა ცოტათი მშვიდდება. — დავკარგე და რაც იყო — იყო. მაგრამ მეტრომ კარგი სამსახური გამიწია, ჩემოდნის ფოკუსი გამომაცნობინა. იცი რა, ძალიან უცნაურია, ძალიან, მაგრამ ყველაფერი გარშემო რეზინისაა, ვიცი, შეპყრობილი ვყავარ ამ გრძნობას. ყველაფერი გარშემო რეზინია, ძამიკო, ქვა გგონია და რეზინის ღრუბელა კი შეგრჩება ხელში... — ჩაფიქრდა, აზრი მოიკრიბა. — მაგრამ ერთბაშად კი არა, — დასძინა მან მოულოდნელად. გაოცებით და მოწონებით ვუქნევ თავს. ყოჩაღ, ჯონი. თანაც ამბობს, ვერ ვაზროვნებო. ბარაქალა, ჯონი! ახლა ნამდვილად დამაინტერესა, კიდევ რას იტყობდა, მაგრამ როცა ჩემი ცნობის მოყვარეობა შენიშნა, შემომხედა და ეშმაკურად გამიღიმა: მაშასადამე, ბრუნო, შენა გგონია, ვიშოვი საქსს და ზედ დავუკრავ?

— ჰო, მაგრამ ცოტა ჭკვიანად უნდა მოიქცე.

— ცხადია — ჭკვიანად.

— მთელი თვის კონტრაქტი, — მიხსნის საწყალი დედე. — ორი კვირა რემის რესტორანში, ორი კონცერტი და ორი გრამჩაწერა. როგორ გავიმართებოდი წელში!

— მთელი თვის კონტრაქტი, — გამოაჯავრა ჯონიმ და ხელები ალაპყრო. — რემის რესტორანში, ორი კონცერტი და ორი გრამჩაწერა. ბე-ბატა-ბოპ-ბოპ-ბოპ-დრ... მე კი მწყურია, მარტო მწყურია. და მინდა მოწევა, მოწევა და მოწევა. ყველაზე მეტად მინდა მოვწიო.

„გოლუაში“ გავუწოდე, თუმცა შესანიშნავად ვიცი, რომ ნარკოტიკზე ფიქრობს. მწუხრი ჩამოწვა, შესახვევში ხალხი მიდი-მოდის, ისმის არაბული ლაპარაკი, სიმღერა. დედე წავიდა, ალბათ, ვახშმისათვის რაიმე უნდა იყიდოს. მუხლზე ჯონის ხელი ვიგრძენი.

— კარგი გოგოა, გჯერა? მაგრამ შეყოფა. აღარ მიყვარს, ველარ ვიტან. ჯერ კიდევ მალელებს ზოგჯერ, უ-უპ, რა სიყვარული იცის... — თითები შეაერთა, როგორც იტალიელებმა იციან. — მაგრამ უნდა მოვშორდე, დავბრუნდე ნიუ-იორკში, ბრუნო.

— კი მაგრამ, რატომ? იქ ხომ უარესად გრძნობდი თავს, ვიდრე აქ. მუშაობაზე კი არ გეუბნები, საერთოდ, ცხოვრებაზე ვამბობ. აქ, მგონი, მეტი შეგობრები გყავს.

— ჰო, შენ, მარკიზა და კლუბის ბიჭები... ლამე თუ გაგიტარებია მარკიზასთან, ბრუნო?

— არა.

— ო, ეს რაღაც... მაგრამ მე ხომ მეტროზე გიყვებოდი, ჩვენ კი რატომღაც სხვაზე გადავედი. მეტრო დიდებული გამოგონებაა, ბრუნო. ერთხელ მეტროში რაღაც უცნაურად ვიგრძენი თავი, მერე ყველაფერი დამავიწყდა...

მაგრამ ორიოდ დღის შემდეგ ისევ განმიმეორდა. და ბოლოს მივხვდი. ეს ადვილი ასახსნელია, იცი, ადვილია იმიტომ, რომ სინამდვილეში ეს არ არის ჭეშმარიტი ახსნა. ჭეშმარიტი ახსნა უბრალოდ შეუძლებელია. უნდა იქნეს მეტროში და ელოდო, სანამ მოხდება, თუძცა, მგონი, ასეთი რამ შეუძლებელია. მართლა ხოლმე. პო, მგონი, ასეა. მაშ, მართლა არასოდეს ახსნა ჭეშმარიტი ახსნა? შენ უნდა სთხოვო დადგეს საწოლი ოთახის მოოქრულ ტაბურეტზე, ძალიან ლამაზი ლამპის გვერდით და მაშინ... ვაპ, ეს უკვე დაბრუნებულია.

დედემ რაღაც გახვეული შემოიტანა და ჯონის შეხედა.

— სიცხემ აგიწია. ექიმს დავურეკე, ათ საათზე მოვა. ასე მითხრა, მშვილად იწვესო.

— კეთილი, თანახმა ვარ, მაგრამ ჯერ ბრუნოს მოვუყვები მეტროზე... და აი ერთხელ მივხვდი, რაც ხდებოდა. დედაჩემზე ვფიქრობდი, მერე ლენზე, ბიჭებზე, და, რა თქმა უნდა, მაშინვე მომეჩვენა, ვითომ ჩემს უბანში ვარ-მეთქი და ვხედავდი ბიჭების სახეებს, როგორც მაშინ იყვნენ. არა, კი არ ვფიქრობდი; შენთვის ხომ ასჯერ მითქვამს, არასოდეს არ ვფიქრობ-მეთქი. თითქოს კუთხეში ვდგავარ და ვხედავ, ჩემ გასწვრივ მოძრაობს ის, რაზეც თითქოს ვფიქრობ, მაგრამ სრულიად არ ვფიქრობ იმაზე, რასაც ვხედავ. გესმის? ჯიმი ამბობს, ყველანი ერთ თარგზე ვართ მოჭრილი, და საერთოდ (ასე ამბობს) საკუთარი თავით არაფერ არ ფიქრობსო. კეთილი, ასე იყოს, ახლა საქმე ეს როდია. მეტროში სენ-მიშელის სადგურზე ჩავჯექი და მაშინვე დავიწყე ფიქრი ლენზე, ბიჭებზე და დავინახე ჩემი უბანი. როგორც კი დავჯექი, მაშინვე დავიწყე მათზე ფიქრი. მაგრამ ამავე დროს ვიცი, რომ მეტროში ვარ და თითქმის ერთ წუთში უკვე ოდუონში აღმოვჩნდი; ვამჩნევდი, როგორ შემოდის და გადიოდა ხალხი. და ისევ ლენზე დავიწყე ფიქრი, დავინახე დედაჩემი — აი საყიდლებზე მიდის, — მერე კი ყველანი ერთად დავინახე. მათთან ვიყავი, — პირდაპირ სასწაულია, დიდი ხანია ასეთი რამ არ განმიცდია. მოგონებები ყოველთვის გულს მირევს, მაგრამ იმჯერად მსიამოვნებდა ბიჭებზე ფიქრი, მათი დანახვა. ყველაფერი რომ გიამბო, რაც ვნახე, არ დამიჯერებ — ერთ წუთზე მეტი ხომ, ალბათ, არც კი გასულა. ყველა წვრილმანი კი წარმოვიდგინე. აი თუნდაც ერთი რამ, მაგალითისათვის. დავინახე ლენი, მწვანე კაბა ეცვა, ამ კაბას მაშინ იცვამდა ხოლმე, როცა მიდიოდა „33-თა კლუბში“, სადაც ჰემპთან ერთად ვუკრავდი. ვხედავდი მის კაბას, ბაფთიანს, გვერდზე რაღაც ლამაზი მოსართავით და საყელოს. ყველაფერს ერთად კი არა, თითქოს ლენს გარს ვუვლიდი და ყოველ წვრილმანს ვამჩნევდი. მერე შევცქეროდი სახეში ლენსა და ბიჭებს, მერე მომაგონდა მაიკი, გვერდით ოთახში რომ ცხოვრობდა, — როგორ მიყვებოდა ხოლმე კოლორადოს გარეული ცხენების ამბებს: თვითონ რანჩოში მუშაობდა და მატრაბახობდა, როგორც ყველა კოვბოი...

— ჯონი, — შეაწყვეტინა დედემ ოთახის კუთხიდან.

— არა, წარმოგიდგენია, ხომ სულ ცოტა რამ გიამბე იქიდან, რაზეც ვფიქრობდი, რასაც ვხედავდი. რამდენ ხანს ვლავობდი ამ სისულელეზე?

— არ ვიცი, ალბათ, ორიოდ წუთს.

— ალბათ, ორიოდ წუთს, — ჩაფიქრებით გაიმეორა ჯონიმ. — ორ წუთში მოვასწარი შეამბნა სულ ცოტა რამ. ყველაფერი რომ მეთქვა, რასაც ბიჭე-

ბი შერებოდნენ ჩემ თვალწინ, და ისიც, როგორ უკრავდა ჰემში „ფრთხილად, ძვირფასო დედა“, და მე ვგრძნობდი თითოეულ ნოტს, გესმას, თითოეულ ნოტს, ჰემში ის არ გეგონოს, ვინც მალე ჰყრის ფარ-ხმალს. რომ შეამბნა, გავიგონე-მეთქი აგრეთვე, როგორ კითხულობდა დედაჩემი გაუთავებელი წიგნების და რატომღაც ახსენებდა კომპოსტოს თავებს და, მგონი, ითხრობდა მასწავლებლისა და ჩემს შეწყალებას და სულ რაღაც კომპოსტოებს ახსენებდა... ჰოდა... ყველაფერი ეს დაწვრილებით რომ შეამბნა, ორ წუთზე ბევრად მეტი გავიდოდა, არა, ბრუნო?

— თუ მართლაც ყველა მათგანს ხედავდი და უსმენდი, სულ ცოტა თხუთმეტი წუთი უნდა გასულიყო, — ვეუბნება სიცილით.

— სულ ცოტა თხუთმეტი წუთი, ხომ, ბრუნო. მაშინ ამიხსენი, როგორ მოხდა, რომ მეტროს ვაგონი უცებ გაჩერდა, მოვწყდი დედაჩემს, ლენს, ყველაფერს და დავინახე — უკვე სენ-ჟერმენ-დე-პრეზე ვარ, იქამდე კი ოდენონიდან ზუსტად წუთ-ნახევარია საჭირო.

არასოდეს არ ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჯონის ლაყბობას, მაგრამ ახლა, როცა თვალი თვალში გამიყარა, ჟრუანტელმა დამიარა ტანში.

— მხოლოდ შენი დროით ან აი იმის დროით გავიდა წუთ-ნახევარი, — ნიშნის მოგებით ამბობს ჯონი. — ან მეტროს და ჩემი საათის დროით, წყვეულებით იყვნენ. მაშ, როგორ მოხდა, რომ მე თხუთმეტი წუთს მიფიქრია, სულ კი წუთ-ნახევარი გასულა? გეფიცები, იმ დღეს ერთი ნამცეცი, ერთი ფოთოლიც არ მომიწევია, — დასძინა მან დამნაშავე ბავშვის ტონით. — მერე კიდევ ერთხელ დამემართა ასეთი რამ, ახლა კი ყველგან და ყოველთვის ასე მომდის. მაგრამ, — ჯიუტად იმეორებს იგი, — მართო მეტროში შემოძლია ამის გაცნობიერება. იმიტომ, რომ გინდა მეტროთი გიმგზავრია და გინდა თვით საათში მჯდარხარ, სულ ერთია. სადგურები წუთებია, გესმის, ეს თქვენი დროა, ჩვეულებრივი დრო. მაგრამ ვიცი, არის სხვა დროც, და მე ვცდილობ გავიგო, ჩავწვდე ამას...

ხელები სახეზე აიფარა, აძაგძაგდა. სიამოვნებით გავეცლებოდი, მაგრამ არ ვიცი, ისე როგორ გამოვემშვიდობო, რომ ჯონის არ ეწყინოს, რადგან მასზე საშინლად მოქმედებს მეგობრების სიტყვები და საქციელი. სიტყვა რომ შეაწყვეტინო, სულ მთლად მოიშლება — დედესთან ხომ ვერ ისაუბრებს ასეთ რამეებზე.

— ბრუნო, რომ შემეძლოს ისე ცხოვრება, როგორც იმ წუთებში ან როგორც მუსიკაში, როცა დროც სხვანაირად გადის ხოლმე... გესმის, რამდენი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო წუთ-ნახევარში... მაშინ ადამიანები, მართო მე კი არა, შენც, ისიც და ყველანი ასობით წელს იცხოვრებდნენ, ასეთი „სხვა“ დრო რომ გვებოვა, ათასჯერ უფრო მეტხანს ვიცოცხლებდით, ვიდრე ახლა, როცა ამ ობერ საათს შევცქერით, სულელურად ვითვლით წუთებსა და ხვალინდელ დღეებს...

ისე ვიღიმები, ეითომ ყველაფერი გავიგე, რადგან ვგრძნობ, რომ ზოგ რამეში მართალია, მაგრამ მისი ნააზრევი და ის ჭეშმარიტებანი, რაც ჩემს გონებას სწვდება, უკვალოდ გაქრება, როგორც კი ქუჩაში გავალ და ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩავეფლობი. მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, ჯონი ამბობს რაღაცას, და ამ რაღაცის მიზეზი მხოლოდ ბოდვა, რეალობის გრძნობის დაკარ-

გვა როდია, რომელიც მისთვის რეალობის პაროდიად გადაქცევულა/და უკეთესის იმედს უნერგავს. ყველაფერი, რასაც ჯონი ასეთ წუთებში მეუბნება/ (ის კი უკვე ხუთი წელი იქნება, ასეთ რამეებს გვეუბნება მეც და სხვებსაც), შეიძლება მხოლოდ მაშინ მოისმინო, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ~~რომელიც~~ დაუყოვნებლივ დაივიწყებ. როგორც კი ქუჩაში ამოყოფ თავს, როგორც კი საკუთარი ცნობიერება, და არა ჯონის ხმა, აღადგენს ამ სიტყვებს, ყოველივე ეს მაშინვე გადაიქცევა ბოდვად, მომაბეზრებელ მსჯელობად (რადგან სხვაც ბევრი ლაპარაკობს ამის მსგავს რამეებს, ხშირად გესმის ასეთი „სიბრძნე“) და ზეშთაგონება მკრეხელობად წარმოგიდგება. ყოველ შემთხვევაში ასე მგონია, ჯონიმ გამამასხარავა-მეთქი. მაგრამ ეს ჩვეულებრივ მოგვიანებით მემართება, და არა მაშინ, როცა ჯონი ამას ამბობს: იმ წუთს გამივლევს რაღაც ახალი აზრი, რომელსაც მიჩნეული აქვს თავისი ადგილი ცხოვრებაში, ვხედავ ნაპერწკალს, რომელიც ეს-ესაა უნდა აგიზგიზდეს, ან, უკეთ რომ ვთქვა, ვგრძნობ, რაღაც უნდა დავამსხვრიო, ნაფოტებად ვაქციო, როგორც მორი, რომელშიც სოლს არჭობენ და უროს ურტყამენ. მაგრამ ჯონის მსხვრევის თავი აღარა აქვს, მე კი ისიც არ ვიცი, როგორი უროა საჭირო სოლის ჩასარჭობად და არც ამ სოლზე მაქვს რაიმე წარმოდგენა.

ამიტომ ბოლოს და ბოლოს ვდგები და კარისკენ მივდივარ, მაგრამ ამ დროს ხდება ერთ-ერთი ექსცესი, რომელიც არ შეიძლება არ მოხდეს ცხოვრებაში, — ეს და შემდეგ სხვა, ამის მსგავსი. მაშ ასე, ჯონის ზურგი შევაქციე, დედეს ვეთხოვები და უცებ ვივრძენი — რაღაც ხდება: ამას ვხედავ დედეს თვალებში, სწრაფად შემოვბრუნდი (რადგან, ალბათ, ცოტა არ იყოს მეშინია ჯონის, ამ „ღვთის მადლისა“, რომელიც ძმასავით მიყვარს, მეშინია ამ ძმისა, რომელიც ჩემთვის „ღვთის მადლია“) და დავინახე ჯონი, რომელსაც პლედი გადაუსვრია და სრულიად შიშველი ზის. ფეხები აუკეცია და ნიკაპი მუხლებში ჩაურგავს, მთელი სხეულით ძაგძაგებს და ხარხარებს, დედიშობილა, დაგლეჯილ სავარძელში.

— რაღაც ჩამოცხა, — ბუზღუნებს ჯონი. — ბრუნო, დახე, რა ნაიარევი მაქვს ნეკნქვეშ, რა ლამაზია.

— წაიფარე, — ეუბნება დედე. ისე დაბნეულია, რა ქნას არ იცის. ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთს ვიცნობთ, ბოლოს და ბოლოს ტიტველი მამაკაცი — ტიტველი მამაკაცია და მეტი არაფერი, მაგრამ დედეს მაინც შერცხვა, მეც აღარ ვიცი, საით გავიხედო, რომ არ გამოვამყლავნო უხერხულობა ჯონის საქციელის გამო. ის კი ხედავს ამას, ყურებამდე დაუღია უზარმაზარი ხახა და იცინის, არ მალავს სასირცხო ადგილს, არ იცვლის ურცხვ პოზას, — პირწავარდნილი ზოთპარკის მაიმუნია. ბარძაყებზე კანი ასჭრელებია უცნაური ლაქებით. ზიზღმა შემიპყრო. დედემ ხელი დასტაცა პლედს და ნაჩქარევად შემოახვია ჯონის. ის კი იცინის და ძალიან კმაყოფილი სახე აქვს. უაზროდ დავუქნიე თავი, დავპირდი, მალე შემოვივლი-მეთქი. დედემ კიბეზე გამომაცილა და კარი მოიხურა, რომ ჯონის არ გაეგო მისი სიტყვები.

— ბელგიის ტურნედან რაც ჩამოვედით, სულ გახელებულია. რა კარგად უკრავდა ყველგან, რა ბედნიერი ვიყავი...

— ნეტა სად იშოვა ნარკოტიკი, — ვეუბნები და პირდაპირ თვალებში შევცქერი.

— არ ვიცი. ღვინოსა და კონიაკს ყოველთვის სვამს, სულმოუთქვამლად. ეწევა კიდევაც, თუმცა, ალბათ, ნაკლებს, ვიდრე იქ...

— იქ — ეს ბალტიმორი და ნიუ-იორკია, შემდეგ კი — სამედიცინო ბელგიის ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში და დიდი ხანი — კამარილიოში.

— მართლა კარგად უკრავდა ჯონი ბელგიაში, დედე?

— ჰო, ბრუნო, მე მგონი, არასოდეს არ დაუკრავს ასე კარგად. ხალხი აღფრთოვანებული ღრიალებდა. ასე მითხრეს ანსამბლის ბიჭებმა. ზოგჯერ უცებ ემართებოდა ისე, როგორც იცის ხოლმე, მაგრამ, საბედნიეროდ, ესტრადაზე არ მოსვლია. მე მეგონა უკვე... მაგრამ, ხომ ხედავთ, როგორაა ახლა. ამაზე უარესი რა უნდა იყოს.

— ნიუ-იორკში უარესი იყო. თქვენ მას არ იცნობდით იმ წლებში.

დედე ჰკვიანი ქალია, მაგრამ არც ერთ ქალს არ მოსწონს ლაპარაკი თავის საყვარელზე, როცა ეს კაცი ჯერ არ ეკუთვნოდა მას, თუმცა ახლა უნდა აიტანოს კიდევ მისი ჭირვეულობანი, წარსული კი ლიტონი სიტყვაა და მეტი არაფერი. არ ვიცი, როგორ შევკადრო, თან მაინცდამაინც არც ვენდობი, მაგრამ ბოლოს ვბედავ.

— ალბათ ახლა სრულიად უფულოდა ხართ, არა?

— აი ეს კონტრაქტი... ზეგ თუ დავიწყეთ, — ამბობს დედე.

— თქვენ გგონიათ, რომ შეძლებს ჩაწერას და ხალხის წინაშე გამოსვლას?

— ო, რა თქმა უნდა, — ოდნავ გაკვირვებული ამბობს დედე... — ჯონი საუცხოოდ დაუკრავს, თუ ექიმმა ბერნარმა გრიპოზული ციებ-ცხელება ჩაუქრო. ახლა მთავარია საქსოფონი ვიშოვოთ.

— ვეცდები დაგეხმაროთ. ეს კი თქვენ, დედე. მაგრამ... ჯობს ჯონიმ არ იცოდეს...

— ბრუნო...


ხელი ჩავიქნიე და კიბეზე დავეშვი, რომ არ მომესმინა დედეს ზედმეტი მადლიერების სიტყვები. ოთხი-ხუთი საფეხური რომ ჩავიარე, უფრო გამიადვილდა იმის თქმა, რაც უნდა მეთქვა.

— არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მაგისტრის მოწევა პირველი კონცერტის წინ. ცოტა რამ დააღვეინეთ, მაგრამ სხვა რამისთვის ფულს ნუ მისცემთ.

დედეს არაფერი არ უპასუხია. მაგრამ დავინახე, როგორ ჰმუჭნიდა ხელში ათფრანკიან ქაღალდებს, რომლებიც ბოლოს მთლად ჩამალა მუშტში. ყოველ შემთხვევაში ახლა ის მაინც ვიცი, რომ თვითონ დედე არ ეწევა. იგი შეიძლება მხოლოდ თანამონაწილე იყოს — შიშის თუ სიყვარულის გამო. თუ ჯონი მუხლებზე დაეცა, როგორც მაშინ ჩემი თანდასწრებით ჩიკაგოში, თუ აქვითინდა და შეევედრა... რას იზამ; რა თქმა უნდა, საფრთხე არის, როგორც ყოველთვის, როცა საქმე ჯონის ეხება, მაგრამ, ასეა თუ ისე, ახლა საქმლისა და წამლის ფული მაინც აქვთ.

ქუჩაში გამოვედი, პალტოს საყელო ავიწიე — წამოწვიმა — და ისე ღრმად ჩავისუნთქე სუფთა ჰაერი, რომ ნეკნებში გამჟვალა; ასე მეჩვენა, პარიზში სისუფთავისა და ცხელი პურის სუნი ტრიალებს-მეთქი. მხოლოდ მაშინ მივხვდი, რა სუნი სდიოდა ჯონის ოთახს, პლედში გაოფლილ ჯონის ტანს. კაფეში შევედი, რომ კონიაკით ჩამეწმინდა ყელი და ბარემ თავიც, რადგან თავში

გაუთავებლად მიტრიალებდა ჯონის სიტყვები, მისი მონაჩმანი, მისი მოჩვენებანი, რომლებსაც ვერ ვხედავ და, მართალი გითხრათ, არც მინდა თავინახო. ვცადე, მეფიქრა ზეგინდელ დღეზე და თანდათან დავმშვიდდი, თითქოს მაგარი ხიდი გამედოს ღვინის დახლსა და მომაეალს შორის.
 შორისა და მომაეალს შორისა



როცა ექვები შეგიბყრობს, ყველაფერს ჯობს თავი დააჯერო: არ ჩაყურყუმელავდები და — დაიღუპები, როგორც ამას მეზღვაურები შვრებიან ხოლმე. ორი-სამი დღის შემდეგ, ვიფიქრე — უნდა „ჩამეყურყუმელავებინა“ და დავრწმუნებულყავი, მარკიზა ხომ არ შოულობდა მარიხუანას ჯონი კარტერისათვის. გავეშურე სტუდიაში მონპარნასზე, მარკიზა მართლაც ნამდვილი მარკიზაა და ჩეჩქევით აქვს ფული, რომელსაც მარკიზი აძლევს ხოლმე, თუმცა ისინი დიდი ხანია დაშორდნენ, მას შემდეგ, რაც ეს ქალბატონი მარიხუანას შეეჩვია. მარკიზა და ჯონი ჯერ კიდევ ნიუ-იორკში დამეგობრდნენ, თუ არ ვცდები, სწორედ იმ წელს, როცა ჯონის ერთ მშვენიერ დილას გაეღვიძა და გაიგო, რომ სახელმძოხვეჭილი კაცია, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ შესაძლებლობა მისცა გაეერთიანებინა ხუთიოდე ახალგაზრდა, რომლებიც ალტაცებული იყვნენ მისი დაკვირის მანერით. ჯონიმ პირველად გაშალა ფრთები და მოაჯადოვა მსმენელი. სრულიადაც არ ვაპირებ ახლა ჯაზური მუსიკის განალიზებას; ვისაც ეს აინტერესებს, წაიკითხოს ჩემი წიგნი ჯონისა და ომის შემდგომი ახალი სტილის შესახებ, მაგრამ მტკიცედ შემიძლია ვთქვა, რომ ცხრაას ორმოცდარვაში — ერთი სიტყვით, ორმოცდაათ წლამდე — თითქოს მუსიკალური აფეთქება მოხდა, მაგრამ ეს იყო ცივი, ჩუმი აფეთქება, რომელმაც ყველაფერი თავის ადგილას დატოვა. არ ყოფილა არც შემადრწმუნებელი კივილი, არც ნამსხვრევები, მაგრამ დახავსებულმა ჩვეულებამ დრო მოჭამა და ძველი სტილის დამცველებისთვისაც კი (ორკესტრანტებისა და მსმენელების წრეში) თავმოყვარეობის საკითხიღა იყო რაღაც ახალი შეგრძნებების აღიარება, იმიტომ, რომ ალტ-საქსოფონზე ჯონის პასაჟების შემდეგ ველარ მოუსმენ წინანდელ ჯაზისტებს, ველარ ირწმუნებ მათ შეუღარებელ სრულყოფილობას; მხოლოდ გამბედაობა უნდა გეყოს და საჯაროდ უარყო ძველი, რასაც უწოდებენ თანამედროვეობის გრძობას, მაგრამ ისიც უნდა დასძინო, რომ ზოგიერთი ეს მუსიკოსი დიდებული იყო და ასეთად დარჩება „თავისი დროისთვის“. ჯონიმ კი გადააბრუნა ჯაზი, როგორც ხელი გადააბრუნებს ხოლმე წიგნის ფურცელს, — და ეს უდავოა.

მარკიზა, რომელსაც კარგი მწვეარივით, ნამდვილი მუსიკის ალღო აქვს, ყოველთვის ალტაცებული იყო ჯონით და მისი ანსამბლის წევრებით. წარმომიდგენია, რამდენი დოლარი შეუწირავს მათთვის „33-თა კლუბის“ არსებობის დღეებში, როცა კრიტიკოსთა უმრავლესობა ჯონის გრამჩაწერის წინააღმდეგა იყო და მის ჯაზს დიდი ხნის დახავსებული კრიტერიუმებით აფასებდა. იქნებ ჯონისთან ღამიანობით სიარული და მარიხუანის წევა სწორედ იმ ხანებში დაიწყო მარკიზამ. ხშირად მინახავს ერთად ჩაწერის სეანსების წინ ან კონცერტების ანტრაქტებზე, ჯონის სახე უსაზღვრო ბედნიერებას გამოხატავდა მარკიზას გვერდით, თუმცა პარტერში ან შინ ღვინი და ბავშვები ელოდნენ. მაგ-

რამ ჯონის ვერ გაეგო, რა საჭირო იყო ფუჭი ლოდინი, და საერთოდ, ვერ წარ-
მოედგინა, რომ მას შეიძლება ვინმე ელოდებოდეს. ხერხი, რომელსაც ჯონის
თავიდან მოსაშორებლად მიმართა, ფრიად მრავლისმეტყველია, მე შენახავს
ღია ბარათი, რომელიც რომიდან გაუგზავნია ოთხი თვის დაშორების შემდეგ
(იგი გაიპარა თვითმფრინავით ორ სხვა მუსიკოსთან ერთად ისტრამბურის
ობახე კრინტიც არ დაუძრავს). ბარათზე ეხატა რემი და რომული, რომლებიც
ყოველთვის ძალიან ამხიარულებდნენ ჯონის (მის ერთ ფირფიტას სწორედ ასე
ეწოდება). ბარათზე ეწერა: „დავდივარ მარტო ზღვა სიყვარულში“, — სტრი-
ქონი დილან თომასის პოემიდან, რომელსაც დღედაღამ კითხულობდა ჯონი.
ჯონის რწმუნებულებმა ნიუ-იორკში საჭმე ისე მოაწყვეს, რომ მისი შემოსავლის
ნაწილს ურიცხავდნენ ლენს, რომელიც მალე მიხვდა, რომ ცუდი საქმე როდი
იყო ჯონისთან დაშორება. ისიც კი მითხრეს, მარკიზაც უგზავნიდაო ფულს,
ლენი კი აზრზეც არ იყო, საიდან მოდიოდა ფული. ეს არც მიკვირს, რადგან
მარკიზა იმდენად კეთილია, რომ ხანდახან სულელი გეგონება; ცხოვრება თავის
სტუდიაში გამომცხვარი ღვეზელი ჰგონია, რომლითაც სტუმრად მოსულ უამ-
რავ მეგობარს უმასპინძლდება ხოლმე, ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთი
თავისებური მარადიული ჭაღა ჰგონია, რომელშიც რასაც გინდა ჩატენი. ამ
ქადას ჭრის და გაჭირვებულებს ურიგებს ხოლმე...

მარკიზასთან მარსელ გავოტი და არტ ბუკაია იყვნენ. ისინი სწორედ ჯო-
ნის წუხანდელ ჩანაწერებზე საუბრობდნენ. ყველანი მომცვიდნენ, თითქოს
თავად მთავარანგელოზი წარმდგარიყოს მათ წინაშე; მარკიზა სულმოუთქმე-
ლად მკოცნის და მკოცნის, ბიჭები კი ხელს მართმევენ ისე, როგორც ეს მხო-
ლოდ კონტრაბასისტებსა და ბარიტონისტებს სჩვევიათ. ძლივს დავუძვერი ხე-
ლიდან და სავარძელს ამოვეფარე, — თურმე შეუტყვიათ, დიდებული საქსო-
ფონი რომ ვუშოვე ჯონის, და გუშინ მას ოთხი თუ ხუთი საუკეთესო კომპოზი-
ცია ჩაუწერია. მარკიზამ მაშინვე მომახალა: ჯონი საძაგელი ტიპია, უზრდელად
მომექცაო (მიზეზი არ უთქვამს), ამ საძაგელმა ტიპმა მშვენივრად იცის, პა-
ტიება რომ ეთხოვა, როგორც წესი და რიგია, საქსოფონის საყიდლად ჩეკს მივ-
ცემდიო. გასაგებია, ჯონამ არ ისურვა ეთხოვა პატიება პარიზში ჩამოსვლის
შემდეგ — მგონა, ლონდონში იჩხუბეს ამ ორი თვის წინ, — ამიტომაც არავინ
იცოდა, რომ ის ოხერი საქსი მეტროში დაეკარგა, და სხვა და სხვა. როცა მარ-
კიზა ვინმეს თათხავს, უნებურად ფიქრობ, დიცის სტილით ხომ არ მუშაობს
მისი ენა, რადგან იმპროვიზაცია იმპროვიზაციას მოსდევს, თანაც სულ მოუ-
ლოდნელ რეგისტრებში. როგორც იქნა, გაისმა ფინალური აკორდი — მარკიზამ
ბარძაყებზე შემოიკრა ხელები და ისტერიკული სიცილი აუტყდა, თითქოს ვი-
ლაც ულუტუნებო. არტ ბუკაიამ დრო იხელთა და დაწვრილებით მიამბო გუ-
შინდელი გრამჩაწერის სეანსის ამბავი, რადგან ჩაწერაზე ვერ წავედი — ჩემს
ცოლს ფილტვების ანთება ჰქონდა.

— თუ გინდა, ტაკას ჰკითხე, — მეუბნება არტი და მარკიზასკენ იხედება.
ის ისევ სიცილით კვდება. — ვერც კი წარმოიდგენ, ბრუნო, რა იყო, სანამ ფირ-
ფიტას არ მოისმენ. თვით ღმერთი თუ დაეხეტებოდა გუშინ ამ ცოდვილ მი-
წაზე, გეფიცები, ეტყობა შემოსულა ამ დაწყველილ სტუდიაში, სადაც, უნდა
ითქვას, ჯოჯოხეთური სიცხისაგან სული გვეხუთებოდა. მარსელ, გახსოვს
„მტირალი ტირიფი“?

— როგორ არ მახსოვს, — ამბობს მარსელი. — რა სულელური შეკითხვაა, გახსოვსო? განა შეიძლება ამის დავიწყება? სულის სიღრმეში ჩამწვდა მაგ ტირიფის „ტირილი“.

ტიკამ „highballs“-ი¹ მოგვართვა, და მოვიკალათეთ სასიამოვნო, ლაყბობის მოლოდინში. საერთოდ კი ბევრი არ გვისაუბრია გუშინდელ, გრაჟიანურაზე. ყოველმა მუსიკოსმა იცის, რა ძნელია ასეთ რამეებზე მსჯელობა, მაგრამ ზოგიერთმა რამემ, რაც იქ მოვისმინე, იმედის ნაპერწკალი გამიღვივა, ვიფიქრე, იქნებ ბედსა სწიოს-მეთქი ჩემმა საქსოფონმა ჯონი. მაგრამ ისეთი ანეგდოტური ამბებიც მომხდარა, ლამის ჩამიქრონ ეს ნაპერწკალი, — ჯონის, მაგალითად, პაუზების დროს ჯერ ერთი, მერე მეორე ფეხსაცმელი გაუძვრია და ფეხშიშველი დადიოდა თურმე სტუდიაში. სამაგიეროდ შერიგებია მარკიზას და დაპპირებია, ამ კონცერტის წინ სტუდიაში შემოგივლი და თითო ჭიქა გადაგვრათო.

— იმ გოგოს თუ იცნობ, ახლა რომ ჰყავს ჯონის? — აინტერესებს ტიკას. ფრიად მოკლედ ავუწერე, მაგრამ ფრანგი ქალის საამებლად მარსელმა რამდენიმე დეტალი და უწმაწური სიტყვა დასძინა, რამაც ენით აუწერელი მხიარულება მოჰგვარა მარკიზას. ნარკოტიკზე კრინტი არავის დაუძრავს, მაგრამ ისე ვარ დაშინებული, ასე მგონია, მის სუნს ტიკას სტუდიის პაერშიც კი ვგრძნობ-მეთქი, თანაც ტიკა ზუსტად ისევე იცინის, როგორც ჯონი და არტი — ასე მხოლოდ ნარკომანები იცინიან. ნეტავ, როგორ შოულობდა ჯონი მარისუანას, თუ გაბუტული იყო მარკიზასთან; ისევ შეირყა ჩემი ნდობა დედესადმი, თუმცა არც კი ვიცი, საერთოდ, ვენდობოდი თუ არა ოდესმე. ბოლოს და ბოლოს, ფერი ფერს და მადლი ღმერთსაო, ყველანი ერთნაირები არიან.

მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, მშურს მათი ერთსულოვნება, რომელიც ასე ანათესავებს, ასე იოლად აქცევს მათ თანამზრახველებად. ჩემი პურიტანული თვალსაზრისით (საიდუმლო როდია: ვინც მიცნობს, ყველაში იცის, როგორ მეზიზღება უხნეო საქციელი), ისინი ავადმყოფი ანგელოზები არიან, თავქარიანობას რომ აუცდენია ჭეშმარიტების გზიდან, მაგრამ საკუთარ თავზე ზრუნვას ანაზღაურებენ ისეთი რამეებით, როგორცაა ჯონის გრამფირფიტები ან მარკიზას დიდსულოვანი ხელგაშლილობა. ეს არავისთვის მითქვამს, მაგრამ მინდა ვიყვირო: დიახ, მშურს თქვენი, მშურს ჯონის, იმქვეყნიური ჯონისა, ურომლისოდაც ვერავინ ვერ გაიგებდა, რა არის ის, იმქვეყნიური. მშურს ყველაფერი, გარდა მისი ტანჯვისა, რასაც სულ ერთია ვერავინ ვერასოდეს ვერ გაიგებს, მაგრამ ტანჯვაშიც კი მის წინაშე აკიაფდება ხოლმე ნაპერწკალი, რომლის დანახვა მე არ მიწერია. მშურს ჯონისა, და თანაც ვბრაზობ, რომ თავს ილუბავს, სულელურად ფლანგავს თავის ნიჭს, როცა იდიოტურად იწოვს ცხოვრების სიბილწეს, რომელიც არ ინდობს მას. მართალია, მგონია — ჯონის რომ შეეძლოს თვითონ განაგოს თავისი ცხოვრება, თანაც არაფერი არ დათმოს, თვით ნარკოტიკიც კი, უკეთ რომ მართოს თავისი თვითმფრინავი, რომელიც აი უკვე ხუთი წელია ბრმად მიფრინავს, შეიძლება ძალიან ცუდად დაემთავრებინა სიცოცხლე, სულ მთლად გაგიჟებულიყო, მომკვდარიყო, მაგრამ სამაგიეროდ მუსიკაში ჩააქსოვდა ყველაფერს, რის გამოხატვასაც დაკვრის შემდეგ ცდილობს თავისი უმაქნისი მონოლოგებით, მშვენიერ და უცნაურ განცდებზე ლა-

¹ ყინულიანი ვისკი (ინგლ.).

პარაკით, შუა გზაზე რომ უწყდება ხოლმე. არსებითად, სწორედ ასეთი დასასრულის მომხრე ვარ, რადგან საკუთარი მომავლის ლაჩრული გრძნობა მაშოდრავებს, და, იქნებ, მართალი თუ გინდათ, კიდევაც მსურს — ჯონი ერთბაშად აფეთქდეს კაშკაშა ვარსკვლავით, რომელიც უცბად მტვრად იქცევა და ერთი კვირით ასტრონომებს პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებს! მისი კაშკაშა ვიეროდ მშვიდად დავიძინებდი — ხვალ ახალი დღეა, ახალი საქმეები...

ჯონი, მეგონი, ფიქრებს მიმიხვდა, ეშმაკურად ჩამიკრა თვალი და ჩემკენ წამოვიდა. სანამ მომიახლოვდებოდა, მარკიზა ჩაკოცნა, ჰაერში შემთატრიალა, რაღაც ჩაუკრიმანჭულა მას და არტს საღმის ნიშნად, რასაც ყველა ალტაცებაში მოვყავართ, და გვერდით მომიჯდა.

— ბრუნო, — მითხრა ჯონიმ და მშვენიერ დივანზე გაიშოტა, — ეს დუდუკი პირდაპირ სასწაულია. ესენი გეტყვიან, რა ვაქნევინე გუშინ. ტიკას კურცხლები სცვივოდა და, დამერწმუნე, არა იმიტომ, რომ მკერავისთვის ფული აქვს მისაცემი. ხომ, ტიკა?

მინდოდა უფრო მეტი გამეგო რეპეტიციის თაობაზე, მაგრამ ჯონი ამ თვითკმაყოფილების ამოძახილს დასჯერდა და მაშინვე საუბარი გააბა მარსელთან საღამოს პროგრამაზე, იმაზე, თუ როგორ უხდებათ ახალთახალი ნაცრისფერი კოსტიუმები ესტრადაზე. ჯონი მართლაც კარგად გამოიყურება და, ეტყობა, ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს არ უნდა ეწეოდეს. როგორც ჩანს, ზუსტად იმდენს ეწევა, რამდენიც სჭირდება, რომ ალტყინებით დაუკრას. ეს გავიფიქრე თუ არა, ჯონიმ მხარზე ხელი დამკრა, ჩემკენ დაიხარა და წამჩურჩულა:

— დედემ მითხრა, იმ საღამოს უზრდელად მოიქეციო.

— რად გინდა, რომ იხსენებ.

— არა, მინდა. მართალი თუ გნებავს, ძალიან, ძალიან კარგადაც ვიქცეოდდი. შენ ხომ უნდა ამაყობდე, რომ არ გერიდები. არავისთან არ ვიქცევი ასე. გჯერა? აქედან ჩანს, როგორ გაფასებ. ეს, ერთი საღამე შეგვაძვრინა და გვასაუბრა ნაირ-ნაირ რამეებზე. აქ ხომ... — ზიზღით გამობერა ქვედა ტუჩი, სიცილი აუტყდა, მხრები აუცახცახდა, თითქოს აცეკვდა დივანზე. — ბრუნო, მეგობარო, დედე კი მეუბნება, უზრდელად იქცეოდით, ღმერთმანი... ჰა... ჰა... ჰა!

— როგორ არის შენი გრიბი? უკეთ გრძნობ თავს?

— არავითარი გრიბი არა მქონია. მოვიდა ექიმი და დაიწყო, ასე და ისეო, ჯაზს ვაღმერთებ, როგორმე შემოიარე საღამოს და ფირფიტებს მოგასმენინებო... დედემ მითხრა, ფული მიგიცია.

— ახლა სულს მითიქვამთ, მიიღებ — და დამიბრუნებ. რას იტყვი, ამ საღამოს გუნებაზე ხარ?

— ჰო, დაკვრის გუნებაზე ვარ. ახლავე დავუკრავდი, საქსო რომ მქონდეს აქ, მაგრამ დედე გაჯიუტდა: თვითონ მოგიტანო თეატრში. ბრწყინვალე საქსია. გუშინ რომ ვუკრავდი, მეგონა, სიყვარულად ვიღვრები-მეთქი... ერთი გენახა ტიკას სახე. თუ ექვიანობდი, ტიკა?

ისევ ახითხითდნენ ყველანი გამყივანი ხმით, ჯონიმ კი ხელი სტაცა არტს და გატაცებით დახტოდა სტუდიაში. თუმცა მუსიკა არ უკრავდა, მაგრამ ის ცეკვავდა და ფეხებს მალლა იქნევდა. ამ უხმო აკომპანემენტის თანხლებით ჯონისა და არტის წარბები ათამაშდნენ რიტმულად. შეუძლებელია გაუბრაზდე

ჯონის ან არტი, ისევე როგორც ვერ გაუბრაზდები ქარს, თმას რომ გიწეწავს. ტიკამ, მარსელმა და მე თითქმის ჩურჩულით დავიწყეთ მსჯელობა იმაზე, თუ რით დამთავრდებოდა დღევანდელი საღამო. მარსელი დარწმუნებულია, რომ ჯონი გაიმეორებს თავის 1951 წლის გასაოცარ წარმატებას, როგორც კრიველად ჩამოვიდა პარიზს. გუშინდელი რეპეტიციის შემდეგ, მისი მსჯელობა აფერო საუცხოოდ დამთავრდება. მეც მინდა მჯეროდეს... სხვა რაღა დამრჩენია, დაე-ჯდები პირველ რიგში და მოვესმენ კონცერტს. იმაში მაინც დავრწმუნდი, რომ ჯონის არ მოუწევია მარიხუანა, როგორც მაშინ. ბალტიმორში. ეს რომ ტიკას ვუთხარი, ხელი ბელში წამატანა, თითქოს წყალში ვარდებო. არტი და ჯონი პიანინოსთან მივიდნენ, არტი უჩვენა ახალი თემა. იგი ტაქტს აყოლებდა თავის მოძრაობას და ღიღინებდა. ორივე საოცრად ელეგანტური იყო ნაცრისფერ კოსტიუმებში, თუმცა ჯონის ცოტა აუშნოებს ქონი, ამ ბოლო ხანს რომ დაუფროვებია. მე და ტიკა ვიხსენებთ ბალტიმორის საღამოს, როცა ჯონიმ პირველი სასტიკი კრიზისი გადაიტანა. ლაპარაკინ დროს თვალეზში შევცქერო ტიკას, მინდა დავრწმუნდე, რომ გამიგო და ამჯერად საქმეს არ გააფუჭებს. თუკი ჯონი ზედმეტ კონიაკს დალევს ან მარიხუანის ერთ ნაფაზს დაარტყამს, კონცერტი ჩაფლავდება — ყველაფერი ფუჟად ჩაივლის. პარიზი პროვინციული კაზინო როდია, აქ მთელი ქვეყანა უყურებს ჯონის. ამაზე რომ ვფიქრობ, პირში ცუდ გემოს ვგრძნობ სიბრაზისაგან — ჯონიზე ან მის მარცხზე როდი მომდის ბრაზი, უფრო სწორად ვბრაზობ საკუთარ თავზე და იმათზე, ვინც გარს ახვევია ჯონის, მაგალითად, მარკიზასა და მარსელზე. არსებითად, ჩვენ ეგოისტების ბანდა ვართ. ჯონიზე ზრუნვის საბაბით მხოლოდ ვცდილობთ, განვიმტკიცოთ საკუთარი წარმოდგენა მასზე, გვინდა დავტკბეთ იმ სიამოვნებით, რასაც ყოველთვის გვგვრის ჯონი, გვინდა ბრწყინვალემა მივანიჭოთ ჩვენს მიერ დადგმულ ქანდაკებას და, რაღაც უნდა დაგვიჯდეს, დავიცვათ იგი. ჯონის მარცხი არარად აქცევდა ჩემი წიგნის წარმატებას (ეს-ესაა გამოვა ინგლისური და იტალიური თარგმანები), და, იქნებ, ეს მღელვარებაც მაიძულებს ვიზრუნო ჯონისთვის. არტი და მარსელი მისი წყალობით მოულოდენლად ლუკმაპურს, მარკიზა კი... თუმცა მან, მარკიზამ, უკეთ იცის, რატომ ელტვის ჯონის, რა იზიდავს, მისი ნიჟის გარდა. ყოველივე ამის გამო ქრება მეორე ჯონი, და უცებ თავში გამიელვა, იქნებ ჯონის სწორედ ეს უნდოდა ეთქვა, როცა პლედი გადაიძრო და ჭიაყელასავით შიშველი გამომეცხადა. ჯონი უსაქსოფონოდ, ჯონი უსახსროდ და უტანსაცმლოდ, ჯონი, შეპყრობილი იდევით, რომელსაც ვერასოდეს ვერ დაძლევა და თავისი უსუსური ინტელექტით, მაგრამ რომელიც ასე თუ ისე იღვრება მის მუსიკაში, აცახცახებს მის სხეულს ნეტარებისაგან, ვინ იცის, რა მოულოდნელი, ჩვენთვის შეუცნობელი ნახტომისთვის ამზადებს მას.

როცა ასეთი აზრები მეუფლება, უნებურად საზიზღარ გემოს ვგრძნობ პირში და მთელი მსოფლიოს პაციოსნება ვერ გამოისყიდის მოულოდნელ აღმოჩენას, რომ შენ მხოლოდ საცოდავი სალაჩანა ხარ ისეთი ადამიანის გვერდით, როგორიც ჯონი კარტერია. ის კი დივანზე ზის, კონიაკს წრუპავს და ეშმაკურად შემოგვყურებს. დროა, გავსწიოთ პლეიელის დარბაზისაკენ. დაე მუსიკამ იხსნას თუნდაც საღამოს დარჩენილი დრო და შეასრულოს, ასე ვთქვათ, თავისი ერთ-ერთი ყველაზე უარესი მისია: შირმად აეფაროს სარკეს, ორიოდ საათით აღგვგავოს პირისაგან მიწისა.

ხვალ, როგორც ყოველთვის, ჟურნალ „jazz-hor“¹-ისათვის დავეწერ ამ საღამოს კონცერტის რეცენზიას. თუმცა კი კონცერტის დროს, ხანმოკლე შესვენებისას მუხლზე სტენოგრაფიულად ვიწერ ხოლმე ზოგ რამეს, მაგრამ არავითარი სურვილი არა მაქვს კრიტიკოსის, შემფასებლის როლში ვმყოფოდე. შესანიშნავად ვიცი, ჯონი ჩემთვის უკვე დიდი ხანია მარტო ზნაძეა; მისი მუსიკალური გენია რაღაც დიდებულ ფასადსა ჰგავს, რაღაც ისეთი რამაა, რასაც ბოლოს და ბოლოს შეუძლია იტაცოს და ალაფრთოვანოს ყველა, მაგრამ ფასადს მიღმა იმალება „სხვა“, და ეს „სხვა“ ერთადერთია, რაც უნდა მაინტერესებდეს, თუნდაც იმატომ, რომ სწორედ ეს „ერთადერთია“, რასაც ჯონი ასეთ მწვერვალებზე აჰყავს.

ამის თქმა ადვილია, სანამ მთლად ჯონის მუსიკაში ვარ ჩაძირული. მაგრამ, როცა გამოვფხიზლდები... რატომ ვერ ვიქცევი მასავით, რატომ ვერ ვურტყამ თავს კედელს? ტვინს ვიჭყლეტ და ვცდილობ სინამდვილე გამოვხატო სიტყვებით, რომლებსაც მისი ასახვის პრეტენზია აქვთ; თავს ვიზღვევ მსჯელობითა და ვარაუდებით, რომელთა არსი სხვა არაფერია, თუ არა უაზრო დიალექტიკა. მაგრამ, მგონი, ბოლოს და ბოლოს ვხვდები, რატომ არის, რომ ზოგჯერ ეკლესიის ზარი ინსტინქტურად დაგცემს ხოლმე მუხლზე. საკუთარი პოზიციის შეცვლა სიმბოლურად გამოხატავს ცვლილებებს მუსიკაში, იმას, როგორ იაზრებ მოსმენილს. როცა ხანდახან ასეთ ცვლილებას შევნიშნავ, იმას, რაც წამის წინ ველურად მეჩვენებოდა, ღრმა მნიშვნელობას ვანიჭებ, ყველაფერი საოცრად მარტივდება და ამავე დროს რთულდება. არც მარსელს, არც არტს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ჯონი სულაც არ შეშლილა. როცა ფენსაცმელი გაიძრო ხმის ჩასაწერ დარბაზში. ჯონის იმ წუთს უნდოდა რეალური ნიადაგი ეგრძნო ფესქვეშ. შეხორცებოდა მიწას, რადგან მისი მუსიკა ყოველივე მიწიერის დამკვიდრებაა და არა გაქცევა მისგან. ამასაც ეგრძნობ — ჯონი არაფერს არ გაურბის, მარიხუანას თავდავიწყებისათვის კი არ ეწევა, როგორც სხვა ხელიდან წასული კაცუნები, საქსზე იმიტომ კი არ უკრავს, რომ დაიმალოს ბგერათა მიღმა, კვირებს ფსიქიატრიული კლინიკების ცალკე პალატებში იმისთვის კი არ იტარებს, რომ თავი იხსნას მტანჯველი მეურვეობით, რასაც საერთოდ ვერ იტანს. მისი მუსიკალური სტილი — მისი ნამდვილი „მე“ — სტილი, რომელიც თავს გახვევს ყველაზე აბსურდულ განსაზღვრებებს და ამავე დროს არ სჭირდება არც ერთი მათგანი, ადასტურებს, რომ ჯონის ხელოვნება არც რაიმეს შემცველია და არც დამატება. ჯონიმ ხელი აიღო „პოტის“ ენაზე, რომელიც საერთოდ პოპულარულია ეს ათიოდე წელი, რადგან ჯაზის უკიდურესად ეროტიული ენა მეტად პასიურად ეჩვენება. ჯონის მუსიკაში სურვილი მუდამ უსწრებს ნეტარებას და ამსხვრევს მას იმიტომ, რომ სურვილი გაიძულებს იარო წინ, ეძიო, ამასთან წინასწარ უკუაგდო ტრადიციული ჯაზის „იოლი გამარჯვებანი“. მე მგონი, იმიტომ არ უყვარს ჯონის უპოპულარესი ბლუზები, მათი მაზოხიზმი და ნოსტალგია... თუმცა ყოველივე ეს ხომ აღწერე ჩემს წიგნში, როცა ავხსენი, თუ როგორ მოხდა, რომ ჯონი ვერ დააკმაყოფილა იოლმა გზამ და ამან აფიქრებინა შეექმნა მუსიკალური ენა, რომლის შემესაძლებლობათა ჩაწვდომაა ცდილობენ ჯონი და სხვა მუსიკოსები. ასეთი

¹ „ცხელი ჯაზი“ — (ინგლ. —) ჯაზური მუსიკის ერთ-ერთი მიმართულება.

ჯაზი ამსხვრევს მთელ უხამს ეროტიზმსა და ეგრეთ წოდებულ ვაგნერიანობას, რომ დაეუფლოს ახალ, თითქოსდა უკიდევანო სამყაროს, სადაც მუსიკა ფრთა-სა შლის, რათა ჭეშმარიტ ფერწერად იქცეს. ეტყობა, როცა მუსიკა ცდილობს მუსიკაში, რომელსაც პირობითად მეტაფიზიკურს ვუწოდებდით, ჯონის თითქოს სურს თვითონ მოსკდეს მუსიკად, კბილებით ჩააფრინდეს ცხოვრებას, მუდამ ხელიდან რომ უსხლტება.

ფიქრობ, ეს არის მისი სტილის მარადიული პარადოქსი, ამით არის, რომ გაფორიაქებს, ეს მუსიკა ვერ გაკმაყოფილებს, მაგრამ განუწყვეტლივ აღგაგზნებს დაუსრულებელი კომპოზიციებით — და ყოველივე ამის მშვენიერება დაგვირგვინება როდია, ეს არის შემოქმედებითი ძიება, სულიერი ძალების გამოვლინება, რომლებიც ჩრდილავენ სუსტ ადამიანურ ემოციებს, მაგრამ თვითონ არ კარგავენ ადამიანურობას. და თუ ჯონი, ამ საღამოსი არ იყოს, თავდავიწყებას ეძლევა თავისი დაუსრულებელი იმპროვიზაციების დროს, ძალიან კარგად ვიცო, რომ ცხოვრებას არ გაურბის. რაიმესადმი თავდავიწყებული ლტოლვა სრულიადაც არ არის გაქცევა, თუმცა ეს რაიმე სულ უფრო გშორდება. იმას კი, რაც უკან რჩება, ჯონი არაფრად არ აგდებს ან ამაყი ზიზლით შესცქერის. მარკიზას, მაგალითად, ჰგონია, ჯონის სიღარიბისა ეშინიაო. მას არ ესმის: ჯონი შეიძლება შეაშინოს მხოლოდ იმან, რომ ვერ ჩაარქო დანა ბიფშტექსში, როცა მოშივდა, ანდა გვერდით არ აღმოჩნდა საწოლი, როცა რული მოეკიდა, ან ქისაში ვერ იპოვა ასიოდე დოლარი, როცა სრულიად ბუნებრივად მიიჩნია ამ ასი დოლარის დახარჯვა. ჯონი ჩვენსავით როდი დაფრინავს აბსტრაქციების სამყაროში. ამიტომ მისი მუსიკა, ეს საოცარი მუსიკა, რომელიც იმ საღამოს მოვისმინე, სრულიადაც არ არის აბსტრაქტული. მაგრამ მხოლოდ ჯონი თუ გეტყვით, რა იპოვა თავის მუსიკაში, თუმცა უკვე გატაცებულია სხვა თემით, თავგზა აპბნეგია ახალი განცდებისა და ახალი ვარაუდების ლაბირინთებში. მისი გამარჯვებანი ზმანებებს ჰგავს, მაგრამ იგიწყებს მათ, როცა გამოაფხიზლებს ტაში, რომელიც აბრუნებს ამქვეყნად შორეთიდან, იქიდან, საითაც ასე მიექანება ხოლმე, როცა თავის თხუთმეტ წუთს რაღაც წუთ-ნახევარში განიცდის.

□ □

ფრიად უცნაურია, როცა რაღაც მეხამრიდად გრძნობ თავს ჭექა-ქუხილის დროს და გწამს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. ხუთიოდე დღის შემდეგ არტ ბუკაიას გადავეჩხეხე „დიუბონთან“, ლათინურ უბანში. მაშინვე სულ-მოუთქმელად მაუწყა შემზარავი ამბავი. ჯერ თითქოს კმაყოფილების მსგავსი რაღაც ვიგრძენი, რომ მხოლოდ უნდა განმესაზღვრა, რამოდენა იყო ახალი უბედურება, რადგან ვიცოდი შესანიშნავად: მშვიდი ცხოვრება დიდხანს ვერ გასტანდა. მაგრამ შემდეგ ფიქრები შემომაწვა — მე ხომ ჯონი მიყვარს — და გულს შემომეყარა. ამიტომ ორი ჭიჭა კონიაკი გადავკარი, და არტმა დაწვრილებით მიაშპო ყველაფერი. ერთი სიტყვით, წინა დღეს დელონეის ყველაფერი მოუმზადებია ახალი კვინტეტის ჩასაწერად: ჯონი — წამყვანი საქსოფონი, არტი, მარსელ ვაგოტი და ორი კარგი ბარიზელი ბიჭი — ფორტეპიანო და დასარტყმელი საკრავები. ჩაწერა ნაშუადღევის სამზე უნდა დაწყებულიყო, უნდოდათ მთელ დღეს და ცოტა საღამოსაც ემუშავათ, რომ ყველაფერი მოესწროთ

და რაც შეიძლება მეტი ნაწარმოები ჩაეწერათ. მაგრამ მოხდა სულ სხვა რამ. ჯერ ერთი, ჯონი ხუთზე მობრძანებულა, დელონეი უკვე კბილებს აკრავს და გამწარებული. ჯონი სავარძელში გაიშოტა და განაცხადა: „შეუძლოდ კარ, მხოლოდ იმიტომ მოვედი, რომ ბიჭებს დღე არ ჩავუმწარო, დაკრება კი არა მსურსო.“

— მარსელი და მე ერთმანეთს არ ვაცლიდით, ისე ვეხვეწებოდით, ცოტა სული მოითქვი, დაისვენეო, მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს, დაიჩემა — გზაში რაღაც ურნიანი მინდვრები ვნახეო, და მთელი ნახევარი საათი ყურები გამოგვიჭედა ამ ურნებით. ბოლოს კი მუჭით ამოჰქონდა ჯიბეებიდან და იატაკზე აბნევდა ფოთლებს, რომლებიც სადღაც პარკში შეეგროვებინა. ლამის ბოტანიკურ ბაღად აქცია სტუდია. ოპერატორები აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ძალღებვივით იღრინებოდნენ. რის ჩაწერა, რა ჩაწერაო. წარმოგიდგენია, მთავარი ხმის ოპერატორი სამ საათს აბოლებდა თავის კაბინეტში, პარიზში კი ეს ცოტა როდია მთავარი ხმის ოპერატორისათვის.

ბოლოს მარსელმა მაინც დაიყოლია ჯონი, სცადე — იქნებ რამე გამოგივიდესო. დაიწყეს დაკვრა, ჩვენც ჩუმად ავეყვით, — ამბობს არტი, — რომ სული არ ამოგვძვრომოდა მოწყენილობისაგან. მაგრამ მალე შევნიშნე, რომ ჯონის მარჯვენა ხელი უშეშდება, და დაკვრა რომ დაიწყო, მართალი გითხრა, მის შემხედვარეს გული გეტყანებოდა. ფერი დაეკარგა, კანკალებდა, გეგონებოდა აციებსო. ვერც კი შევნიშნე, როდის დაენარცხა დაბლა. მერე წამოიყვირა, სათითაოდ მოგვაგლო ყველას თვალი და გვკითხა, რას უცდით, „სტრასტიზს“ რატომ არ იწყებთო. იცი, ალამოს ეს თემა? ერთი სიტყვით, დელონეიმ ანიშნა ოპერატორს, ჩვენ ჩავებით როგორც შეგვეძლო, ჯონი კი წამოდგა, ფეხები გაჩახხა, შექანდა, თითქოს ნაეში ყოფილიყოს, და ისეთი ხმები ამოუშვა, გეფიცები, ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არ მსმენია. სამითღ წუთს ასე უკრავდა, მერე კი ისე შემზარავად დააკივლა საქსი... ეეე, — ვიფიქრე, ახლა მთელი ზეცა თავზე დაგვემხოზა-მეთქი. მიგვატოვა შუა გზაზე და თავისთვის კუთხეში დაჭდა. იძულებული გავხდით როგორღაც დაგვემთავრებინა.


მერე კი საშინელება მოხდა. რომ დავამთავრეთ, ჯონიმ მაშინვე მოგვცხო: საძაგლად გამოვიდა, ჩანაწერი არაფრად არ ვარგაო. ცხადია, არც დელონეის, არც ჩვენ ყურადღება არ მიგვიქცევია მისი სიტყვებისათვის, იმიტომ, რომ მარცხის მიუხედავად, მართო ჯონის სოლო ათასჯერ მეტი ღირდა იმაზე, რასაც ყოველდღე ისმენ. საოცარია, როგორ აგისხნა, არ ეიცო... რომ მოისმენ, თვითონ მიხვდები, რატომ არ უფიქრიათ არც დელონეის, არც ოპერატორებს წაეშალათ ჩანაწერი. მაგრამ ჯონი მთლად გაცოფდა, კაბინაში მინებს ჩავამსხვრევ, თუ არ დამიმტკიცეთ, რომ ფირფიტა არ გამოვაო. ბოლოს ოპერატორმა რაღაც დამტვრეული ფირფიტა უჩვენა და დაამშვიდა. მაშინ ჯონიმ შემოგვეთავაზა, მოდიო, „სტრესტომიცინი“ ჩაეწეროთო. ჩაეწერეთ. ეს ბევრად უკეთესიც გამოვიდა და ბევრად უარესიც. გესმის, ეს ფირფიტა რიგიანია, ვერ შეედავები, მაგრამ იქ ვერ ნახავ იმ სასწაულს, რაც ჯონიმ „სტრასტიზში“ გვიჩვენა.

არტმა ამოიოხრა, შესვა უკანასკნელი ყლუპი ლუდი და სევდიანად მომანერდა. ვკითხე, მერე რა ქნა-მეთქი. ჯერ იყო და, ჯონიმ ყელში ამოგვიყვანა თავისი ფოთლებისა და ურნებით დაფარული მინდვრების ამბები, მერე — აღარ დავუკრავო, გამოგვიცხადა და ბარბაციით გავიდაო სტუდიიდან. მარსელმა საქ-

სოფონი გამოართვა, ისევ არ დაკარგოს ან არ გატეხოს, და ერთი ფრანგ ბიჭის დახმარებით სასტუმროში წაიყვანეს.

რაღა დამრჩენოდა? მაშინვე უნდა წავსულიყავი მასთან, და მაინც ეს/სე-ლისთვის გადავდე. ხვალ კი ჯონის სახელს წავაწყდი „ფიგაროში“ კომპლიციის ქრონიკაში: ღამით ჯონის ცეცხლი გაუჩენია ნომერში და დედემ დაწვინა და სასტუმროს დერეფნებში. არც თვითონ, არც დედეს არაფერი არ დამართნათ, მაგრამ ჯონი კლინიკაშია. გაზეთის ცნობა ვუჩვენე ცოლს, იგი ახლა უკეთ გრძნობს თავს, დავამშვიდე, ჯონისთან მივდივარ-მეთქი, და მივაშურე სასტუმროს, სადაც ჩემს ჟურნალისტის მოწმობას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მხოლოდ ის შევიტყვე, რომ ჯონის პალუცინაციები აქვს და სრულიად მოწამლულია მარხუანით — ასეთი უზარმაზარი დოზა ათ ვაჟკაცს გადარევდა. საბრალო დედემ ვერ ივარგა, ვერ გადაიჩვია მარხუანის წევას; ბოლოს და ბოლოს ჯონი ყველა დედაკაცს თანამზრახველად იხდის ხოლმე, და თავს მოვიჭრი, თუ ნარკოტიკა მარკაზას არ ეშოვოს.

ბოლოს გადავწყვიტე მაშინვე დელონეისთან წავსულიყავი და მითხოვა, ჩქარა მომასვენინე-მეთქი „სტრასტიზი“. ვინ იცის, იქნებ „სტრასტიზი“ საბრალო ჯონის ანდერძია, ასეთ შემთხვევაში ჩემი პროფესიული მოვალეობა იქნებოდა...



მაგრამ არა. ჯერ არა. ხუთი დღის შემდეგ დედემ დამირეკა და მითხრა, ჯონი გამომჯობინდა და შენი ნახვა უნდაო. ვარჩიე, არ დამეტუქსა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს, რა თქმა უნდა, წყლის ნაყვა იქნებოდა, და, მეორეც, საბრალო დედეს ისეთი ხმა ჰქონდა, როგორსაც გაჰყლელი ჩაიდან გამოსცემს ხოლმე. დავპირდი, ახლავე მოვალ-მეთქი და ვუთხარი, ჯონი რომ სულ მთლად მორჩება, კარგი იქნება ტურნე მოგვეწყო მისთვის შიდა პროვინციათა ქალაქებში. დედე ასლუკუნდა, და ყურმილი დაედე.

ჯონი საწოლზე იჯდა. პალატის ორ სხვა ავადმყოფს, საბედნიეროდ, ეძინა. სანამ რამეს ვეტყოდი, თითები ჩამავლო თავში, შუბლი და ლოყები დამიკოცნა. საშინლად გამხდარა, თუმცა მითხრა, კარგად მაჭმევენ და არც მადას ვემდურით. ყველაზე მეტად ის მაწუხებს, ბიჭები ხომ არ მლანძღავენ, ჩემმა კრიზისმა ვინმეს ხომ არ ავნოო, და სხვა. კაცმა რომ თქვას, პასუხი არც იყო საჭირო, მშვენივრად იცის, რომ კონცერტები გადაიღო და ამან ძლიერ დააზარალა არტი, მარსელი და სხვები. იმ იმედით მეკითხება, იქნებ რაიმე სანუგეშო, გამამხნევებელი მითხრასო. მაგრამ რას მომატყუებს: ამ წუხილის მიღმა, მისი სულის სიღრმეში იმალება ვეებერთელა გულგრილობა. ჯონის ოდნავაც არ შეუტოკდებოდა გული, ამ წუთს ეს ქვეყანა რომ დაქცეულიყო — ძალიან კარგად ვიცნობ და არ მოვტყუვდები.

— ახლა რაღა სალაპარაკოა, ჯონი. ყველაფერი უკეთ შეიძლებოდა წარმართულიყო, მაგრამ ეს სისხლში გაქვს გამჭდარი, არ შეგიძლია რომ ყველაფერი არ ჩააფლავო.

— ჰო, თავს არ ვაპართლებ, — წაილულულა ჯონიმ. — მაგრამ მაინც ყველაფერი ურნების ბრალია.

არტის სიტყვები მაგონდება და თვალს არ ვაცილებ ჯონის.

— მინდვრები, ურნებით დაფარული მინდვრები, ბრუნო. უნარმანარ მინდორში ჩაფლული მხოლოდ და მხოლოდ უხილავი ურნები. მივდიოდნენ, წამდა-უწუმ ვბორძიკობდი, რაღაცას ვეძებოდი. შენ იტყვი, დაგესტრამა? მაგრამ ასე კი იყო, მომისმინე: ფეხქვეშ მედებოდნენ ურნები, ვბორძიკობდი მხოლოდს მივხვდი, რომ მინდორი მთლად ურნებითაა დაფარული, ასობით, ათასობით ურნით, და თითოეულში მკვდრის ფერულია. მახსოვს, მაშინ დავიხარე, ფრჩხილებით ვთხრაღი მიწას, სანამ ერთი ურნა არ განოჩნდა. ჰო, მახსოვს, კარგად მახსოვს, ვიფიქრე: ეს ნამდვილად ცარიელი იქნება, ალბათ, ჩემთვისაა განკუთვნილი. მაგრამ დახე — არა, პირამდე სავსე აღმოჩნდა რუხი ფერფლით, ასეთი ფერფლი, დარწმუნებული ვარ, სხვებშიც იყო, თუმცა არ ამიხდია. მაშინ... მე მგონი, მაშინ დავიწყეთ „სტრასტიზის“ ჩაწერა.

ჩუმად გადავხედე ტემპერატურის მრუდს. სავსებით ნორმალურია, ვერაფერს იტყვი. ახალგაზრდა ექიმმა შემოიხედა, თავაზიანად დამიკრა თავი და გამამხნეველად, თითქმის სპორტულად მიესალმა ჯონის. კარგი ბიჭი იყო. მაგრამ ჯონიმ არ უპასუხა და, ექიმი რომ კარს მიეფარა, შევნიშნე, როგორ შეკრა ნუშტები.

— ამას ესენი ვერასოდეს ვერ გაიგებენ, — მითხრა მან. — ეგენი ჰგვანან მაიმუნებს, რომლებსაც ცოცხები მიაჩეჩეს, ან კანზას-სიტის კონსერვატორიის გოგოებს, რომლებსაც ჰგონიათ, შოპენს ვუკრავთო, ღმერთმანი. ბრუნო, კამარილიოში დამაწვინეს პალატაში ვიღაც სამ კაცთან, დილით კი გამოგვეცხადა პრაქტიკანტი, ისეთი კოპწია, ვარდისფერი — თვალი დაგრჩებოდა. არც მეტი, არც ნაკლები — წმიდა ყრმა, პატიოსნებას გეფიცები. და ეს ნაძირალა მომიგდა და მანუგეშებდა მე, რომელიც მხოლოდ სიკვდილს ვნატრობდი და უკვე აღარც ლენი მახსოვდა და აღარც სხვა ვინმე. ამ ტიპმა კი იწყინა კიდეც, როგორ თუ თავიდან მომიშორათ. იმას, ეტყობა, ეგონა მისი თეთრი სახით, გადასლექილი თმითა და გაქლიბული ფრჩხილებით მოჯადოებული ფეხზე წამოვიტრებოდი და განვიკურნებოდი, როგორც ის უტვინოები, ლურდში¹ რომ ცოცვით ჩადიან, მაშინვე ყავარჩნებს ჰყრიან და თხებივით აკუნტრუშდებიან...

ბრუნო, ეს ტიპი და სხვა კამარილიოელი ტიპები რაღაცნაირი არიან... თავდაჯერებულნი. იკეთხავ, რატომ? თვითონაც არ ვიცი. გეფიცები, მაგრამ რატომღაც ძალიან თავდაჯერებულნი არიან. ალბათ იმიტომ, რომ ჰგონიათ ყველაფერი ვიცით და ძალიან ძვირად ვფასობთო ჩვენი დიპლომებიანად. არა, კარგად ვერა ვთქვი. ზოგიერთი მათგანი თავმდაბალია და უცოდველადაც როდი მოაქვს თავი. მაგრამ ყველაზე თავმდაბალიც კი თავდაჯერებულია. სწორედ ეს მაცოფებს, ბრუნო, რომ მათ საკუთარი თავის რწმენა აქვთ. ერთი მითხარი, გეთაყვა, რატომ არიან ასე თავდაჯერებულნი, როცა მეც კი, ათასნაირვესა და ტვინნაღრძობ ნაძირალას, მყოფნის ჰკუთავინახო, რომ ჩვენს გარშემო ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია, ერთი სულის შებერვა და... მორჩა. საკმარისია მიმოიხედო, იგრძნო ცოტა რამ, ცოტა ხანს დადუმდე — და ყველგან ხვრელებს დაინახავ. კარში, საწოლში — ხვრელებია. ხელები, გაზეთები, დრო, ჰაერი — მთლად დახვრეტილია; ყველაფერი ღრუბელასავით, საცერივით არის — თავის თავს

¹ საფრანგეთის ქალაქი, რომელიც „წმიდა“ ადგილად ითვლება.

ხვრეტს... მაგრამ ისინი — ეს ამერიკული მეცნიერებაა, გაფუჭულ და გაბღენ-
ძილი, გამიგე, ბრუნო? მათ ხალათებს ნახვრეტები ვერ ექნება. ისინი ვერაფერს
ვერ ხედავენ, ისა სჯერათ, რასაც სხვები ეტყვიან, ჰგონიათ კი — თვითონ ვნა-
ხეთო. რაღა თქმა უნდა, ვერ დაინახავენ გარშემო ხვრეტებს, ხვრეტებს,
მეტისმეტად თავდაჯერებულნი არიან, მტკიცედ სწამთ, რომ ვეცხვები მათი
რეცეპტები, მათი ოყნები, მათი დაწყევლილი ფსიქოანალიზი, მათი „ნუ სვამ“,
„ნუ სწევ“... ოჰ, ნეტა თუ მოვესწრები იმ დღეს, რომ მოვწყდე აქაურობას, ჩავ-
ჯდე მატარებელში, გავიხედო ფანჯარაში და დავინახო, როგორ რჩება ყვე-
ლაფერი უკან, როგორ იმსხვრევა... არ ვიცი, შეგიძინებია თუ არა, როგორ იმ-
სხვრევა ყველაფერი, რაც შენს თვალწინ გაიელვებს ხოლმე...

„გოლუაზი“ გავაბოლეთ. ჯონის ნება მისცეს ცოტა კონიაკი დალიოს და
ათიოდე სიგარეტი მოსწიოს დღეში. მაგრამ ჩანს, რომ ეწევა, თუ შეიძლება ასე
ითქვას, მისი ფიზიკური გარსი, თვითონ კი სულაც არ არის აქ, — თითქოს ღრმა
ჭაში ზის და ამოსვლას არ აპირებსო. ვეკითხები ჩემს თავს, ნეტა, რა ნაბა, რა
განიცადა ამ დღეებში-მეთქი. არ მინდა ავალელო, მაგრამ თვითონ რომ დადგე-
ბოდეს ლაპარაკის გუნებაზე... ვეწევით, ვდუმვართ, ზოგჯერ ჯონი ხელს გამოს-
წევს და მითათუნებს სახეზე, თითქოს უნდა დარწმუნდეს — მართლა მე ვარ
თუ არა. მერე უკაკუნებს თავის მაჯის საათს, სიყვარულით დასცქერის.

— საქმე ის არის, რომ თავი ბრძენი ჰგონიათ, — ამბობს მოულოდნე-
ლად. — ბრძენი ჰგონიათ თავი, რადგან უამრავი წიგნი გაუზინზლავთ და ჩაუყ-
ლაბავთ. პირდაპირ მეცინება. საერთოდ ცუდი ბიჭები არ არიან, მაგრამ სჯე-
რათ, რომ რასაც სწავლობენ და სჩადიან, ძალიან ძნელი და ჰკვიანურია. ცირკ-
შიც ასეა, ბრუნო, ჩვენს შორისაც. ხალხს ჰგონია, თითქოს ყველა საქმეში
იყოს საოცარი სიძნელე, და ამიტომ გვიკრავს ტაშს ჯამბაზ აკრობატებს თუ მე.
არ ვიცი, რა ეჩვენებათ ამ დროს. კაცს რომ ძარღვები აწყდება, როცა კარგად
უკრავს? ან აკრობატი რომ ხელ-ფეხს იმტვრევს, როცა ხტება? ცხოვრებაში
ნამდვილად ძნელი სულ სხვა რამეებია, ისინი ჩვენს ირგვლივია — ეს ყველა-
ფერი ისაა, რაც ხალხს სულ მარტივი და ჩვეულებრივი ჰგონია. მაგალითად,
უყურო და ხედავდე, ან გაუგო ძაღლს თუ კატას. ძნელია ყოველივე ეს, ძალიან
ძნელია. წუხელ რატომღაც სარკეში ჩავახედე და, გინდა დაიჯერე, გინდა არა,
საშინლად გამიძნელდა, კინალამ საწოლიდან გადმოვგორდი. წარმოიდგინე, რომ
შორიდან დაინახო საკუთარი თავი, — ესეც კმარა, რომ ნახევარი საათით გა-
მოლენხდე. სინამდვილეში ხომ ეს ტიპი სარკეში მე არა ვარ; მაშინვე მივხ-
ვდი — მე არა ვარ. კიდევ ერთხელ შევხედე გაკვირვებით, ასეც ვუყურო და
ისეც — არა, მე არა ვარ. მთელი სულით ვიგრძენი ეს, და გრძნობებს თუ აპყე-
ვი... მაგრამ გამოდის ისე, როგორც პალმ-ბიჩში, სადაც ტალღა ტალღას მოს-
დევს, მერე კიდევ და კიდევ ტალღა მოდის... იგრძნობ თუ არა რაღაცას, უკვე
მეორე აზვირთდება, სიტყვები მოდიან... არა, სიტყვები კი არა, აი ის, რაც
სიტყვებშია, რაღაც წებოიანი აბდაუბდა, ბლანტი დორბლი. დორბლი განრჩობა,
მოგდის, და უკვე გჯერა — ის, სარკეში — შენა ხარ. ცხადია, როგორ ვერ უნდა
მიხვდე. როგორ ვერ უნდა იცნო საკუთარი თავი — ჩემი თმა, ჩემი ნაჭრილო-
ბევი. მაგრამ ადამიანებს ხომ არ ესმით, რომ საკუთარ თავს მხოლოდ დორბ-
ლით ცნობენ. ამიტომაც ვადვილებათ სარკეში ჩახედვა. ანდა პურის ჭრა დანით.
შენ პურს დანითა ჭრი?

— ხდება ხოლმე, — ვეუბნები ირონიული ხუმრობით.

— და ვითომც არაფერი. მე კი არ შემიძლია, ბრუნო. ერთხელ ვაპრობი-
სას, მოვიქნიე და ცხრა მთას იქით ვისროლე ყველაფერი, კინაღამ დაწვეთე ვა-
ლი დავთხარე გვერდზე მაგიდასთან მჯდომ იაპონელს. ეს ღრსა-
მოხდა, ერთი ამბავი ატყდა... ასე აეუხსენი, ისეც, შენც არ მომიკვდე, მაინც
მტაცეს ხელი. მე კი მეგონა, ძალიან ადვილი გასაგებია-მეთქი. მაშინ გავი-
ცანი ექიმი კრისტე. კარგი ბიჭია, მე რომ ექიმებზე ვამბობ...

ხელებს იქნევს, პაერს აპობს — თითქოს იქ უხილავი ხვრელები რჩება.
იღიმება. მე კი მეჩვენება, რომ მარტოა, სრულიად მარტო. მე მხოლოდ ცარიე-
ლი ადგილი ვარ მისთვის. ჯონის რომ თითი ეკრა ჩემთვის, თავისუფლად გაივ-
ლიდა, როგორც კვამლში. აი თურმე ასე ფრთხილად რატომ მითათუნებს ხე-
ლებს სახეზე.

— აი პური, სუფრაზე, — ამბობს ჯონი, და სადღაც შორს იცქირება. —
თავისთავად კარგი რამეა, რა გინდა. მშვენიერი ფერი აქვს, სურნელება. მოკ-
ლედ, მე სხვა ვარ, ეს კი — სულ სხვა, ჩემთან არავითარი დამოკიდებულება
არა აქვს. მაგრამ თუ შევეხე, ხელი გავიწოდე და ავიღე, მაშინ ხომ იცვლება
რაღაც... შენ როგორ გგონია? პური ჩემი ნაწილი არ არის, მაგრამ აი ხელში
ავიღე, აღვიქვი, და უკვე ვგრძნობ, რომ ესეც არსებობს სამყაროში. თუკი
ხელში ვიღებ და ვგრძნობ, მაშასადამე, მართლაც ვერ იტყვი, რომ ეს ნივთი
თავისთავად არსებობს, მე კი ჩემთავად, ხომ ასეა?

— ძვირფასო, ამ პრობლემის გადაჭრაზე ათასწლობით უამრავ წვეროსან
ტკუის კოლოფს უმტვრევია თავი.

— პურს სიცოცხლის საკუთარი არსი აქვს, — ბუტბუტებს ჯონი და სახეს
ხელებით იფარავს. — მე კი ვბედავ და ვიღებ ხელში, ვჭრი, პირში ვიტენი.
და — არაფერიც არ ხდება. აი ესაა ყველაზე დიდი საშინელება. გესმის, რა სა-
შინელებაა, რომ არაფერი არ ხდება? ჭრი პურს, დანას უყრი, გარშემო კი ყვე-
ლაფერი ძველებურადაა. არა, ეს წარმოუდგენელია, ბრუნო.

მე შემაშფოთა ჯონის სახის გამომეტყველებამ, მისმა აგზნებამ. სულ უფ-
რო მიჭირს, ავალაპარაკო ჯაზზე, თავის წარსულზე, თავის გეგმებზე, დავუბრუ-
ნო სინამდვილეს (სინამდვილეს. დავწერე ეს სიტყვა, და თვითონაც გული ამემ-
ღვრა. ჯონი მართალია, ეს არ შეიძლება სინამდვილე იყოს, ამ სინამდვილეში
შეუძლებელია, ვთქვათ, იყო ჯაზის პატიოსანი კრიტიკოსი, თორემ მუდამ მოი-
ბებნება ვინმე, ვინც ყელში გწვდება. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ჯონის ბილი-
კით სიარული შეიძლება. ასე, ადრე თუ გვიან, ყველას ცუდი ბოლო მოგ-
ველის).

□ □

მერე ჩაეძინა თუ თვალი მილულა და თავი მოიმძინარა, არ ვიცი. ზოგჯერ
ვფიქრობ, რა ძნელია იმის გარკვევა, თუ რას შვრება ჯონი ამა თუ იმ მომენ-
ტში. სძინავს, თავს იმძინარებს, თუ ჰგონია, რომ სძინავს. განუზომლად უფრო
მიჭირს ჯონის არსში ჩაწვდომა, ვიდრე სხვა რომელიმე ჩემი მეგობრის გაგება.

თანაც ეს კაცი ყველაზე ვულგარული, ყველაზე ჩვეულებრივი კაცია, ადვილად ემორჩილება არსებობის უბეჩავეს პირობებს და რასაც გინდა, გააკეთებინებ — ასე გგონია. სრულიადაც არ არის ორიგინალური პიროვნება — ასე გგონია. მართალია, ყველა პოეტური და ნიჭიერი ადამიანი ადვილად ემორჩილება ჯონის, თუ დათანხმდა, გახდეს ამისთანა ბედოვლათი, სწეულნი ბუნების ბისყოფო. ასე გგონია. მეც კი, რომელსაც მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მალფრთოვანებენ ყოველგვარი გენიოსები, აინშტაინები, პიკასოები, წმინდანები, რომლებსაც ყოველი კაცი შეთნავს (განდი, ჩაპლინი, სტრავენსკი და სხვები), ლამის დავიჯერო, როგორც ყველა მოკვლავმა, რომ ამისთანა უნიკუმები ზეცაში ისევე დასვირნობენ, როგორც დედამიწაზე, და არ მაკვირვებს არაფერი, რასაც უნდა სჩადიოდნენ. ისინი აბსოლუტურად განსხვავდებიან ჩვენგან, ამაზე ლაპარაკიც არა ღირს. პირიქით, ჯონის თავისებურება იდუმალია და გაღიზიანებს თავისი აუხსნელობით, რადგან მართლაც ძნელი ასახსნელია. ჯონი გენიოსი როდია, მას არაფერი არ აღმოუჩენია, უკრავს ჭაჭში ისევე, როგორც ასობით სხვა ზანგი და თეთრკანიანი, და თუმცა ყველაზე კარგად უკრავს, უნდა ვაღიარო, რომ დიდება როგორღაც დამოკიდებულია ხალხის გემოვნებაზე, მოდაზე, და ბოლოს, ეპოქაზე. მაგალითად, პანასიე ამბობს, ჯონი ღმერთს არ უქნიაო, ჩვენ კი პირიქით გვგონია — ღმერთს სწორედ პანასიე არ უქნია. ასეა თუ ისე, დისკუსიის ასპარეზი ხსნილია. ყოველივე ეს მიჩვენებს, რომ ჯონი ზებუნებრივი როდია, მაგრამ ვიფიქრებ თუ არა ასე, მაშინვე ისევ ვეკითხები თავს, მართლა არ არის ჯონი ზებუნებრივი? (რაც თვითონ, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსდის). ეს რომ შეთქვა, ალბათ, სიცილით მოკვდებოდა. საზოგადოდ კი კარგად ვიცი, რა აზრისაა ასეთ რამეებზე, როგორ აფასებს. „როგორ აფასებს“-მეთქი, ვამბობ, რადგან ჯონი... თუმცა, არ დავიწყებ ახლა დაწვრილებით მსჯელობას ამაზე, მხოლოდ მინდოდა თვითონ გავრკვეულიყავი, რომ მანძილი ჯონისა და ჩვენს შორის აუხსნელია, განპირობებულია განოუცნობი სხვაობებით. და, მგონი, ყველაზე მეტად თავად განიცადის ჩვენს შინაგან გათიშულობას, რაც ისევე სტანჯავს, როგორც ჩვენ. აქ იალაუნებურად გინდა თქვა, რომ ჯონი ანგელოზია ადამიანთა შორის, მაგრამ ელემენტარული პატიოსნება გაიძულეებს, ენას კბილი დააჭირო, კეთილსინდისიერად დააზუსტო განსაზღვრა და აღიარო, რომ, შესაძლოა, სწორედ ჯონი იყოს ადამიანი ანგელოზთა შორის, რეალობა ირეალობათა შორის, ესე იგი ყველა ჩვენს შორის. მაშ, რატომ მისვამს თითებს სახეზე და მაიძულებს ვიფიქრო, რომ უბედური, ლანდი, არარაობა ვარ, ჩემი შესანიშნავი ჯანმრთელობას, ჩემი სახლის, ჩემი ცოლის, ჩემი საზოგადოებრივი პრესტიჟის მიუხედავად? დიახ, მიუხედავად ჩემი საზოგადოებრივი პრესტიჟისა — აი უმთავრესი. უმთავრესი — ჩემი პრესტიჟი საზოგადოებაში.

მაგრამ, ჩვეულებისამებრ, როგორც კი გამოვალ საავადმყოფოდან და ჩავიყურე ყუმელავებ ქუჩის ხმაურში, დროის მორევში, ამქვეყნიურ ამბებში, ღვეზელი ლივლივით შეტრიალდება ხოლმე ჰაერში და მეორე მხრიდან ენარცხება კეცს. საბრალო ჯონი, რა მოწყვეტილია რეალობას. (დიახ, დიახ, სწორედ ასეა. გაცილებით უფრო მეადვილება ასე ვიფიქრო ახლა, კაფეში, როცა ორი საათი გავიდა მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში ვიყავი, ვიფიქრო, რომ ყოველივე, რაც ზემოთ ვთქვი — თითქოს იძულებითი აღსარებაა კაცისა, რომელსაც

ბედმა არგუნა ხანდახან მაინც იყოს ხოლმე პატიოსანი საკუთარი თავის წინაშე).

□ □



ბედად, ხანძრის ამბავი მოგვარდა, როგორც ვვარაუდობდი — მარკინამ ცდა არ დააკლო ამ ამბის მოგვარებას. დედემ და არტ ბუკაიამ რედაქციაში გამომიარეს, და სამივენი წავედით „ვიქსში“, რომ მოგვესმინა უკვე განთქმული — თუმცა ჯერ გაუვრცელებელი — „სტრასტიზის“ ჩანაწერი. ტაქსში დედემ არცთუ დიდი ენთუზიაზმით მიამბო, როგორ გამოიხსნა მარკინამ ჯონი ამ ხათაბალიდან — ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ისეთიო, ლეიბი დაიწვა და შიშისაგან გული გადაუტრიალდათ ლანგრაჟის ქუჩის სასტუმროში მცხოვრებ ალყირელებსო. ჯარიმა (უკვე გადახდილი), სხვა სასტუმრო (უკვე გამოჩნა ტიკამ) — და ჯონი უზარმაზარ საუცხოო საწოლში წევს, ნელ-ნელა ჯანსაღდება, რძეს ვედროებით სვამს, კითხულობს „პარი-მატჩსა“ და „ნიუ-იორკერს“, ხშირად იცქირება თავის ცნობილ (საკმაოდ შეღახულ), ფანქრით აჭრელებულ დაღან თომასის პოემების წიგნში.

კარგი ამბებით გახალისებულებმა, კუთხის კაფეში კონიაკი გადავკარით და მოსასვენ დარბაზში მოვიკალათეთ. უნდა მოგვესმინა „სტრასტიზი“ და „სტრუბტომიციანი“. არტმა მოითხოვა, სინათლე ჩააქრეთო და იატაკზე გაიშოტა — ასე მიყვარს მოსმენაო. და აი, დარბაზში შემოიჭრა ჯონი და სახეში მოგვახალა თავისი მუსიკა, შემოიჭრა, თუმცა კი ამ დროს სასტუმროში წევს. თხუთმეტ წუთს ვვანადგურა თავისი მუსიკით. ახლა მესმის, რატომ არ უნდა, რატომ აცოფებს „სტრასტიზის“ გავრცელება — ზოგ-ზოგები დაიჭერდნენ ყალბ ნოტებს, სუნთქვას, განსაკუთრებით ზოგიერთი ფრაზის ბოლოს და, რა თქმა უნდა, საზარელ ფინალურ გაწყვეტას, სასოწარკვეთილ შეკივლებას: ასე მეგონა გული გასკდა, დანა გაერჭო-მეთქი პურში (ამას წინათ ხომ ლაპარაკობდა პურზე). მაგრამ ჯონი სწორედ იმას ვერ გრძნობს, რაც მშვენიერებად მიგვაჩნია ჩვენ — ვნებათაღელვა გამოსაეალს რომ ეძებს ამ იმპროვიზაციაში, სადაც ხმები ბორგავენ, გივედრებიან, უცებ ფეთქდებიან და ყუჩდებიან. ჯონი ვერასოდეს ვერ გაიგებს (რადგან ის, რაც მას მარცხად მიაჩნია, ჩვენთვის ზეშთაგონება, უკიდურეს შემთხვევაში, ახლის ნაპერწკალია), რომ „სტრასტიზი“ მარად დარჩება ჯაზის ერთ-ერთ დიდებულ კომპოზიციად. ხელოვანს, მის სულში შეხიზნულს, ყოველთვის დაახრჩობდა გააფთრება, ამ სანუკვარი თვითგამონატვის პაროდია, ყოველივე იმის პაროდია, რისა თქმაც სურდა, როცა ამ ჭიდილში შეშლილივით ქანობდა, დორბლად და მუსიკად იღვრებოდა, რაც ძალიან ახლოა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ძალიან ახლოა იმასთან, რასაც სდევს, იმასთან, რაც გაურბის — და მით უფრო სწრაფად გაურბის, რაც უფრო დაყინებით სდევს. დიახ, საინტერესო იყო, ეს უნდა მოგვესმინა (თუმცა, საზოგადოდ, „სტრასტიზში“ მხოლოდ სინთეზირებულია მისი შემოქმედების არსი), რათა ბოლოს და ბოლოს მივმხვდარიყავი, რომ ჯონი მსხვერპლი, დევნილი როდია, როგორც ყველას ჰგონია, როგორადაც მე თვით ავსახე ჩემს წიგნში (სხვათა შორის, ახლაბან გამოვიდა ინგლისური გამოცემა, ისე სალდება, როგორც კოკა-კოლა), მივმხვდარიყავი, რომ ჯონი თვითონაა მღვეარე, და არა

დევნილი, რომ ცხოვრებაში ყველა მისი მარცხი მონადირის მარცხია და არა მიმწყვდეული ნადირის ღრენა. არვინ იცის, რას სდევს ჯონი, მაგრამ მისდევს კი თავდავიწყებით, ეს დევნა იგრძნობა ყველაფერში, „სტრასტიზში“, მარინუანის ბოლში, რალაც-რალაცებზე უცნაურ ლაპარაკში, ავანტიურულ-ჩეციდივებში, დილან თომასის წიგნში; ამ დევნამ მთლად შეიპყრო ეს შექცეული, რომელსაც ჯონის ვუწოდებთ, ამ დევნამ აღაზევა და ამავე დევნამ აქცია ხორც-წესხმულ აბსურდად, უხელფებო მონადირედ, კურდღლად, გამწარებული რომ მისდევს გარინდულ ვეფხვს. გულახდილად რომ ვთქვა, „სტრასტიზის“ ხმაზე გული მერევა ხოლმე, თითქოს ეს მათავისუფლებდეს ჯონისაგან, ყოველივე იმისაგან, რაც ამბობებულა ჩემსა და სხვათა წინააღმდეგ, ამ შავი უფორმო შვავისაგან, ამ შმაგი შიმპანზესაგან, თითებს რომ მისვამს სახეზე და გრძნობამორეული მილიმის.

არტმა და დედემ „სტრასტიზის“ ფორმალური სილამაზის გარდა, ვერაფერი დაინახეს (მგონი, არც უნდოდათ დაენახათ). დედეს, მაგალითად, უფრო მოეწონა „სრეპტომიცინი“, სადაც ჯონი მისთვის ჩვეული სიმსუბუქით ქმნის იმპროვიზაციებს, რაც ხალხს საშემსრულებლო ხელოვნების მწვერვალი ჰგონია, მე კი უფრო მგონია, რომ აქ ვლინდება ჯონის ზიზღი ფორმისადმი, სურვილი — ბორკილი აპყაროს გრძნობებს, გადაიკარგოს იდუმალებით მოცულ სამყაროში...

მერე, ქუჩაში, დედეს ვკითხე, რა გეგმები აქვს-მეთქი ჯონის. მეუბნება, როგორც კი სასტუმროდან გამოვა (პოლიცია ჯერჯერობით არ უშვებს), გამოსცემს ფირფიტების ახალ სერიას, სადაც ჩაწერილი იქნება ყველაფერი, რაც მოესურვება, და ეს დიდ ფულს მოგვიტანსო. არტმა კვერი დაუკრა, ჯონის უამრავი დიდებული იდეა აქვს და თუ მარსელ გავოტი მოვიწვიეთ, ჯონისთან ერთად ახალ რამეს „შევთზავთ“. მაგრამ უკანასკნელმა კვირებმა გვიჩვენეს, რომ თვითონ არტს არცთუ ისე სწამს თავისი ფუქი პროექტებისა, მე კი, ჩემი მხრივ, ვიცი, რომ მოლაპარაკება აქვს ერთ-ერთ ანტრეპრენიორთან ნიუ-იორკში დაბრუნების თაობაზე. მშვენივრად მესმის საწყალი ჭაბუკის ნოსტალგია.

— ტიკა პირდაპირ გადასარევია, — ნაღვლაანად ამბობს დედე. — რა თქმა უნდა, მისთვის ეს სულ იოლი საქმეა. გამოცხადდეს ფარდის დაშვების შემდეგ, გახსნას საფულე — და ყველაფერი რიგზეა. მე კი...

მე და არტმა ერთმანეთს გადავხედეთ. რას იტყვი? დედაკაცები განუწყვეტლივ თავს ეხვევიან ჯონის და ჯონისნაირებს. ან რა გასაკვირია: სრულიადაც არ არის საჭირო იყო დედაკაცი, რომ ჯონის მიმზიდველი ძალა იგრძნო. ყველაზე ძნელია — მის გარშემო იტრიალო, თანაც ისე, რომ არ ასცდეს ხოლმე გარკვეულ ორბიტას, კარგი თანამგზავრივით, კარგი კრიტიკოსივით. არტი არ ყოფილა მაშინ ბალტიმორში, მაგრამ მე მახსოვს დრო, როცა გავიცანი ჯონი — მაშინ ლენტთან და შვილებთან ცხოვრობდა. ლენი საცოდავი სანახავი იყო. თუმცა უფრო ახლო რომ გაიცნობ ჯონის, ცხადლივ მოუსმენ მის ბოდვას, მის აზირებულ მონაჩმახს იმაზე, რაც არასოდეს არ მომხდარა, შეხედავ, როგორ მოულოდნელად უჩვილდება გული, მაშინ ძნელი არ არის მიხვედრა, რატომ აქვს ლენს ასეთი სახე და რატომ ვერ გექნება სხვანაირი გამომეტყველება, როცა ჯონისთან ცხოვრობ. ტიკა სხვაა; მას შველის აზვირთებული ახალ-ახალი შთაბეჭდილებანი, მაღალ საზოგადოებაში ტრიალი, გარდა ამისა, „მან

წოახერხა კუდში ჩაევლო ხელი დოლარისათვის, ეს კი უფრო დიდი რამეა, ვიდრე ხელში გეჭიროს ავტომატი ტყვიამფრქვევი“. — ყოველ შემთხვევაში ასე ამბობს ხოლმე არტ ბუკაია, როცა ტიკაზე ბრაზობს ან თავი სტკივს.

— ხშირ-ხშირად შემოიარეთ, — მთხოვს დედე, — თქვენს წესს წესობა უყვარს.

სიამოვნებით დავტუქსავდი ხანძრის გამო (ხანძრისათვის, უეჭველია, მასაც ეკისრება პასუხისმგებლობა), მაგრამ ვიცი — ეს ამოცანაა, — რამდენიც ვინდა ეჩიჩინე ჯონის, ნორმალურ, სასარგებლო ადამიანად გადაიქცეს, გამოვა რამე? ჯერჯერობით ყველაფერი მოგვარდა. საინტერესოა (მაგრამ სახიფათოცაა), როგორც კი მოგვარდება ხოლმე ჯონის საქმეები, უდიდეს კმაყოფილებას განვიცდი. არც ისე გულუბრყვილო ვარ, რომ ვიფიქრო — მხოლოდ მეგობრული გრძნობები მამოძრავებს-მეთქი. ეს უფრო ახალი უბედურების მოლოდინს თუ შვებით ამოსუნთქვას ჰგავს. საერთოდ კი, რა საჭიროა რაღაც ახსნა-განმარტების ძებნა, თუ ისევე კარგად ვერკვევი სიტუაციაში, როგორც, ვთქვათ, ვხედავ ცხვირს საკუთარ სახეზე. მხოლოდ ის მაეცოფებს, რომ არტ ბუკაიას, ტიკასა თუ დედეს აზრადაც არ მოსდით ერთი უბრალო რამ: როცა ჯონი იტანჯება, საპატიმროებშია ზის, თავის მოკვლას ლამობს, ცეცხლს უკიდებს ლეიბებს ან დედიშობილა დარბის სასტუმროს დერეფნებში, იგი ხომ როგორღაც მათთვისაც ზღავს, მათთვის იღუბება, თანაც არ იცის ეს; იმათ კი არა ჰგავს, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს რომ წარმოთქვამენ ეშაფოტზე, ან წიგნებს რომ წერენ და ამხელენ ადამიანთა ბიწიერებას, ანდა ფორტეპიანოს რომ ისეთი პათოსით უკრავენ, თითქოს ჭვეყნიერებას მთელი მიწიერი ცოდვებისაგან ათავისუფლებდნენ. დიახ, არ იცის ეს, ერთი საბრალო საქსოფონისტია — თუშცა ეს განსაზღვრა შეიძლება სასაცილოდაც მოეჩვენოს კაცს — ერთ-ერთია უამრავ საბრალო საქსოფონისტია შორის.

ყველაფერი სწორია, მაგრამ ასე თუ განვაგრძე, ალბათ, ჩემს თავზე უფრო მეტს ვიტყვი, ვიდრე ჯონიზე. ნელ-ნელა ჩემი თავი რომელიღაც მახარობელი მგონია, ეს კი არავითარ სიამოვნებას არ მგვრის. შინ მიმავალმა ცინიზმით გავიფიქრე — ცინიზმი კი აუცილებელია, რომ საბოლოოდ დარწმუნდე, მართალი ხარ თუ არა — სწორად მოგპყვეულებარ-მეთქი, რომ ჯონიზე დაწერილ წიგნში მხოლოდ გაკვირბით, ძალიან ფრთხილად მოგახსენიე მისი პათოლოგიური უცნაურობანი. რა საჭიროა საზოგადოებას აუწყო: ჯონის სჯერა, რომ ჩამარხულ ურნების მინდვრებში დახეტიალობს, რომ სურათები ცოცხლდებიან, როცა იგი უყურებს — ეს ჰალუცინაციებია მარისუანის გამო, როგორც კი გამომჯობინდება ხოლმე, ისინი მაშინვე ქრებიან. მაგრამ თავი ვერ დამიდწევი იმ შეგრძნებისათვის, რომ ჯონი მთხოვს თავისი მოღალატეული სახეების შენახვას, ჭიბუხებში ცხვირსახოცებით მჩრის მათ, რომ მერე სათანადო დროს ისევ მომთხოვოს, და, მე მგონი მე ერთადერთი ვარ, ვინც მათ ინახავს, აგროვებს და ეშინია: და არავინ, თვით ჯონივაც კი არ იცის ეს. ამას ვერ ეტყვი ჯონის, როგორც ეს შეიძლებოდა გეთქვა ვინმე ჭეშმარიტად დიდი ადამიანისათვის, რომლის წინაშეც თავს იმცირებ ბრძნული რჩევა-დარიგების სანაცვლოდ. რა ეშმაკად მინდოდა, რომ ცხოვრებამ ასეთი ტვირთი ამკიდა? დალახვროს ეშმაკმა, რა მახარობელი მე ვარ? ჯონის სიდიადის ნატამალიც კი არ გააჩნია, პირველ დღესვე შევიცანი, როგორც კი მომხიბლა. ახლა უკვე აღარ მაოცებს მისი პიროვნების

პარადოქსულობა, თუმცა პირველ ხანებში ძალიან ნაცბუნებდა, რომ არ იგრძნობოდა მისი სიდიადე, ალბათ, იმიტომ, რომ ამგვარი საზომით ვერ იმედგები ყოველ ადამიანს, მით უმეტეს ჯაზისტს. არ ვიცი რატომ (არ ვიცი რატომ), მაგრამ ერთ დროს მჯეროდა, ჯონი დიდი ადამიანია-მეთქი, მისი სიდიადეს დღითი დღე ამზობს (ან ჩვენ თვითონ ვამზობთ, ეს კი უნდა იყოს როდია, რადგან — მოდით, გულაბდილი ვიყოთ — ამ პიროვნებაში თითქოს მიმალულა აჩრდილი სხვა ჯონისა, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო, და ის, სხვა ჯონი დიდი ადამიანია; მაგრამ აჩრდილს თითქოს ვერ მიუყვებ ისეთ ადამიანურ საზომს, რომელიც უცებ მაინც თავს იჩენს ხოლმე).

ამას მინდა დავძინო, რომ ჯონის ცდები — დასბლტომოდა ცხოვრების კლანჭებს — წარუმატებელი თვითმკვლელობა იქნებოდა ეს, თუ მარბუანის წვეა, — სწორედ ისეთია, როგორსაც უნდა მოელოდე კაცისაგან, რომელსაც სიდიადის ნატამალიც კი არ გააჩნია. მაგრამ, მგონი, ეს უფრო იწვევს ჩემს ალტაცებას, რადგან არსებითად იგი მხოლოდ შინაპანზეა, კითხვის სწავლას რომ ლამობს; საბრალო შინაპანზე, თავს რომ ახეტქებს კედელს, არაფერი გამოსდის და მაინც ახლის კედელს თავს.

კეთილი, მაგრამ თუ ერთ მშვენიერ დღეს ამ შინაპანზემ კითხვა ისწავლა, ეს კატასტროფა, მსოფლიო წარღვნა იქნება და ნაშინ — თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათ — მე პირველი გავიქცევი. საშინელებაა, როცა ადამიანი, რომელიც სულაც არ არის გენიოსი, ასე ჯიუტად ახლის შუბლს კედელს. ყველას გვაქვავებს მისი ძვლების ჭახატუხი, მტვრად გვაქცევს მისი პირველი საყვირის ხმა (წმიდა წამებულნი ან გმირები — კი, ბატონო, იცი რაცაა. მაგრამ ჯონი!).



ცდუნება. არ ვიცი, უკეთ როგორ გამოვთქვა, მაგრამ ზოგჯერ იძულებული ხდები აღიარო, რომ ადამიანის ცხოვრებაში იჭრება შემზარავი ან სულელური ცდუნება, ამასთან ვერ გამიგია, რა ზებუნებრივი კანონი მოქმედებს ამ დროს, როცა, მაგალითად, გაისმის მოულოდნელი ტელეფონის ზარი, და უეცრად თავს დაგადგება შორეული თვერნიდან ჩამოსული დაიკო, ან უცებ ქვაბიდან რძე გადმოდის და ქურაზე იღვრება, ანდა რატომღაც გადისარ აივანზე, რომ შეხედო ავტომობილას ბორბლებქვეშ ჩავარდნილ ბიქს. და გგონია, ბედი, როგორც ფეხბურთის გუნდებსა და ხელმძღვანელ ორგანოებშია ხოლმე, ყოველთვის თვითონ პოულობს მოადგილეს, თუ შტატის მუშაკი არ არის. ასე მოხდა ამ დღითაც, როცა ჯერ კიდევ განცხრომით ვფიქრობდი, ჯონი კარტერი ძალე გამოკეთდება და დაშოშმინდება-მეთქი; უცებ შირეკავენ რედაქციაში: სასწრაფოდ მირეკავს ტიკა და ახალ ამბავს მატყობინებს: ჩიკაგოში ეს-ესაა გარდაიცვალა ბი, ლენისა და ჯონის უმცროსი ქალიშვილი, ჯონი, რა თქმა უნდა, ჭკუიდან იშლება, და კარგი იქნება მეგობრებს თუ მიხედავო.


ისევ ავდივარ სასტუმროს კიბეზე — რამდენი კიბე ამივლია და ჩამივლია მას შემდეგ, რაც ჯონის დავუშეგობრდი — ვხედავ: ტიკა ჩაის შეეჭყვავა; დედე პარსახოცს ასველებს ტაშტში; არტი, დელონეი და ბეპე რამირესი ჩურჩულით უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს ლესტერ იანგის თაობაზე, ჯონი კი წყნარად წევს ლოჯინში, შუბლზე ცივი ტილო ადევს და

სახეზე აბსოლუტურად მშვიდი, ოდნავ დამცინავი გამომეტყველება აქვს. მაშინვე შევიცვალე მწუხარე გამომეტყველება და ჩვეულებრივად მაგრად ჩამოვართვი ხელი ჯონის, სიგარეტს მოვუკიდე და დაველოდე.

— ბრუნო, აი აქ მტკიცია, — ცოტა ხნის შემდეგ მეუბნება ჯონი მტკიცით ეხება მკერდზე იმ ადგილს, სადაც გული უნდა იყოს. — ბრუნო, მტკიცით კენჭივით მედო ხელის გულზე. მე კი მხოლოდ საწყალი შავი ჯაგლაგი ცხენი ვარ და ვერაფერს ვერ შემისრობს ცრემლს.

დიდის ამბით, თითქმის რეჩიტატივით წარმოთქვამდა სიტყვებს, ტიკამ არტს გადახედა, მათ ჩაიცინეს და თავი დაუქნიეს ერთმანეთს, კიდევ კარგი, ჯონის თვალებზე სველი პირსახოცი ედო და ვერ დაინახავდა. ყოველთვის ზიზღს მგვრის სიტყვების იაფფასიანი რახარუხი, მაგრამ ჯონის ნათქვამი, თუ არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ასეთი რამ სადღაც წამიკითხავს, რაღაც სიტყვებზე ნიღაბსა ჰგავს, ისე მაღალფარდოვნად და ბანალურად ეღერს ეს სიტყვები. დედე მეორე სველი პირსახოცით მიუახლოვდა და ცივი კომპრესი გამოუცვალა. თვალი მოვკარი ჯონის გაფითრებულ სახეს, დაღმევილ პირს, თვალები კი ისე მაგრად ჰქონდა დახუჭული, რომ ქუთუთოებთან ნაოჭები გასჩენოდა. და როგორც ყოველთვის მოსდის ხოლმე ჯონის, მოხდა ის, რასაც არაფერს არ ელოდა — პეპე რამირესი, რომელიც არც ისე კარგად იცნობდა მას, ჯერაც ვერ მოსულა გოხს იმ მოულოდნელი თუ, მე ვიტყოდი, სკანდალური ინციდენტის გამო: ჯონი უცებ წამოგდა საწოლში და ჩელა, სიტყვებითა შერჩევით ლაზათიანად დაგვიწყო გინება, თითქოს სილას გვაწინადა. ლანიდავდა იმათ, ვინც გაბედა „სტრასტიზის“ ფირზე ჩაწერა. სახეში არაფერს არ გვიყურებდა, ისე იგინებოდა და უწმაწურა სიტყვებით თითო-თითოდ მწეროვით გვაკრავდა მუყოზე. ერთხანს უკანასკნელი სიტყვებით გვლანძღა ყველა, ვისაც წილი ედო „სტრასტიზის“ ჩაწერაში — არტა და დელონეი, ბერე მე (თუმცა მე...) და დედე, ამასთან ახსენა ყოვლადშემძლე უფალი ღმერთი და... დედა, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით, უკლებლივ ყველა ადამიანი უშვია.

არსებითად კი, ეს ტირილი და ის, თეთრი კენჭის შესახებ, სხვა არაფერია, თუ არა ჩიკაგოში ფილტვების ანთებით გარდაცვლილი მისი ბის სულის მოსახსენებელი ლოცვა.



გავიდა ორი უთავბოლო კვირა: აუარებელი არაფრის მაქნისი სამუშაო, საგახეთო სტატიები, აქეთ-იქით სირბილი, მოკლედ, კარგი ცხოვრებისეული რეზიუმე კრიტიკოსისა — ადამიანისა, რომელსაც შეუძლია იცხოვროს მხოლოდ იმით, რასაც მართმევენ: ახალი ამბებითა და სხვისი საქმეებით.

ამაზე ვმსჯელობთ ერთ საღამოს ტიკა, გოგონა ლენოქსი და მე კაფე „ფლორში“, არხენად ვლიდინებთ „შორს, შორს, აქ არა“ და ვარჩევთ ბილი ტეილორის სოლოს ფორტეპიანოზე, რომელიც სამივეს მოგვწონს, განსაკუთრებით გოგონა ლენოქსს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მას სენ-ჟერმენ-დე-პრეს სტილზე აცვია და არაჩვეულებრივად მომხიბვლელია. გოგონა — იგი ხომ მხოლოდ ოცი წლისაა — აღტაცებით შესცქერას შემოსულ ჯონის, ჯონი კი უყურებს მას, ვერაფერს ხედავს, გზას განაგრძობს, სანამ არ ეჯახება

სკამს მეზობელ ცარიელ მაგიდასთან, ჯდება, აბსოლუტურად მოვრალია თუ ნახევრად სძინავს, ვერ გაიგებ, ტიკამ ხელი დამადო მუხლზე.

— შეხედე, ისევ მოუწევია წუხელ. ან დღეს დილით. ეს ქალი.

უხალისოდ ვუპასუხე, დედეს იმაზე მეტი ბრალი როდეს მიუძღვის, მეტქა, ვიდრე სხვას, დაწყებული თვით ტიკათი, რომელსაც ბევრჯერ მოუწევია ჯონისთან ერთად და მზად არის, მისი ნება რომ იყოს, კვლავ მოსწიოს, თუნდაც ზვალ. ძალიან მომინდა გავცლოდი აქაურობას და მარტო დავრჩენილიყავი, როგორც ყოველთვის, როცა ვერასგზით ვერ მიუდგები ჯონის. დავინახე, როგორ ხატავდა თითით რალაცას მაგიდაზე, მერე დიდხანს აკვირდებოდა ოფიციატს, რომელიც შეეკითხა, რას დაღვევთ. ბოლოს ჯონიმ ჰაერში რალაც ისრის მაგვარი მოხაზა და თითქოს ეს ისარი ისე მიმიყვოფილიყოს, რომ ძლივს იკავებდა ორივე ხელით. სხვა მაგიდებთან მსხდომნი მაშინვე გამოცოცხლდნენ და უშურველად ენამახვილობდნენ, როგორც ეს კაფე „ფლორშია“ მიღებული. ტიკამ თქვა „ნაძირალო“, — მივიდა ჯონის მაგიდასთან, ოფიციატი გაისტუმრა და რალაც წასჩურჩულა ჯონის ყურში. რა თქნა უნდა, გოგონამ მაშინვე გამიზიარა თავისი სანუკვარი ოცნება, მაგრამ დელიკატურად ვუთხარი, ამ საღამოს ჯონის თავი დაანებე, კარგმა გოგონებმა აღრე უნდა დაიძინონ, თუ შესაძლებელია — ჯაზის კრიტიკოსთან ერთად-მეტქი. გოგონამ აღერსიანად გამიცინა, ნაზად გადამისვა თმაზე ხელი, და ჩვენ მშვიდად შევაფლეთ თვალი ქალს, სქლად რომ წაესვა სახეზე ფერ-უმა-რილი, ხოლო თვალები და პირიც კი მწვანედ შეეღება. გოგონამ მითხრა, ეს მოხატულობა, საერთოდ, მომწონსო, ნე კი ვთხოვე, ჩუმიად ემღერა ერთი ბლუ-ზი, რომელმაც სახელი მოუხვეჭა ლონდონსა და სტოკჰოლმში. მერე ისევ დავუბრუნდით სიმღერას „შორს, შორს, აქ არა“, რომელიც ამ საღამოს აგვეკვია-ტა ფერ-უმარილით მოთხუბნილი, თვალებს ირგვლივ მწვანე წრებშემოვლე-ბული ძაღლივით.

ამ დროს შემოვიდა ჯონის ახალი კვინტეტის წევრა ორი ყმაწვილი. ვისარ-გებლედ შემთხვევით და ვკითხე, როგორ ჩაიარა ამ საღამოს გამოსვლამ-მეტქი. მითხრეს, ჯონი ძლივს უკრავდა, მაგრამ რაც კი დაუკრა, ჯონ ლუისის ყველა იმპროვიზაციას მაინც სჯობდაო, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ლუისი მოურიდებლად გვთავაზობს მზამზარეულ ვირტუოზულ პასაჟებს, რადგან, განმიმარტა ერთ-ერთმა მათგანმა, „ყოველთვის ხელთ აქვს ნოტები, რომ სივრცე ამოავსოს“, — ეს კი უკვე იმპროვიზაცია არ არისო. ჩემს თავს ვეკითხები, როდემდე მოითმენს ჯონი და რაც, ნთავარია, მსმენელი, რომელსაც სწამს ჯონის. ახალგაზრდებმა ლუდი არ მოინდომეს, მე და გოგონა მარტო დავრჩით, და ვერაფრით ვერ დავადწიე თავი მის კითხვებს, ამიტომ ძალაუნე-ბურად ჩავჩიჩინებდი: შენ, გოგონა, მართლაც იმსახურებ ამ ზედმეტ სახელს-მეტქი, ჯონი ავადმყოფი და დაღუპული კაცია, კვინტეტის წევრებს ძალე მო-ყირჭლებათ ასეთი ცხოვრება, ყოველ წუთს მოსალოდნელია ყველაფერი თავ-დაყირა დატრიალდეს-მეტქი, როგორც ეს უკვე არაერთხელ მომხდარა სან-ფრანცისკოში, ბალტიმორსა და ნიუ-იორკში.

შემოვიდნენ სხვა მუსიკოსები, რომლებიც ამ უბანში უკრავენ. ზოგიერთი ჯონის მაგიდასთან მივიდა, მიესალმა, მაგრამ იგი აბსოლუტურად იდიოტური გამომეტყველებით — სველი, საცოდავი თვალებით — თითქოს სადღაც შორიდან

შესცქეროდა მათ, გადმობრუნებულ ტუჩზე ღორბლი ჩამოსდიოდა. საინტერესო იყო ამ ღროს ტიკასა და გოგონას საქციელი; ტიკა სარგებლობს თავის ზეგავლენით მამაკაცებზე და ღიმილით, ზედმეტი სიტყვების წარმოუთქმელად, აიძულებს მოეშვან ჯონის; გოგონა ალტაცებით მეტიტინება ჯონზე, მუხურჩულეა, რა კარგი იქნებოდა, სამკურნალოდ სანატორიუმში რომ წავიყვანო — მოკლედ, მხოლოდ იმიტომ ამბობს ამას, რომ ეჭვიანობს და უნდა დღესვე გაატაროს ღამე ჯონისთან, მაგრამ, ჩანს, ჩემდა სასიხარულოდ, ამჯერად ეს სავსებით შეუძლებელია. როგორც ხშირად ხდება ხოლმე ჩვენი შეხვედრების ღროს, დავიწყე ფიქრი: ალბათ, რა სასიამოვნოა გოგონას თეძოების ალერსი, და ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეთქვა, წავიდეთ, ცოტა დავლიოთ უფრო მკუდრო ადგილას — მეთქი (არ მოინდომებს, და სიმაართლე რომ ვთქვა, არც მე მინდა, რადგან ამ მეზობელ მაგიდაზე ფიქრი მთელ სიამოვნებას ჩამიმწარებდა). და უცებ, არავინ რომ არ მოელოდა იმ ღროს, ვხედავთ — ჯონი ნელა ადგა, გამოიხედა, გვიცნო და ჩვენკენ წამოვიდა, უფრო სწორად, ჩემკენ, რადგან გოგონა სათვალავში არაა ჩასაგდები. მაგიდას რომ მოუახლოვდა, გაუპრანჭავად, ოდნავ დაიხარა, თითქოს თეფშიდან შემწვარი კარტოფილის ალება უნდაო, და ნელ-ნელა ჩაიჩოქა ჩემ წინ. და აი იგი უკვე — ღმერთმანი, ყოველგვარი მანჭვა-გრეხის გარეშე — დაჩოქილია, თვალეში მიცქერის, ვხედავ ტირის, და უსიტყვოდ მესმის, რომ ჯონი დასტირის პატარა ბის.

ბუნებრივია, რომ ჩემი პირველი სურვილი იყო წამომეყენებინა ჯონი, არ გამეხადა ხალხის სასაცილო, მაგრამ ბოლოს სასაცილო ვხდები მე, ვინაიდან არავინ არ გამოიყურება ისე საცოდავად, ვიდრე ის, ვინც ამაოდ ცდილობს ადგილიდან დაძრას მეორე კაცი, რომელსაც, ჩანს, სრულიადაც არ ეუხერხულება და ძალიან კარგად გრძნობს თავს იმ მდგომარეობაში, საკუთარი ნებით რომ ჩაიგდო თავი.

ამრიგად, „ფლორის“ მუდმივმა სტუმრებმა, ტყუილ-უბრალოდ თავს რომ არ შეიწუხებენ, საეჭვოდ დამიწყეს ცქერა. უმეტესობამ ჯერ არც კი იცოდა, რომ ეს მუხლმოყრილი ზანგი ჯონი კარტერია, მაგრამ ყველა ისე შემომცქეროდა, როგორც ბრბო შეხედავდა საკურთხეველზე ამძვრალ ბიწიერს, რომელიც იესოს ხსნის ჯვრიდან. პირველმა თვით ჯონიმ გამაწითლა — უსიტყვოდ მტირალმა მხოლოდ თვალეში ასწია და მომაჩერდა. მისმა მზერამ და საზოგადოების აშკარა გაკიცხვამ მაიძულა ისევ დავმჯდარიყავი ჯონის წინ, თუმცა ჯონიზე ათასჯერ უარესად ვგრძნობდი თავს, ჯოჯოხეთში ყოფნა მერჩია სავარძელში მუხლმოყრილი ჯონის წინ ჯდომას.

დასასრული არცთუ ისეთი საშინელი აღმოჩნდა, თუმცა არ ვიცი, რა ხანი გავიდა, სანამ ყველა გაშტერებული იჯდა, სანამ ცრემლები ჩამოსდიოდა სახეზე, სანამ თვალი არ მომწყვიტა, მე კი ამ ღროს ამაოდ ვთავაზობდი სიგარეტს, მერე თვითონ მოვუკიდე და გასამხნეველად თავი დავუქნიე გოგონას, ის კი, მგონი, მზად იყო მიწა გასკდომოდა ფეხქვეშ ან ებღავლა ჯონისთან ერთად. როგორც ყოველთვის, სწორედ ტიკამ მონახა გამოსავალი: იგი ძალიან მშვიდად მოგვიჯდა, სკამი მიუჩოჩა ჯონის, მხარზე ხელი ისე დაადო, ვერ შეამჩნევდით, რომ აიძულებდა დამჯდარიყო, და აი, ჯონი წელში გაიმართა, როგორც იქნა, ბოლო მოუღო ამ კოშმარს, მიიღო ჩემ წინ მჯდომი ნაცნობის ნორმალური პოზა, რისთვისაც მხოლოდ ოდნავ ასწია მუხლები, წამოი-

წია იატაკიდან (კინალამ ვთქვი — ჯვრიდან-მეტქი, რაც სახელდობრ, აღელვებდა ყველას) და, ჩემდა საბედნიეროდ, სკამზე დაჯდა. საზოგადოებას მობეზრდა ჯონი, ჯონის მობეზრდა ტირილი, ჩვენ კი — უხერხულ მდგომარეობაში ყოფნა. ნოულოდნელად ჩავწვდი ზოგიერთი მხატვრის საიდუმლოს, ეჭვიანობის, ან რაფვიან გამოსახონ მჯდომარე ნატურა; „ფლორის“¹ დარბაზში ჩვენი უცხო სკამი უეცრად თვალწარმტაც საგნად, ყვავილად. ზეფირად, ქალაქში წესრიგისა და ზრდილობის წესების დაცვის სრულყოფილ იარაღად წარმოგვსახა...

ჯონიმ ცხვირსახოცი ამოიღო, თითქოს აქ არაფერიყო, პატიება მოითხოვა, ტიკამ კი ორმაგი ყავა შეუქვეთა და დააღვინა. გოგონამ დიდებული ნომერი გამოაცხაო: ჯონი რომ გამოფხიზლდა, თვალის დახამხამებაში გამოვთავთვა თავის მტკნარ გონებაჩლუნგობას და დაბალი ხმით ააღიღინა „მემიზ-ბლუზი“, თანაც ვერ შეამჩნევდი, რომ ამას განზრახ შვრებოდა. ჯონიმ შეხედა და ღიმილმა გაუპო ბაგე. მგონი, მე და ტიკამ ერთდროულად გავიფიქრეთ, რომ ბის სახე ნელ-ნელა ქრება ჯონის თვალების სიღრმეში, და ცოტა ხნით კვლავ გვიბრუნდება, რომ ჩვენთან დარჩეს მომდევნო გაუჩინარებამდე. როგორც ყოველთვის, გაივლის თუ არა უსიამოვნო მომენტი, როცა თავს გაღაბული ძალივით გრძნობ, ჯონის მიმართ უპირატესობის შეგრძნება მაიძულებს გამოვიჩინო შემწყნარებლობა, გავაბა მსუბუქი საუბარი აქეთურ-იქითურზე და არ შევეხო პირად გრძნობებს (ღმერთმა დაიფაროს, რომ ჯონი ისევ ჩამოცოცდეს სკამიდან და მიეკრას...). ტიკა და გოგონაც ანგელოზებივით იქცვიან, „ფლორის“ საზოგადოება კი ყოველ საათში იცვლება, და ახალმოსულნი, რომლებიც კაფეში შუალამის შემდეგ სხედან, ვერც კი წარმოიდგენენ, რა მოხდა მათ მოსვლამდე, თუმცა, საერთოდ, მშვიდად თუ აწონ-დაწონე, განსაკუთრებული არაფერიც არ მომხდარა. გოგონა პირველი გვტოვებს (შრომისმოყვარე გოგონაა — ღილის ცხრაზე რეპეტიცია აქვს ფრედ კალენდერთან ჩაწერისთვის); ტიკამ მესამე ჭიქა კონიაკი დალია და შემოგვთავაზა, შინ წავიყვანთო. მაგრამ ჯონიმ უარი უთხრა, ბრუნოსთან მიინდა საუბარიო. ტიკამ ეს სავსებით ბუნებრივად მიიჩნია და წავიდა, მაგრამ არ დავიწყებია უხვად გაესწორებინა ანგარიში, ისე, როგორც მარკიზას შეშვენიას. მე და ჯონიმ კი თითო ჭიქა მარტრეზი გადავკარიით და მარკიზი ვადღეგრძელეთ — მეგობართა შორის ეს ხომ დასაშვებია, და ფეხით წავედით სენ-ჟერმენ-დე-პრეზე, რადგან ჯონიმ მითხრა, სუფთა პაერი უნდა ჩავისუნთქო, მე კი განა ისეთი ვარ, რომ ასეთ ღროს მეგობარი მივატოვო.

ლაბეს ქუჩით ფიუსტენბერგის მოედნისკენ დავეშვიით და ჯონის გაახსენდა თოჯინების თეატრა, რომელიც თითქოს ნათლიას ეჩუქებინოს, როცა რვა წელი შესრულდება. მიინდა ჩქარა შევახვევინო ჟაკობის ქუჩაზე, ვაითუ ამასთან ერთად ბიც გაახსენდეს-მეტქი, მაგრამ არა, ვგონებ, ჯონიმ თავისი ცხოვრების ეს კარი უკანასკნელი ექსცესით დაბურა. მშვიდად მიაბიჯებს, არ ქანაობს (ზოგჯერ მინახავს, როგორ ეხეთქებოდა ხოლმე აქეთ-იქით, იმიტომ კი არა, რომ ზედმეტი ჰქონდა დაღუული, არა, რაღაც ვერ იყო ჭკუაზე და იმიტომ), და ჩვენ კარგად ვგრძნობთ თავს თბილ ღამეში, წყნარ ქუჩებში. „გოლუაზს“ ვწევთ, ფეხებს თავისთავად მივყავართ სენისკენ, კე-დე-კონტიზე ბუკინისტების

¹ Flor (ესპ.) — ყვაილი.

ერთ თუნუქის დასლთან კი შემთხვევითმა ასოციაციამ თუ ვიღაც სტუდენტის სტვენამ ორივეს მოგვაგონა ვივალდის თემა, და ჩვენ ვლილინებთ მის დიდი გრძნობით, მერე კი ჯონიმ თქვა, ახლა რომ აქ საქსა მჭონდეს, მთელ ღამეს მე-უსვენებლივ ვივალდის დავუკრავდიო, რამაც დამაეჭვა, და მაშინვე გუთხარი კიდევ.

— ჰო, კიდევ ცოტა ბახსა და შარლ ივს დავუკრავდი, — მეუბნება ჯონი. — ვერ გამიგია, რატომ არ აინტერესებთ ფრანგებს შარლ ივი? მოგისმენია მისი სიმღერები? აი ის, ლეოპარდზე... შენ უნდა იცოდე სიმღერა ლეოპარდზე. ლეოპარდი...

და თავისი ყრუ ტენორით დაიწყო სიმღერა ლეოპარდზე — რა თქმა უნდა, ბევრ მუსიკალურ ფრანზას საერთო არა ჰქონდა რა ივთან, მაგრამ ჯონის ეს სულაც არ ენადვლებოდა, დარწმუნებული იყო, რომ ნამდვილად კარგ რამეს მღეროდა.

ბოლოს ჟიტ-ლიო-კიორის ქუჩისკენ ზურგით, პარაპეტზე დავსხედით, ფეხები მდინარეზე გადავკიდეთ და თითო სიგარეტი კიდევ გავაბოლეთ, რადგან ღამე მართლაც დიდებული იყო. სიგარეტების შემდეგ კი მოგვინდა ლუდის დალევა კაფეში. ამის გაფიქრებამაც კი სიამოვნება მოგვგვარა. პირველად რომ ჩემი წიგნი ახსენა, თითქმის ყური არ მითხოვებია მისი სიტყვებისათვის, იმიტომ, რომ მაშინვე ისევ შარლ ივზე და იმაზე დაიწყო ლაქლაქი, თუ როგორ ართობს თავის იმპროვიზაციებში ივის თემების სხვადასხვა ვარიაციის შეტანა, რასაც ვერაფერ ვერ ხვდება (ვფიქრობ, ვერც თვით ივი), მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამახსენდა მისი რეპლიკა წიგნის თაობაზე და შევეცადე საუბარი ჩემთვის საინტერესო თემაზე გადამეტანა.

— ჰო, წავიკითხე რამდენიმე გვერდი, — მითხრა ჯონიმ. — ტიკასთან ბევრი იღავეს შენი წიგნის გამო, მაგრამ მე ვერაფერი გავიგე, ვერც სახელწოდება. გუშინ არტმა ინგლისური გამოცემა მომიტანა, და მაშინ ზოგი რამ წავიკითხე. კარგი წიგნია, საინტერესო.

სახეზე ისეთი გამომეტყველება მივიღე, როგორიც ამ სიტუაციას შეეფერებოდა. ოდნავი ცნობისმოყვარეობით განზავებული, ღირსეული თავმდაბლობის განსახიერება ვარ, თითქოს მის აზრს შეუძლია ამიხსნას (მე, ავტორს!) საკუთარი ნაწარმოების ნამდვილი არსი.

— თითქოს სარკეში იხედებოდე, — მეუბნება ჯონი. — წინათ მეგონა, როცა ვინმეზე კითხულობ, თითქოს თვით იმას შესცქერი, და არა ის, რომ სარკეში იხედები. დიდი ადამიანები არიან მწერლები, საოცარ რამეებს ქმნიან. აი, მაგალითად, მთელი ეს ნაწილი „bebop“-ზე...¹

— განსაკუთრებული არაფერია, მე მხოლოდ სიტყვასიტყვით ჩავიწერე შენი ნააზრობი ბალტიმორში, — ვუთხარი მე და, კაცმა არ იცის, რატომ ვიმართლებდი თავს.

— კეთილი, ასე იყოს, მაგრამ ეს იგივეა, რომ სარკეში იხედებოდე, — თავისას არ იშლის ჯონი.

— შეტი რაღა გინდა? სარკე კარგი რამეა.

¹ „ბიბოპი“, ანუ „ბოპ“ (ინგლ.) — „ჯაზ ჰოტისათვის“ დამახასიათებელი დაჯერის სტილი.

— ზოგიერთი რამ აკლია, ბრუნო, — მიბასუხა ჯონიმ. — ამაში ჩემზე უკეთ ერკვევი, ცხადია. მაგრამ, მე მგონი, ზოგი რამ აკლია.

— მარტო ის, რაც შენ არ გითქვამს, — ვუბასუხე ოდნავ გულბრუნით. ეს ველური, ეს მაიმუნი ბედავს კიდევ... მაშინვე მომინდა ფეხლებზე წახვარეთი ასეთი უბასუხისმგებლო განცხადებაც კი არარად აქცევს კრიტიკულ პატიოსან შრომას, რომელიც...

— მაგალითად, ლენის წითელი კაბა, — თქვა ჯონიმ (აი ასეთი დეტალები კი უნდა დავიხსოვო და მომდევნო გამოცემებში შევიტანო, გამომადგება). — თითქოს ძინძგლის სუნი ასდისო, რაღაცის სუნითაა გაყვნილი ეს ფირფიტა. (პო, ყურადღებით უნდა ვუსმინო და სწრაფად ვიმოქმედო: ეს მცირე შენიშვნებიც კი ფართოდ ცნობილი რომ გახდეს, უსიამოვნება არ ამცდება). — შუაში კი ურნაა, ყველაზე დიდი, თითქოს ცისფერი მტვრით სავსე, როგორ ჰგავს ჩემი დის საბუღრეს (ჯერჯერობით მხოლოდ ნახევრად ბოდვას; უარესი იქნები, თუ დაიწყებს ჩემი ძირითადი იდეების, ჩემი ესთეტიკური სისტემის კონკრეტულ უარყოფას, რომელსაც ასე აღფრთოვანებით...). — გარდა ამის jazz cool¹-ზე სულ არ დავიწერია მართალი, — მეუბნება ჯონი. ოპო, ყურები ვცქვიტე. ყურადღება.

— როგორ თუ მართალი არ დამიწერია? რასაკვირველია, ჯონი, ყველაფერი იცვლება. მაგრამ ჯერ კიდევ ექვსი თვის წინ...

— ექვსი თვის წინ, — თქვა ჯონიმ, პარაპეტრიდან ჩამოვიდა, იდაყვებით დაეყრდნო მას და თავი ხელებში ჩარგო. — „Six months ago“². ეპ, ბრუნო, როგორ დაგუკრავდი ახლა, ბიჭები რომ აქ იყვნენ. სხვათა შორის, რა კარგად დაგიწერია: საქსი, სექსი. ნობერხებულად შემოგიბრუნებია სიტყვები. Six months ago: six, sax, sex. ღმერთმანი, ლამაზად გამოვიდა, ბრუნო, ეშმაკმა დალახვროს შენი თავი, ბრუნო.

რა აზრი აქვს ავუსხსნა, რომ მისი გონებრივი განვითარება ვერ ჩასწვდება სიტყვების ამ უბრალო თამაშის ღრმა აზრს, რომლებიც გადმოგვცემენ საკმაოდ ორიგინალური იდეების მთელ სისტემას (ლეონარდ ფიზერმა სავსებით დამიჭირა მხარი, როცა ნიუ-იორკში გავუზიარე ჩემი დასკვნები), და რომ ჯაზის პარაეროტიზმი გარდაიქმნა „washboard“-ის³ ღრმიდან და სხვა. როგორც ყოველთვის, ისევ გამამხიარულა აზრმა, რომ კრიტიკოსები გაცილებით უფრო სჭირდება საზოგადოებას, ვიდრე მე მგონია (როცა მარტოდმარტო ვარ, მხოლოდ დღიურის ჩანაწერებში), იმიტომ, რომ შემოქმედებითი წვისათვის განწირული შემოქმედნი — ნამდვილი კომპოზიტორებით დაწყებული და ჯონით დამთავრებული — დიალექტიკურად ვერ უდგებიან თავიანთი შემოქმედების ეტაპებისა და შედეგების განსაზღვრას, პოსტულატად ვერ მიიჩნევენ საფუძვლებს და ვერ აფასებენ თავიანთი ნაწარმოებისა თუ იმპროვიზაციის მნიშვნელობას. ყოველთვის უნდა მოაგონო ეს საკუთარ თავს მკმუნვარების უამს, როცა გულს გეყრება იმის გაფიქრებაზე, რომ მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკონი ხარ და მეტი არაფერი.

— ვარსკვლავს აჰენჰო ჰქვია, — ამბობს ჯონი, და ახლა მესმის მისი სხვა

¹ „ცივი ჯაზი“ (ინგლ.) — ერთ-ერთი მიმდინარეობა ჯაზურ მუსიკაში.

² ექვსი თვის წინათ (ინგლ.).

³ სარეცხი დაფა (ინგლ.) — იყენებდნენ ჯაზის მუსიკალურ ინსტრუმენტად.

ხმა, მისი ხმა, როცა იგი... როგორ აგინხნათ, როგორ აღვწერო ჯონი, როცა იგი შენს გვერდითაა, მაგრამ უკვე აღარ არის აქ, უკვე შორსაა? შეშფოთებით ჩამოვედი პარაპეტიდან, ყურადღებით ჩავაცქერდი. ვარსკვლავს ჰქვია აპენპო, რას იზამ. — ვარსკვლავს ჰქვია აპენპო, — ამბობს ჯონი და ხელისგულს ატყურობს თან მიაქვს, — და მისი ნამსხვრევები მოიბნევა დიდი ქალაქის მღვიმეებში ექვსი თვის წინ.

თუმცა ვერავინ ვერ მხელავდა, თუმცა ვერავინ ვერ შეიტყობდა ამას, მაინც სინანულით ვიჩეჩავდი მხრებს მხოლოდ და მხოლოდ ვარსკვლავებისათვის. („ვარსკვლავს ჰქვია აპენპო!“) ვუბრუნდებოთ ძველს: „ამას უკვე ვუპირავ ხვალ“. ვარსკვლავს ჰქვია აპენპო, და მისი ნამსხვრევები მოიბნევა ექვსი თვის წინ. დიდი ქალაქის მოედნებზე. იგი წავიდა, შორს წავიდა. მე კი ბოლშა მახრჩობს მხოლოდ იმიტომ (რა ღვთის წყრომაა!), რომ არ ისურვა რაიმე ეთქვა ჩემს წიგნზე, რომელსაც ათასობით ჯაზის მოყვარული კითხულობს ორ ენაზე (მაღლე სამ ენაზეც იქნება — ამბობენ, ესპანურზეც უნდა გამოვიდესო: ეტყობა, ბუენოს-აირესში მარტო ტანგოს არ უნდა ცეკვავენ).

— კაბა დიდებულია, — ამბობს ჯონი. — არ დააჯერებ, რარივ უხდებოდა ლენს, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა თითო ტიქა ვისკი გადაგვეყრა და მერე გველაპარაკა, თუ ფული გაქვს. დედემ მხოლოდ ტილიანი სამასი ფრანკი დამიტოვა.

მან სარკასტულად გაიციინა და სენას დააცქერდა. ვითომ უფულოდაც ვერ იშოვიდა სპირტსა და მარიხუანას. უნდა დამაჯეროს, რომ დედე ძალიან კარგია (წიგნზე კი — არაფერი!) და მისივე კეთილდღეობისათვის ზრუნავს, მაგრამ, საბედნიეროდ, ამქვეყნად არსებობს კეთილი მეგობარი ბრუნო (რომელმაც დაწერა წიგნი, მაგრამ ამაზე — არაფერი!), და რა კარგი იქნებოდა მასთან ერთად ყოფნა არაბთა უბნის კაფეში, სადაც არასოდეს არავის არ აწუხებენ, განსაკუთრებით თუ ხედავენ, რომ რაღაც კუთხით ეკუთვნის ვარსკვლავს აპენპოს (ეს უკვე მე გავიფიქრე). შევედი სენ-სევერინში, როცა ღამის ორმა საათმა ჩამოჰკრა, ამ დროს ჩემი ცოლი ჩვეულებრივ იღვიძებს ხოლმე და ხმამაღლა იმეორებს იმას, რაც დილით ყავის სმის დროს უნდა გადმოგილაგოს.

მაშ ასე, მე და ჯონი დავსხედით, გადავკარით საძაგელი იაფფასიანი კონიაკი, კიდევ თითო ტიქა მოვითხოვეთ და ძალიან კმაყოფილი დავრჩით. მაგრამ წიგნზე არც ერთი სიტყვა არ წამოსცდენია, მხოლოდ გედის ფორმის საპუდრე, ვარსკვლავი, საგნების გაელვება, შენაცვლებით — რაღაც ფრაზები, გამოხედვა, გაღიმება, დორბლის მხეფები მაგიდასა და ტიქაზე (ჯონის ტიქაზე). დიახ, არის ხოლმე მომენტები, როცა მანდა უკვე წავიდეს საიქიოს. ვფიქრობ, ჩემს ადგილას ბევრი ამასვე ისურვებდა. მაგრამ განა დასაშვებია, მოკვდეს ჯონი, და თან წაიღოს აზრები, რომელთა გაზიარება არ ისურვა იმ ღამით, რომ სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდეს დევნას და გაქცევას (უკვე აღარ ვიცი, როგორა ეთქვა); განა დასაშვებია ასეთი რამ! არა, იცოცხლოს — და ჩანდაბას ჩემი კომფორტი, ჩემი კარიერა, ავტორიტეტი, რასაც ასე აამაღლებდა უკვე აბსოლუტურად უდავო თეზისები და დიდებული დასაფლავება...

ჯონი დროდადრო წყვეტს თითების მონოტონურ კაკუნს, მიცქერის, გაუგებრად იმანკება და ისევ იწყებს კაკუნს. კაფეს მეპატრონე ჭერ კიდევ მაშინ გვიცნობდა, როცა აქ ერთ არაბ გიტარისტთან ერთად მოვდიოდით ხოლმე. ბენ-აიფას აშკარად ეძინება — ჩვენ მარტოღმარტო ვსხედვართ პილპილისა და ლო-

რის ქონზე შემწვარი ღვეხელების სუნით აყროლებულ ბანძურ სემიკიტნოში. მეც რული მეკიდება, მაგრამ ძილს მიფრთხობს გააფთრება, ყრუ გააფთრება — ჯონის წინააღმდეგ კი არა, აუხსნელი რალაცის წინააღმდეგ — ასე ხდება ხოლმე, როცა მთელ საღამოს სიყვარულში ატარებ და გრძნობ: უფრე მთელი შაბი, წყლითა და საბნით ჩამოიბანო ეს, რაც აყროლებას იწვევს ~~მისი~~ განსხვავდება იმისგან, რაც თავდაპირველად... ჯონი სულ უკაკუნებს და უკაკუნებს მაგიდაზე მომაბეზრებელ რიტმს, ხან წაიმღერებს ხოლმე და თითქმის არ მაქცევს ყურადღებას.

ეტყობოდა, ერთ სიტყვასაც აღარ დაძრავდა წიგნზე. უაზრო ცხოვრება მას აქეთ-იქით ასვრის: დღეს — დედაკაცი, ხვალ — ახალი უსიამოვნება ან მოგზაურობა. ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა, ამეცინცლა მისთვის ინგლისური გამოცემა, ამისთვის კი დედეს უნდა მოველაპარაკო და ვთხოვო გამიწიოს ეს სამსახური — მე ხომ ვალში არ დავრჩები. თუმცა კი ტყუილად ვშიშობ, ტყუილად გამოვდივარ მოთმინებიდან. ზედმეტია იმაზე ფიქრი, რომ ჯონი გამოიჩენს ინტერესს ჩემი წიგნისადმი; მართალი თუ გინდათ, არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, რომ ოდესმე წაიკითხავდა. შესანიშნავად ვიცი, რომ წიგნში არ არის ნათქვამი სიძართლე ჯონიზე (მაგრამ სიცრუეც არ არის იქ) — მხოლოდ გაანალიზებულია ჯონის მუსიკა. კეთილგონიერებამ და მისდამი კეთილგანწყობამ ნება არ მომცა შეუღლამაზებლად მეჩვენებინა მკითხველისათვის მისი მიზოფრენია, ნარკომანიის საზიზღარი ანტისამყარო, მესი უბადრუკი არსებობის გაორება. მიზნად დავისახე გამოწყო ძირითადი, ყურადღება გამემახვილებინა იმაზე, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო — ჯონის უბადლო ხელოვნებაზე. ღირდა კიდევ რამეზე ლაპარაკი? მაგრამ, იქნებ, სწორედ აქ მითვალთვალებს, როგორც ყოველთვის ხდება, როცა ვინმეს რალაცის მოლოდინში უსაფრდები. გატრუნულია, რომ მერე ველური ნახტომით დაგვანარცხოს ყველანი. დიას, სწორედ აქ სურს ჩამიჭიროს, რომ შეარყიოს მთელი ეგზოტიკური საფუძველი, რომელიც აღვმართე, რათა ამეხსნა მისი მუსიკის არსი, შემექმნა თანამედროვე ჯაზის მწყობრი თეორია, რომელმაც სახელი და საყოველთაო აღიარება მომიპოვა. კაცმა რომ თქვას, რა შესაქმნება მის სულიერ ცხოვრებასთან? მხოლოდ ეს მაშინებს, რომ ისევ სისულელეებს ჩაიდენს, მე კი არ შემძლია (ვთქვათ, არ მსურს) აღვწერო მისი სიგიჟე, რომ, ბოლოს და ბოლოს უარყოფს ჩემს ძირითად დასკვნებს, ყველას გასაგონად განაცხადებს — ეს კაცი რალაცეებს ჩმახავს, ჩემი მუსიკა კი სულ სხვა რამეს გამოხატავსო.

— ყური მიგდე, ეს-ესაა მითხარი, შენს წიგნს ზოგი რამ აკლიათ.

— ზოგი რამ აკლია-მეთქი, ვთქვი, ბრუნო? აა, პო, მე ვითხარი — ზოგი რამ აკლია-მეთქი. იცი რა, წიგნში განა მარტო ლენის წითელი კაბა არ არის. არ არის კიდევ... მაგრამ ურნები ხომ მართლაც არსებობენ, ბრუნო?! გუშინ ისევ დავინახე, მთელი მინდორი, ზოგიერთს წარწერები და ნახატები ჰქონდა, ნახატებზე — კასკიანი ბრგე ჰაბუკები, ხელში უზარმაზარი ხელკეტები ეჭირათ, ზუსტად ისე, როგორც კინოშია ხოლმე. შემზარავია, როცა დადიხარ ურნებს შორის და იცი — მარტო ხარ და რალაცას ეძებ. ნუ დაიდარდებ, ბრუნო, რა დიდი რამეა, თუ დაგავიწყდა ყოველივე ამის დაწერა. მაგრამ, ბრუნო, — და მან აიშვირა თითი, — შენ დაგავიწყდა მთავარი, დაგეწერა ჩემზე.

— გეყოფა, ჯონი.

— ჩემზე, ბრუნო, ჩემზე. მაგრამ შენ არა ხარ დამნაშავე, რომ ვერ დაწერე ის, რასაც მე ვერ დავუკრავ. როცა იქ ანბობ, მისი ნამდვილი ბიოგრაფია მის ფირფიტებშიაო, ვიცი, გულითა და სულით გწამს ეს, და, გარდა ამისა, არც დასაჯადობა ნათქვამი, მაგრამ ეს ასე როდია. არა უშავს, მე თუ ვერ დავუკრავ ისე, როგორც საჭიროა, ვერ ვაჩვენებ საკუთარი თავი, როგორც ვინმე მინდა ხომ ვერ მოვიტხოვ სასწაულს, ბრუნო... სული მეხუთება აქ, გავიდეთ ჰაერზე.

მივყვები ქუჩაში, სად არ დავხეტილობთ. რომელიღაც მოსახვევში თეთრი კატა აგვედევნა; ჯონი დიდხანს ეფერა, პოდა, ვიფიქრე, ახლა კი კმარა-მეთქი. სენ-მიშელის მოედანზე ვიჭირავებ ტაქსს, მივიყვან სასტუმროში და შინ წავალ. ყოველ შემთხვევაში, საშინაო არაფერი არ მომხდარა; იყო მომენტი, როცა შემეშინდა, ჯონის ჩემი თეორიის ანტითეზის მსგავსი რაღაც ხომ არ შეუქმნია და ჩემთან ხომ არ ცდის, სანამ განგაშს ატეხდეს-მეთქი. საბრალო ჯონი, თეთრ კატას ეფერება. არსებითად, ერთადერთი გონიერული რამ, რაც თქვა, ის არის, რომ არავინ არავინ არაფერი იცის, ეს კი, რა ახალი ამბავია. ყოველი მონოგრაფია ამის ემყარება და დაემყარება. ამიტომ ზედმეტია აქ ჯახირი, დალახვროს ეშმაკმა. წადი შინ, შინ წადი, ჯონი, უკვე გვიანაა.

— არ გვგონოს, რომ მთავარი ეს იყოს, — ადგა და უცებ შითხრა ჯონიმ, თითქოს ჩემს აზრებს კითხულობსო. — არის კიდევ ღმერთი, ჩემო ძვირფასო. აი აქ კი სასულელეები წამოგაროშია.

— შინ წავიდეთ, ჯონი, შინ, უკვე გვიანაა.

— კიდევ არის ის, რასაც შენც და ჩემი მეგობრის ბრუნოსნაირებიც ღმერთს უწოდებენ. კბილის პასტიანი ტუბი მათთვის ღმერთია. ხარახურა მათთვის ღმერთია, შინში, ნებაზე რომ მიუშვან თავა, ესეც ღმერთია მათთვის. და შენ კიდევ გეყო სინდისი, რომ მე აგრეოდი ამ ნაგავში. მოგიჩმახავს რაღაც ჩემს ბავშვობაზე, ჩემს ოჯახზე, რაღაც ძველ მემკვიდრეობითობაზე... ერთი სიტყვით — ლაყუ კვერცხების გროვია, ზედ კი ზიხარ და ყიყლიყოს გაიძახი, ძალზე კმაყოფილი შენი ღმერთით. არ მწამს მე შენი ღმერთი, არასოდეს არ ყოფილა იგი ჩემი.

— მაგრამ მე მხოლოდ ვთქვი, რომ ზანგური მუსიკა...

— არ მწამს შენი ღმერთი, — გაიმეორა ჯონიმ. — რატომ მაძულებ, ვილოცო მისთვის შენს წიგნში? არ ვიცი, არსებობს თუ არა ეს ღმერთი, მე ჩემს მუსიკას ვუკრავ, ვქმნი ჩემს ღმერთს, არ მქირდება შენი ტყუილები, შეინახე ისინი მაშალა ჯექსონისა და რომის პაპისათვის, — იცოდე, ამ წუთშივე ამოიღებ ამ მონაჩმახს შენი წიგნიდან.

— კეთილი, თუ ასე გადაჭრით მოითხოვ, — ვუთხარი იმისათვის, რომ რაღაც მეთქვა, — მეორე გამოცემაში არ შევიტან.

— ამ კატასავით მარტო ვარ, უფრო მეტადაც, რადგან მე ეს ვიცი, იმან კი არა. ხელი გამიკაწრა შეჩვენებულმა. ბრუნო, ჯახი მხოლოდ მუსიკა როდია. მე მხოლოდ ჯონი კარტერი როდი ვარ.

— სწორედ ასე მაქვს ნათქვამი და დაწერილიც, ზოგჯერ ისე უკრავ, თითქოს...

— თითქოს უკან ლურსმანი შეურქვიათო, — თქვა ჯონიმ, და მთელი ამ დამის განმავლობაში პირველად დავინახე, როგორ გააფთრდა. — ვერაფერი ვერ გამიფიქრებია ხმაშალა — მაშინვე გადაგაქვს შენს საძაგელ ენაზე. მე თუ

ვუკრავ, შენ კი ანგელოზები გესიზმრება, მე რა შუაში ვარ. თუ სხვები პირს ალებენ და გაჰკვივიან, მწვერვალს მიაღწიაო, რა ჩემი ბრალია. ყველაზე ცუდი ის არის — აი ეს კი სულ გამოგრჩენია წიგნში, ბრუნო, — რომ ჩემი ფასი გროშია, მთელი ჩემი დაკვრა და ხალხის ტაშიც არაფრად არ უჩიქუნულა!

თავმდაბლობის ჭეშმარიტად ამაღელვებელი მოზღვრებაა, ისევე ასე გვიან. ოჰ, ჯონი, ჯონი...

— როგორ აგისხნა? — ყვიროდა ჯონი, ხელები მხრებში ჩამავალო, ერთი სამჯერ მაგრად შემანჯღრია („paix!“¹ — იწივლა ვილაცამ მარცხნივ ფანჯრიდან). — საქმე ის კი არ არის, რა მუსიკალური სტილია ეს, აქ სხვა რამეა... აი ხომ არის განსხვავება — მკვდარია ბი თუ ცოცხალი. ის, რასაც მე ვუკრავ, მკვდარი ბია, გესმის? მე კი მინდა, მე მინდა... ამიტომ ვამსხვრევ ზოგჯერ ჩემს საქსს, ხალხს კი ჰგონია, გიჟიაო. მართალია, ყოველთვის შეზარხოშებული კი ვარ, როცა ამას ვშვრები, საქსს ხომ ცეცხლის ფასი აქვს.

— წავიდეთ, წავიდეთ. ვიჭირავენ ტაქსს და სასტუმროში მიგაცილებ.

— სიკეთის განსახიერება ხარ, ბრუნო, — ხითხითებს ჯონი. — ჩემი მეგობარი ბრუნო თავის წიგნში ყველაფერს წერს, რასაც წამოაყრანტალებენ, უმთავერესის გარდა. არასოდეს არ მეგონა, რომ ასეთ რამეებს წამოროშავდი, სანამ არტმა წიგნი მიშოვა. თავდაპირველად მომეჩვენა, ვილაც სხვაზე, რონიზე ან მარსელზე წერს-მეთქი, მერე კი — ჯონი აქ, ჯონი იქ, მაშასადამე ჩემზეა ლაპარაკი და ჩემს თავს ვეკითხები: განა ეს მე ვარ? იქ ლაპარაკია ჩემზე ბალტიმორში, ბერდლენდზეც, ჩემი დაკვრის სტილზეც და სხვა... გამიგონე, — თითქმის ცივად დასძინა მან, — სულელი არა ვარ და მესმის, რომ წიგნი ხალხისთვის დაწერე. ჰოდა, კეთილი, ყველაფერი რასაც ამბობ ჩემ დაკვრის მანერასა და ჯანსაღადმი ლტოლვაზე — ასი პროცენტით ოკეი. რაღას ვდავობთ ამ წიგნზე? ნავაჯია სენაში, აი ჩხირი, შენ კი — აი ეს ბოთლი ხარ... მიცურავს თავისთვის. ხან აქეთ-იქით ქანაობს... ბრუნო, მე, ალბათ, ვერასოდეს ვერ დავიჭერ... ვერ...

ხელები იღლიებში ამოვდე და პარაპეტს მივაყუდე. ისევ თავისი ჰალუციაციები აქვს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლულულულებს სიტყვებს, იფურთხება.

— ვერ დავიჭერ, — და გაიმეორა: — ვერ დავიჭერ...

— რა გინდა დაიჭირო, ძმაო? — ვკითხე. — ნუ ისურვებ შეუძლებელს. ის, რაც შენ დაიჭირე, ეყოფოდა...

— ჰო, შენ, — საყვედურს ტონით მიპასუხა ჯონიმ. — არტს, დედეს, ლენს... შენ იცი, ეს როგორ... ჰო, ზოგჯერ ის-ის იყო კარი იღებოდა... შეხედე, ორივე ჩხირი გაუსწორდა ერთმანეთს, გვერდი-გვერდ ცეკვავენ, დატრიალდნენ. ლამაზია, არა? ის-ის იყო იღებოდა კარი, ჰო... დრო... მოთქვამს შენთვის, მგონია, რომ ეს „დროა“... ბრუნო, მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩემს მუსიკაში მინდოდა ბოლოს და ბოლოს შემეღო ეს კარი. ცოტათი მაინც, სულ ოდნავ... მახსოვს, ნიუ-იორკში, ერთხელ ღამით... წითელი კაბა. დიახ, წითელი საოცრად უხდებოდა. ჰოდა, ერთხელ ღამით მე, მაილზი და პოლი... მგონი, მთელ საათს თავდავიწყებით ვუკრავდით, მხოლოდ ჩვენთვის, და საშინლად ბედნიერი ვიყავით... მაილზი შესანიშნავ რაღაცას უკრავდა — კინალამ სკამიდან გადმოვწარდი, მერე თვითონ დავიწყე დაკვრა, დავხუჭე თვალები და გავფრინდი. ბრუ-

¹ ჩუმაღ (ფრანგ.).

ნო, გეფიცები, მივფრინავდი... და მესმოდა, ვითომ სადღაც შორს, შორს, მაგრამ ჩემ შიგნით თუ ჩემ გვერდით ვიღაც იზრდება... არა, ვიღაც კი არა, ასე არა... შეხედე, ბოთლი ჭირიანივით ბორგავს წყალში... არა, ვიღაც კი არა, ძალიან ძნელია შედარების მონახვა... რაღაც რწმენა, სინათლე აჩვენებდა... გორც ზოგჯერ სიზმარში ხდება ხოლმე — გამიგე? — როცა ყველაფერი გადაა და პარტივად, ლენი და ქალიშვილები სუფრასთან შედიან, ინდაური მოუშვადებიან; როცა ავტომობილი არ აწყდება ხოლმე წითელ სინათლეს და ყველაფერი ბილიარდის ბურთულასავით შეუფერხებლად მიგორავს. მე კი თითქოს საკუთარი თავის გვერდით ვიყავი, და ჩემთვის არ არსებობდნენ არც ნიუ-იორკი, არც — რაც მთავარია — დრო, არც შემდეგ... არ არსებობდა არავითარი „შემდეგ“... რომელიღაც წუთს მარადისობაში აღმოვჩნდი... აზრადაც არ მომსვლია, რომ ყოველივე ეს სიყალბეა, რომ ასე მოხდა მუსიკის გამო, მან გამიტაცა, თავბრუ დამახვია... დავამთავრე თუ არა დაკვრა — ოდესმე ხომ უნდა დამემთავრებინა — საწყალ პოლს უკვე არაქათი ეცლებოდა როიალთან, — სწორედ ამ წამს ისევ დავუბრუნდი საკუთარ თავს...

იგი ასლუკუნდა და ჭუჭყიანი ხელებით მოიწმინდა თვალები.

ალარ ვიცი, რა ვქნა, უკვე გვიანაა, მდინარიდან ნოტიო სიო უბერავს, ისე აღვილია გაციება.

— მე მგონი, უჰაეროდ ფრენა მინდოდა, — ისევ აღულლულდა ჯონი. — მგონი, მინდოდა ლენის წითელი კაბა, მაგრამ ლენი — არა. ბი კი მოკვდა, ბრუნო. შენ მართალი უნდა იყო — შენი წიგნი, ალბათ, ძალიან კარგია.

— წავიდეთ, ჯონი, არ მწყინს, თუ არ მოგწონს.

— არა, ამას არ ვამბობ. შენი წიგნი კარგია, იმიტომ რომ... იმიტომ რომ ვერ ხედავ ურნებს, ბრუნო. იგი ჰგავს საჩმოს დაკვრას — სუფთაა, რიგიანი. შენ არ გგონია, რომ საჩმოს დაკრული ჰგავს დღესასწაულს ან რაღაც ციო მოვლენილ წყალობას? ჩვენ კი... გითხარი, რომ უჰაეროდ ფრენა მინდოდა-მეთქი. მე მეგონა... მთლად იდიოტი უნდა იყო... მეგონა, დადგება ყამი და რაღაც განსაკუთრებულ რამეს დაგიჭერ-მეთქი. ვერ იქნა და ვერ დავწყნარდი, ვფიქრობდი, ყველაფერი რაც კარგი იყო — ლენის წითელი კაბა და თვით ბიცი — სათაგურებია-მეთქი, არ ვიცი, სხვაგვარად როგორ ვთქვა... სათაგურებია, რომ არავინ არაფერს ესწრაფოდეს, რომ ილაპარაკონ — ამქვეყნად ყველაფერი მშვენიერია, საუცხოოდ არის მოწყობილი. ბრუნო, მე მგონი, ლენი და ჯაზი, დიას, ჯაზიც კი, თითქოს ეურნალების რეკლამებია, ლამაზ-ლამაზი რამეები, რომ გავერთო და კმაყოფილი ვიყო, როგორც შენა ხარ კმაყოფილი შენი პარიზით, შენი ცოლით, შენი მუშაობით... მე კი ჩემი საქსი მაქვს... ჩემი სექსი, როგორც შენს წიგნშია ნათქვამი, ყველაფერი ეს სულ სხვა რამაა. ხაფანგებია, მეგობარო... იმიტომ რომ არ შეიძლება არ იყოს რაღაც სხვა რამე; არ მჯერა, რომ არ მივალთ დახშულ კართან ძალიან ახლოს, სულ ახლოს...

— ერთ რამეს ვეტყვი — შენს თავს ვერ გადაახტები, — წავიბურტყუნე. თავს აბსოლუტურ სულელად ვგრძნობდი.


— და სანამ შეგიძლია, ჩაიჭიბე ეურნალ „დაუნ ბიტის“ პრემიები, — თავს მიქნევს ჯონი. — ჰო, რა თქმა უნდა, ჰო, ჰო, რა თქმა უნდა.

ნელ-ნელა მოედნისკენ მივართევ. საბედნიეროდ, კუთხეში ტაქსი დგას.

— მაინც, მიმიფურთხებია შენი ღმერთისათვის, — ლულლულებს ჯონი. —

შენ იმ საქმეში ნუ პრევი, ნებას არ გაძლევი. ხოლო თუ მართლა დგას კარს უკან, წყეულიმც ყოფილა. რა ძალა გადგია ეძებო გასაღებზე, თუ მასზე და მოკიდებული გაგიდოს თუ არა კარი. უნდა შეანგრიო ფეხით — ძორჩა და გათავდა. ჩაამტვრიო, ამოგანგლო სიბინძურეში, მე მაგას... ჩემი მუცელი უკან, კინალამ დავიჯერე, რომ ჩემი მუსიკით შევადე-მეთქი კარბ, მსგავსე საქმეებს რომ მოვრჩია, ამ შეჩვენებულმა პირდაპირ ცხვირწინ მომიხეთქა იგი — და ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ არასოდეს არ მილოცია მისთვის და ჩემ სიცოცხლეში არ ვილოცებ, ვინაიდან არაფრად ვაგდებ ამ სანდასგარეცხილ გამყიდველ ლაქიას, კარს რომ მოწყალეებისათვის აღებს, მე მაგის...

საწყალი ჯონი, კიდევაც რომ ჩივის, ასეთი რამეები გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებში არ იწერებაო. დედაო ღვთისავე, ღამის სამი საათი კი იყო უკვე!



ტიკა დაბრუნდა ნიუ-იორკს. ჯონი დაბრუნდა ნიუ-იორკს (დედე დარჩა, შესანიშნავად მოწყობილა ლუი პერონთან, დიდი მომავლის მქონე ტრომბონისტთან). გოგონა ლენოქსი დაბრუნდა ნიუ-იორკს. პარიზის სეზონი საინტერესო არ გამოდგა, და მე მენატრებოდნენ ჩემი მეგობრები. ჩემს წიგნს ჯონის შესახებ ყველგან დიდი წარმატება აქვს, და, გასაგებია, რომ სემი პრეტცალმა სიტყვა ჩანოაგდო მისი ეკრანიზაციის თაობაზე პოლივუდში — ასეთი პერსპექტივა განსაკუთრებით სასიამოვნოა, თუ გავითვალისწინებთ დოლარის მაღალ კურსს ფრანკთან შედარებით. ჩემი ცოლი კარგა ხანს მიბრაზდებოდა გოგონა ლენოქსთან ჩემი ინტრიგის გამო, თუმცა, საზოგადოდ, სერიოზული არაფერი არც ყოფილა: ბოლოს და ბოლოს, გოგონა ნამდვილი კახპაა, და ყოველ ჭკვიან დედაკაცს უნდა ესმოდეს: ასეთი ეპიზოდები ცოლქმრულ ჰარმონიას არ არღვევენ, აღარაფერი რომ აღარა ვთქვა იმაზე, რომ გოგონა ნიუ-იორკში ჯონისთან ერთად წავიდა — თანაც თავისი დიდი ხნის ოცნება აიხდინა — წავიდა იმავე გემით, რომლითაც ჯონი მიდიოდა. ალბათ, უკვე მარიზუნანასაც კი ეწევა ჯონისთან ერთად, საწყალი გოგონა, მასავით ხელიდან წასული დაღუპული არსება. გრამფირფიტა „სტარსტიზი“ კი ახლახან გაჩნდა პარიზში, სწორედ იმ დროს, როცა უკვე მთლიანად მომზადდა ჩემი წიგნის მეორე გამოცემა და უკვე მის გერმანულად გამოცემაზეც კი იყო ლაპარაკი. ბევრი ვიფიქრე ზოგიერთ ახალ განმარტებაზე. ჩემი პროფესიის შესაძლებლობათა კვალობაზე პატროსანი კაცი ვარ და ვეკითხები ჩემს თავს, ნუთუ სავალდებულოა სხვანაირად გავაშუქო ჩემი გმირის პიროვნება-მეთქი. დიდხანს ვამსჯელეთ ამ საკითხზე მე, დელონეიმ და ოდერიმა, მაგრამ მათ, გულახდილად რომ ვთქვა, ვერაფერი მიჩივს, რადგან, მათი აზრით, წიგნი დიდებულია და ასეთი სახით მოსწონს მკითხველსო. ასე მეგონა, ორივეს აფრთხობდა ლიტერატურული გესლიანობა, ის, რომ ნაწარმოება გადატვირთულია ისეთი რამეებით, რასაც თითქმის ან სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს ჯონის მუსიკასთან, ყოველ შემთხვევაში იმ მუსიკასთან, რომელიც ჩვენ ყველას გვესმის. ასე მეგონა, ავტორიტეტთან სპეციალისტთა თვალსაზრისი (ჩემი საკუთარი გადაწყვეტილებაც, რომლის მოყვანა სისულელე იქნებოდა ამ შემთხვევაში) საშუალებას მიძლე-

და ხელშეუხებლად დამეტოვებინა პირველი ვარიანტი. ყურადღებით გადავა-
თვალიერე ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალები (ოთხი რეპორტაჟი
ჯონიზე, ინფორმაციები თვითმკვლევლობის ახალი ცდის შესახებ — აჯერალ
იოდის ნაყენით, კუჭის ამორეცხვა და სამი კვირა საავადმყოფოში მწუხრებზე,
ვითომც აქ არაფერი იყო, ისევ კონცერტი ბალტიმორში) და სწავლავს
ვიდდი, თუ არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ ამ უსიამო რეციდივებმა გული დამ-
წყვიტეს. წიგნზე ჯონის ცუდი არაფერი წამოსცდენია. მაგალითად („სტომპინგ
ეროუნდში“, ჩიკაგოს მუსიკალურ ჟურნალში, ტენდი როჯერსისათვის მიცემული
ინტერვიუს დროს): „წაიკითხე, რა დაუწერია შენზე პარიზში ბრუნო ვ.-ს?“
„დიახ. ძალიან კარგად დაუწერია“. — „რას იტყობდი ამ წიგნზე?“ — „არა-
ფერს. ძალიან კარგადაა დაწერილი. ბრუნო დიდი ადამიანია“. ისღა დამრ-
ჩენოდა გამეგო, რას წამოაყრანტალებდა ჯონი სიმთვრალეში ან ნარკოტი-
კით გაბრუების დროს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ჭორებს მისი რაიმე
გამოხდომის თაობაზე ჩემამდე არ მოუღწევია. მეც გადავწყვიტე ხელუხლებ-
ლად დამეტოვებინა წიგნის მეორე გამოცემა და ჯონი ისეთი მეჩვენებინა,
როგორც იყო არსებითად: საშუალოზე დაბალი ინტელექტის მქონე საბრალო
მაწანწალა, მუსიკოსის, მოჭადრაკის, პოეტის თანდაყოლილი ნიჭით, რომელიც
ქმნის შედეგებს, მაგრამ შეგნებული არა აქვს (იმ მოკრივეზე მეტად არა,
ღონით რომ ამაყობს) თავისი შემოქმედების მთელი სიდიადე. გარემოებანი
მაიძულებდნენ შემენარჩუნებინა ჯონის ეს პორტრეტი; არ ღირდა წინააღედ-
გომოდი მსმენელთა გემოვნებას, რომლებიც ალტაცებული არიან ჯაზით, მაგ-
რამ უარყოფენ წმიდა პროფესიულ ან ფსიქოლოგიურ ანალიზს. მსმენელი
მოითხოვს სრულ და სწრაფ დაკმაყოფილებას, ეს კი ნიშნავს თითებს, რომ-
ლებიც თავისთავად მიჰყვებიან რიტმს; სახეებს, რომლებიც ნეტარებით
იბადრებიან, სხეულთ, რომლებიც როკავენ მუსიკაში, სისხლს რომ გიჩქროლებს
და სუნთქვას გიხშირებს, — მორჩა და გათავდა, არავითარი ჭკუამღმური
მსჯელობანი.

□ □

ჯერ მოვიდა ორი დებეშა (დელონეიმ და მე მივიღეთ, სადამოს კი ეს ამ-
ბავი უკვე დაიბეჭდა გაზეთებში ტუტუცური კომენტარებით). სამი კვირის შემ-
დეგ მივიღე გოგონა ლენოქსის წერილი, რომელიც არ მივიწყებდა: „ბელვიუ-
ში შესანიშნავად მიიღეს, და როცა გამოდიოდა, ძლივს მივარღვევდი ხალხს,
რომ მასთან მივსულიყავი, მაიკ რუსოლოს ბინაში ვცხოვრობდით, თვითონ მაი-
კი გასტროლებზე წავიდა ნორვეგიაში, ჯონი თავს შესანიშნავად გრძნობდა, და,
თუმცა საჯაროდ გამოსელა არ სურდა, დათანხმდა ჩაწერაზე „28-თა კლუბის“
ბიჭებთან ერთად. მხოლოდ შენ გეტყვი, რომ საერთოდ კი ძალიან სუსტად იყო
(წარმომიდგენია, რას გულისხმობდა გოგონა პარიზში ჩვენი ფლარტის შემ-
დეგ) და ლამაზობით მაშინებდა თავისი ოხვრითა და გოდებით. მხოლოდ იმით
ვინუგეშებ თავს, — ალერსიანად დასძენდა გოგონა, — რომ მშვიდად, არც კი
უგრძენია, ისე განუტევა სული. ტელევიზორს უყურებდა და მოულოდნელად
დანარცხებია იატაკს, მითხრეს, ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდაო“.
აქედან შეიძლებოდა დამესკვნა, რომ გოგონა მასთან არ ყოფილა, — ასეც აღ-

მოჩნდა. მოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ჯონი ცხოვრობდა ტიკასთან, ხუთიოდე დღე გაუტარებია მასთან, შეურევბული და გულჩათსრობილი ყოფილა, უთქვამს, ჯახს თავი უნდა დავანებო, მექსიკაში გადავიდე და „მიწაზე“ ვიმუშაო (ყველას იზიდავს „მიწა“ ცხოვრების გარკვეულ პერიოდში და პარნოსაწყენი ამბავია!). ტიკა ზრუნავდა და ყოველ ღონეს ხმავდა, რომ დაემშვიდებინა და ეიძულებინა ეფიქრა მომავალზე (ასე ამბობდა მერე ტიკა, თითქოს მას ან ჯონის ერთი წამითაც შეეძლოთ მომავალზე ჩაფიქრებულიყვნენ). შუა ტელეგადაცემის დროს, რომელიც ძალიან მოსწონდა ჯონის, უცებ ხველა ასტეხია, მოკრუნჩხულა და სხვა და სხვა, დარწმუნებული არა ვარ, რომ სწრაფად განეტყვებინოს სული, როგორც ტიკამ პოლიციას აუწყა (უნდოდა როგორმე თავი დაეღწია არასასიამოვნო მდგომარეობისათვის, რადგან ჯონი გარდაიცვალა მის ბინაში, უპოვეს მარახუანა, რადგან წინათაც ბევრი უსიამოვნება შეხვედრია საბრალო ტიკას, გაკვეთას კი არცთუ ისე სასიამოვნო შედეგები მოჰყოლია. ადვილი წარმოსადგენია, რას აღმოაჩენდა ექიმი ჯონის ღვიძლში).

„ჩემზე საშინლად იმოქმედა მისმა სიკვდილმა, თუმცა ბევრი რამ მაქვს სათქმელი, — კეკლუცად მწერდა ეს მომხიბლავი გოგონა, — მაგრამ ამაზე სხვა დროს, როცა გუნებაზე ვიქნები. მგონი, როჯერსს უნდა ჩემთან კონტრაქტი დადოს პარიზსა და ბერლინში გასტროლებზე, და ყველაფერს შეიტყობ, რაც უნდა იცოდეს ჯონის საუკეთესო მეგობარმა“. მერე მოსდევდა მთელი გვერდი, ტიკასადმი მიძღვნილი: მარკიზა მიწასთან იყო გასწორებული. საცოდავ გოგონას თუ დაუჭერებდი, ტიკას მარტო ჯონის სიკვდილში კი არა, პირლპარბორზე იაპონელთა თავდასხმაში და შავი ჭირის ეპიდემიაშიც კი მიუძღოდა ზრალი. წერილი ასე მთავრდებოდა: „არ დამაფიწყდეს, მინდა გაცნობო, რომ ერთხელ ბელვიუში დიდხანს ლაპარაკობდა შენზე, აზრები ერეოდა და ეგონა, შენც ნიუ-იორკში იყავი, მაგრამ არ გასურდა მისი ნახვა, გამუდმებით ახსენებდა რაღაცით სავსე მინდვრებს, მერე გიხმობდა და რაღაცას გელაპარაკებოდა კიდევ, უბედური. შენ ხომ იცი, როგორ ბოდავს ცხელების დროს. ტიკამ ბობ კერეის უთხრა, ჯონის უკანასკნელად რაღაც ამის მსგავსი უთქვამსო: „ო, ჩამომხსენ ნილაბი“, მაგრამ ხომ გესმის, ამ წუთებში...“ მე, და არ მესმოდეს! „ძალიან დაჩაჩანაკდა, — ასე ასრულებდა გოგონა წერილს, — და სიარულისას ქშინავდა“. ეს დეტალები მართლაც რომ შეეფერება იმისთანა დელიკატურ პიროვნებას, როგორიც გოგონა ლენოქსია.

უკანასკნელი ამბები დაემთხვა ჩემი წიგნის მეორე გამოცემას, მაგრამ, საბედნიეროდ, მოვასწარი ჩამერთო სახელდახელოდ შეთხზული ერთი გვერდი ნეკროლოგის მაგვარი რაღაც, აგრეთვე დაკრძალვის ფოტოსურათი, სადაც საუცხოოდ აღიბეჭდა ბევრი სახელმძოხვეჭილი ჯახისტი. ამ სახით ბიოგრაფია, შეიძლება ითქვას, სრულადაა წარმოდგენილი. ალბათ, ასე ლაპარაკი არ შემშვენის, მაგრამ საქმე ხომ, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფორმალურ-ესთეტიკურ მომენტს ეხება. უკვე აქა-იქ ამბობენ, რომ ჩემი წიგნი ითარგმნოს, არ ვიცი, შვედურ თუ ნორვეგიულ ენაზე. ჩემი ცოლის აღტაცებას საზღვარი არა აქვს.



ხულიო კორტასარი ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფიგურაა თანამედროვე ამერიკულ კულტურაში. პარიზში მცხოვრებმა არგენტინელმა მწერალმა საქვეყნოდ სახელი, თუმცა 60 წელს მიღწეული ავტორის კალამს ეკუთვნის ბევრი რომანი, მოთხრობა, მხატვრული ნარკვევი, ფილოსოფიურ-სატირული ესე, „ეპოპეები“ იუმორესკები. კორტასარის ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია ესპანურ ენაზე, თარგმნიან და ბეჭდავენ ყველგან, გარდა... ესპანეთისა, სადაც ვერ ურიგდებიან ვერავითარ ანტირელიგიურობას. მის ნაწარმოებებზე იწერება წიგნები, ჟურნალ-გაზეთები სავსეა კრიტიკული სტატიებით.

კორტასარი... ყველას პირზე აკერია აქამდე უცნობი მწერლის სახელი. დიდება ერთბაშად როდი მოდის. მას წინ უძღოდა სოციალურ-ფილოსოფიური და ლიტერატურულ-ესთეტიკური პოზიციების ძიების წლები. კორტასარის ხანგრძლივი ლიტერატურული შრომა სინთეზირებულია მხოლოდ ბოლო დროის ნაწარმოებებში, რომლებმაც სახელი მოუხვეჭეს ავტორს: რომანში „კლასობა“, მხატვრულ-პუბლიცისტურ ესეში „მოხმოცი სამყარო ერთი დღის გარშემო“, მოთხრობების ორ კრებულსა და ჩე გევარის სიკვდილისადმი მიძღვნილ პოემაში.

კორტასარი უწინარეს ყოვლისა მცირე ფორმის ნაწარმოებთა ოსტატია. იგი უარყოფს რომანის ჩვეულებრივ ჟანრულ ფორმას, მისი რომანის თითოეული თავი პატარა მინიატურაა, რომლებსაც ავტორისეული ჩანაფიქრით აერთიანებს.

კორტასარი არგენტინელი მწერალია, სულით და ხორცილ არგენტინელი. მიუხედავად ამისა, მისი ნაწარმოებები ყოველთვის როდი ასახვენ ეროვნულ სინამდვილეს, თუმცა მისი ფიქრები მუდამ არგენტინას დასტრიალებს და ყოველი ნაწარმოების რომელიმე მთავარი გმირი არგენტინელია. კორტასარის ერთ-ერთი ძირითადი „ზოგადსაკაცობრიო“ თემაა ადამიანის სულიერი მარტოობა კაპიტალისტურ სამყაროში. ვინ იცის, იქნებ უცხოეთში ცხოვრებამ განსაკუთრებით მწვავედ აგრძნობინა მწერალს ეს მარტოობა, დაანახვა გარშემო უამრავი რობინზონ კრუზო, გატანჯულნი თუ ცინიკურნი, მშფოთვარენი თუ გულგრილნი. კორტასარისეული მარტოობის თემა განსაკუთრებით მძელვარედ უღერს ნოველაში „მდევარი“, რომელიც ცნობილ ზანგ საქსოფონისტს ჩარლი პარკერს ეძღვნება. ამ ნოველას ფართოდ გამოეხმაურა საზღვარგარეთის პრესა.

მ. კასილი

თარგმანი
ნანა ჰიპნაძისა

თქვენ უცლით, ღოებორო კარსტენ

ამერიკული მართლმსაჯულების ისტორიას ჯერ არ ახსოვს ასეთი პროცესი. ბრალდებულის სკამზე პირველად ზის ადამიანი, რომელმაც ბოროტმოქმედების იარაღად ატომური გამოსხივება გამოიყენა... უცნაური იყო ის მოტივებიც, რითიც ის თავის მოქმედებას ხსნიდა.

ტრაგედიის მთავარი მოქმედი პირები აღმოჩნდნენ ცნობილი მეცნიერები, ფიზიკურ მეცნიერებათა დოქტორები, ცოლ-ქმარი კარსტენები.

აღსანიშნავია, რომ საქმე გახმაურდა მხოლოდ გამოჩენილ ადმინისტრაციულ მოღვაწეთა ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ. ისინი შიშობდნენ, რომ პროცესზე შესაძლო იყო სერიოზულ სამხედრო საიდუმლოებათა გამჟღავნება. ამ შიშს საკმაო საფუძველი ჰქონდა, მაგრამ უმაღლესმა იურიდიულმა ინსტანციებმა მოითხოვეს კანონის პატივისცემა. მათი აზრით, ბრუკლენდის ლაბორატორიაში მკვლელობა მოხდა და დამნაშავე სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. გამოჩენილი მეცნიერებისა და იურისტებისაგან შექმნეს საგანგებო კომისია, რათა ბოლო მოღებოდა უთავბოლო განხილვებს. კომისია ეწვია ლაბორატორიას ბრუკლენდში, სადაც დოქტორი ემილ კარსტენი მუშაობდა. მას ერთადერთი შეკითხვა მისცეს:

— მიგაჩნიათ თუ არა დამნაშავედ თავი თქვენი მეუღლის — დოქტორ სიუზან კარსტენის დაღუპვაში?

კომისიის წევრებისდა გასაოცრად, მან უპასუხა:

— უკეთესი იქნება, ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მივანდოთ. ადვილი მოსალოდნელია ჩემნაირ მდგომარეობაში სხვა მეცნიერებიც ჩაცვივდნენ. დაე, მათაც იცოდნენ, რა მოელოთ.

პროკურორ კალვის ბევრი აღარ უფიქრია. მან ბრალდებად წაუყენა დოქტორ ემილ კარსტენს, რომ 10-დან 17 ივლისამდე ატომურ გამოსხივებაში ამყოფა თავისი მეუღლე სიუზან კარსტენი, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ იცოდა, ეს მის მეუღლეს დაღუპვამდე მიიყვანდა.



პროკურორმა დოქტორ პარსტენის მოქმედებას წინასწარგანზრახული მგვლელობა უწოდა.

სამ სექტემბერს პროცესი დაიწყო.

სხდომის გახსნისას მოსამართლემ საგანგებოდ გააფრთხილა პრუცესის ყველა მონაწილე:

— ეს განსაკუთრებით მოწმეებს ეხებათ — მათ ჯვარედინი დაკითხვა მოეღო და ყველას ვთხოვ, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების თავიდან აცილების მიზნით, ყოველი სიტყვა გულდასმით აწონ-დაწონონ.

პირველად დაკითხეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მოწმე დოქტორი ვერნონ რობსონი.

პროცესის მსვლელობაზე რომ ზუსტი წარმოდგენა გქონდეთ, მე სტენოგრაფიით ვისარგებლებ.

პროკურორი: დოქტორო რობსონ, ვთხოვთ, უამბოთ სასამართლოს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვით, რა პრობლემებს სწავლობს თქვენი ინსტიტუტი.

რობსონი: ჩვენ ვსწავლობთ ზოგიერთი ელემენტის რეაქციებს და ამ დროს აღძრული გამოსხივების მოქმედებას ცხოველის ორგანიზმზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა.

პროკურორი: როდის და როგორ გაიგეთ პირველად სიუზან პარსტენის დაღუპვა?

რობსონი: 17 ივლისს, საღამოს, დოქტორმა ემილ პარსტენმა ტელეფონით მთხოვა სასწრაფოდ მივსულიყავი ლაბორატორიაში. ყველა თანამშრომელს თავი მოეფარა. ემილ პარსტენმა გვიამბო, რაც მომხდარიყო. მისი სიტყვით, 9 ივლისს დოქტორმა სიუზან პარსტენმა დაუშვა შეცდომა, რასაც საშინელი შედეგები მოჰყვა. სიუზანი უნდა მომკვდარიყო. მან მხოლოდ ქმარს გაანდო მომხდარი ამბავი... მათ აწონდაწონეს შექმნილი მდგომარეობა, დარწმუნდნენ, რომ სიუზანის გადარჩენა შეუძლებელი იყო და გადაწყვიტეს, მის სიკვდილამდე დარჩენილი შვიდი-რვა დღე ზოგიერთი ექსპერიმენტისათვის გამოეყენებინათ. ცდის ობიექტი იქნებოდა თვით სიუზანი... სულ ერთია, მას გადარჩენის არავითარი შანსი არ ჰქონდა... 10-დან 17 ივლისამდე ისინი სრულიად საიდუმლოდ ატარებდნენ ცდებს... 17 ივლისს სიუზანმა ძალიან ცუდად იგრძნო თავი... მაშინ მათ მიგვიწვიეს და გვიამბეს ყველაფერი...

პროკურორი: მართალია, რომ დოქტორ ემილ პარსტენს უფლება ჰქონდა ლაბორატორიაში დამოუკიდებლად გადაეწყვიტა საქმეები?

რობსონი: დოქტორი ემილ პარსტენი, როგორც ლაბორატორიის ხელმძღვანელი, გადამწყვეტი სიტყვის უფლებით სარგებლობდა.

დამცველი: თქვენ ახლახან განაცხადეთ, მისტერ ვერნონ რობსონ, რომ სიუზან პარსტენის მიერ დაშვებული შეცდომა გამოუსწორებელი იყო. წინასწარი გამოძიების დროს კი თქვენ განაცხადეთ, რომ მცოდნოდა მომხდარი ამბავი, უფლებას არ მივცემდი დამატებითი ექსპერიმენტები ჩაეტარებინათ... რატომ? ის ხომ მაინც უნდა დაღუპულიყო, ის ხომ უკვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მკვდარი იყო...

რობსონი: ძალზე არაბუნებური იქნებოდა არ მიგველო ყველა ზომა, არ ვცდილიყავით მის გადარჩენას...

დამცველი: კი, მაგრამ თქვენ თვითონ ამბობთ, რომ მისი გადარჩენა არ შეიძლებოდა.

რობსონი: სამწუხაროდ, ეს მართალია...

დამცველი: აქვთ თუ არა რაიმე მეცნიერული ღირებულება იმ ცდებს, პარსტენებმა 10-დან 17 ივლისამდე რომ ჩაატარეს?

რობსონი: უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცდებს ფასდებულად „მეცნიერული მნიშვნელობა აქვთ. საკმარისია გავიხსენოთ, რომ აქამდე ექსპერიმენტები მხოლოდ ცხოველებზე ტარდებოდა...

შემდეგ სასამართლომ გამოიძახა და დაკითხა მოწმე, დოქტორი ელენ კენიგი, სადაც ჩაცმული ახალგაზრდა ქალი, განსვენებული სიუზან პარსტენის ასისტენტი.

პროკურორი: აუხსენით სასამართლოს, რა თქმა უნდა, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვით, რაში გამოიხატებოდა სიუზან პარსტენის მიერ დაშვებული შეცდომა.

ელენ კენიგი: ცდების ჩატარებისას ჩვენ ვსარგებლობთ ორი სუბსტანციით... ვუწოდოთ მათ „იქსი და „იგრეკი“. თუ ისინი შეერთდებიან, ან თუნდაც გარკვეული დროის განმავლობაში ერთმანეთის ახლოს იმყოფებიან, ხდება ძლიერი რეაქცია, გამოიყოფა მომაკვდინებელი გამოსხივება. მისი მოქმედების არეში მოხვედრილი ადამიანი შვიდი-რვა დღის შემდეგ იღუპება.

პროკურორი: ეს დამტკიცებულია? მე მინდა გკითხოთ: დამტკიცებულია ცდებით?

ელენ კენიგი: დიახ, ცხოველებზე...

პროკურორი: მაგრამ არა ადამიანებზე?!

ელენ კენიგი: რამდენიმე წლის წინ მსგავსი გამოსხივებისაგან დაიღუპა ერთი ახალგაზრდა მეცნიერი...

პროკურორი: მაგრამ სიუზან პარსტენზე 10-დან 17 ივლისამდე სხვა ექსპერიმენტებიც ჩაატარეს. ყოველი მათგანი თავისთავად შეიძლება სასიკვდილო ყოფილიყო!.. ახლა აღარ არის საშუალება დარწმუნებით ვთქვათ, რისგან გარდაიცვალა იგი: დაშვებული შეცდომის თუ შემდგომი ცდების გამო.

ადვოკატი ფლიტი, რომელმაც პროკურორის შემდეგ აიღო სიტყვა, ელენ კენიგს უფრო მშვიდი ტონით აძლევდა შეკითხვებს.

დამცველი: მე ვფიქრობ, ასეთი შეკითხვით პროკურორი ცდილობს უფრო აამღვრიოს წყალი. ჩვენი საერთო ამოცანა კი ქეშმარიტების მიკვლევაა. გვითხარით, არსებობდა თუ არა სიუზანის გადარჩენის ოდნავი საშუალება ან თუნდაც იმედი?

ელენ კენიგი: არავითარი.

დამცველი: როგორ ფიქრობთ, რით აიხსნება, რომ ისეთმა ცნობილმა სპეციალისტმა, როგორც განსვენებული სიუზან პარსტენი იყო, მაინც დაუშვა შეცდომა?

ელენ კენიგი: ჩვენთვის, ვინც ლაბორატორიაში მუშაობს, ეს სრულიად გასაგებია. საქმე ისაა, რომ სუბსტანციები „იქსი“ და „იგრეკი“ გარეგნულად სრულიად ერთნაირები არიან. მათ ერთნაირ ჭურჭლებში, მაგრამ აუცილებლად სხვადასხვა ოთახში ვინახავთ. სიუზანი იმ დღეს დიდხანს მუშაობდა და ალბათ გადაიღალა. მან შეცდომით დადგა ჭურჭელი „იქს“ სუბსტანციით იმ ოთახში, სადაც ინახებოდა ჭურჭლები „იგრეკ“ სუბსტანციით. დაიწყო რეაქცია. მერე კი აიღო ის ჭურჭელი და ეგონა, „იგრეკ“ სუბსტანციასთან ჰქონდა საქმე... ცდის დაწყებისას ცხადია, აღმოაჩინა შეცდომა, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე ძალიან გვიან იყო...

შესვენების შემდეგ სასამართლო სხდომა განახლდა. პირველად სიტყვა კვლავ ადვოკატმა ფლიტმა აიღო. მან ითხოვა გამოეძახათ მოწმე მის პიგინსი, ლაბორატორიის სტენოგრაფისტი.

დამცველი: გვიამბეთ, რა მოხდა ლაბორატორიაში 17 ივლისს?

პიგინსი: დოქტორმა ემილ ჰარსტენმა მიგვიწვია თავის კაბინეტში და მითხრა, რაც მომხდარიყო. შემდეგ დოქტორმა სიუზან ჰარსტენმა მთხოვა მაგნიტოფირზე ჩამეწერა მისი ნათქვამი.

დამცველი მიმართავს სასამართლოს თხოვნით, მოისმინოს ეს ჩანაწერი.

სმენადქცეულ დარბაზში გაისმის ახლა უკვე მიცვალებული ქალის ხმა:

— გასულ კვირას, 9 ივლისს, მე საკუთარი გაუფრთხილებლობის გამო შეცდომა დავუშვი... (ჩანაწერის ნაწილი, სადაც სიუზანი ლაპარაკობს მის მიერ ჩატარებულ ცდაზე, — გამოტოვებულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით)... თქვენთვის ცნობილია, რომ ადამიანი, ვინც ასეთ გამოსხივებას გადაიტანს, შვიდი-რვა დღის შემდეგ აუსცილებლად უნდა დაიღუპოს... დღეს, ჩემო მეგობრებო, მეშვიდე დღეა...

სასამართლო დარბაზში დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია; ორი თუ სამი ქალი აქვითინდა...

თავმჯდომარემ სიჩუმე დაამყარა და კვლავ ჩართეს მაგნიტოფონი. ისევ გაისმა სიუზან ჰარსტენის ხმა:

— ჩემსა და ემილს გარდა არავინ იცოდა რა მოხდა... მაგრამ... ჩვენ ყველანი, მეგობრებო, პირველ ყოვლისა, მეცნიერებას ვეკუთვნიტ... თქვენთვის ცნობილია, რომ აქამდე ყველა ექსპერიმენტს მხოლოდ ცხოველებზე ვატარებდით. ჩვენ არ შეგვეძლო დანამდვილებით გვეთქვა, როგორ იმოქმედებდა გამოსხივება ადამიანის ორგანიზმზე... მას შემდეგ, რაც მე შეცდომა დავუშვი, შესაძლებლობა მოგვეცა ზუსტი პასუხი გაგვეცა ამ კითხვაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩაგვეტარებინა ზოგიერთი ცდა ადამიანებზე... ჩემზე... სულ ერთია, მე ხომ მაინც უნდა მომკვდარიყავი. დარჩენილი დღეები მე კიდევ შემეძლო მუშაობა, შემეძლო გამეანალიზებინა, რაც ხდებოდა... მე და ემილმა მივიღეთ ეს გადაწყვეტილება... მე აღარაფერს ვკარგავდი. მეცნიერებისათვის კი ჩვენი ცდები ძალზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო და დარწმუნებული ვარ, არის კიდევაც... ჩვენ მალულად ვმუშაობდით, გვეშინოდა, ვინმეს ხელი არ შეეშალა... ახლა სამუშაო დამთავრებულია. ცდების შედეგები აქ არის, ამ პორტფელში... ვსარგებლობ შემთხვევით და ვაცხადებ, რომ კარგად ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი და არავის დაუტანებია ჩემთვის ძალა...

ჩანაწერი ამით მთავრდებოდა.

ადვოკატმა ფლიტმა მომდევნო მოწმეს, ცნობილ მეცნიერს დოქტორ კურანს მიმართა კითხვით:

დამცველი: თქვენ, დოქტორო კურან, ერთი თვის განმავლობაში სწავლობდით სიუზან ჰარსტენზე ჩატარებული ცდების მასალებს და შედეგებს. როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ამ ექსპერიმენტების დროს მიღებულ ცოდნას ხელი შეუწყოს ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენას ატომური აფეთქებების შემთხვევაში?

კურანი: ეჭვს გარეშეა...

დამცველი: სხვა შეკითხვები თქვენთან არ მაქვს. გმადლობთ. მე ვთხოვ სასამართლოს გამოიძახოს და დაკითხოს დოქტორი ემილ ჰარსტენი.

მოსამართლე აკმაყოფილებს ადვოკატის თხოვნას.

დამცველი: მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, დოქტორო ჰარსტენ, რომ სიუზან ჰარსტენზე ჩატარებულმა ცდებმა მოგეცეს იმ მსხვერპლის შესაფერისი შედეგები, რომელიც თქვენმა განსვენებულმა ცოლმა გაიღო მეცნიერებისათვის?

ემილ ჰარსტენი: ექსპერიმენტების მნიშვნელობის შეფასებულ თქვენ უკვე მოისმინეთ წინა მოწმეებისაგან... მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სიუზანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, მე და სიუზანი დიდხანს ვმსჯელობდით და მრავალჯერ ავწონ-დავწონეთ შექმნილი ვითარება.

პროკურორი ითხოვს სიტყვას.

პროკურორი: დოქტორო ჰარსტენ, მე სხვებთან ერთად აღფრთოვანებული ვარ თქვენი მეცნიერული შრომებით... მაგრამ თქვენ ხომ მხოლოდ მეცნიერი არ ხართ, თქვენ ამავე დროს უბრალოდ ადამიანი, მეუღლე ხართ!.. რას იზამდა ნორმალური ადამიანი, მოსიყვარულე ქმარი, როცა გაიგებდა, რომ მის ცოლს უბედურება შეემთხვა, რომ მას სიკვდილი ელის?! ნუთუ ის მაშინვე, დაუყოვნებლივ არ მოიწვევდა ექიმებს, არ გაუწევდა მას დახმარებას, არ მიმართავდა ყველა, აბსოლუტურად ყველა საშუალებას მის გადასარჩენად?!

ემილ ჰარსტენი: კარგად იყო ცნობილი, რომ სიუზანის გადარჩენა აღარაფრით არ შეიძლებოდა.

პროკურორი: ჩვენ ხშირად გვითხულობთ გაზეთში, რომ ესა თუ ის ადამიანი მაინც გადაურჩა სიკვდილს, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებს მისი მდგომარეობა უიმედოდ მიაჩნდათ... მითხარით, გიყვარდათ თქვენი მეუღლე?..

ემილ ჰარსტენი: დიახ. ძალიან... ჩვენ ერთად ვსწავლობდით, ერთად ვმუშაობდით...

პროკურორი: და თქვენ მაინც გულგრილად გადაწყვიტეთ, მეუღლე ცდის ობიექტად გამოგეყენებინათ?! წარმოუდგენელია!.. აქამდე თქვენ, დოქტორო ჰარსტენ, ამტკიცებდით, რომ ეს გადაწყვეტილება ერთდროულად მიიღეთ, ერთბაშად — ორივემ ერთად!.. მაგრამ ესეც ხომ წარმოუდგენელია! არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ერთი და იგივე აზრი ორ სხვადასხვა ადამიანს ერთდროულად მოუვიდა თავში, — აბსოლუტურად სინქრონულად!.. გვითხარით, რომელი თქვენგანის წინადადება იყო ექსპერიმენტების ჩატარება?..

ადვოკატი ფლიტი ყურები ცქვიტა: მას ყველაზე მეტად ამ შეკითხვისა ეშინოდა.

ემილ ჰარსტენმა დაუფიქრებლად უპასუხა:

— მე შევთავაზე პირველმა!..

— არ არის დამნაშავე!.. — ასეთი განაჩენი გამოიტანა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ.

სამიოდე თვის შემდეგ, ნიუ-იორკის ერთ-ერთი საუკეთესო ოტელის პოლში ადვოკატი ფლიტი დოქტორ ემილ ჰარსტენს შეხვდა. ფლიტს უეცრად ერთი გაბედული აზრი მოუვიდა თავში და, რაც მეტს ფიქრობდა, მით უფრო ადვილად შესაძლებელი ეჩვენებოდა ის.

ფლიტი დაბრუნდა თავის კანტორაში, დაურეკა დოქტორ ჰარსტენს და სთხოვა, მეტად მნიშვნელოვანი საუბრისათვის ნახევარი საათი დამითმეთო. ჰარსტენი თავაზიანად დათანხმდა.

— ამ დღით ოტელში გნახეთ, — უთხრა ადვოკატი ჰარსტენს. — თან დოქტორი ელენ კენიგი გახლდათ... გამოგიტყდებით, თავიდან ვერც კი ვიცანი იგი. მშვე-

ნივრად გამოიყურება, მდიდრულად აცვია, სულ არ ჰგავს იმ მოკრძალებულ ქალს, პროცესზე რომ იყო!.. პირდაპირ ბრწყინავს ბედნიერებისაგან... ქორწილი მალე იქნება?..

— კარზეა მომდგარი, — მშვიდად მიუგო ჰარსტენმა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. პირველად ფლიტმა დაარღვია ~~ტუნიტუნიტუნიტუნი~~ ~~ტუნიტუნიტუნიტუნი~~

— დღეს, ჩვენი შეხვედრის შემდეგ, მე ხელახლა გადავიკითხე თქვენი პროცესის სტენოგრამა... მაშინ სასამართლოს მთელი ყურადღება საქმის მორალური მხარისაკენ იყო მიმართული, არავის გახსენებია მეტად მნიშვნელოვანი დეტალები... კერძოდ, რა მოხდა არა 10 ივლისის შემდეგ, არამედ მანამდე, — ესე იგი 9 ივლისს...

— თქვენ მართალი ხართ, — ძველებური სიმშვიდით უპასუხა ჰარსტენმა.

— დღეს, როდესაც ულენ კენიგთან ერთად გნახეთ, გავიფიქრე, რა ადვილი იქნებოდა თქვენთვის მაშინ, 9 ივლისს, „იქს“ სუბსტანციის ტურჭლის გადადგმა „იგრეკ“ სუბსტანციის სათაფსოში...

— სისულელეა! ელენმა არაფერი იცოდა, მას არ მიუღია ამაში მონაწილეობა! — წამოსცდა ჰარსტენს.

— ოპო, თქვენ მეტისმეტად გულახდილი ხართ, დოქტორ! — თქვა ფლიტმა.

— გულახდილობა მეცნიერისათვის აუცილებელი თვისებაა!.. ან რატომ არ უნდა ვიყო გულახდილი თქვენთან, ფლიტ. რას ვკარგავ?.. ჯერ ერთი, თქვენ ჩემი დამცველი ხართ და კანონის თანახმად, არა გაქვთ უფლება გაახმაუროთ, რასაც კლიენტი გეუბნებათ!.. მეორეც, თქვენ არა გაქვთ ჩემი აღიარების დამამტკიცებელი არავითარი საბუთები და თქვენს მტკიცებას იგივე ფასი აქვს, როგორც ჩემსას... მესამეც, მე ერთხელ უკვე მომხსნეს ცოლის მკვლელობის ბრალდება. ამერიკის შეერთებული შტატების კანონების თანახმად, თუ განაჩენი თავის დროზე არ იქნა გასაჩივრებული, არავის არა აქვს უფლება ხელახლა გამასამართლოს ამისათვის!..

— თქვენგან კარგი ადვოკატი გამოვიდოდა, დოქტორო ჰარსტენ, — უპასუხა ფლიტმა, — რა თქმა უნდა, უკეთ რომ ერკვეოდეთ კანონებში... თქვენ შეცდით, დოქტორო ჰარსტენ. თქვენ ერთბაშად სამი შეცდომა დაუშვით!..

ჯერ ერთი, მას შემდეგ, რაც ის პროცესი დამთავრდა, თქვენ აღარ ხართ ჩემი კლიენტი და მე აღარ ვარ ვალდებული საიდუმლოდ შევინახო თქვენი ნალაპარაკები.

მეორე, თქვენ ალბათ გსმენიათ მინიატურული მაგნიტოფონების შესახებ? ერთერთი მათგანი გამოვიყენე მე ახლა ჩვენი საუბრის ჩასაწერად.

მესამეც, დოქტორო ჰარსტენ, თქვენ გაგასამართლეს იმის გამო, რომ მოკვალით თქვენი ცოლი 10-დან 17 ივლისამდე სიცოცხლისათვის სახიფათო ექსპერიმენტების ჩატარებით. სწორედ ეს ბრალდება მოგეხსნათ. მაგრამ „უბედურება“ (ტურჭლების შეცვლა) თქვენს მეუღლეს 9 ივლისს შეემთხვა?.. ამისათვის თქვენ ჯერ არ გაუსამართლებიხართ. სწორედ ამ ბოროტმოქმედებისათვის მოგიწევთ პასუხისგება სასამართლოს წინაშე...

ოღონდ ამჯერად, მისტერ ჰარსტენ, ჩემი, როგორც დამცველის იმედი ნუ გექნებათ!..

დოქტორმა ჰარსტენმა ამოიღო ქვითრების წიგნაკი და მშვიდად უთხრა:

— დაწერეთ აქ, რამდენად აფასებთ თქვენს მაგნიტოფონს.

ადვოკატი დაფიქრდა. მერე ნელა ამოიღო ჯიბიდან ავტოკალამი.

ეს შენ იყავი... შენ ამჯერად ელვამ დაგასწრო,
და შენი მტერი მკვლარი არის! ჩემიც მკვლარია.
შუცებ აღმოვჩნდი განწმენდილი წმინდა
სხეულთან.

იგი მოვიდა ღრიანკალის ზოდიაქოდან!
მაგრამ ვინ მისცა მოკვდინების უფლება ელვას?



დადასტურება

ვერ დადასტურებს ჯერჯერობით ვერც ერთი სიტყვა,
რომ მიწამ შობა აღამიანი.

მაგრამ ამ სიტყვებს დაკვირვებით ვკითხულობთ მაინც
სუფთა დაფაზე დაწერილი სათაურივით:
არ აუხსნია

გაკვეთილი და
ჩუმად წავიდა მასწავლებელი.

და საუკუნის ღონიერი მოსწავლე ერთი
მოკვდავთა შორის სიკვდილს თესავს,
თვითონ არ კვდება;
წვიმაც გვასველებს,
მაგრამ თვითონ კი არ სველდება!

გვითხარ, ღრმა ქების ამომთხრელო,
ვის შეხვდი ქვემოთ,
წმინდა წყლის ქვემოთ,
მიწისა და სიკვდილის ქვემოთ:
სთქვა,
ნუთუ ამას დადასტურებს ირმის საფლავი,
რომელიც უკვე აბალახდა სამარადისოდ?

ნაკა კოკო

რასა იქმს ნეტავ ოთარ ჭილაძე, თბილის-ქალაქის თბილი პოეტი?
ნეტავი ხელში ისევ უჭირავს წითელი ღვინით სავსე სასმისი
თუ უარს ამბობს მორიგ სასმისზე და ურჩევნია ფხიზელი დარჩეს
და ცას უყუროს წმინდა თვალებით, რომლებიც ყვავებს ყურძნის მარცვლები

ეგონებათ და სამართლიანად არ დაინდობენ... ნეტავი ისევ
 სხვათა და სხვათა ფონზე თუ მოჩანს ნაცნობი თავი პასტერნაკისა —
 საკუთარ ნებით შემართული და საკუთარ ნებით დახრილი თავი —
 და მისი თმები ანტენებივით თუ დაეძებენ საჭირო სიტყვებს —
 ზოგი ოცნებობს მატარებლებში, თვითმფრინავებში ოცნებობს ლოგოპედიკა
 იენისის დღეებს მოაქვთ ფიქრები, სწრაფი და არაჩვეულებრივი...
 ჩვენ კი დავტოვეთ თითოეული საკუთარ თავთან, რადგან გეჰირდება,
 რომ დავიჭიროთ დაადი წამი, ვიდრემდის გაგვეყრის წუთისოფელი.
 გამიგებთ, როგორ გამიხარდება, თუ შემხვდა ისევ ოთარ ჭილაძე
 და ჩემთან ერთად გაიმეორა ამ ლექსის ერთი სტრიქონი მაინც,
 მაგრამ იმასაც კარგად გამიგებთ, ვიცი იმასაც კარგად გამიგებთ,
 როგორ ვიქნები, თუ არ იქნება იგი და კიდევ იმისთანები.



სომეხსაბ მოაბი

თარგმანი ინგლისურიდან
ზაზა ბაჩმეილაძისა

შეჯამება

1

ეს არც ფეოდალიზმია და არც მოგონებათა წიგნი. რაც ცხოვრებაში თავს გადამხდენია, ასე თუ ისე, გამოვიყენე კიდეც ჩემს ნაწერებში. ხანდახან ჩემი განცდა თემადაც მიქცევია და მის დასახატად ათასგვარი შემთხვევა გამომიგონებია. უფრო ხშირად კი შორეული თუ ახლო ნაცნობები ამიღია და ჩემი გმირები მათთვის მიმიმსგავსებია. სინამდვილე და გამოწვევა ისეა გადახლართული ჩემს ნაწარმოებებში, რომ ახლა, როცა ჩემს შემოქმედებას თვალს გადავავლებ ხოლმე, ერთმანეთისგან ვეღარ გამიჩივია. თუმცა, რაღაც მინდა ის ფაქტები აღვწიხსნო, რომლებიც უკვე გამოვიყენე. არცა ვცდილობ მათ გახსენებას. ესეც არ იყო, სინამდვილე მაშინ უფრო მოსაწყენი მოგვიჩვენებოდათ. ჭრელი, მაგრამ ხშირად საინტერესო ცხოვრება მქონდა, თუმცა ვერ ვიტყვი, ფათურაყებით სავსე იყო-მეთქი. ცუდი მეხსიერება მაქვს. ანეკდოტებს ვერ ვიხსენებ, ვიდრე თავიდან არ მომიყვებიან, მერე კი ისე მავიწყდება, რომ ვერ ვასწრებ სხვას მოვუყვე. საკუთარი ხუმრობის დახსომებაც კი ვერ მომიხერხებია და ხშირად იძულებული ვყოფილვარ ახალი მომეგონებინა. კარგად ვიცი, რომ ეს ნაკლი ჩემთან ურთიერთობას ნაკლებ სასიამოვნოს ხდის.

დღიური ჩემს სიცოცხლეში არ მიწერია. ახლა ვნანობ, ნეტა მეწერა-მეთქი, განსაკუთრებით იმ წლებში, როცა დრამატურგიაში პირველი წარმატება მოვაპოვე, რადგან მაშინ ბევრ გამოჩენილ პიროვნებას ვხვდებოდი და ჩემი ჩანაწერი ახლა, შესაძლოა, საინტერესო დოკუმენტი გამხდარიყო. ეს ის დრო იყო, როცა ხალხის ნდობა არისტოკრატთა და მემამულეთა მიმართ შეარყია იმ არეულ-დარეულობამ, რაც მათ გამოიწვიეს სამხრეთ აფრიკაში. არისტოკრატებმა და მემამულეებმა ვერ გაიგეს ეს და ძველებური, დაჯერებული იერი შეინარ-

ჩუნეს. ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის სახლში, სადაც ხშირად მხედებოდა ყოფნა, ჯერ კიდევ ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ბრიტანეთის იმპერიის მართვა მათი პირადი საქმე ყოფილიყო. რაღაც უცნაური გრძობა მიბრუნებდა, მათ ლაპარაკს რომ ვუგდებდი ყურს, — ამ არჩევნების შემდეგ, ქვეყნულად არა ტომს შინაგან საქმეთა სამინისტრო და დასჯერდება თუ არა ~~არა~~ არა სო. არა მგონია ახლა ვინმე კითხულობდეს მისს ჰემფრა უორდის რომანებს, მაგრამ რაოდენ მოსაწყენიც უნდა იყვნენ ისინი, ზოგიერთ მათგანში მაშინდელი მშართველი კლასის ცხოვრება მაინც ძალიან კარგად არის დახატული. მაშინ რომანისტებს ეს ცხოვრება იზიდავდა. მწერალს შეიძლება ლორდი თვალთაც არ ენახა, მაგრამ საჭიროდ თვლიდა ვრცლად მოეთხრო წარჩინებულთა ამბავი. კაცი გაოცდება, მაშინდელა თეატრის აფიშა რომ ნახოს, იმდენი ტიტულიანი პერსონაჟია გამოცხადებული. თეატრის დირექტორებს ეგონათ, ამით მაყურებელს მოვიზიდავთ, მსახიობებს კი მოსწონდათ ამ როლების შესრულება. მაგრამ არისტოკრატების პოლიტიკური მნიშვნელობა ნელ-ნელა დაეცა და მაყურებელსაც მობეზრდა მისი ყურება. თეატრის მოყვარულები მომზადებულნი იყვნენ თავიანთი წრის ცხოვრების სანახავად, — იმ შეძლებული ვაჭრებისა და თანამდებობის პირების ცხოვრებისა, ვინც იმხანად უკვე ქვეყნის საქმეებს განაგებდა. თითქოს დაწესდა კიდევ დაუწერელი კანონი, რომ მწერალს ნაწარმოებში არ უნდა წარმოედგინა ტიტულიანი პირი, თუკი ამას თემა არ საჭიროებდა; და მაინც ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო საზოგადოების დაინტერესება დაბალი კლასების ცხოვრებით. მათ შესახებ დაწერილი პიესები და რომანები ათვალისწინებული იყო. საინტერესოა, ახლა, როცა დაბალმა კლასებმა პოლიტიკური ძალაუფლება მოიპოვეს, გამოიჩინეს თუ არა ფართო საზოგადოება ისეთივე ინტერესს მათი ცხოვრებისადმი, როგორსაც დიდხანს იჩენდა ტიტულიანთა, ერთხანს კი შეძლებული ბურჟუაზიის ცხოვრების მიმართაც?

იმ წლებში ბევრ ისეთ კაცს შევხვედრებოდა, რომელსაც თავისი წოდების, სახელის თუ მდგომარეობის გამო შეეძლო დარწმუნებით ეფიქრა, რომ ისტორიულ პირად გახდომა ეწერა. მაგრამ ისინი არც ისეთი ბრწყინვალენი აღმოჩნდნენ, როგორც წარმოდგენაში მეხატებოდა. ინგლისელები პოლიტიკოსთა ვრცა და მეც ხშირად ვტრიალებდი ისეთ ოჯახებში, სადაც პოლიტიკა მთავარი სალაპარაკო თემა იყო. მაგრამ სახელგანთქმულ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის არ მინახავს ვინმე განსაკუთრებით ნიჭიერი. ამიტომ, შეიძლება ცოტა ნაჩქარევადაც, დავასკვენი, რომ ქვეყნის სამართავად დიდი ჭკუა არ არის საჭირო. შემდეგშიც, სხვადასხვა ქვეყნებში ვხვდებოდი საკმაოდ ბევრ მაღალი თანამდებობის პირს და კვლავაც გაოცებული ვრჩებოდი იმით, თუ რაოდენ ჩვეულებრივი და საშუალონი იყვნენ ისინი. ცხოვრების უბრალო საკითხებზე წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ და იშვიათად თუ შემომჩნევია რომელიმე მათგანისათვის მახვილი ჭკუა ან ცხოველი წარმოდგენა. ერთხანს მეგონა, თავიანთ სახარბიელო მდგომარეობას მჭევრმეტყველების ნიჭს უნდა უმაღლოდენმეთქი, რადგან დემოკრატიულ საზოგადოებაში წარმოუდგენელია მოიპოვო ძალაუფლება, ხალხის ყურადღება თუ ვერ მიიპყარი. მეტყველების ნიჭს კი, მოგეხსენებათ, ხშირად თან არ ახლავს აზროვნების ძალა. მაგრამ ვინაიდან მინახავს ისეთი სახელმწიფო მოღვაწენი, რომლებიც, ჩემი აზრით, დიდი ჭკუით არ

გამოირჩეოდნენ და საზოგადო საქმეებს კი კარგად წარმართავდნენ, მეტი რა
გზა იყო, ვიდრე, ვცდები-მეთქი. როგორც ჩანს, ქვეყნის მართვას საგანგებო
ნიჭი ესაჭიროება, რომელიც შეიძლება კარგად შეუთავსდეს საერთო უნიჭობას.
იმავე დროს ვიცნობდი საქმოსნებს, რომლებმაც დიდძალი სიმდიდრე შეიძენეს
ქვს და უზარმაზარ საწარმოებსაც კარგად მართავდნენ, ხოლო სხვებმა მათთან
მათ საქმიანობას არ ეხებოდნენ, ერთი უბრალო სადი აზრიც არ გააჩნდათ.

არც მაშინ მოსმენილი საუბრები იყო ისე ჰკვირანური, როგორც მოველო-
და. ბევრ საფიქრალს არ იძლეოდა. მსუბუქი იყო, მაგრამ ყოველთვის კი არა,
თანაც მხიარული, სასიამოვნო და ზერელე. სერიოზულ საკითხებს არ ეხებოდ-
ნენ. ითვლებოდა, საჯაროდ მათზე ლაპარაკი, ცოტა არ იყოს, უხერხუ-
ლიაო. შიშობდნენ საუბარი ძალიან „პროფესიული“ არ გამოსულიყო და ეს
აიძულებდათ არ ელაპარაკათ მათთვის ყველაზე საინტერესო თემებზე. როგორც
მაშინ შემეძლო განმესაჯა, საუბარი ზრდილობიან ხუმრობას ოდნავ თუ სცილ-
დებოდა და იშვიათად თუ გაიგონებდი ისეთ ენამოსწრებულ რასმე, რომ გასა-
მეორებლად ღირებულიყო. კაცი იფიქრებდა, კულტურის ერთადერთი დანიშ-
ნულებაა, ადამიანებმა სერიოზული სახით სისულელე ილაპარაკონ. ჩემს ნაც-
ნობათაგან ყველაზე საინტერესო და იშვიათი მოუბარი იყო ედმუნდ ვოსი.
ძალზე ბევრი რამ ჰქონდა წაკითხული, თუმცა, როგორც ჩანს, არცთუ დიდი
ყურადღებით. უალრესად დახვეწილი საუბარი იცოდა. გასაოცარი მეხსიერება
ჰქონდა, იუმორის მახვილი გრძნობა და რაღაც გაბოროტება. სუინბერნს პირა-
დად კარგად იცნობდა და მის ამბავს დამაჯერებლად ჰყვებოდა. მაგრამ ამავე
დროს ისე ლაპარაკობდა შელიზე, რომელიც არაფრით არ შეიძლება პირადად
სცნობოდა, — თითქოს მისი გულითადი მეგობარი ყოფილიყოს. მრავალი წლის
მანძილზე ბევრ გამოჩენილ პირს გასცნობოდა. მე მგონია, პატივმოყვარეც უნ-
და ყოფილიყო და მათი უცნაურობანი სიამოვნებას ჰკვრიდა. დარწმუნებული
ვარ მათ უფრო საინტერესო ადამიანებად გვიხატავდა, ვიდრე ნამდვილად
იყვნენ.

2

ყოველთვის მიკვირდა იმ ხალხისა, ვისაც ასე უყვარს გამოჩენილ პირებ-
თან შეხვედრა. პრესტიჟი, რომელსაც აღწევ შენს მეგობართა თვალში, აქაოდა
გამოჩენილ ადამიანებს ვიცნობო, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ თავად არა-
ფერს წარმოადგენ. ცნობილ პირებს გამომუშავებული აქვთ ხალხთან ურთი-
ერთობის წერხები. ქვეყანას თითქოს ნიღბით ევლინებიან, — ხშირად ძალიან
შთამბეჭდავი ნიღბითაც, — და თან ცდილობენ თავიანთი ნამდვილი სახე დამა-
ლონ. ისინი ასრულებენ იმ როლს, რასაც მათგან მოელოდნენ, და თანდათან სულ
უფრო უკეთ თამაშობენ. მაგრამ არ გაბრიყვდეთ და არ გეგონოთ ეს წარმოდ-
გენა ამ ადამიანთ შინაარსს შეესაბამებოდეს.

გულითადად მინდობილი მხოლოდ ძალიან ცოტა ვინმესთან თუ ვყო-
ფილვარ. ხალხი საერთოდ მაინტერესებს არა თავისთავად, არამედ ჩემი საქმი-
სათვის. ჩემთვის ადამიანი არ არის ის, რასაც კანტი გვეუბნება — თავის თავში
მოთავსებული საგანი, ადამიანი ჩემთვის ის მასალაა, რომელიც გამომადგება

როგორც მწერალს. თანაც უფრო უცნობები მაინტერესებს, ვიდრე ცნობილი ადამიანები. უცნობები უფრო თავისთავადები არიან. მათ არ სჭარბებთ შექმნან ხელოვნური ზღუდე, რომ თავი დაიციონ ამ ქვეყნისაგან ან დიდი შთაბეჭდილება მოახდინონ მასზე. მათი ხასიათის თავისებურება უფრო მთავრად ვითარდება მოქმედების განსაზღვრულ სფეროში და რადგან მსგავსი ადამიანები არ არიან ჩვენთან, აზრადაც არ მოუვათ რაიმე დამალონ. აშკარად ავლენენ თავიანთ ახირებულ ხასიათს, რადგან არც კი წარმოუდგენიათ, რომ ახირებულნი არიან. ჩვენ, მწერლებმა, სწორედ უბრალო ხალხთან უნდა დავიჭიროთ საქმე. მეფეები, დიქტატორები, მრეწველი მაგნატები ვერ დაგვაკმაყოფილებენ. ბევრ მწერალს წასძლია სულმა და წიგნები დაწერა მათ შესახებ, მაგრამ იმ მარცხმა, რომელიც თან მოჰყვა ამ ცდებს, გვიჩვენა, რომ ეს ხალხი გამოჩაქვლისი ყოფილა და არ იძლევა არავითარ საფუძველს ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად. მათ ნამდვილ ადამიანებად ვერ აქცევ. აი, ჩვეულებრივი კაცი კი მდიდარ მასალას გაწვდის. მისი მოულოდნელობა თუ განუმეორებლობა, მისი უსაზღვრო ნაირფეროვნება, დაუსრულებელ მასალას იძლევა. დიდი კაცი ხშირად ერთი მთლიანი მასალისაგან არის გამოჭრილი, პატარა კაცი კი წინააღმდეგობრივი ელემენტების კვანძია. ის ამოუწურავია. ბოლო არ უჩანს იმ მოულოდნელობას, რომელიც მას ყოველთვის აქვს თქვენთვის შემონახული. მე რომ მკითხვით, უფრო მეტი სიამოვნებით გავატარებდი ერთ თვეს უკაცრიელ კუნძულზე ვქიმ ვეტერინართან, ვიდრე პრემიერ მინისტრთან ერთად.

3

ამ წიგნში მინდა შევეცადო და წესრიგში მოვიყვანო ყველა ის აზრი, რაც კი ცხოვრების მანძილზე მალეღვებდა. აქამდე ჩემი დასკვნები ისე დაჰქროდნენ გონებაში, როგორც დაღუპული გემის ნამსხვრევები ბობოქარ ზღვაში. ყოველთვის მეგონა, თუ ამ აზრებს ქაღალდზე გადავიტან, უფრო ნათლად დავინახავ, მაინც რა აზრები მქონია და ეგებ თანმიმდევრობაც აღმოვაჩინო-მეთქი. ეს ფიქრი დიდხანს მიტრიალებდა თავში და არა ერთი და ორი ხანგრძლივი მოგზაურობის წინ გადამიწყვეტია საქმეს შევდგომოდი. იდეალური შემთხვევაც მომცემია, მაგრამ ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ თურმე იმდენი შთაბეჭდილება მოზღვავებულა, იმდენი საოცარი რამ მინახავს და იმდენ ხალხს დაუპყრია ჩემი გონება, რომ ფიქრის დრო აღარა მქონდა. იმდენად ცოცხლად განვიცდიდი აწმყოს, რომ ველარ ვახერხებდი ინტროსპექტულად აზროვნებას.

ის მოსაწყენი აზრიც მამრკოლებდა, რომ ვალდებული ვიყავი ჩემი საკუთარი ნაფიქრი გადმომეცა. მართალია, თავი წიგნის გმირად შემეძლო წარმომედგინა. ასეთი რამ აღრე მიცდია კიდევ, როცა პირველი პირით დამიწერია რომანი. დიდი ხნის წინათ გამომუშავებული ჩვევის წყალობით, გაცილებით უკეთ მეხერხება ჩემს მიერ გამოგონალი გმირების პირით ვილაპარაკო. იმას გადაწყვეტა უფრო მეადვილებოდა, თუ რას იფიქრებენ სხვები, ვიდრე იმისა, თუ რას ვფიქრობდა მე თვითონ. პირველი ყოველთვის სიამოვნებას მგვრიდა, მეორე კი ისეთი მძიმე სამუშაო იყო, რომელსაც დიდი ხალხისით გადავდებდა

ხოლმე გვერდზე. ახლა კი ნამდვილად ვეღარ გადავდებ ამ საქმეს. ახლგაზ-
რდობის წლები ისე მიიზღაზნება, რომ არა გჯერა, თუ როდესმე გარბეუბა.
შუახნის კაცაც იმედით შეჰყურებს ცხოვრებას და თავს ადვილად იმართლებს,
გასაკუთებელი ბევრია, მაგრამ ხალისი არა მაქვსო. მაგრამ ბოლოსმდე მარტოს
დგება დრო, როდესაც სიკვდილს ანგარიში უნდა გაუწიო. ~~ღმრთა~~ ~~ღმრთა~~ ~~ღმრთა~~ ~~ღმრთა~~
შენი ტოლებიც მიდიან. ვიცი, რომ ყველა აღამიანი მოკვდავია (სოკრატე
აღამიანი იყო. მაშასადამე... და ასე შემდეგ), მაგრამ ჩვენთვის ეს მხოლოდ
ლოგიკური წანამძღვარია და მეტი არაფერი, ვიდრე თვითონ არ შევიცნობთ.
რომ საგანთა ჩვეულებრივი მსვლელობის წყალობით დასასრულს ვერაფერი
შეაჩერებს. „ტაიმისი“ გარდაცვალებულთა სიაში უბრალო ჩახედვაც კი მა-
ფიქრებინებს, რომ სამოცი წელი საკმაოდ არაჯანსაღი ასაკია. ხშირად მიფიქ-
რია, ძალიან მეწყინება, ისე თუ მოგკვდი, რომ ეს წიგნი დაუწერელი დამრჩა-
მეთქი და ამიტომ დაყოვნება აღარას მარგებს. აი, როდესაც დავამთავრებ, მო-
მავალს გულდამშვიდებით გავხედავ. — ჩემი ცხოვრების მთელი სამუშაო დამ-
თავრებული მექნება. აღარ შეიძლება ვარწმუნო თავი, საამისოდ მზად არა
ვარ-მეთქი, რადგან თუ ახლავე არ მოვიფიქრე, რასა აქვს ჩემთვის მნიშვნე-
ლობა და რას არა, მერე უკვე ნაკლები იმედია მოვიფიქრო. მობარული ვარ,
რომ ბოლოს და ბოლოს თავს ვუყრი ყველა იმ აზრს, რომლებიც ბედის ანაბარა
დაქროდნენ ჩემი ცნობიერების სხვადასხვა კუნჭულში. როდესაც ყოველივეს
ჩამოეწერ და თავიდან მოვიშორებ, ჩემი გონება გათავისუფლდება და შემეძ-
ლება უკვე სხვა რამით ვასაზრდოო იგი. იმედი მაქვს ეს არ იქნება ჩემი უკანას-
კნელი წიგნი. კაცი არ კვდება მაშინვე, როგორც კი ანდერძს შეადგენს. ანდერძს
ყოველი შემთხვევისათვის ადგენენ ხოლმე. საქმეთა მოწესრიგება კარგი სამ-
ზადისია იმისათვის, რომ ცხოვრების მომდევნო ხანა უზრუნველად გაატარო.
როცა ამ წიგნს მოვრჩები, მერე გამოჩნდება, რას მოვეკიდო. მაშინ შემეძლება
როგორც მინდა ისე გავატარო ის წლები, რაც ცხოვრების დასასრულამდე
დამრჩენია.

4

ცხადია, ამ წიგნში ბევრ ისეთ რასმე ვიტყვი, რაც ადრევე მითქვამს. სწო-
რედ ამიტომ დავარქვი ჩემს წიგნს „შეჯამება“. როდესაც მოსამართლე აჯამებს
საქმეს, ის იმეორებს ყველა იმ ფაქტს, რაც დადგენილ იქნა მსაჯულთა წინაშე
და შენიშვნებს უკეთებს ბრალმდებლისა და დამცველის გამოსვლებს. ახალი
საბუთები აღარ მოაქვს. რადგან წიგნებში მთელი ჩემი ცხოვრება ჩავაქსოვე,
ბუნებრივია, რომ ჩემი სათქმელის უმეტესი ნაწილიც მათშია მოთავსებული.
ძალიან ცოტა რამ იქნება აქ ისეთი, რასაც, სერიოზულად თუ ზერელედ, ადრე-
ვე არ შევხებივარ. ერთადერთი რამ შემიძლია აქ ვცადო: გადმოგცეთ ჩემი
გრძნობებისა და აზრების მწკობრი სურათი. აქა-იქ შესაძლოა ცოტა უფრო მეტ
ხანს შევჩერდე, რათა რომელიმე აზრი განვავითარო, რადგან პროზასა და დრამა-
ში მოქმედ შეზღუდვათა მიზეზით წინათ მხოლოდ გაკვრით შემძლება მასზე
ლაპარაკი.

ეს წიგნი ეგოცენტრისტული უნდა იყოს. ის ეხება სხვადასხვა საგნებს,

რომლებიც მნიშვნელოვანია ჩემთვის და მეხება მე თვითონ. მხოლოდ მე შემიძლია ეს საგნები განვიხილო ისე, როგორც ისინი მოქმედებდნენ ჩემზე. ამ წიგნში ჩემს ცხოვრებას არ აღწერ. სულაც არ მეპიტნავენ ვინმეს გული გადავუშალო. მკითხველთან ინტიმური კონტაქტის დამყარებას არსებობს ისეთი რამ, რასაც ვერავის გავუზიარებ. არავის ძალზე ვთხოვ, თუ რა რამეზე სრული სიმართლე თქვას. ვისაც კი უცდია ასე გაეკეთებინა, ხელი შეუშალა არა მარტო პატივმოყვარეობამ, არამედ თვით მისი ინტერესის მიმართულეობამაც: თავის თავის მიმართ იმედი გასცრუებია ან გაოცებულა, თითქოს რაღაც არაბუნებრივი ჩაედინოს, და გაუზვიადებია სრულიად ჩვეულებრივი ამბები. რუსომ თავის „აღსარებაში“ აღწერა შემთხვევები, რომლებმაც მთელი კაცობრიობის გრძნობები აღაშფოთა. თავისი გულწრფელობით მან გააყალბა ამ შემთხვევათა ფასი და წიგნში გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა, ვიდრე ნამდვილად ჰქონდათ. მის უამრავ შემთხვევათა შორის იყო ისეთებიც, რომელთაც ამალღებული ან ნეიტრალური მაინც შეიძლება ეწოდოთ, მაგრამ სწორედ ისინი გამოტოვა, რადგან მეტად უბრალო ეჩვენა და აღნიშვნის ღირსად არ ჩათვალა. არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთ კეთილ საქმეებს ყურადღებას არ აქცევენ და ცუდის ჩადენით კი იტანჯებიან. სწორედ ამ ტიპის ადამიანები წერენ უმეტესად თავის თავზე. კარგ თვისებებზე სდუმან და ამიტომ სუსტ, უპრინციპო და მანკიერ პიროვნებებად გვეჩვენებიან.

5

ამ წიგნს იმიტომ ვწერ, რომ დავახსნა თავი ათასი ფაქრისაგან, რომელაც გულზე ლოდივით მაწევს და მაშფოთებს. მერწმუნეთ, არავის მოქცევას არ ვაპირებ. ჭკუის დარიგების უნარს მოკლებული ვარ და თუ რამ ვაცი, არავითარი სურვილი არა მაქვს სხვას გავუზიარო. ჩემთვის სულ ერთია, ვინმე შეთანხმება თუ არა. რა თქმა უნდა, ჩემი სიმართლე მჯერა, — ასე რომ არ იყოს, ისე არ ვიფაქრებდი, როგორც ვფიქრობ. ისიც მჯერა, რომ სხვები ცდებიან, მაგრამ, მართალი მოგახსენოთ, დიდად არ განვიცდი მათ შეცდომებს. არც ის მაწუხებს მაინცდამაინც, რომ ჩემი მსჯელობა უმრავლესობის მსჯელობისაგან განსხვავდება. რაღაცნაირად ვენდობი საკუთარ ინსტინქტს.

მე ისე უნდა ვწერო, თითქოს დიდი ვინმე ვყოფილვარ; და მართლაც დიდი ვინმე ვარ, — ოღონდ ჩემთვის. ჩემთვის მე ყველაზე დიდი პიროვნება ვარ მთელ ქვეყანაზე, თუმცა არც ის მაგიწყდება, აბსოლუტის დიად კონცეფციასაც რომ არ გავუწიო ანგარიში და სალი გონებით განვსაჯო, სულაც არაფერს წარმოვადგენ. სამყაროს ბევრი არაფერი დააკლდებოდა, სულ რომ არ გავჩენილიყავ ამქვეყნად. შეიძლება ვინმეს ეგონოს, ეს კაცი იმიტომ წერს ასე, რომ სურს თავის ზოგიერთ ნაწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭოსო. ნამდვილად კი ისინი მხოლოდ ჩემთვის არიან საჭირონი, რათა ხანდახან მოვიხსენიო რომელიმე საკითხთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ მხოლოდ ზოგიერთ სერიოზულ ავტორს (მე არ ვგულისხმობ მარტო სერიოზული ამბების მთხრობელ ავტორებს) არ აინტერესებს, როგორი იქნება მისი ნაწარმოებების ბედი მისი სიკვდილის შემდეგ. სასიამოვნოა, თუ მიაღწევ

არა უკვდავებას (რადგან უკვდავებამ ბევრი-ბევრი გასტანოს რამდენიმე საუკუნეს, და ესეც უმეტესად სასკოლო სახელმძღვანელოს უკვდავებაა), არამედ იმას, რომ რამდენიმე თაობამ ინტერესით წაიკითხოს შენი ნაწერები, და მოეპოვოს თუნდაც პატარა ადგილი შენი ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში. შეგეხება მე, ამ შესაძლებლობას უნდობლად ვუყურებ. ჩემს სიცოცხლეშიც კი მინახავს მწერლები, რომლებმაც ჩემზე მეტს მიაღწიეს ლიტერატურის სარბიელზე და ახლა კი მივიწყებულნი არიან. როცა ახალგაზრდა ვაყავი, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ჯორჯ მერედითსა და ტომას ჰარდის დიდი ხნის სიცოცხლე ეწერათ. დღევანდელ ახალგაზრდობას კი ისინი აღარაფრად მიაჩნია. დროდადრო უეჭველია გამოჩნდება ასეთი კრიტიკოსი, რომელიც თემის ძიებაში დაწერს წერილს მათ შესახებ, და ზოგიერთი მკითხველი წავა და გამოიტანს ბიბლიოთეკიდან ერთ-ორ მათ წიგნს, მაგრამ ვფიქრობ ამკარაა, რომ არც ერთი მათი ნაწარმოები ისე არ წაიკითხება, როგორც „გულავერის მოგზაურობა“, „ტრისტრამ შენდი“ და „ტომ ჯოუნსი“.

თუ მომდევნო ფურცლებზე ცოტა დოგმატიკური მსჯელობა გამომივიდა, ეს იმის ბრალი იქნება, რომ ძალიან მოსაბეზრებელია ყოველ ფრაზას წინ უსწრებდეს გამოთქმა „მე ვფიქრობ“ და „ჩემი აზრით“. ყველაფერი, რასაც მე ვამბობ, მხოლოდ ჩემი აზრია. მკითხველს შეუძლია დამეთანხმოს ან არ დამეთანხმოს, თუ ის გამოიჩენს მოთმინებას და განაგრძობს კითხვას, დაინახავს, რომ მხოლოდ ერთი რამ ვირწმუნე: ამქვეყნად არაფრის მიმართ არ შეიძლება იყო დარწმუნებული.

6

როდესაც წერა დავიწყე, ისე ვწერდი, გეგონებოდათ მთელი ჩემი სიცოცხლე სხვა არაფერი მეკეთებინოს. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში. ღმერთმანი, გაოცებული ვარ, როგორ გავხდი მწერალი. საამისოდ არავითარი მიზეზი არ გამაჩნდა, გარდა იმისა, რომ მქონდა დაუძლეველი მიდრეკილება წერისადმი. საიდან გამიჩნდა ეს მიდრეკილება, არ ვიცი. ის წელზე მეტხანს ჩვენი ოჯახი იურისპრუდენციას მისდევდა. „ეროვნულ ბიოგრაფიულ ლექსიკონს“ თუ დავუჯერებთ, სამართლის გაერთიანებული საზოგადოება ორმა კაცმა დააფუძნა, ხოლო პაპაჩემი ერთი მათგანი იყო. ბრიტანეთის მუზეუმის კატალოგში მოიპოვება მისი იურიდიული ნაშრომების გრძელი სია. მხოლოდ ერთი წიგნი დაუწერია სხვა ხასიათისა. ეს იყო ესეების კრებული, რომელიც მას თავისი დროის სხვადასხვა სოლიდურ ჟურნალში დაუბეჭდია ანონიმურად, როგორც იმ დროს იყო წესად მიღებული. ერთხელ ხელში მეჭირა ეს ლამაზი წიგნი, ხბოს ტყავისაგან გაკეთებული ყლით, მაგრამ არ წამიკითხავს. მერე კი ის წიგნი ვერ იქნა და ველარ ვიშოვე. ახლა ვნანობ, რადგან შემეძლო გამეგო მაინც, რა კაცი იყო პაპაჩემი. დიდი ხნის განმავლობაში ჩენსერი ლეინზე ცხოვრობდა, რადგან მის მიერვე დაარსებული საზოგადოების მდივანი იყო, ხოლო როცა გადადგა და დასახლდა კენსინგტონ გოურზე, — იმ სახლში, რომელიც ჰაიდ პარკს გადაჰყურებს, — საჩუქრად მაართვეს ლანგარი, ჩაისა და ყავის ჭურჭელი და ბრტყელი ლარნაკი. ყველაფერი ვერცხლისა იყო, ისეთი მძიმე

და მოჩუქურთმებული, რომ მისმა შთამომავლობამ აღარ იცის, რა მოუხერხოს მათ. ერთმა მოხუცმა ვეჭილმა, რომელსაც ბავშვობისას ვიცნობდი, დამბოკლერკის შეგირდი ვაყავი და ერთხელ პაპაშენთან სადილად მიმამატრეესო. პაპაჩემმა შემწვარი ხორცი დაჭრა და მსახურმა მას კანიანად შემწვარი კარტოფილი მიართვა. ცოტა რამ თუ სჯობია კანიანად შემწვარი კარტოფილს კმას, განსაკუთრებით ბლომად კარაქით, პილპილითა და მარილით. პაპაჩემი კი თურმე სხვანაირად ფიქრობდა. წამომდგარა სუფრის თავში და კარტოფილი კედლებზე დაკიდული სურათებისათვის სათითაოდ დაუშენია. შემდეგ ხმაამოუღებლივ დამჯდარა და სადილი გაუგრძელებია. იმ კაცს ვკითხე, დანარჩენებს რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა-მეთქი, და მიპასუხა, არავის მიუქცევია ყურადღებამ. მანვე დასძინა, რომ თავის სიცოცხლეში პაპაჩემზე უფრო მახინჯი და ტანდაბალი კაცი არ ენახა. ერთხელ წავედი ჩენსერი ლეინზე სამართლის გაერთიანებული საზოგადოების შენობაში, რომ შენახა, მართლა ასეთი მახინჯი იყო თუ არა. იქ მისი პორტრეტი აქვთ. თუ იმ მოხუცმა მართალი მითხრა, მაშინ მხატვარი დიდი მლიქვნელი ვინმე ყოფილა, რადგან მას პაპაჩემისათვის მუქი, ლამაზი თვალები დაუხატავს შავი წარბების ქვემოთ. თვალებში ოდნავ დამცინავი ნაპერწკალი უკრთის. მტკიცე ნიკაბი ჰქონია, სწორი ცხვირი და სქელი, წითელი ტუჩები. ხოლო შავი თმა ისე მოხდენილად აქვს გაშლილი, როგორც მისს ანიტა ლუსს. ხელში ბატის ფრთა უჭირავს და გვერდით საკუთარი წიგნები უწყვია. თუმცა მუქი ქურთუკი აცვია, არც ისეთი რესპექტაბელური შესახედავია, როგორსაც მოველოდი. უფრო ეშმაკური გამოხედვა აქვს. რამდენიმე წლის წინ, როცა ერთ-ერთი მისი გარდაცვლილი ვაჟიშვილის, ბაძაჩემის ქალადღებს ვანადგურებდი, პაპაჩემის ახალგაზრდობის დღიურს წავაწყდი. ახალგაზრდობისას, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, უმოგზაურია საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში. მაშინ ასეთ მოგზაურობას მცირე ტურს უწოდებდნენ. მაგონდება, როგორ აღწერდა არც თუ ისე შთაბეჭდავ წყალვარდნილს რაინზე, შაფჰაუზენის ახლოს, და მადლობას უძღვნიდა ყოვლისშემძლე უფალს, რომ შექმნა ეს „გასაოცარი ჩანჩქერი“ და მისცა „თავის საბრალო ქმნილებებს საშუალება შეეგნოთ საკუთარი უსუსურობა მისი ყოვლისშემძლე, დიადი შემოქმედების წინაშე“.

7

აღრე დავობლდი. დედა რვა წლისას მომიკვდა, მამა — ათისას. ასე რომ, მათ შესახებ ცოტა რამ ვიცი და ისიც სხვებისაგან გაგონილი. მამაჩემს რატომღაც დაუოკებელი მისწრაფება ჰქონია გამოუცნობისაკენ, ისეთივე, როგორც მის შვილს გამოჰყვა. ამიტომაც წავიდა პარიზში და ბრიტანეთის საელჩოში იურისკონსულტად დადგა. მისი სამუშაო კანტორა სწორედ საელჩოს წინ იყო, ფობურ სენ-ონორეზე. მაგრამ ავენიუ დ'ანტენზე ცხოვრობდა. ეს განიერი ქუჩა გახლდათ. ქუჩის ორივე მხარეს წაბლის ხეები იყო ჩამწკრივებული, რომ პუენის მოედნიდან მოყოლებული. მამაჩემი თავისი დროისათვის დიდი მოგზაური იყო. ყოფილა თურქეთში, საბერძნეთში, მცირე აზიასა და მაროკოში — ფესამდე. იქ კი იშვიათად თუ ჩავიდოდა ვინმე. მოგზაურთა წიგნე-

ბის მოზრდილი ბიბლიოთეკის პატრონი იყო და ავენიუ დ'ანტენზე სასულიერო გავსე-
ბული ჰქონდა მოგზაურობიდან ჩამოტანილი ნივთებით. აქ იყო ტანისა პა-
ტარა სტატუები, როდოსული თიხის ნაწარმი და თურქული ბეჭუთები, მდიდ-
რულად მოჭედილი ვერცხლის ვადებით, ორმოცისა იყო, რომელთა შორის შე-
ერთო, მასზე ოცი წლით ახალგაზრდა ქალი, დედაჩემი ძალიან ლამაზი ყოფი-
ლა, მამაჩემი კი — მახინჯი. მომიყენენ, რომ პარიზში მათ მზეთუნახავს
და ურჩხულს ეძახდნენ, დედაჩემის მამა ჯარში მსახურობდა, ანდოეთში
გარდაიცვალა და დაქვრივებულმა დიდდედაჩემმა ჯერ კარგა მოზრდილი მემ-
კვიდრობა გაანიავა, მერე კი პარიზში დასახლდა და პენსიით ცხოვრობდა.
მტკიცე ხასიათის ქალი უნდა ყოფილიყო და საკმაოდ ნიჭიერიც, რადგან რომა-
ნებს წერდა ფრანგულად, ახალგაზრდა ქალიშვილთათვის და სალონებასათვის
მუსიკას თხზავდა. მინდა ვივარაუდო, რომ მის რომანებს კითხულობდნენ, ხო-
ლო მის რომანსებს მღეროდნენ ოქტავ ფუიეს კეთილშობილი ქალბატონები.
მისა პატარა ფოტოსურათი მაქვს შემონახული, სურათზე შუა ხნის ქალია გა-
მოსახული. ქალს ხაბარდინი კაბა აცვია, ლამაზი თვალები აქვს და სახეზე
კეთილი ღიმილი დასთამაშებს. დედაჩემი პატარა ტანისა იყო, დიდი თაფ-
ლისფერი თვალები და მოწითალო ოქროსფერი თმა ჰქონდა, მიწიდიველი ნაკ-
ვთები და შესანიშნავი კანი. ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ერთ-
ერთა მისი საუკეთესო მეგობარი იყო ლედი ენგლსი, ამერიკელი ქალი, რომე-
ლიც ღრმად მოხუცი გარდაიცვალა არც ისე დიდი ხნის წინათ. მან ერთხელ
მიაშბო, დედაშენს ასე ვუთხარი: „ასე ლამაზი ქალი ხარ და ამდენი თაყვანის-
მცემელიც გახვევია, რატომ ხარ ამ ჩია კაცის, შენი ქმრის ერთგული?“
დედაშენმა მიპასუხა: ეს კაცი არასდროს შეურაცხყოფს ჩემს გრძნო-
ბებსო.

მისი ერთადერთი წერილი, რომელიც მინახავს, ბიძაჩემის სიკვდილის შემ-
დეგ ქალაქების ქუჩის დროს აღმოვაჩინე. ბიძაჩემი მღვდელი იყო და დედა-
ჩემი სთხოვდა, ერთ-ერთი ვაჟიშვილის ნათლია იყავითო. დედაჩემი უბრალოდ
და მოკრძალებით იმედოვნებდა, როგორც სასულიერო პირი, ამ ნათესაობით
ისეთ გავლენას მოახდენთ ბავშვზე, რომ კეთილი და ღვთისმოსავი გაიზრდე-
ბათ. დედაჩემი რომანების ტრფიალი გახლდათ. ავენიუ დ'ანტენზე მღვდარე
სახლის საბილიარდო ოთახში ორი დიდი კარადა ედგა ტაუხნიცის გამოცემის
წიგნებით გატენილი. ჭლეჭი სჭირდა. მაგონდება, როგორ იდგა ჩვენს კარებთან
ვირების რიგი, რძის მოსაწველად რომ მოჰყავდათ. ვირის რძე იმ დროს უებარ
წამლად ითვლებოდა ჭლეჭიანებისათვის. ზაფხულობით ვცხოვრობდით დო-
ვილში, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მოდური კურორტი. მეთევზეთა
ამ პატარა სოფელს უფრო კონტა ტრუვილი ჩრდილავდა. დედაჩემის სიცოცხ-
ლის რამდენიმე უკანასკნელი ზამთარი პოში გავატარეთ. ერთხელ ლოგინად
ჩავარდნილმა, როგორც ჩანს, სისხლის დებანებით დასუსტებულმა, იგრძნო,
რომ დიღხანს ვეღარ იცოცხლებდა და იფიქრა, ჩემს შვილებს, როცა წამოიზ-
რდებიან, არ ეცოდინებათ, რანაირად გამოიყურებოდა მათი დედა სიკვდილის
წინათ. ამიტომ მოახლეს მოუხმო, თეთრი ატლასის საღამური კაბა ჩაიცვა და
ფოტოგრაფთან წავიდა. ექვსი ვაჟი ჰყავდა და ბუცელს კი გადაყვა. ეჭიმებს იმ
დროს ეგონათ, ჭლეჭიან ქალს მშობიარობა უხდებოთ. სწორედ ოცდათვრამეტი
წლისა იყო.

დედაჩემის სიკვდილის შემდეგ მისი მოახლე გახდა ჩემი გადია. იქამდე მუდამ ფრანგი აღმზრდელეები მყავდა და ფრანგულ დაწყებით სკოლაშიც მიმავარეს. ინგლისურს ცუდად ვლაპარაკობდი. მიამბობდნენ, რომ ერთხელ, როდესაც მატარებლის ფანჯრიდან ცხენი დავინახე, წამოვიძახე: *Regardez, maman, voilà un'orse*“.

ეტყობა, მამაჩემი რომანტიკული ბუნების კაცი უნდა ყოფილიყო. გადაწყვიტა სახლი აეშენებინა იქ, სადაც ზაფხულობით ვიცხოვრებდით. პატარა ნაკვეთი იყიდა სურსენის გორაკზე. იქიდან შესანიშნავი ხედი იშლებოდა დაბლობზე, ხოლო შორს პარიზიც მოჩანდა. მდინარისკენ გზა ჩადიოდა და ნაპირზე პატარა სოფელი იყო. სახლი ბოსფორზე მდგარ ვილას უნდა დამგვანებოდა. ზემო სართულს ლოჯიები ერთყა გარშემო. მე და მამაჩემი ყოველ კვირას ჩამოვდიოდით აქ მდინარე სენის ტრამვაით, რომ დაგვეხედა, როგორ მიდიოდა საქმე. როდესაც სახლი დახურეს, მამაჩემმა მისი გაწყობა გადაწყვიტა და, უპირველეს ყოვლისა, ბუხრის ანტიკვარული მოწყობილობა შეიძინა. ბევრი მინას ჭურჭელიც შეუკვეთა და ავი თვალისაგან რომ დაეფარა, ზედ რაღაც ნიშანი ამოატვიფრინა, ისეთი, როგორიც მაროკოში ენახა. თეთრი ფერის სახლი იყო, დარბები კი წითლად ჰქონდა შეღებილი. სახლთან ხეხილი ჩაიყარა, ოთახები გაიწყობ ავეჯით და მამაჩემიც გარდაიცვალა.

ფრანგული სკოლიდან გამომიყვანეს და სასწავლებლად საელჩოს ეკლესიაში დავდიოდი ყოველდღე ერთ ინგლისელ მღვდელთან. მისი სწავლების მეთოდი იმით შემოიფარგლებოდა, რომ გაზეთ „სტანდარტის“ საბოლოო ქრონიკას მაკითხებდა ხმამაღლა. ჯერაც მახსოვს ის შემადრწუნებელი შიში, პარიზსა და კალეს შორის მატარებელში მომხდარი მკვლელობის საზარელი წერილმანები რომ მგვრიდა. ასე ცხრა წლისა თუ ვიქნებოდი მაშინ. ინგლისური სიტყვების გამოთქმა დიდხანს მეშლებოდა და არასოდეს დამავიწყდება მოწაფეების ხარხარი და ჩემი დარცხვენა დაწყებით სკოლაში, როდესაც წინადადებას წესიერად ვერ გამოვთქვამდი.

ჩემს ცხოვრებაში ინგლისური ენის გაკვეთილი მხოლოდ ორჯერ მივიღე. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში თხზულებებს ვწერდი, არ მახსოვს ერთხელ მაინც აეხსნას ვინმეს, როგორ უნდა დამეკავშირებინა ერთმანეთთან წინადადებები. ეს ორი გაკვეთილიც ისე გვიან ჩამიტარდა, რომ ექვი შეპარება რამე შედეგი მოჰყოლოდეს მათ. პირველი გაკვეთილი ამ რამდენიმე წლის წინათ მივიღე. ლონდონში ჩამოვედი და დროებით ერთი ახალგაზრდა ქალი ავიყვანე მდივნად. მორცხვი იყო, საკმაოდ ლამაზი და ვილაც ცოლიან კაცთან რომანი ჰქონდა გაბმული. ამ დროს ერთი წიგნი მქონდა დაწერილი სათაურით „მხიარულება“. შაბათ დილით მივიღე გადაბეჭდილი და ჩემს მდივანს ვთხოვე შინ წაეღო და შაბათ-კვირას გაესწორებინა. მინდოდა ენახა, ასლები ხომ არ იყო სადმე გამოტოვებული და აღენიშნა ის ადგილები, რაც შემანქანემ ვერ გაარჩია, რადგან ჩემი ხელის გარჩევა ბევრს უჭირს. ეს ქალი ძალიან კეთილსინდისიერი აღმოჩნდა და როდესაც ორშაბათ დილით ნაბეჭდი მომიტანა, თან ოთხი უზარ-

მაზარი ფურცელი შეცდომების გასწორება მოაყოლა. პირველად ცოტა გული მომივიდა, მაგრამ მერე ვიფიქრე, სისულელე იქნება არ გადავათვალიერო. შეთქი, ბოლოს და ბოლოს ამდენა უშრომია. ავიღე ხელნაწერი და თვალთვინება დავუწყე. ალბათ ყმაწვილ ქალს მდივნების სკოლა თუ ჰქონდა დამთავრებული, რადგან ისე მეთოდურად ჰქონდა დამუშავებული ჩემი რომანის წიგნები, როგორც უთუოდ მასწავლებლები ამოწმებდნენ მის ნაწერებს. შენიშვნები, რომლებიც უზარმაზარ ოთხ გვერდს ავსებდა. მეტად მწარე და მკაცრი იყო. ეტყობოდა, მდივნების სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ძალიან პირში მოქმედი კაცი ყოფილა. პირდაპირი გზით მიდიოდა, ეჭვი არ არის, და ერთ საკითხზე ორ აზრს ვერ მოითმენდა. რაღა თქმა უნდა, ვერც მისი ბეჯითი მოწაფე მოითმენდა, რომ თანდებული წინადადების ბოლოს მოხვედრილიყო, თუ სალაპარაკო ენის ქცევა არ მოსწონდა, ამას ძახილის ნიშნით აღნიშნავდა. მისი აზრით, ერთი და იმავე სიტყვის გამეორება ერთ გვერდზე არ შეიძლებოდა და მუდამ მზად ჰქონდა სათანადო სინონიმი. ხოლო თუ თავს ამდენ ნებას მივცემდი, რომ წინადადებას ათ სტრიქონზე გავჭიმავდი, წერდა: „უფრო გასაგებად! უკეთესია თუ ორ ან მეტ ნაწილად გაყოფთ“. როდესაც ჩემთვის სასიამოვნო შესვენებას ვაღწევდი წერტილ-მძიმის საშუალებით, წერდა: „წერტილი!“, ხოლო თუ გავბედავდი და ორ წერტილს დავსვამდი, ღვარძლიანად შენიშნავდა: „გაცვეთილია“. მაგრამ ყველაზე მეტად მისი ერთი შენიშვნა მომხვდა გულში, ერთს, ჩემი აზრით, საკმაოდ მარჯვე ხუმრობაზე: „დარწმუნებული ხართ, რომ ნამდვილად ასეა?“ ერთი სიტყვით, იძულებული ვარ დავასკვნა, რომ ამ ქალის მასწავლებელი კარგ ნიშანს არ მალირსებდა.

მეორე გაკვეთილი ერთმა მასწავლებელმა ჩამიტარა. განათლებული და სასიამოვნო კაცი იყო. შემთხვევით ნესტუმრა, როდესაც თვითონვე ვასწორებდი ჩემი სხვა წიგნის ხელნაწერს. ძალიან დამავალა და შემომთავაზა, წავიკითხავო. შევეყოყმანდი, რადგან ვაცოდი, ლიტერატურას ისეთ დიდ მოთხოვნილებას უყენებდა, ძნელად თუ დავაკმაყოფილებდი. ელისაბედის დროინდელ ლიტერატურას კარგად იცნობდა. მაგრამ „ესთერ უოტერსით“¹ ისე იყო აღტაცებული, რომ ცოტა არ იყოს, ეჭვიც დამებადა, რამდენად მართებულად განსჯიდა თანამედროვე ლიტერატურას. ვინც XIX საუკუნის ფრანგულ რომანს კარგად იცნობს, მას არ აღაფრთოვანებს ეს წიგნი. მაგრამ ძალიან მინდოდა ჩემი წიგნი, რაც შეიძლება, კარგი გამოსულიყო, და ვიფიქრე, მისი კრიტიკაც გამომადგება-მეთქი. რაც მართალია, მართალია, მისი შენიშვნება საკმაოდ შემწუნარებლური აღმოჩნდა. უფრო იმიტომ დავინტერესდი, რომ მივხვდი, თავისი სტუდენტების შრომებსაც ასე ასწორებდა. ამ ჩემს მასწავლებელს, როგორც ჩანს, ენის რაღაც თანდაყოლილი ალლო ჰქონდა და მას გულმოდგინედ უნერგავდა სხვებსაც. უნაკლო გემოვნება გააჩნდა. განსაკუთრებით გამაოცა იმან, თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა ყოველი ცალკე სიტყვის შემოქმედების ძალას. უფრო ძლიერი სიტყვა მოსწონდა, ვიდრე კეთილშობიანი. მაგალითად, მე შეწერა, ქანდაკებას ამა და ამ მოედანზე დადგამენ-მეთქი. მან მარჩია დამეწერა, ქანდაკებას აღმართავენო. მე კი ადრე ასე არ დავწერე, რადგან ცოტა უსიამოვნოდ მომხვდა ყურში. ისიც შევამჩნიე, სიტყვას მართო იმიტომ კი არ

¹ გორჯ მურია რომანი (1894) — (მთარგმნელის შენიშვნა).

იყენებდა, რომ წინადადება გაემართა. უნდოდა აზრიც გამოეყენებინა. ეს საღი თვალსაზრისია, რადგან აზრი შეიძლება გაბუნდოვანდეს, თუ რატომღაც ძალიან მოკლედ არის მოჭრილი. მაგრამ მაინც სიფრთხილე ვეძარბებ: შეიძლება მრავალსიტყვაობაში გადავიჩეხოთ. აქ უკვე სასცენო დასრულებას უნდა გვიშველოს. მსახიობი ზოგჯერ სთხოვს ავტორს: „ეს რა რაღაცაა, ხომ ვერ ჩაამატებდით აქ? ისე გამოდის, თითქოს მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, თუ აქ კიდევ არაფერი ჩავუმატე“. როცა ამ მასწავლებლის შენიშვნებს ვისმენდი, ვფიქრობდი, რამდენად უკეთესად დავწერდი ანლა, რომ თავის ღროხე ასეთი საზრიანი, ღრმა და კეთილი რჩევა-დარიგება მიმეღო-მეთქი.

9

ერთი სიტყვით, ჩემი თავის აღზრდა თვითონვე მომიხდა. ამას წინათ აღრუ, ახალგაზრდობაში დაწერილ მოთხრობებს გადავხედე, რათა მენახა, თუ რა თანდაყოლილი ნიჭი მქონდა და რა თავნი გამაჩნდა, ვიდრე მას შეგნებულად გავზრდიდი. ქედმაღლური მანერა აღმომაჩნდა. ეს შეიძლება ახალგაზრდობას მიეწეროს. თანაც გაღიზიანებული ვყოფილვარ, — ეს კი უხასიათობის ბრალია. მაგრამ ახლა მხოლოდ ის მინდა ვთქვა, თუ რანაირად გამოვხატავდი ჩემს აზრს. ასე მგონია, მსუბუქი დიალოგების წერის უნარი და აზრის სიცხადე თან დაბეჭდა.

როდესაც პენრი არტურ ჯოუნსს, — იმ ღროისთვის სახელგანთქმულ დრამატურგს, — ჩემი პირველი რომანი წაუკითხავს, ერთი ნაცნობისთვის უთქვამს, ეს კაცი რამდენიმე ხანში ძალიან კარგი დრამატურგი დადგებაო. მე მგონია მან ჩემს ნაწერში უშუალოდ და სურათის თვალსაჩინო გადმოცემის ნიჭი დაინახა, რაც თავისთავად სცენის გრძობაზე მეტყველებდა. ენა ძალიან მარტივი მქონდა, სიტყვების მარაგი შეზღუდული, გრამატიკაც ცუდად ვიცოდი და ფრაზებიც მოიკოჭლებდნენ. მაგრამ წერა ჩემთვის ისევე ბუნებრივი იყო, როგორც სუნთქვა. ვწერდი და იმას კი არ ვფიქრობდი, ცუდი გამოდიოდა ნაწერი თუ კარგი. მხოლოდ რამდენიმე წლის მერე მივბეჭდი, რომ მწერლობა ძალიან დახვეწილი ხელოვნებაა, რომელიც მძიმე შრომას მოითხოვს, ვიდრე კარგად აითვისებდე. ეს მაშინ აღმოვაჩინე, როდესაც გამიჭირდა ქალაქზე გადმოქმეტანა ჩემი აზრი. დიალოგს თავისუფლად ვწერდი, მაგრამ როგორც კი აღწერაზე მიდგებოდა საქმე, მაშინვე ვიბნეოდი ათასგვარი დაბრკოლების წინაშე. რამდენიმე საათს ვცოდვილობდი, რომ ორი ან სამი წინადადება ისე გამემართა, როგორც მინდოდა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე წერა მესწავლა. სამწუხაროდ, შემწე არავან მყავდა. ხშირად ვცდებოდი. ვინმე ისეთი რომ მყოლოდა, როგორც ის მასწავლებელი იყო, წელს რომ ვახსენე, ამდენი ღრო არ დამეკარგებოდა. ასეთი კაცი მეტყოდა, რომ ჩემს ნიჭს რაღაც გარკვეული მიმართულება აქვს და ამ გზით უნდა განვითარებულიყო, ხოლო ისეთი რამის კეთება, რისი ნიჭიც არ გამაჩნია, ამაო გარჯაა. ამ ღროს ძალიან მოქარგულ პროზას ვქონდა გასავალი. მხატვრული ქსოვალის სიმდიდრე ნატიფი წინადადებებითა და ეგზოტიკური ეპითეტებით იქმნებოდა. ამ ღროის აღვალი იყო ოქროთი მოოჭვილი ფარჩა, რომელიც თავისით გაჩერდებოდა სიმძიმის წყა-

ლობით და არ ჩაიკეცებოდა. განათლებული ახალგაზრდები გატაცებულ კითხულობდნენ უოლტერ პეიტერს, ჩემი სალი აზრი კი მიკარნახებდა, ეს განხილვანიკლული ქსოვილიაო, ხოლო მისი დახვეწილი და კოპწია პერიოდების მიღმა დაღლილ და სუსტ პიროვნებას ვხედავდი. ახალგაზრდა ვიყავი, ჯან-ტრენსკლუტე და ენერგული, სუფთა პაერი მწყუროდა, მოქმედება და ფაიქსტეში, სისტე-მეხუთებოდა ამ სუნამოთი აზრჩოლებულ ატმოსფეროში. მიჭირდა ჯდომა დაბ-შულ ოთახებში, სადაც უწყესობად ითვლებოდა ხმამაღლა ლაპარაკი. სამწყუ-ხაროდ არ ვუჭერებდი საღ აზრს და თავს ვარწმუნებდი, მაღალი კულტურა, სწორედ ეს არის-მეთქი და ზიზღით ზურგს ვაქცევდა იმ სამყაროს, სადაც ხალ-ხი ყვიროდა და ილანძლებოდა, თავს ისულელებდა, აღვირახსნილობას ეწეოდა და ლოთობდა. წავიკითხე „განზრახვანი“ და „დორიან გრეას პორტრეტი“, „სალომეს“¹ ფურცლებზე წაკითხული ფანტასტიკური სიტყვების იშვიათი ფე-რებით ვთვრებოდა. ჩემი საკუთარი ლექსიკონის სიღარიბით დამფრთხალი ბრიტანეთის მუზეუმში დავდიოდი ფანქრით და ქაღალდით შეიარაღებული და ვაწერდი უცნობი ძვირფასი ქვების სახელებს, ძველი ბიზანტიური მინანქრის ფერებს და ვთხზავდი დახვეწილ ფრაზებს, რომ ეს სიტყვები შემდეგ გამომე-ყენებინა. საბედნიეროდ, ამის საშუალება არ მომეცა. ისინი ჯერაც ჩემს რვე-ულშია ჩასვენებული და ელოდება იმას, ვინც სისულელების წერას მოინდო-შებს. იმ დროს საყოველთაოდ სჯეროდათ, რომ ბიბლიის მიღებული თარგმანი ინგლისური პროზის საუკეთესო ნიმუშია. ბეჯითად ვკითხულობდი მას, განსა-კუთრებით სოლომონის „ქებათა ქებას“ და ვიწერდი გამაბრუებელ ფრაზებს. ვადგენდი ლამაზი და უჩვეულო სიტყვების სიებს, რომელთა გამოყენებასაც ვაპირებდი. ჯერემი ტელორის „წმიდა ფერისცვალება“ შევისწავლე, რათა შე-მეთვისებინა მისი სტილი, გადმოვწერე მთელი გვერდები და შემდეგ ვცდი-ლობდი ისინი ზეპირადაც გამეხსენებინა და ისე დავეწერა.

მთელი ამ მუშაობის პირველი ნაყოფი იყო პატარა წიგნი ანდალუსიის შე-სახებ, სახელწოდებით „წმიდა ქალწულის ქვეყანა“. ამას წინათ ამ წიგნის ზოგიერთი ადგილის გადაკითხვა მომიხდა. ახლა ანდალუსიას გაცილებით უკე-თესად ვიცნობ და ბევრი რამის შესახებ ახლა სულ სხვა აზრისა ვარ. რადგან ამერიკაში ამ წიგნს გასავალი აქვს, ვიფიქრე, არ აწყენს ცოტას თუ შევასწო-რებ-მეთქი. მალე ვნახე, ეს შეუძლებელი იყო. წიგნი ვიღაც სხვას დაეწერა, ვინც მე უკვე სრულიად მივიწყებული მყავდა. საოცარად მოსაწყენი მეჩვენა. მე ვგულისხმობ მხოლოდ პროზას, — ეს წიგნი ხომ დაწერილი იყო სავარჯი-შოდ, სტილის გამოსამუშავებლად. ეს აბეზარი, ნაწვალები მინიშნებებით სავ-სე და ნაძალადევი პროზაა. არც სიმსუბუქე იგრძნობა, არც თავისუფლება. სათ-ბურში გაზრდილი მცენარის და კვირადღის სადილის სუნი ასდას, როგორც იმ ჰაერს, ბეისუოტერზე მდებარე დიდი სახლიდან რომ გამოდის ხოლმე. წიგ-ნში ძალიან ბევრი მელოდიური ზედსართავია. ლექსიკონი სენტიმენტალურია, მდიდარ იტალიურ ფარჩას კი არ მოგაგონებთ, ოქრომკედლით მოქარგულს, არა-მედ ბერნ-ჯოუნსის მიერ მოხატულ და მორისის მიერ გადმოღებულ რაღაც ქსოვილს.

¹ ოსკარ უაილდის ნაწარმოებებია (მთარგმნ. შენაშენა).



არ ვიცი ქვეცნობიერად, თუ იმის წყალობით, რომ თანდაყოლილი მეთოდურობა მახასიათებდა, მაინც ვატყობდი, ასეთი მწერლობა ხელს არ მომცემდა. სწორედ ამან მაიძულა ყურადღება ავგუსტური პერიოდის პროზისთვის მიმეჭვინათ. სვიფტის პროზამ მომხიბლა. გადავწყვიტე. ეს არის ყველაზე კარგი გზამეთქი და ისე დავიწყე სვიფტის დამუშავება, როგორც ადრე ჯერემი ტეილორს ვამუშავებდი. „კასრის ზღაპარი“ ავირჩიე. ამბობენ, როდესაც სვიფტმა მოხუცობის ჟამს გადაიკითხა ეს წიგნი, წამოიძახა: „რა გენიალური ვყოფილვარ მაშინ!“. მე რომ ნკითხობთ, მისი გენიალობა სხვა ნაწარმოებებში უფრო ჩანს. ეს კი დამქანცველი ალევორიაა და მისი არონიაც სუსტია. მაგრამ სტილი კი შესანიშნავია. ვერ წარმომიდგენია უკეთესი ინგლისურით დაიწეროს რამე. აქ არ არის არც აყვავილებული პერიოდები, არც წინადადებათა უცნაური წყობა და არც მაღალფარდოვანი სახეები. ეს არის კულტურული პროზა, ბუნებრივი, თავდაპირველი და გამოკვეთილი. აქ ვერ დაინახავთ იმის ცდას, რომ ვინმე გააოცო არაჩვეულებრივი სიტყვებით. ასე გგონია, თითქოს სვიფტი იღებდა პირველსავე სიტყვას, რაც კი მოაფიქრდებოდა, მაგრამ ვინაიდან მახვილი და ლოგიკური გონება ჰქონდა, ეს სიტყვა ყოველთვის საჭირო აღმოჩნდებოდა და საჭირო აღვილასაც ჯდებოდა. სვიფტის წინადადებების ძალისა და გამართულობას მის დახვეწილ გემოვნებას უნდა ვუმაღლოდეთ. როგორც ადრევე მიკეთებია, ვიწერდი მის მთელ გვერდებს, შემდეგ ვცდილობდი მეხსიერებაში აღმედგინა და კვლავ დამეწერა. ვცადე სიტყვები ან მათი განლაგება შემეცვალა. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ იმ სიტყვების ხმარება იყო შესაძლებელი და მხოლოდ იმ წყობისა, რომელიც სვიფტს ჰქონდა. ეს უნაკლო პროზაა.

მაგრამ სრულყოფილებას ერთი დიდი ნაკლი აქვს: შეიძლება თავი მოგაბეზროს. სვიფტის პროზა ალვის ხეების ხეივანში გაყვანილ ფრანგულ არხსა ჰგავს, რომელიც ლამაზ და თვალწარმტაც მიდამოში მიედინება. მისი მშვიდი მშვენიერება კმაყოფილებას განიჭებს, მაგრამ არც გრძნობას გიშფოთებს და არც წარმოდგენას გიღვიძებს. მიჰყვები, მიჰყვები და ატყობ, რომ გბეზრდება. ასევეა, როცა ტკბები სვიფტის პროზის სიცხადით, შეკუმშულობით, ბუნებრიობით. მისი თვისებაა — არაფერი გააზვიადოს. ბოლოს და ბოლოს კი ატყობ, რომ ცოტა ხანში ყურადღებაც გეფანტება, თუ შინაარსმა განსაკუთრებით არ დაგაინტერესა. თავიდან დაწყება რომ შემძლებოდა, დრადენს ჩავუჯდებოდი და არა სვიფტს. მაგრამ დრადენს იმ დროს წავაწყდი, როდესაც ბევრი მუშაობის თავი აღარა მქონდა. დრადენს მშვენიერი პროზა აქვს. ის არც ისეთი სრულყოფილია როგორც სვიფტისა, და არც ისეთი მოხდენილი როგორც ადისონისა, მაგრამ მასში განაფხულის მხიარულება, სალაპარაკო ენის სიმსუბუქე და ცოცხალი უშუალობა გხიბლავს. დრადენი ძალიან კარგი პოეტი იყო, მაგრამ, საერთო აზრით, მას არა ჰქონია ლირიკული ნიჭი და გასაოცარია, რომ სწორედ ლირიკში გამოსტყვივის მის ნაზად მოციმციმე პროზაში. ინგლისური პროზა ასეთი არასოდეს ყოფილა ადრე. მას შემდეგაც ძალიან იშვიათად თუ უწერია ვისმე ასეთნაირად. დრადენი კარგ დროს ცხოვრობდა. მეფე ჯეიმსის

¹ XVIII საუკუნის ინგლისური კლასიკა (მოარგმნ. შენიშვნა).

დროინდელი ენის მეტერი პერიოდები და ბაროკოსული სიმძიმე ძველ-რბილ-ში მქონდა გამჭდარი, ხოლო მოქნილობა და ზრდილი სიმარჯვე სიტყვისა, რომელიც მან ფრანგულიდან გადმოიღო, მის ხელში გადაიქცა ისეთ დათვალად, რომელიც არა მარტო ამაღლებული თემებისთვის გამოდგებოდა, არამედ ყველი მსუბუქი, წარმავალი აზრის გადმოსაცემად ვარგოდა. დრამატული სიტყვის კოს სტილის პირველი ხელოვანი გახლდათ. თუ სვიფტი ფრანგულ არხს მოგავონებდათ, დრამდენი ინგლისურ მდინარეს ჰგავდა, რომელიც მხიარულად ზიაგელვებს ტალღებს ხეობაში, წყნარ საქმიან ქალაქებში და საბუღაროვით მიყუყულ სოფლებში; ხან შეჩერდება და ფართოდ გაიშლება, ხანაც მძლავრად შეითამაშებს ტყის სიღრმეში; ცოცხალია, ნაირფეროვანი და ქარივით მკვირცხლი, თანაც ინგლისის სუფთა ჰაერის საამური სურნელი ასდის.

გაკეთებული საქმე ძალიან გამომაღვა. უკეთესად დავიწყე წერა, მაგრამ მთლად კარგად ვერ ვწერდი — დაძაბულად და უხერხულადაც გამომდიოდა. ვცდილობდი წინადადებები გარკვეული თარგით მეწერა, ვერ კი ვატყობდი, რომ თარგი თვალში საცემი იყო. ვცდილობდი სიტყვების განლაგება არ დამერღვია, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ მეტერამეტე საუკუნის დასაწყისში გავრცელებული წყობა არ გამოდგებოდა ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის. რაც მეტს ვცდილობდი მიმებადა სვიფტისათვის და შეუცდომლად მეწერა (ეს მისი თვისება განსაკუთრებით მომწონდა), მით უფრო ნაკლებ გამომდიოდა. მაშინ პიესების წერას მივყავი ხელი და გადავწყვიტე დიალოგების მეტი არაფერი მეწერა. მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შევუდექი რომანების წერას. იმ დროისთვის არავითარი სტილისტობა აღარ მაინტერესებდა. ხელი ავიღე იმ აზრზე, რომ კარგად მეწერა. მინდოდა მეწერა უჩუქურთმოდ, რაც შეიძლება შიშვლად და გაუზვიადებლად. იმდენი სათქმელი მქონდა, რომ სიტყვებს უქმად ვერ გავაცდენდი. მინდოდა მხოლოდ ფაქტები გადმომეცა და გადავწყვიტე მიუღწეველი მიზნისთვის მიმეღწია. — ზედსართავეების გარეშე მეწერა. მეგონა, თუ ზუსტ სიტყვას ვიპოვი, ეპიტეტი საჭირო აღარ იქნება-მეთქი. გონების თვალთ წარმომედგინა ჩემი წიგნი ერთ უზარმაზარ ტელეგრამად, სადაც მომჭირნების გულისთვის გამოტოვებული იყო ყველა სიტყვა, რაც კი აუცილებელი არ იყო. ეს წიგნი არ გადამიკითხავს მას შემდეგ, რაც კორექტურა გავასწორე, და აღარ მახსოვს, რამდენად კარგად შევასრულე ამოცანა. ის კი მახსენდება, რომ ადრე დაწერილ წიგნებთან შედარებით უფრო ბუნებრივია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ძალიან უწყესრიგია და გრამატიკული შეცდომებიც ბლომად უნდა იყოს შიგ.

მას შემდეგ ბევრი ახალი წიგნი დამიწერია და თუმცა ძველი მწერლების მეთოდურ შესწავლას თავი დაეანებე (რადგან სულს კი უნდა, მაგრამ ხორცი უძლურია), გამუდმებით ვცდილობ სულ უკეთესად და უკეთესად ვწერო. ჩემი შესაძლებლობათა საზღვრები აღმოვაჩინე და გადავწყვიტე, რომ მათ ფარგლებში მიმეღწია რაც შეიძლება უკეთესისათვის. ლირიზმი არ გამაჩნდა, კარგად ვიცოდი, და სიტყვების მარაგიც მცირედი მქონდა. არც მეტაფორების ნიჭი მქონია მაინცდამაინც დიდი, — ორიგინალური ან ძლიერი შედარება იშვიათად თუ მომივიდოდა თავში. პოეტური აღმაფრენა და წარმოდგენის სიმდიდრე ჩემს ძალას აღემატებოდა. ეს სხვა მწერლებისათვის უნდა მიმენდო. მიტაცებდა მათი საუცხოო სახეებიც და არაჩვეულებრივად მიმზიდველი ენაც, რომლითაც

ისინი თავიანთ აზრებს გამოხატავდნენ. ჩემი გონება ვერ ახერხებდა ამ სამკაულთა შეთხზვას და მეც დავიღალე იმის კეთებით, რაც სრულდებოდა. მეორე მხრივ, მახვილი თვალი მქონდა და შემეძლო კარგად დამენახა ისეთი რამ, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ. კარგადაც შემიძლია მომეცა ის, რასაც ვხედავდი. ლოგიკურად მსჯელობა მეხერხებოდა და ბუნებრივად გამაჩნდა მდიდარი და ლამაზი სიტყვების გრძნობა, შემეძლო სათანადოდ დამეფასებინა მათი უღერადობა. ვიცოდი, ისე კარგად ვერასდროს დავწერდი როგორც მინდოდა, მაგრამ ვაპირებდი ისე მეწერა, როგორც ჩემი ბუნებრივი ნაკლი მომცემდა საშუალებას. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე აზრი გადმომეცა ნათლად, უბრალოდ და კეთილხმოვნად, ეს ცნებები იმ რიგით ჩამოვწერე, რა პნიშვნულობასაც ვანიჭებდი მათ.

ყოველთვის მამბობდნენ ისეთი მწერლები, რომლებიც მკითხველისგან დიდ დაძაბულობას მოითხოვენ მათი ნაწარმოების შინაარსის გასაგებად. გაიხსენეთ დიდი ფილოსოფოსები და დაინახავთ, რა ნათლად შეიძლება გადმოიცეს აზრის თდნავი ანარეკლიც კი. შეიძლება გავიჭირდეთ ჰიუმის გაგება, და თუ საგანგებო ფილოსოფიური განათლება არა გაქვთ, ვერ ჩასწვდეთ მის დედა-აზრს, მაგრამ ყველა განათლებული კაცი მიხვდება მისი თითოეული წინადადების შინაარსს. ცოტა ვინმეს თუ უწერია ისეთი მოხდენილი ინგლისურით, როგორც ბერკლის, ორი მიზეზის გამო არიან მწერლები გაუგებარი: ერთი დაუდევრობაა, მეორე — წინასწარ განზრახული სირთულე. ადამიანები ხშირად წერენ გაუგებრად, რადგან არასოდეს შეუწუხებიათ თავი გასაგებად ეწერათ. ასეთ გაუგებრობებს ხშირად შეხვდებით თანამედროვე ფილოსოფოსების, მეცნიერებისა და თვით ლიტერატურის კრიტიკოსთა ნაწერებშიც კი. ეს კი მართლაც უცნაურია. შეიძლება გეგონოს, რომ კაცი, ვინც მთელი სიცოცხლე ლიტერატურის დიდოსტატთა შესწავლას შეაღია, საკმაოდ მგრძნობიარე უნდა იყოს ენის სილამაზის მიმართ და თუ ლამაზად ვერ წერს, ნათლად მაინც უნდა წეროს. მის შრომებში კი თქვენ ნახავთ მრავალ ისეთ წინადადებას, რომლის წაკითხვა ორჯერ მაინც მოგიხდებათ, რომ აზრი გამოიტანოთ. ხშირად აზრს უნდა თქვენ მიუხვდეთ, რადგან ავტორს ის ვერ უთქვამს, რის თქმასაც აპირებდა.

ზოგჯერ ავტორს თვითონვე არ ესმის, რისი თქმა უნდა. ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს თავის სათქმელზე. აზრს ზუსტად ვერ აყალიბებს. ხან იმიტომ, რომ ჰკუთარ ჰყოფნის, ხანაც სიზარმაცის გამო. ამრიგად, გვრჩება დაუმთავრებელი და არეული აზრი. ეს ხშირად იმის ბრალია, რომ ბევრი მწერალი მაშინ ფიქრობს, როდესაც წერს და არა წინასწარ. კალამი ბადებს აზრს. ამის საშისროება იმიტომ არსებობს, რომ დაწერილ სიტყვაში არის რაღაც ჯადოსმაგვარი. ეს სახიფათოა და მწერალი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს. აზრი ნივთიერი ხდება, ვინაიდან შეგიძლია დაინახო და ამიტომაც გიძნელდება მისი შემდგომი დაზუსტება. მაგრამ ასეთი გაუგებრობა ხშირად წინასწარ განზრახულ გაუგებრობად იქცევა. ზოგიერთ მწერალს, რომელიც ნათლად ვერ

აზროვნებს, ჰგონია, რომ მისი აზრი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ნამდვილად არის. ასეთ მწერალს აზრებს, როდესაც ეჩვენება, იმდენად რბილად აზრები მაქვს, რომ ყველასათვის გასაგებად გადმოცემა მიჭირსო, იმას კი ვერ სვდება, რომ ეს მისი გონების სისუსტის ბრალია. — არ შეუძლებს ჩემს წიგნს მოხატოს ნააზრევი. აქ ისევ დაწერილი სიტყვის ჯადო იმალება, მაგრამ სიტყვითაა დაარწმუნო თავი, რომ გაუგებარ ფრაზაში უამრავი ჰკვიანური რამ წერია. აქედან კი სულ ორი ნაბიჯიღა გინდა, რომ თავდაპირველი ბუნდოვანებით წერას მიეჩვიო. ყოველთვის ნახავ სულელებს, რომლებიც შიგ რაღაც აზრს იპოვნიან. არსებობს კიდევ სხვა სახეობაც წინასწარ განზრახული ბუნდოვანებისა. ეს უკვე საგანგებო არისტოკრატიულ სამოსშია გამოპრანჭული. ავტორი თავის მნიშვნელობას იდუმალ სამოსელში ახვევს ისეთნაირად, რომ უბრალო ხალხისთვის მიუწვდომელი დარჩეს. ამ მეთოდის სულია იდუმალი ბალი, სადაც მხოლოდ რჩეულთ უშვებენ და ისიც მაშინ, თუ მრავალ საბიფათო ფათერაქს დაადწიეს თავი. მაგრამ ასეთი სახის ბუნდოვანება არა მარტო პრეტენზიულია, არამედ ბეციც. რადგან დრო მას კარგ ოინს უწყობს ხოლმე: თუ ცოტა სუსტი წინაარსისაა, დრო მას მთლად გაუგებარ სიტყვების გროვად აქცევს, რომელსაც აღარავინ კითხულობს. ასეთი ბედი ეწია იმ ფრანგი მწერლების ნაცოდ-ცილარს, რომლებიც გიიომ აბოლინერის მაგალითმა შეაცდინა. ხდება ხოლმე, რომ დრო მკრელ ცივ სინათლეს ასხივებს ყველაფერს, რაც ადრე ასე ღრმა გვეჩვენებოდა და გამოამხეურებს იმას, რომ ან ჩასლართული სიტყვების უკან გაცვეთილი აზრები იმალებოდა. ცოტაღა დარჩა მალარმეს ისეთი ლექსები, რომლებიც გასაგები არ იყოს. არავის შეეშლება, თუ იტყვის, რომ მისი აზრები ძალიან არაორიგინალურია. შიგადაშიგ ლამაზი ფრაზები ჰქონდა, მაგრამ მისი ლექსის მასალა იმ დროის პოეტური ბანალობა იყო.

უბრალოება არც ისე აშკარა ღირსებაა, როგორც ნათლად წერა. უბრალოებას იმიტომ მივმართავდა, რომ ენამდიდარი არ გახლავართ. ზოგჯერ მომწონს სხვების ენის სიმდიდრე, მაგრამ ცოტა არ იყოს მიჭირს მისი დიდი მოცულობით ათვისება. რასკინის ერთ გვერდს სიამოვნებით წაფიკითხავ, ოცი კომლიას, მდორე პერიოდები, მაღალფარდოვანი ეპითეტები. პოეტური ასოციაციებით მდიდარი არსებითი სახელები, დამოკიდებული წინადადებები, რომლებიც წონასა და სიდიადეს მატებენ აზრს და ისეთივე გრანდიოზულობა, როგორც გაშლილ ზღვაში ერთმანეთის მომყოლ ტალღებს ახასიათებს... არა, ამაში მართლაც უნდა იყოს რაღაც შთამაგონებელი. სიტყვები ეხლებიან ერთმანეთს და გაისმის როგორც მუსიკა. მაგრამ მოწონება უფრო გრძნობისმიერია, ვიდრე აზრისმიერი, ხოლო ელერადობის სილამაზე კი გაიძულებს დაასკვნა, რომ სიტყვების მნიშვნელობაზე შეგიძლია არ შეწუხდე. მაგრამ სიტყვებს ტირანული ბუნება აქვთ: ისინი მხოლოდ თავისი მნიშვნელობისათვის არსებობენ და თუ ამას არ მიაქციე ყურადღება, ვეღარაფერს მოეჭიდები, აზრი დაგეფანტება. ასეთი მწერლობა შესაბამის თემას მოითხოვს, ასეთნაირად არ შეიძლება წერო წგრილმანებზე. ამ სტილით სერ ტომას ბრაუნზე უკეთესად

არავის უწერია, მაგრამ ისიც კი ვერ გაექცა ამ ხაფანგს. ადამიანის ბედობლის ამბავი „ჰიდრიოტაფიის“ უკანასკნელ თავში ბაროკოს სტილის შესანიშნავი ენითაა გადმოცემული. ეს ამ ნორჩელ ექიმს ისეთი პროზით დაუწერია, რომ ჯერ ვერავის უჯობნია ჩვენს ლატერატურაში. მაგრამ როცა სტენდჰალის „ტრენების პოვნის აღწერაზე“ მიდგება, ასეთივე მაღალფარდოვანი ენის უწყობა ეფექტურია (ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით). როცა თანამედროვე მწერალი მაღალფარდოვანი ენით გვიამბობს, თუ როგორ ჩაუხტა ან არ ჩაუხტა ქუჩის ქალი ლოგინში ერთ უბრალო ახალგაზრდა კაცს, გული აგერევიათ, და ეს არც გასაკვირია.

თუ მდიდარ ენას ნიჭი სჭირდება, რომელიც ყველას არ გააჩნია, არც უბრალოება დაჰყვება კაცს დედის მუცლიდან. ამას რომ მიაღწიო, მკაცრი წესრიგია საჭირო. თუ არა ვცდები, მხოლოდ ჩვენს ენაზე უნდა არსებობდეს გამოთქმა purple patch¹ პროზის განსაკუთრებული ნიმუშის დამახასიათებლად. ის არ იქნებოდა საჭირო, რომ ასე დამახასიათებელი არ ყოფილიყო. ინგლისური პროზა უფრო ხელოვნურია, ვიდრე მარტივი. მაგრამ ყოველთვის ასე როდი ყოფილა. რა უნდა იყოს შექსპირის პროზაზე უფრო კოლორიტული, პირდაპირი და ცოცხალი. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს სასაუბროდ დაწერილი დიალოგები იყო. ვინ იცის, როგორი იქნებოდა შექსპირის ენა, თუ ის კორნელის მსგავსად თავის პიესებს წინასიტყვაობას წაუმიძღვარებდა. შეიძლება ისევე მაღალფარდოვანი ყოფილიყო, როგორც ელისაბედ დედოფლის წერილები. ადრინდელ პროზას, მაგალითად, სერ ტომას მორის პროზას, არც სიმძიმე ეტყობა, არც მოჩუქურთმება და არც მკვერმეტყველება. ინგლისური მიწის გემო აქვს. ჩემი აზრით, მეფე ჯეიმსის ბიბლიამ ძალიან მავნე გავლენა მოახდინა ინგლისურ პროზაზე. არც ისეთი ბრიყვი ვარ, მისი დიადი სილამაზე უარვეყო. ის დიდებულია, მაგრამ ბიბლია აღმოსავლური წიგნია, მისი უცხო სახეობა ჩვენთვის გაუგებარია. პიპერბოლები, გადამეტებული მეტაფორები ჩვენი სულისთვის უცხოა. ვფიქრობ, ყველა სხვა უბედურებასთან ერთად, რაც ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებას მოუტანა რომას ეკლესიისაგან გამოყოფამ, ისიც იყო, რომ ჩვენი ხალხისათვის ყოველდღიურ და ბევრისათვის კიდევ ერთადერთ საკითხავ წიგნად ბიბლია იქცა. მისი რიტმი, მძლავრი ლექსიკონი და მაღალფარდოვანი მეტყველება ძვალსა და რბილში გაუჯდათ ინგლისელებს. უბრალო, პატიოსანი ინგლისური ენა ჩუქურთმებმა წააღწია. გონებაჩლუნგი ინგლისელები ენას იმტვრევდნენ, რომ ებრაელი წინასწარმეტყველებივით ელაპარაკათ. რაღაც ამის ნაფუძველი უთუოდ არსებობდა ინგლისელის ხასიათში: არ ვიცი, რა იყო ეს, აზროვნების სიზუსტის უქონლობა თუ გულუბრყვილო აღტაცება ლამაზი უცხო სიტყვებით, ან შინაგანი ექსცენტრიულობა და სიყვარული მოქარგულობისადმი. მაგრამ საქმე ის არის, რომ მას შემდეგ ინგლისური პროზა სულ ებრძვის ამ დიდრაჯულ ტენდენციას. ხოლო თუ დროდადრო ენას სული მაინც იმარჯვებდა, როგორც ეს მოხდა დრაიდენის ან ანა დედოფლის დროინდელი მწერლების შემთხვევაში, მას მალე გიბონის და დოქ-

¹ ნაწარმოების განსაკუთრებით ეფექტური ნაწილი (სიტყვასიტყვით — „მეწამული საკვრებელი“) — მთარგმ. შენიშვნა.

ტორ ჯონსონის პომპეზურობა აღრჩობდა ხოლმე. როგორც კი ინგლისური პროზა პირს იბრუნებდა უბრალოებისა, კენ ჰეზლიტის ნაწერებში, შელის წერალებში და ჩარლ ლემის საუკეთესო ნაწარმოებებში, წამსვე დე კვინსი, კარლაილი, მერედითი და უოლტერ პეიტერი შემოატრიალებდნენ ხარკს და წერდნენ, რომ მაღალი სტილი უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე უბრალო. ნათლად ბევრი ფიქრობს, რომ თუ სტილი ყურადღებას არ იპყრობს, ის სტილი არც არის. ისინი აღფრთოვანებული არიან უოლტერ პეიტერით, ხოლო მეთიუ არნოლდისგან ესეც ისე წააკითხავენ, რომ ერთი წუთითაც არ ჩაუკვირდებიან იმ მოხდენილობას, სიცხადეს და ზომიერებას, რომლითაც იგი ამბობს თავის სათქმელს.

გამონათქვამი, რომ სტილი ადამიანია, საყოველთაოდან ცნობილი. ეს ისეთი აფორიზმია, რომელიც იმდენს ამბობს, რომ ბევრს არაფერს ნიშნავს. სად ვეძიოთ გოეთე-ადამიანი, მის ჩიტვიტ მოქალაქე ლირიკაში თუ მოუხეშავ პროზაში? ანდა ჰეზლიტი? ვფიქრობ თუ კაცს არეული გონება აქვს, ნაწერიც არეული ექნება, თუ ჭირვეული ხასიათი აქვს, ნაწერიც ასევე უცნაური გამოუვა, ხოლო თუ სწრაფი და გამჭრიახი გონება გააჩნია, რომელიც მასათას სხვა საგანს გაახსენებს ერთი დანახვისას, ეს კაცი თავის ნაწერს დატვირთავს მეტაფორებითა და შედარებებით, თუკი დიდი თავდაპირის უნარი არ აღმოაჩნდა. დიდად განსხვავდება ჯეიმსის დროინდელ მწერლობის მაღალფარდოვნება, რომლებსაც ატრობდა ენაში ახლახან შემოტანილი სამდიდრე, — ჯონსონისა და გებონის ბრტყელ-ბრტყელი ნაწერებისგან, რომლებიც ემსხვერპლნენ მცდარ თეორიას. მე შემძლია დოქტორ ჯონსონის ყოველი სიტყვა სიამოვნებით წავიკითხო, რადგან გონიერია, მომხიბლავი და ჭკუამახვილი. მასზე უკეთესად ვერავინ დაწერდა, თავისი ნებით რომ არ ეწერა მაღალფარდოვანი სტილით. კარგ ინგლისურს შესანიშნავად არჩევდა. დრეიდენის პროზაც არც ერთ კრიტიკოსს არ შეუქია ასე მარჯვედ. ჯონსონმა თქვა, რომ დრეიდენის ხელოვნება ძლიერი აზრის ნათლად გამოხატვაში მდგომარეობს, ხოლო თავის ერთ-ერთი „ცხოვრებათაგანი“ ასე დაამთავრა: — ვისაც სურს შეაფასოს ინგლისური სტილი, — ბუნებრივი, მაგრამ არა უხეში, მოხდენილი, მაგრამ არა მყვირალა, — დღე და ღამე აღისონის ტომებს უნდა კითხულობდესო. თვითონ კი, როდესაც წერდა, სულ სხვა რამეს ისახავდა მიზნად. — მაღალფარდოვნება ღირსებად მიაჩნდა. აღზრდა-განათლება არ ჰყოფნიდა მიმხედარიყო, რომ უბრალოება და ბუნებრიობა კეთილშობილების უტყუარი ნიშნებია.

კარგი პროზა კარგი აღზრდის შედეგია. პოეზიისაგან განსხვავებით პროზა ზრდილი ხელოვნება გახლავთ. პოეზია ბაროკოა. ბაროკო ტრაგიკულია, მძიმე და საიდუმლოებით მოცული. პოეზია სტიქიურია, მას სიღრმე და შინაგანი ჭვრეტა სჭირდება. ვფიქრობ, რომ ბაროკოს პერიოდის პროზაიკოსები, მეფე ჯეიმსის ბიბლიის ავტორები, სერ ტომას ბრაუნი და გლენვილი გზააბნეული პოეტები იყვნენ. პროზა როკოკოს ხელოვნებაა. მას გემოვნება უფრო სჭირდება, ვიდრე ძალა, კარგი აღნაგობა უფრო, ვიდრე შეშთაგონება და ენერჯია უფრო, ვიდრე სიდიადე. ფორმა პოეტისათვის აღვარი და ლაგამია, ურომლისოდაც (თუ ჯამბაზი არა ხარ) ცხენს ვერ გააჭენებ. პროზაიკოსისთვის კი ეს არის ძრავის ნაწილი, რომლის გარეშეც მანქანა არ არსებობს. შემთხვევითი არ არის, რომ საუკეთესო პროზის ნამუშები შეიქმნა მაშინ, როდესაც როკოკო, თავისი მოხდენილობით და ზომიერებით ის-ის იყო დაიბადა და მიაღწია კიდევ

თავის უმაღლეს დონეს, რადგან როცა მათი განვითარდა, როდესაც ბაროკო მალაქარდოვანებად გადაიქცა და ქვეყანა, ამ გრანდიოზულობისაგან დაღლილი, ზომიერებას მოითხოვდა. ეს იმ ადამიანების ბუნებრივი მოთხოვნა იყო, რომლებიც ცივილიზებულ სამყაროს აფასებდნენ. იუმორისტული ხასიათი და საღმრთო აზრმა თავისი გაიტანა და ის ტრაგიკული მრბრული კომპლექსები შექმნიდა საუკუნის პირველ ნახევარში ასე მოძალებული იყო, გაზვიადებულად გამოაჩინა. ცხოვრება უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე მანამდე ეგონათ, და ალბათ საუკუნეების მანძილზე პირველად მოახერხეს კულტურულმა კლასებმა უსაქმურობას მისცემოდნენ და დრო თავისუფლად ეტარებანათ. ამბობენ, კარგმა პროზამ კარგად აღზრდილი კაცის საუბარი უნდა მოგაგონოსო. საუბარი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ადამიანის გონება ყოველგვარი დარღვივებისგან თავისუფალია. კაცის სიცოცხლეს საფრთხე არ უნდა ემუქროდეს და სულის შესახებაც არ უნდა მოსდითდეს კაცს თავში ბნელი აზრები. ცივილიზაციის მონაპოვართა დახვეწას უნდა მიეცეს მნიშვნელობა, უნდა დაფასდეს ზრდილობა, ყურადღება მიექცეს საკუთარ თავს (განა ჩვენთვის არ უთქვამთ, რომ კარგი პროზა კაცის კარგად შეკერილი ტანსაცმელივითაა: შესაფერისი და სადა). თავი არავის შეაწყინო, — არც ძალიან ყბელი უნდა იყო და არც ძალიან ჩუმი, ალღოს აღება უნდა შეგეძლოს, ზედმეტ „აღტაცებას“ ცოტა კრატიკული თვალით უნდა შეხედო. აი, ეს არის ის ნიადაგი, რომელიც პროზას უხდება. არ უნდა გაგიკვირდეს, რომ სწორედ ამან შვა პროზის საუკეთესო მწერალი დღევანდელ მსოფლიოში — ეოლტერი. ინგლისელი მწერლები ალბათ იმის გამო, რომ ასეთი პოეტური ბუნების ენა გვაქვს, იშვიათად თუ აღწევდნენ ისეთ სრულყოფილებას, როგორსაც მიაღწია მან. მხოლოდ იმდენად შეიძლება ინგლისელმა მწერლებმა აღგაფრთოვანონ, რამდენადაც უახლოვდებიან იმ სიმსუბუქეს, ზომიერებასა და სიზუსტეს, როგორითაც წერდნენ დიდი ფრანგი ოსტატები.

არ ვიცი, როდენ მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენ კეთილზმონებებს, — უკანასკნელს იმ თვისებათა შორის, რომელიც მოვიხსენიე, — მაგრამ ის მთლიანად თქვენი სმენის მგრძობიარობაზეა დამოკიდებული. უამრავ მკითხველსა და ბევრ გამოჩენილ მწერალს ეს თვისება არ გააჩნია. პოეტები, როგორც მოგეხსენებათ, დიდად იყენებენ ალიტერაციას. სწამთ, რომ ბგერის გამეორება სილამაზის შეგრძნებას იძლევა. არა მგონია პროზაშიც ასე იყოს. ასე შეჩვენება, რომ ალიტერაცია პროზაში მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ. შემთხვევით ნახმარი ძალიან უსაამოვნოდ ხვდება ყურს. მაგრამ ასეთი უცაბედი ხმარება იმდენად ხშირია, რომ კაცს ეგონება, სულაც არ უნდა იყოს უშნოო. ბევრი მწერალი სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე წერს ორ ისეთ სიტყვას ერთმანეთის გვერდით, რომლებიც ურთიერთს ერთმანებთან, ან შეაერთებს ჯოჯობეთურად გრძელ ზედსართავს ასევე ჯოჯობეთურად გრძელ არსებით სახელთან, ან კიდევ ერთი სიტყვის ბოლოსა და მეორე სიტყვის დასაწყისს შორის იმდენ თანხმონებს დაახვევებს, რომ ლამის ყბა ამოგივარდეს. ეს გაცვეთილი და აშკარა მაგალითებია და აქ იმისათვის მოვიყ-

ვანე, რომ მეჩვენებინა, თუ ასეთ შეცდომებს ფრთხილი მწერლები უშვებენ, ეს მათი სმენის უქონლობის ბრალაა. სიტყვებს აქვს წონა, ელერა და გამოსახულება. მხოლოდ ამ თვისებათა გათვალისწინებით შეიძლება დაწერილ კაცმა წინადადება, რომელიც შესახედავადაც სასიამოვნო იქნება და შესაქმნავადაც.

ინგლისური პროზის შესახებ ბევრი საინტერესო წიგნი წამიკითხავს, მაგრამ ვერაფერი ვნახე მათში სასარგებლო. მათი უმეტესობა ბუნდოვანია, ზედმეტად თეორიული და ხშირად ლანძღვის მეტი არაფერია შიგ. სამაგიეროდ ამას ვერ იტყვი ფაულერის ლექსიკონზე „თანამედროვე ცოცხალი ინგლისური ენა“. აი ეს კი ნამდვილად ძვირფასი ნაშრომია. არ მეგულება ისეთი მწერალი, ვინც ამ წიგნში ბევრ რასმე სასარგებლოს არ იპოვის. მერე რა ცოცხალი საკითხავია. ფაულერს უყვარდა უბრალოება, პირდაპირობა და საღი აზრი. პრეტენციოზულობას ვერ ითმენდა. ზვდებოდა, რომ ენის ხერხემალი მეტყველებაა და მთლიანად ხალხური ენის მომხრე იყო. ლოგიკის ყურმოჭრილი მონა არ გახლდათ და ყოველთვის მზად იყო გრამატიკის სამფლობელოს ფარგლებს გარეთ გასულიყო. ინგლისური ენის გრამატიკა ძალიან ძნელია და ცოტა მწერალს თუ დაუწერია რამე უშეცდომოდ. ასეთი დაკვირვებულ მწერალი, როგორც პენრი ჯეიმსია, ხანდახან ისეთ გრამატიკულ შეცდომას უშვებდა, რომ უბრალო სკოლის მასწავლებელი მართებულად განრისხდებოდა, ასეთი შეცდომები რომ მოწაფის ნაწერში ენახა. გრამატიკა უნდა იცოდე, თან უკეთესია უშეცდომოდ წერო, ვიდრე შეცდომებით, მაგრამ უნდა გახსოვდეს, რომ გრამატიკა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენაა, ოღონდ წესებად ჩამოყალიბებული. ის ცოცხალ ენაში გამოიცდება. მიჩვენია სადა და ძალდაუტანებელი ფრაზა გამოვიყენო, ვიდრე ზუსტად გრამატიკულად გაწყობილი. ერთ-ერთი განსხვავება ფრანგულსა და ინგლისურს შორის ის არის, რომ ფრანგულად შეიძლება ზუსტად გრამატიკულად გაწყობილი ფრაზა ბუნებრივი იყოს, ინგლისურად კი ყოველთვის არაა ასე. ინგლისურად წერა იმიტომაა ძნელი, რომ ცოცხალი ხმის ელერა დაბეჭდილ სიტყვაზე ბატონობს. ბევრი მიფიქრია სტილის საკითხზე, ბევრი ოფლიც მიღვრია. სულ რამდენიმე გვერდი თუ დამიწერია ისეთი, რომ შესწორება არა სჭირდებოდეს, ხოლო უფრო მეტი კი ისეთი, რომელსაც ბევრი ვუტრიალე. მაგრამ ვერაფერი მოვუხერხე და ისევ ისე დავტოვე. ჩემს თავზე ნამდვილად ვერ ვიტყვი იმას, რაც ჯონსონმა თქვა პოოპზე: „ნაკლს არასდროს დასტოვებდა გამოუსწორებელს გულგრილობის გამო და არც სასოწარკვეთილების მიზეზით გაეცლებოდა“. ვერ ვწერ ისე, როგორც მსურს. ვწერ, როგორც შემიძლია.

მაგრამ ფაულერს სმენა არა ჰქონდა. ვერა ზვდებოდა, რომ უბრალოებამ ხანდახან კეთილხმოვანებას უნდა დაუთმოს გზა. არ მგონია, ცოტა ხელოვნური, თუნდაც მოძველებული, ან ამალეღვებელი სიტყვა უადგილო იყოს, თუ ის უკეთ ელერს, ვიდრე გაცვეთილი და აშკარად უბრალო სიტყვა, მით უმეტეს, თუ ის წინადადებას უკეთ აწონასწორებს. ვჩქარობ დავსძინო, რომ, მართალია, კეთილხმოვანების გულისთვის ასეთი დათმობა გიხდება, მაგრამ ამით არავითარ შემთხვევაში არ უნდა გააბუნდოვანო სიტყვის მნიშვნელობა. ბუნდოვანებაზე უარესი არა არის რა. სიცხადის საწინააღმდეგოდ ვერაფერს ვიტყვით, უბრალოების საწინააღმდეგოდ კი მხოლოდ იმას, რომ შეიძლება სიტყვა მშრალი

გვეჩვენოს. მაგრამ ეს ისეთი რისკია, რომლის გაწევაც ღირს, თუ გავხსენებთ, რომ სჯობია კაცი მელოტი იყო, ვიდრე ხუჭუჭა პარიკი ატარო. მაგრამ კეთილხმოვანებაში ერთი ისეთი საშიშროებაა, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს: ძალიან მონოტონური არ უნდა გახდეს. როდესაც ჯორჯ მურდოქი დაიწყო, ძალიან ღარიბი ენა ჰქონდა. ისეთი შთაბეჭდილება გექმნებოდა, თითქოს გასახვევ კალაღზე წერს წვერწატეხილი ფანქრითო. მაგრამ თანდათან მშვენიერი მუსიკალური ენა გამოიძუშავა. ისწავლა ეწერა წინადადებები, რომლებიც სმენას რაღაც ნისლოვანი სინაზით იპყრობდა და ისე გაუტკბა ეს სტილი, რომ სხვანაირად ვეღარც კი წერდა. მონოტონობას მაინც ვერ გადაურჩა. ეს კენჭებით მოთენილ ზღვის ნაპირზე მოლივლივე ტალღების ხმაურივითაა, რომელიც ისე გამშვიდებს, რომ საბოლოოდ ვეღარც კი ამჩნევ. იმდენად ტკბილია, რომ მოგწყურდება რამე უხეში მოხვდეს ყურს, რაიმე მკვეთრი დისონანსი, რათა შეწყვიტოს ეს აბრეშუმისებრი ჰარმონია. არ ვიცი, როგორ უნდა დაიცვა თავი ამისგან. ვფიქრობ, საუკეთესო საშუალება უნდა იყოს უფრო მგრძობიარე გახდეს ყოველგვარი მოსაწყენის მიმართ, მკითხველზე გაცილებით ადრე მოგბეზრდეს მონოტონურობა, მანერულობას უნდა ერიდო და თუ რომელიმე დაბოლოება ძალიან ხშირად და თავისუფლად გამოგდის, გაფრთხილდე, მექანიკური არ გახდეს. ძნელი დასადგენია, როდის აღმოჩნდება შენს მიერ შერჩეული გამოთქმა უადგილო ადგილას. როგორც თქვა დოქტორმა ჯონსონმა: „ვისაც კი ერთხელ ბეჯითად ჩამოუყალიბებია თავისი სტილი, იშვიათად თუ დაწერს თავისუფლად“. მეთიუ არნოლდის სტილი შესანიშნავად ასრულებდა მის მიზნებს, მაგრამ მინდა შევნიშნო, რომ მისი მანერულობა ხშირად გამაღიზიანებელია, მისი სტილი ისეთი იარაღი იყო, რომელიც მან სამუდამოდ გამოჰყვდა, მაგრამ ადამიანის ხელს კი არა ჰგავს, რომელსაც ძალუძს სხვადასხვანაირი მოქმედება შეასრულოს.

თუ კაცს შეუძლია წეროს ნათლად, უბრალოდ და კეთილხმოვანად და თანაც ცოცხლად, ეს ნიშნავს რომ ის საუკეთესოდ წერს, ესე იგი, ვოლტერით წერს და მაინც ჩვენ ვიცით, რა შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ დაიყინებ, ცოცხლად უნდა ვწეროთ: ამას ისეთივე შედეგი ექნება, როგორც მერედითის მომქანცველ აკრობატიკას. მაკოლეი და კარლაილი თავისებურად საინტერესო იყვნენ, მაგრამ ეს მათ ბუნებრიობის გაწირვის ფასად დაუჯდათ. მათი ბრწყინვალე ეფექტები ყურადღებას ფანტავს. ისინი თვითონვე არღვევენ თავისსავე დამაჯერებლობას. ძნელი დასაჯერებელია, რომ კაცს გადაწყვეტილი აქვს გუთნით კვალი გაიყვანოს, თუ თან წამოღებული აქვს გვერგვი და ყოველ ნაბიჯზე შიგ ხტება. კარგ სტილს ძალდატანება არ უნდა ეტყობოდეს. რაც დაწერილია, ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ბედნიერი შემთხვევა. არა მგონია ახლა ვინმე კოლეტზე უკეთ სწერდეს საფრანგეთში და ასე უბრალოდ გამოხატავდეს ყველაფერს: ასე გგონია სულ არ ირჯებათ. ამბობენ, არიან პიანისტები, რომლებსაც ისეთი ბუნებრივი ტექნიკა აქვთ, როგორსაც სხვები ბეჯითი შრომით აღწევენ. მინდა დავიჯერო, რომ არსებობენ ასეთი ბედნიერი მწერლებიც. მათ შორის კოლეტს მივიჩნევდი უპირველესად. ერთხელ ვკითხე და დიდად გაოცებული დავრჩი, როდესაც მითხრა, ყველაფერს ვწერ და ვწერ რამდენჯერმეო. ასე მითხრა, ხანდახან ერთი გვერდის დაწერას მთელ დილას ვანდობებო. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რა გზით მიაღწევ სიმსუბუქის შთაბეჭდილებას. აი

მე თუკი ამას ოდესმე ვაღწევ, ეს მხოლოდ ძლიერი დაძაბვის შედეგად განგება იშვიათად თუ მომწვედის ისეთ სიტყვას, ან ფრაზას, რომ გამომადგეს და გაცვეთილი და ხელოვნურიც არ იყოს.

ეროვნული
ზიგალონიკა

გამიგონია, ანატოლ ფრანსი მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნის იმ მწერლების კონსტრუქციებსა და სიტყვებს იყენებდა, რომლებიც დიდად უყვარდაო. დანამდვილებით არ ვიცი, ასე იყო თუ არა. თუ ასე იყო, ალბათ იმიტომაც, რომ მის მშვენიერ და მარტივ ფრანგულს სიცხოველე აკლია. მაგრამ უბრალოება ყალბია, თუ იმას არ ამბობ, რაც უნდა გეთქვა, მხოლოდ იმიტომ, რომ გარკვეული გზა ვერ გიპოვნია. კაცმა თავისი დროის შესაფერისად უნდა წეროს. ენა ცოცხალია და მუდამ იცვლება. შორეული წარსულის დროინდელი მწერალივით რომ სცადო წერა, ეს მხოლოდ ხელოვნურობამდე მიგიყვანს. ერთი წუთითაც არ შევყოყმანდები გამოვიყენო სადღეისოდ გავრცელებული გამოთქმა, თუნდაც ვიცოდე, რომ ძალე გადავა მოდიდან, ან სლენგი, რომელიც ათი წლის მერე გაუგებარი გახდება, თუ ამით ფრაზას სიცოცხლესა და მოქმედებას მივანიჭებ. თუ სტილს კლასიკური ფორმა გააჩნია, ადგილობრივი ან დროებითი მნიშვნელობის მქონე ფრაზეოლოგიის ზომიერი ხმარება ხელს შეუწყობს. ვულგარული მწერალი მიჩვევნია პრანჭიას, რადგან ცხოვრება ვულგარულია და მწერალმა კი ცხოვრება უნდა ასახოს.

ვფიქრობ, რომ ჩვენ, ინგლისელმა მწერლებმა ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ამერიკელი თანამოკალმეებისაგან, რადგან ამერიკელი მწერლები მეფე ჯეიმსის ბიბლიის ტირანიასაც გადაურჩნენ და იმ ძველ ოსტატებსაც არ მოუხდენიათ მათზე დიდი გავლენა, რომელთა წერის მანერა ჩვენი კულტურის ნაწილია. თავისი სტილი, შესაძლოა, თავისდაუნებურად სასაუბრო ენისგან შექმნეს, რომელიც მათ გარშემო გაისმოდა. ამ ენის საუკეთესო ნიმუშებს აქვს ის პირდაპირობა, სიცოცხლე და ძალა, რის გამოც ჩვენი, უფრო დახვეწილი სტილი მოდუნებული ჩანს. თითქმის ყველა ამერიკელ მწერალს მოუხდა ჟურნალისტობა და გაზეთის მკვეთრი, ნერვიული და გამომსახველი სტილი ძალიან გამოადგათ, რადგანაც ჩვენ ისევე ვკითხულობთ გაზეთებს, როგორც ჩვენი წინაპრები კითხულობდნენ ბიბლიას. ეს არცთუ ისე უსარგებლოა, რადგან გაზეთი, — განსაკუთრებით კი პოპულარული, — ბევრ ისეთ რამეს გვთავაზობს, რომელიც მწერლებს ძალიან გვჭირდება. ეს ნედლი მასალა თითქოს პირდაპირ ცოცხლად ტყავისმხდელის საყისბოდანაა მოსული და სულელი უნდა იყო, თუ პირს იბრუნებ მხოლოდ იმიტომ, რომ მას სისხლისა და ოფლის სუნი ასდის. ისე კი, რაც უნდა ვეცადოთ, ამ ყოველდღიური პროზის გავლენას მაინც ვერ ავცდებით. მაგრამ ამა თუ იმ პერიოდის ჟურნალისტიკას ერთნაირი სტილი აქვს, გეგონება ყველაფერი ერთი კაცის დაწერილიაო, სახე არ გააჩნია. ამას კი წინ უნდა აღუდგე სხვა სახის წიგნების კითხვით. ამიტომ მუდმივად უნდა გქონდეს კავშირი სხვა დროის, მაგრამ არც ასე შორეული წარსულის ნაწერებთან. ამრიგად თქვენ გექნებათ საშუალება შეამოწმოთ საკუთარი სტილი და ის იდეალი, რომლისკენაც მიისწრაფით თქვენი დროის გზით. ჩემთვის ამ მიზნით ორი ავტორი აღმოჩნდა შესწავლის ღირსი — ჰენლიტი და კარდინალი ნიუმენი, თუმცა მე თვითონ არც ერთს არ ვბაძავ. პეზლიტი ზედმეტად რიტო-

რიკულია ხოლმე და მისი ჩუქურთმები ხანდახან ისევე მშფოთვარეა, როგორც ვიქტორიანული გოთიკა. ნიუმენი ზედმეტად ყვავილოვანია. მაგრამ ორივე ამ მწერლის უკეთესი ნაწერები შესანიშნავია. დრო ნაკლებად შეეხო მათ სტილს. ის თითქმის თანამედროვეა — ჰეზლიტი ნათელია, მხნე და ჰენსტრეპლი ძალა და სიცოცხლე გააჩნია. მის ფრაზებში იგრძნობა ადამიანი, არა ისეთი სწრილ-მანი, კინკული და უსიამოვნო, როგორადაც მას იცნობდნენ, არამედ მისი საკუთარი შინაგანი „მე“, რომელსაც მარტო თვითონ ხედავდა (ხოლო ჩვენი შინაგანი „მე“ ისევე ნამდვილი და რეალურია, როგორც ის საცოდავი, მერყევა ადამიანი, რომელსაც სხვები ხედავენ). ნიუმენს ჰქონდა დახვეწილი მიმზიდველობა, მუსიკა, — ხან მხიარული, ხანაც მწუხარე, ფრაზის ტყიური სილამაზე, კეთილშობილება და სინაზე. ორივე საოცრად ნათლად წერდა. მაგრამ არც ერთი არ არის ისე უბრალო, როგორსაც დახვეწილი გემოვნება მოითხოვს. აქ კი, მე ვფიქრობ, მათ მეთიუ არნოლდი სჯობდა. ორივემ შესანაშნავად იცოდა ფრაზის გამართვა და ისიც, თუ როგორ დაეწერათ თვალისთვის საამო წინადადებები. ორივეს ძალზე მგრძობიარე სმენა ჰქონდა.

ყველა, ვინც კი მოახერხებს თანამედროვეობას შეუხამოს მათი წერის მანერა, ისე კარგად დაწერს, რომ უკეთესი არ შეიძლება.

დროდადრო ვფიქრობ, უკეთესი მწერალი თუ ვიქნებოდე, მთელი ცხოვრება რომ ლიტერატურისათვის დამეთმო-მეთქი? კარგა ხნის წინ, — არ მახსოვს რამდენი წლისა ვიყავი, — გადავწყვიტე, რადგან ერთხელ ვცხოვრობ, მოდი, ცხოვრებას ყველაფერს დავცინცლავ-მეთქი. არ მეგონა, რომ მხოლოდ წერა კმაროდა. ცხოვრება წინასწარ მიხდოდა დამეგეგმა. მწერლობა ძირითად ნაწილს დაიჭერდა, მაგრამ შიგ შევიდოდა ყველა სხვა ადამიანური მისწრაფება და ამასაც, ბოლოს და ბოლოს, სიკვდილი მოამთავრებდა. ზევრი ნაკლი გამაჩნდა: მომცრო ტანისა ვიყავი, გამძლე, მაგრამ ფიზიკურად სუსტი, ენაბლუ, მორცხვი და ჯანმრთელობაც არ მივარგოდა. თამაშის ნიჭი სულ არ გამაჩნდა, რაც ინგლისელთა ჩვეულებრივ ცხოვრებაში ასეთ დიდ როლს ასრულებს. არ ვიცი, აქ ჩამოთვლილი რომელიმე ნაკლისა თუ ჩემი ბუნების მიზეზით ტოლებს ვერიდებოდი და ამიტომ მათთან ახლო ურთიერთობა მიჭირდა. ცალკეული ადამიანები მიყვარდა, მასის ადამიანი კი არასოდეს მიზიდავდა მაინცადამაინც. არცა ვარ ისეთი გულდია, რომ პირველ გაცნობისთანავე დაუშვებობრდე კაცს. თუმცა წლების განმავლობაში ვისწავლე იძულებით დაკავშირებულ ადამიანებთან გულათადი ურთიერთობა, მაინც პირველი ნახვით არავინ მომწონებია. არ მახსოვს უცნობს დავლაპარაკებოდი მატარებლის ვაგონში, ან გემზე, თუ ის თვითონ არ დამელაპარაკებოდა პირველი. ჯანმრთელობის სისუსტე არ მაძლევდა საშუალებას სიმთვრალეში მაინც დავმტკბარიყავი ადამიანებთან ურთიერთობით. კარგა ხნით აღრე, ვიდრე ისე შევზარბოშდებოდი, როდესაც კაცი ყველას თავის ძმად მიიჩნევს, მუცელი მოულოდნელად მლაღატობდა და გული მერეოდა ხოლმე. ეს კი ძალიან არახელსაყრელია როგორც ადამიანისათვის, ასევე მწერლისთვისაც. მე კი, რაც შემიძლო ვცდილობდი დასახულ გეგმას მტკიცედ გავყოლოდი. ამით იმის თქმა კი არ მინდა, ეს გეგმა შეუცდომელი რამ

იყო-მეთქი, მაგრამ უკეთესის იმედი არა მქონდა იმ სუსტი ძალ-ღონის პატრონს, რაც ბუნებამ ჩემთვის გამოიმეტა.

ადამიანის თავისებურების დადგენისას არისტოტელემ გადაწყვიტა, რომ რადგან ადამიანი ისევე იზრდება როგორც მცენარე და აღიქვამს ზარზარულ ცხოველს, ხოლო ამავე დროს, მართო მას გააჩნია გონება, — მისი თვისებები ცხოვრებაა. აქედან დასკვნა, რომ ადამიანმა უნდა მისცეს გასაქანი არა მოქმედების ამ სამივე ფორმას, როგორც შეიძლება ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ, არამედ იმას, რაც მისთვისაა დამახასიათებელი. ფილოსოფოსები და მორალისტები სხეულს მუდამ უნდობლად უყურებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ მისი სიამოვნებანი ძალიან ხანმოკლეა. მაგრამ სიამოვნება, რაც უნდა ხანმოკლე იყოს, მაინც სიამოვნებაა. სასიამოვნოა სიცხეში ცივ წყალში ჩახტომა, მიუხედავად იმისა, რომ კანი ცოტა ხანში კარგავს ცივი წყლის შეგრძნების უნარს. თეთრს უფრო ვერ გაათეთრებ, მთელი დღე ან წელიწადიც რომ ათეთრო. იმ დროს ჩემი გეგმის ერთ ნაწილად მიმაჩნდა გრძნობების ყველა სიამოვნებათა განოცდა. გადაჭარბებისა არ მერიდებოდა, ეს ბშირად წამახალისებელიცაა. იგი აიძულებს ზომიერებას არ გადაიქცეს მომადუნებელ ჩვეულებად. ძალ-ღონეს გმატებს და ნერვებს გამშვიდებს. სული ხარობს, როდესაც სხეული სიამით არის აღსავსე. მართლაც, ხშირად ვარსკვლავები წუმბიდან უფრო კაშკაშა ჩანს, ვიდრე მთის წვერიდან. ყველაზე დიდი სიამოვნება, რომელსაც ადამიანი განიცდის — ფიზიკური სიყვარულია. ბევრ კაცს ვიცნობ, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება ამ საქმისათვის დაუთმია. ახლა ისინი მოხუცდნენ და ჩემდა გასაკვირად თვლიან, რომ ცხოვრება კარგად გაატარეს. ჩემი უბედურება კი ისაა, რომ ბუნებით აზიზი ვარ. ამიტომაც ასეთი სიამოვნება გაცილებით ნაკლები მიმიღია, ვიდრე შემეძლო. ზომიერი ვიყავი, რადგან იხელად თუ ვინმე მომეწონებოდა. ხანდახან, როდესაც ვნახავდი ისეთ ვინმეს, ვისთანაც ბევრი გამოჩენილი არშიყი იკმაყოფილებდა სურვილს, მათი გაუმძღრობა უფრო მაკვირვებდა, ხოლო წარმატება ნაკლებ მშურდა. ცხადია, არასდროს მოგშივდება, როდესაც შეგიძლია ცხვრის შეჭამანდითა და თალგამითაც გამოძლე.

ადამიანთა უმეტესობა შემთხვევით ცხოვრობს — ბედს მიჰყვება. ბევრს ის გარემო, რომელშიც დაიბადა, აგრეთვე ცხოვრებისათვის საჭირო სახსრების დაგროვება აიძულებს პირდაპირ და ვიწრო გზას დაადგეს, სადაც ვერც მარჯვნივ გაუხვევს და ვერც მარცხნივ. მათ ეს გეგმა თავს მოხვეული აქვთ — ცხოვრება აიძულებთ. მაგრამ ეს გეგმაც შეიძლება ისევე სრულყოფილი იყოს, როგორც იმათი, ვინც მას შეგნებულად ადგენს ხოლმე. ხელოვანი უკეთეს მდგომარეობაშია. აქ სიტყვა „ხელოვანს“ იმიტომ კა არ ვიყენებ, რომ ფასი ავუწიო იმას, რასაც ის ქმნის, არამედ იმიტომ, რომ დავასახელო ხელოვნების მიმდევარი ადამიანი. ნეტა უკეთესი სიტყვის მოძებნა შემძლებოდა. შემოქმედი — ძალიან პრეტენზიულია და ორიგინალობას ჩემულობს, რაც იშვიათად თუ მართლდება. ოსტატი — არაა საკმარისი. დურგალიც ოსტატია და თუმცა თავისებურად შეიძლება ხელოვანიც იყოს, მას არა აქვს ის მოქმედების თავისუფლება, რომელიც ყველაზე უფიც მჯღაბნელს და ყველაზე უხეირო მხატვარსაც კი გააჩნია. ხელოვანი, მართალია, ცოტა შეზღუდულად, მაგრამ მაინც თავის ნებაზე წარმართავს საკუთარ ცხოვრებას. რაც შეეხება სხვა პროფესიებს, როგორიცაა,

მაგალითად, მედიცინა ან სამართალი, შეგიძლია აირჩიო რომელიმე მათგანი, მაგრამ თუ აირჩიე, ამის შემდეგ თავისუფალი აღარა ხარ. შენი პროტესტის კანონებითა ხარ დაბმული, იძულებული ხარ დაიცვა ქვევის წესები. თქვენი გეგმა წინასწარ დასახულია. მხოლოდ ხელოვანი ან ბოროტმოქმედი აკეთებს იმას, რაც სურს.

სიზღოროვნება

ალბათ თანდაყოლილმა წესრიგის გრძნობამ თუ მაიძულა ჯერ კიდევ ახალგაზრდას დამეგეგმა ცხოვრება. ან შეიძლება იმანაც, რაც ჩემშივე აღმოვაჩინე და რასაც მერე მოგიტხრობთ. წინასწარ დაგეგმილ ცხოვრებასაც თავისი ნაკლი აქვს: შეიძლება უშუალოდ ჩაკლას. მთავარი სხვაობა ცოცხალ ადამიანსა და ნაწარმოების გმირს შორის ეს არის, რომ ცოცხალი ადამიანი იმბულსს ემორჩილება. ნათქვამია, მეტაფიზიკა ნიშნავს ძნელად დასაჯერებელი მიზეზები მოუძებნო იმას, რაც ინსტინქტურად გჯერაო. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ მსჯელობასაც ვიყენებთ საკუთარი თავის გასამართლებლად, როდესაც ჩვენს ნებაზე ვიქცევით. ხოლო ჩვენი იმბულსებისათვის დათმობა წინასწარ დასახული გეგმის ნაწილია. გეგმას ერთი ნაკლი აქვს — მომავალში დიდხანს ცხოვრებას გაიძულებს. ვიცოდით, ეს ჩემი საკუთარი ნაკლი იყო, მაგრამ ამოდ ვცდილობდი გამომესწორებინა იგი. არასოდეს, — თუ არა ნებისყოფის დიდი დამბვის გარეშე, — არ მომინდომებია გამეგრძელებინა სიამოვნების წამი უფრო მეტ ხანს, რადგან დიდი ხნის ნანატრიც რომ ამსრულებოდა, ჩემი გონება მაინც იმ ნატვრის ასრულებისკენ იყო მიმართული, რომელიც მომავალში მელოდა. პიკადილის სამხრეთ ნაწილში არასდროს მივლია ისე, რომ არ მეფიქროს, ნეტა რა ხდება ჩრდილოეთ ნაწილში-მეთქი. ეს სიგიჟეა. მხოლოდ ამ უამინდელი წუთისა შეიძლება გჯეროდეს. ბუნებრივია, მისგან უნდა ამოიღო მთელი მისი ღირებულება. მომავალი ერთ მშვენიერ დღეს აწმყო გახდება და ისეთივე უმნიშვნელო იქნება, როგორც აწმყო ახლა. მაგრამ კეთილგონიერებას ჩემთვის ფასა არა აქვს. აწმყოს სულაც არ ვემდურები, — მას უბრალოდ ვიღებ. ის ჩემს გეგმაშია ჩაქსოვილი და მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რაც მომავალში უნდა მოხდეს.

ბევრი შეცდომა ჩამიდენია. დროდადრო ისეთ ხაფანგში გავბმულვარ, რომელშიაც ბევრი სხვა მწერალი მოხვედრილა. — მომინდომებია მეკეთებინა ეს, რასაც ჩემს გამოგონილ გმირებს ვაკეთებინებდი. ვცდილობდი ისეთი რამ ჩამედინა, რაც ბუნებით არ მეხერხებოდა, მაგრამ ჩემი პატივმოყვარეობის გამო არ ვთმობდი. სხვებს აზრს მეტად დიდ ყურადღებას ვაქცევდი. მსხვერპლს ვწირავდი უღირს მიზნებს იმიტომ, რომ არ მყოფნიდა გამბედაობა ტკივილი მიმეყენებინა სხვისთვის. სისულელეებს ჩავდიოდი. მეტად კეთილსინდისიერი ვიყავი და ახლაც მიქირს ჩემი ზოგაერთი საქციელის დავიწყება. ბედნიერება რომ მღირსებოდა და კათოლიკე ვყოფილიყავი, აღსარებას ვიტყოდი, საკანონოს მოვიხდიდი, ცოდვებს მოვინანიებდი და სამუდამოდ მოვაშორებდი ამას დარდს. მაგრამ მათ ისე ვუყურებდი, როგორც გონება მკარნახობდა. გული არა მწყდება, რადგან ვფიქრობ, ჩემს საკუთარ შეცოდებათა წყალობით სხვების მიმართაც უფრო შემწყნარებელი გავხდი, თუმც ამაზე დიდი დრო კი წამივიდა. ახალგაზრდობაში ძალიან ფიცხი ვიყავი. მახსოვს, როგორ აღვშფოთდი, როდესაც ვილაყამ თქვა (არც ისე ორიგინალური, მაგრამ იმ დროს ჩემთვის ახალი რამ), რომ ფარისევლობა ხარკია, რომელსაც ბოროტება უხდის სათნოე-

ბასო. მეგონა, რომ ძალა უნდა შეგწევდეს საკუთარი მანკიერება არ დამალო. პატიოსნების, პირდაპირობის და სიმართლის იდეალებს ვცემდი თაყვანს. ძალა-მანური სასუსტე კი არ მამბრაზებდა, არამედ მისი სიმხდალე, და ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულობისა და ეშმაკობის მტერი ვიყავი. მაგრამ ამტკაცუნებულ-სვლია, რომ, უპირველეს ყოვლისა, შეწყნარება თვით მე მესმის.

ერთი შეხედვით საოცარია, რომ ჩვენი საკუთარი შეცოდება ნაკლებად საზიზღარი გვეჩვენება, ვიდრე სხვისი. ალბათ იმატომ, რომ ვიცით ყველა ის გარემოება, რომელთაც გამოიწვიეს ჩვენი შეცოდება და შეგვიძლია საკუთარ თავს ვაპატიოთ ის, რასაც სხვას ვერ ვაპატიებთ. საკუთარ ნაკლს თვალს ვარიდებთ, ხოლო როდესაც იძულებული ვართ რაიმე შემთხვევის გამო ვალიაროთ, ადვილად ვამართლებთ. მე ვფაქრობ, სწორედაც ვიქცევით. რადგან ეს ყველაფერი ჩვენი არსების ნაწილია, ამიტომ ჩვენი ცუდიც და კარგიც ერთნაირად უნდა მივიღოთ. მაგრამ როდესაც საქმე სხვების განსჯაზე მიდგება, მათ ისე არ ვუბყრობით, როგორც საკუთარ თავს, არამედ იმ წარმოდგენის თანახმად ვსჯით, ჩვენს საკუთარ თავზე რომ გვაქვს შექმნილი და სადაც გამორიცხულია ყველაფერი ის, რაც ჩვენს თავმოყვარეობას შელახავს ან სხვის თვალში დაგვამცირებს. მოვიყვან ჩვეულებრივ მაგალითს: რა დამცინავენი ვხდებით ჩვენ, როდესაც ვინმეს ტყუილში დავიჭერთ-ხოლმე! მაგრამ ვის არ უთქვამს ტყუილი, თანაც ერთი კი არა — ასზე არა ნაკლები. გაოცებული ვართ, როდესაც აღმოვაჩენთ, რომ ვინმე დიდი ადამიანი სუსტი და წვრილმანი ყოფილა, ან უპატიოსნო და თავკერძა, ან გარყვნილი, პატივმოყვარე და თავშეუკავებელი. ბევრს ულამაზოდ მიაჩნია საკუთარი გამირებას ნაკლის ჩვენება. ადამიანებს შორის დიდი განსხვავება არაა. ადამიანი არის ნარევი სიდიადისა და სიმცირისა, ბოროტებისა და სათნოებისა, კეთალშობილებისა და სიმდაბლისა. ზოგს უფრო მტკიცე ხასიათი აქვს ან უფრო მეტი საშუალება და ამა თუ იმ გზით გაცილებით მეტ გასაქანს აძლევს თავის ინსტინქტებს, მაგრამ პოტენციურად ყველა ერთია. მე, ჩემი მხრით, არა მგონია, რომ ვინმეზე უკეთესი ვიყო ან უარესი. მაგრამ თუ ყოველივე იმავე ჩამოვთვლი, რაც ცხოვრებაში მიკეთებია ან მიფიქრია, ხალხი ალბათ გახრწნილების ურჩხულად მიმაჩნევდა.

არ მესმის, როგორ უნდა დასდო მსჯავრი სხვას, როდესაც საკუთარ აზრებს გადახედავ. ჩვენი ცხოვრების მეტ ნაწილს ოცნებაში ვატარებთ და რაც უფრო ძლიერი წარმოსახვის უნარი გვაქვს, მათ უფრო ცოცხალი და ნაირნაირია ეს ოცნება. განა რამდენი ჩვენგანი მოისურვებდა მექანიკურად ჩაწერილი საკუთარი ოცნებები ენახა? სირცხვილით დავიწვებოდით. ავყვირდებოდით, რომ არა ვართ ასე უნამუსო, ასე ბოროტი, ასე წვრილმანი, ასე პატივმოყვარე, ასე უხამსი, ასე შედიდური, ასე თავკერძა და ასე სენტიმენტალური. ჭეშმარიტად, ჩვენი ოცნებები ისევეა ჩვენი ნაწალი, როგორც ჩვენი საქმეები, და ვინმეს რომ ჩვენი ფარული აზრები ესმოდეს, ალბათ ისევე ვაგებდით პასუხს, როგორც ჩვენს ჩადენილ საქმეებზე. ადამიანს ავიწყდება ის საზარელი აზრები, რომლებიც თავში მოუვლის ხოლმე და აღმოფოთებულია, როდესაც მათ

სხვას უბოვის. გოეთე თავის „პოეზიასა და ჯეშმარიტებაში“ გვიამბობს, როგორ აწუხებდა ახალგაზრდობისას ის აზრი, რომ მამამისი საშუალო კლასის კეჩილი იყო ფრანკფურტში. ეგონა, ჩემს სხეულში ცისფერი სისხლი უნდა სრულყოფილიყო. ამიტომ ფიქრობდა თავი დაერწმუნებინა, რომ ვინმე წარჩინებული ფეოდალი მოგზაურობდა მათ ქალაქში, შეუყვარდა დედამისი და ის იყო მამამისის ნაყოფი. იმ გამოცემის რედაქტორმა, რომელიც მე წავიკითხე, აღშფოთებული შენიშვნა უძღვნა ამ ადგილს. მან უღირსობად მიიჩნია, რომ ასეთი დიდი პოეტი დედამისის უდავო პატიოსნებას ხელყოფს საკუთარი სნობიზმის დასაკმაყოფილებლად და არისტოკრატიულ ნაბიჯვრობას იჩემებს. ეს მართლაც დიდი სირცხვილი იყო, მაგრამ მაინც ბუნებრივი, და — გაბედულად ვიტყვი. არც ისე უჩვეულო. ალბათ ცოტა თუ მოიძებნება ისეთი რომანტიკული, ცელქი და მეოცნებე ბიჭუნა, რომელსაც აზრად არ მოსვლოდეს, რომ ასეთი მოსაწყენი და დარბაისელი კაცი არ შეიძლება მამამისი იყოს, ხოლო იმ უპირატესობას, რომელსაც თავის თავში გრძნობენ, საკუთარი მიდრეკილებების მიხედვით მიაწერენ იმას, რომ წარმოიშვნენ ან უცნობი პოეტისაგან, ან ცნობილი საზოგადო მოღვაწისაგან ან ვინმე უფლისწულისაგან. ხანდაზმული გოეთეს ოლიმპიურობა მისდამი მოკრძალებას მინერგავს, მაგრამ მისი აღსარება ჩემში უფრო თბილ გრძნობებს აღვიძებს. ადამიანმა რაც უნდა დიდი რამ შექმნას, მაინც ჩვეულებრივ ადამიანად რჩება.

ფიქრობ, სწორედ ასეთი ურცხვი, უგვანო, მდაბალი და ეგოისტური აზრები მოსდიოდათ უნებურად თავში წმინდანებს და ისინიც იტანჯებოდნენ მას შემდეგ, რაც მხოლოდ კეთილ საქმეებს უძღვნიდნენ ცხოვრებას და ცოდვებს აღსარებით მოინანიებდნენ. წმინდა იგნაციო ლოიოლა, როგორც მოგეხსენებათ. მონსერაში წაეიდა, იქ ცოდვები მოინანია და შენდობა მიიღო, მაგრამ სინდისი კვლავაც ქენჯნიდა ისე, რომ კინალამ თავი მოაკლა. მოქცევამდე იმდროინდელი კეთილშობილი ყმაწვილი კაცის ცხოვრებას ეწეოდა, გარეგნობითაც თავი მოჰქონდა, ქალებს ეტანებოდა და კამათელს აგორებდა. მაგრამ სულ ცოტა ერთხელ მაინც გამოუჩენია დიდსულოვნება და ყოველთვის პატიოსანი იყო, კეთილი, სულგრძელი და მამაცი. სიმშვიდე კი ვერ იგრძნო, ალბათ იმიტომ, რომ საკუთარ აზრებს ვერ ეგუებოდა. ალბათ დიდი ნუგეშია იცოდე, რომ წმინდანები გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას. როდესაც ვუყურებ ძლიერებს ამა ქვეყნისა, ასე გამართულებსა და ღირსებით აღსავსეთ, ხშირად მიფიქრია, ნეტა თუ ახსოვთ, რა აზრები მოსდით ხანდახან მარტოობის ჟამს და თუ აწუხებთ მათი სუბლიმირებული სახის იქით მდებარე საიდუმლოებაზე ფიქრი. ასე მგონია, თუ კაცმა იცი, რომ შენი ფიქრები ისეთივეა, როგორც სხვებისა, შენა თავისა და სხვებისადმი მეტი შემწყნარებლობით უნდა გაიმსჭვალო. უკეთესი იქნება, თუ ყველას, ძალიან გამოჩენალსა და პატივცემულებსაც, იუმორით შევხედავთ და საკუთარ თავსაც ნაკლებ სერიოზულად მოვეპყრობით. როდესაც სასამართლო დარბაზში, მოსამართლის დაშაქრულ მორალით აღსავსე სიტყვას ვისმენ ხოლმე, თავს ვეკითხები, ნუთუ იმდენად დაავიწყდა საკუთარი ადამიანობა, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს? მინდოდა, ოლდბეილის სასამართლოში მისი მოწყალების წინ ყვავილების თავიგულის გვერდით ტუალეტის ქაღალდიც დებულიყო. ეს გაახსენებდა მოსამართლეს, რომ თვითონაც ისეთივე ადამიანია, როგორც სხვები არიან.



ხშირად ცინიკოსს მეძახიან. მამრალევენ, ადამიანს უფრო უარესს ხატავ, ვიდრე ნამდვილად არისო. არა მგონია, ასე იყოს. მე მხოლოდ გვირგვინი ადამიანის ხასიათის იმ ნაკლოვანებას, რაზედაც ბევრი მწერაღმსწერის მსახურს ჭავს. ადამიანში ყველაზე მეტად თანმიმდევრობის უქონლობა მათეობდა. ჯერ არ მინახავს ერთი მთლიანი პიროვნებაც კი. მუდამ მიკვირდა, რომ ამდენი შეუსაბამო თვისებები იყრის თავს ერთ პიროვნებაში და ერთად მაინც ჰარმონიის შთაბეჭდილებას ქმნის. ხშირად ვეკითხები თავს, როგორ ხდება, რომ ასეთი, ერთი შეხედვით ერთმანეთთან შეუთავსებელი თვისებები ერთ კაცს შეიძლება გააჩნდეს-მეტეი. მცნობია ვიგინდარები, რომლებსაც შეეძლოთ თავი გაეწიროთ, სულით მდიდარი ქურდები და მეძავეები, რომლებისათვისაც ნამუსის საქმე იყო თავის ფასად პატიოსნად მოგმსახურებოდნენ. ამის ახსნა მხოლოდ იმით შემიძლია, რომ ყოველ ადამიანს ინსტინქტურად სწამს თავისი განსაკუთრებული და გამორჩეული თვისება და ფიქრობს, ყოველივე, რასაც მე ვაკეთებ, თუ ბუნებრივი და სწორი არ არის, ყოველ შემთხვევაში, მისატყვევებელი მაინცაა, სხვას კი არ ეპატიებაო. ადამიანებში არსებული კონტრასტები ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ არა მგონია ზედმეტად გამეზვიადებინოს. კრიტიკა დროდადრო იმიტომ დამესხმოდა ხოლმე თავს, რომ ალბათ სათანადოდ ვერ ვაძაგებდი ჩემს უარყოფით გმირებს და ვერ ვაქებდი დადებითს. ჩემი ნაკლია უთუოდ, რომ არასოდეს სხვების ცოდვა არ მაშფოთებს, თუ მაინცადამაინც მე არ მეხება, და მაშინაც კი, ჩვეულებრივ, ვცდილობ გამართლება მოვეუძებნო. სხვებისაგან ბევრს ნურასდროს მოელი. მაღლობელი იყავი, თუ კარგად გეპყრობიან, ხოლო თუ ცუდად მოგეპყრნენ, ძალიან ნუ აღშფოთდები, რადგან როგორც ათენელი უცნობი ამბობს: „ყველა ჩვენგანი მთლიანად საკუთარ სურვილთა მიდრეკილებამ და სულის ბუნებამ შექმნა“. წარმოდგენის ნაკლებობა ხელს უშლის ადამიანს სხვისი თვალთ შეხედოს ყოველივეს და უგუნურებაა აღვაშფოთოს ადამიანმა იმით, რომ მას ეს ნაკლი გააჩნია.

მართლაც გაკიცხვის ღირსი ვიქნებოდე, ადამიანებში მხოლოდ ნაკლს რომ ვხედავდე და ღირსებას კი ვერა. არცა მგონია ასე იყოს. სიკეთეზე უმშვენიერესი რამ არაფერი მეგულება ამ ქვეყანაზე და ხშირად გამხარებია მეჩვენებინა ეს თვისება ადამიანებში, რომლებიც დაუნდობლად უნდა გაკიცხულიყვნენ, თუ საერთო საზომით მივუდგებოდით. მეჩვენებინა იმიტომ, რომ საკუთარი თვალთ მინახავს. ზოგჯერ მომჩვენებია, რომ მათში მეტია ნათელი, რადგან გარს ცოდვის წვედიადი არტყიათ. დადებითი ადამიანების სიკეთეს ბუნებრივ თვისებად ვთვლი და მათში ნაკლისა ან ბოროტების აღმოჩენა მართობს, ხოლო ცოდვილთა გულკეთილობა გულს მიჩუყებს ხოლმე და მზად ვარ მათ ცოდვებზე ღმობიერად მხრები ავიჩუქო. არა ვარ გუშაგი მოყვასისა ჩემისა, ჩემს მოქმეთა განსჯას ვერ ვითავებ. მათზე დაკვირვებას ვჯერდები. სწორედ ამ დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ საზოგადოდ კარგსა და ავს შორის იმდენი განსხვავება არ არის, როგორც მორალისტები ცდილობენ დაგვარწმუნონ.

ადამიანებზე მხოლოდ მათი გამომეტყველებით არ ვმსჯელობ. არ ვიცი, იქნებ ასეთი გამომცდელი თვალი წინაპრებისაგან გამომყვა: თუ ისინი კარგი მოსამართლენი იყვნენ, იმდენი გამჭრიახობაც ეყოფოდათ და ადამიანის

სახის გამომეტყველებით არ მოტყუვდებოდნენ. თუმცა შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ მოკლებული ვარ იმ მხიარულ ენოციებას, რომელიც კაცს ახალ ნაცნობთან შეხვედრისას შეიპყრობს და რომლის გამოც, როგორც იტყვიან, ბატები გედებად ეჩვენება. ეს ალბათ იმის გამოცაა, რომ სტუდენტი მედიკოსი ვიყავი, ექიმობა კი არ მინდოდა. მსურდა, მხოლოდ მწერალი გაემხდარიყავი, მაგრამ ძალიან მრცხვენოდა მეტყვა და თან ეს გაუგონარი ამბავი იყო; თვრამეტი წლის ჯაბუკი, კარგი ოჯახიშვილი აპირებს ლიტერატურა თავის პროფესიად გაიხადოს? თვით ეს აზრი იყო იმდენად ახირებული, რომ არც კი მიფიქრია ვინმესთვის გამენდო. ყოველთვის მეგონა, რომ სამართლისმცოდნეობას ვავეცებოდი, მაგრამ ჩემზე ბევრად უფროსი სამი ძმა უკვე ამ საქმეს მოჰკიდებოდა და საჩემო ადგილი აღარ ჩანდა.

სკოლა ადრე მივატოვე. მოსამზადებელ სკოლაში საშინლად დავიტანჯე; იქ მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მიმაბარეს, რადგან კენტერბერიში იყო და იქიდან კი მხოლოდ ექვსი მილია ვიტსტეიბლამდე. სადაც ჩემი მეურვე ბიძა ქორეპისკოპოსად მსახურობდა. სამეფო სკოლის ძველი ფილიალი იყო და როცა ცამეტისა შევსრულდი, მეც იქ გამამწესეს. პირველი კლასები როცა დავამთავრე, სადაც მასწავლებლად შიშისმგვრელი ურჩხულები იყვნენ, იქაურობას საკმაოდ შეჩვეული ვიყავი და ძალიან მეწყინა, როდესაც ავადმყოფობის გამო ერთი სემესტრის გატარება სამხრეთ საფრანგეთში მომიხდა. დედაჩემი და მასი ერთადერთი და კლექით დაინოცნენ, ხოლო როდესაც ბიძაჩემმა და ბიცოლაჩემმა შეიტყვეს, რომ სუსტი ფალტვები მქონდა, ძალიან შეწუხდნენ. იერში მასწავლებელი დამიქირავეს. როდესაც კვლავ კენტერბერიში დავბრუნდი, იქაურობა ისე აღარ მომეწონა, ჩემს მეგობრებს უკვე ახალი მეგობრები პყავდათ და მე მარტო დავრჩი. უფრო მაღალ კლასში ვადამიყვანეს, მაგრამ რადგან სამი თვე ვავადინე, ვამიქირდა, კლასის დამრიგებელი კრიტაში ჩამიდგა. ბიძაჩემი დავარწმუნე, ჩემს ფალტვებს ძალიან მოუხდება, თუ სკოლის ნაცვლად ზამთარს რივიერაზე ვავატარებ, ხოლო იქიდან გერმანიაში წავალ და გერმანულს ვისწავლი-მეთქი. თან იმ საგნებსაც მოვამზადებდი, რომლებიც კემბრიჯში შესვლისათვის დამჭირდებოდა. ბიძაჩემი გულჩვილი კაცი იყო და ჩემი არგუმენტებიც დამაჯერებელი ჩანდა. მაინცადამაინც არც ვეპიტნავებოდი, — თუმცა არ ვაემტყუნება, რადგან საყვარელი ბავშვი არასდროს ვყოფილვარ. ეს სასწავლო ფულიც ჩემი საკუთარი იყო. ამიტომ არ მიძალიანდებოდა, რაც მინდოდა, იმას ვაკეთებდი. ბიცოლაჩემს ჩემი განზრახვა ძალიან მოეწონა. თვითონ გერმანელი იყო, ღარიბი, მაგრამ კეთილშობილი წარმოშობისა. მის ოჯახს საგვარეულო ღერბი მქონდა. — სამაგრებით და უამრავი დანაყოფებით, რომლითაც ძალიან მოჰქონდა თავი. ერთგან ნაამბობიც მაქვს, თუ როგორ არ ესტუმრა ბიცოლაჩემი. — უბრალო მღვდლის ცოლი, — მდიდარი ბანკირის ცოლს (რომელსაც მეზობელი სახლი დაეჭირავებინა საზაფხულოდ). მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მას ვაჭრად თვლიდა. სწორედ ბიცოლაჩემმა მომამწყო ჰაიდელბერგში, ერთ ოჯახში, რომელსაც თავისი მიუხეხელი ნათესავების დახმარებით მიაგნო.

როდესაც გერმანიიდან დავბრუნდი, თვრამეტი წლისა ვიყავი და ჩემი მომავალი ცხოვრება უკვე კარგად მქონდა წარმოდგენილი. მანამდე არსად არსებდნიერად არ მიგრძენია თავი, როგორც გერმანიაში. პირველად ვიკემე თავისუფლება და აღარ ვაპირებდი კემბრიჯში წასვლას, რათა კვლავ აქვე დავრჩეოდი. თავს უკვე ნამდვილ კაცად ვთვლიდი და დიდი სურვილი მქონდა ვეძებოდი კიდებელ ცხოვრებას მაშინვე შევდგომოდი. ვგრძნობდი, ერთი წუთის დაკარგვაც კი არ შეიძლებოდა. ბიძაჩემს მუდამ ეგონა ეკლესიის მსახური გავხდებოდი, — თუმცა ისიც იცოდა, რომ ჩემნაირი ენაბლუსათვის ეს ძალიან შეუფერებელი ხელობა იქნებოდა. ხოლო როდესაც ვუთხარი, არ ვაპირებ კემბრიჯში სწავლას-მეთქი, ეს ამბავიც ჩვეულებრივი გულგრილობით მიიღო. ჯერაც მახსოვს ჩვენი უაზრო საუბარი იმის თაობაზე, თუ რა გზას უნდა დავდგომოდი. წამოიჭრა აზრი, რომ სახელმწიფო სამსახურში წავსულიყავი და ბიძაჩემსა წერილიც მისწერა თავის ძველ ოქსფორდელ მეგობარს, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროში რაღაც დიდი თანამდებობა ეჭირა და რჩევა ჰკითხა. პასუხად მიიღო, გამოცდებისა და ადამიანთა იმ კატეგორიის გამო, რომლებიც ამ გამოცდებში სახელმწიფო სამსახურში ჩააყენა, ჯეტლმენსათვის საკადრისი არ არის ეს ადგილი. ამრიგად ეს გეგმაც ჩაიფუშა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ ექიმი უნდა გავმხდარიყავი.

მედიცინა არ მაინტერესებდა, მაგრამ საშუალება მომეცა ლონდონში მეცხოვრა და იმ ცხოვრებას გავცნობოდი, ასე რომ შენატრებოდა. 1892 წლის შემოდგომაზე სენტ ტომასის საავადმყოფოში მოვეწყვე. პირველი ორი კურსი ძალიან მოსაწყენი მეჩვენა და მხოლოდ იმდენს ვმუშაობდი, რომ გამოცდებზე თავი გამეტანა. ცუდი სტუდენტი ვიყავი, მაგრამ თავისუფალი და მეც ამას ენატრობდი. მიხაროდა, რომ საკუთარი ბინა მქონდა, სადაც როგორც მომესურვებოდა, ისე ვიყავი. მეამაყებოდა, რომ კოხტად და კომფორტაბელურად მოვაწყვე. მთელ თავისუფალ დროს და იმ დროის მეტ ნაწილს, რომელიც ჩემი სამედიცინო განათლებისათვის უნდა მომეხმარებინა, წერას და კითხვას ვანდომებდი. წიგნებს გატაცებით ვკითხულობდი. უბის წიგნაკს ვავსებდი მოთხრობებისა და პიესებისათვის განკუთვნილი აზრებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი დილოგებითა და მეტად გულუბრყვილო მსჯელობით წაკითხული წიგნებისა თუ ჩემი საკუთარი გამოცდილების შესახებ. საავადმყოფოს ცხოვრებაში თითქმის არ ვმონაწილეობდი და იქ მეგობრებაც ცოტა მყავდა, რადგან სულ სხვა რამ მიტაცებდა. მაგრამ ორი წლის შემდეგ, როდესაც ამბულატორიულ განყოფილებაში დავიწყე მუშაობა, საქმემ უფრო მიმიზიდა. შემდეგ საავადმყოფოს პალატებშიც მომახდა მუშაობა და ამან ისე გამიტაცა, რომ როდესაც გახრწნილი გვამის გაკვეთისას სექტიკური ტონზილიტი დამემართა და ლოგინად ჩამავდო, ერთი სული მქონდა, როდის მივუბრუნდებოდი საქმეს. დიპლომის მისაღებად საჭირო იყო რამდენიმე შრომაობას დავსწრებოდი. ეს კი ლამბეტის ჯურღმულებში სიარულს ნიშნავდა. ეს ისეთი მყრალი რაიონი იყო, რომ პოლიციაც კი ერიდებოდა, მაგრამ ჩემი შავი ჩანთა იქ საკმაოდ კარგად მიცავდა. მუშაობამ გამიტაცა. ცოტა ხანს სასწრაფო დახმარებაშიც ვმუშაობდი. დღედაღამ პირველ დახმარებას ვუწევდი უბედური შემთხვევების მსხვერპლთ. საქმე დამდღელი იყო, მაგრამ ძალიან სახალისო.



აქ ყველაფერი ისეთი მქონდა, რაც ყველაზე მეტად მიზიდავდა / თვით
ეს მოუხეშავი ცხოვრება. ამ სამი წლის განმავლობაში ვიყავი მწველ-
გვარი ემოციისა, რაც კი შეიძლება კაცს გააჩნდეს. ეს ჩემს ღრმადი ტან-
ტებს აღვიძებდა და მწერალს აღიზიანებდა ჩემში. ახლაც კი, ორმოცი წლის
შემდეგ, ისე კარგად მახსოვს ზოგიერთი კაცი, რომ შემიძლია მათი სურათაც
კი დაეხატო. ფრაზები, რომლებიც მაშინ გამიგონია, ჯერაც ყურში ჩამესმის.
ჩემს თვალწინ კვდებოდნენ ადამიანები. მოწმე ვიყავი, როგორ იტანდნენ ტკა-
ვილს. ვხედავდი, რას ნიშნავდა იმედი, შიში თუ შვეება. ვხედავდი სასოწარკვე-
თილების მუქ ზოლებს მათს სახეებზე. ვხედავდი ვაჟკაცობას და გამძლეობას.
მიყურებია, როგორ უელავდათ თვალები იმის იმედით, რასაც მე ილუზიად
ვთვლიდი, და მინახავს, რა მამაცად ეჭირათ თავი. ირონიული ხუმრობაც წა-
მოსცდებოდათ ხოლმე, როცა შეიტყობდნენ, რომ სიკვდილი ელოდათ, რად-
გან მეტად ამაყნი იყვნენ და არ უნდოდათ სხვებისათვის სულის შეძრწუნება
ეჩვენებნათ.

იმ დროს (ეს დრო კი საზოგადოების უმეტესობისათვის საკმაოდ კარგი დრო
იყო, მშვიდობას არაფერი არღვევდა და კეთილდღეობას ხიფათი არ ელოდა)
არსებობდა მწერალთა ერთი ჯგუფი, რომელიც ტანჯვის მორალურ ღირებუ-
ლებას აღიღებდა. ამტკიცებდნენ, ტანჯვა განმკურნავიაო, თანაგრძნობას
აძლიერებს და შეგრძნებას ამწვავებსო. ამტკიცებდნენ, სულს სილამაზის ახალ
გზას უხსნის და ღმერთის იდუმალ სამეფოსთან შეხამების უნარს აძლევსო.
ამტკიცებდნენ, ხასიათს აწრთობს და ამქვეყნიური უხამსობისაგან განწმენდსო.
ხოლო მას, ვინც ტანჯვას კი არ გაურბის, არამედ პირიქით, ეძიებს, უფრო
სრულყოფილ ბედნიერებას ანიჭებსო. რამდენიმე ასეთნაირ წიგნს დიდი წარ-
მატება ჰქონდა და მათმა ავტორებმა, რომლებიც კეთილმოწყობილ სახლებში
ცხოვრობდნენ, დღეში სამჯერ მიირთმევდნენ საჭმელს და მშვენიერა ჯანმრთე-
ლობა ჰქონდათ, დიდი სახელიც მოიხვეჭეს. მე კი ჩემს უბის წიგნაკში ჩაწე-
რილი მაქვს არა ერთი და ორი ისეთი შემთხვევა, რაც ჩემი თვალით მინახავს.
მე ვიცოდი, რომ ტანჯვა კი არ აკეთილშობილებს ადამიანს, არამედ აქვეითებს.
ტანჯვა კაცს თავკერძად აქცევს, გაიძვერად, წვრილმანად და ეჭვიანად. კაცი
წვრილმანებში ინთქმება. მისი ადამიანობა კი არ მალდდება, არამედ უფრო
ლაბლა ეშვება. მე გაბოროტებით ვწერდი, რომ თვინიერებას ჩვენი საკუთარი
ტანჯვით კი არ ვსწავლობთ, არამედ სხვისი ტანჯვით.

ეს ყოველივე ჩემთვის ძვირფასი გამოცდილება იყო. კაცი თუ რამდენიმე
წელიწადს ეჭიმად გაატარებს, ჩემი აზრით, მწერლისათვის ამაზე უკეთესა
წვრთნა არ შეიძლება. ვეჭილის სამსახურშიც შეიძლება ბევრი რამ შეიტყო
ადამიანის ბუნების შესახებ, მაგრამ იქ უმეტესად ისეთ ხალხთან გაქვს საქმე,
ვისაც თავი კარგად უჭირავს. ისევე სცრუობენ როგორც ეჭიმთან, მაგრამ უფრო
თანმიმდევრულად და ვეჭილს შეიძლება მაინცადამაინც არც კი სჭირდებოდეს
სიმართლის ცოდნა. თანაც ის უმეტესად მატერიალური საქმეებით არის გარ-
თული. ადამიანის ბუნებას სპეციალური თვალსაზრისით უჭვრეტს. ხოლო ეჭი-
ში, განსაკუთრებით კი საავადმყოფოს ეჭიში, ადამიანის ბუნებას გაშიშვლებულს
ხედავს. გულჩახვეულობა ჩვეულებრივ დაიძლევა ხოლმე, უფრო ხშირად კი

ის არც არსებობს. შიში უმეტეს შემთხვევაში ყოველგვარ თავდაცვას გასტეხს ხოლმე. თვით პატავმოყვარეობაც კი უკან იხევს მის წინაშე. უმეტესობას თავის თავზე ლაპარაკის საშინელი სენი სჭირს და მართო ის თუ უშლის ხელს, რომ სხვებს არ სურთ მათი მოსმენა. თავშეკავება ხელოვნური თვისებაა, რომელიც გამოუმუშავდა ჩვენს უმრავლესობას როგორც უამრავი შეცდომის შედეგი. ეჭიმი ყბედი არ არის. მისი საქმეა მოისმინოს, მისი სმენისათვის არავითარი წვრილმანი არ არის ზედმეტად ინტიმური.

რა თქმა უნდა, შეიძლება ადამიანის ბუნება შენს წინ გადაიშალოს, მაგრამ თუ არ გაგაჩნია დანახვის უნარი, ევრაფერს გაიგებ. თუ ცრუმორწმუნეობით ხარ შეპყრობილი ან სენტიმენტალური ბუნება გაქვს, შეგიძლია იარო საავადმყოფოს პალატებში, მაგრამ ისევე ვერ მიუხვდები ადამიანს საბოლოოდ, როგორც თავიდან ვერ გაუგე. თუ გსურს სასარგებლო რამ შეიძინო, გახსნილი გონება უნდა გქონდეს და ადამიანი გაინტერესებდეს. მე კი ჩემი თავი ბედნიერი მგონია, რადგან, მართალია, ადამიანები მაინცადამაინც ძალიან არ მყვარებია, იმდენად მაინც მაინტერესებს, რომ არ შეიძლება თავი მომაბეზრონ. ლაპარაკი სულაც არ მეპიტნავება, მოსასმენად კი მზადა ვარ. ჩემთვის სულ ერთია, სხვებს ვაინტერესებ თუ არა. არა მაქვს სურვილი მათ გავუზიარო ჩემი ცოდნა და არ ვთვლი საჭიროდ შეცდომები ვუსწორო. მოსაწყენ ხალხთან შეიძლება კარგი დროც გაატარო, თავის დაჭერა თუ გეზერება. მახსოვს ერთხელ, უცხოეთში მოგზაურობისას ერთმა კეთილმა მანდილოსანმა მანქანით წამიყვანა სასეირნოდ. მისი საუბარი ერთთავად ტრუნიზმებისგან შესდგებოდა და გაცვეთალი ფრაზების ისეთი ლექსიკონი აღმოაჩნდა, რომ მათი დახსომების იმედი დაგკარგე. მაგრამ ერთი მისი შენიშვნა ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც ძალზე იშვიათი მახვილგონიერი გამოთქმა. ზღვის პირას პატარა სახლებს ჩავუარეთ, მან მითხრა: „აი, ეს უიკ-ენდის ბუნგალოებია, თუ გესმით, რას ვამბობ? სხვანაირად რომ გათხრათ, ეს ის ბუნგალოებია, სადაც კაცი შაბათობით ჩამოდის და ორშაბათობით მიდის“. ძალიან დამწყდებოდა გული, ეს ფრაზა რომ არ მომესმინა.

მოსაწყენ ხალხთან დიდხანს ყოფნა სულაც არ მინდა, მაგრამ არც ძალიან შესაქცევ ხალხთან მიყვარს დიდხანს ჯდომა. საზოგადოებასთან ურთიერთობა მღლის. ადამიანთა მეტი წილი საუბარში სიამოვნებასაც პოულობს და ისვენებს კიდევ. ჩემთვის კი ეს მუდამ ნაძალადევი იყო. როდესაც ახალგაზრდა ვიყავი და ენაბლუ, დიდხანს ლაპარაკი საოცრად მქანცავდა. ახლაც კი, როდესაც შედარებით განვიკურნე, მაინც თავს ძალას ვატან. შვებას მხოლოდ მაშინ ვგრძნობ, როდესაც შემიძლია ყველას გავეცალო და წიგნი წავიკითხო.

ისე არ გამიგოთ, თითქოს სენტ ტომასის საავადმყოფოში გატარებულ წლებში ბოლომდე შემეცნოს ადამიანის ბუნება. არა მგონია ვინმეს იმედი ჰქონდეს, ამას შეეძლებო. ორმოცი წელია ვსწავლობ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად და მაინც ადამიანის ბუნება ჩემთვის ამოუცნობია. კარგ ნაცნობ ადამიანსაც კი შეუძლია გამაკვიროვოს ისეთი საქციელით, რომლის ჩაღენა, ჩემი

აზრით, მას არ შეეძლო, ან ისეთი თვისებების გამოჩენით, რომელიც ებოძა კი არა მქონია. შეიძლება ამ ჩემმა გამოცდილებამ მცდარი შეხედულებაც შემიქმნა, რადგან სენტ ტომასის საავადმყოფოში უმთავრესად ღარიბ და გაუნათლებელ ავადმყოფებთან მქონდა საქმე. ვცდილობდი წინ აღვდგომოდი ამ შეხედულებას. ვცდილობდი აგრეთვე წინ აღვდგომოდი ჩემს წინასწარ აკვირებულ აზრსაც, რომლის გამოც არა მაქვს ბუნებრივი ნდობა სხვებისადმი. მათგან უფრო ცუდს ველა, ვიდრე კარგს. ასეთი გახლავთ საფასური, რომელიც კაცმა უნდა გადაიხადოს იუმორის გრძნობისათვის. იუმორის გრძნობა სიამოვნებას განიჭებს ადამიანს ბუნების წინააღმდეგობათა ჭვრეტისას. გაიძულებს არ ენდო დიდებულ განცხადებებს და ეძებთ რაიმე არასაკადრისი მოტივი, რომელსაც მალავენ. ნამდვილ სახესა და გამოსახულებას შორის არსებული შეუსაბამობა გართობს და მზადა ხარ ხელოვნურადაც შექმნა იგი, როდესაც ვერ ნახულობ. მზადა ხარ თვალი დახუჭო სიძარტლეზე, სილამაზეზე, სიკეთეზე, თუ ეს შენს სიცილის გრძნობას გასაქანს არ აძლევს. იუმორისტი წამსვე ნიშანში ამოიღებს ხოლმე თაღლითს, მაგრამ ყოველთვის ვერ შეამჩნევს წმინდანს. ასე ცალმხრივი ხედვა თუ მძიმე საფასურია იუმორის გრძნობისათვის, მაინც რაღაც ანაზღაურებანაც იღებ, და ესეც ხომ რამედ ღირს. ვერ გაჯავრდები კაცზე, როცა დასციინი. იუმორი შეწყნარებას გაჩვენებს და იუმორისტი ან ღიმილით, ან შეიძლება ამოიხვირთაც უფრო მხრებს აიჩეჩავს, ვიდრე დაგძრახავს. მორალს არ წაგაკითხავს, — მისთვის გაგებაც კმარა. ხოლო ის კი მართალია, რომ გაგება შეცოდებასაც ნიშნავს და პატიებასაც.

უნდა გითხრაო, რომ თუმცა ვცდილობდი ეს ყოველივე დამეხსომებინა, მაინც მომდევნო წლების გამოცდილებამ მხოლოდ დაადასტურა ჩემი დაკვირვებანი ადამიანის ბუნებაზე, რასაც ახალგაზრდობის გამო ქვეცნობიერად ვეწვოდი სენტ ტომასის საავადმყოფოს ამბულატორიებსა თუ პალატებში. ადამიანებს ისეთნაირადვე ვხედავ მას მერე, როგორც მაშინ და ასევე ვხატავ. სურათი შეიძლება სწორი არ გამოდგეს და ვიცი, ბევრს ძალიან უსიამოვნოდაც მიაჩნია. იგი უდავოდ მიკერძოებულია, რადგან ადამიანებს საკუთარი თვალსაზრისით ვუყურებდი. რა თქმა უნდა, გულმხიარული, ოპტიმისტური, ჯანმრთელი და მგრძნობიარე ბუნების კაცი ამავე ადამიანებს სხვანაირად დაინახავდა. ერთი კი შემიძლია ვთქვა: გარკვევით ვხედავდი. ბევრი მწერალი, ეფიქრობ, საერთოდ არ აკვირდება რაიმეს, მხოლოდ თვითონ ქმნის ხელოვნურად სტანდარტული ზომის პერსონაჟებს სწავლარის წარმოდგენით. ისინი ჰგვანან მხატვრებს, რომელთა ნახატებიც ანტიკური ნიმუშებიდან ასლის აღებაა. მათ არასდროს უცდიათ ცოცხალი მოდელი აესახათ. ბევრი-ბევრი საკუთარი გონების ფანტაზიით ოდნავ გააცოცხლონ. თუ კეთილშობილი ბუნება აქვთ, ასევე კეთილშობილ სახეებს მოგვეცემენ და შეიძლება იმას აღარც კი მიაქციონ ყურადღება, რომ უბრალო, ცხოვრებისეული, გაუთავებელი სირთულეები მათში ასახული არ არის.

ყოველთვის ცოცხალ მოდელს აესახავდი. მახსოვს ერთხელ, როდესაც სასექციო ოთახში ჩემს „როლს“ გავდიოდი ხელმძღვანელის ზედამხედველობით, მან მკითხა, რომელიღაც ნერვის სახელი და მე კი არ ვიცოდი. მიკარნახა. შევედარე, რადგან ის ნერვი თავის ადგილას არ იყო. ის კი მაინც მარწმუნებდა, ეს ის ნერვია, რომელსაც აქამდე ამოდ ეძებდიო. ამ არანორმალურობამ აღმაშფოთა.

მან კი ღიმილით მომიგო, ანატომიაში უჩვეულობა ნორმალურიაო. მკვინ, მახსოვს, გავბრაზდი, მაგრამ ეს შენიშვნა მეხსიერებაში ჩამრჩა და ნელ-ნელა დავასკვენი, რომ ეს წესი ადამიანსაც ისევე ეხებოდა, როგორც ანატომიას. ნორმას იშვიათად შეხვდები. ნორმა იდეალია, ეს სურათია, რომელიც კმნის ადამიანთა საშუალო დახასიათებიდან და ყველა ამ თვისების ერთ ადამიანში თავმოყრას იშვიათად უნდა ველოდეთ. სწორედ ეს არის ის ყალბი სურათი, რომელსაც ზემოხსნებული მწერლები თავის თარგად იყენებენ, ხოლო ასეთი გამონაკლისის აღწერა იშვიათად თუ ახდენს ცოცხალი ქმნილების შთაბეჭდილებას. ეგოიზმი და გულკეთილობა, მაღალი იდეალები და მგრძობელობა, პატივმოყვარეობა, მორცხვობა, უანგარობა, სიამამაცე, სიზარმაცე, ნერვიულობა, სიკერპე და გაუბედაობა, ყველა ეს თვისება მხოლოდ ერთ ადამიანში შეიძლება არსებობდეს და თვალსაჩინო ჰარმონიასაც ქმნიდეს. დიდი დრო დამპირდა, რათა მკითხველიც დამერწმუნებინა.

არა მგონია წარსული საუკუნეების ადამიანები ჩვენი დროის ადამიანთაგან განსხვავდებოდნენ. მაგრამ ალბათ თანამედროვეებს უფრო მთლიანა ეჩვენებოდნენ, თორემ მწერლები მათ არ წარმოადგენდნენ ასეთნაირებად. იყო ალბათ მიზეზი, რომ ყველა კაცს თავისი ხასიათი ჰქონდა: ძუნწი მუდამ ძუნწობდა, პეწენიკი მუდამ პეწენიკობდა და ღორმუცელა კი მუდამ ღორმუცელა იყო. აზრად არავის მოსდიოდა, რომ ძუნწი შეიძლება პეწენიკიც ყოფილიყო და ღორმუცელაც. ასეთები კი წარამარა გვხვდებიან. უფრო მეტიც, ასეთი კაცი შეიძლება პატიოსანიც იყოს და პირდაპირიც, ხალხის სამსახურისათვის უმწიკვლოდ თავდადებული და ხელოვნების ჰემმარტი მოყვარულიც. რომესაც რომანისტები იმ ნაირ-ნაირობას ააშკარავებდნენ, რომელიც ან საკუთარ თავში აღმოაჩინეს ან სხვებში, მათ კაცობრიობის მიმართ ცილისწამებას აბრალებდნენ. თუ არა ვცდები, პირველად ეს სიჭრელე წინასწარი განზრახვით ასახა სტენდალმა თავის „წითელ და შავში“. მისი თანამედროვე კრიტიკა ცოფებსა ჰყრიდა. თვით სენტ-ბევიც კი გაწყრა. თუმცა საკმარისი იყო საკუთარ გულში ჩაეხედა და დაენახა, რა წინააღმდეგობრივი თვისებები არსებობდა მასში ერთმანეთის მხარდამხარ. ეიულიენ სორელი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხასიათია მთელს ლიტერატურაში. არა მგონია, რომ სტენდალს ის მთლად დამაჯერებელბ გამოუვიდა, მაგრამ ამას ჰქონდა ალბათ თავისი მიზეზები, რასაც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. რომანის პირველი სამი მეოთხედი სავსებით თანმიმდევრულია. ხან შაშს გვერის, ხან საოცარ თანაგრძობას იწვევს, მაგრამ მასში რაღაც შინაგანი კავშირია და თუმცა ხშირად გაძრწუნებს, მაინც ეთანხმები.

კარგა ხანი გავიდა, ვიდრე სტენდალის მაგალითი ნაყოფს გამოიღებდა. ბალზაკი, მიუხედავად თავისი გენიალობისა, ხასიათებს ძველი თარგის მიხედვით ქრიდა. მან თავისი უზომო ცხოველყოფელობა მიანიჭა მათ და ამიტომაც გვეჩვენება ასე ცოცხალი, ნამდვილად კი მისი გმირები ცალკე თვისებათა ისეთივე განსახიერებანი არიან, როგორც ძველი კომედიის პერსონაჟები. მისი გმირები დაუვიწყარნი გახდნენ, თუმცა ყოველი მათგანი მხოლოდ იმ წამყვანი ვნების თვალსაზრისითაა ასახული, რომელიც ყველას გადაედებოდა ხოლმე, ვისთანაც კი მათ ურთიერთობა ჰქონდათ. კაცობრიობას ახასიათებს აკვიატებული აზრი, რომ ყველა ადამიანი ერთნაირია. თქმა არ უნდა, გაცილებით ადვილია

გადაწყვიტო, ეს კაცი ასეთია თუ ისეთი და შენა დამოკიდებულებას ვართ ფრაზით გამოხატო: ან კარგი კაცია ან არამზადაო. ძალიან საწყენი იქნებოდა გავვეგო, რომ თავისი ერის გამათავისუფლებელი პიროვნება ძუნწი იყო, ან პოეტი, რომელმაც ახალი პორიზონტები გადაშალა ჩვენი ვოლთისათვის. მანობი ყოფილა, ბუნებრივი ეგოიზმი გვაიძულებს ხალხი განვსაჯოთ ჩვენს შინა შათი დამოკიდებულების მიხედვით. გვინდა ჩვენთვის მაინცადამაინც ასეთები იყვნენ და ასეთებადაც დარჩებიან, ხოლო რადგან შათი დანარჩენი თვისებები არ გვესაჭიროება, ამიტომ შათ სულაც უგულებელვყოფთ კიდევ.

ამის ბრალია ალბათ, რომ ასე დიდი უკმაყოფილებით ხვდებიან ცდებს და ხატონ ადამიანი თავისი შეუსაბამო და მრავალფეროვანი თვისებებით და უთუოდ ამიტომაც პირს შიშით იბრუნებენ, როდესაც მიუკერძოებელი ბიოგრაფი სიმართლეს იტყვის ხოლმე რომელიმე გამოჩენილ პირზე. სამწუხარო იქნებოდა გვეფიქრა, რომ კომპოზიტორი, რომელმაც „მაისტერზინგერების“ კვინტეტი დასწერა, უპატიოსნო იყო ფულის საქმეებში და ვერაგი მის შემწეთა მიმართ. მაგრამ შეიძლება ის არც კი ყოფილიყო ასეთი დიდი ღირსებების პატრონი, ასეთი დიდი ნაკლიც რომ არ ჰქონოდა. არა მჯერა მართალი იყოს ის, ვინც ამბობს, დიდი ადამიანების ნაკლი უნდა უგულებელვყოთო. უმჯობესია ვიცოდეთ, როდესაც გვეცოდინება, რომ ჩვენც ასეთივე თვალში საცემი ნაკლი გვაქვს, შეიძლება არწმუნო, რომ ასეთივე სიკეთეს შენც შეგიძლია მიაღწიო.

სამედიცინო სკოლა, გარდა იმისა, რომ რაღაც მასწავლა ადამიანის ბუნების შესახებ, ელემენტარული, მეცნიერული ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების შეთვისებაში დაიხმარა. მანამდე მხოლოდ ხელოვნებას და ლიტერატურას მივდევდი. ძალზე მცირე ცოდნის პატრონი ვიყავი, რადგან იმდროინდელი პროგრამა ნაკლებად მომთხოვნი გახლდათ. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ამ ვხას ჩემთვის უცნობი სამყაროსაკენ მივყავდი. გარკვეული პრინციპებიც შევიძინე. ის მეცნიერული სამყარო, რომელსაც მე მხოლოდ თვალი გადავაავლე, მთლიანად მატერიალისტური იყო და რადგან მისი კონცეფციები ჩემს მიდრეკილებებს ემთხვეოდა, ხარბად მოვეჭიდე, „რამეთუ ადამიანები, — როგორც ამბობდა პოოპი, — რაც უნდა თქვან, მაინც არასდროს მიიღებენ სხვის აზრს, თუ ის შათ საკუთარ აზრს არ ემთხვევა“. გამეხარდა, როცა გავიგე, რომ ცნობიერება ადამიანისა, (რომელიც თვითონაა ბუნებრივი პროცესების პროდუქტი) ტვინის ფუნქციაა და სხეულის სხვა ნაწილების მსგავსად მიზეზისა და შედეგის კანონს ემორჩილება. ხოლო ეს იგივე კანონია, რომელიც ვარსკვლავებისა და ატომების მოძრაობას მართავს. აღტაცებული ვიყავი იმ აზრით, რომ სამყარო უბრალო მანქანაა, სადაც ყოველი მოვლენა წინა მოვლენითაა პირობადებული. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს კონცეფციები არამარტო ჩემს დრამატულ ინსტინქტებს ეხამებოდა, არამედ თავისუფლების სასიამოვნო გრძნობით მავსებდა. ახალგაზრდის სისასტიკით ვეგებებოდი უძლიერესის გადარჩენის პიპოტეზას. დიდ სიამოვნებას მანიჭებდა იმის გაგება, რომ დედამიწა მხოლოდ ტალახის გუნდა იყო და ტრიალებდა მეორეხარისხოვანი ვარსკვლავ-

ვის გარშემო, რომელიც ნელ-ნელა ცივდებოდა; ხოლო ევოლუცია, რომელიც ადამიანი შექმნა და აიძულა გარემოს შეგუებოდა, ბოლოს მოუსპობს მას. ყოველი მოპოვებული თვისებას, გარდა იმისა, რომ შეაჩვიოს თანდათან გამეფებულ სიცოცხლეს, ვიდრე პლანეტის გაყინულ ფერფლზე სიცოცხლის შენარჩუნება. მჯეროდა, რომ ჩვენ საბრალო თოჯინები ვიყავით, მწკრივებულნი ახაზბარა მიტოვებულნი და ბუნების უღმობელ კანონებზე დამოკიდებულნი, რომ განწირულნი ვართ განუწყვეტლივ ვიბრძოლოთ არსებობისათვის და თანაც წინ არაფერი გვესახება გარდა იმისა, რომ უსათუოდ დავმარცხდებით. გავიგე, რომ ადამიანებს მხოლოდ მხეცური ეგოიზმი ამოძრავებდათ, ხოლო სიყვარული იყო ბუნების დაცინვა, რითაც მას სურდა კაცობრიობა გამრავლებულიყო. გადავწყვიტე, რომ რა მიზნებიც უნდა დაისახოს ადამიანმა თავის წინაშე, მაინც შეცდება, რადგან კაცს სხვა მიზანი არ შეიძლება ჰქონდეს, გარდა საკუთარი სიამოვნებისა. ერთხელ ჩემს მეგობარს რადიკალში დავეხმარე (რატომ? ხომ ვიცოდი, რომ ყველა კაცის მოქმედება მხოლოდ ეგოისტურია? ჯერაც მიკვირს!) მან მადლობის გრძნობით (რაც მას არ უნდა ჰქონოდა, რადგან ჩემი მოჩვენებითი სულგრძელობა მკაცრად წინასწარგანზრახული იყო) მკითხა, რა საჩუქარი გინდაო. არც კი ჩავფიქრებულვარ ისე ვუთხარი, ჰერბერტ სპენსერის „ძირითადი საწყისები“-მეტი. წიგნი სიამოვნებით წავიკითხე, მაგრამ პროგრესისადმი სპენსერის სენტიმენტალურ რწმენას ვერ ვეგუებოდი. ქვეყანა, რომელსაც ვიცნობდი, ცუდიდან უარესისკენ მიემართებოდა და მეც სიამოვნებით ვფიქრობდი, რომ ჩემი შორეული შთამომავალნი, მას შემდეგ, რაც დიდი ხნის დავიწყებული ექნებათ ხელოვნება, მეცნიერება და ხელობა, ცხოველის ტყავში გახვეულები ისხდებიან გამოჭვავილებში, ცივი და მარადიული ღამის მოლოდინში. გაშმაგებული პესიმისტი ვიყავი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, სიცოცხლისუნარიანი გახლდით და ცხოვრებისაგან ბლომად სიამოვნებას ვიღებდი. ძალიან მინდოდა, მწერლის სახელი მომეხვეჭა. ყოველგვარ ფათურაქს ვეძებდი, რათა საშუალება მომცემოდა მეტი გამოცდილება მიმეღო და ვკითხულობდი ყველაფერს, რაზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა.

ამ დროს ახალგაზრდობის ერთ ჯგუფთან ერთად ვცხოვრობდი, რომლებსაც ჩემზე უფრო ნიჭიერებად ვთვლიდი. ისინი წერდნენ, ხატავდნენ და თხზავდნენ მუსიკას ისე თავისუფლად, რომ, ცოტა არ იყოს, მშურდა. ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასებისა და გაკრიტიკების ასეთი უნარი ჰქონდათ, რომ არ მეგონა ოდესმე ამასვე შეეძლებდი. მათგან ზოგი ისე მოკვდა, რომ ჩემი იმედები ვერ გაამართლა, ხოლო დანარჩენთა ცხოვრება არაფრით ყოფილა ღირსშესანიშნავი. ახლა კი ვატყობ, რომ მათ მხოლოდ ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი ბუნებრივი შემოქმედებითი უნარი ჰქონდათ. მოთხრობების წერა და ლექსების თხზვა, ფორტეპიანოზე მოკლე პელოდიების აწყობა, აგრეთვე ხატვა, ფერწერა — ბევრი ახალგაზრდის ინსტინქტური თვისებაა. ეს ერთგვარი თამაშია, რომელსაც მხოლოდ მათი ახალგაზრდული ენერჯის მოხლეჩეებას უნდა ვუმაღლოდეთ და ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ბავ-

შვის მიერ ქვიშაში აშენებულ ციხე-დარბაზს. როგორც ჩანს, ჩემი უმცირესის გამო ვიყავი ასე აღფრთოვანებული მათი ნიჭით. უფრო ნაკლებ უნდა რომ ვყოფილიყავა, მივხვდებოდი, რომ მათი აზრები არ იყო თანამედროვენი და სხვებისაგან იყო ნასესხები, ხოლო ლექსების თბუნა და მუშაობა მწერის უფრო კარგი მენსიერების ბრალი იყო, ვიდრე ცოცხალი ბუნებისაგან. იმას თქმა მინდა, რომ ეს სიმსუბუქე თუ საყოველთაო არაა, ყოველ შემთხვევაში, იმდენად საერთოა, რომ აქედან დასკვნის გამოტანა არ შეიძლება. ახალგაზრდობა იძლევა ზეშთავონებას. ხელოვნების ერთ-ერთი ტრაგედია ის არის, რომ ბევრი მოტყუებული ამ წარმავალი სიადვილით და მთელი ცხოვრება შემოქმედებისათვის შეუწირავს. მათ გამომგონებლობის უნარი დალბობთ, როცა ბერდებიან, და თუ დროზე არ მოპკიდეს ხელი რაიმე ჩვეულებრივ საქმეს, წინ ელოდებით მძიმე წლები. მაშინდა ეცდებიან თავის გამოფიტულ ტვინს გამოხადონ ის, რისი ძალაც ტვინს აღარ შესწევს. ბედი ჰქონიათ, თუ მწარედ გულმოკლულებს კიდევ შეუძლიათ იცხოვრონ ხელოვნებასთან ახლოს მდგომი დარგებით, — ეურნალისტობით ან მასწავლებლობით.

რასაკვირველია, ხელოვანი იქმნება სწორედ იმისაგან, ვისაც გააჩნია სწორედ ეს თანდაყოლილი სიმსუბუქე. უამისოდ ნიჭი არც არსებობს, მაგრამ სიმსუბუქე მხოლოდ ნიჭის ნაწილია. ყოველი ჩვენგანი თავდაპირველად საკუთარი ცნობიერების მარტოობაში ცხოვრობს. შემდეგ კი იმისგან, რაც ჩვენშია მოცემული და რასაც სხვათა ცნობიერებასთან ურთიერთობა გვაძლევს, ვქმნით ისეთ გარეგან სამყაროს, როგორც ჩვენს მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს. რადგან ყველანი ერთი ევოლუციური პროცესის შედეგი ვართ და გარემოცვაც მეტნაკლებად ერთნაირი გვაქვს, ჩვენს მიერ შექმნილი ნაგებობანიც დაახლოებით გვაგონებენ ერთმანეთს. უბრალოებისა და სიმარჯვისათვის იგივეობად ვთვლით მათ და საერთო სამყაროს ვუწოდებთ. ხელოვანის თავისებურება ისაა, რომ ის რაღაცით განსხვავდება სხვებისაგან და ამდენად მის მიერ შექმნილი სამყაროც სხვაა. სწორედ ეს ჩასიათის თავისებურებაა მისი აღჭურვილობის საუკეთესო ნაწილი, როდესაც მისი შირადი სამყაროს სურათი წოვიერთს თვალში მოუვა მისი უჩვეულობით, ან შინაგანი ინტერესით, ან იმიტომ, რომ მათ შეხედულებებს ემთხვევა (რადგან არც ერთი ჩვენგანი მთლად მეზობლის ნაირი არაა, მხოლოდ ცოტათი თუ ჰგავს მას; ყველა როდი მიიღებს მთლიანად იმ სამყაროს, რომელიც ჩვენ შევქმენით), აი, მაშინ სცნობენ ნოღმე მის ნიჭს. თუ ის მწერალია, თავის მკითხველს სულიერ მოთხოვნილებებს დაუკმაყოფილებს და მკითხველიც მასთან ერთად იცხოვრებს ამ სულიერი ცხოვრებით. ეს კი უფრო დიდ სიამოვნებას მიანიჭებს, ვიდრე ის ცხოვრება, რომელიც გარემოებამ დააძალა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მწერლის თავისებურებას ვერ გრძნობენ და აღიზიანებთ ის სამყარო, რომელიც მისი საშუალებითაა შექმნილი. შეიძლება კიდევ აღშფოთდნენ. მაშინ მწერალს მათთვის არაფრის თქმა არ შეუძლია და მისი ნიჭიც უარყოფილია.

არ მინდა დავიჯერო, რომ გენიალობა დიდად განსხვავდებოდეს ნიჭისაგან. არც ისა მჯერა, რომ გენიალობა რაიმე ძალზე განსხვავებულ ნიჭზეა დამოკიდებული. მაგალითად, მე არა მგონია, რომ სერვანტესს წერის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონოდა, თუმცა ცოტა ვინმე თუ უარყოფს მის გენიალობას. ინგლისურ ლიტერატურაში პერიკზე ნაჭიერ პოეტს ძნელად თუ იპოვით. მაგრამ მაინც

ყველა იტყვის, მას მხოლოდ და მხოლოდ მომნიბლავი ნიჭი ჰქონდაო. აქ გონ-
ნია, გენიალობა არის შემოქმედის ბუნებრივი ნიჭის შეერთება ისეთ განსა-
კუთრებულ თვისებებთან, რომლებიც მათ პატრონს ქვეყანას თავისებურად
დააჩაბებენ და თანაც ისე ფართოდ, რომ ვიღაც ერთ ან მეტელს არ
ესმოდეს მხოლოდ მისი, არამედ მთელ კაცობრიობას. მისი პირადი სამყარო
ჩვეულებრივი ადამიანის სამყაროა, თლხნდ უფრო ფართო და ძლიერი. იგი
ყველას მიმართავს და, თუმცა შეიძლება ადამიანებმა ვერ გამოთქვან ზუსტად,
რას აღნიშნავს იგი, იმას მაინც ხედებიან, რომ რაღაც მნიშვნელოვანია მასში.
იგი უაღრესად ნორმალურია. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ცხოვრებას
მთელი სიცხადით აღიქვამს მისი დაუსრულებელი მრავალფეროვნებით და
ისევე სადად, როგორც დანარჩენი კაცობრიობა. მეტიუ არნოლდის სიტყვე-
ებით რომ ვთქვათ, ზედავს მშვიდად და მთლიანად. მაგრამ გენიოსი საუკუნეში
ერთხელ ან ორჯერ თუ დაიბადება. ანატომიის გაკვეთილა გვასწავლის: არა-
ფერია ისე იშვიათი, როგორც ნორმალური. სისულელეა ისე მოვიქცეთ, რო-
გორც ახლა ბევრი იქცევა და კაცს გენიოსი ეუძახოთ თუ მან ექვსიოდე გონა-
ერი პიესა დაწერა ან რამდენიმე კარგი სურათი დახატა. ნიჭი კარგი რამ არის
და ცოტა ვინმეს თუ გააჩნია. ნიჭით ზელოვანი მხოლოდ მეორე კლასს აღწევს,
მაგრამ ამან არ უნდა შეაწუხოს, რადგან აქ ისეთ სახელებს შეხვდება, რომელთა
დაწერებაც დიდი ფასა აქვთ. როდესაც იცი, რომ ნიჭს უნდა უმაღლოდ ისე-
თი რომანის შექმნას, როგორიცაა „წითელი და შავი“, ისეთი ლექსებისა, როგო-
რიცაა „სროპშირელი ყმაწვილი“¹ და ისეთი ნახატებისა, როგორსაც ვატო
ქმნიდა — აქ სამარცხვინო არაფერია. ნიჭი ვერ მიაღწევს უსაზღვრო სიმაღლეს,
მაგრამ მისკენ მიმავალ გზაზე შეიძლება ბევრი მოულოდნელი და სასიამოვნო
სახეობა გაჩვენოს, — უკაცრიელი ტყის ხეობა, მოჩუხჩუხე ნაკადული და
რომანტიკული გამოქვაბული. ადამიანი იმდენად ჭირვეულია, რომ შეიძლება
შედრკეს კიდევ, როდესაც მასივე ბუნების ფართო მიმოხილვას დაავალებ. მან
შეიძლება ტოლსტოის „ომი და მშვიდობის“ სილიადეს ზურგი უჩვენოს და
საამოვნებით მიუბრუნდეს ვოლტერის „კანდიდს“. ძნელია მუდამ მიქელანჯე-
ლოს „სიქსტის კაპელის“ ჰერქვეშ ცხოვრება, მაგრამ კონსტებლის „სოლსბე-
რის კათედრალის“ სურათს ყველა სიამოვნებით შეხედავს.

ჩემი თანაგრძნობა შეზღუდულია. შემიძლია მხოლოდ ის ვიყო, რაცა ვარ,
ხოლო მე კი ნაწილობრივ ბუნებისა და ნაწილობრივაც ცხოვრების გარემოება-
თა გამო ცალმხრივი არსება გახლავართ. არა ვარ საზოგადოების მოყვარული.
ვერ ვთვრები და ჩემი მოყვასისადმი დიდ სიყვარულს ვერა ვგრძნობ. ლხინი
და ქეიფა მუდამ მლლიდა. როდესაც ლუდხანაში ან მდინარეზე ნავში ხალხი
მდერის, მე ჩუმადა ვარ. ეკლესიაში არასოდეს მიგალობია. არ მიყვარს, რო-
დესაც ვინმე შემეხება და ყოველთვის თავს ძალას ვატან, რომ განზე არ გავი-
წიო, როდესაც ხელს მკლავში მიყრიან. საკუთარი თავი არასოდეს მავიწყდება.
ქვეყნის ასტერიულობა გულს მირევს და ისე მარტო არსად ვგრძნობ თავს,
როგორც ხალხის ბრბოში, რომელიც ან გახელებული მხიარულობს ან განწი-
რულად ნალვლობს. თუმცა შეყვარებული ბევრჯერ. ვყოფილვარ, თანაზიარი
გრძნობა არასდროს განმიცდია. ვიცი, რომ ეს ყველაზე ძვირფასი რამ არის

¹ აღფრედ ჰელსმანის ლექსების კრებული (1896 წ.) — მთარგმნელის შენიშვნა.

ანი კაცია და ის, რაც თავის წერილში თქვა, ხშირად ბევრს გაუმეორებია. სხვა დროს, გულახდილობის ჟამს, მკითხველებს ვაცნობე, ძალზე ბევრის მცოდნე გახლავართ-მეთქი. შეიძლება ვინმემ იკითხოს, ეგ რომ არ გეთქვა, განა კრიტიკოსები თვითონ ვერ მიხვდებოდნენო? მაგრამ მას შემდეგ ამ ჩემს წერილსა და სხვა ხშირად უპატივცემულად მაკერებენ-ხოლმე. მუდამ მიკვირდა, ხალხი, რომელსაც ხელოვნებასთან ცოტათი მაინც აქვს საქმე, ცოდნას რატომ არ წყალობს-მეთქი.

ჩემთვის უთქვამთ, მომღერლად შეიძლება ბუნებით დაიბადო ან მერე გახდეთ. რა თქმა უნდა, რაღაც ხმა უნდა გქონდეს, რომ მომღერალი გამოხვიდე, მაგრამ სიმღერის ცოდნას ვარჯიშს უნდა უმაღლოდე. გემოვნება და მუსიკალობა უნახლაურებს ასეთ მომღერალს ბუნებრივი ხმის სიღარიბეს და მისმა სიმღერამ შეიძლება ბევრს სიამოვნება მიანიჭოს, განსაკუთრებით კი სიმღერის მცოდნეებს. მაგრამ ისე კი ვერ ავალღვებ, როგორც წკრიალა ჩიტის გალობა — როგორც ბუნებით დაჯილდოებული მომღერლის ხმა. ასეთი ბუნებრივი მომღერალი შეიძლება საკმარისად ნაეარჯიშევიც არ იყოს, არც მუსიკის წესი იცოდეს და არც განათლება ჰქონდეს, თანაც ხელოვნების კანონებს უხეშად არღვევდეს, მაგრამ მაინც მის ხმას ისეთი გრძნეულება ახლავს, რომ მთლიანად გატყვევებს. თავისუფალ ქცევასაც აპატიებ, მოუხეშაობასაც და იმასაც, რომ მხოლოდ გრძნობებს გიდვიძებს, როდესაც მისი ზეციური გალობა შენს სმენას ატყობს. მწერალი ვარჯიშის შედეგად გახლდა. მაგრამ პატივმოყვარეობა იქნებოდა მეფაქრა, რომ რასაც მივალწაე, ყოველივე წინასწარგანზრახული გეგმით მოხდა-მეთქი. ამ გზით რომ მივდიოდი, სრულიად მარტივი მოტივები მამოძრავებდა და მხოლოდ ახლა, უკან რომ ვიხედები, ვხვდები, რომ ქვეცნობიერად ერთი გარკვეული მიზნისკენ მივისწრაფოდი. ეს მიზანი იყო — განმეფითარებინა ჩემი ხასიათი, რათა შემევესო ჩემი ბუნებრივი ნიჭის ხარვეზები.

ნათელი და ლოგიკურად მოაზროვნე გონება მაქვს, მაგრამ არც ძალიან მახვილი და არც ისე ძლიერი. ბევრჯერ მინატრია, ნეტავ უკეთესი მქონოდა-მეთქი. ხშირად გული მომდიოდა, რადგან იმას ვერ მისრულებდა, რაც მინდოდა. ისეთ მათემატიკოსსა ვგავდი, რომელიც მხოლოდ უმატებს და აკლებს და თუმცა უნდა, რომ ყველა რთული ოპერაცია ჩაატაროს, იცის, რომ ამის უნარი არ ეყოფა. კარგა ხანი დამკვირდა, ვიდრე თავს დაგაჯერებდი, იქ მიმელწია მეტი, სადაც შესაძლებლობა მქონდა. საამისოდ საკმარისი ჭკუა-გონება გამაჩნდა და შემეძლო წარმატება მომეპოვებინა, რა დარგიც უნდა ამერჩია. იმათ არ ვგავარ, ვანც თავისი საქმის გარდა სხვა არაფერი იცის. სამართალშიც, მედიცინაშიც და პოლიტიკაშიც გამოადგება კაცს ნათელი გონება და ადამიანის ცნობის უნარი.

ერთი უპირატესობა გამაჩნდა: არასდროს გამკვირვებია თემას ამორჩევა. თავში ყოველთვის უამრავი სიუჟეტი მიტრიალებდა და იმდენი დრო კი არა მქონდა, რომ ყველა დამეწერა. მწერლებიანგან ხშირად მსმენია, მინდა ვწერო და კი არ ვიცი რაზეო. მახსოვს ერთი მწერალი ქალი მიყვებოდა, იმ წიგნებს ვკითხულობ, სადაც ყოველგვარი შინაარსია მოთხრობილი, რაც კი ოდესმე ლიტერატურაში გამოუყენებიათ, რომ რამე თემა გამოვნახო. ასეთ სიძნელეს არასდროს შევეყრივარ. სვიფტი, როგორც ვიცით, იქაღნიდა, რასაც მეტყვით, ყველაფერს დაეწერო, და, მართლაც, როდესაც შესთავაზეს დაეწერა მსჯელობა

ცოცხზე, კარგადაც მოახერხა. თითქმის დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ვინმესთან ერთად თუნდაც ერთი საათი რომ გავატარო, მის შესახებ შეცნობად ხერხიანად წასაკითხ მოთხოვნას მაინც დავწერ. სასიამოვნოა როდესაც თავში იმდენი ამბავი ვიტრიალებს, რომ რა გუნებაზედაც უნდა იყოს, ყველა ერთი ორი საათი და თუნდაც მთელი კვირაც კი მათზე იფიქროს. მისი ცხოველებითი ფანტაზიის საფუძველია. ხელოვანის უპირატესობა სხვასთან შედარებით ისაა, რომ ის სინამდვილეს კი არ გაუჩივს, არამედ შიგ შესვლის საშუალებას ეძებს. მისი ოცნება მიზანდასახულია. ეს მას ისეთ სიამოვნებას ანიჭებს, რომლის წინაშე გრძნობათა სიამენიც ფერმკრთალდება და თავისუფლების შეგრძნებას უღვიძებენ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ ზოგჯერ ხელოვანს არც კი უნდა ეს სიამოვნება გასცვალოს მძიმე შრომაზე მათი განსახიერების მიზნით.

თუმცა მრავალფეროვანი გამოგონების ნიჭი მქონდა (ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ქვეყანა მრავალნაირ ადამიანთაგან შედგება), მაგრამ სუსტი ფანტაზია გამაჩნდა. ცოცხალ ადამიანებს ავიღებდი და ხან ტრაგიკულ და ხანაც კომიკურ სიტუაციებში ვათავსებდი ხოლმე, იმის მიხედვით, თუ რაჩივი ბასიანისანი იყვნენ. შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ისინი თვითონ იგონებდნენ საკუთარ ამბებს. არასოდეს შეხერხებოდა დიდებული, ნანგრძლივი აღმადგინა, რომელსაც ავტორი ფართოდ გაშლილი ფრთებით მძყავს ცის კამარამდე. ჩემს არც თუ ისე ძლიერ ფანტაზიას მუდამ ხელს უშლიდა სინამდვილის გრძნობა. მე მოლბერტზე ვხატავდი სურათს და არა ფრესკას კედელზე.

გულით ვნატობ, ნეტავ ახალგაზრდობისას ისეთი კეთილი კაცი მყოლიოდა, ერჩია, რა წიგნები შეკითხა და რა — არა. ვნანობ, როდესაც მახსენდება, რამდენი დრო დამიკარგავს უქმად ისეთი წიგნების კითხვაში, რომელთაც ჩემთვის დიდი სარგებლობა არ მოუტანია. ცოტაოდენ რჩევა-დარიგებას ერთ ახალგაზრდას უნდა ვუმაღლოდე, ვისთანაც ერთად პაიდელბერგში ვცხოვრობდით ერთ ოჯახში. მას პირობითად ბრუნს დავარქმეე. მაშინ ოცდაექვსი წლისა იყო. კემბრიჯის დამთავრების შემდეგ ვეჭილობის უფლება მიიღო, მაგრამ ცოტაოდენი ფული ჰქონდა — იმ იაფობის დროს საკმარისი, — და ვინაიდან თავისი ხელობა მაინცდამაინც არაფრად ეპიტნავებოდა, გადაწყვიტა მწერლობისათვის მიეყო ხელი. პაიდელბერგში გერმანულის შესასწავლად ჩამოვიდა. ორმოცე წლის მანძილზე ვიცნობდი, მის სიკვდილამდე. ოცი წელი თავს იმის ფიქრით იქცევდა, რას დავწერ, როცა საქმეს ჩავუჯდებით, და შემდეგი ოცი წელი კა, — რისი დაწერა შემიძლო, ბედს რომ გავლიძაო. ლექსებსაც ბლომად თხოვდა, მაგრამ არც წარმოსახვის სიმდიდრე გააჩნდა, არც გრძნობა და არც სმენა. რამდენიმე წელიწადი პლატონის დიალოგებს თარგმნიდა, სწორედ იმ დიალოგებს, რომლებიც მრავალჯერ იყო თარგმნილი. ვეჭვობ, ოდესმე ბოლომდე მიეყვანა ერთი იმათგანი მაინც. ნებისყოფა სულ არ გააჩნდა. სენტემენტალური იყო და პატივმოყვარე. დაბალი ტანის კაცი იყო, მაგრამ სასიამოვნო შესახედაობისა. კარგი სახის ნაკვთები ჰქონდა და ხუჭუჭი თმები, ღია ცის-

ფერი თვალები და სევდიანი გამონეტყველება. ისეთი გარეგნობისა იყო, როგორც შეიძლება წარმოიდგინო პოეტი. მოხუცებულობაში, უქმალ ბავშვებულა ცხოვრების შექდეგ, ძელოტი და გამოფიტული. ასკეტს მოგაფიქრებდათ. უნივერსიტეტის პროფესორს ჰგავდა, რომელსაც მთელი სიცოცხლე უძევებდა. მიეძღვნა უინტერესო აღმოჩენისათვის. მისი ზეშთაგონებული ზნეობა და დღილი ფილოსოფოსის სკეპტიციზმით იყო აღსავსე, რომელიც არსებობის საიდუმლოებას ჩასწვდა და მხოლოდ ამოება კი აღმოაჩინა. მემკვიდრეობა ნელ-ნელა შემოეხარჯა, მაგრამ შრომას სხვათა სულგრძელობაზე დამოკიდებული ცხოვრება ერჩია და ხშირად ძალიან უჭირდა. საკუთარი თავის რწმენა კი არასოდეს დალატობდა, ეხმარებოდა კიდევ სილატაკესთან შერიგებაში და მარცხის გულგრილად აღქმაში. არა მგონია ოდესმე აზრად მოსვლოდა, რომ სინამდვილეში უსინდისო მატყუარა იყო, — მთელი მისი ცხოვრება სიცრუე იყო. მაგრამ სიკვდილის წინ, თუ, რა თქმა უნდა, იცოდა რომ აღსასრულის დღე დაუდგა (კიდევ კარგი, რომ არ იცოდა), დარწმუნებული ვარ, იტყოდა: კარგი ცხოვრება გავატარეო. მიმზიდველა კაცია იყო, არც შურიანი ყოფილა და თუმც მეტად ეგოისტი გახლდათ და არავის დახმარებია, არც ბოროტების ჩადენა შეეძლო. ლიტერატურის ჰეგემონი თაყვანისმცემელი იყო. ჰაიდელბერგის გარშემო მდებარე მთებში ხანგრძლივი სეირნობის დროს წიგნებზე ვსაუბრობდით ხოლმე. იტალიისა და საბერძნეთის ამბებს მიყვებოდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ხეირიანად არაფერი გაეგებოდა. ჩემი ახალგაზრდული ფანტაზია მაინც აღანთო და მეც იტალიურის სწავლას წევუდექი. ყველაფერს რასაც მიაბზობდა, ისეთი აღტაცებით ვიდებდი როგორც ახალმოქცეული. რა მისი ბრალია, რომ ისეთი წიგნებით აღმაფრთოვანებდა ხოლმე, რომლებიც, როგორც მერე აღმოჩნდა, ამის ღირსი არ იყო. როცა ის ჩამოვიდა, „ტომ ჯოუნსს“ ვკითხულობდი, რომელიც იქაური სახალხო ბიბლიოთეკიდან გამოვატანე. მითხრა, რა თქმა უნდა, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ „კროსუფიზელ ღიანას“ წაიკითხავო. ჯერ კიდევ მაშინ პლატონის თაყვანისმცემელი იყო და მისი „ნადიმის“ შელისეული თარგმანი მომცა. მელაპარაკებოდა რენანზე, კარდინალ ნიუმენსა და მეთიუ არნოლდზე. მაგრამ მეთიუ არნოლდო, — ამბობდა თვითონ, — ცოტა ფილისტერიო. მესაუბრებოდა სუინბერნის „პოემება და ბალადებზე“ და ომარ ხაიამზე. ბევრი რუბაია ზეპირად იცოდა და მიკითხავდა ჩვენი სეირნობის ქამს. არ ვიცოდი, რა მექნა. ერთი მხრით, ენათუზიანებით ვხვდებოდი რომანტიკულ ეპიკურეიზმს, ხოლო, მეორე მხრით, ბრაუნის დეკლამაცია ნაბნევდა, რადგან ლექსებს ისე კითხულობდა, როგორც ეკლესიის დიაკვანი ბუტბუტებს პარაკლისის დროს ნახევრად ჩაბნელებულ სამლოცველოში. მხოლოდ ორი მწერალი უნდა მომწონებოდა, თუ კულტურული კაცი ვიყავი და ბრიტანელი ფილისტერი არ მსურდა ვყოფილიყავი. ესენი იყვნენ უოლტერ პეიტერი და ჯორჯ მერედითი. ასეთი სასურველი დასკვნისათვის მზად ვიყავი ყველაფერი გამეკეთებინა და, შეიძლება არც დამიჯეროთ, ხარხარით ჩავიკითხე „შაგფატის გაპარსვა“. მართლაც ძალიან სასაცილო შეჩვენა. შემდეგ ჯორჯ მერედითის რომანები წავიკითხე ერთიმეორის მაყოლებით. ვფიქრობდი, შესანიშნავი რამ არის-მეთქი, თუმცა არც ისე შესანიშნავი იყო, როგორც თავს ვარწმუნებდი. ჩემი აღფრთოვანება ყალბი იყო: იმიტომ მომწონდა, რომ კულტურული ახალგაზრდა კაცი ასე უნდა მოქცეულიყო. თავს

საკუთარი ენთუზიაზმით ვწამლავდი. ყური არ მითხოვებია იმ სუსტ მინაგანი ხმისათვის, რომელიც უარზე იდგა. ახლა კი ვიცი, რომ ამ რომანებში ზევრი მაღალფარდოვანებაა. მაგრამ ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ამ წიგნების ხელახლა კითხვისას მათი ბარველი გაცნობის დღეებს ვუბრუნდები და ვხედავ, რომ მათი ჩემთვის სავსეა იმ მზიანი დღეების, ჩემი განათლების დღეების, ჩემი სიკბაბუჯის შესანიშნავი სიხმრების მოგონებებით. ისე, რომ, როდესაც, მაგალითად, მერედითის „ივენ ჰარინგტონის“ კითხვას ვამთავრებ და გადავწყვეტ, რომ მასში გულწრფელობის უჭონლობა გამაღიზიანებელია, სნობიზმი კი — გულის ამრევი, ხოლო მრავალსიტყვაობა — ძნელად ასატანი და მეტად არასდროს წავიკითხავ-მეთქი. — გული ამიჩუყდება ხოლმე და მაინც მგონია, რომ დიდებული ნაწარმოებია.

მეორე მხრით, სულაც არა მაჭვს ასეთივე გრძნობა უოლტერ პეიტერის მიმართ, რომლის წიგნებსაც იმავე დროს ვკითხულობდი და ისეთივე აღფრთოვანებით, არავითარ ასოციაციებს არ შეუძლია ჩემს თვალში მათ ფასი შექმნათ. ისევე მოსაწყენია, როგორც აღმა ტადემას სურათი, საოცარია, როგორ შეიძლება კაცს ერთხელ მაინც მოეწონოს მისი პროზა! ის არც მიეღინება, მასში არც პეროვნებაა. ეს არის მოზაიკა, სადგურის სასადილოს გასაღამაზებლად შექმნილი არც თუ დახლოვებული ოსტატის მიერ. პეიტერის დამოკიდებულება ცხოვრებასადმი. — კარჩაკეტილი, ოდნავ ქედმაღლური, ჯენტლმენური, ერთი სიტყვით კუდაბზიკური, — ძალიან მეზამუშება. ხელოვნებას უნდა თაყვანს სცემდე რაღაც ჟინითა და აღტყინებით და არა ნელთბილი, ქედმაღლური მოხდენილობით, რომელსაც აშინებს სხვათა გაკიცხვა. მაგრამ უოლტერ პეიტერი სუსტი ადამიანი იყო და არაა საჭირო ასეთი სამკაცრით ვამხილოთ იგი. მე მისი პირადი სიძულვილი კი არა მაჭვს, არამედ იმიტომ არ მიყვარს, რომ იგი სწორედ ეს დამახასიათებელი ტიპია ლიტერატურულ სამყაროში, რომელიც უგემოვნოა და ესოდენ გავრცელებული და რომელსაც თავი კულტურულად მიაჩნია.

კულტურის ფასი განისაზღვრება ადამიანის ხასიათზე მისი ვაჟუნით. ნულია მისი ფასი, თუ ადამიანს არ აკეთილშობილებს და არ აძლიერებს. მისი დანიშნულება ცხოვრების სამსახურია. მისი მიზანი სილამაზე კი არაა, არამედ სიკეთე, მაგრამ ხშირად, როგორც მოგეხსენებათ, ის თავდაჯერებას წარმოშობს. ვის არ უნახავს განათლებული კაცის ტუჩებზე აღბეჭდილი დამცინავი ღიმილი, როდესაც ის ვინმეს უსწორებს ციტატას, ანდა მხატვრობის მცოდნე კაცის გულნატკენი გამომეტყველება, როდესაც ვინმე იმ სურათს აქებს, მას სულაც რომ არ მოსწონს. ათასი წიგნის წაკითხვას ისეთივე ფასი აქვს, როგორც ათასი მინდვრის გადახვნას. ისეთივე ფასი აქვს იმას, რომ სწორედ აღწერო სურათი, როგორც იმას, რომ აღმოაჩინო, რა აქვს მოშლილი გაჩერებულ ავტომობილს. ორივე შემთხვევაში ეს საგანგებო განათლებას მოითხოვს. ბირჟის მაკლერსაც თავის განსაკუთრებული ცოდნა გააჩნია და ხელოსანსაც. ეს ბრიყვული ცრურწმენაა, რომ ვითომ მხოლოდ ინტელიგენტის აზრია სწორი. სიმართლე, სიკეთე და სილამაზე მხოლოდ მათი საკუთრება როდია, ვინც ძვირად ღირებულ სკოლებში დადიოდა, ბიბლიოთეკებში იქექებოდა და მუზეუმებს ხშირი სტუმარი იყო. ხელოვანს არ ეპატიება, როცა სხვებს ზემოდან დაჰყურებს. ის ბრიყვია, თუ ფიქრობს, რომ მისი ცოდნა

სხვებზე უფრო მნიშვნელოვანია, და უზრდელია, თუ არ ძალუძს მათ ლიტერატურით შეხედეს. მეტიუ არნოლდმა ცუდი სამსახური გაუწია კულტურას რით, რომ ამტკიცებდა, კულტურა ფილისტერობას უპირისპირდებაო.

ქართული
საზღაპროთქვა

თვრამეტი წლისამ ფრანგული, გერმანული და ცოტა იტალიური ვიცოდი. მაგრამ ძალზე გაუნათლებელი ვიყავი და მწარედ განვიცდიდი ჩემს უმეცრებას. ყველაფერს ვკითხულობდი, რასაც კი მოვიხელთებდი. იმდენად ცნობისმოყვარე გახლდით, რომ ერთგვარი სიამოვნებით ვკითხულობდი როგორც პერუს ისტორიას და კოვბოის მოგონებებს, ასევე ტრაქტატს პროვანსულ ლიტერატურაზე, ან „წმიდა ავგუსტინეს აღსარებას“. მე მგონია, ცოტაოდენი რამ მაინც შევიძინე, რაც მწერალს ყოველთვის გამოადგება. კაცმა არ იცის, როდის დაგჭირდება ერთი შეხედვით ვითომ სრულიად ზედმეტი ამბების ცოდნა. წაკითხული წიგნების სიებს ვადგენდი და შემთხვევით ერთი მათგანი შემომჩნია. ეს ორი თვის განმავლობაში წაკითხული წიგნების სიაა და თუმცა მარტო ჩემთვის შევადგინე, მაინც არა მჯერა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი იყო. თურმე წამოკითხავს შექსპირის სამი პიესა, მომზენის „რომის ისტორიის“ ორი ტომი, ლანსონის „ფრანგული ლიტერატურის“ მოზრდილი ნაწილი, ორი თუ სამი რომანი, რამდენიმე ფრანგი კლასიკოსი, თრიოდე სამეცნიერო ნაშრომი და იბსენის ერთი პიესა. ჰემმარიტად ბეჯითი შეგირდი ვყოფილვარ. წმიდა ტომასის საავადმყოფოში მუშაობისას სისტემატურად ვკითხულობდი ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ და ლათინურ ლიტერატურას. ბევრს ვკითხულობდი ისტორიულ ნაწარმოებებს, უფრო ნაკლებ — ფილოსოფიურს და კარგა ბლომად — სამეცნიერო წიგნებს. ჩემი ცნობისმოყვარეობა იმდენად დიდი იყო, რომ დრო აღარა მრჩებოდა წაკითხული გამეაზრებინა. ძლივს ვასწრებდი ერთი წიგნის დამთავრებას, რომ მეორის წაკითხვის სურვილი უკვე მკლავდა. ეს ყოველთვის ახალი თავგადასავალი იყო და მეც ისეთივე დელვით ვიწყებდი რომელიმე ცნობილი წიგნის კითხვას, როგორც ჩვეულებრივი ყმაწვილი კაცი იწყებს კრიკეტის თამაშს ან კოჭტა გოგონა მიდის საცეკვაოდ. დროგამოშვებით კურნალისტები სათანადო მასალის ძებნისას მეკითხებთან ხოლმე, როდის გჭონდათ ცხოვრებაში ყველაზე სანეტარო წუთებიო. რომ არა მრცხვენოდეს, ვუბასუხებდი, მაშინ, როდესაც გოეთეს „ფაუსტის“ კითხვა დავიწყე-მეთქი. რა დამავიწყებს ამ გრძნობას! ახლაც კი წიგნის პირველი გვერდები ძარღვებში ზოგჯერ სისხლს მიჩქეფებენ. ჩემთვის კითხვა დასვენებაა, ისევე როგორც სხვებისთვის საუბარი ან ბანქოს თამაში. კიდევ უფრო მეტიც. ეს ჩემთვის მოთხოვნილებაა და თუ ცოტახანს დამაგვიანდა წაკითხვა, ისე ვღიზიანდები, როგორც ნარკომანი — უნარკოტაკოდ. რამე განრიგსაც კი დიდი სიამოვნებით წავიკითხავ, ან კატალოგს, ოდონდ უქმად არ ვიჯდე. სხვა რაღა ვთქვა, თუკი ბევრი სასიამოვნო საათები გამიტარებია არმიისა და ფლოტის მალაზიების ფასების პრესკურანტის კირკიტში, ბუკინისტთა კატალოგისა, თუ რკინიგზის ანბანურ მაჩვენებელთა კითხვაში. ეს ყოველივე რომანტიკულია და ბევრ დაწერილ რომანზე გაცილებით უფრო საინტერესოც.

წიგნები მხოლოდ იმიტომ გადავლევ გვერდზე, რომ ვხვდებოდით, რომ მი-
დიოდა და ახლა მე უნდა მეწერა. საზოგადოებასთან იმიტომ მქონდა ერთიერ-
თობა, რომ ვფიქრობდი, ეს გამოცდილება წიგნების წერის დროს გამოადგება-
მეთქი, მაგრამ, გარდა ამისა, იმიტომაც, რომ ეს გამოცდილება მართლაც
მაინტერესებდა. ჩემთვის არ კმაროდა მხოლოდ მწერალი ზეგნებითა და
ვეგმა, რომელიც ჩემთვის შევადგინე. მითითებდა ნაქსიმალური მონაწილეობა
მიმელო იმ იდუმალ მოქმედებაში, რასაც ადამიანის ცხოვრება წარმოადგენს.
ვესწრათოდი განმეცადა ის საყოველთაო ტკივილი და საყოველთაო სიამე, რომ-
ელიც კაცობრიობის საყოველთაო წალხვედრია. ვერა ვხედავდი მიზეზს
გრძნობათა მოთხოვნილება დამემორჩილებინა სულის მაცლუნებელი ძახი-
ლისათვის და გადაწყვეტილი მქონდა, რაც შეიძლება მეტი მიმელო საზოგადო-
ებრივი ურთიერთობისა და ადამიანთა სიახლოვისაგან — ჭამის, სმისა, აღვირ-
ახსნალობისა თუ ფუფუნებისაგან, სპორტისა თუ ხელოვნებისაგან, მოგზაურო-
ბისა და საერთოდ, როგორც ჰენრი ჯეიმსი იტყოდა, ყველაფრისაგან. მაგრამ
ამისათვის თავზე ძალდატანება მიხდებოდა და მეც ყოველთვის შვებით ვუბ-
რუნდებოდი ჩემს წიგნებსა და საკუთარ საზოგადოებას.

და თუმცა ამდენი რამ წამიკითხავს, მაინც ცუდი მკითხველი ვარ. ნელა
გვითხულობ და არ შემიძლია ერთი ადგილიდან მეორეზე გადახტომა. მიჭირს
წიგნის მიტოვება, რაც უნდა ცუდი იყოს იგი და ნომბებურებელი. ის წიგნები,
რომლებიც თავიდან ბოლომდე არა მაქვს წაკითხული, თითზეა ჩამოსათვლელი.
მეორე მხრით, ცოტა წიგნი თუ გადამიკითხავს თრჯერ. კარგად ვიცი, ბევრ
წიგნს სრულად ვერ შევაფასებ ერთი წაკითხვით, მაგრამ თავის დროზე წაკი-
თხულიდან ყველაფერი წამოვიღე, რაც შემეძლო. და თუმცა შესაძლოა წვრილ-
მანები არ მახსოვდეს, სამუდამოდ შეძენილი სიმდიდრე შემრჩა. მე ვიცი ადა-
მიანები, რომლებაც ერთსა და იმავე წიგნს კითხულობენ და კითხულობენ
ხელახლა. ეს შეიძლება იმას ნიშნავს, რომ ისინი წიგნს თვალთ კითხულობენ
და არა გრძნობით. ეს ისეთივე მექანიკური ვარჯიშია, ტიბეტელები, რომ
ატრიალებენ ხოლმე სალოცავ ბორბალს. უეჭველია, ეს უვნებელი გარჯაა,
მაგრამ სცდება, ვისაც ჰგონია, რომ ამით ინტელექტუალურ საქმიანობას ეწევა.

სიყმაწვილეში, როდესაც ჩემი უშუალო აზრი რომელიმე წიგნის თაობაზე
ავტორიტეტულ კრიტიკოსთა აზრისაგან განსხვავდებოდა, უყოყმანოდ ვასკვნი-
დი, ვცდები-მეთქა. არ ვიციოდი, რაოდენ ხშირად აყენებენ კრიტიკოსები მილე-
ბულ თვალსაზრისს და აზრად არ მომიდიოდა, რომ მათ შეუძლიათ დარწმუნე-
ბით ილაპარაკონ ისეთ რამეზე, რაც თვითონაც არ იციან კარგად. დიდი ხანი
გავიდა, ვიდრე მივხვდებოდი, რომ ხელოვნების ქმნალებაში ჩემთვის მთავარია
ის, თუ რას ვფიქრობ მე ნია შესახებ. ახლა უკვე საკუთარ აზრს დარწმუნებით
ვემყარები, რადგან შევამჩნიე, რომ ის, რასაც ინსტინქტურად ვგრძნობდი ამ
ორმოცა წლის წინ წაკითხული წიგნების მიმართ, მაგრამ ყურადღებას არ ვაქ-
ცევდი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი გრძნობა არ ეთანხმებოდა გაბატონებულ
აზრს, — ახლა უკვე საყოველთაოდ მიღებულია, ყოველივე ამის გამო ღიღძალ

კრიტიკულ ლიტერატურას ვკითხულობ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ძალზე სასიამოვნო ლიტერატურული ყანრია. კაცს ყოველთვის როდი სურს იკითხო სულის ამამაღლებელი რამ, ხოლო რა უნდა იყოს იმაზე სასიამოვნო, რომ ერთი-ორი საათი გაატარო კრიტიკული წიგნის კითხვაში. ძალიან თავშესაქცევადი ეთანხმები; ასევე თავშესაქცევია, თუ ედავები; ყოველთვის იცოდე, თუ რას ამბობს განათლებული კაცი რომელამე მწერალზე, ვთქვათ, პენრი მორზე ან რიჩარდსონზე, რომელაც არა მგონია ვინმეს წაეკითხოს.

ერთადერთი რამ მიმაჩნია წიგნის ღირსებად: ესაა წიგნის მნიშვნელობა შენთვის. შეიძლება მას სხვა დიდი მნიშვნელობაც ჰქონდეს კრიტიკოსისათვის, მაგრამ სხვის ხელში გამოვლილი შენ აღარას ვარგია. წიგნს წიგნის გულისათვის კი არ ვკითხულობ, არამედ ჩემთვის. ჩემი საქმე არაა წიგნი შევაფასო. ჩემი საქმეა შევითვისო ყველაფერი, რაც კი შემიძლია, როგორც ამება შეითვისებს ხოლმე უცხო სხეულის ნაწილაც. ხოლო რასაც ვერ შევითვისებ, მასთან საქმე არა მაქვს. მეცნიერი არა ვარ, არც ლიტერატურათმცოდნე ანუ კრიტიკოსი. პროფესიონალი მწერალი გახლავართ და მხოლოდ იმას ვკითხულობ, რაც ჩემს ხელობას სჭირდება. ვისაც სურს, შეუძლია დაწეროს პტოლომეების დინასტიაზე წიგნი, რომელიც გადატრიალებას მოახდენს ამ საკითხში. მე იმას არ წავიკითხავ; შეუძლია პატაგონიის წიაღში მოგზაურობა აღწეროს — მაინც არ გავეკარები. მწერალს არ სჭირდება ექსპერტი იყოს სხვა საქმეში, გარდა თავისი ხელობისა. პირობით, ეს მისთვის საზიანოც კია, რადგან ადამიანი სუსტი არსებაა, შეიძლება ვერ გაუძლოს ცდუნებას და თავისი ცოდნა გამოამჟღავნოს ყველგან, სადაც საჭირო არ არის. რომანისტებს ტყუილად ურჩევენ, ტექნაგური ტერმინები იხმარეთო. მგეცხრამეტე საუკუნეში გავრცელებული წესი — უამრავი სპეციალური ტერმინების გამოყენება — მეტად დამქანცველია. დამაჯერებლობას სხვა გზით უნდა მოაღწიო. ამის გაკეთება აბეზარი საშუალებებით ძალზე ძვირი ჯდება. მწერალმა უნდა იცოდეს ცოტა რამ იმ საკითხებზე, რაც მისი ნაწარმოების გმირებს აინტერესებთ, მაგრამ ცოტაოდენი ცოდნაც საკმარისია. მწერალი განსაკუთრებით პედანტურობას უნდა ერიდოს, მაგრამ ყოველივეს მიუხედავად ასპარეზი მაინც ფართოა და მეც ვცდილობ ისეთი ნაწარმოებებით შემოვიფარგლო, რომლებიც უშუალოდ ჩემს მიზანს ემსახურება. მაინც ვერასოდეს გაუგებ ბოლომდე შენს საკუთარ გმირებს. ბიოგრაფიება, მოგონებები, სპეციალური ლიტერატურა ხშირად ისეთ განსაკუთრებულ წვრილმანს მოგაწოდებს ხოლმე, ისეთ დამახასიათებელ ნაკვეთს, მრავლის მთქმელ მინიშნებას, რომ ცოცხალი ხატურაც კი იშვიათად თუ მოახერხებს ამას. ადამიანების გაგება ძნელია. საქმე გაჭიანურდება, ვიდრე აიძულებ სწორედ ის გითხრან საკუთარ თავზე, რაც შენ გამოგადგება. არც ის შეიძლება, რომ არ შეხედო მათ და გვერდზე გადადო, როგორც დაწუნებული წიგნი. იძულებული ხარ თავიდან ბოლომდე ჩაიკითხო მთელი ტომი მხოლოდ იმისათვის, რათა საბოლოოდ გაიგო, რომ თურმე ბევრს ვერაფერს გვუბნება.

ახალგაზრდები, რომლებიც მწერლობას ნატრობენ, ხანდახან პატივს მღებენ და მეკითხებიან ხოლმე, რა წიგნები უნდა წავიკითხოთო. მეც ვეუბნები.

მაგრამ იშვიათად თუ მიჯერებენ, რადგან, როგორც ჩანს, ცნობისმთავარობა აკლიათ. არ აინტერესებთ იცოდნენ, რა შექმნეს მათმა წინამორბედებმა, წააკითხავენ მისის ვულფის ორ-სამ რომანს, ე. მ. ფოსტერის ერთ წიგნს, დ. ჰ. ლორენსის რამდენიმე ნაწარმოებს, და, რაც ცოტა უცნაურს, ხუროთმოძღვრების საგას“, და ჰგონიან ყველაფერი იციან, რაც კი მწერლობის შესახებ საბჭოების არის საჭირო. მართალია, თანამედროვე ლიტერატურას ახლავს ცოცხალი მიმზიდველობა, რაც კლასიკურ ლიტერატურას არ შეიძლებოდა ჰქონოდა, და თანაც კარგია ახალგაზრდა მწერალმა იცოდეს, რას წერენ მისი თანამედროვენი და რანაირად წერენ. მაგრამ ლიტერატურაში წარამარა წარმოიშობა ხოლმე მოღუპი მიმდინარეობანი და ძნელია წინასწარ გაიგო, რა შინაგანი ღირებულება აქვს ამა თუ იმ ლიტერატურულ სტილს, რომელიც ამჯერად დიდ გასავალშია ძველი დროის უდიდესი ნაწარმოებების გაცნობა კი კარგი საზომია შესადარებლად. ყოველთვის მიკვირდა, ბევრი ახალგაზრდა მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ იოლად, ყოჩაღად და ოსტატურად წერდა, სწრაფად გამოიფიტებოდა ხოლმე. ალბათ მათი გაუნათლებლობის ბრალია-მეთქი. დასწერენ ერთ ან ორ წიგნს, რომელიც არა მარტო ბრწყინვალეა, არამედ მოწიფულიც და... გათავდა! მაგრამ ქვეყნის ლიტერატურა ასე არ მდიდრდება. ამისათვის საჭიროა გყავდეს მწერლები, რომლებიც ორ ან სამ წიგნს კი არა, ნაწარმოებთა მთელ რივს შექმნიან. რა თქმა უნდა, ისინი ერთი დონისანი ვერ იქნებიან, რადგან შედეგის შექმნისათვის ბევრი ბედნიერი მოვლენის დამთხვევაა საჭირო. შედეგრი უფრო ხშირად დიდი შრომის უმაღლესი წერტილია, ვადრე გაუნათლებელი გენიოსის აღბლიანი ბედის გადაქება. მწერალი შეიძლება ბარაქიანა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ განუწყვეტლივ განახლების პროცესშია, ხოლო განახლება კი მაშინ შეუძლია, როცა მისი სული ახალ-ახალი გამოცდილებით მდიდრდება. ამისი უმრეტე წყაროა წარსულის დიდ მწერლობაში გატაცებით მოგზაურობა.

რადგან ხელოვნების ქმნილება სასწაულის შედეგი არ არის, მას მომზადება სჭირდება. ნიადაგი, თუნდაც ძალიან მდიდარი იყოს, მაინც უნდა განოყიერდეს. მოფიქრებით, შეგნებულა და საგანგებო ძალდატანებით ხელოვანმა უნდა გაათავოთვოს, გაადრმავოს და გაამრავალფეროვნოს საკუთარი ბიროვნება. შემდეგ სული ანეულივით უნდა დაასვენოს, ვით ქრისტეს სასძლო. ხელოვანი ელოდება იმ ნათელხილვას, რომელიც ახალ სულიერ ცხოვრებას წარმოქმნის, თავის ყოველდღიურ მოვალეობას მოთმინებით იტანს, მხოლოდ ქვეცნობიერება ასრულებს თავის იღუმალ სამუშაოს და უეცარი ამოფრქვევით, თითქოს არსაიდან, წარმოიშობა იდეა, მაგრამ კლდოვან ნიადაგზე დათესილი მარცვლის მსგავსად შეიძლება მაშინვე გახმეს. მას განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება. ხელოვანმა გონების მთელი ძალა უნდა დაუთმოს ამ საქმეს, მთელი თავისი ტექნიკური ოსტატობა, მთელი თავისი გამოცდილება და ყოველივე, რაც კი დამახასიათებელი და ინდივიდუალური გააჩნია ისე, რომ უსაზღვრო ტანჯვის შემდეგ წარმოადგინოს იგი შესაფერისად განსახიერებელი.

ვერ გავუჯავრდება იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც მათივე თხოვნის პასუხად ვურჩევ იკითხონ შექსპირი და სვიფტი, ისინი კი მეუბნებიან, „გულივერის მოგზაურობა“ ბავშვობისას წავიკითხეთო, „ჰენრი მეოთხე“ — სკოლაშიო,

„ამათების ბაზარა“ აუტანლად გვეჩვენება, „ანა კარენინა“ კი რაღაც სისულელეაო. რაღა მეტქმის, ეს უკვე მათი საქმეა. კითხვას ფასი არა აქვს, თუ სიამოვნებას არ მიიღებ. ერთს კი ვიტყვოდი მათ სასარგებლოდ: დიდი ცოდვირთავი არ მოაქვთ. მაღალი კულტურა მათ ხელს არ უშლის უთანაბრობის უბრალო ადამიანთა ცხოვრებას, რომელიც, მაუხედავად ყველაფრისა, მაინც მასწავლა. ახლო დგანან მოყვასთან და მათი საქმიანობა საიდუმლო კი არაა, — ისეთივე ხელობაა, როგორიც ყოველი სხვა საქმე. ისევე აულელებლად წერენ რომანებსა და პიესებს, როგორც სხვები ავტომანქანებს აკეთებენ. ეს კარგის მომასწავებელია, რადგან ხელოვანი, განსაკუთრებით კი მწერალი, თავას სულიერ მართობაში ქმნის საკუთარ სამყაროს, რომელიც სხვათა სამყაროსაგან განსხვავდება. თავისებურება, რის წყალობითაც იგი მწერალი გახდა, გამოჰყოფს მას სხვებისაგან და პარადოქსიც ისაა, რომ თუმცა მისი მიზანია მართლად აღწეროს ადამიანები, ნიჭი ხელს უშლის გაეცნოს მათ და ნახოს, ნამდვილად რაინც არიან. ისე გამოდის, თითქოს მწერალს ძალიან უნდა დაინახოს რაიმე საგანი, მაგრამ ჭკრეტის უამს თვითვე დაუშვებს რიდეს და ამ საგანს აბუნდოვანებს. მწერალი იმ მოქმედების მიღმა დგას, რომლის შექმნაში თვით მონაწილეობს. ის კომედიანტია, რომელიც თავის როლში გზას არ ჰკარგავს, რადგან ერთდროულად მაყურებელიცაა და მსახიობიც. ადვილი სათქმელია, პოეზია სიმშვიდის უამს გახსენებული გრძნობააო, მაგრამ პოეტის გრძნობა სხვანაირია, თავისებურია და განსხვავებული სხვათა გრძნობისაგან და არც თუ უანგარო. ამიტომაცაა, რომ ქალები, თავიანთი ინსტინქტური საღი აზრით ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩებიან პოეტების სიყვარულით. შესაძლოა, ჩვენი დროის მწერლები, რომლებიც ასე ახლოს არიან თავიანთ ნედლ მასალასთან, — ჩვეულებრივი ადამიანები ჩვეულებრივ ადამიანთა შორის და არა ხელოვანისადმი მტრულად განწყობილ ბრბოში, — გადალახავენ ამ ზღუდეს, რომელსაც მათი თავისებური ნიჭი ქმნის, და მიუახლოვდებიან ჭეშმარიტებას ისე, როგორც მანამდე არასდროს მომხდარა. მაგრამ მაშინ ის იქნება საფიქრელი, თუ რა დამოკიდებულება დამყარდება ხელოვნებასა და სინამდვილეს შორის.

მეც გამაჩნდა ბლომად ინტელექტუალური ქედმაღლობა და თუ აღარა მაქვს, — როგორც ვიმედოვნებ, — ეს სიკეთე ჩემს სიბრძნეს კი არ უნდა მიეწეროს, არამედ იმას, რომ სხვა მწერლებთან შედარებით მეტი მიმოგზაურია. ინგლისი მიყვარს, მაგრამ იქ არასოდეს ვგრძნობდი თავს კარგად. ინგლისელებისა ყოველთვის მერიდებოდა. ჩემთვის ინგლისი ყოველთვის იყო ქვეყანა, რომლის მიმართაც მჭონდა ვალდებულებები, რის შესრულებაც არ მინდოდა, და პასუხისმგებლობა, რომელიც მამძიმებდა. თავს მანამდე არა ვგრძნობ სავსებით ლაღად, ვიდრე სამშობლოსა და ჩემს შორის თუნდაც ლამაზშის სრულტე მაინც არ მდებარეობს. ზოგიერთი ბედნიერი კაცი თავისუფლებას თავის თავში ჰპოვებს. მე კი, მათზე ნაკლები სულიერი ძალის პატრონი, ამას მხოლოდ მოგზაურობაში ვნახულობ. ჯერ კიდევ ჰაიდელბერგში ყოფნისას ბევრი ადგილის ნახვა მოვასწარი გერმანიაში (მიუნხენში იბსენი ვნახე, ლუდსა სვამდა „მაქ-

„აიმილიანერპოფში“ და მოღუშული კითხულობდა გაზეთს). შვეიცარიაში ცყოფილვარ. მაგრამ ჩემი პირველი ნამდვილი მოგზაურობა იტალიაში მოგზაურობა იყო. იქ უოლტერ პეიტერის, რასკინისა და ჯონ ადინგტონ საამონდის ნაწარმოებებით გაყლენთილი ჩავედი. ექვსი კვირა სააღდგომო მსახურებში მჭობდა ჩემს განკარგულებაში და ოცი გირვანქა სტერლინგში მჭობდა ჩემს და პიზაში მოგზაურობის დროს კარგა დიდი მანძილი გავიარე, რომ მცირე ხნით იმ ფიქვნარში ვმჯდარიყავი, სადაც შელი სოფოკლეს კითხულობდა და გიტარისათვის ლექსებს თხზავდა. ერთი თვე ფლორენციაში ვიდექი ერთი ქვრივი ქალის სახლში და მის ქალიშვილთან ერთად „სალხინებელს“ ვკითხულობდი, ხოლო თავისუფალ დროს ქალაქს დირსწესანიშნავ ადგილებს ვათვალიერებდი რასკინის წიგნით ხელში. ყველაფერი, რასაც რასკინი მეუბნებოდა, აღმაფრთოვანებდა (თვით ჯოტოს საშინელი კოშკიც კი) და ზიზლით ვაქცევდა ზურგს ყოველივეს, რაც მას არ მოსწონდა. ასეთი ბეჭითი მოწაფე ალბათ არასდროს ჰყოლია. ამის შემდეგ ვენეცია, ვერონა და მილანი მოვინახულე. ინგლისში ძალიან ნასიამოვნები დავბრუნე და აბუჩად ვიგდებდი ყველას, ვინც ჩემს აზრს (და რასკინისასაც) არ იზიარებდა ბოტიჩელისა და ბელინის შესახებ. ოცი წლისა გაზლდიით.

ერთი წლის შემდეგ კვლავ გავემგზავრე იტალიაში. ნეაპოლამდე ჩავედი და კაპრი აღმოვაჩინე. ეს ყველაზე შესანიშნავი ადგილი იყო, რაც კი ოდესმე მენახა, და მომდევნო ზაფხულის არდადეგები მთლად იქ გავატარე. კაპრის იმჟამად ნაკლებად იცნობდნენ. ზღვის ნაპირიდან ქალაქამდე ფუნქიულიორი ჯერ არ არსებობდა. ცოტა ვინმე თუ ჩადიოდა იქ ზაფხულობით და ადვილად შეგეძლო გეშოვნა ბინაც და საკვებიც, ღვინის ჩათვლით, სულ ოთხ შილინგად დღეში და თანაც შენი საწოლი ოთახის სარკმელიდან მშვენიერი ხედი გადააშლებოდა ვეზუვის მთისკენ. ამ დროს იქ ერთი პოეტი ცხოვრობდა, ერთიც ბელგიელი კომპოზიტორი, ჩემი ჰაიდელბერგელი მეგობარი ბრაუნი, ორიოდე მხატვარი, ერთი მოქანდაკე (ჰარვარდ ტომასი) და ერთი ამერიკელი პოლკოვნიკი, რომელიც სამოქალაქო ომში სამხრეთელთა მხარეს იბრძოდა. აღფრთოვანებული ვუსმენდი მათ საუბრებს პოლკოვნიკის სახლში ანაკაპრის მთაზე, ან მორვანოს ღვინის სარდაფში, სწორედ პიაცას გვერდით. ისინი ხელოვნებასა და სილამაზეზე, ლიტერატურასა და რომის ისტორიაზე ლაპარაკობდნენ. ვნახე, როგორ სწვდა ყელში ერთმანეთს ორი კაცი იმის გამო, რომ ვერ შეთანხმდნენ ერედის სოხეტების პოეტურ დირსებაზე. ეს ყოველივე დიდებული მეჩვენებოდა. ხელოვნება, ხელოვნება — ხელოვნებისათვის, — აი ერთადერთი რამ, რაც ფასობს ქვეყანაზე. და ამ სასაცილო სამყაროს მხოლოდ ხელოვანი აძლევდა მნიშვნელობას. პოლიტიკა, ვაჭრობა, სწავლული პროფესიები — აბა, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ მათ აბსოლუტის თვალსაზრისით? შეიძლება არც დაბეთანხმონ ჩემი მეგობრები (ალარც ერთი, ალარც ერთი მათგანი ცოცხალი აღარაა!) რომელიმე სონეტის დირსებაზე ან ბერძნული ბარელიეფის ბრწყინვალეებაზე (ბერძნულიო? დმერთო ჩემო! გარწმუნებთ, რომაული ასლია და რახან გარწმუნებთ, ასეცაა!). მაგრამ ყველანი ერთში იყვნენ შეთანხმებული: ისინი იწვოდნენ ნელი, ლალისფერი ალით. ძალიან მორცხვი ვიყავი და ვერ ვეუბნებოდი მათ, რომ ერთი რომანი უკვე დაწერილი მქონდა და მეორე რომანის ნახევრამდე ვიყავი მისული, და ჩემთვის, — ვინც მათებრ ნელი, ლა-

ლისფერი ალით ვიწოდი, — დიდი უბედურება იყო, რომ ისე მეპყრობოდნენ, როგორც, ფილისტერს, რომელსაც გვამების გაკვეთის მეტი არაფერი მიუხედავს და სურს დრო ინელთოს, რათა საუკეთესო მეგობარს ოცნა გავეთქოს.

უკრუნუნუნ
ზიზუნუნუნუნ

ბოლოს და ბოლოს დიპლომაც მივიღე. ერთი წიგნი უკვე გამოცემული მქონდა და მოულოდნელი წარმატებაც ხვდა წილად. გადავწყვიტე, მომავალი უზრუნველყოფილი მაქვს-მეთქი, ექიმობას თავი დაეანებე, რათა მწერალი გავმხდარიყავა, და ესპანეთს მივაშურე, იმ დროს ოცდასამისა გახლდით, ასე მგონია, უფრო ნაკლები ვაცოდი, ვიდრე ამდენივე წლის თანამედროვე ახალგაზრდობამ იცის. სევილიაში დავბინავდი. ულვაში ნოვუშვი, ფილიპინურ სიგარებს ვეწვოდი და გიტარაზე დაკვრა ვისწავლე; ზემოდან გაბრტყელებული, ფართოფარფლებიანი ქუდი შევიძინე, გაბლენილი დავიარებოდი სიერპესზე და ენატრობდი მქონოდა გაშლილი, მწვანე და წითელი ზავერდისსარჩულიანი მოსასხამი, მაგრამ ძვირი იყო და ვერ ვყიდულობდი. ანლომახლო სოფლებში ცხენს დავაჭენებდა, რომელიც ერთმა მეგობარმა მათხოვა. ცხოვრება მეტისმეტად სასიამოვნო იყო და მიჭირდა ლიტერატურისათვის მთელი ყურადღება დამეთმო, ჩემი ვარაუდით იქ წელიწადი უნდა გამეტარებინა, ვიდრე ესპანურს შევისწავლიდი, შემდეგ რომს წავსულიყავა, რომელიც მხოლოდ როგორც ტურისტმა, ისე ვავიცანი, და ჩემი ზერეღე იტალიური დამეხვეწა. შემდეგ გამეგრძელებინა მოგზაურობა საბერძნეთში, სადაც ჯერ თანამედროვე ენა უნდა მესწავლა, როგორც ძველი ბერძნულის მისადგომი, საბოლოოდ კი ჩავსულიყავი ქაიროში და შემესწავლა არაბული. ეს ძალიან დიდი გეგმა იყო და ახლა მოხარული ვარ, რომ ვერ შევასრულე, რომში, რა თქმა უნდა, წავედი (იქ ჩემი პირველი პაესა დავწერე), მაგრამ მერე კვლავ ესპანეთში დავბრუნდი, რადგან ისეთი რამ მოხდა, რაც წინასწარ ვერ გავითვალისწინე. შემიყვარდა სევილია და ცხოვრება, რომელსაც იქ ვეწვოდი და, სხვათა შორის, ერთი ახალგაზრდა არსებაც, მწვანე თვალებისა და მხიარული ღიმილის პატრონა (თუმცა ეს კეთილად გადაეიტანე). ყველაფერი ეს ისე მიზიდავდა, რომ წინ ვერ აღვუდექი და ყოველ წელს იქ ვბრუნდებოდი. დავბორობილობდი თეთრ და მღუმარე ქუჩებში, დავყვებოდი მღინარე გვადალკვივირის ნაპირებს, ტაძარში დავეხეტებოდი, ხარების ბრძოლას ვესწრებოდი და ვეარშიყებოდი პატარა კონტა არსებებს, რომელთა მოთხოვნილება ჩემს ღარიბულ სახსრებს არ აღემატებოდა. ახალგაზრდობის საუკეთესო წლების გატარება სევილიაში — სამოთხე იყო. ჩემი განათლება უფრო ხელსაყრელი დროისათვის გადავდე. ამის შედეგი ის იყო, რომ „ოდისეა“ მხოლოდ ინგლისურად წავიკითხე და ვერ შევისრულე ოცნება „ათას ერთი ღამე“ არაბულად წამეკითხა.

როდესაც ინტელიგენცია რუსეთით დაინტერესდა, ვავიხსენე, რომ კატონმა ბერძნულას სწავლა ოთხმოცი წლისამ დაიწყო და რუსულს შევუდექი. მაგრამ ახალგაზრდული შემართება უკვე დაკარგული მქონდა. ჩეხოვის პიესების კითხვაზე შორს ვერ წავედი და დიდი ხანია დამავიწყდა ის ცოტაოდენიც, რაც მაშინ ვიცოდი. ყველა ეს ჩემი გეგმა ახლა, ცოტა არ იყოს, უაზრო მეჩვე-

ნება. სიტყვები კი არაა მთავარი, არამედ მათი მნიშვნელობა, და სულელი სარგებლობა არ მოაქვს თუნდაც ხუთი-ექვსი ენის ცოდნას. პოლიგლოტებსაც შევხვედრივარ. მართალი ვითხრათ, ვერ შევამჩნიე, რომ ჩვენსეუ ჰყვანები არიან. ურიგო არ არის, თუ რომელიმე ქვეყანაში მოგზაურებისა და მისი ენა საკმაოდ იცი, რათა გზა იკითხო ან საჭმელი შეუკვეთო, ხოლო თუ მისი ცოდნა დიდია ლიტერატურაც აქვს, კარგია თუ შეგიძლია მისი წაკითხვა. ასეთი ცოდნა ადვილი შესაძენია, ხოლო მეტის მიღების ცდა უსარგებლოა. მთელი სიცოცხლეც რომ მოანდომო, სხვა ქვეყნის ენას სრულყოფილად ვერ შეისწავლი. ვერასდროს გაუგებ მის ხალხსა და ლიტერატურას სრული უშუალოდით, რადგან ხალხიც და ლიტერატურაც, რომელიც მისი გამოხატულებაა, წარმოიქმნება არა მხოლოდ საქმეებისაგან, რომელსაც ხალხი სჩადის, ან სიტყვებისაგან, რომელთაც ის აყენებს (ორივე ადვილად გასაგებია), არამედ შემკვიდრებითი ინსტიტუტებისაგან, გრძნობათა ჩრდილებისაგან, რომელიც მათ დედის რძესთან ერთად შეითვისეს, და ურთიერთობისაგან, რომელსაც უცხოელი ვერასდროს ჩასწვდება ბოლომდე. საკუთარი ხალხის გაგებაც კი ძნელია. ჩვენ კი საკუთარ თავს ვატყუებთ, — განსაკუთრებით ინგლისელები, — თუ ვფიქრობთ, რომ სხვა ქვეყნის ხალხებისა გვესმის. ზღვით შემორტყნიულმა კუნძულმა ჩვენ გამოგვყო სხვებისაგან და ის გატვი, რომლითაც რელიგია ოდესღაც სხვებთან გვაკავშირებდა და ამსუბუქებდა ჩვენ გამიჯვნას, რეფორმაციამ გაწყვიტა. განა ღირს იწვალო იმ ცოდნის შეძენისათვის, რომელიც მუდამ ზერელე იქნება? ვფიქრობ, დროის უნაყოფო ხარჯვაა უცხო ენები იმაზე მეტად ისწავლო, რომ ლაპარაკი შეგეძლოს. ჩემი აზრით ერთადერთი გამოხატვისი ფრანგულია, რადგან ფრანგული ყველა განათლებული კაცის ენაა და კარგი იქნება ისე იცოდე, რომ ყველა საკითხზე შეგეძლოს მსჯელობა. ფრანგებს უდიდესი ლიტერატურა აქვთ. სხვა ქვეყნებს, ინგლისის გამოკლებით, უფრო დიდი მწერლები ჰყავთ, ვიდრე დიდი ლიტერატურა აქვთ. ფრანგული ლიტერატურის გავლენა მთელს მსოფლიოში, უკანასკნელი ოცი წლის გარდა, ძალიან დიდი იყო. ძალიან კარგია თუ ფრანგულად კითხვა დედაენასავით შეგიძლია. მაგრამ ფრანგულად კარგად ლაპარაკის ნება არ უნდა მისცე თავს. გამოცდილებით გეტყვი: ერთდეთ ფრანგულად სრულყოფილად მოლაპარაკე ინგლისელს; ის ან შულერი გამოდგება, ან დიპლომატიური ატაშე.

თეატრით გატაცებული არასდროს ვყოფილვარ. ისეთ დრამატურებს კი ვიცნობდი, რომლებიც თავისი პიესის ყოველ წარმოდგენას ესწრებიან, ვითომდა იმიტომ, ვნახოთ დასმა ხომ არ აურიათ. მე კი ვეჭვობ, რომ ისინი ვერ ძლებოდნენ საკუთარი სიტყვების მოსმენით. დიდად სიამოვნებდნენ, თუ შესვენებაზე მსახიობის საპირფარეშო ოთახში უყურებდნენ, როგორ იკეთებდა გრიმს მსახიობი, და ლაპარაკობდნენ, თუ ესა თუ ის სცენა როგორ ჩავარდა. ერთმანეთს ულოცავდნენ, თუ წარმოდგენა წარმატებით ჩაივლიდა. გაფაციცებული უსმენდნენ თეატრის ჭორებს. მათ უყვარდათ თეატრი და ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული. გრიმი ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჭლარი.

ასეთი რამ ჩემთვის უცხოა, თეატრი მაშინ მიყვარს, როდესაც სკანდინავიური მტვრითაა დაფარული, დარბაზი ჩაბნელებულია, სცენა დაულაგებელი, დეკორაციები უკანა კედელთანაა მიწყობილი და სცენას მხოლოდ რამდენიმე სკანდინავიური თეატრის ბედნიერი საათი გამიტარებია რეპეტიციების დროს. მსახიობთა მეგობრული დამოკიდებულება, ნაჩქარევი საუბრე იქვე ქუჩის კუთხეში მდებარე რესტორანში რომელიმე დასის წევრთან ერთად და ერთი ჭიქა მაგარი და მწარე ჩაი, რომელსაც დამლაგებელი ქალი მოიტანდა ხოლმე ოთხ საათზე სქლად კარაქწასმულ პურთან ერთად. არასდროს დამავიწყდება ის უცნაური გულისფანცქალი, რომელიც განვიცადე ჩემი პირველი პიესის დადგმისას: გავიგონე, თუ როგორ იმეორებდნენ მოზრდილი კაცები და ქალები სტრიქონებს, რომლებიც ასე იოლად დავწერე. მაინტერესებდა თვალყური შევხეებინა, როგორ გადაიზრდება როლი მსახიობის ხელში უსულო, გადაბეჭდილი ხელნაწერის წაკითხვიდან იმ ხასიათად, რომელსაც ვბედავდი გონების თვალთ. მიტაცებდა სერიოზული მსჯელობა იმაზე, თუ სად უნდა იდგას რომელიმე ავეჯი; რეჟისორის დაჯერებულობაც და მსახიობი ქალის ისტერიკაც, რომელსაც თავისი ადგილი არ მოეწონა. ძველი მსახიობების სიმარჯვე სცენის მთავარი ნაწილის ხელში ჩაგდებისას და არეული საუბარი არეულ თემებზე. მაგრამ უმადლესი წერტილი მაინც გენერალური რეპეტიციაა. პარტერის პირველ რიგში სულ ექვსიოდე ქალი ზის. ესენი მკერავები არიან. ისე სდუმან, გეგონება ეკლესიაში სხედანო, მაგრამ ძალიან საქმიანად, ჩურჩულით გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთმანეთს წარმოდგენის დროს და ანიშნებენ მოკლე მეტყველი ჟესტებით. ხვდები რაზეც ლაპარაკობენ — მოკლე კაბაზე, სახელოს ჭრილზე ან ქუდში გარჭობილ ფრთაზე. როგორც კი ფარდა დაეშვება, პირში ქინძისთავგარჭობილი უკვე სცენაზე მიიჩქარიან. რეჟისორი დაიძახებს: „ასწიეთ ფარდა“ და მსახიობი ქალი ცდილობს სწრაფად გაეცალოს ორ შავით შემოსილ ქალს და შესწყვიტოს მათთან გაცხარებული საუბარი.

— ოჰ, მისტერ სინგ, — დაიძახებს იგი, — ეს სირმა ნამდვილად არ უხდება ამ კაბას, მაგრამ მაღამ ფლოსი შემპირდა, არშიას მოვაკერებო.

სავარძელში სხედან ფოტოგრაფები, ადმინისტრაცია და მოლარე, მსახიობი ქალების დედები და მსახიობი კაცების ცოლები, შენი საკუთარი აგენტი, შენი ნაცნობი ქალიშვილი და სამი თუ ოთხი ბებერი მსახიობი, რომლებსაც ოცი წელიწადი მაინც იქნება, არა ჰქონიათ როლი. ეს საუკეთესო საზოგადოებაა. ყოველი მოქმედების შემდეგ რეჟისორი კითხულობს თავის შენიშვნებს. სცენის გამნათებელსაც მოხვდება ხოლმე, რომელსაც თითქოს დიდი არაფერი აქვს გასაკეთებელი, გარდა ელექტრონის ჩამრთველების გადატრიალებისა და მაინც ახერხებს შეცდომით ჩართვას. ავტორიც აღწოთებულაა გამნათებლის დაუდევრობით, მაგრამ ღმობიერებას იჩენს, რადგან დარწმუნებულია, გამნათებელს მხოლოდ იმიტომ დაავიწყდა თავისი საქმე, რომ პიესამ გაიტაცა. შეინიღებს რომელიმე პატარა სცენა გაიმეორონ. შემდეგ დააჭერენ ეფექტურ ადგილს და ნათურის უეცარი გაღვებით ფოტოგრაფები სურათებს იღებენ. ფარდა ეშვება, რომ შემდეგი მოქმედებისათვის მომზადდეს სცენა და მსახიობები ტანსაცმელის გამოსაცვლელად მიდიან თავიანთ ოთახებში. მკერავები ქრებიან და ბებერი მსახიობები დასაღვეად გადაიან ქუჩის კუთხეში. ადმინისტრატორები მოწყენილად ეწევიან დაფუასიან სიგარეტებს. მსახიობთა ცოლები

და დედები ხმადაბლა ლაპარაკობენ, ხოლო ავტორის აგენტი სალამოს გაზეთში დოდის ამბებს კითხულობს. ეს ყველაფერი რაღაც არარეალურს მგვის და გაღელვებს. ბოლოს მკერავეები გამოდიან ცეცხლგამძლე კარებიდან და თავიანთ ადგილებს იჭერენ. როგორც მოქიშპე ფირმების წარმომადგენლები ქედმაღლურად ერთმანეთისაგან განცალკევებით სხდებიან. სტენოგრაფიული ფარდიდან თავს გამოჰყოფს.

— ყველაფერი მზადაა, მისტერ სინგ. — ამბობს ის.

— ძალიან კარგი. დავიწყეთ. ასწავთ ფარდა.

მაგრამ გენერალური რეპეტიცია ჩემი პიესისაგან მონიჭებული უკანასკნელი სიხარული იყო. ჩემი პირველი პიესების პრემიერებზე ეკლებზე ვიჯექი, რადგან მათზე იყო დამოკიდებული ჩემი მომავალი. იმ დროისათვის, როდესაც „ლელი ფრედერიკი“ დაიდგა, ის მცირეოდენი ფული, რაც კი ოცდაერთი წლისამ მივიღე ანდერძით, შემოხარჯული მქონდა. რომანებით ცხოვრებას ვერ ვახერხებდი, ჟურნალისტობა კი ვერაფერს მაძლევდა. ხანდახან მცირე მიმოხილვებს ვაკეთებდი და ერთხელ რედაქტორიც დავარწმუნე ერთი პიესის რეცენზია დაეწერინებინა ჩემთვის, მაგრამ ამ საქმეში ნიჭი არ აღმომაჩნდა. რედაქტორმაც მითხრა, თეატრის გრძნობა არა გაქვსო. თუ „ლელი ფრედერიკი“ ვერ გამიმართლებდა, ერთი გზაღა მრჩებოდა: ერთი წლით საავადმყოფოში დავბრუნებულიყავი, რათა ცოდნა აღმედგინა და შემდეგ დასტაქრად წავსულიყავი გემზე. იმ დროს ეს ადგილი დიდად სახარბიელო არ იყო და ცოტა ლონდონელი თუ წავიდოდა ამ საქმეზე. მოგვაანებით, როდესაც უკვე ცნობილი დრამატურგი გავხდი, პრემიერებზე დაგეშილი დავდიოდი და ყურადღებით ვაკვირდებოდი მაყურებლის რეაქციას, რათა აღმომეჩინა, ხომ არ დავსუსტდი-მეთქი. ძალიან ვცდილობდი მაყურებლებში გავთქვეფილიყავი. მაყურებლისათვის პრემიერა ბევრად თუ ცოტად საინტერესო მოვლენაა, რომელიც ავსებს დროს რვის ნახევრის მსუბუქ საუზმესა და თერთმეტი საათის ვაზშამს შორის, ხოლო პიესის წარმატება თუ მარცხი სულაც არ აწუხებს. მიცდია ისე წავსულიყავი ჩემს პრემიერებზე, თითქოს სხვისა ყოფილიყოს, მაგრამ მაინც რაღაც უსიამოვნო გრძნობა მდევდა თან. კარგ ხუმრობას რომ ხარხარი მოსდევდა, ესეც ვერ მამშვიდებდა და ვერც ის ტაში მშველოდა, ფარდის დაშვებას რომ მოჰყვება ხოლმე მოწონების ნიშნად. საქმე ის იყო, რომ ჩემს მსუბუქ პიესებშიც კი იმდენი საკუთარი რამ მქონდა ჩაქსოვილი, რომ თავს უხერხულად ვგრძნობდი, როცა ხალხის ბრბო ყოველივე ამას ისმენდა. პიესის სიტყვები ჩემი დაწერილი იყო და ჩემთვის რაღაც განსაკუთრებული ინტიმურობა ახლდა, — არ მემეტებოდა ყოველი ადამიანისათვის გამეზიარებინა. ეს საოცარი გრძნობა მქონია მაშინაც კი, როდესაც ჩემი პიესის თარგმანის მოსასმენად წავსულვარ და თეატრში დავმჯდარვარ, როგორც სრულიად უცხო მაყურებელი. კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს წავიდოდი ჩემი პიესის საყურებლად, არც პრემიერაზე და არც შემდეგ წარმოდგენებზე, რომ საჭიროდ არ მიმეჩნია გამეგო, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ის მაყურებელზე, რათა ამით მესწავლა, როგორ მეწერა შემდგომში.



მსახიობობა ძნელი საქმეა. მე არ ვლაპარაკობ იმ ახალგაზრდა ქალებზე, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მიდიან მსახიობებად, რომ ლამაზი სახე მანქანე ქალებსაც რომ ლამაზი სახით ირჩევდნენ, მემანქანეებადაც წავიდოდნენ სხვა დაწესებულებაში. არ ვლაპარაკობ აგრეთვე იმ ყმაწვილ კაცებზე, რომლებიც მსახიობებად მიდიან, რადგან კარგი ტანი აქვთ და სხვა საქმისადმიც განსაკუთრებული მიდრეკილება არ გააჩნიათ. ასინი გაარიყებიან ბოლშე. ქალები თხოვდებიან, კაცები ღვინის ვაჭრის სამსახურში დგებიან ან ბინების შემკეთებლები ხდებიან. მე მოწოდებით მსახიობებზე მოგახსენებთ. მათ ბუნებრივი ნიჭიცა აქვთ და ნიჭის გამოყენების სურვილიც. მსახიობობა კი ისეთი ხელობაა, რომელიც ღიდ შრომას მოითხოვს, რათა ოსტატობას მიაღწიო. ხანდახან, ვიდრე მსახიობი ისწავლიდეს, როგორ უნდა შეასრულოს ყოველგვარი როლი, უკვე იმდენად მოხუცდება, რომ მხოლოდ ზოგიერთი როლის შესრულების უნარიღა შესწევს. ამ ხელობას უსაზღვრო მოთმანება სჭირდება. ხშირად იმედგაცრუებაც მოსდევს. ზოგჯერ იძულებითი უსაქმურობაცაა გადასატანი. დაფასება მცირეა და ისიც ძალიან ხანმოკლე. ჯილდო უმნიშვნელო. მსახიობი ბედის წყალობისა და მაყურებლის ცვალებადობის ანაბარადაა მიტოვებული. მსახიობს მყისვე ივიწყებენ, როგორც კი მაყურებელს ვეღარ ანიჭებს სიამოვნებას და მაშინ რაღა ფასი აქვს იმას, რომ ოდესღაც ბრბოს სათაყვანებელი კერპი იყო. შეიძლება შიმშილით სულიც კი ამოხდეს, არავის ენადვლება. სწორედ ამის გამო ვარ ღმობიერი მსახიობის თავნებობისა და უინიანობის, მოთხოვნილების თუ პატივმოყვარეობის მიმართ მაშინ, როდესაც ის ტალღის თავზეა მოქცეული. დაე, იყოს ძალიან მედიდური და უცნაური — თუ ასურვებს. ეს ყოველივე ძალიან ცოტა ხანს გასტანს. თან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი ეგოიზმი ხომ მისი ნიჭის ნაწილია.

იყო დრო, როდესაც სცენა რომანტიკის სამყაროში შესასვლელი კარი იყო და ყველა, ვისაც კი მასთან კავშირი ჰქონდა, მიმზიდველი ჩანდა და იდუმალეზით მოცული. მეცხრამეტე საუკუნის ცივილიზებული სამყაროს ცხოვრებაში მსახიობებს ფანტაზიის მარცვალი შეჰქონდათ. მათი არეულ-დარეული ცხოვრება ადამიანის წარმოდგენას აღვივებდა. ამ „გონების საუკუნეში“ გმირული როლები, რომლებსაც ასრულებდნენ მსახიობები და ლექსები, რომლებსაც ისინი კითხულობდნენ, შარავანდედით მოსავდა მათ. გოეთეს „ვილჰელმ მაისტერში“, ამ შესანიშნავ და თანაც უყურადღებოდ მიტოვებულ წიგნში, ნახავთ, თუ რა სინაზით ეპყრობა ავტორი ერთი უბრალო მეორეხარისხოვანი მოხეტიალე დასის ცხოვრებას. მეცხრამეტე საუკუნეში მსახიობები ადამიანებს ასწავლიდნენ როგორ გაქცეოდნენ თავის რესპექტაბელურ ინდუსტრიულ ერას. ბოქემურობა, რომელსაც მათ მიაწერდნენ, იმ ახალგაზრდათა წარმოდგენას აღიზიანებდა, რომლებიც სადმე კანტორაში მუშაობით ირჩენდნენ თავს. ისინი განსაკუთრებული, თავზე ხელაღებული ადამიანები იყვნენ ამ ფხიზელ და წინდახედულ ქვეყანაში, დაუფიქრებელნი და უზრუნველნი და ფანტაზია მათ ჯადოსნური ფერებით მოსავდა. ვიქტორ ჰიუგოს თავის „ნახულში“ აქვს პატარა ეპიზოდი, გულის ამაჩუყებელი თავასი შინაგანი იუმორის წყალობით, სადაც ერთი პატარა მგრძნობიარე კაცი გულის ფანცქალით, გაოცებითა და ასე-

თი თავაშვებულობისადმი ცოტა შურიტაც კი აღწერს ვახშობას ერთ მსახიობ ქალთან. ღმერთო დიდებულო, როგორ იღვრებოდა შამპანური, რა ფუფუნება, რა ვერცხლეული, რანაირი ვეფხვის ტყავები, რას არ ნახავდი მის სამყოფელში!

ეს დიდება გაქრა. მსახიობები დარბაისელნი, პატრუცხმელნი და სურუნ-ველყოფილნი გაზდნენ. მათ სწყინდათ, რომ განსაკუთრებული მოდგმის ხალხად ითვლებოდნენ და ყველაფერი იღონეს, რათა დანარჩენ ადამიანებს დამგვანებოდნენ. ისინი დაგვენახვნენ ნათელი დღის სინათლეზე, უგრიმოდ, და გვაიძულეს გვეფიქრა, რომ გოლფსაც თამაშობენ, გადასახადსაც იხდიან და მოაზროვნე ქალები და კაცები არიან. ჩემი აზრით ეს ყველაფერი სისულელეა და უაზრობა.

ბევრი მსახიობი მცნობია საკმაოდ კარგად. ურიგო ხალხი არ იყო. მათი მიზანძვის ნიჭი, ოსტატურად ამბის მოყოლა, ჭკუამახვილობა, ხშირად ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა. სულგრძელნი, კეთილნი და გაბედულნიც არიან, მაგრამ ვერ მოვახერხებდი მათთვის ისე შემეხედა, როგორც ჩვეულებრივი ადამიანებისათვის. ვერ შევძელი დაახლოვება. ისინი კროსვორდის გამოცანას მაგონებენ: სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ უჭრა შევაგსო. ასე მგონია მათი პიროვნება ყველა იმ როლისგან შედგება, რომელიც კი მათ შეუსრულებიათ, და რაღაც ამორფული უღევს საფუძვლად — რბილი, ადვილად დამყოლი, — რა ყალიბშიც გნებავთ მოთავსდება და ყოველგვარ ფერს მიიღებს... ერთმა ჭკუამახვილმა მწერალმა თქვა, არ მიკვირს, რომ მსახიობების დამარხვა ნაკურთხ მიწაში დიდხანს იყო აკრძალული, რადგან ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ მათ სული აქეთო. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობაა. მსახიობები ძალზე საინტერესო ხალხია და მწერალი, თუ ის გულწრფელია, აღიარებს, რომ მასსა და მსახიობს შორის არის რაღაც მსგავსება. მსახიობის ხასიათი ისევე, როგორც მისი, არის შეუთანხმებელ თვისებათა შეთანხმება. მსახიობი არის ყველა იმ პერსონაჟის ერთობლიობა, რომელსაც კი ის ასახიერებს, ხოლო მწერალი — ყველა იმ პერსონაჟისა, რომელსაც ის ქმნის. მწერალიც და მსახიობიც იწვევენ გრძნობებს, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ მომენტში თვითონ არ გააჩნიათ, და ერთის მხრივ ცხოვრების გარეთ მდგარნი, მაინც ხატავენ ამ ცხოვრებას თავიანთი შემოქმედებითი ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად. წარმოდგენითი სამყარო მათთვის სინამდვილეა, ხოლო მაყურებელი, რომელიც ერთდროულად მათი მასალაცაა და მსაჯულაც, გაბრიყვებულა ჰყავთ. რადგან წარმოდგენითი სამყარო მათი სინამდვილეა, მათ შეუძლიათ ისევე შეხედონ სინამდვილეს, როგორც წარმოდგენით სამყაროს.

პიესების წერას ხელი იმავე მიზეზით მივყავი, რა მიზეზითაც, მე მგონია, ბევრი ახალგაზრდა მწერალი აკეთებს ამას: რასაც ადამიანები ლაპარაკობენ, ქალაქდზე იმის გადმოცემა უფრო ადვილი უნდა იყოს, ვიდრე ამბის თხრობა-მეთქი. დოქტორმა ჯონსონმა დიდი ხნის წინათ შენიშნა, დიალოგების შედგენა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე თავგადასავლის გამოგონებაო. როდესაც

ჩემ ძველ რვეულებს ვათვალისწინებ, სადაც თვრამეტი-ოცი წლისას ჩამიწერია მოფიქრებული პიესების სცენები, ვხედავ, რომ დიალოგი მართლაც მსუბუქი და დამაჯერებელი გამოდგინდა თურმე. მართალია, ახლა იმ ხუმრობებზე უკვე აღარც კი მეღიმიება, მაგრამ ყველაფერი ისეა ნათქვამი, როგორც ხსენებულ მსმენელს ამბობდა. სალაპარაკო უნას ინსტინქტურად ვგრძნობდი. სამწუხაროდ მსმენელს ძალზე ცოტაა და ისიც საკმაოდ ღვარძლიანი. თითქმის ყველა ჩემი პიესის სიუჟეტი პირქუში იყო, ყველა უღიმღამოდ მთავრდებოდა — სასოწარკვეთილებითა და სიკვდილით. ფლორენციაში ჩემი პირველი მოგზაურობისას იბსენის „მოჩვენებები“ წავიღე თან და რადგან იმ დროს დანტეს ძალიან სერიოზულად ვსწავლობდი, დასვენების ჟამს ინგლისურად ვთარგმნე მისი გერმანული ვარიანტი, რათა წერის ტექნიკა დამეხვეწა. მახსოვს, იბსენისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, პასტორი მანდერსი ცოტა არ იყოს მოსაწყენი მეჩვენა, სენტ ჯეიმსის თეატრში მაშინ „მეორე მისის თენქერი“¹ გადიოდა.

შემდეგი ორი თუ სამა წლის მანძილზე რამდენიმე ერთმოქმედებიანი პიესა დავწერე და სხვადასხვა თეატრებს გავუგზავნე. ერთი-ორი მათგანი უკან აღარ მიმიღია და რადგან მეორე ეგზემპლარი არ მქონდა, სულაც დაიკარგა. სხვებს, თვითონვე, იმედგაცრუებული, გვერდზე ვდებდი, ან ვსპობდი. იმ დროს და კარგა ხნის შერეც, გაცილებით ძნელი იყო დამწყები დრამატურგისათვის თავისი პიესის სცენაზე გატანა, ვიდრე ახლა. ყოველი წარმოდგენა დიდხანს იდგმებოდა, რადგან ნაკლები ჯდებოდა და დრამატურგთა პატარა ჯგუფს, პინეროსა და ჰენრი არტურ ჯოუნსის შეთაურობით, ყოველთვის შეეძლო წამყვანი თეატრებისათვის მიეწოდებინა პიესა საჭიროების შემთხვევაში. ფრანგული თეატრი კვლავ ჰყვაროდა და გადმოინგლისურებული ფრანგული პიესები პოპულარული იყო. შეიძლება იმიტომაც, რომ ჯორჯ მურის „გაფიცვა არლინგფორდში“ დამოუკიდებელ თეატრში გადიოდა, ასეთი აზრი ამეკვიპა: ერთადერთი საშუალება დაიდგას ჩემი პიესა ისაა, რომ მოვიპოვო სახელი როგორც რომანისტი-მეტქი. პიესები გვერდზე გადავდე და პროზას ჩავუყეჭი. მკითხველს შეუძლია იფიქროს, რომ ასეთი მეთოდური მიდგომა საქმისადმი ახალგაზრდა ავტორის სასარგებლოდ არ ლაპარაკობს და უფრო მის პრაქტიკულ ჰკუთხეზე მეტყველებს, ვიდრე მის ზეთმაგონებულ მოწოდებაზე, გაამდიდროს ქვეყნიერება ხელოვნების ნიმუშებით. როდესაც ორი რომანი გამოვაქვეყნე და მოთხრობების კრებულიც მოვაშაადე გამოსაცემად, დავჯექი და ჩემი პირველი სრული პიესა დავწერე სახელწოდებით „წარჩინებული კაცი“. ჯერ ფორბს-რობერტსონს გავუგზავნე, რომელიც იმჟამად პოპულარული მსახიობი იყო და ამბობდნენ, ხელოვნებაში ერკვევაო, ხოლო როცა უკან დამიბრუნა სამი თუ ოთხი თვის შემდეგ, ჩარლზ ფრომენს მივუტანე, მანაც უკან დამიბრუნა. იმ დროისათვის კიდევ ორი რომანის დაწერა მოვასწარი, რომელთაგან ერთს („მისის ქრედოკს“) საკმაო წარმატება ჰქონდა, ასე რომ, უკვე როგორც სერიოზული და კარგი მომავლის მქონე ავტორს ისე მიყურებდნენ. მაშინ ხელახლა გადავწერე პიესა და თეატრალურ საზოგადოებას გავუგზავნე. პიესა მიიღეს და

¹ პინეროს პიესა (1893). — (მთარგმ. შენიშვნა).

უ. ლ. ქორტნიმ, კომიტეტის წევრმა, ისე მოიწონა, რომ „ფორტნაიტლი რევიუშიც“ კი დაბეჭდა. მანამდე მას მხოლოდ ერთი პიესა ჰქონდა გამოქვეყნებული, — მისი ქლიფორდის „ღამის სახეა“. ისე რომ, დიდი პატივი მხედა წილად.

რადგან თეატრალური საზოგადოება იმ დროს ერთადერთი სახასიორგანიზაცია იყო, მისი გამოცემები ყოველთვის საკმაო ყურადღებას იპყრობდნენ და ჩემი პიესის განხილვას კრიტიკოსები ისე გულმოდგინედ შეუდგნენ, გეგონებოდათ რომელიმე ცნობილი თეატრი დგამსო. ბებერმა კომპილატორებმა, კლემენტ სკოტის მეტაფორებით, ქვა ქვაზე არ დატოვეს. „სანდი ტაიმის“ კრიტიკოსმა (მისი გვარი დამავიწყდა) თქვა, არავითარი სცენიურობის ნიჭი აქ არა ჩანსო. მაგრამ ზოგიერთმა სხვა კრიტიკოსმა, როგორც ჩანს იბსენის გავლენით, ეს პიესა საკმაოდ საგულისხმო შრომად ჩათვალა. ისინი თანამიგრძნობდნენ და მამხნევებდნენ.

მეგონა ისეთი ნაბიჯი გადავდგა, რომ წინ აღარაფერი უნდა დამდგომოდა. დიდი ხანი არ დამჭირვებია, რომ გამეგო, თურმე პიესების წერაში გავიწაფე ხელი და მეტი არაფერი მისწავლა. ორიოდ წარმოდგენის მერე პიესა მოკვდა. ჩემი სახელი ექსპერიმენტული თეატრით დაინტერესებულთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი და ვიცოდი, შესაფერისი პიესა რომ დამეწერა, თეატრალური საზოგადოება აუცილებლად დადგამდა. მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებდა. რეპეტიციების დროს გავიცანი ხალხი, რომელიც თეატრალური საზოგადოებით დაინტერესებული იყო, კერძოდ, გრენვილ ბარკერი, რომელიც ჩემ პიესაში წამყვან როლს ასრულებდა. მათი დამოკიდებულება არ მომეწონა. თითქოს მფარველობითი და ამავე დროს შეზღუდული მეჩვენა. გრენვილ ბარკერი ძალიან ახალგაზრდა იყო. მე ოცდარვისა ვიყავი, ის კი, თუ არა ვცდები, ერთი წლით უმცროსი იყო ჩემზე. მომხიბლავი იყო, მხიარული და მკვირცხლა. სხვისი იდეებით პირდაპირ ღუღლა და გადმოდიოდა, მაგრამ ეტყობოდა ცხოვრება აშინებდა და ცდილობდა ვითომ ჯოჯოხობისადმი ზიზზით დაემალა ეს შიში. ძნელი იყო ისეთი რამ გენახა, რაც არ ეზიზღებოდა. სულიერი აღმაფრენაც აკლდა, მე კი მეგონა, რომ ხელოვანს მეტი ძალა, მოძრაობა, უხეშობა, გამძლეობა და ენერჯია სჭირდებოდა. ერთი პიესა დასწერა: „ანა ლიტის ქორწინება“, რომელიც სისხლნაკლული და გაპრანჭული მეჩვენა. მე კი ცხოვრება მიყვარდა და სიამოვნება მინდოდა მიმეღო. მსურდა ყველაფერი გამომეძალა ცხოვრებისაგან, რასაც კი მოვახერხებდი. ორიოდ მეჭა ინტელიგენტების აღფრთოვანება აღარ მყოფნიდა, მათ თვისებებს აღარ ვენდობოდი, რადგან ერთხელ ერთ სულელურ და პრიმიტიულ ფარსს დავესწარი, რომელიც თეატრალურმა საზოგადოებამ დადგა და ვუყურე, თუ როგორ ხარხარებდნენ საზოგადოების წევრები. აღარა მჯეროდა, რომ სერიოზული დრამის მიმართ მათ დამოკიდებულებაში ყველაფერი გულწრფელი იყო. ასეთი მაყურებელი კი არ მინდოდა, არამედ ფართო აუდიტორია. ამას გარდა, ღარიბი ვიყავი და სულაც არ მხიბლავდა სხვენზე ძილი და პურის ქერქით ცხოვრება, თუ ეს ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული. უკვე ნაგემი მქონდა, რომ ფული მეექვსე გრძნობასავითაა, ურომლისოდაც დანარჩენ ხუთს სრულყოფილად ვერ გამოიყენებ.

„წარჩინებული კაცის“ რეპეტიციების დროს აღმოვაჩინე, რომ არშიყობის

სცენა პირველ მოქმედებაში საკმაოდ სასაცილოდ გამოივიდა და გადაწყვიტე კომედია დამეწერა. ახლა ამას მოვკიდე ხელა. სახელი „ამქვეყნიური სიკეთენი“ დავარქვი. პიესის მთავარი გმირი პატივმოყვარე, გაქეპილი მღვდელია, რომელიც ცდილობს მდიდარი ქვრივი შეირთოს ცოლად და ეშვაკოვსკის კოპოსის ტიტული მიიღოს. საბოლოოდ კი ლამაზ მზითვიან ქალს — მისი ახალგაზრდა თაყვანისმცემლის თავიდან მოშორებას განიზრახავს, საპირფარეშოში შეიპატიუებს და იქ უგრიბოდ, თმაგაწეწილი გამოეცხადება, — არაფის მოეწონა. იმ შორეულ დროს ფერ-უმარილს ყველა ქალი არ ხმარობდა, ბევრს პარიკიც ეკეთა, მაგრამ არც ერთ მსახიობ ქალს არ ეპიტნავენოდა მაყურებლის წინაშე ასეთი სახით გამოსულიყო და რეჟისორებიც მტკიცედ იდგნენ უარზე. მაშინ გადაწყვიტე ისეთი პიესა შეექმნა, სადაც შემოსადავებელი არაფერი ექნებოდა არც ერთ რეჟისორს და „მისის დოტი“ დავწერე. იმასაც სხვების ბედი ეწია. რეჟისორები ერთხმად ამბობდნენ, ძალიან ზერელეა და შიგ ცოტაა მოქმედებაო, ხოლო იმ დროის ერთმა პოპულარულმა მსახიობმა ქალმა, მის მერი მურმა მიჩნია, უფრო ამაღელვებელი რომ გახდეს, ეგება შეიარაღებული გაძარცვა ჩაურთო სადმეო. ქალის როლებზე გულა გამიტყდა, ვერასდროს დავწერ ისეთ როლს, რომ მსახიობმა ქალმა თამაში მოინდომოს-მეთქი. ამიტომ კაცის როლს მოვკიდე ხელი და „ჯექ სტრო“ დავწერე.

რატომღაც მეგონა, რომ ის პატარა წარმატება, რაც თეატრალურ საზოგადოებაში მოვიპოვე, რეჟისორებს ჩემს სასარგებლოდ განაწყობდა. ჩემდა სავალალოდ ასე არ მოხდა. პირიქით, — ამ ნაცნობობამ მავნო, რადგან რეჟისორებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, რომ მე მხოლოდ მოსაწყენ და არასარფიან პიესებს ვწერდი. იმას პირდაპირ ვერ მწამებდნენ, რომ მოსაწყენი კომედიები მქონდა, მაგრამ რაღაც უსიამოვნოს გრძნობდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, ჩემი პიესები სარფიანიც არ იყო. გოლდინგ ბრაიტი რომ არა, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი თავს დავანებებდი ამ საქმეს. — რადგან ყოველი დაბრუნებული ხელნაწერი იმედს მიკარგავდა. მას რატომღაც ძალიან მოეწონა ჩემი პიესები და დაიწყო ბრძოლა მათ დასადგმელად. რეჟისორს რეჟისორზე უჩვენებდა და საბოლოოდ, 1907 წელს (ე. ი. ოცი წლის შემდეგ, რაც ეს საქმიანობა დავიწყე), როცა უკვე ექვსი მოზრდალი პიესა მქონდა მზად, „ლენდი ფრედერიკი“ სამეფო კარის თეატრში დაიდგა. სამი თვის მერე „მისის დოტი“ დადგა კომედიის თეატრმა, ხოლო „ჯექ სტრო“ — „ვოდვეილმა“. ივნისში ლუის უოლფრმა „ლირიკის“ სცენაზე დადგა ჩემი პიესა „მკვლევარი“, რომელიც მე უშუალოდ „წარჩინებული კაცის“ მერე დავწერე. რაც მიხლოდა, სწორედ იმას მივალწიე.



პირველი სამი პიესა კარგა ხანს იდგმებოდა. „მკვლევარი“ კი კვილიშვილმა ჩა-
ვარდა. ბევრი ფული არ ამალია, რადგან იმ დროს პოპულარული იყო მკვლევარი ავ-
ტორები იმდენს არ იღებდნენ, რამდენსაც ახლა, ამიტომაც მკვლევარი მკვლევარი
მერგო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, იმდენი ფული მაინც მქონდა, რომ ფინანსურ
სიძნელეს აღარ შევეშინებინე და მომავლისათვის ამედიანად შეცქირა. ჩემი
ოთხი პიესის ერთდროულად დადგმამ საკმაოდ დიდი სახელი მომიხვეჭა და
ბერნარდ შარტრიჯმა ასეთი შარტი დაბეჭდა „პანჩში“: დგას უილიამ შექსპირი,
უყურებს აფაშას და თითებს იკვინეტს. აფიშაზე კი ჩემი პიესების სათაურებია
დაწერილი. წარამარა მიღებდნენ ფოტოსურათებს და მთხოვდნენ ინტერვიუს.
ბევრი ცნობილი კაცი ცდილობდა ჩემთან დაახლოებას. ეს წარმატება ერთ-
დროულად სენსაციურიც იყო და მოულოდნელიც. მე კი უფრო დავმშვიდდი,
ვიდრე ავლელდი. ვგონებ ვაკვირების უნარს მოკლებული უნდა ვიყო. ამიტო-
მაც იყო ალბათ, რომ ხშირად, მოგზაურობისას რაიმე უცნაური სანახაობის
შემხედვარე არავითარ ვაკვირებას არ ვგრძნობდი და ვცდილობდი ჩემი თა-
ვისთვის ძალით შთამეგონებინა, უნდა გაოცდე-მეთქი. ახლაც, ყველაფერი ეს
ბუნებრივად მივიჩნეე. ერთ საღამოს კლუბში ვსადილობდი. მეზობელ მაგიდას
კლუბის ერთი წევრი უჯდა თავის მეგობართან ერთად. ისინი მე არ მიცნობ-
დნენ. ჩემს ერთ პიესაზე მიდიოდნენ და ლაპარაკიც ჩემზე ჩამოვარდა.
პირველმა აღნიშნა, ისიც ამ კლუბის წევრიაო, მეორემ ჰკითხა:

— მართლა? იცნობ? ახლა ალბათ გაფხორილი დაიარება, არა?

— როგორ არა, მშვენივრად ვიცნობ, — მიუგო ჩემმა თანაკლუბელმა, —
ისე გაიბერა, ლამისაა გასკდეს.

ეს კაცი უსამართლოდ მომეჭკა. წარმატება ისე მივიღე, როგორც აუცი-
ლებლობა. მოპოვებული სახელი მართობდა, მაგრამ თავბრუ არ დამხვევია.
ერთადერთი გარკვეული აზრი, რომელიც, როგორც მახსენდება, მაშინ დამე-
ბადა, ასეთი იყო: ერთ საღამოს პენტონ სტრიტს მივყვებოდი. კომედის თე-
ატრს რომ მივუახლოვდი, ზევით ავიხედე და ჩამავალი მზის სხივებით განათე-
ბულა ღრუბლები დავინახე. ერთხანს ვუცქერდი ამ თვალწარმტაც სანახაობას
და მერე გავიფიქრე: მადლობა ღმერთს, რომ შემძლია ამიერიდან მზის ჩას-
ვლას ვუცქირო და მის აღწერაზე კი აღარ ვიფიქრო-მეთქი. მაშინ მეგონა, რომ
სხვას აღარაფერს გავეკარებოდი და მთელ ჩემს ცხოვრებას დრამატურგიას შე-
ვალევდი.

ჩემს პიესებს მაყურებელი ენთუზიაზმით ხვდებოდა არა მარტო ინგლისსა
და ამერიკაში, არამედ კონტინენტზეც, მაგრამ კრიტიკოსების აზრები სრუ-
ლიადაც არ ემთხვეოდა ერთმანეთს. პოპულარული პრესა აქებდა პიესების
მახვილგონიერებას, მხიარულებასა და სცენიურ ეფექტურობას, მაგრამ არ მოს-
წონდა მათი ცინიზმა. უფრო სერიოზული კრიტიკოსები კი პირიქით, პიესებს
აძაგებდნენ. ძალიან იაფფასიანი და ტრივიალურიო, ამბობდნენ. შეუბნებოდ-
ნენ, სული მამონისთვის მიგიყიდიაო. ინტელიგენციამ კი, რომლის თავმდაბა-
ლი, მაგრამ პატივცემული წევრიც გახლდით ადრე, არა მარტო ზურგი შემაქ-
ცია (ეს უკვე თავისთავად საკმაოდ ცუდი იქნებოდა), არამედ ლუცაფერით
ჯოჯობეთის უძირო უფსკრულში ჩამიძახა. ცოტა არ იყოს, ნირი წამიხდა და

შევშოთღი, მაგრამ წარბი არ შემიხრია, ისე გადავიტანე ეს სირცხვილი და გულიც არ გამტეხია, რადგან ვიცოდი, რომ ეს სულაც არ ნიშნავდა ამის დასასრულს. გარკვეული მიზანი მქონდა დასახული და ვფიქრობდი, რომ ამ მაზნის მისაღწევი ერთადერთი გზა ეს იყო, ხოლო იმ შეუგნებეფიქრებელმა ხედვარეს, რომელიც ამას ვერ ამჩნევდა, მხოლოდ მხრებისაშტყვევება შეემძლო. ისეთი მწარე პიესებას წერა რომ გამეგრძელებინა, როგორცაა „წარჩინებული კაცი“ და ისეთი გესლიანებისა, როგორც „ამქვეყნიური სიკეთენია“, ალბათ ვერასდროს შევძლებდი იმგვარი ნაწარმოებების შექმნას, რომელსაც უმკაცრესი კრიტიკოსიც კი ვერ უბოვიდა ნაკლს. კრიტიკოსები მაბრალებდნენ, დაბალი დონის მაყურებლებისთვის წერო. მთლად ასე არ იყო. მაშინ, მოგეხსენებათ, ძალზე მხიარული გახლდით, ენაც მიჭრიდა ნობდენილი დიალოგებისათვის, კომიკური სიტუაციების შექმნაც მეხერხებოდა და მსუბუქად წერაც. სხვა რამეც იყო ჩემში ამის გარდა, მაგრამ ის სხვა დროისთვის შემოვიწია. კომედიაში კი ჩემი შესაძლებლობის მხოლოდ იმ ნაწილს ვაქსოვდი, რომელიც ჩემი მიზნისთვის უმჯობესი იყო: პიესებს მაყურებელი უნდა ესიამოვნებინა და აკი ასეც ხდებოდა.

სულაც არ მინდოდა ეს წარმავალი წარმატება ხელიდან გამეშვა. ამიტომ კიდევ ორი პიესა დაეწერე, რომ უფრო გამემტკიცებინა მაყურებელთან ჩემი დამოკიდებულება. შედარებით უფრო თამამი პიესები იყო, — თუმცა ახლა საკმაოდ ზომიერი და მარტივი მოგეჩვენებათ, — და მორალისტები თავს დამესხნენ უწესობისთვის. ერთ-ერთი ამ პიესათაგანი, „პენელოპე“, ურიგო არ უნდა ყოფილიყო, რადგან ოცი წლის შემდეგ ბერლინში იგი ხელახლა დადგეს და მთელი სეზონის განმავლობაში მაყურებლის ტევა არ იყო დარბაზში.

იმ დროისთვის დრამის ტექნიკაში ყველაფერი შესწავლილი მქონდა, რაც კი შეემძლო, და თუ „მკვლევარს“ არ ჩავთვლით, რომელიც მაყურებელმა არ მოიწონა ჩემთვის სავსებით გასაგები მიზეზების გამო, კარგა ხანს განუწყვეტელი წარმატება მქონდა. ვიფიქრე, ახლა კი დროა უფრო სერიალულ საქმეს შევუდგე-მეთქი. მინდოდა გამეგო, როგორ გავართმევდი თავს უფრო რთულ საგნებს, მსურდა ერთი ორი ტექნიკური სიახლის შეტანა, რომლებიც, ასე მეგონა, თეატრალურ ეფექტს გამოიწვევდნენ და მაინტერესებდა, რამდენად შეემძლო მაყურებელს დავახლოებოდი. დავწერე „მეათე კაცი“ და „შემბრუნებულები“ და ბოლოს „ამქვეყნიურ სიკეთენსაც“ ვშველა, რომელიც თორმეტ წელზე მეტ ხანს უჯრაში მეგდო. არც ერთი პიესა არ ჩავარდნილა, არც მანც-დამანც დიდი წარმატება მქონია რომელიმეს. თეატრები ამ პიესებს არც გაუკოტრებიათ და არც გაუმდიდრებიათ. „ამქვეყნიურმა სიკეთენმა“ დიდხანს ვერ გაძლო, რადგან იმ დროს ხალხს უჭარდა გამასხარავებელი ღვთისმსახურის ყურება. ეს პიესა ცოტა ექსტრავაგანტურია, უფრო ფარსია, ვიდრე კომედია, მაგრამ შიგ ზოგი კარგი სცენაცაა. დანარჩენი ორი პიესა კი მართლა არ გამომივიდა. პირველი სოფლელი ჯენტლმენებს წყნარ და შეზღუდულ ცხოვრებას აღწერს, მეორე — პოლიტიკურ და ფინანსურ სამყაროს, ამ ორივე თემას მეტ-ნაკლებად კარგად ვიცნობდი, ვიცოდი, მაყურებელი უნდა დამეინტერესებინა, გამერთო და ამემოძრაებინა, და ცოტა არ იყოს, გადავამლაშე. პიესები არც მთლად რეალისტური გამომივიდა და არც ბოლომდე თეატრალური. ჩემი მერყეობა საბედისწერო აღმოჩნდა. მაყურებელმა პიესები უხეშად და

არადამაჯერებლად ჩასთვალა. მაშინ ორი წლის დასვენება გადაწყვიტე, მერე კი „ალექსანდრე ქვეყანა“ დავწერე. ეს პიესა რამდენიმე თვეს წარმატებით იღვებოდა სცენაზე და ის იყო, ომიც დაიწყო. შვიდ წელიწადში ათი პიესა დავწერე. მართალია, ინტელიგენციამ მსჯავრი დამდო და თავისი უნებურადან გამრიცხა, სამაგიეროდ, მაცურებლის ყურადღებით უზრუნველყოფილნი ვიყავი.

დროდადრო, ომის განმავლობაში, ბევრი თავისუფალი დრო მრჩებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩემს სამუშაოს მალე ვამთავრებდი და პიესების წერა კარგი საშუალება იყო ძირითადი სამუშაოდან სხვა მიმართულებით ყურადღების გადასატანად. შემდეგ კი, როდესაც ტუბერკულოზი გამომაჩნდა და ბევრი წოლა მიხდებოდა, წერა ძალიან სასიამოვნო საქმე იყო დროის მოსაკლავად. პიესების მთელი სერია დავწერე ერთიმეორის მიყოლებით. სერია 1915 წელს დავიწყო „ჩვენზე უკეთესებით“ და 1927 წელს დავამთავრე „ერთგული ცოლით“.

მეტი წილი ამ პიესებისა კომედიები იყო. ასინი რესტავრაციის პერიოდში ბრწყინვალედ აღორძინებული ტრადიციული სტილითაა დაწერილი. ეს სტილი გოლდსმითმა და შერიდანიმა კიდევ უფრო წინ წამოსწიეს და, რადგანაც ამდენ ხანს გასძლო, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მასში არის რაღაც ისეთი, რაც ინგლისელის ხასიათს განსაკუთრებით იზიდავს. ვისაც ასეთი პიესები არ მოსწონს, მათ ხელოვნურ კომედიებს უწოდებს და თავისი სიბრყველის წყალობათ ჰგონია, რომ ამით ძალიან აძაგებს. ეს კი უფრო სასაუბრო დრამაა და არა მოქმედების პიესა. იგი ლმობიერი ცინიზმით აღწერს მაღალი წრის ზნეს, მანკიერ თვისებებს და სისულელეებს. პიესები დახვეწილია, ალაგ-ალაგ სენტიმენტალურიც, — რადგან სენტიმენტალურობა თვით ინგლისელის ხასიათშია, — და ოდნავ არარეალისტურიც. იგი არაფერს ქადაგებს; ხანდახან მორალი გამოჰყავს, მაგრამ ისე სასხვათაშორისოდ, თითქოს გაგრძნობინებს, ამას დიდი ყურადღება არ უნდა მიაქციოთ. ერთხელ, როდესაც მუდამ საქმიანი მუსიე დე ვოლტერა კონგრესს ეწვია იმდროინდელი დრამის საკითხებზე სასაუბროდ, მისტერ კონგრესმა აუხსნა, მე უფრო ჯენტლმენი ვარ, ვიდრე დრამატურგიო. ვოლტერმა მიუგო: თქვენ რომ მხოლოდ ჯენტლმენი ყოფილიყავით და მეტი არაფერი, მაშინ თავს არ შევიწუხებდი თქვენთან მოსვლითო. თქმა არ უნდა, მუსიე დე ვოლტერი თავისი დროის ყველაზე მახვილგონიერი კაცი იყო, მაგრამ აქ მაინც, ცოტა არ იყოს, მიუხედავად მისი გამოიჩინა. მისტერ კონგრესის შენიშვნა ძალიან დრამა მნიშვნელობისაა. მას კარგად ესმოდა, რომ კომედიის პირველი პერსონაჟი, ავტორი, პირველ რიგში სწორედ თავის თავს უნდა მიუდგეს კომედიის პოზიციიდან.

იმ დროისათვის დრამატურგიასთან დაკავშირებულ ბევრ საკითხზე უკვე ჩამოყალიბებული აზრი მქონდა.

ერთ-ერთა დასკვნა ის გახლდათ, რომ პროზით დაწერილი პიესა ისევე

შალე იქნებოდა გადასაგდები, როგორც გაზეთი. დრამატურგსა და კურნალისტს თითქმის ერთნაირი თვისებები სჭირდებათ: მახვილი თვალი კარგ ამბის მიმართ და თხრობის საყრდენი წერტილი, ცხოველმყოფელობა და წერის ცოცხალი მანერა. ამას გარდა, დრამატურგს კიდევ ერთი განსაკუთრებული თვისება სჭირდება, თუმცა რისგან შედგება ეს თვისება, მე ვერ ვიტყვი. მისი შესწავლა შეუძლებელია, ის კულტურისა და განათლების გარეშე შეიძლება არსებობდეს. ეს ისეთი სახის ნიჭია, რომელიც დრამატურგს სწორედ იმ სიტყვებს ათქმევინებს, რომლებიც მაყურებელს ყველაზე უკეთ მისწვდება თითქოს სტერეოსკოპულად, ისე, რომ ყველაფერა აუდიტორიის თვალწინ ამოძრავდეს. ეს ძალიან იშვიათი ნიჭია. ალბათ ამიტომაც, დრამატურგის შემოსავალი სხვა ხელოვანის შემოსავალს აღემატება. ამ ნიჭს არაფერი აქვს საერთო ლიტერატურულ ნიჭთან, რადგან ყველას კარგად მოეხსენება, რომ ყველაზე გამოჩენილი პროზაიკოსის ცდა, ეწერა პიესები, სამწუხაროდ, სრული მარცხით დამთავრებულა. ეს ნიჭი, ისევე როგორც კარგი მუსიკალური სმენა, არავითარ მნიშვნელოვან სულიერ თვისებას არ ადასტურებს. მაგრამ ამ თვისების გარეშე, რა ვინდ ღრმა აზრები გქონდეს, ორიგინალური თემა და ხასიათების მკვეთრად დახატვის უნარი, მაინც არაფერა გამოგივა, — პიესას ვერ დაწერ.

დრამატურგიის ტექნიკის შესახებ ბევრი რამ დაწერილა. მეტი წილი ამ თემაზე დაწერილი წიგნებისა დიდი ინტერესით მაქვს წაკითხული. თუ გინდა კარგად ისწავლო პიესების წერა, ერთ-ერთა შენი პიესა სცენაზე უნდა ნახო. ეს შენ ისეთი სტრიქონების წერას გასწავლის, რომ შემსრულებელს მათი წარმოთქმა გაუადვილო. თუ სმენა გაქვს, მიხვდები, სადამდე შეიძლება შეიტანო რიტმი ფრაზაში ისე, რომ უშუალო მეტყველება არ მოსპო. მაშინ დაინახავ, როგორი მეტყველებაა და როგორი სცენაა უფრო ეფექტური. მაგრამ მე რომ მკითხოთ, დრამატურგიის საიდუმლო ორ ძირითად მცნებაშია მოცემული: ძირითად ხაზს მიჰყევ და მოკლედ მოსქერი, სადაც კი შესაძლებელია. პირველი ლოგიკურ აზროვნებას მოითხოვს, — ეს კი იშვიათად თუ ვინმეს გაგვაჩნია. ერთი აზრი მეორეს წარმოქმნის. ძალიან სასიამოვნოა ყოველი ასეთი აზრი განავითარო, კიდევაც რომ ცოტათი გადაუხვიო თემას. ასეთი გადახვევებისადმი მიდრეკილება თვით ადამიანის ბუნებაშია. მაგრამ დრამატურგი ამ გადახვევას უფრო უნდა ერიდოს, ვიდრე წმინდანი — ცოდვას, რადგან ცოდვა შეიძლება ეპატიოს კაცს, ხოლო ამგვარი გადახვევა კი მომაკვდინებელია. მთავარია ინტერესას სწორი წარმართვა. ეს თვისება რომანშიაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა რომანის სივრცე უფრო მეტ გასაქანს იძლევა და, იდეალისტების თქმისა არ იყოს, ბოროტება აბსოლუტში სრულ სიკეთედ გადაიქცევაო, ზოგიერთი გადახვევა მთავარი თემის განვითარებისათვის საჭირო ნაწილი შეიძლება გახდეს (ამის საუკეთესო მაგალითია მოხუცი ზოსიმეს წინარეისტორია „ძმებ კარამაზოვებში“). იქნებ საჭიროა ავხსნა, რას ვგულისხმობ, ინტერესის სწორ წარმართვაზე როცა ვლაპარაკობ? ეს ის მეთოდია, რომლითაც ავტორი ახერხებს დაგანტერესოს გარკვეულ პირობებში ჩაყენებული გარკვეული პირობის ბედ-იღბალით, თანაც ეს ინტერესი იქამდე არ უნდა შენელდეს, ვიდრე ავტორი თავის გადაწყვეტას არ განახორციელებს. თუ მან თქვენი ყურადღება ერთხელ მაინც გაუშვა ხელიდან, უკან ველარასოდეს დაიბრუნებს. კაცის ფსი-

ქოლოგია ისეა მოწყობილი, რომ მას პიესის დასაწყისშივე გამოყვანილი პი-
რის მოქმედება იტაცებს, ხოლო თუ შემდგომში ყურადღება გადატანა იქ-
ნება პიესის შუაგულში გამოსულ პირებზე, მაყურებელი გაწბილებულია. მარ-
ჯვე დრამატურგი მთავარ საგანს რაც შეიძლება ადრე გამოიტანს, ხოლო მთ-
ვითრად ეფექტის გამო მთავარი პერსონაჟების გამოყვანა არ ხერხდება, მაშინ სცენაზე გამოსული პირები მათზე უნდა ლაპარაკობდნენ
ფარდის ახსნისთანავე ისე, რომ დაგვიანებამ მოლოდინი კიდევ უფრო გააღვი-
ვოს. ამ წესს ისე ერთგულად არაა იმის დევდა, როგორც უილიამ შექს-
პირი.

სწორედ ეს ინტერესის წარმოშობაა, რომ ართულებს განწყობილებას პი-
ესების სახელით ცნობილ ნაწარმოებთა წერას. ასეთ ნაწარმოებთაგან ყველაზე
ცნობილი, რა თქმა უნდა, ჩეხოვის პიესებია. რადგან ასეთ პიესებში ყურადღე-
ბა კონცენტრირებულია არა ორ ან სამ პირზე, არამედ მთელ ჯგუფზე, და რაკი
პიესის თემატ მათი ურთიერთობაა ერთმანეთთან და გარემოცვასთან, ავტორი
წინ უნდა აღუდგეს მაყურებლის ბუნებრივ მიდრეკილებას — განსაკუთრე-
ბული ყურადღება ერთ ან ორ გმირს მიაქციოს, სხვებს კი — ნაკლები. ასეთი
გაფანტული ინტერესის გამო შესაძლებელია მაყურებელს არაკითარი თბილი
გრძნობა არ დარჩეს არც ერთი მოქმედი გმირის მიმართ და რადგან ავტორი
ცდილობს ნაწარმოების არც ერთმა ძაფმა არ დაჩრდილოს მეორე და არ
შიაპყროს მეტისმეტად დიდი ყურადღება, პიესის ყოველი სცენა უნდა დაყ-
რუვდეს და მინორულად აღედგეს. ძალიან ძნელია მაყურებელმა ამ დროს არ
მოიწყინოს და, რადგან არაფერს, — არც რომელიმე ეპიზოდს და არც
გმირს, — არ მოუხდენია დიდი შთაბეჭდილება, თეატრიდან გასვლისას მას თან
დაბნეულობის გრძნობა მიჰყვება. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ ასეთი პიესები
მხოლოდ უნაკლო შესრულების დროს თუ შეიძლება ნახოს კაცმა.

ახლა ჩემს მეორე მცნებაზე გადავდივარ. რაც უნდა ბრწყინვალე სცენა,
რაც უნდა გონებამახვილური სტრიქონი და რაც უნდა ღრმა აზრი ჰქონდეს,
დრამატურგი ვალდებულია ამოაგდოს პიესიდან, თუკი ის მისი პიესის აუცილე-
ბელი ნაწილი არაა. აქ ავტორს ისიც დაეხმარება, თუ ის ლიტერატურასთან
კარგად დაახლოებული კაცია. ვინც მხოლოდ პიესებს წერს, მას თვითონაც კი
უკვირს, საერთოდ როგორ ათავსებს სიტყვებს ქაღალდზე და, როცა ისინი
უკვე ქაღალდზეა გადმოსული მისი თავიდან, თუ პირდაპირ ზეციდან არა, —
მათ ისე დაჰკანკალებს, როგორც ღვთაებრივ რამ საგანს. ერთი სიტყვის შეწირ-
ვასაც კი ვერ უძლებს. მაგონდება, პენრი არტურ ჯოუნსმა რომ თავისი ხელნა-
წერები შაჩვენა, გამიკვირდა, როცა ისეთი უბრალო წინადადებაც კი, როგორი-
ცაა „ჩაიში შაქარს ინებებთ?“ სამნაირად ჰქონდა დაწერილი. რა გასაკვირია,
რომ კაცი, რომელსაც ასეთი რუდუნებით აქვს ყველა სიტყვა ნაშოვნია, მათ
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს. ლიტერატორი კი წერას შეჩვეულია და შეუძლია
სათქმელი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე წარმოთქვას და ის ადვილადაც
გადაიტანს ნათქვამის შემოკლებას. რა თქმა უნდა, ღროდადრო ყველა მწერალს
მოუვა ხალმე თავში იმდენად მანვილგონიერი აზრი, რომელიც მას ახარებს
და მასთან განშორება იმდენად დიდი ტანჯვაა მისთვის, რომ მის ამოღებას
ურჩევნია კბილი ამოიღოს. აი, სწორედ ასეთ შემთხვევაშია საჭირო ამოკვე-
თილი გქონდეს გულზე მცნება — მოკლედ მოსჭერი, სადაც კი შესაძლებელია.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასე წერა, რადგან ისეთი/განსაკუთრებული და მოუთმენელი მაყურებელი წამოვიდა, როგორც ჯერ არ ყოფილა თეატრის ისტორიაში. პიესები ყოველთვის ისე იწერებოდა, როგორც ეს მაყურებელს მოსწონდა. წარსულის მაყურებელს, როგორც ჩანს, მოსწონდა წარმოდგენის დაპუშავებული სურათების ყურება, სადაც პერსონაჟი თავის ვიზუალურ სურათად მოუთხრობდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა და ეს პირველ რიგში, ჩემი აზრით, კინოს ბრალია. ამჟამად მაყურებელი (განსაკუთრებით კი ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნების მაყურებელი) უცბად იგებს ყოველი სურათის დეტალებს და მაშინვე მომდევნოს ელოდება. სათქმელის შინაარსს ორიოდ სიტყვის წარმოთქმისთანავე ხვდება და მერე კი ყურადღება უღუნდება. ავტორმა უნდა დაიოკოს ბუნებრივი მოთხოვნილება — თითოეული სცენიდან რაც შეიძლება მეტა ამოიღოს და მოქმედ პირებს თავის გამოჩენის სრული საშუალება მისცეს. მინიშნებაც საკმარისია, მაშინვე მიხვდებიან. დიალოგი რაღაც ზეპირი სტენოგრაფიის მსგავსი რამ უნდა იყოს. ავტორმა უნდა ამოკლოს და ამოკლოს, ვიდრე მაქსიმალურ კონცენტრაციას არ მიაღწევს.

36

პიესა ავტორის, მაყურებლის, მსახიობის და, — ახლა შეიძლება უკვე დავუმატოთ, — რეჟისორის ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. ცოტა ხანს მაყურებელზე შევჩერდები. ყველა ცნობილ დრამატურგს წერის უამს მასზე თვალა სჭერია და თუმცა უფრო ზიზღით უხსენებია ხოლმე, ვიდრე კეთილად, მაინც არ დავიწყებია, რომ მაყურებელზე ყოფილა დამოკიდებული. ფულს სწორედ მაყურებელი ახდის და თუ წარმოდგენით ნასიამოვნები არ დარჩა, მეტად აღარ მოვა თეატრში. პიესა არ არსებობს უმაყურებლოდ. თვით პიესის განმარტებაც ლაღადებს, რომ პიესა დიალოგის ფორმის ნაწარმოებია, მსახიობთა მეტყველებისთვის დანიშნული და მაყურებელთა განუსაზღვრელი რიცხვისათვის მოსასმენი. მხოლოდ კაბინეტში წასაკითხად განკუთვნილი პიესა დიალოგებად დაწერილი რომანია, სადაც ავტორმა (ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო) არ გამოიყენა თხრობას ყველა უპირატესობანი. პიესას, რომელიც მაყურებლისთვის არაა განკუთვნილი, შეიძლება კარგი თვისებებიც გააჩნდეს, მაგრამ ის ისეთივე პიესაა, როგორც ჯორია ცხენი (სამწუხაროდ, ჩვენ, დრამატურგები, დროდადრო ვქმნით სწორედ ასეთ უღლეურ ჰიბრიდებს). ვისაც კი თეატრთან რაიმე აკავშირებს, იცის, თუ როგორ უცნაურ გავლენას ახდენს მაყურებელი პიესაზე. დღის წარმოდგენაზე და საღამოთი ერთსა და იმავე პიესას სულ სხვადასხვანაირად ხედავს მაყურებელი. ხომ გავვიგონია, რომ ნორვეგიელი მაყურებელი იბსენის პიესებს სასაცილო კომედიებად თვლის. ინგლისელი მაყურებელი ამ პირქუმ დრამებში ვერაფერს ხედავს სასაცილოს. მაყურებლის ემოცია, მისი ინტერესი, სიცილა, ეს ყველაფერი პიესის შემადგენელი ნაწილია. მაყურებელი ისევე ქმნის პიესას, როგორც ჩვენი გრძნობა ობიექტური მონაცემებისაგან ქმნის მშვენიერებას მზის ამოსვლის, ან წყნარი ზღვის ხილვისას. მაყურებელი პიესაში სულაც არ ასრულებს უკანასკნელ როლს და თუ თავისი როლის შესრულება არ მოინდომა, ნაწარმოები ნაწილ-

ბად დაიშლება. მაშინ დრამატურგი ტენისის იმ მოთამაშეს დაემგვანება, რომელიც კორტზე მარტო დარჩა და ვერავის ეთამაშება.

ისე კი მაყურებელი დიდი უცნაური არსებაა. ის უფრო გამჭვირვებელი ვიდრე გონიერი. მასი საერთო გონებრივი განვითარების დონე უფრო დაბალია ვიდრე მისივე ყველაზე ინტელექტუალური ცალკეული წევრისა. თუ აუდიტორიას დავახარისხებთ დაღმავალი ხაზის მიხედვით ა-დან ჰ-მდე და ნულად მაღაზიის გამყიდველ ისტერიულ გოგოს მივიჩნევთ, ჩემი აზრით, მასი აზროვნების დონე საღდაც ასო ო-სთან იქნება. მაყურებელი ძალიან დამყოლია. ზოგნი ბევრს იცინიან ისეთ ხუმრობაზე, რომელიც ვერც კი გაუგიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებმა გაიგეს და იცინიან. იგი ემოციურია, მაგრამ არ სიამოვნებს, როდესაც ემოციებს უღვიძებენ და ყოველთვის მზადაა თავი უბრალო ღიმილით დაიძვრინოს. სენტიმენტალურია, მაგრამ მხოლოდ საკუთარი, განსაკუთრებული სენტიმენტალობა აქვს. ინგლისში მშობლიური სახლის იდეა აუცილებლად აღძრავს გულთბილ ემოციებს, მაგრამ დედის მიმართ გაყიშვილის სიყვარულმა შეიძლება დაცინვა გამოიწვიოს. ალბათობა ადვილად ეთმობა, თუ სიტუაცია ინტერესს უღვიძებს (ამ ხერხს განსაკუთრებით შექსპირი იყენებდა), მაგრამ ყალყზე დგება, თუ სცენას დამაჯერებლობა აკლია. ადამიანებს კარგად ესმით, რომ მათი მოქმედება წამდაუწუმ იმპულსურია, მაგრამ მაყურებელი მოითხოვს სცენაზე ყოველი ეპიზოდი მტკიცედ იყოს დასაბუთებული. მისი მორალი — ბრბოს მორალია, მაგრამ გულწრფელად აღშფოთდება ისეთი გრძნობის გამომჟღავნებისას, რომელიც ცალ-ცალკე მის არც ერთ წევრს არ აღაშფოთებდა. ტვინით კი არა, მზის წნულით აზროვნებს; ადვილად მოაწყენს, სიახლე უყვარს, მაგრამ ისეთი, რომელიც ძველ აზრებს შეუთავსდება. ისე, რომ ააღელვოს, მაგრამ კი არ ააფორიაქოს. უყვარს დრამატული ფორმით გადმოცემული იდეები, ოღონდ ეს მისი იდეები უნდა იყოს, რომლებიც თვითონ ვერ გამოუთქვამს, რადგან გამბედაობა არ ჰყოფნის. მაყურებელი თავის როლს არ შეასრულებს, თუ ნაწყენია ან შეურაცხყოფილი. ყველაზე მეტად მას სურს დაარწმუნოთ, რომ გამონაგონი — სიმართლეა.

ძირითადად მაყურებელი არ იცვლება, მაგრამ სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს მას შეიძლება განსხვავებული დონის ჰკუთვნებოდეს. პიესა თანამედროვეობის წესებსა და ადათებს ხატავს და თავის მხრივ, გავლენას ახდენს მათზე და მათი ცვლილების შესაბამისად პიესაც ნელ-ნელა იცვლის გარეგნულ სამკაულსაც და თემასაც. ტელეფონის გამოგონებამ, მაგალითად, ბევრი სცენა სრულიად ზედმეტი გახადა, მოქმედების ტემპი ააჩქარა და ზოგიერთ სცენაში დამაჯერებლობა შეიტანა. დამაჯერებლობა კი ძალიან მერყევი ფაქტორია. ის მხოლოდ იმაზე დამოკიდებულია, თუ რას დაიჯერებს მაყურებელი. ხშირად მას მიზეზიც არა აქვს. ხალხი ახლაც ჰკარგავს მამხილებელ წერილებს და შემთხვევით ისმენს საუბრებს, რომლებიც მათთვის არ იყო განკუთვნილი, ისევე როგორც ელისაბედის დროს ხდებოდა, და ასეთი ინციდენტების უარყოფა როგორც შეუძლებელია — უბრალო პირობითობაა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ცივილიზაციის შეცვლასთან ერთად ჩვენც შინაგანად შევიცვალეთ და თემები, რომლებიც დრამატურგების პატივისცემას იმსახურებდნენ ადრე, ახლა უვარგისია. ახლა ჩვენ ნაკლებ შურისმაძიებლები ვართ, ვიდრე წინათ ვიყავით, და შურისძიებაზე დაწერილი

პიესა ახლა ძნელად თუ დააჯერებს ვინმეს. შეიძლება იმიტომ, რომ ნაკლებად მგრძობიარენი გავხდით ან ქრისტეს მოძღვრებამ შეაღწია ბოლოს და ბოლოს ჩვენს მაგარ გოგრაში, მაგრამ სამაგიეროს გადახდა ახლა დამამცირებელი რამ გახდა. ერთხელ გავბედე და ვთქვი, ქალის ემანსიპაციამ და მისემაჯერებულმა სექსუალურმა თავისუფლებამ ისე შეცვალა კაცის შეხედულებები კოეზის მნიშვნელობაზე, რომ ექვიანობა ამიერიდან ტრაგედიის კი არა, კომედიის თემა უნდა გახდეს-მეთქი. მაგრამ აჰ ჩემმა აზრმა ისეთი რისხვა გამოიწვია, რომ მის განვრცობას ვერ ვბედავ.

მაყურებლის ეს მცირეოდენი ანალიზი იმიტომ დამჭირდა, რომ მისი ბუნება დრამატურგის მუშაობისათვის ერთ-ერთი უმთავრეს პირობათაგანია. ყოველმა ხელოვანმა უნდა მიიღოს სხვადასხვა პირობითობანი იმ დარგში, რომელსაც მისდევს, თუმცა სწორედ ეს პირობითობანი შეიძლება გახდნენ მიზეზი იმისა, რომ ხელოვნების ამ დარგის მნიშვნელობა დაქვეითდეს. სწორედ პოეტური პირობითობის შედეგი იყო, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ალტაცების გამოჩენა სათაკილო გახდა და ფანტაზიას გონიერების ლაგამი ამოედო. ამიტომაც იმ დროს მხოლოდ მეორეხარისხოვანი პოეზია იქმნებოდა. ის ფაქტი, რომ აუდიტორიის გონებრივი განვითარების საშუალო დონე უფრო დაბალია, ვიდრე მისი ყველაზე ინტელექტუალური წევრებისა, ფრად საყურადღებოა ავტორისათვის. ჩემი აზრით, სწორედ ამან დასწია დაბლა პროზით დაწერილი დრამასულ უფრო და უფრო ხშირად აღინიშნება, რომ ინტელექტუალურად თეატრი ოცდაათი წლით მაინც ჩამორჩა დროს და განათლებულმა ხალხმა თეატრში აზრის სიღარიბის გამო მთლიანად აიცილა იქ სიარულზე გული. როდესაც განათლებული კაცი თეატრში აზრს დაეძებს, უფრო ნაკლები ჭკუის პატრონის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მოელი. აზრი კაცის პირადი საქმეა. იგი მიზეზის პირშია, მთლიანად დამოკიდებულია კაცის გონებრივ განვითარებასა და განათლებაზე. აზრთა ურთიერთობაც პირადულია. ერთი გონებიდან, რომელიც მათ ქმნის, ისინი მიიმართებიან მეორე გონებისაკენ, რომელიც მზადაა მათ მისაღებად, და თუ მართალია, რომ ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზე უნდა აიგოს, მაშინ უფრო მეტიცაა მოსალოდნელი. ერთი კაცის ღრმა აზრი შეიძლება მეორე კაცისთვის გაცვეთილი ჰეშმარიტება აღმოჩნდეს. მაგრამ მაყურებელზე მხოლოდ ფართო მასის გემოვნებისათვის განკუთვნილი რამ მოქმედებს, ამას კი ემოციები იწვევს. ავი გაბედულად მოგახსენებთ, თუ მაყურებლებს ა-დან ჰ-მდე დააწყობთ-მეთქი, სადაც ა „ტაიმსის“ კრიტიკოსი იქნება, ჰ კი — ტოტნემ კორტ როუდის კუთხეში ტკბილულის გამყიდველი გოგო, მაშინ აუდიტორიის გონებრივი განვითარების საშუალო დონე სადღაც ასო ო-სთან მოხვდება. მითხარით, როგორ უნდა დაწეროთ ისეთი პიესა, რომლის აზრებიც იმდენად ღირსშესანიშნავი იქნება, რომ ერთდროულად „ტაიმსის“ კრიტიკოსიც თვალს არ აშორებდეს პარტერიდან მის მსვლელობას, გამყიდველი გოგო კი ქანდარაზე დაივიწყებდეს იმ ახალგაზრდა ჯაბუკს, რომელსაც მისი ხელი უჭირავს? აზრები, რომლებიც აუდი-

ტორიად გაერთიანებულ ამ სხვადასხვა ადამიანებს ააღელვებს, არის სრულიად უბრალო აზრები — თითქმის გრძობებიც კი; ისინი პოეზიის ძირითადი იდეებია — სიყვარული, სიკვდილი და ადამიანის ბედი. ყველა დრამატურგს როდი ძალუძს ამ თემებზე ისეთი რამ თქვას, რაც ადრე ათასჯერ მასწავლებლა: ჭეშმარიტება იმდენად დიდმნიშვნელოვანი რამ არის, რომ ძნელად ახალი რყის.

ამას გარდა, აზრები ხურტკმელის ბუჩქზე არ იზრდება და ერთი თაობის მხოლოდ ცოტაოდენ წარმომადგენელს თუ შეუძლია ახალი აზრი შექმნას. ძნელი დასაჯერებელია, რომ დრამატურგი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება და ეხერხება მაყურებლისთვის გასაგები პიესების წერა, ამავე დროს ორიგინალური მოაზროვნეც იყოს. ის ვერ იქნებოდა დრამატურგა, თუ რაღაც კონკრეტულზე არ იფიქრებდა. მას მახვილი თვალი აქვს დაკვირვებისათვის და უაზრობა იქნება განზოგადების უნარიც მოვთხოვით. აზროვნებისადმი მიდრეკილებაც გააჩნია, თავისი დროის საჭირობოტო საკითხებითაცაა დაინტერესებული, მაგრამ ეს ყოველივე არ კმარა იმისათვის, რათა შემოქმედებითი აზროვნებაც გააჩნდეს. აჯობებდა დრამატურგები ფილოსოფოსებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ ფილოსოფოსებად ქცევის ისეთივე იშვიათი შეიძლება ჰქონდეთ, როგორც მეფედ გახდომისა. ჩვენი დროის მხოლოდ ორი დრამატურგი შეიძლება ჩაითვალოს მოაზროვნედო — იბსენი და შოუ. ორივეს ბედმა გაუღიმა და კარგ დროს მოეგლინენ ქვეყანას. იბსენის გამოსვლა დაემთხვა ქალთა გათავისუფლებისათვის ბრძოლას იმ დაჩაგრული მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, რომელშიც ისინი დიდხანს იმყოფებოდნენ, ხოლო შოუს გამოსვლა კი — ახალგაზრდების ამბოხებას ვიქტორიანული ეპოქის პირობითობისა და დროსთან შეუსაბამობის წინააღმდეგ. მათ ხელთ ჰქონდათ სრულიად ახალი თემები, რომელთა წარმოდგენა სცენაზე სრული დრამატული ეფექტურობით იყო შესაძლებელი. შოუს ისეთი თვისებები ჰქონდა, რომელიც ყველა დრამატურგს ესაჭიროება: მხიარულება, ხალასი ენამახვილობა, ჭკუა და უამრავი მახვილგონიერი გამოგონებანი. იბსენს, როგორც მოგეხსენებათ, გამოგონების ნაკლები უნარი გააჩნდა. მისი გმირები მხოლოდ საბელებს იცვლიდნენ სხვადასხვა პიესებში და ამ პიესების ინტრიგებიც დიდად არ განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან. ძალზე გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მისი ერთადერთი ხერხი პიესის დაწყებისა ასეთი იყო: მოულოდნელად ჩამოდის ვიღაც უცხო კაცი, შემოდის დახურულ ოთახში და აღებს ფანჯრებს; ყველა ოთახში მყოფი ადამიანი სიცივისაგან კვდება და ყველაფერი უბედურად თავდება. როდესაც ეცდები ამ ორი ავტორის მიერ გადმოცემული მასალის არსს ჩაუკვირდე, არ გაგიჭირდება დაინახო (თუ რა თქმა უნდა, გაუნათლებელი არა ხარ), რომ ეს ყოველივე ჩვეულებრივ კულტურას მიეკუთვნება. შოუს იდეები უფრო ცოცხლად იყო გადმოცემული. ისინი მხოლოდ იმიტომ აკვირვებდნენ ადამიანებს, რომ აუდიტორიის ინტელექტუალური დონე ძალიან დაბალი იყო. ამჟამად ეს იდეები აღარაა ესოდენ საკვირველი; ჭეშმარიტად, ახალგაზრდობა ახლა მათ ისე უყურებს, როგორც მოძველებულ ბუფონადას. იდეები თეატრში იმიტომ არის არასახარბიელო, რომ, მართალია, ისინი ადვილად ასათვისებელია, მაგრამ საბოლოოდ კლავენ პიესას, რომელსაც მათ შექმნაში ღვაწლი მიუძღვის. დამეთანხმებით, ძნელია იჯდეთ თეატრში და იძულებით უსმენდეთ აზრებს, რომლებსაც მტკიცებაც კი არა სჭირდებათ, ისე ეთანხმებით. ახლა,

როდესაც ყველამ აღიარა ქალის პიროვნული უფლება, რაღა თქმა უნდა ქნელია მოთმინებით უყურო „თოჯინის სახლს“. იდეებიანი პიესებით გატაცებული დრამატურგი საკუთარი ხელით იჭრის ყელს. საერთოდ პიესები თავისთავად საკმაოდ ეფემერულია, რადგან გარკვეულ დროის შესაბამისად რეჟისორები ხოლო მოდა კი იცვლება. ამრიგად პიესა ჰკარგავს აქტუალობას ერთი მიმზიდველი თვისებათაგანია. სამწუხარო იქნება, რომ პიესა კიდევ უფრო ეფემერული გახდეს მასში ისეთი იდეების შეტანით, რომლებიც ზევ უკვე გაცვეთილი იქნება. როცა ვამბობ, პიესა ეფემერულია-მეთქი, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მაქვს ლექსად დაწერილი პიესები. პოეზია, ეს უდიდესი და უკეთილშობილესი ხელოვნება, დამოუკიდებელი არსებობის გზას უხსნის თავის მოკრძალებულ ლიტერატურულ თანამოძმეს. მე პროზაულ პიესებზე მოგახსენებთ, რომლითაც თანამედროვე თეატრი მთლიანად არის დაპყრობილი. არ მაგონდება ისეთი სერიოზული პროზაული პიესა, რომელსაც თავის შემქმნელ თაობაზე ნეტ ხანს ეცოცხლა. ზოგიერთ კომედიას თუ გაუძლია შემთხვევით ერთი-ორი საუკუნის მანძილზე. ასეთ პიესებს დროდადრო ხელახლა დგამენ ხოლმე, როდესაც გამოჩენილ მსახიობს რომელიმე ცნობილი როლი მოხიბლავს, ან თეატრის დირექტორი დროებითი მარცხისაგან თავის დასაღწევად ძველ პიესას მიმართავს, რომ ავტორს მაინც არ გადაუხადოს ჰონორარი. ესენი სამუზეუმო ექსპონატებია. მაყურებელი იცინის მათ ენამახვილობაზე ზრდილობის გულისათვის, ხოლო მათ ფარსებზე — უხერხულობისაგან თავის დასაღწევად. მაყურებელი არ განიცდის პიესას და არც საკუთარ თავს ეთიშება. მას არ სჭერა და ამრიგად არც თეატრალური ილუზიის გავლენაში ექცევა.

მაგრამ თუ პიესა თავისთავად ეფემერულია, რატომ არ შეიძლება მეც ეურნალისტად ჩავითვალო, — იკითხავს რომელიმე დრამატურგი, — მაღალი კლასის ეურნალისტად, რომელიც ექვსპენსიანი ყოველკვირეული ეურნალებისათვის წერს და ქმნის პიესებს დღევანდელი დღის პოლიტიკურ თუ სოციალურ საჭირობოტო საკითხებზე. მისი აზრები ხომ არც მეტად და არც ნაკლებ, ორივინალური არ იქნება, ვიდრე იმ სერიოზული ახალგაზრდების იდეები, რომლებიც სწორედ ამ ეურნალებში მოღვაწეობენ. ეს აზრები არავითარ შემთხვევაში არ იქნება სხვისაზე ნაკლებ საინტერესო. ხოლო თუ ისინი აღარ არიან მნაშვნელოვანი იმ დროისათვის, როდესაც პიესა აღარ იდგმება, რაღა რჩება ავტორს? პიესა ხომ უკვე მკვდარია. ამ კითხვაზე ერთადერთი პასუხის გაცემა შეიძლება: თუ საჭიროდ მიაჩნია და შეუძლია — გააგრძელოს ასევე. მაგრამ უნდა გავაფრთხილო, რომ კრიტიკოსებისაგან დიდ მადლობას ნუ მოელის ისინი, მართალია, ერთ ამბავს სტეხენ, იდეებიანი პიესები მოგვეცითო, მაგრამ, როდესაც ასეთ პიესებს მიაწვდი, ცხვირს უბზუებენ, თუ ამ პიესების იდეები მათთვის ნაცნობი აღმოჩნდება. ისინი თავმდაბლურად ფიქრობენ, რომ მათთვის ცნობილი იდეები უკვე გაცვეთილია. ხოლო თუ ეს იდეები მათთვის უცნობია, მაშინ სისულელეს უწოდებენ და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ. თვით ყველასგან აღიარებული შოუც კი ვერ აცდა ამ დილემის რქებს.

მათთვის, ვისაც კომერციული თეატრი ათვალისწინებული აქვს, იქმნება საზოგადოებანი და იქ იდგმება პიესები. ეს საზოგადოებები სულს დაუაფენ. ინტელიგენციას ვერ დაარწმუნებ, მათ წარმოდგენებს უყურეო, და თუ ეს

მაინც მოახერხე, მაშინ სურს უფასოდ ნახოს დადგმები. ბევრი დრამატურგი მთელ თავის კარიერას ასეთი საზოგადოებებისათვის პიესების წერას ახმარს. მათ სურთ ისეთი რამ გააკეთონ, რისთვისაც დრამა შეუფერებელია. საკმარისია ცოტაოდენი მაყურებელი შემოიკრიბონ და რბაზზე, როგორც მკითხველის უკვე აუდიტორიაა და თუმცა მისი საშუალო გონებრივი დონეზე უფრო მაღალია, ეს მაყურებელი ისეთსავე რეაგირებას ახდენს, როგორც ჩვეულებრივი. მას გრძნობა უფრო მართავს, ვიდრე გონება. განსჯას მოქმედება ურჩევნია. (რა თქმა უნდა, მხოლოდ ფიზიკურ მოქმედებას არ ვგულისხმობ. თეატრის თვალსაზრისით, გმირი თუ ამბობს, თავი მტკივაო, არა ნაკლებ მოქმედებს, ვიდრე ის, ვინც სამრეკლოდან ჩამოვარდება). როდესაც ამგვარი პიესა ჩაფლავდება, ავტორი ამბობს, მაყურებელს გრძნობა არ ეყო, რომ სათანადოდ შეეფასებინაო. არა მგონია ეს მართალი იყოს. მისმა პიესამ იმიტომ არ ივარგა, რომ სცენიურობა აკლდა. არავის ეგონოს, კომერციული პაესა იმიტომ იდგმება წარმატებით, რომ სუსტია. შეიძლება იქ მოთხრობილი ამბავი ძველი იყოს, დიალოგი ნაცნობი, ხოლო დახასიათება კა ჩვეულებრივი, მას მაინც წარმატებით დგამენ, რადგან აქვს ძირითადი (თუმცა უდაოდ ტრივიალური) თვისება, გაიტაცოს მაყურებელი განსაკუთრებული თეატრალით. მაგრამ ლოპე დე ვეგას, შექსპირისა და მოლიერის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ეს არ არის კომერციული პიესის ერთადერთი ღირსება.

ამ „იდეების პიესებზე“ მხოლოდ იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ სწორედ ასეთი პიესების მოთხოვნილებამ გამოიწვია დღევანდელი თეატრის სამწუხარო დაქვეითება. კრიტიკოსები ერთ ამბავს სტეხენ, ასეთი პიესები მოგვაწოდეთო, მაგრამ ისინი პიესის ყველაზე უარესა მსაჯულები არიან. თვითონ განსაჯეთ: პიესა გამიზნულია აუდიტორიისათვის, როგორც ერთი მთელი სათვის. ის დენი, რომელიც ერთი მაყურებლიდან მეორეს გადაედება, დრამატურგისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: მას ებიდეშის გავრცელება სჭირდება; მან უნდა ისე გაიტაცოს მაყურებელი, რომ მუსიკალურ საკრავად აქციოს, რათა მაყურებელმა რეზონანსა გამოსცეს, რეზონანსი, ტონი, ემოცია, — ეს ყოველივე წარმოდგენის ნაწილია. მაგრამ კრიტიკოსი პიესას იმიტომ ესწრება, რათა განსაჯოს და არა იგრძნოს. მისი მიზანია შორს დარჩეს პიესის სენით დაავადებულთაგან და შეინარჩუნოს სიმშვიდე. გულს არამც და არამც არ უნდა აჰყვეს; თავი არ უნდა დაკარგოს; ფრთხილად უნდა იყოს, რათა აუდიტორიის ნაწილად არ იქცეს. ის თავისი როლის შესასრულებლად კი არ მოდის თეატრში, არამედ იმისათვის, რომ თვალყური ადევნოს წარმოდგენას გარედან. ამის შედეგად ის არ უყურებს იმ პიესას, რომელსაც სხვები ხედავენ, რადგან არ შეუძრულებია თავისი როლი. ბუნებრივია, ამის შემდეგ პიესისგან ის სულ სხვა რამეს მოითხოვს, ვიდრე დანარჩენი მაყურებელი. ისიც მართებულია, რომ რასაც მოითხოვს, იმას ვერ მიიღებს. პიესები ხომ კრიტიკოსებისათვის არ იწერება. ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს. მაგრამ დრამატურგები მგრძნობიარენი არიან და როდესაც ეუბნებიან, შენი ნა-

წარმოები მოზრდილი ადამიანისათვის შეურაცხყოფელიაო, ძალიან სწავნიტ. მათ სურთ უკეთესი რამ შექმნან და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ათასი აზრებით აღტყინებული და მომავალს იმედით შემყურე ავტორი ჯდება და იდეების პიესებსა წერს. ასეთი პიესების წერა რომ შესაძლებელია და სიყვარულით იდეების მომტანიცაა, ამისი მაგალითია ბერნარდ შოუ.

შოუს გავლენა დღევანდელი ინგლისის თეატრზე გამანადგურებელი აღმოჩნდა. მაყურებელს მისი პიესები ყოველთვის როდი მოსწონდა, ისევე როგორც იბსენის დრამები, მაგრამ მასი პიესების მეტე უკვე ძველი წესებით დაწერილი სხვა ნაწარმოებები კიდევ უფრო ნაკლებად მოსწონდათ. მას მიმდევრები გამოუჩნდნენ, მაგრამ გამოირკვა, რომ შეუძლებელი იყო შოუსნაირად წერა მისი უზარმაზარი ნიჭის გარეშე. მიმდევრებს შორის ყველაზე ნიჭიერი გრენვილ ბარკერი აღმოჩნდა, როგორც მისი ბევრი პიესის ეპიზოდებიდან ჩანდა თავისთავად კარგი დრამატურგი უნდა ყოფილიყო: დრამატურგის ნიჭი ბქონდა, ადვილად წერის უნარი, ბუნებრივი, ლალი დიალოგი; და კარგად ეხერხებოდა თეატრალურად ეფექტური პერსონაჟების დანახვა. შოუს გავლენით ისეთ იდეებს დაუწყო ზედმეტი ყურადღების მიქცევა, რომლებიც საკმაოდ ჩვეულებრივი იყო, ხოლო საკუთარი აზრების ლოგიკური წყობა ზემოვლენილ მადლად ჩასთვალა. თავიდანვე რომ არ დაერწმუნებინათ, — მაყურებელი ბრაივი არსებობს, რომელსაც სჯობს უბეშად მოექცე და პირფერობა არ დაუწყო, მაშინ ჩვეულებრივი ცდებითა და შეცდომებით ისწავლიდა ამ შეცდომების გასწორებას და ალბათ თავისი ქვეყნის დრამატურგიას არა ერთ პოპულარულ და ღირსეულ პიესას შემატებდა. ბერნარდ შოუს უფრო სუსტმა მიმდევრებმა მხოლოდ მისი ნაკლი გადმოიღეს. შოუს პიესები იმიტომ კი არ იდგმებოდა წარმატებით, რომ იგი იდეების დრამატურგი იყო, არამედ იმიტომ, რომ ნამდვილი დრამატურგი იყო. შოუ განუმეორებელია. ამ ორიგინალობას ის საკუთარ თავისებურებას უნდა უმაღლოდეს — თვისებას, რომელიც მხოლოდ მისთვის არაა დამახასიათებელი, მაგრამ რომელიც ადრე არასდროს ყოფილა გატანილი სცენაზე. ინგლისელები როგორც უნდა ყოფილიყვნენ ელისაბედის ხანაში, ამჟამად მაინც არ წარმოადგენენ მიჯნურთა ერს. მათი სიყვარული უფრო სენტიმენტალურია, ვიდრე ვნებიანი. რა თქმა უნდა, იმდენი სექსუალობა კი აქვთ, რომ ახალი თაობა შექმნან, მაგრამ ვერ იკავებენ ინსტინქტურ ზიზღს სქესობრივი აქტისადმი. სიყვარულს უფრო გულმიდრეკილებად და კეთილგანწყობად თვლიან, ვიდრე ვნებად. კეთილად უყურებენ სიყვარულის სუბლიმურ აღწერას სწავლულთა წიგნებში, ხოლო მის გულწრფელ გამოვლენას ზიზღით ან სიცილით ხვდებიან. ინგლისური ენა ერთადერთი თანამედროვე ენაა, რომელსაც დასჭირდა ესეხა ლათინურისაგან დამამცირებელი სიტყვა „anxious“, რაც კაცის ერთგულ სიყვარულს აღნიშნავს ცოლისადმი. მათ უღირსობად მიაჩნიათ ის, რომ კაცი შეიძლება სულ შთანთქას სიყვარულმა. საფრანგეთში თუ კაცი ქალის გულისთვის დაიღუპა, მას სიმპათიითა და ალტაცებით უყურებენ, ფიქრობენ, ამისთვის ღირდა დაღუპვაო, ხოლო დაღუპული ერთგვარ სიამაყესაც კი გრძნობს. ინგლისში ასეთი კაცი თავს ბრიყვად ჩათვლიდა და სხვებიც ამასვე იფიქრებდნენ. აი, რატომ იყო „ანტონიუსი და კლეოპატრა“ ყველაზე ნაკლებ პოპულარული შექსპირის უდიდეს პიესათაგან. მაყურებელს მიაჩნდა, რომ იმპერიაზე უარის თქმა ქალის გულისათვის — დამამცი-

რებელია. ეს პიესა საყოველთაოდ ცნობილ ლეგენდაზე რომ არ ყოფილიყო აგებული, უთუოდ ერთხმად დაიწყებდნენ მტკიცებას, ასეთი რამ შეუძლებელიაო. მაყურებელი, რომელსაც აძულებდნენ ეცქირა სასიყვარულო ინტრიგის შემცველ პიესისათვის, გრძნობდა, რაც უნდა კარგი ყოფილიყო მნიშვნელოვანი, თავისთავად არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც დრამატურგს უნდოდა ეჩვენებინა. ხომ არსებობს, ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკა, გოლფი, სამსახურებრივი საქმეები და კიდევ ათასი სხვა რამ. მაყურებელი მხოლოდ მაშინ ნაბავდა შვებას, თუ ისეთ დრამატურგს შეხვდებოდა, რომლისთვისაც სიყვარული დამღვლი, მეორეხარისხოვანი საქმეა — წამიერი სურვილის სწრაფი დაკმაყოფილება და მუდამ უსიამოვნო შედეგების გამომწვევი. თუმცა ყველაფერი ისე გაზვიადებულად იდგმებოდა სცენაზე, როგორც პიესას შეეფერება (არ უნდა დაევიწყოთ, რომ შოუ უაღრესად დიდი დრამატურგია), ყოველივე ეს საკმაოდ დამაჯერებლად ედგინდა და შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე. ასეთი დადგმები ანგლო-საქსთა რასაში ღრმად გამჯდარ პურიტანიზმს ეხშიანება. მართალია, ინგლისელი სიყვარულის თაყვანისმცემელი არაა, მაგრამ სენტიმენტალურია და ემოციური, და გრძნობს, რომ აქ მთელი სიმართლე არ არის გამჟღავნებული. როდესაც სხვა დრამატურგებმა იგივე გაიმეორეს, ოლონდ, არა შოუსნაირად — პიროვნების ბუნებრივი გამოსახვით, არამედ ეფექტურად და თვალში საცემად, ასეთი პიესების ცალმხრივობა გამოამკარავდა და მაყურებელმა მოიწყინა. ავტორი აგიწერს თავის პირად სამყაროს და თუ დაგაინტერესებს, ყურსაც მიაპყრობ, მაგრამ არ მოინდომებ იგივე მოისმინო უკვე სხვისი პირით. აზრი არა აქვს იმის გამეორებას, რაც შოუმ ასე კარგად თქვა.

ჩემი აზრით, დრამა გზას ასცდა, როდესაც რეალიზმის მოთხოვნილებით ლექსის ფორმებს გადაუხვია. ლექსს განსაკუთრებული დრამატული ძალა აქვს. ყველა დარწმუნდება, როდესაც დღევით მოისმენს ტირადას რასინის პიესებიდან ან შექსპირის ნებისმიერი შედევიდან. და აქ აზრი არაფერ შუაშია. ყველაფერი რიტმული მეტყველების ემოციურ ძალაზეა დამყარებული. უფრო მეტიც: ლექსი შინაარსს აძლავს თავის პირობით ფორმას, რომელიც ესთეტიკურ ზეგავლენას აძლიერებს. ლექსი პიესას ასეთ სილამაზეს ანიჭებს, რომელსაც პროზაული პიესა ვერასდროს მიაღწევს. რაც უნდა დავტკბეთ „გარეული იხვით“¹, „რა მნიშვნელოვანია იყო სერიოზულით“² და „კაცი და ზეკაცი“³. — მაინც უნარბეზულო იქნება, თუ მათ მიმართ ვახმართ სიტყვას „შესანიშნავი“. ლექსის მთავარი ღირსება ისაა, რომ პიესას ცივი სინამდვილისაგან განასხვავებს, რაღაც სხვა დონეზე აყენებს, ერთი შეხედვით ცხოვრებას ამორებს და მაყურებელს უადვილებს ისეთ მდგომარეობაში ყოფნას, როდესაც ყველაზე ათლია დრამის სპეციფიკური ზემოქმედების აღქმა. ეს გამოსახვის ხელოვნური ხერხი ცხოვრებას სიტყვა-სიტყვითი თარგმანით კი არ წარმოადგენს,

¹ იბსენის დრამა (1884) (მთარგმ. შენიშვნა).

² ოსკარ უაილდის კომედია (1895) (მთარგმ. შენიშვნა).

³ ბერნარდ შოუს „კომედია ფილოსოფიით“ (1903) (მთარგმ. შენიშვნა.)

არამედ თავისუფალი თარგმანით და ამრიგად ავტორს საშუალება აქვს გამოიყენოს ყველა ხერხი, რაც კი ხელოვნების ამ დარგს გააჩნია. დრამა განმარტონია და მისთვის სიმართლე კი არ არის მთავარი, არამედ შთაბეჭდილება. კოლრიჯი რომ ამბობდა, „დროებითი დაჯერება დაუჯერებლისაა“ ეს არის დრამის არსებითი მხარე. სიმართლე დრამატურგს იმიტომ უნდა დაეკაროს, რომ ინტერესს აღვივებდეს, მაგრამ მისთვის სიმართლე მხოლოდ სიმართლის მსგავსებაა. ეს სწორედ ის არის, რაც მას შეუძლია მაყურებელს ჩააგონოს. თუ მაყურებელი იჯერებს, რომ კაცმა თავისი ცოლის პატიოსნებაში შეიძლება ეჭვი შეიტანოს მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ უთხრა, შენა ცოლის ცხვირსახოცი სხვასთან ვნახეო, — კეთილი და პატიოსანი, ეს საკმარისი საბაბი ყოფილა ეჭვიანობისათვის. თუ ის დაიჯერებს, რომ ეჭვის თავისგან შემდგარი სადილი კაცს ათ წუთში შეუძლია შეჭამოს, — კვლავ კეთილი და პატიოსანი, დრამატურგსაც შეუძლია განაგრძოს თავისი პიესა. მაგრამ, როცა მას სთხოვენ უფრო და უფრო მეტ რეალიზმს, როგორც მოტივირებაში, ისე მოქმედებაში, როდესაც უნდათ, რომ ცხოვრება რომანტიკითა და მხიარულებით კი არ მოქარგოს, არამედ უშუალოდ გადმოხატოს, ამით დრამატურგს მის შესაძლებლობათა დიდ ნაწილს აცლიან ხელიდან. ის იძულებულია პერსონაჟები აარიდოს თავისთვის ნათქვამ რეპლიკებს, რადგან ადამიანები არასდროს ლაპარაკობენ თავისთვის ხმამაღლა. ის არ კუმშავს მოვლენებს, რითაც ადრე მოქმედებას აჩქარებდა ხოლმე. იძულებულია ისევე შენელებით გამოაჩინოს ისინი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში ხდება. ის თავიდან იცილებს შემთხვევითობასა და უცაბედობას, რადგანაც, როცა თეატრში ვიმყოფებით, ვიცით, რომ ცხოვრებაში ასე არ ხდება. ამის შედეგად კი ვხედავთ, რომ სინამდვილის ასეთ მიბაძვას მხოლოდ მოსაწყენი და უღიმღამო პიესების შექმნა შეუძლია გამოიწვიოს.

როდესაც კინომ ენა ამოიდვა, პროზაულმა პიესამ ვეღარ მოახერხა თავი დაეცვა. კინო მოქმედებას უფრო ეფექტურად გამოსახავდა და მოქმედება კი დრამის საფუძველია. ეკრანმა მოგვცა ის ხელოვნურობა, რომელიც ლექსმა ოდესღაც დრამას უბოძა. დამაჯერებლობის ახალი საზომი წარმოიშვა, ხოლო დაუჯერებელი ამბავი მხოლოდ მაშინ ხდებოდა დამაჯერებელი, თუ სიტუაციის შექმნას უწყობდა ხელს. ეკრანმა გზა გაუხსნა მრავალ ახალ ხერხს. ხატოვან და დრამატულ ეფექტს, რომელიც აღელვებდა და აფორიაქებდა მაყურებელს. „იდეების პიესების“ ავტორი კი პირში ჩალაგამოვლებული დარჩა, რადგან ინტელიგენციამ, ვისთვისაც ის თავის ნაწარმოებებს ქმნიდა, არ იცოდა, რა ექნა მისი პიესებისათვის. სამაგიეროდ გულიანად აცინებდა კინოს ფარსები და ძალიან ეტანებოდა მის სევანსებს. საქმე ის იყო, რომ ინტელიგენცია გაიტაცა იმ ატმოსფერომ, რომელიც თეატრმა თვითონვე მოიშორა თავიდან, და ილუზიის გავლენაში მოექცა იმ მაყურებლის მსგავსად, რომელიც თავის დროზე პირველი უცქერდა ლოპე და ვეგასა და უილიამ შექსპირის პიესებს.

წინასწარმეტყველებაზე არასდროს ვდებდი თავს და ჩემი თანამოძმეთა გამოსწორებაც სხვებისთვის მიმინდვია, მაგრამ ერთს კი ვატყობდი დარწმუნებით: პროზაულა დრამა, რომელსაც ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი დავუთმე, მალე ჩაკვდება. ხელოვნების მცირე დარგები, რომლებიც უფრო თავისი დროის ზნე-ჩვეულებაზეა დამოკიდებული, ვიდრე ადამიანის ღრმა მოთხოვნილებებზე,

მოდინ და მიდიან. მადრიგალი, რომელიც ოდესღაც მუსიკალური ტკობის გავრცელებული ფორმა იყო, ზეშთაგონებას უღვიძებდა კომპოზიტორებს და შემსრულებელთა დახელოვნებული სკოლაც გაზარდა, დაიჩვირა, როდესაც ისეთი მუსიკალური ინსტრუმენტები შეიქმნა, რომლებიც უფრო უფრო დახვეწილ გამოხატავდნენ საჭირო ეფექტს. რა იქნება, პროზაულმა დრამატურებმა შეძლებდნენ გაიზიაროს? შეიძლება ითქვას, რომ ეკრანი ვერასდროს გამოიწვევს სწორედ ისეთსავე მღელვარებას, როგორსაც შენს წინაშე მდგარი ცოცხალი მსახიობი ვაგრძნობინებს. ასევე ამბობდნენ, რომ სიმებმა და ხემ არ შეიძლება შექმნას ადამიანის ხმის ინტიმური სიტბოს მსგავსებაო. მოვლენებმა დაგვანახვეს, რომ ეს შესაძლებელი ყოფილა.

ერთი რამ უდაოა: თუ სცენას ოდესმე გამოცოცხლება უწერია, ეს არამც და არამც ისეთი საქმის კეთებით არ მოხდება, რაც კინოს უკეთესად შეუძლია გააკეთოს. გზას აცდენილან ის დრამატურგები, რომლებიც ცდალობენ მრავალი პატარა სცენით შექმნან კინემატოგრაფის მსგავსი მოქმედების სისწრაფე და ნაირფეროვნება. ხშირად მომსვლია თავში ასეთი აზრი: ეგებ საჭიროა დრამატურგმა ჭკუა იხმაროს და თანამედროვე დრამის სათავეებს მიაკითხოს-მეთქი, დაიხმაროს ლექსი, ცეკვა, მუსიკა და სანახაობა, რათა ყოველგვარი გართობის საშუალება მისცეს მაყურებელს. მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ კინო თავისი უზარმაზარი შესაძლებლობით ყველაფერს გაცილებით უკეთესად გააკეთებს, ვიდრე თეატრი. თანაც ასეთ პაუსას ისეთი დრამატურგი დასჭირდება, რომელიც ამავე დროს პოეტიც იქნება. ეგებ რეალისტმა დრამატურგმა დღეს ისეთივე პიესების წერას უნდა მიჰყოს ხელი, რომელსაც ჯერჯერობით კინო საკმაოდ კარგად ვერ ეუფლება. ასეთი პიესებია არა გარეგან, არამედ უფრო შინაგან მოქმედებაზე აგებული ნაწარმოებები და ნახვილგონიერი კომედიები. კინო ფიზიკურ მოქმედებას მოითხოვს. ემოციებს, რომლებიც არ ითარგმნება ფიზიკური მოქმედების ენაზე, და იუმორს, რომელიც გონებას მიმართავს, კინოსთვის ფასი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ერთ ხანს მაინც ასეთ პიესებს უსათუოდ გასაეალი ექნებათ.

მაგრამ, როდესაც საქმე კომედიებს ეხება, უნდა ისიც ითქვას, რომ უმართებულობაა მათ რეალიზში მოვთხოვით. კომედია ხელოვნური ჟანრია და მას რეალიზში კი არა, მხოლოდ მოჩვენებითი ნატურალიზმი ესაჭიროება. გეცინება და იცინი... დრამატურგის მიზანი ცხოვრების სინამდვილის ჩვენება კი არ არის (ეს ტრაგიკულის საქმეა), არამედ მისი სატირიკულად და სასაცილოდ ჩვენება. მაყურებელმა არ უნდა იკითხოს: მართლა ხდება ასე? იგი სიცილში უნდა იყოს გართული. კომედიაში უფრო მეტად, ვიდრე სხვაგან, უნდა ეცადოს ავტორი მიაღწიოს „დროებით დაჯერებას დაუჯერებლისა“. ასე რომ, კრიტიკოსები ცდებიან, როდესაც ჩივიან, კომედია დროდადრო ფარსამდე დაქვეითდება ხოლმეო. პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ შეუძლებელია მაყურებლის ყურადღება სამი მოქმედების მანძილზე მხოლოდ წმინდა კომედიისაკენ იყოს მიბყრობილი, რადგანაც კომედია მაყურებლის კოლექტიური გონებისთვისაა გამიზნული. ეს გონება კი მალე იჭანცება. ხოლო ფარსი შედარებით გამძლე ორგანოზე — კოლექტიურ კუჭზე ზემოქმედებს. კომედიის დიდი ოსტატები შექსპირი, მოლიერი, ბერნარდ შოუ არასდროს თავილობდნენ ფარსის ელემენტებს. ეს არის სისხლი, რომელიც კომედიის სხეულს სიცოცხლეს ანიჭებს.



ჩემს გონებაში აბნეულად მოტივივე ასეთმა აზრებმა თანდათან ვზარდეს ჩემი უკმაყოფილება და საბოლოოდ გადავწყვიტე ჩამოვშორეხარქა მსაქმის. თანამშრომლობა საერთოდ არ მეხერხებოდა, ხოლო პიესა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ყოველგვარი ხელოვნების ნიმუშთა შორის ყველაზე მეტად არის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი. შევატყვე, რომ სულ უფრო და უფრო მიპირდა ჩემს თანამშრომლებთან შეთანხმებულად მუშაობა.

ხშირად ამბობენ, კარგი მსახიობი პიესიდან გაცილებით მეტს ამოიღებს, ვიდრე ავტორმა შიგ ჩააქსოვაო. მართალი არ არის. კარგი მსახიობი თავისი ნიჭის წყალობით როლში ისეთ რამეს დაინახავს, რასაც არაპროფესიონალი მკითხველი ვერ დაინახავდა, მაგრამ უკეთეს შემთხვევაშიაც იგი მხოლოდ უახლოვდება იმ იდეალს, რომელსაც ავტორი ჰკრეტდა გონების თვალთ. მსახიობს მართლაც განსაკუთრებული ალლო უნდა ჰქონდეს, რომ ასეთი რამ განახორციელოს, რადგან უფრო ხშირად ავტორიც იძულებულია დასჯერდეს იმასთან მიახლოებას, რაც მას წარმოდგენილი ჰქონდა. პიესებში ბედი საკმაოდ მწყალობდა. ზოგიერთ როლს ისე თამაშობდნენ, როგორც მე მინდოდა, მაგრამ არც ერთ პიესაში არ ყოფილა შესრულებული ყველა როლი ისე, როგორც ვისურვებდი. ამას ვერ აცდები, რადგან მსახიობს, რომელსაც ესა თუ ის როლი შეეფერება, ადვილად შეიძლება არ ეცალოს და იძულებული ხარ მეორე ან მესამეხარისხოვანზეც დათანხმდე, — სხვა გზა არ არას. ამ ბოლო დროს ყველამ, ვისაც კი დასის შეკრებისათვის ხელი მოუკიდია, გაიგო, თუ როგორ გააძნელა კონკურენციამ ნიუ-იორკის თეატრებისა და ინგლისურა ან ამერიკული კინოებისათვის შესაფერისი მსახიობის პოვნა. ამიტომ, რეჟისორიც სულ უფრო და უფრო ხშირად იძულებული ხდება საშუალო დონის მსახიობი აიყვანოს, რადგან სხვა არავინ ჰყავს. ხელფასის საქმე ხომ კიდევ ახალი სიძნელეა. ხშირად პატარა როლს ძალზე დახვეწილი შესრულება სჭირდება და, მაშასადამე, გამოცდილი მსახიობიც, მაგრამ ბუღალტერიის თვალსაზრისით ეს ძვირი ჯდება, ზედმეტი ხარჯია და, ესე იგი, ამ მსახიობის მოწვევა არაპრაქტიკულია. ამიტომ ეს როლი ხეირიანად არ სრულდება და პიესის ბედიც სასწორზე დევს: სცენა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ამოვარდება, რადგან არაა კარგად შესრულებული. ხშირად ასეც ხდება, რომ როლის შესაფერისი მსახიობი მას არ ასრულებს, თუ როლი ძალზე პატარაა ან არასასიამოვნო.

ყოველივე ამას რომ ვამბობ, სულაც არ მინდა დავამცირო იმ წარჩინებულ მსახიობთა დამსახურება, რომელთაც უნდა ვუმაღლოდღე ჩემი მრავალი პიესის წარმატებას. უსაზღვროა ჩემი ვალი მათ წინაშე. მათი ჩამოთვლა, ვინც ჩემი ყველა იმედი გაამართლა, ხანგრძლივი და დამღლელი საქმე იქნებოდა, მაგრამ ერთი მსახიობი მაინც მინდა გამოვყო, რადგან მან ვერ მიაღწია ვარსკვლავის სახელს და, მაშასადამე, ვერც დამსახურებულ აღიარებას. ეს იყო ს. ვ. ფრანსი. მან ჩემს რამდენიმე პიესაში ითამაშა და ერთი როლიც არ შეუსრულებია ისე, რომ მართლაც შესანიშნავი არ ყოფილიყო. სწორედ ისეთ გმირებს ქმნიდა, რომლებიც გონების თვალთ მყავდა წარმოდგენილი და უმცარესი წვრილმანიც არ ავაწყდებოდა. ძნელია ინგლისის სცენაზე ნახო უფრო მცოდნე, გონიერი და მრავალფეროვანი მსახიობი. ისეთი პიესებიც მქონია, რომელთა წარ-

კმაყოფილდება დადგას ავტორისეული პიესა. უფრო ხშირად ის პიესას უყუ-
რებს, როგორც საშუალებას, რითაც განასახიერებს საკუთარ, ~~ორიგინალურ~~
ქმნილებას. მაყურებელი გაოცდებოდა, რომ გაეგო, რეჟისორის ბრიყვული სი-
კერპის წყალობით, რაოდენ ხშირად დამახინჯებულა ავტორის ~~ქმნილებები~~
და რამდენ ვულგარობას და სისულელეს, რომელიც ავტორს ~~ბრალდება~~
რეჟისორს უნდა უმაღლოდნენ. რეჟისორს იდეები ებადება, მაგრამ საკმაოდ
იშვიათად და სწორედ ესაა უბედურება. იდეების წარმოქმნა სასიამოვნო რამ
არის, მაგრამ მხოლოდ მაშინაა უხიფათო, როდესაც ასეთი იდეები იმდენად
ბევრი გაჩნდება, რომ გადაჭარბებულ ფასს არ ადებ. ვისაც ცოტა იდეები
აქვს, ის მათ ზედმეტი პატივისცემით ეპყრობა. თუ რეჟისორმა ერთი პატარა
დიאלოგი მოიგონა, ან რაღაც მოქმედება, ან კიდევ ეფექტური სცენა, ისე დაპ-
კანკალებს ამას, რომ გულარზეინად შეაჩერებს პიესის მოქმედებას, ან აზრსაც
კი შეუცვლის, ოღონდ ეს საკუთარა რამ შიგ შეიტანოს. ძალზე ხშირად რეჟი-
სორი პატივმოყვარე, დაჯერებული და უფანტაზიო კაცია. ზოგჯერ ისეთი დეს-
პოტია, რომ მთელ დასს აიძულებს მისი ინტონაცია და მხრა-მობრაც კი გა-
დაილოს. ის მსახიობები, ვისთვისაც როლის მიღება რეჟისორის კეთილგანწყო-
ბაზეა დამოკიდებული. — ხოლო თვინიერი ქცევა კი ამ კეთილგანწყობის სა-
წინდარია, — მონურად ასრულებენ ყველაფერს და ამგვარად უშუალობას არ-
თმევენ წარმოდგენას. საუკეთესოა ის რეჟისორი, რომელიც ნაკლებად
ერევა სპექტაკლში. დროდადრო ბედი მწყალობდა და ისეთი რეჟისორი
მხვდებოდა, რომელიც გულწრფელად ცდილობდა, რაც შეიძლება კარგად და-
ედგა პიესა და განეხორციელებინა ჩემი ჩანაფიქრი. მაგრამ სხვის გონებაში
ჩაწვდობა ძალიან ძნელია და ყველაზე კეთილად განწყობილი რეჟისორიც კი
მხოლოდ შეძლებისამებრ უახლოვდება ავტორისეულ ჩანაფიქრს. ვფიქრობ,
ეს რეჟისორი აუდიტორიას ხშირად ისეთ პიესას აწვდის, როგორიც მაყურე-
ბელს ავტორის ჩანაფიქრზე უფრო მოეწონება. მაგრამ ეს ავტორისთვის დიდი
არაფერი შელავათია.

ამის წამალი ის იქნება, რომ ავტორმა თვითონ დადგას საკუთარი პიესა. ეს
კი მხოლოდ იმას თუ შეუძლია, ვინც ადრე მსახიობი ყოფილა. საკმარისი არ
არის მსახიობს უთხრა, ეს ექსტი ან ინტონაცია არ ვარგაო, უნდა შეგეძლოს
სწორი ექსტი და ინტონაცია უჩვენო. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-
ჭება ახლა, როდესაც პატარა როლების შემსრულებლებს საკმარისი ტექნიკა
არ გააჩნიათ. ჯერალდ დიუ მორიე ხშირად მიმართავდა დამამცირებელ, მაგრამ
ქმედით საშუალებას; მსახიობის უხვიროდ შესრულების განგებ განოაჯავრებდა
და მერე კი უჩვენებდა, როგორ უნდა გათამაშებულყო ეს ადგილი. ამას იმი-
ტომ ახერხებდა, რომ შესანიშნავი მიმიკოსიც იყო და ბრწყინვალე მსახიობიც.
მაგრამ ეს წერილმანია. რეჟისორობა რთული საქმეა. ეს ხელობაა და, თუ გნე-
ბავთ, ხელოვნებაც, რომლის ნიდწევაც დიდ გარჯას მოითხოვს. რეჟისორის
ხელშია პიესის მექანიკა, მოქმედ პირთა შესვლა-გამოსვლა და მათთვის ადგი-
ლის შერჩევაც მისი საქმეა. რეჟისორი ცდილობს ყველას ისეთი მდგომარეობა
ჰქონდეს, რომ საჭიროების გამს მაყურებლის ყურადღებამ ადვილად გადაინაც-
ვლოს მასზე. რეჟისორს უნდა ახსოვდეს ცალკეულ მსახიობთა თავისებურება-
ნი. ხოლო როდესაც რომელიმე მათგანს როლი შეუძლებელ რასმე მოს-
თხოვს, რაიმე გზით თავი უნდა დააძვრენინოს. მან აგრეთვე უნდა მიაქციოს

ყურადღება მსახიობთა თავისებურებებს საზოგადოდ. ასე, მაგალითად, ჩვენს დროში ვერც ერთი ინგლისელი მსახიობი ვერ წარმოთქვამს ზედრზედ ოც სტრიქონზე მეტს ისე, რომ არ დაიმორცხვოს. რეჟისორმა რაიმე საშუალებით უნდა აღმოფხვრას ეს ნაკლი. მან უნდა მოახერხოს და მიმხრეულნი მსახიობის მოსაწყენი ექსპოზიციები და გადასვლები, დრამატული მოქმედების შესავალი, რის გარეშეც არც ერთი პიესა არ არსებობს. რეჟისორმა კარგად იცის, თუ რა ადვილად გადადის მაყურებლის ყურადღება ერთი საგნიდან მეორეზე და უნდა რაღაც იღონოს, რომ ეს არ მოხდეს. მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს მსახიობთა პირადი გრძნობები, ექვიანობა, პატივმოყვარეობა და რაიმე ხერხი უნდა იხმაროს, რომ ამ ბუნებრივმა ეგოიზმმა პიესის წონასწორობა არ დაარღვიოს. უნდა მიაქციოს ყურადღება იმასაც, რომ ყველა როლს თავისი ადგილი აქვს და ერთმა მსახიობმა წინ არ უნდა წამოსწიოს თავისი როლი სხვების ხარჯზე. რეჟისორმა იცის, როდის აჩქარდეს ან როდის შენელებს ტემპი, როდის შესრულდეს ტექსტი ძლიერად ან როდის -- სუსტად, როდის გადაამეტოს მსახიობმა და როდის დააკლოს ზომას. უნდა შეხედოს დეკორაციებს და ნახოს თუ გამოდგება პიესისათვის. უნდა შეარჩიოს კოსტიუმები მსახიობებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მსახიობ ქალებს, რომლებიც ყოველთვის ამჯობინებენ ლამაზად ჩაიცვან, თუნდაც ამას მათი როლი არ საჭიროებდეს. განათებაზეც მან უნდა იზრუნოს. რეჟისორობა ისეთი საქმეა, ანუ ხელოვნება, რომელიც ტექნიკური მხარის ზედმიწევნით ცოდნას მოითხოვს. მას უფრო მეტად სჭირდება ტაქტი, სიმშვიდე, კარგი ხასიათი, სიმტკიცე და მოქნილობა. მე თვითონ კი არც საამისო ცოდნა გამაჩნდა და არც რეჟისორისთვის საჭირო თვისებები. ენაც შებმებოდა და კიდევ ერთი უბედურებაც მჭირდა: როდესაც პიესას დავწერდი და გადაბეჭდილს შევასწორებდი, მის მიმართ ინტერესი მიქრებოდა. ის კი მაინტერესებდა გამეგო, სცენაზე როგორი გამოვა-მეთქი, მაგრამ ისევე როგორც ძუ ძალლი აღარ მიეკარება საკუთარ ლეკვს, თუკი ვინმემ ხელში აიგვანა, ისე მეც აღარ შემეძლო ჩემი პიესების მიმართ ძველებური ინტიმური სიახლოვე მეგრძნო მას შემდეგ, რაც სხვის ხელში გამოივლიდა. ხშირად უსაყვედურებიათ, ძალიან დამყოლი ხარ და რეჟისორები ადვილად გერევიან, როცა მათი აზრი შენას არ ემთხვევათ; საქმე ის იყო, რომ ყოველთვის მეგონა, სხვებმა უკეთ იციან-მეთქი. არ ნიყვარდა დავა და ჩხუბი, თუ გულს არ მომაყვანინებდნენ, გული კი იშვიათად მომდიოდა და მაინცაღამაინც არაფერზე ვნადვლობდი. ჩემი უკმაყოფილება თეატრით იმიტომ კი არ იზრდებოდა, რომ რეჟისორები ზოგჯერ სუსტები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ რეჟისორი იყო საერთოდ საჭირო.

ახლა კი მაყურებელზე უნდა მოვახსენოთ. შეიძლება უმადურ კაცად ჩამოვალეთ, თუ მადლობის გარდა კიდევ რამეს ვეტყვი იმ მაყურებელს, ვანც დიდება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სახელი და სიმდიდრე მომიტანა, რაც საშუალებას მაძლევს ისე ვიცხოვრო, როგორც მანამდე ცხოვრობდა თავის დროზე. ბევრი მიმოგზაურია. უზარმაზარი ბაღის შუაგულში დგას ჩემი დადი

სახლი, ზღვის ნაპირას, სიმყუდროვეში, სხვა მოსახლეებისაგან მოშორებით. სიცოცხლე ყოველთვის ძალიან მოკლე მეჩვენებოდა და არ შემეტებოდა ისეთ რამეში მეხარჯა დრო, რაც შეიძლებოდა სხვას გაეკეთებინა ჩემთვის ფულათ. საკმაოდ მდიდარი გახლდი და მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რასაც სხვამ ვერ შეძლებდა. შემედლო მეგობრებსაც გავმასპინძლებოდი ან ვისაც მსურდა, და ვხმარებოდი. ყოველივე ამას მაყურებლის კეთილგანწყობილებას უნდა ვუძალოდე, მაგრამ ნელ-ნელა დაგატყვე, რომ სულ უფრო მიჭირდა იმ ადამიანთა ატანა, ვინც თეატრში დადის. აკი მოგახსენეთ, პირველი უსიამოვნო გრძნობა მაშინ დამეუფლა, როდესაც ჩემს ერთ-ერთ პიესას დავესწარი-მეთქი, და იმის ნაცვლად, რომ ეს უსიამოვნო გრძნობა განელეზულიყო, ყოველ ახალ პიესაზე, პირიქით, სულ იზრდებოდა. იმის შეგრძნება, რომ ხალხის ბრბო ჩემს პიესებს უცქერდა, რაღაც უცნაური შიშით მავსებდა. ხშირად გზიდან გადამიხვევია, რომ იმ ქუჩაზე არ გამევილო, სადაც ჩემი პიესა გადიოდა.

დიდი ხანია იმ დასკვნამდე მივედი, რომ მარცხისთვის განწირული პიესების წერას აზრი არა ჰქონდა და მეგონა უკვე ვიცოდი, რანაირად უნდა შემექმნა კარგი ნაწარმოებები. სხვანაირად რომ ვთქვა, უკვე ვიცოდი, რას უნდა ელოდო მაყურებლისაგან: მისი თანამშრომლობის გარეშე ვერაფერს გავაკეთებდი, ხოლო სადამდე შეიძლებოდა შეეტოპა ამ თანამშრომლობას, ესეც კარგად მესმოდა. მაგრამ თავს ვატყობდი, ასეთი რამ სულ აღარ მეპიტნავებოდა. დრამატურგმა მაყურებლის აზრი უნდა გაიზიაროს. ლოპე დე ვეგას და შექსპირის მაგალითი ამის დადასტურებაა. ყველაზე გამბედავი დრამატურგაც კი იმაზე მეტს ვერ იტყვის, რასაც მაყურებელი სიმხდალისა ან სიზარმაცის გამო მხოლოდ გრძნობს და ვერ კი ამბობს. დავიდალე სანახევრო სიმართლის თქმით, მაყურებელი კი იმაზე მეტს არ საჭიროებდა. თავი მომაბეზრა იმ სისულელემ, რომლის წყალობითაც ცხოვრებაში ყველაფრის თქმა შეიძლება, სცენაზე კი — აკრძალულია. დამდალა თემების მოთავსებამ დაწესებულ ზომებში, უსაშველო გაგრძელებამ ან უღმობელმა შეკვეცამ, რადგან კარგ პიესას განსაზღვრული ზომა უნდა ჰქონოდა. მომწყინდა სულ იმის ცდაში ყოფნა, რომ მოსაწყენი არ ვყოფილიყავი. ერთი სიტყვით, აღარ მინდოდა დრამისთვის აუცილებელ პირობითობასთან საქმე დამეჭირა. ერთხანს ექვიც შემეპარა, მაყურებლის გემოვნების გასაღები ხომ არ დავკარგე-მეთქი, და დასარწმუნებლად რამდენიმე ისეთ დადგმას დავესწარი, რომელიც წარმატებით გადიოდა ქალაქში. მოსაწყენი მეჩვენა. იმ ხუმრობებზე, კმაყოფილი მაყურებელი რომ იცინოდა, არც კი მედიმებოდა, ხოლო ის სცენები, როცა ხალხი ცრემლებად იღვრებოდა, არც კი მალეღვებდა. ამან მოთმინების ფიალა ამივსო.

ვოცნებობდი პროზაიკოსის თავისუფლებაზე და სიამოვნებით ვფიქრობდი იმ განმარტოებულ მკითხველზე, რომელიც თავისი სურვილით ისმენდა ჩემს სათქმელს, ვისთანაც შეიძლებოდა ძალიან ახლოს ვყოფილიყავი, რაც ხალხმრავალ, განათლებულ თეატრში შეუძლებელია. ძალზე ბევრი დრამატურგი მინახავს, ვისი სახელიც მის სიცოცხლეშივე დავიწყებას მისცემია. ისინი წერდნენ და წერდნენ ახალ-ახალ პიესებს და ბაიბურშიც კი არ იყვნენ, რომ დრო გამოიცვალა. მინახავს სხვანი, რომლებიც ცდილობდნენ თანამედროვეობის სულს ჩასწვდომოდნენ და როგორ ღონდებოდნენ ხოლმე, როდესაც მათ ამ ცდას დაცინვა მოჰყვებოდა პასუხად. მინახავს ცნობილი ავტორები, რომელთაც

ცუდად ეპყრობოდნენ იგივე ანტრეპრენერები, ცოტა ხნის წინ ამ ავტორებს კონტრაქტებით თავს რომ აბეზრებდნენ. გამიგონია მსახიობთა დამცინავი შენიშვნებიც ასეთი ავტორების მიმართ. მინახავს ამ მწერლების დაბნეულობა, ძრწოლვა და სიმწარე, როდესაც იგებდნენ, რომ მაყურებლებს მსახიობთა აღარ სჭირდებოდა. თავის დროზე ძალიან ცნობილმა არტურ პინურომ და ჰენრი არტურ ჯოუნსმა ზუსტად ერთი და იგივე სიტყვები მითხრეს, — ერთმა უღიმღამო, დამცინავი ღიმილით, ხოლო მეორემ მწარე გოცვებით. ეს სიტყვები იყო: „მათ აღარ ვუნდივარ“. მეც გადავწყვიტე, ჩათრევას ჩაყოლა სჯობია-მეთქი და დროზე წამოვედი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



საქუელ ბეჭეტი

გოგოს მოლოდინი

(ტრაგიკომედია 2 მოქმედებად)

ფრანგულიდან თარგმნა
თამილა ცინცაძემ

მოქმედი პირნი

ესტრაგონი (გოგო)	პოცო
ვლადიმირი (დიდო)	ბიჭი
ლაკი	

პირველი მოქმედება

სოფლის გზა. ხე.

ესტრაგონი მიწაზე ზის და ცდილობს გაიძროს ფეხსაცმელი, წვალობს, ხვნიშის, ძალაგამოცლილი შეჩერდება. დაუშვებს ხელებს, სულს იბრუნებს, ისევ ეჭიდება. შემდეგ ყველაფერი ეს შეორდება.

შემოდის ვლადიმირი.

ესტრაგონი (ისევ დაუშვებს ხელებს). თუ გინდა, თავი მოიკალი... არაფერი გამოვა.

¹ გოგო და დიდო — ზედმეტი სახელები, ორი მოხუცი ვაჟისა. ფრანგულ ენაზე, ფამილარულად ან ალტერსიანად მიზართვის დროს ადამიანის სახელის რომელიმე მარცვალს აორმაგებენ. მაგ. მიშელ — მიშე; ვილბერტ — ვიეტ; ასევე — ესტრაგონ — გოგო; ვლადიმირ — დიდო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი (მოკლე, სწრაფი, ბაკუნა ნაბიჯებით უახლოვდება, ფეხებს გაჩაჩხავს და დგება). მეც მაგ ჭკუაზე ვდგები: მთელი სიცოცხლე იხტებოდა არ ვიტყბდი, საკუთარ თავს ჩავჩიჩინებდი, ელადიმირ, გონი მოიხმარე, ათასი ხერხია, ყველა ხომ არ გიცდია-მეთქი, და ისევ ვიბრძოდი... თავს ვიზოგავდი. (დაფიქრდება, იხსენებს, როგორ არ იზოგავდა თავს. ესტრაგონს.) მაშ, შენ ისევ აქა ხარ.

ესტრაგონი. ეგრე გგონია?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა კარგია, რომ დაბრუნდი; მე კი ვფიქრობდი, სულ წავიდა-მეთქი.

ესტრაგონი. მეც ეგრე ვფიქრობდი.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. და აი, ბოლოს მაინც ერთად ვართ, აღგვენიშნა მაინც რამენაირად... (ფიქრობს.) მოდი, ერთი გადაგეხვევი...

ესტრაგონი (გალიზიანებული). ერთი შენცა!

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი (განაწყენებული, ცივად). ნება მიბოძეთ შევიტყო, თქვენმა ბრწყინვალეობამ ღამე სად გაატარა.

ესტრაგონი. ხრამში.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი (გაოცებული). ხრამში? სად ხრამში?

ესტრაგონი (არც ინძრევა). იქ, ხრამში.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. არავის მიუბეგვიხარ?

ესტრაგონი. მცემეს, რა თქმა უნდა, როგორ გადავრჩებოდი.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ისევ ისინი იყვნენ?

ესტრაგონი. ისევ ისინი? რა ვიცი!

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როგორც კი წარმოვიდგენ... რა დღე დაგადგებოდა მთელი ეს წლები... უჩემოდ... ძვლების გროვად იქცეოდი, ეჭვი არ შეგეპაროს.

ესტრაგონი (გაცხარებით). მერე რა?..

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი (ნაღვლიანად). მარტო ერთი კაცი ვერაფერს გახდება. (პაუნა. გამხნეებული.) მეორე მხრივ კი, ვფიქრობ, რაღა დროს ახლა ჩემი სულით დაცემაა-მეთქი, ამაზე აღრევე უნდა მეფიქრა, 1900 წელს, როცა სამყარო ახალგაზრდა იყო.

ესტრაგონი. რა სისულელეს ჩმახავ, მაგას ისა სჯობს, მომეხმარო და გამახდევინო ეს ოხერი.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მე და შენ ხელი ხელს ჩავკიდებდით და ეიფელის კოშკიდან პირველები გადმოვხტებოდით. მაშინ ჯერ კიდევ რიგიანი ხალხი ვიყავით... ახლა უკვე გვიანაა. ახლა იმ სიმაღლეზე აღარც კი აგვიშვებენ. (ესტრაგონი წვალთბს წაიძროს ფეხსაცმელი.) რას აკეთებ?

ესტრაგონი. ფეხზე ვიხდი, რა გაგიკვირდა, შენ არასოდეს გაგიხდია?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ფეხსაცმელს იხდიან ყოველდღე. გული გამიწყალა სულ ამის ჩიჩინმა. რატომ არ მიჯერებ?

ესტრაგონი (საცოდავად). მომეშველე.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა, გტკივა?

ესტრაგონი. გტკივას, გესმით? მეკითხება კიდევ.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი (აღშფოთებით). თითქოს მარტო შენ იტანჯებოდე ამქვეყნად. რა თქმა უნდა, მე რა ანგარიშში ჩასათვლელი ვარ, ერთი მაჩვენა, ჩემს აღვილზე როგორ მოიქცეოდი, რა პანგზე იმღერებდი.

ესტრაგონი. შენ რა, შენც გტკივა?

ვლადიმირი. გტკივაო? კიდევ რომ მეკითხება...

ესტრაგონი (სალოკ თითს მიაშვერს). მაგრამ ეგ მაინც ვერაფერი მიხეზია, რომ შარვალგახსნილმა იარო.

ვლადიმირი. მართალი ხარ. (დაიხედავს, შარვალს იკრავს.) წერტილებს კრას-სოდეს არ უნდა წაუყრუო.

ესტრაგონი. აბა, რა გითხრა, ყველაფერს ბოლო წუთისთვის გადადებ ხოლმე.

ვლადიმირი (ოცნებობს). ბოლო, უკანასკნელი წუთისთვის, — „ვიცი, იქნება შესანიშნავი, მაგრამ ახდება ძალიან გვიან“... ეს ვინა თქვა?

ესტრაგონი. ეჰ, არ გინდა მომეხმარო?

ვლადიმირი. ზოგჯერ მეჩვენება, აი ის წუთიც მიახლოვდება-მეთქი და მაშინ როგორღაც უცნაურად ვგრძნობ თავს. (ქუდს მოიხდის, ჩახედავს, აფათურებს შიგ ხელს, ბერტყავს და ისევ იხურავს.) როგორ გითხრა, თითქოს გულზე მოგეშვაო და თანაც... (სიტყვებს ეძებს) შეძრწუნებული ხარ. (პათოსით.) შეძრ-წუ-ნებული. (ისევ მოიხდის ქუდს, ჩაპყურებს.) საოცარია. (თითქოს ქუდში რაღაც ჩარჩენიაო, ისევ იყურება შიგ, იხურავს.) რას იზამ!

(ესტრაგონი არაადაშიანური დაძაბვით, როგორც იქნა, იძრობს ფეხსაცმელს, იყურება შიგ, ხელს ჩაყოფს, გადმოთაბრუნებს, მერე მზერა მიწაზე გადააქვს, ხომ არაფერი გადმოვარდაო, ვერაფერს პოულობს, ისევ ყოფს ხელს ფეხსაცმელში და უაზროდ იცქირება სივრცეში).

ვლადიმირი. აბა, რა გაქვს ფეხზე?

ესტრაგონი. არაფერი.

ვლადიმირი. მაჩვენე.

ესტრაგონი. არაფერია საჩვენებელი.

ვლადიმირი. აბა სცადე, იქნებ ისევ ჩაიცივა.

ესტრაგონი (გულმოდგინედ ისინჯავს ფეხს). ცოტა ნიავმა გაუაროს.

ვლადიმირი. აი ესეც ადამიანი, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით: ფეხი სტკივა, ჯავრს კი ფეხსაცმელზე იყრის. (ისევ მოიხდის ქუდს, ჩაპყურებს, ისევ შიგ იქექება, ხელს ურტყამს, ბერტყავს, სულს უბერავს, ისევ იხურავს.) ეს უკვე მაშიხებს კიდევ.

(დუმან. ვლადიმირი ფიქრებში ჩაძირულა. ესტრაგონი ფეხს აქანებს, თითებს ამოდრავებს, რომ პაურმა გაუაროს.) იმ ავაზაკებიდან ერთი გადარჩა. (პაუზა.) მაინც გვარიანი პროცენტია. (პაუზა.) გოგო!

ესტრაგონი. რა გინდა?

ვლადიმირი. რა იქნება, რომ მოვინანიოთ?

ესტრაგონი. რა?

ვლადიმირი. როგორ გითხრა... (დაფიქრდება.) ჩვენ დიდი ახსნა-განმარტებაც არ დაგვჭირდება.

ესტრაგონი. რა, ის, რომ გავჩნდით ამქვეყნად?

(ვლადიმირი ახარხარდება, მაგრამ წამსვე ხელს მუცლის ქვემოთ იტაცებს, სახე ემანჭება, სიცილს იოკებს.)

ვლადიმირი. კაცს ვეღარც კი გაგიცინია.

ესტრაგონი. ოჰ, ოჰ, საშინელი დანაკლისია.

ვლადიმირი. მხოლოდ დიმილი, მხოლოდ! (უეცრად დიმილისაგან პირი ყურე-



მხატვარი ღ. ერისთავი

ზამდე ეჭიშება, თითქოს ნილაბი გადაიკრაო, ღიმილი რამდენიმე წამით შერჩება სახეზე, მერე მოულოდნელად უქრება.) ეს ერთი და იგივე არაა, რას იხამ. (პაუზა.) გოგო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესტრაგონი (გალიზიანებული). კიდევ რაღა გინდა?

ვლადიმირი. ბიბლია წაკითხული გაქვს?

ესტრაგონი. ბიბლია?... (ფიქრობს.) გადამიშლია ოდესღაც.

ვლადიმირი. უღვთოთა სკოლაში?

ესტრაგონი. არ ვიცი ახლა, უღვთოთა იყო, თუ მორწმუნეთა.

ვლადიმირი. სახარება... სახარება თუ გახსოვს?

ესტრაგონი. მე მახსოვს წმინდა მიწის რუკები... ფერადი, ძალიან ლამაზი; მკვდარი ზღვა იყო ღია ცისფერი. ვუყურებდი და — მწყუროდა. და მე ვამბობდი: აი, სად გავატარებთ-მეთქი თავლობის თვეს, ზღვაზე, ბედნიერები.

ვლადიმირი. მუნ პოეტი უნდა ყოფილიყავი.

ესტრაგონი. ვიყავი კიდევ. (თაუის დაკონკილ ტანსაცმელზე მიუთითებს.) არ შემჩნევა? (ღუმილი.)

ვლადიმირი. ჰო, რას ვამბობდი წელან? ფეხი როგორა გაქვს?

ესტრაგონი. თვალდათვალ სივდება.

ვლადიმირი. ჰო, იმ ორ ყაჩაღზე ვყვებოდი. გახსოვს ეს ამბავი?

ესტრაგონი. არა.

ვლადიმირი. გიამბობ, გინდა?

ესტრაგონი. არა.

ვლადიმირი. დრო ასე უფრო მალე გავა. ორი ქურდი მაცხოვართან ერთად გააკრეს ჯვარზე.

ესტრაგონი. ვისთან ერთად?

ვლადიმირი. მაცხოვართან ერთად. ორი ავაზაკი... ერთი, როგორც წერილში ამბობენ, გადაურჩა, მეორე კი... (უძებს „გადაურჩას“ საწინააღმდეგო სიტყვას.) შეაჩვენეს.

ესტრაგონი. რას გადაურჩა?

ვლადიმირი. ჯოჯოხეთს.

ესტრაგონი. მე წავალ... (არ იძვრის.)

ვლადიმირი. მაგრამ... (პაუზა.) როგორღა გამოდის, რომ... იმედი მაქვს თავს არ გაბეზრებ...

ესტრაგონი. არ გისმენ.

ვლადიმირი. მაშ, როგორღა გამოდის, რომ ოთხი მახართბლიდან მხოლოდ ერთი ყვება ასე ამ ამბავს. ოთხივენი ხომ იქ იქნებოდნენ, ან ახლომახლო მაინც. და მარტო ერთი კი ყვება, ერთი ავაზაკი გადარჩაო. (პაუზა.) ჰოდა, მისმინე, გოგო.

ესტრაგონი. გისმენ.

ვლადიმირი. ოთხიდან ერთი აგრე ყვება. დანარჩენი სამიდან ორი საერთოდ არაფერს ამბობს ავაზაკებზე, მესამე კი ამბობს, იმას ორივე ლანძღავდაო.

ესტრაგონი. ვის იმასო?

ვლადიმირი. რაზე მეკითხები?

ესტრაგონი. გამაგებინე, რას ამბობ. (პაუზა.) ვის ლანძღავდნენ?



ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაცხოვარს.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. რატომ?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. იმიტომ, რომ ისინი არ დაიხსნა.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. ჯოჯოხეთისგან?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა დაგემართა! სიკვდილისგან.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. ეგრე მომეჩვენა, თითქოს შენა თქვი, ჯოჯოხეთისგანო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. სიკვდილისგან, სიკვდილისგან.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. მერუდა, რაო?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჰოდა, ეს ნიშნავს, რომ ორივე ჯოჯოხეთური წამებისათვის იყო განწირული.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. ისე, რომ ვთქვათ, რატომაც არა.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაგრამ მეორე მახარობელი რომ ამბობს, მხოლოდ ერთი ავაზაკი გადაურჩაო.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. მერე რა, ერთმა დაინახა ასე, მეორემ დაინახა ისე. მორჩა და გათავდა. შენ რა გაწუხებს?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. კი მაგრამ, განა ოთხივენი იქ არ იყვნენ? გადარჩენილ ავაზაკზე კი მარტო ერთი ლაპარაკობს, რალა ამას დავუჯერო და არა იმ დანარჩენებს?

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. მერე ვინ უჯერებს?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ყველა. ყველამ ეს ვერსია იცის მხოლოდ.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. ადამიანები ბრიყვები არიან.

გაჭირვებით დგება, კოჭლობით მიემართება მარცხნივ, გასასვლელისაკენ შეჩერდება, თვალს ხელით იჩრდილავს, შორს გაიხედავს, სცენას გადაჭრის და მარჯვნივ წავა, შორს გასცქერის. ვლადიმირი თვალს არ აცილებს, მერე მიდის, იღებს მის ფეხსაცმელს, ჩაპყურებს შიგ და სასწრაფოდ აგდებს ძირს).

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ფუჰ! (იფურთხება.)

(ესტრაგონი ბრუნდება და ხალხისაკენ ზურგშექცევით შუა სცენაზე ჩერდება).

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. წარმტაცი ადგილია. (ბრუნდება, რამბასთან ჩერდება, მაყურებლისკენ იხედება.) გადასარევი ხედია. (ვლადიმირს.) წავიდეთ აქედან.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ვერ წავალთ.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. რატომ?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. გოდოს არ ველოდებით?

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. ჰო, მართლა. (პაუზა.) ისე, დარწმუნებული ხარ, რომ აქ უნდა იყოს?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა?

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. რომ აქ უნდა ველოდოთ?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ეგრე თქვა, ხესთანო და... (უყურებს ხეს.) აქ სადმე კიდევ ამჩნევ ხეს?

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. რა ხეა ეს?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა ვიცი, ტირიფი უნდა იყოს.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. მაშ, ფოთლები რატომ არა აქვს?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. გაუხმა ალბათ.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. მეტს აღარ იტირებს.

- ვლადიმერი. ან იქნებ წლის სხვა დროა.
- ესტრაგონი. ჩემი აზრით, ეს ბურქნარი უნდა იყოს.
- ვლადიმერი. ბურქი.
- ესტრაგონი. ბურქნარი.
- ვლადიმერი. მაინც რის თქმა გინდა, სხვაგან მოვედით?
- ესტრაგონი. აქამდე მოვიდოდა.
- ვლადიმერი. დანამდვილებით არ უთქვამს, მოვალო.
- ესტრაგონი. რომ არ მოვიდეს?
- ვლადიმერი. მაშინ ხვალ მოვალთ.
- ესტრაგონი. მერე, ალბათ, ზეგ.
- ვლადიმერი. შესაძლოა.
- ესტრაგონი. და ასე შემდეგ.
- ვლადიმერი. ეს იმას ნიშნავს, რომ...
- ესტრაგონი. ჯერჯერობით არ მოვა.
- ვლადიმერი. დაუნდობელი ხარ.
- ესტრაგონი. გუშინ უკვე ვიყავით აქ?
- ვლადიმერი. ეს კი ნამდვილად გეშლება, არა ვყოფილვართ.
- ესტრაგონი. გუშინ რაღას ვაკეთებდით?
- ვლადიმერი. რას ვაკეთებდით გუშინ?
- ესტრაგონი. ჰო.
- ვლადიმერი. რას გეტყვი, იცი... (გულმოსული.) შენი გადაწყვიდე ყველაფერში დაეჭვებული ვიქნები.
- ესტრაგონი. მგონი, უკვე ვიყავით აქ გუშინ.
- ვლადიმერი. (ათვალღიერებს ირგვლივ). ადგილი გეცნო?
- ესტრაგონი. მე ეგ არ მითქვამს.
- ვლადიმერი. მაშ რა გითქვამს?
- ესტრაგონი. რაც მითქვამს, ერთი მეორეს არ უშლის.
- ვლადიმერი. და მაინც... ეს ხე... (ხალხისკენ მიბრუნდება.) ეს ჭაობია.
- ესტრაგონი. დარწმუნებული ხარ, რომ ამ სადამოსაა?
- ვლადიმერი. რა?
- ესტრაგონი. რომ ამ სადამოს უნდა ველოდოთ.
- ვლადიმერი. შაბათსო, ეგრე თქვა. (პაუზა.) მგონი.
- ესტრაგონი. მგონი! (ცბიერად.) სამსახურის მერეო?
- ვლადიმერი. ალბათ ჩავიწერდი, ვნახავ. (ჯიბეში იქექება, ათასნაირი ნაგვით აქვს გამოტენილი.)
- ესტრაგონი (ცბიერად). მაინც, რომელ შაბათსო. ან შაბათი კია დღეს? იქნებ კვირაა? (პაუზა.) ან ორშაბათი. (პაუზა.) ან პარასკევი.
- ვლადიმერი (გამწარებული აქეთ-იქით იყურება, თითქოს სადღაც პეიზაჟს აწერიდაო დღე და რიცხვი). შეუძლებელია!
- ესტრაგონი. თუ ხუთშაბათია?
- ვლადიმერი. რა ვქნათ?
- ესტრაგონი. გუშინ თუ ის უკვე იყო აქ და ვერ გვნახა, დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდე, დღეს აღარ მოვა.
- ვლადიმერი. მაგრამ შენ ხომ ამბობ, აქ გუშინ ვიყავითო.

ესტრაგონი. იქნებ ვცდებოდე. (პაუზა.) მოდი, ჩუმად ვიყოთ ერთხანს.

ვლადიმირი (ჩაფარდნილი ხმით.) კარგი.

(ესტრაგონი მიწაზე ჯდება. ალგუნებული ვლადიმირი ბოლთასა სცემს, დრო-
დადრო ჩერდება, სადღაც შორს იყურება, პორიზონტს გასცქერხს. ესტრაგონს
ჩაეძინება. ვლადიმირი ესტრაგონს გვერდით დაუდგება. *შეიშინებო!* გოგო!
(ესტრაგონი წამსვე იღვიძებს).

ესტრაგონი (ფხიზლდება, სინამდვილეს უბრუნდება. თავისი მდგომარეობის
მთელ სიმძიმეს გრძნობს.) მეძინა. (საყვედურით.) რატომ არასოდეს არ
მაძინებ?

ვლადიმირი. ისეთი სიმარტოვე ვიგრძენი...

ესტრაგონი. სიზმარი ვნახე.

ვლადიმირი. არ მიაშბო.

ესტრაგონი. შესიზმრა, ვითომ...

ვლადიმირი. ნუ მიყვები...

ესტრაგონი (მკლავს შლის და თითქოს მთელ ქვეყნიერებაზე მიუთითებს).

აბა, მარტო ეს გეყოფა? (პაუზა.) ვერაფერი თავაზიანობაა. შენ თუ არა, სხვას
ვის გავანდო ჩემი იღუმალის კოშმარები.

ვლადიმირი. იღუმალის დაე, ისევ იღუმალად დარჩეს. ხომ იცი, ვერ ვუძლებ
მაგვებს.

ესტრაგონი (ცივად). ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები, ხომ არ აჯობებდა,
ჩვენ-ჩვენი გზით წავსულიყავით-მეთქი?

ვლადიმირი. შორს კი წახვიდოდი.

ესტრაგონი. და ძალიანაც საწყენი იქნებოდა. (პაუზა.) მითხარი, დიდრ, ხომ
ძალიან საწყენი იქნებოდა? (პაუზა.) განსაკუთრებით, როცა წარმოიდგენ,
რა საოცნებო გზაა და რა დიდსულოვანი მგზავრები დაბრძანდებიან. (პაუზა.
ალერსიანად.) განა მართალს არ ვამბობ, დიდრ?

ვლადიმირი. დამშვიდდი.

ესტრაგონი (ალგუნებული). დამშვიდდი... დამშვიდდი... (თითქოს ოცნებობ-
სო.) ინგლისელები ლაპარაკობენ *сăсăм!*¹... ისინი მუდამ *сăсăм*² არიან.
იცი შენ ის ანეკდოტი, ინგლისელი რომ ბორდელში მოხვდა?

ვლადიმირი. ვიცი.

ესტრაგონი. მომიყევი.

ვლადიმირი. თავი დამანებე.

ესტრაგონი. ერთმა ინგლისელმა ზედმეტი გადაჰკრა და ბორდელისაკენ გასწია.
ბორდელის მეპატრონე ეკითხება, როგორი ქალი გინდა — შავგვრემანი, ქერა თუ
წითურიო. დანარჩენი შენ გააგრძელე.

ვლადიმირი. მომეშვი! (ვლადიმირი სასწრაფოდ მიდის.)

(ესტრაგონი წამოდგება, უკან მიჰყვება, მერე ჩერდება და გაჰყურებს მი-
მავალ ვლადიმირს. ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს კრივის გულშემატ-
კივარია და მოასპარეზეს აქეზებსო. ვლადიმირი ბრუნდება, ესტრაგონს გვერ-

¹ მშვიდად.

² მშვიდნა.

დით ჩაუვლის და თავდახრილი შიდის სცენაზე. ესტრაგონი ნაბიჯს გადადგამს მისკენ, შერყვდება.)

ესტრაგონი (ალერსიანად). რამე უნდა გეთქვა ჩემთვის?

(ხმას არა სცემს. ესტრაგონი კიდევ ერთი ნაბიჯით უახლოვდება.)
თქმას აპირებდი? დიდ!

ვლადიმირი (კვლავ უზურგშექცევით დგას). არაფრის თქმას არ ვაპირებდი.

ესტრაგონი (კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს). მიბრაზდები? მაპატიე. (სიჩუმე. კიდევ ერთ ნაბიჯს გადადგამს... ხელს მხარზე ჩამოადებს.) კარგი ახლა, გეყოფა, დიდ. (სიჩუმე.) მომეცი ხელი. (ვლადიმირი შემობრუნდება.) მაკოცე. (ვლადიმირს გული მოუღებება. გადაეხვევიან ერთმანეთს. ესტრაგონი უკან დაიწევს.) რა ნივრის სუნი აგდის!

ვლადიმირი. ნიორი თირკმელებს რგებს. (დუმილი. ესტრაგონი ყურადღებით ათვალიერებს ხეს.) რა ვქნათ ახლა, როგორ მოვიქცეთ?

ესტრაგონი. დაველოდოთ.

ვლადიმირი. და სანამ ველოდებით?

ესტრაგონი. მოდი, თავი ჩამოვიხრჩოთ. (ვლადიმირი რაღაცას უჩურჩულებს ესტრაგონს. ესტრაგონი ძალზე აღელვებულია.)

ვლადიმირი. რა თქმა უნდა, თავისთავად ცხადია. იმ ადგილზე კი, სადაც ის დაეცა, მანდრაგორები ამოვიდა. იმიტომაც ასე ადამიანური ხმით ყვირიან ხოლმე მანდრაგორები, როცა მათ თხრიან. შენ ეს არ იცოდი?

ესტრაგონი. მოდი, ახლავე ჩამოვიხრჩოთ თავი.

ვლადიმირი. ტოტზე? (უახლოვდება ხეს, ათვალიერებს.) ვითომ გაგვიძლებს?

ესტრაგონი. ვცადოთ.

ვლადიმირი. მიდი, აბა, სცადე.

ესტრაგონი. ჯერ შენ სცადე.

ვლადიმირი. პირველად შენ.

ესტრაგონი. რატომ მე?

ვლადიმირი. ჩემზე უფრო მსუბუქი ხარ.

ესტრაგონი. საქმეც ეგ არის.

ვლადიმირი. არ მესმის.

ესტრაგონი. სცადე მაინც, იქნებ გაიგო. (ვლადიმირი ცდილობს გაიგოს, ჩაფიქრდება.)

ვლადიმირი (კატეგორიულად). არ მესმის.

ესტრაგონი. ახლავე აგიხსნი. (ფიქრობს.) როგორ გითხრა, ტოტი, ვესმის... ტოტი... (გაღიზიანებული.) ცოტა ტვინი გაანძრიე!..

ვლადიმირი. მე შენი იმედი მაჭეს, გამაგებინებს-მეთქი.

ესტრაგონი (წვალობს როგორმე გამოთქვას აზრი). გოგო მჩატეა — ტოტი არ მოტყდება. გოგო მოკვდა. დიდი მძიმეა — ტოტი მოტყდება... დიდი — მარტოა. (პაუზა.) მაშინ, როცა... (არჩევს სიტყვებს.)

ვლადიმირი. ეგ კი ველარ ვიფიქრე.

ესტრაგონი (პოულობს სათქმელს). ვისაც შეუძლია ბევრი, იმას ცოტაც შეუძლია.

ვლადიმირი. განა მე შენზე მძიმე ვარ?

ესტრაგონი. შენ თვითონ ეგრე თქვი. მე რა ვიცი. ჰოდა, შანსები თანაბარი გვაქვს, ან თითქმის თანაბარი.



- ვლადიმირი. მაშ, რა გავაკეთოთ?
- ესტრაგონი. მოდი, ნურაფერსაც ნუ გავაკეთებთ, ეგრე უფრო უდავოდ რაბოა.
- ვლადიმირი. დავიცადოთ, ვნახოთ, ის რას გვეტყვის.
- ესტრაგონი. ვინ ის?
- ვლადიმირი. გოდო.
- ესტრაგონი. სწორია.
- ვლადიმირი. დავიცადოთ, სანამ გავარკვევდეთ, რა დღეში ვართ.
- ესტრაგონი. მეორე მხრივ კი, იქნება სჯობდეს პური მაშინ ჩააკრა, როცა თონე ცხელია.
- ვლადიმირი. საინტერესოა, მაინც რას გვეტყვის, ეს ხომ არაფერს არ გვაგალებს.
- ესტრაგონი. კაცმა რომ თქვას, რა ვთხოვეთ?
- ვლადიმირი. იქ არ იყავი, რაც ვთხოვეთ?
- ესტრაგონი. მე ერთ ყურში შევუშვი და მეორეში გავატარე.
- ვლადიმირი. როგორ გითხრა, ისეთი კონკრეტული არაფერი ყოფილა.
- ესტრაგონი. მუდარის მსგავსი იქნებოდა რამე.
- ვლადიმირი. მაგდაგვარი.
- ესტრაგონი. გაურკვეველი თხოვნა?
- ვლადიმირი. დაახლოებით.
- ესტრაგონი. მერე იმან რა გვიპასუხა?
- ვლადიმირი. ვნახოთ.
- ესტრაგონი. ვერაფერს დაგპირდებითო.
- ვლადიმირი. ვიფიქრებო.
- ესტრაგონი. დასვენებულ გონებაზეო?
- ვლადიმირი. შინაურებს მოვეთათბირებო.
- ესტრაგონი. მეგობრებსო.
- ვლადიმირი. რწმუნებულებს.
- ესტრაგონი. კორესპონდენტებს.
- ვლადიმირი. საშემოსავლო უწყისებს.
- ესტრაგონი. მიმდინარე ანგარიშს.
- ვლადიმირი. სანამ რამეს გადავწყვეტო.
- ესტრაგონი. ჰო, ბუნებრივია.
- ვლადიმირი. არა?
- ესტრაგონი. მე მგონია.
- ვლადიმირი. ჭეც. (პაუზა.)
- ესტრაგონი. ჩვენ?
- ვლადიმირი. როგორა თქვი?
- ესტრაგონი. ჩვენ-მეთქი?
- ვლადიმირი. რა ჩვენ, არ შესმის.
- ესტრაგონი. ჩვენ რაღა როლი გვაკისრია?
- ვლადიმირი. როლი?
- ესტრაგონი. ნუ აჩქარდები, იფიქრე და ისე მიპასუხე.
- ვლადიმირი. გვაკისრია? ჩვენ?.. ჩვენ მავედრებლის როლი გვაკისრია. უნდა დავიჩოქოთ, მუხლებზე ვიფორთხოთ.
- ესტრაგონი. ვგრეც დაგვიდგა საქმე?

ვლადიმირი. თქვენს ბრწყინვალეობას რაიმე მოთხოვნა ხომ არა აქვს?
 ესტრაგონი. განა ჩვენ აღარაფრის უფლება არ გვაქვს? (ვლადიმირი იტყვის.
 უიქრად იკავებს სიცილს და როგორც უწინ, ღიმილი პირს ყურებამდე აუჭი-
 მავს.)
 ვლადიმირი. როგორ მაცინებ, აკრძალული რომ არ მქონდეს, გადავიხარხარებდი.
 ესტრაგონი. ნუთუ ყველაფრის უფლება დავკარგეთ?
 ვლადიმირი (მკაფითად, მკვეთრად). ჩვენ თვითონვე დავანიავეთ. (თავჩაქინ-
 დოულები, მუხლმოყრილნი უძრავად დგანან და ხმას არ იღებენ. ხელები უღო-
 ნოდ ჩამოუყრიათ).
 ესტრაგონი (უმწეოდ). ხომ არაფერი გვაკავშირებს (პაუზა.) ჰა? დიდა?
 ვლადიმირი (ჩუმად იყავით, ხელით ანიშნებს). გაიგონე?.. (უჩვეულოდ დაძა-
 ბულ პოზაში გარინდებიან. ყურს მიუგდებენ.)
 ესტრაგონი. ფერაფერი ვერ გავიგონე.
 ვლადიმირი. ჩუ! ჩუ... (უხმენენ. ესტრაგონი წონასწორობას კარგავს და ლამის
 არის დაეცეს. ვლადიმირს ჩაეჭიდება ხელზე. ვლადიმირი დაბარბაცდება. ერთ-
 მანეთს აწყდებიან და თვალეში შეაჩერდებიან ერთიმეორეს.) ვედარც მე.
 (შვებით ამოიხუნთქავენ და, მოშვებულნი, ერთმანეთს სცილდებიან).
 ესტრაგონი. გული გამიხეთქე.
 ვლადიმირი. ის მეგონა.
 ესტრაგონი. ვინ ის?
 ვლადიმირი. გოდო.
 ესტრაგონი. ეჰ, ქარი ყოფილა, ლერწმებს აშრივლებდა.
 ვლადიმირი. ყვირილი გარკვევით გავიგონე.
 ესტრაგონი. რად იყვირებდა?
 ვლადიმირი. ცხენს თუ უჯავრდება-მეთქი. (დუმილი).
 ესტრაგონი. წამო, წავიდეთ.
 ვლადიმირი. სად? (პაუზა.) ამ საღამოს იქნებ იმასთანაც კი დავიძინოთ,
 თბილად, მშრალად, თივაზე, გამომძღრებმა. მგონი ღირს, დავიცადოთ. შენ რას
 იტყვი?
 ესტრაგონი. სადამდე? მთელ ღამეს ხომ არ ვიყურეუტებთ.
 ვლადიმირი. ჯერ კიდევ დღეა. (დუმილი).
 ესტრაგონი. მომშივდა.
 ვლადიმირი. გინდა სტაფილო?
 ესტრაგონი. სხვა არაფერი გვაქვს?
 ვლადიმირი. ერთი-ორი თალგამიც უნდა მქონდეს.
 ესტრაგონი. სტაფილო მოიტა. (ვლადიმირი ჯიბეებში იქექება, თალგამს ამო-
 აძვრენს, ესტრაგონს აწვდის).
 გმადლობთ. (მოკბუნს, საცოდავად.) ეს თალგამია!
 ვლადიმირი. მაპატიე! სტაფილო მეგონა. (ისევ იჩხრეკს ჯიბეებს, მხოლოდ
 თალგამი აღმოაჩნდება.) სულ თალგამებია. (ისევ ეძებს.) ის ალბათ უკანას-
 კნელი იყო, რომ ჭამე. (ეძებს.) მოიცა, ვიპოვე. (როგორც იქნა, ამოაძვრენს
 სტაფილოს და აწვდის ესტრაგონს.) აჰა, ჩემო კარგო. (ესტრაგონი სტაფილოს
 სახელოზე წმენდს და ჭამს.) თალგამი დამიბრუნე. (ესტრაგონი უბრუნებს
 თალგამს.) გამოიზოგე, მეტი აღარა გვაქვს.



ქართული
საქმიანობა

ესტრაგონი (ღეჭავს). წედან რალაცას გეკითხებოდი.

ვლადიმირი. პოო?

ესტრაგონი. თუ გახსოვს, ძიპასუხე რამე?

ვლადიმირი. გემრიელია სტაფილო?

ესტრაგონი. ტკბილია.

ვლადიმირი. პოდა, ძალიან კარგი, ძვირფასო. ძალიან კარგი. (პაუზა.) წედან კი რა მკითხე?

ესტრაგონი. აღარ მახსოვს. (ღეჭავს სტაფილოს.) გულზე ვსკდები, რამ დამავიწყა. (კმაყოფილი ათვალეფრებს სტაფილოს, თითებში ატრიალებს.) სანატრელი სტაფილოა (დაფიქრებული წუწნის სტაფილოს.) დაიცა, დაიცა, გამახსენდა. (მოაკვნეტს.)

ვლადიმირი. აბა?

ესტრაგონი (პირი სტაფილოთი აქვს სავსე). ხომ არაფერი გვაკავშირებს-მეთქი?

ვლადიმირი. ვერ მივხვდი, რაზე მგეკითხები.

ესტრაგონი (ღეჭავს მორჩება, გადაყლაპავს). ხომ არაფერი გვაკავშირებს-მეთქი?

ვლადიმირი. გვაკავშირებს?

ესტრაგონი. გვა-კავ-ში-რებს.

ვლადიმირი. როგორ თუ გვაკავშირებს, ვისთან, რა?

ესტრაგონი. ხელ-ფებს ხომ არ გვიბორკავს-მეთქი.

ვლადიმირი. ვინ?

ესტრაგონი. აი, ის... შენი ბერიკაცი.

ვლადიმირი. გოდო? ეგ როგორ იფიქრე. გოდო ხომ არ გვიბორკავს ხელ-ფებს? არაფერიც. (პაუზა.) ჯერ მაინც არა.

ესტრაგონი. იმას გოდო ჰქვია?

ვლადიმირი. გოდო უნდა ერქვას, ჩემი აზრით.

ესტრაგონი. წარმოგიდგენია! (სტაფილოს ნარჩენს ხელში ატრიალებს.) ძირში სულ უფრო და უფრო მეუგემურება.

ვლადიმირი. მე კი პირიქით.

ესტრაგონი. როგორ პირიქით?

ვლადიმირი. მადა ჭამაში მომდის ხოლმე.

ესტრაგონი (კარგა ხნის ფიქრის შემდეგ). შენი პირიქით ეგ არის?

ვლადიმირი. ეს ტემპერამენტზეა დამოკიდებული.

ესტრაგონი. ხასიათზე.

ვლადიმირი. საკუთარ თავს ვერსად გაუქცევი.

ესტრაგონი. რამდენიც გინდა ნერვები დაიწყვიტო, არა?

ვლადიმირი. რაცა ხარ, ისევე ის დარჩები.

ესტრაგონი. ცხრა ტყავიც რომ გაგძვრეს.

ვლადიმირი. შინაგანი ბუნება არ იცვლება.

ესტრაგონი. რას იზამ; (სტაფილოს აწვდის ვლადიმირს.) ხომ არ შეჭამ?

(სადღაც სულ ახლოდან შემზარავი ყვირილი მოისმის. ესტრაგონს სტაფილო ხელიდან უვარდება. ჯერ ადგილზე გაქვავდება ორივე, შემდეგ კი უკან ბრუნდებიან; ესტრაგონი ძირს დავარდნილ სტაფილოს იღებს, ჯიბეში იტენის და

გარბის ვლადიმირისაკენ, რომელიც მას ელოდება, მაგრამ ხელახლა ჩერდება, ახლა ფეხსაცმელს დასწვდება, აიღებს და კვლავ ვლადიმირისკენ ვარის. თავი მხრებში ჩაურგავთ, ერთმანეთს მიკრულები დგანან და მოსალოდნელ საფრთხეს ელიან. შემოდინ პოცო და ლაკი. პოცო ლაკი, მოდუნებს. ქვეყნის კისერზე თოკგამობმული ლაკი გამოჩნდება სცენაზე, შემდგომში ჩნდება ლაკი სცენის შუამდე მიაღწევს, კულისებიდან გამოჩნდება პოცო. ლაკი საკუც სკამს, სანოვაგით სავსე კალათს, პოცოს პალტოსა და მძიმე ჩემოდანს მიათრევს. პოცოს ხელში მათრახი უჭირავს).

პოცო (კულისებიდან). გაინძერი, გადადგი ნაბიჯი! (მათრახს ატკაცუნებს, სცენაზე გამოჩნდება. მთელ სცენას გაივლიან. ლაკი ჩაუვლის ვლადიმირს და ესტრაგონს და კულისებში მიიშალება. პოცო კი მათ დანახვაზე შეჩერდება. თოკი დაიჭიმება. პოცო უხეშად დაქაჩავს თოკს.) უკან!

(ისმის მთელი თავისი ბარგი-ბარხანით როგორ მოადენს ლაკი ბრაგვანს მიწაზე. ვლადიმირი და ესტრაგონი მისკენ მიბრუნდებიან, უყურებენ, ერთი სული აქვთ მივხმართნ ლაკის და თანაც შიშობენ, ისეთ რამეში არ გავერიოთ, რაც ჩვენ არ გვეხებათ. ვლადიმირი ნაბიჯს გადადგამს. ესტრაგონი სახელოზე დაეჭიდება).

ვლადიმირი. გამიშვი!

ესტრაგონი. შენს ქერქში დაუტიე.

პოცო. ფრთხილად! იცოდეთ, ეგ ბრაზიანია! უცხო ხალხი დიდად არ ეპიტნავება. (ესტრაგონი და ვლადიმირი პოცოს მისჩერებიან).

ესტრაგონი. ეს ის არის?

ვლადიმირი. ვინ ის?

ესტრაგონი (ცდილობს გაიხსენოს სახელი). აი ის... შენი ის...

ვლადიმირი. გოდო?

ესტრაგონი. პო.

პოცო. ნება მიბოძეთ გაგეცნოთ: მე განლაგართ პოცო.

ვლადიმირი. შეუძლებელია, ეგ როგორ?

ესტრაგონი. გოდო, თქვა.

ვლადიმირი, არა-მეთქი.

ესტრაგონი (პოცოს). ბატონო, თქვენ ბატონი გოდო არა ბრძანდებით?

პოცო (მგრგვინავი ბანით). მე ვარ პოცო. (სიჩუმე.) როგორ, თქვენთვის ეგ არა-ფერია? (დუმილი.) თქვენ გეკითხებით, ეს სახელი არაფერია თქვენთვის?

(ვლადიმირი და ესტრაგონი ერთმანეთს გაკვირვებით გადახედავენ. სიჩუმე.)

ესტრაგონი (თავს ისე აჩვენებს, თითქოს მოგონებას ცდილობს). პოცო... პოცო...

ვლადიმირი (ისეთივე გამომეტყველებით). პოცო...

პოცო. პპოცოცო!

ესტრაგონი. აჰ, პოცო... დიახ, დიახ... პოცო...

ვლადიმირი. პოცო თუ პოცო?

ესტრაგონი. პოცო, პოცო. არა, რაღაც არ მაგონდება.

ვლადიმირი (ცდილობს აამოს). ოდესღაც მე ერთ გოცოს ოჯახს ვიცნობდი. ძალუა გოცოს მეჭეჭი ჰქონდა... (პოცო მათ განრისხებული უახლოვდება.)

ესტრაგონი (საჩქაროდ). ჩვენ, ბატონო, აქაურები არ განლაგართ.

პოცო. ასეა თუ ისე, მაინც, მგონი, ადამიანები უნდა ჩანდეთ. (სათვალეს იკეთებს.)

და როგორც ვხედავ (იხსნის სათვალეს, მგრგვინავი ხმით ართხროხდება), ჩემი-
ვე ჯიშისა... პოცოს ჯიშისა! „მსგავსებისამებრ ღვთისა და ხატებისამებრ
ღვთისა“.



ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჩვენ, ბატონო...

პოცო (მკვეთრად). ვინ არის გოდო?

ესტრაგონი. გოდო?

პოცო. თქვენ მე გოდოსგან ვერ განმასხვავეთ?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როგორ გეკადრებათ, ბატონო, არც ერთი წუთით...
არც გვიფიქრია.

პოცო. ვინ არის გოდო?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როგორ გითხრათ... ისე, ერთი ნაცნობია.

ესტრაგონი. ნაცნობი კი არა! თითქმის სულაც არ ვიცნობთ.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. დიახ, მართალია, კარგად კი არ ვიცნობთ, მაგრამ მაინც...

ესტრაგონი. მე, პირადად, რომ შემხვედროდა, ვერ ვიცნობდი.

პოცო. და მე ის გეგონეთ?

ესტრაგონი (უკან იხევს). ეს ყველაფერი იმიტომ, რომ... ბნელა... ჩვენი დაქან-
ცულობა... დაძაბული მოლოდინი... ისე, მზად ვარ ვაღიარო, რომ... ერთი წუ-
თით, მართლაც... მომეჩვენა, თითქოს...

პოცო. დაძაბული მოლოდინი? მაშასადამე, მას ელოდით?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა მოგახსენოთ... ჩვენ...

პოცო. და თანაც აქ, ჩემს მამულში?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ცუდს არაფერს ვაპირებდით.

ესტრაგონი. მხოლოდ კეთილი განზრახვა გვქონდა.

პოცო. გზა არავისთვის არაა დაკეტილი.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჩვენც აგრე ვფიქრობდით.

პოცო. აგრეა, ცხადია, მაგრამ ეგ მაინც სირცხვილია.

ესტრაგონი. რას იზამთ.

პოცო (დიდსულოვნად). კმარა, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ (დაქაჩავს თოკს.)
ადექი! (პაუზა.) დაეგდება თუ არა, მაშინვე უნდა ჩაყვინთოს. (ქაჩავს თოკს.)
აეთრიე, შე პირუტყვო. (იხმის, როგორ წამოდგება ლაკი და აგროვებს თავის
ბარგი-ბარხანას. პოცო თოკს ეწევა.) უკან-მეთქი! (უკუსულით შემოდის ლაკი.)
შესდექ! (ლაკი შეჩერდება.) მობრუნდი! (ლაკი შემობრუნდება. პოცო თავაზია-
ნად მიმართავს ვლადიმირს და ესტრაგონს.) გზა ისე გრძელი გეჩვენება, როცა
მართლმართო გაუყვები, მთელი (საათს დაჰყურებს.) მთელი, (ითვლის
ჩუმად.) ექვსი საათი. დიახ, სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, მთელი ექვსი
საათი და გზად ერთი სულდგმულიც არ გაიჭაჭანებს. (ლაკის.) პალტო მომა-
წოდე! (ლაკი ჩემოდანს ძირს დგამს, უახლოვდება პოცოს, აწვდის პალტოს,
უკან ბრუნდება და ისევ ჩემოდანს დასწვდება.) ეს დამიკავე. (პოცო მათრახს
ვაუწოდებს, ლაკი უახლოვდება, მაგრამ რაკი ორივე ხელი დაკავებული აქვს,
კბილებით ართმევს მათრახს და ისევ უკან იხევს. პოცო ცდილობს ჩაიცვას
პალტო, შეჩერდება.) ჩამაცვი! (ლაკი ყველაფერს მიწაზე აწყობს, უახლოვ-
დება, აცმევს პალტოს, უკანვე ბრუნდება და იღებს თავის ტვირთს.) უკვე
სიცივე იგრძნობა. (პალტოს იკრავს, იხრება, აიხუდ-დაიხუდავს, სწორდება.)

მათრახი! (ლაკი უახლოვდება, მის წინ მდაბლად იხრება. პოცო უხეშად გამოგლეჯს კბილებიდან მათრახს... ლაკი უკან-უკან იხევს).

უნდა მოგახსენოთ, მეგობრებო, რომ მიჭირს ჩემი მსგავსი ხალხის უმისოდ. (სათვალეს იკეთებს, ორივეს ათვალეირებს მის მსგავსებზე.) უფროდ მაშინაც კი მიჭირს, როცა მსგავსება მიახლოებითია. (იძრობს სახეზე ლაკის.) სკამი! (ლაკი მიწაზე დგამს ჩემოდანსაც, კალათსაც, უახლოვდება, შლის სკამს, გაბრუნდება, ისევ იღებს ჩემოდანს და კალათს. პოცო ჯდება, მათრახის ტარს მკერდზე მიაბჯენს ლაკის, შემდეგ ტარითვე უკან მიაგდებს.) მიიწიე! (ლაკი უკან იხევს.) კიდევ! (ლაკი კიდევ იხევს უკან.) გეყოფა! (ლაკი გაშეშდება. ვლადიმირს და ესტრაგონს.) ამიტომაც, თქვენი ნებართვით, ერთხანს თქვენთან დავყოფ, სანამ ხელახლა გზას გავუდგებოდე. (ლაკის.) კალათი მომართვი! (ლაკი უახლოვდება. მიართმევს კალათს და თავის ადგილზევე ბრუნდება.) სუფთა ჰაერი მადას მიღიზიანებს. (კალათს თავს მოხსნის, ამოიღებს წიწილს, პურს და ერთ ბოთლ ღვინოს. ლაკის.) კალათი მომაშორე! (ლაკი უახლოვდება, აიღებს კალათს, ოდნავ უკან იხევს და ადგილს მიუყინება.) იქით! (ლაკი უკან იხევს.) კმარა! (ლაკი გაშეშდება.) ყარს ეს ოხერი. (გულიანად მოსვამს ბოთლიდან ღვინოს.) თქვენ გაგიმარჯოთ! (ბოთლს მიწაზე დგამს. ჭამს.)

(სიჩუმეა. ცოტა მოთამაშებული ესტრაგონი და ვლადიმირი გარს უვლიან ლაკის, თავიდან ფეხებამდე ათვალეირებენ. პოცო ხარბად ნთქავს წიწილს და სანამ ძვალს გადასაგდებად გაიმეტებდეს, წიწკნის თავგამეტებით. ლაკის ნელ-ნელა მუხლები ეკეცება, მაგრამ როგორც კი კალათი და ჩემოდანი მიწას შეეხება, შეკრთება, სწორდება და შემდეგ ისევ ნელ-ნელა ეკეცება მუხლები. მთელი სხეული ისე ერწევა, თითქოს ზეზეურად სძინავსო.)

ესტრაგონი. რა ემართება?

ვლადიმირი. დაიღალა ალბათ.

ესტრაგონი. ტვირთს რატომ ძირს არ დადგამს?

ვლადიმირი. მე რა ვიცი! (სულ ახლოს მიდიან.) ფრთხილად!

ესტრაგონი. გამოფულაპარაკო?

ვლადიმირი. ერთი შეხედე. (ანიშნებს.) კისერზე შეხედე.

ესტრაგონი (უყურებს კისერზე). ვერაფერს ვამჩნევ.

ვლადიმირი. აბა ჩემს ადგილზე დადექი.

(ესტრაგონი ვლადიმირის ადგილზე გადაინაცვლებს.)

ესტრაგონი. უპ!

ვლადიმირი. კისერი ერთიანად გადაყვლეფილი აქვს.

ესტრაგონი. თოკისგან.

ვლადიმირი. პო, თოკი უხეხავს.

ესტრაგონი. აბა რა იქნება.

ვლადიმირი. ეს უკვე იარაა, და თანაც საშიში.

ესტრაგონი. თან ზედ რამხელა კვანძი ადევს. (ისევ თავიდან ფეხებამდე ათვალეირებენ. ლაკის სახეში შეაჩერდებიან).

ვლადიმირი. კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის ულამაზო.

ესტრაგონი (მხრებს იჩეჩავს, იმანჭება). ვითომ?



ვლადიმირი. ეგ არის, რომ ცოტა მოშვებულია.

ესტრაგონი. დორბლიანია.

ვლადიმირი. უჭერს თოკი.

ესტრაგონი. შეხედუ, პირზე ჭაფი მოადგა.

ვლადიმირი. იქნება იდიოტია.

ესტრაგონი. კრეტიანია.

ვლადიმირი (აკვირდება). მგონი, ჩიყვი უნდა პქონდეს.

ესტრაგონი (ისიც აკვირდება). დანამდვილებით ვერ იტყვი.

ვლადიმირი. თითქოს სული ესუთებაო.

ესტრაგონი. აბა რა იქნება!

ვლადიმირი. თვალეზვც დააკვირდი.

ესტრაგონი. რა სჭირს თვალეზვ?

ვლადიმირი. სადაცაა ბუდიდან გადმოუცვივა.

ესტრაგონი. ახლავე გასძვრება სული.

ვლადიმირი. ვინ იცის! (პაუზა.) ჰკითხე აბა რამე.

ესტრაგონი. ღირს კი?

ვლადიმირი. რა გეხარჯება.

ესტრაგონი (გაუბედავად). ბატონო...

პოცო. თავი დაანებეთ. (ისინი პოცოსკენ მოტრიალდებიან. პოცო მორჩა ჭამას და ხელუკუღნა იწმუნდს პირს.) ვერ ხედავთ, დაღლილია და დასვენება სჭირდება. კალათი აიღე! (ასანთს გაჰკრავს და ჩიბუხს მიუახლოებს. ლაკი წიწილის ძვლებს დაინახავს და ხარბად დააჩერდება. ადგილიდან არ იძვრის. პოცო ასანთს ესვრის ლაკის და თოკს ეწვევა.) არ გესმის, ღორთ, კალათი მოაშორე-მეთქი! (ლაკი დაბარბაცდება, გონს მოდის, უახლოვდება პოცოს, იღებს კალათს, ჩადგამს შიგ ბოთლს და ისევ ძველ ადგილს უბრუნდება. ესტრაგონიც ხარბად დაჰყურებს ძვლებს. პოცო კიდევ ერთხელ გაჰკრავს ასანთს და ჩიბუხს უკიდებს.) მოდი და ამის იმედით იცხოვრე. არაფრისათვის არ უქნია ღმერთს. (ეწვევა, კვამლს გამოუშვებს, უფრო მოხერხებულად ჯდება.) აი, ახლა კი კარგად ვარ.

ესტრაგონი (გაუბედავად). ჩემო ბატონო...

პოცო. რაო, გეთაყვა?

ესტრაგონი. მამ... თქვენ ხომ აღარ... ხომ აღარ დაგჭირდებათ ეს ძვლები?

ვლადიმირი (აღშფოთებით). რამე დაგემართებოდა, რომ მოგეთმინა?

პოცო. რა უჭირს შერე, შეკითხვის ნება ყველასა აქვს. მჭირდება თუ არა მე ეს ძვლები? (მათრახის ტარით ქექავს ძვლებს.) არა, პირადად მე აღარ მჭირდება. (ესტრაგონი ნაბიჯს გადადგამს.) მაგრამ... (ესტრაგონი ჩერდება.) მაგრამ, წესით ისინი ახლა ჩემს მსახურს ეკუთვნის და, ცხადია, მე კი არა, მას უნდა დაეკითხოთ. (ესტრაგონი ლაკის მიუბრუნდება, კითხვა ვერ გადაუწყვეტია.) ჰკითხეთ, ჰკითხეთ, ნუ გერიდებათ, ყველაფერზე გიპასუხებთ. (ესტრაგონი ლაკის უახლოვდება, მის წინ შეჩერდება.)

ესტრაგონი. ჩემო ბატონო... უკაცრავად... ბატონო... (ლაკი ყურადღებას არ აქცევს. პოცო მათრახს გაატკაცუნებს, ლაკი თავს მაღლა აიღებს.)

პოცო. შენ ვეკითხებიან, პირუტყვო, უპასუხე! (ესტრაგონს.) ჰკითხეთ, ხელახლა ჰკითხეთ.

ესტრაგონი. ჩემო ბატონო, უკაცრავად, გჭირდებათ ეს ძვლები? (ლაკი დაფინებულ მზერას არ აშორებს ესტრაგონს.)

პოცო (აღტაცებულია). ბატონო, აღარ შემიძლია! (ლაკი თავს დახრის.)/ამოშაქრე, გინდა თუ არა? (ლაკი დუმს. ესტრაგონს.) თქვენი ესტრაგონი მივარდება და ღრღნის ძვლებს.) უცნაური ამბავია. ჯერ არ მახსენებდნენ ძვლებზე უარი ეთქვას. (შეშფოთებული აკვირდება ლაკის.) ისღა აკლია, ოინი მიყოს და ჩემი სათრევი გახდეს, ავადმყოფი. (ამოიღებს ჩიბუხს.)

ვლადიმირი (იფუთქებს). თავლაფის დასხმაა და მეტი არაფერი! (სიჩუმე. ესტრაგონი ძვლებს თავს ანებებს და გამტერებული შეპყურებს ხან პოცოს, ხან ვლადიმირს. პოცო მშვიდადაა. ვლადიმირი უფრო და უფრო ირევა.)

პოცო (ვლადიმირს). თქვენ რაიმე კონკრეტული გაქვთ მხედველობაში?

ვლადიმირი (თავგანწირული გამბედაობით, ბორძიკით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად). ასე მოეპყრო... ადამიანს... მე მიმაჩნია, რომ... ადამიანისათვის ეს... არა... ეს სამარცხვინოა, თავლაფის დასხმაა!

ესტრაგონი (არ სურს ჩამორჩეს ვლადიმირს). თავის მოჭრაა! (კვლავ ძვლებს მიუბრუნდება, ხრავს.)

პოცო. რა ძალიან მომთხოვნი ყოფილხართ. (ვლადიმირს.) კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ და რამდენი წლისა ხართ? (სიჩუმე.) სამოცის? სამოცდაათის? (ესტრაგონს.) მაინც რა ხნისა იქნება?

ესტრაგონი. მას ჰკითხეთ!

პოცო. თავმდაბლობა, შესაძლოა, მართლაც, თავზე არ გადამდის. (ჩიბუხს მათრახის ტარს ურტყამს, გადმოხერტყავს და წამოდგება.) ჩემი წასვლის დროც მოვიდა. კომპანიისთვის მადლობას მოგახსენებთ. (დაფიქრდება.) ხომ არ აჯობებდა, ერთიც გამებოლებინა. თქვენ რას იტყვით? (ხმას არ იღებენ.)

არა, საერთოდ ცოტას ვეწვევი. ორჯერ ზედიზედ ჩემს დღეში არ მომიწევია. ეს (ხელს გულზე მიიდებს.) გულისცემას მიჩქარებს. ათასი სიფრთხილის მიუხედავად ნიკოტინი მაინც შეიწოვება (ოხრავს.) მაგრამ რას იზამ.

(დუმილი.) მაგრამ იქნებ თქვენ არ ეწვევით? ბოლოს და ბოლოს, ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს. (სიჩუმე.)

კი, მაგრამ, როგორ დაჯდა ისე, რომ ბუნებრივი გამოვიდეს. ახლა, როცა უკვე ავდექი... რომ არ ვაფიქრებინო, თითქოს, მე... როგორ ვთქვა... რომ თითქოს არაქათი გამომეცალა. (ვლადიმირს.) თქვენ, ვგონებ, რალაცა თქვით. (სიჩუმე.) თუ არაფერი გითქვამთ? (სიჩუმე.) ამას მნიშვნელობა არა აქვს. ვნახოთ... (ჩაფიქრდება).

ესტრაგონი. ვწამე. ესეც ასე. ასე არ სჯობს! (ძვლებს ჯიბეში იტენის).

ვლადიმირი. წავიდეთ.

ესტრაგონი. უკვე?

პოცო. ერთ წუთს მოითმინეთ, თუ შეიძლება (ქაჩავს თოკს. ლაკის.) სკამი! (მათრახით ანიშნებს სკამზე. ლაკი სკამს გადმოდგამს.) უფრო ახლოს! საკმარისია! (ისევ ჯდება).

(ლაკი თავის ადგილზევე ბრუნდება და ჩემოდანსა და კალათს იღებს ხელში). აი, ისევ დაჯექი. (ჩიბუხს ხელახლა ტენის).

ვლადიმირი. წავიდეთ.

პოცო. მგონი, მე არ გაგდებთ. რა გეჩქარებათ, დარჩით კიდევ ცოტა ხანს, იქნებ არ ინანოთ.

ესტრაგონი (რალაც სახეირო იგრძნო). ჩვენ არ გვეჩქარება.

პოცო (აბოლებს). პირველს მაინც სულ სხვა გემო აქვს. (ჩიბუხს პირიდან გამოიღებს.) მე მინდა ვთქვა, რომ მეორე ვერაა ის, რაც პირველი. (ისევ პირში იღებს ჩიბუხს.) მაგრამ მაინც სასიამოვნოა.

ვლადიმირი. მე მივდივარ.

პოცო. ჩემი ატანა აღარ შეუძლია. არა, რა თქმა უნდა, დიდი გულკეთილი კაცი არ მეთქმის, მაგრამ ამისთვის ჩხუბი სად გაგონილა. კარგად დაფიქრდით, ნაჩქარევად ნურაფერს მოიმოქმედებთ. ვთქვათ წახვედით ახლა, დღისით, მზისით, რამდენიც არ უნდა ილაპარაკოთ, ახლა მაინც დღეა. (სამიფენი ცას ახედავენ.) კეთილი და პატიოსანი. წახვედით. მერე რა მოჰყვება ამას? (ჩიბუხს პირიდან გამოიღებს და თამბაქოს დაჰყურებს.) ჩამიქრა. (ისევ უკიდებს, აბოლებს.) ვინ შეხვდება გოდეს? გოდეა თუ გოდო. თუ გოდენი. მოკლედ, გესმით, ვისზეც გეუბნებით... იმას, ვისზეც თქვენი მომავალი დამოკიდებული. (დუმილი.) ასეა თუ ისე, უახლოესი მომავალი.

ესტრაგონი. მართალს ამბობს.

ვლადიმირი. მაგას როგორ მიხვდით? საიდან გაიგეთ?

პოცო. ხმა ამოვალეებინე, მადლობა ღმერთს. ცოტაც, და დამიმეგობრდება.

ესტრაგონი (ლაკიზე ანიშნებს). იმხელა ტვირთი ხელში რომ უჭირავს, ძირს ვერ დადგამს?

პოცო. გოდოს გაცნობა მეც დიდად მეამება. რაც მეტ ხალხს ვიცნობ, მით ბედნიერი ვარ. ყველაზე უბადრუკი არსებისგანაც კი რალაცას სწავლობ, მდიდრდები, საკუთარ კეთილდღეობასაც უფრო მეტად აფასებ, და აი, თვით თქვენც კი (დაჟინებით, ყურადღებით შესცქერის ხან ერთს, ხან მეორეს, რათა აგრძნობინოს, ორივე მყავხართ მხედველობაში), ვინ იცის, თვით თქვენც კი, იქნებ უკვე რალაც შემძინეთ.

ესტრაგონი. თავის ტვირთს რატომ ძირს არ დადგამს?

პოცო. პირადად მე გამიკვირდებოდა, რომ დაედგა.

ვლადიმირი. თუ არ ვცდები, თქვენ გეკითხებიან.

პოცო (აღტაცებით). მეკითხებიან? ვინ? რას? (დუმილი.) სულ ახლახან, წუთის წინ, დალაპარაკებას ვერ ბედავდით, შიშით კანკალებდით. „ბატონო“ ასე მომმართავდით. ახლა კი კითხვას კითხვაზე მაყრით. არა, ამას კეთილი ბოლო არ უჩანს.

ვლადიმირი (ესტრაგონს ლაკისკენ მიახედებს). ეგრე მგონია, ის შენ უნდა გისმენდეს.

ესტრაგონი (მივა და ლაკის გარს შემოუფლის). რა თქვი?

ვლადიმირი. მაგან რალაცნაირად ყურები ცქვიტა. მიდი, აბა, ახლა ჰკითხე.

ესტრაგონი. რა ვკითხო?

ვლადიმირი. ეგ შენი ტვირთი რა სულ ხელში გიკავია, ძირს რატომ არ დადგამ-თქო.

ესტრაგონი. მეც ამას არ ვეკითხები ჩემს თავს?

ვლადიმირი. შენს თავს კი არა, მაგასა ჰკითხე.

პოცო (შეშფოთებით და ყურადღებით ისმენს ამ რეპლიკებს, თან შიშობს, მეც რომ

მკითხვეს ეს, არ დაავიწყდეთო.) თქვენ მეკითხებით, რატომ არ დადგამს ის თავის ტვირთსო, ყოველ შემთხვევაში, თქვენ ასე უწოდებთ — ტვირთსო, არა?

ვლადიმირი. დიახ, დიახ.

პოცო (ესტრაგონს). თქვენც ასე ფიქრობთ, რომ ნამდვილად ტვირთს უწოდებთ?

ესტრაგონი (ისევ გარშემო ურბენს ლაკის). როგორ საბერველი უწოდებთ ქვინას?

პოცო. ახლავე ყველაფერზე გიპასუხებთ. (ესტრაგონს.) რა ამბავია, მოისვენეთ ერთ წამს, პირდაპირ ნერვებს მიშლით.

ვლადიმირი. მოდი აქ.

ესტრაგონი. რა მოხდა?

ვლადიმირი. მოდი აქ, უნდა ილაპარაკოს. (ერთმანეთს მიკრულები გაუნძრევლად დგანან და ელიან).

პოცო. ძალიან კარგი. ყველა ადგილზეა? ყველა მე მიყურებს? მე მიყურე, შელორო. (ლაკი უყურებს.) ძალიან კარგი. (ჩიბუხს ინახავს. ჯიბიდან პატარა პულვერიზატორს ამოიღებს და ყელს გამოივლებს, შემდეგ პულვერიზატორს ისევ ჯიბეში იღებს. ჩაახველებს, გადმოაფურთხებს, ისევ ამოიღებს პულვერიზატორს, ისევ გამოივლებს ყელს და შემდეგ ინახავს.) მე მზად ვარ. ყველა მისმენს? (მისუდავს ლაკის და თოკს დაქაჩავს.) ახლოს მოიწი! (ლაკი ახლოს მიიწევს.) ვეყოფა! (ლაკი შეჩერდება.) ყველანი მზად ხართ? (სამივეს მოავლებს თვალს, ბოლოს ლაკიზე შეაჩერებს მზერას, თოკს ეწევა.) აბა? (ლაკი თავს ასწევს.) მე ტყუილუბრალთა ლაპარაკი არ მიყვარს. ასე. ახლა კი მისმინეთ. (ფიქრობს.)

პოცო. ისე, რომ ვთქვათ, არსებითად, თქვენ მე რა მკითხეთ?

ვლადიმირი. ჩვენ გკითხეთ, რატომ არ...

პოცო (განრისხებული). რატომ მაწყვეტინებთ! (პაუზა. შედარებით მშვიდად.) ყველამ თუ ასე ერთად ვილაპარაკეთ, ვერასოდეს ვერაფერში ვერ შევთანხმდებით. (პაუზა.) მაშ, რაზე ვლაპარაკობდი? (პაუზა. ხმამაღლა.) მართლაც, რაზე ვლაპარაკობდი?

(ვლადიმირი მიმიკით, შესტებით ცდილობს დაემსგავსოს ადამიანს, რომელსაც ხელში მძიმე ტვირთი უკავია. პოცო უყურებს, მაგრამ ვერ მიმხვდარა.)

ესტრაგონი (თავს ძალას ატანს). ტვირთი, ტვირთი! (თითით ლაკიზე ანიშნებს.) რატომ? სულ ხელში ჭერათ. (წელში იკაკვება, დავრდომილი, აქოშინებული კაცის პოზას იღებს.) ძირს დადგმა რატომ არაო? (წელში იმართება და ტვირთმოშორებული კაცივით შლის მხრებს.) რატომ ასე არაო?

პოცო. აბა, მესმის, ადრევე უნდა გეთქვათ. ტვირთს ძირს რად არ დადგამსო, არა? ვცადოთ და გავერკვეთ ამ ამბავში. აქვს ამის უფლება? აქვს. და თუ მაინც არ დგამს, მაშ, ასე სურს. სრულიად მარტივი ამბავია. და, მგონი, გავერკვიეთ კიდევ. მაგრამ რატომ სურს ასე? (პაუზა.) ახლავე მოგახსენებთ, ბატონებო.

ვლადიმირი. ყურადღება!

პოცო. ეს იმიტომ, რომ მე მომაწონოს თავი, რომ არ გავაგდო, ჩემთან დავიტოვო.

ესტრაგონი. რაო?

პოცო. იქნებ საკმაოდ ნათლად ვერ გამოვთქვი აზრი. ჩემი გულის მოგებას ცდილობს. რომ მისი თავიდან მოშორება გადავიფიქრო. არა, არც მთლად ვგრევა.

ვლადიმირი. თქვენ მისი თავიდან მოშორება გნებავთ?

პოცო. მაგას ჩემი გაცურება უნდა, მაგრამ არაფერი გამოუვა.

ვლადიმირი. თქვენ გსურთ იგი თავიდან მოიშოროთ?

პოცო. ფიქრობს, თუ კარგ მზიდავად მოვაჩვენებ თავს, გაბრიყვდება და არასოდეს არ დაამითხოვსო.



ესტრაგონი. თქვენ კი გსურთ დაითხოვოთ?

პოცო. ეგ მ'სიდავი კი არაა, ბებური კამეჩია. არაფრად აღარ ვარგა.

ვლადიმირი. თქვენ მისი თავიდან მოშორება გნებავთ?

პოცო. ფიქრობს, თუ დაუღალავ მსახურად მოვაჩვენებ თავს, გული მოუღებება და გადაწყვეტილებას შეიცვლისო. აი მთელი მაგისი უბადრუკი ფილოსოფია. თითქოს შავი მუშები მაკლდეს. (სამივე ლაკის მისჩერებია.) ატლასი იუპიტერის ვაჟიშვილია! (დუმილი.) ესაა სულ, მგონი, გიპასუხეთ კითხვაზე. სხვას ხომ არაფერს შემეკითხებით? (ბულგერიზატორს ჩაჰკირკიტებს.)

ვლადიმირი. თქვენ მისი თავიდან მოშორება გადაწყვეტთ?

პოცო. არ დაგავიწყდეთ, რომ თუ არა შემთხვევა, შესაძლოა, მე ვყოფილიყავი მაგის ადგილზე. ყველას თავისი ერგება.

ვლადიმირი. თქვენ მისი თავიდან მოშორება გნებავთ?

პოცო. სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ მისი გაგდების ნაცვლად, ხომ შემეძლო ასეც მოქცეულიყავი. მე მინდა ვთქვა, იმის ნაცვლად, რომ პანდურის კვრით გამგდო-მეთქი, ჩემი გულკეთილობით წმინდა მაცხოვრის ბაზარზე მიმყავს, სადაც გარკვეულ ფასად ალბათ ვინმეს შევაჩერებ. მაგრამ, თუ სიმართლე გნებავთ, ეგენი ისეთი პირუტყვები არიან, გულითაც რომ ეცადო, თავიდან ვერ მოიშორებ. ადგილზევე უნდა ჩააძაღლო, ყველაზე კარგი ეს იქნება. (ლაკი ტირის).

ესტრაგონი. შეხედე, ტირის.

პოცო. დაურდომილ ძაღლსაც კი მეტი თავმოყვარეობა ექნება. (ცხვირსახოცს აწვდის ესტრაგონს.) მიდით, ანუგემეთ, რაკი ვგრე გეცოდებათ. (ესტრაგონს ვერ გადაუწყვეტია.) მიდით, შეუშრეთ ცრემლი, რომ ისე ხელნაკრავად არ იგრძნოს თავი. (ესტრაგონს მაინც ვერ გადაუწყვეტია.)

ვლადიმირი. მომე, მე შევუშრალე.

(ესტრაგონი არ უთმობს. ერთმანეთს სტაცებენ ცხვირსახოცს და ბავშვებივით ძიძგილაობენ.)

პოცო. ჩქარა, თორემ სადაც არის მორჩება ტირილს. (ესტრაგონი უახლოვდება ლაკის, ცხვირსახოციან ხელს გაიწვდის, რომ ცრემლი მოსწმინდოს. ლაკი კი, რაც ძალი და ღონე აქვს, წვივში წიხლს უთავაზებს. ესტრაგონი სიმწრის კვნესით უკან დაიხვეს, და სცენაზე მოკელანობს.) აბა, ჩემი ცხვირსახოცი!

ესტრაგონი. დამამტვრია ამ პირუტყვმა, ამ ღორმა. (შარვლის ტოტს აიწევს.)

პოცო. ხომ გეუბნებოდით, უცხო ხალხი არ ეპიტნავება-მეთქი.

ვლადიმირი (ესტრაგონს). მიჩვენე რა გიყო. (ესტრაგონი უჩვენებს ფეხს.)

ვლადიმირი (ზიზლით მიუბრუნდება პოცოს). სისხლი მოსდის ფეხიდან.

პოცო. ო, სისხლი კარგი ნიშანია.

ესტრაგონი (ნატკენ ფეხს აქნევს). უკვე ვეღარც ვივლი.

ვლადიმირი (ნაზად). მე აგიყვან და ხელით გატარებ. (პაუზა.) თუ აუცრლეული დარჩა.

პოცო. დამშვიდდა, აღარ ტირის. (ესტრაგონს.) აი თქვენ კი, ერთგვარად, მისი

ადგილი დაიკავეთ, თითქოს შეენაცვლეთ მას. ადამიანის ცრემლები — მუდმივი სიდიდეა. საკმარისია, სადმე ერთი ატირდეს და სხვაგან მეორე დაჩუმდეს. სიცილიც ეგრეთ; (იციინის.) და დროს ნუ დავემდურებით, ავად ნუ მოვიხსენებთ. ეს დრო წინა სხვა დროებზე უფრო დაღუპული არაა. (დუმილი.) ~~მეც ვიხსენებ~~ ნუ მოვიხსენებთ. (დუმილი.) ნურც ავად, ნურც კარგად ნუ მოვიხსენებთ. (დუმილი.) რაც შეეხება ხალხს, ცხადია, ხალხი მომრავლდა.

ვლადიმირი. სცადე, იქნებ გაიარო. (ესტრაგონი ფეხს დგამს, კოჭლობით გაივლის, ლაკის წინ შეჩერდება, შეაფურთხებს და იმავე ადგილზე ჯდება, სადაც პირველად, ფარდის ახდისას იჯდა.)

პოცო. და ყველა ეს საუცხოო ამბები იცით, ვინ მასწავლა? (პაუზა: ლაკიზე მიუთითებს.) ამან.

ვლადიმირი (ცას შეჰყურებს). თოპ, როდის დაღამდება.

პოცო. ეგ რომ არა, ჩემი ყველა აზრი და გრძნობა ბილწი და უბადრუკი უნდა ყოფილიყო. ეს ჩემი ხელობის ბრალია. თუმცა ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს!.. ვიცოდი, რომ სათნოება, სილამაზე, ჭეშმარიტება ჩემთვის მიუწვდომელი ცნებებია, და აი მაშინ, ეს დებილი გიყიდე.

ვლადიმირი (უნებურად ცას თვალს მოაშორებს). დებილი?

პოცო. ეს მთელი სამოცი წლის წინათ იყო (საათს დახედავს.) დიახ, თითქმის სამოცი წლის წინ. (თავმოშწონედ გაიჯგიმება.) და აბა, ვინმე იტყვის ჩემზე ამ ხნისააო? მაგას რომ უყურებთ, მაგასთან შედარებით მართლა ბავშვი ვარ. (დუმილი. ლაკის.) ქუდი მოიძრე!

(ლაკი დგამს კალათს. ქუდს მოიხდის. ხშირი თეთრი თმა ლოყებზე ჩამოეწეწება. ქუდს ილღიაში ამოიჩრის და კვლავ ხელში იღებს კალათს.)

პოცო. ახლა მეც მიყურეთ. (ქუდს იძრობს. თავი ერთიანად გამელოტებია. იხურავს ქუდს.) ხედავთ?

ვლადიმირი. რას ნიშნავს დებილი?

პოცო. რა ციდან ჩამოსულივით მეკითხებით. თქვენ რა, ამ ქვეყანაზე არ დადიხართ? ოდესღაც, მასხარები ჰყავდათ, ახლა დებილები ჰყავთ. ოღონდ, რა თქმა უნდა, იმათ, ვისაც ამის შეძლება მოსდევს.

ვლადიმირი. და ახლა აგდებთ მაგას, ასე ძველსა და ერთგულ მსახურს?

ესტრაგონი. ღორი!

(პოცო სულ უფრო და უფრო ნერვიულობს.)

ვლადიმირი. როცა მთელი წვენი გამოსწოვეთ, ახლა ისვრით გზაზე როგორც (ეძებს სიტყვას), როგორც ბანანის ნაფცქვენს? დამეთანხმეთ, რომ ეს... ეს...

პოცო (კვნესით თავზე იტაცებს ხელს). არა, აღარ შემიძლია... ვეღარ გავუძლებ... რომ იცოდეთ, რას მიშვრება... ვერც კი წარმოიდგენთ... არა, უნდა მომწყდეს თავიდან, (ხელებს იქნევს.) ნამდვილად ჭკუიდან ვიშლები. (თავი უღონოდ ჩამოუვარდება.) აღარ შემიძლია მეტი... აღარ შემიძლია (დუმილი. ყველა პოცოს მისჩერებია. ლაკი კანკალებს.)

ვლადიმირი. რა ჰქნას, მეტი აღარ შეუძლია.

ესტრაგონი. საშინელებაა.

ვლადიმირი. ჭკუიდან იშლება...

ესტრაგონი. აუტანელია.

ვლადიმირი (ლაკის). როგორ ბედავთ, ან როგორ არ გრცხვენიათ? ასეთი

კარგი, კეთილი პატრონი გყავთ... და ასე აწამებთ! ამდენი წლის შემდეგ... არა, მართლა და მართლა...

პოცო (ტირილით). ადრე ისეთი ჭკვიანი იყო... მეხმარებოდა... მართლბდა... ჩემი კეთილი ანგელოზი მეგონა... ახლა რამ გადარია... მკლავს ჰერტცოფერულა

ესტრაგონი (ვლადიმირს). უნდა, რომ მაგის ნაცვლად სხვა მკვანისიქა ვლადიმირი. რა თქვი?

ესტრაგონი. გამაგებინე, უნდა, რომ ეგ გაუშვას და მაგის ადგილზე სხვა აიყვანოს?

ვლადიმირი. არა მგონია.

ესტრაგონი. გკითხოთ.

პოცო (დამშვიდებული). ბატონებო, არც კი ვიცი, გონს ვერ მოვსულვარ, რა დამეშართა. გთხოვთ მაპატიოთ და ყველაფერი დაივიწყოთ. (კიდევ უფრო აილაგ-მავს თავს.) აღარც ის მახსოვს, რას ვამბობდი, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რაც არ უნდა მეთქვა, წვეთი სიმართლე არ იქნებოდა. (წელში გაიმართება, მკერდში მუჭს იცემს.) განა მე ისეთი კაცი ვჩანვარ, ვინმეს დავეჩაგვრინო? — თავი ვაწვალეზინო? როგორ გგადრებათ! (ჯიბეს იჩხრეკს.) ეს ჩიბუხი სადღა დამეკარგა? სად უნდა გამჭრალიყო?

ვლადიმირი. საუცხოო საღამოა.

ესტრაგონი. დაუვიწყარი.

ვლადიმირი. ჯერ სადა ხარ.

ესტრაგონი. კიდევ კარგა ხანს გასტანს.

ვლადიმირი. კარგა ხანს კი არა, ეს-ესაა დაიწყო.

ესტრაგონი. მე და შენ თითქოს სადღაც წარმოდგენას ვესწრებით.

ვლადიმირი. ცირკში.

ესტრაგონი. მიუზიკ-პოლში.

ვლადიმირი. ცირკში.

პოცო. მაინც სად უნდა გამჭრალიყო ჩემი ჩიბუხი?

ესტრაგონი. აი, ნამდვილი შტერი, თავისი საქმუტუნო დაპკარგვია.

(ხმამაღლა იცინის.)

ვლადიმირი. მე ახლავე მოვალ. (კულისებისაკენ მიემართება.)

ესტრაგონი. მანდვეა, დერუფნის ბოლოს, მარცხნივ.

ვლადიმირი. თვალი დაიჭირე, ჩემი ადგილი არავინ დაიკავოს. (გადის.)

პოცო. ჩიბუხი დავკარგე.

ესტრაგონი (სიცილით იჭაჭება). ოჰ, მომკლა, მომკლა სიცილით.

პოცო (თავს მაღლა აიღებს). შემთხვევით თქვენ ხომ არ დაგინახავთ? (უეცრად შეამჩნევს, რომ ვლადიმირი გასულა, გულდაწყვეტილია.) ისე წასულა, არც კი გამომეთხოვა. მაინც რა გულმა უქნა. ნუთუ ვერ მოითმენდა?

ესტრაგონი. სულ არ ითმენდა?

პოცო. არა (პაუზა), თუ ასეა, რა მეთქმის.

ესტრაგონი. აბა, ერთი აქვთ მობრძანდით.

პოცო. რისთვის?

ესტრაგონი. დაინახავთ რისთვის.

პოცო. უნდა ამაყუნოთ?

ესტრაგონი. მალე, მალე, ვეღარ მოუსწრებთ. პოცო დგება და ესტრაგონს უახლოვდება.

ესტრაგონი. ხედავთ?

პოცო. ოპო-პოო!

ესტრაგონი. მორჩა, უკვე გათავდა. (შემოდის ვლადიმირი. გზიდან ჩამოიშორებს ლაკის. პოცოს დასაკვეც სკამს ფეხს გაჰკრავს: ნერვიულად ბოლთას სცემს.)

პოცო. უკმაყოფილო ჩანს?

ესტრაგონი (ვლადიმირს). რაც ყველაზე საინტერესო იყო, დღეს ის გამოტოვდა (ვლადიმირი შეჩერდება, ფეხით გადასროლილ სკამს თავის ადგილზე დადგამს და შედარებით დამშვიდებული ისევ წინ და უკან დადის.)

პოცო. მშვიდდება თანდათან. (სცენას მიმოავლებს თვალს.) ირგვლივაც ყველაფერი მშვიდდება. დედამიწასაც უდიდესი სიმშვიდე ეუფლება. მისმინეთ! (ხელს შემართავს.) პანს სძინავს.

ვლადიმირი (შეჩერდება). როდის დადამდება, ბოლოს და ბოლოს. (სამიჯვნი ცას უყურებენ.)

პოცო. დადამებამდე აქ უნდა დარჩეთ?

ესტრაგონი. საქმე ისაა, რომ... ხომ მოგეხსენებათ...

პოცო. რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ცხადია... მეც თქვენს ადგილზე, იმას რომ ველოდებოდე. გოდენია თუ გოდე, თუ გოდო, მოკლედ, გესმით ვიზუც გეუბნებით, მეც ალბათ გვიან დამემდე ფეხს არ მოვიცვლიდი. (დასაკვეც სკამს დაჰყურებს.) ძალიან მინდა დავჯდე, და ვერ კი მომიხერხებია.

ესტრაგონი. იქნებ გიშველოთ?

პოცო. შესაძლოა; ოღონდ თუ მთხოვთ.

ესტრაგონი. გთხოვთ? რას?

პოცო. თუ მთხოვთ, დაბრძანდითო.

ესტრაგონი. და ეს გიშველით?

პოცო. ვფიქრობ, მიშველის.

ესტრაგონი. დიდი სიამოვნებით. აბა, მაშ! კეთილ ინებეთ, ბატონო, დაბრძანდით, გთხოვთ.

პოცო. არაფერი მიჭირს, გეთაყვა. ნუ წუხდებით, არ ღირს. (პაუზა. ხმადაბლა.) კიდევ მთხოვეთ.

ესტრაგონი. აბა, ფეხზე როგორ უნდა იდგეთ, ასე შეიძლება გაცვივდეთ კიდევ.

პოცო. შეიძლება გაცვივდე?

ესტრაგონი. უკმაყოფილოდ.

პოცო. თქვენ მართალი ხართ, დაჯდები. (ჯდება.) გმადლობთ, ჩემო კარგო. ესეც ასე. აი, მეც დავჯექი. (საათს დაჰყურებს.) ოღონდ კი არ დამაგვიანდეს. უნდა მივუსწრო.

ვლადიმირი. დრო კი გაქვავდა.

პოცო (ყურთან მიაქვს საათი). ეგ არ დაიჯეროთ, ჩემო ბატონო, ეგ არ იფიქროთ, ყველაფერი დაიჯერეთ და ეგ კი არა.

ესტრაგონი (პოცოს). მაგას დღეს ყველაფერი უკუღმართად და შავად ეჩვენება.

პოცო. ყველაფერი, ცის გარდა. (იცინის, ხაკუთარი ენამახვილობით კმაყოფილია.) მოთმინება, მოთმინება უნდა იქონიოთ. ისე კი, ახლა ვრწმუნდები, აქაურები

არ უნდა იყოთ, რაკი არ გცოდნიათ, როგორ ბინდდება აქ, ჩვენში. ვინდათ გიამბოთ? (დუმან. ესტრაგონი და ვლადიმირი ისევ ჩაპკირკიტებენ ერთი თავის ფეხსაცმელს, მეორე — ქუდს. ლაკის ქუდი გადასძვრა და წიწაზე დაუვარდა, მაგრამ ამას ვერ ამჩნევს.)

მინდა რამით გასიამოვნოთ. (ჯიბიდან პულეერიზატორს ამოღებს და მტყნამოს ისსურებს.) გთხოვთ, წამით ყურადღება მომაპყროთ.

(ესტრაგონი და ვლადიმირი მაინც თავ-თავისი საქმით გართულან, ლაკის თითქმის სძინავს. პოცო მათრახს გაატკაცუნებს, მაგრამ ტკაცანის ხმა სუსტად, ძლივს გაისმის.) ამ მათრახს რაღა დაუმართა? (დგება, და ძლიერად დაიქნევს მათრახს. ტკაცანი უფრო მკვეთრად ისმის. ლაკი შეკრთება. ესტრაგონსა და ვლადიმირს ხელიდან უვარდებათ ერთს ფეხსაცმელი, მეორეს — ქუდი. პოცო განზე გადაისვრის მათრახს.) სულ აღარ ვარგა ეს მათრახი. (გადახედავს თავის აუდიტორიას.) რას ვამბობდი წელან?

ვლადიმირი. წავედეთ.

ესტრაგონი. ფეხზე რატომ დგახართ, ეგრე შეიძლება გაცივდეთ კიდევ.

პოცო. მართალი ხართ. (ჯდება. ესტრაგონს.) რა გქვიათ?

ესტრაგონი. კატულუსი.

პოცო (ვერ გაიგონა). აჰა, დიას; აი, შედამდა კიდევ. (თავს აიღებს.) რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, მომაქციეთ ერთ წამს ყურადღება, თორემ როდემდე უნდა ვილაპარაკო ასე. (ცას უყურებს.) ახედეთ. (ყველანი ცას ახედავენ. ლაკის გარდა, რომელიც ისევ თვლემს. პოცო, როგორც კი შენიშნავს ამას, დაქაჩავს თოკს.) ახედავ თუ არა ცას, პირუტყვო. (ლაკი ცას ახედავს.) გეყოფათ, საკმარისია. (ყველა თავს დახრის.) რა არის მასში არაჩვეულებრივი, იმ ცაში? უფერულია, ნათელი, როგორც ყველგან ცა, ამ დროს. (პაუზა.) ამ განედებში. (პაუზა.)

კარგ ამინდში. (პათეტიურ-ლირიული ტონით.) ერთი საათის (დახედავს საათს და ჩვეულებრივი ტონით განაგრძობს), ან დაახლოებით ერთი საათის წინ (ისევ ლირიული ტონით), მას შემდეგ, რაც (შეყოვნდება, კვლავ ჩვეულებრივი ტონით), ასე, ვთქვათ, დილით ათი საათიდან (ამაღლებული განწყობილებით), განუწყვეტლად მეწამული და თეთრი სხივების ჩქერალს გვადვრიდა, ცამ თანდათან დაკარგა ბრწყინვალება, ფითრდებოდა, იცრიცებოდა. (ხელების მოძრაობას ააყოლებს, შემდეგ თანდათან დაუსვენებს ხელებს.) მკრთალდებოდა, შემდეგ სულ უფრო მეტად, სულ უფრო და უფრო მეტად, ვიდრე — ჭახ! — ყველაფერი არ გათავდა. და იქმნა ცა უძრავი და ქუფრი! მაგრამ (დამრიგებლური ტონით, ხელს შემართავს), მდუმარებისა და სიმშვიდის ამ საფარველს მღიმა მოგელავს ღამე, და სადაცაა იგი თავს დაგვაცხრება — ჰოპ! — აი ასე! (დაცხრება, ჩვეულებრივი ტონით.) სწორედ იმ წამში, როცა ყველაზე ნაკლებად ული. აი, როგორ ხდება ეს ყველაფერი ამ თახსირ დედამიწაზე. (ხანგრძლივი სიჩუმე.)

ესტრაგონი. და რაკი ეს იცი...

ვლადიმირი. ცოტა მოთმინებაც უნდა იქონიო.

ესტრაგონი. იცი, რასაც უნდა ელოდე.

ვლადიმირი. და არც საწუხარია რამე.

ესტრაგონი. მარტო უნდა იჯდე და ელოდე.

ვლადიმირი. მაგას შეჩვეულები ვართ. (ძირს დაგარდნილ ქუდს აიღებს, დახედავს, დაფერტხავს, ისურავს.)

პოცო. აბა, რას იტყვით, როგორი იყო ჩემი გამოსვლა? (ესტრაგონი და ვლადიმირი შეჰყურებენ პოცოს, ვერაფერი გაუგიათ.) კარგი იყო თუ არა? თუ არაფრად არ ვარგოდა?

ვლადიმირი (ვლადიმირი პირველი მიხვდება). ო, შესანიშნავი იყო, ძალიან, ძალიან კარგი.

პოცო (ესტრაგონს). თქვენ, ბატონო, თქვენ რაღას ფიქრობთ?

ესტრაგონი. (ინგლისური აქცენტით). ო, შესანიშნავი იყო, ძალიან, ძალიან, კარგი.

პოცო. (გულმხურვალედ). გმადლობთ, ბატონებო, გმადლობთ. მე ისე მჭირდება მხარდაჭერა... (დაფიქრდება.) მაგრამ ბოლოს მაინც, ცოტა მივაფუჩეჩე. თქვენ ვერ შენიშნეთ?

ვლადიმირი. შესაძლოა, მართლაც იყო ოდნავ, რაღაც, მაგრამ სულ ცოტათი, სულ უმნიშვნელოდ.

ესტრაგონი. მე ვიფიქრე საგანგებოდ აკეთებს-მეთქი.

პოცო. საქმე ისაა, რომ ცუდი მეხსიერება მაქვს. (დუმილი.)

ესტრაგონი. ჯერჯერობით ისეთი არაფერი ხდება.

პოცო (გულდაწყვეტილია). ნოგწყინდათ?

ესტრაგონი. (ირონიით). ცოტ-ცოტა.

ვლადიმირი. პო, ზოგჯერ უფრო მოგვილხენია ხოლმე. (ხმას არ იღებენ. პოცო თავს ებრძვის.)

პოცო. ბატონებო, თქვენ მე დამაფასეთ... (არჩევს სიტყვას.) ღირსსაკადრისად.

ესტრაგონი. როგორ გეკადრებათ!

ვლადიმირი. რა სათქმელია!

პოცო. დიახ, დიახ, თქვენ მე სწორად მომექცეცით, და ამიტომ, საკუთარ თავს ვეკითხები, ხომ არ შემოძლია მეც, ჩემი მხრივ, რამე გაგაკეთო ამ ხალხისთვის, ასე რომ მოუწყენიათ-მეთქი.

ესტრაგონი. ახლა ოც ფრანკსაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენთვის.

ვლადიმირი. მათხოვრები არ ვართ ჩვენ.

პოცო. ჩემს თავს ვეკითხები, რა შემოძლია გაგაკეთო, რომ ასე არ მოიწყინონ-მეთქი. ძვლები იყო და არ დავუზოგე, ვუამბე ამ მთისა, იმ მთისა, როგორ ბინდდება ისიც განვუმარტე; მაგრამ ეს ისე, თავისთავად, ამაზე არ შეგჩერდები, და, საკმარისი კია-მეთქი, ეს, რაც გამიკეთებია ამ ხალხისთვის? აი რაზე ვიმტვრევ თავს.

ესტრაგონი. ასე სუც საკმარისი იქნებოდა.

ვლადიმირი (ესტრაგონს, გაცეცხლებული). ხმა გაიკმინდე, გესმის?

პოცო. კმარა კი ეს? რა თქმა უნდა კმარა. მაგრამ მე დიდსულოვანი ვარ. ბუნებას ასეთი გავუჩენივარ დღესდღეობით, და მით უარესი ჩემთვის. (თოკს დაქაჩავს. ლაკი მას შეაჩერდება.) და რომ ცხოვრებაში დავიტანჯები, ესეც ცხადია. (არ წამომდგარა, სკამიდან გადმოიხრება და მათრახს აიღებს.) მითხარით, რა გსურთ კიდევ, ვუთხრა, რომ იცევოს, თუ ვამღერო, თუ რამე წავაკითხო, თუ ვუთხრა, იაზროვნე, იფიქრე-მეთქი?

ესტრაგონი. და ეგ ვინ, ეგ ყველაფერი?

პოცო. ვინ? თქვენც კარგები ჩანხართ. ვინ იქნება?

ვლადიმირი (ლაკის მიხედვას). ეგ აზროვნებს? ფიქრი შეუძლია?

პოცო. რა თქმა უნდა. ხმამაღლა. ერთ დროს გვარიანადაც ფიქრობდა. საათობით შემეძლო მესმინა... ახლა კი... (შეკრთება.) ახლა, მით უმეტეს ჩემთვის. მაშ, თქვენ მაგისი ფიქრის მოსმენა გსურთ.

ესტრაგონი. ცეკვა უფრო მხიარული იქნებოდა. გავერთობოდით.

პოცო. აუცილებელი არაა.

ესტრაგონი. ერთი მითხარი, დიდი, ეს უფრო სამხიარულო არ იქნება?

ვლადიმირი. ძალიან მაინტერესებს, როგორ ფიქრობს.

ესტრაგონი. იქნებ ჯერ ეცეკვა და მერე ეფიქრა? თუ ორივე ერთად მეტისმეტი მოუვა?

ვლადიმირი (პოცოს). მართლაც, ეგრე არ მოხერხდება?

პოცო. რატომაც არა, ადვილი სამსახურია. გარდა ამისა, ეს ნორმალური თანმიმდევრობაა (ჩაიციინებს.)

ვლადიმირი. მაშ, თუ ასეა, იცეკვოს.
(სიჩუმე.)

პოცო (ლაკის). გაიგონე?

ესტრაგონი. უარს არასოდეს არაფერზე არ ამბობს?

პოცო. ახლავე ყველაფერს აგინხნით. (ლაკის.) იცეკვე, მძორო. (ლაკი დადგამს ჩემოდანს და კალათს, წინ გამოდის და პოცოსკენ შეტრიალდება. ესტრაგონი აღგება, რომ უკეთ დაინახოს. ლაკი ცეკვავს. გაჩერდება.)

ესტრაგონი. სულ ეგ არი?

პოცო. კიდევ იცეკვე. (ლაკი იმავე მოძრაობებს გაიმეორებს. ჩერდება.)

ესტრაგონი. მეც არ შეგონა. ეგრე ხომ მეც ვიცეკვებ (ბაძავს ლაკის. კინალამ ზღართანს მოადუნს.) ერთი-ორი რომ წავივარჯიშო.

ვლადიმირი. დაიღალა ალბათ.

პოცო. ერთ დროს ეგ ფარანდოლას, ალმეს, კადრილს, ჟიგას, ფანდანგოსა და ეკსუსსაც კი ცეკვავდა. სიხარულით კუნტრუშობდა ხოლმე. ახლა მაგის მეტი აღარაფერი შეუძლია. იცით, მაგ ცეკვას ახლა რას ეძახის?

ესტრაგონი. განტევების ვაცის სასიკვდილოდ გაბრძოლებას.

ვლადიმირი. კიბოიანი ბერიკაცის სიკვდილს.

პოცო. მახეში გაბმას. ეგრე ამბობს, ორივე ფეხებით გავიხლართო.

ვლადიმირი (ტანით ლაკის მოძრაობას იმეორებს. დიდი ესთეტიკის მიხრა-მოხრა აქვს.) ამაში მართლაც არის რაღაც... (ლაკი თავისი ბარგისკენ მიიწევს.)

პოცო (თითქოს ცხენს ეწვეათ). დრრრ... (ლაკი ადგილზე გაქვავდება.)

ესტრაგონი. არაფერზე უარს არ ეუბნება.

პოცო. ახლავე აგინხნით, რატომ (ჯიბეში რაღაცას ეძებს.). მოითმინეთ. (ეძებს.) სად დამეკარგა? (ისევ ეძებს.) ვეღარაფერი გამიგია, რა ხდება. (თავს აიღებს, გაოცებისაგან რეტდასხმულსა ჰგავს. მომაკვდავის ხმით.) პულგერიზატორი დავკარგე.

ესტრაგონი (მომაკვდავის ხმით). მარცხენა ფილტვით ძლივს ვსუნთქავ. (ყრუდ ახველებს, შემდეგ უეცრად დაიქუხებს.) სამაგიეროდ მარჯვენას — ნაკლი არ მოეძებნება.

პოცო (ჩვეულებრივი ხმით). მით უარესი, მაგრამ როგორმე იოლას გავალ. წელან

რაზე ვლაპარაკობდი? (ფიქრობს.) მოითმინეთ (ფიქრობს.) რა შემართება.
(თავს ასწევს.) მომეხმარეთ მაინც.

ესტრაგონი. ახლავე, ახლავე გავიხსენებ.

ვლადიმირი. მეც, მეც, ახლავე.

პოცო. ერთი წუთით! (სამივე ერთდროულად მოიძრობს ქუდს, ხელუბნობს.)
მიიჭერენ და მესხიერებას დაბავენ. კარგა ხანს დუმან.)

ესტრაგონი (გახარებული). მივაგენი.

ვლადიმირი. გაიხსენა.

პოცო (მოუთმენლად). თქვით, რაღას უყურებთ.

ესტრაგონი. თავის ტვირთს რატომ ძირს არ დადგამსო.

ვლადიმირი. შენც ერთი, რაღაცას სხვას ამბობდა.

პოცო. ნამდვილად?

ვლადიმირი. ეგ აკი უკვე აგვიხსენით.

პოცო. აგვიხსენით? მე?

ვლადიმირი. თანაც უკვე დაუდგამს ძირს, და მაგაზე რაღად ვილაპარაკებდით?

ესტრაგონი (ესტრაგონი მიხედავს ლაკის). მართლა დაუდგამს. ვითომ რა გა-
მოიგონა?

ვლადიმირი. პოდა, რაკი დაუდგამს, როგორღა ვილაპარაკებდით, ხელში რად
უჭირავსო.

პოცო. საღი მსჯელობაა.

ესტრაგონი. მაინც რა მოიფიქრა, რისთვის დადგამდა?

პოცო. საქმეც ეგაა. რისთვის?

ვლადიმირი. უნდა ეცეკვა.

ესტრაგონი. უნდა ეცეკვა.

პოცო. სწორია. (დუმილი.)

ესტრაგონი. არაფერი არ ხდება. არავინ მიდის, არავინ მოდის. ეს საშინელებაა.

ვლადიმირი (პოცოს). უთხარით იმას, იფიქრე-თქო.

პოცო. თავისი ქუდი მიაწოდეთ.

ვლადიმირი. ქუდი?

პოცო. პო, უქუდოდ ვერ ფიქრობს.

ვლადიმირი (ესტრაგონს). მიაწოდეთ თავისი ქუდი.

ესტრაგონი. მე მიაწოდო? მაგან რომ მე საქმე დამმართა!..

არასდიდებით!

ვლადიმირი. მე მივაწვდი ახლავე. (ადგილიდან არ იძვრის.)

ესტრაგონი. თვითონ მოვიდეს და აიღოს.

პოცო. უმჯობესი იქნება თუ ვინმე მიაწვდის.

ვლადიმირი. მე მივაწვდი ახლავე (იღებს ქუდს, ლაკისგან მოშორებით ჩერდება
და აწვდის. ლაკი უძრავად დგას.)

პოცო. თავზე უნდა დაახუროთ.

ესტრაგონი (პოცოს). უთხარით, მიდი და შენ თვითონ გამთართვი-თქო.

პოცო. უმჯობესი იქნება თუ თავზე დაახურავთ.

ვლადიმირი. ახლავე დავახურავ. (ფრთხილად გარს შემოუვლის ლაკის, ფეხაკ-
რეფით ზურგიდან მიეპარება, დაახურავს ქუდს და მყისვე გაერიდება. ლაკი
უძრავად დგას.)



საქართველოს
საზოგადოებრივი
წიგნობის
სამსახური

ესტრაგონი. რაღას უყურებს?

პოცო. განზე გადაექით. (ესტრაგონი და ვლადიმირი მოშორებით დადგებიან პოცო თოკს მოჭიმავს, ლაკი მიაჩერდება პოცოს.) აბა, დაიწყე ფიქრი, ღირსი. (ლაკი ზა. ლაკი იწყებს ცეკვას.) დებილო! (ლაკი ჩერდება.) აქეთ უფრო მეტი უფრო მიდის პოცოსკენ.) გეყოფა! (ლაკი ჩერდება.) იფიქრე ახლა!

ლაკი. მეორე მხრივ, რაც შეეხება...

პოცო. მოიცა! (ლაკი ჩუმდება.) უკან დაიხიე! (ლაკი უკან იხევს.) კმარა! (ლაკი შეჩერდება.) შემობრუნდი! (ლაკი საზოგადოებისკენ მიბრუნდება.) იფიქრე!

ლაკი. ენიჭა არსებობა პირადად ღმერთს ისეთი როგორიც როგორადაც იგი წარმოდგენილია პუანსონისა და ვატმანის ახლახან გამოქვეყნებულ საზოგადოებრივ შრომებში ვივივითარცა თეთრწვერასი გარე დროისა სრბოლისა ზე მდგარისა თავისი ღვთიური აბათიის აფაზიის ღვთიური ატაქსიის შწვერვალადან ვუყვარვართ ყველა გარდა ვისი ჯერეთ უცნობია მაგრამ დრო გამოაჩენს და ითმენს ციური მირანდას მსგავსად რომელიც გვენის სახმილით იწვის რისთვის არავინ იცის მაგრამ დრო გამოაჩენს ცეცხლსა გვენისასა სადაცა არს ალმური და სალმობა რაჟამს განივრცოს ცეცხლოვანი ლავა და ლადარი უკეთუ ვინ დაეჭვდეს რისხვით მოუბრუნდეს ცარგვალი და მოექცეს ჯოჯოხეთად ლური კამარა სადაც ჯერეთ კიდევ დროდადრო სუფევს მყუდროება და სიმშვიდე და სიმშვიდე და ხანგამოშვებით არც თუ მუდამ სიმშვიდე ზოგჯერ მიუხედავად ამისა ყველასთვის ძვირფასი მაგრამ ნუ ვიწინასწარმეტყველებთ და რაც უფრო ჩქარა მეორე მხრივ ჯერ დაუმთავრებელი შრომების შედეგად ნუ ვიწინასწარმეტყველებთ ჯერჯერობით დაუმთავრებულ მაგრამ ბერნში ანტროპოპოპოპოტრიის აკააკადემიის მიერ დაფნის გვირგვინით შემკობილ შრომებში ტესტიუმ და კონარმა ზუსტად დაასაბუთეს ადამიანთა დაუთრებისათვის ჩვეული შესაძლებელი შეცდომებით ტესტიუსა და კონარის დაუმთავრებელი შრომების მიხედვით დამტკიცებულია დამტკიცებულია ცეცხლია რომ გამომდინარე თუმცა ნუ ვიწინასწარმეტყველებთ რატომაა რომ ერთი სიტყვით ჯერ კიდევ უცნობია პუანსონისა და ვატმანის საზოგადოებრივი ცდების რეზულტატის მიხედვით იმის გამო რომ ფარტოვისა და ბელშერის შრომები დაუმთავრებელი დარჩა უცნობი მიზეზებით ტესტიუმ და კონარმაც ვერ დაამთავრეს ერთი სიტყვით უკუაზრის საპირისპიროდ ადამიანი ბრესში ტესტიუსა და კონარის მიხედვით ესე იგი ადამიანი მიუხედავად ყველაფრისა თრიოდ სიტყვით მოთხოვნილების ზრდას პლიუს დაკმაყოფილება ჩიავდება და ილევა ერთობლივად ერთდროულად სიტყვამ მოიტანა და გამოუცნობი მიზეზების გამო მიუხედავად სპორტის განვითარებისა და აყვავებისა როგორცაა ტენისი მართონი და ფეხბურთი საზაფხულო სპორტი წყალსპორტი ჯირითი პოსტულატი პრედიკატი მოტოსპორტი ციგურები ყინულზე ასფალტზე ხტომა და ფრენოსნობა და პინგ-პონგი ზამთრის სპორტი საზაფხულო სპორტი და საშემოდგომო საშემოდგომო და ტენისი თივაზე ჭაფზე თიხაზე და პოკეი წყალზე მიწაზე ატმოსფეროში შემცველები პენიცილინი და ფოსფატი ერთი სიტყვით მოკლედ არავინ იცის რატომ ვიმეორებ კვლავ ერთობლივად დაკავშირებით ჩიავდება უძღურდება ილევა მიუხედავად ვიმეორებ ტენისისა ფრენოსნობისა ტენისისა გოლფისა დაწყებული მე-9-დან და მე-18-ე კბილის ბუდემდე ტენისისა ყინულზე რატომ თრიოდ სიტყვით უცნობია სენასა და უაზაზე მარნაზე მარნაზე სენაზე სენასა

და უაზარე ყველგან ერთობლივად დაკავშირებით ჩაჩანაკდება იფიტება მარ-
ნაზე სენაზე ესე იგი ერთი სიტყვით დანაკლისი ვოლტერის ხიკედლიდან
სუფთა დანაკარგია სულზე ორი დიუმი ხუთი ლიტრი დაახლოებით რომ გაზვ-
საზღვროთ მოლიანად და საშუალოდ სულზე ციფრებს ვამრგვანებ უფროსნი
თავიდან ფეხებამდე შიშველზე რატომ კაცმა არ იცის და უფროსნი
ლობა არა აქვს რატომ და ერთი სიტყვით მოკლედ რომ მოვჭრათ ფაქტი ფაქ-
ტია და ეს უმთავრესია სხვათა შორის მეორე მხრივ უეჭველად მეტად მნიშვნე-
ლოვანია რომ გამომდინარე რომ გამომდინარე თავმინებებული ცდებისაგან
შტეინვეგისა პეტერმანისაგან გამომდინარე გაცილებით უფრო მეტად მნიშვნე-
ლოვანია რომ შტეინვეგისა და პეტერმანის თვალსაზრისით ესე იგი მაშასა-
დამე თავმინებებული ცდების მიხედვით მთასა და ბარში ზღვებისა და ტბების
სანაპიროებზე და დამდნარი ალი ცეცხლისა ჰაერი ერთია და მიწა ესე იგი
ჰაერი მიწა ოდეს დაისადგურებს სუსხი გამთოში ყინული ნუფხვა და უკუნი
ჰაერი მიწა და ლოდთა გოდება და მოთქმა ამქვეყნიური ტეხერა და ყინული
უზომო გადაიქცევა გადაიქცევა ვაგლას ერა მათი გადადგება თავისი მეშვიდე
ასწლეულის დასაწყისში მიწა ატმოსფერო ზღვა მიწა ლოდთა გოდება
და უფსკერო სიღრმეებში ყოვლის მომცველი სიცივე დაისადგურებს ზღვაზე
ხმელეთზე ხმელეთზე ეთერში ერთი სიტყვით მოკლედ რომ ვთქვათ მიუხედა-
ვად ტენისისა ფაქტი ფაქტია და ვაგლას ბოლოს უსათუოდ თუმცა ნუ ვიწინას-
წარმეტყველებთ რატომ არავინ იცის ვიმეორებ კვლავ ლოდთა მოთქმად ერ-
თობლივად ერთდროულად თავი იფიტება იფიტება იფიტება ყველგან მიუხე-
დავად ტენისისა თეთრწვერასი აღმურისა ცრემლებისა ვაგლას და სიმშვიდე
და სიმშვიდე და მდუმარება ცისფერ ლოდების მიუხედავად ტენისისა და თავი
და თავი და თავი ლამანში დაუმთავრებულ შრომათა დუმბილში დაუმთავრებულ...
(ჩხუბი, აყალმაყალი. ზედახორა. ლაკის უკანასკნელი ზღუქუნი.)

პოცო. ქუდი მიაწოდეთ! (ვლადიმირი ქუდს მოიხდის. ლაკი ჩუმდება და ეცემა. ხან-
გრძლივი სიჩუმე. აქოშინებული გამარჯვებული მოჭიდავენი სულს ითქვამენ.)

ესტრაგონი. ჯავრი არ ამოვიყარე!

ვლადიმირი (ლაკის ქუდს ათვალეერებს, შიგ იყურება).

პოცო. აქ მომეცით! (ვლადიმირს ხელიდან გამოგლეჯს ქუდს, მიწას დაანარცხებს
და ფეხით გათულავს.) სამუდამოდ დაეკარგება ფიქრის უნარი.

ვლადიმირი. სიარულს თუ მაინც შეძლებს?

პოცო. ვერ ივლის და, ხოხვით წამომყვება. (ფეხს წაჰკრავს.) აეთრიე, მძორო!

ესტრაგონი. ხომ არ მოკვდა!

ვლადიმირი. მოკლავთ თქვენ მაგას.

პოცო. აეთრიე-მეთქი, შე ღორო. (თოკს ეწევა. ესტრაგონს და ვლადიმირს.) მო-
მეხმარეთ!

ესტრაგონი. როგორ?

პოცო. ეს ლეში ამაწევინეთ. (ესტრაგონი და ვლადიმირი ეწევიან ლაკის. წამთაყე-
ნებენ. ერთ-ორ წამს ხელს აშველებენ, შემდეგ შეუშვებენ. ლაკი ეცემა.)

ესტრაგონი. განგებ ეცემა.

პოცო. რომ ააყენებთ, ერთხანს ხელიც უნდა შეამშველოთ. აბა, ააყენეთ, რაღას
უყურებთ.

ესტრაგონი. ეშმაკსაც წაუღია!

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ერთხელაც ვცადოთ.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. არა, ვინ ვგონივართ ჩვენ მაგას. (ლაკის ასწევენ და ძალიანძალად ფეხზე დააყენებენ.)

პ ო ც ო. ხელი არ გაუშვათ. (ესტრაგონი და ვლადიმირი აქეთ-იქნებ (ჩრდეთ-სამხრეთ) ნუ ირყევიან. (პოცო მიდის, იღებს ჩემოდანს და კალათს და ლაკის — ჭანჭირს.) მაგრად დაიჭირეთ. (პოცო ლაკის ჩემოდნის სახელურზე ჩააკიდებინებს ხელს. ჩემოდანი წამსვე ძირს ვარდება.) ხელი არ გაუშვათ. (იგი კვლავ ცდილობს დააჭერინოს ლაკის ჩემოდანი. სიმძიმის ჩვეული შეგრძნება ლაკის აიძულებს ხელი მოუჭიროს სახელურს და ამას თანდათანობით გრძნობაზე მოჰყავს იგი.) ხელი არ გაუშვათ, არ გაუშვათ ხელი. (ახლა კალათზე იმეორებს იგივეს.) აი, ახლა კი გაუშვით. (ესტრაგონი და ვლადიმირი ლაკის ჩამოეცლებიან. ლაკი ბარბაცებს, სადაცაა დაეცემა, მუხლები ეკეცება, მაგრამ თავს შეიკავებს და დგას. ხელში ჩემოდანი და კალათი უკავია. პოცო უკან დაიხევს, მათრახს ატაკაცუნებს.) აბა, გადადგი ნაბიჯი! (ლაკი ადგილიდან იძვრის.) უკან! (ლაკი იხევს უკან.) შემობრუნდი! (ლაკი შემობრუნდება.) ასე, ყველაფერი რიგზეა, უკვე შეძლებს სიარულს. (ესტრაგონს და ვლადიმირს მიუბრუნდება.) ბატონებო. მადლობას მოგახსენებთ და ნება მიბოძეთ (ჯიბეში რალაცას ეძებს), გისურვოთ (ეძებს), გისურვოთ... კი, მაგრამ საათი სადა მაქვს... (ეძებს.) არა, მართლა და მართლა... (ნირწამხდარი თავს აიღებს.) ორმაგი გუმბათი ჰქონდა, წამმწომიც... ბატონებო, პაპაჩემის სახსოვარია, (ეძებს.) იქნება, აქვე სადმე ამომივარდა. (იხრება და ეძებს მიწაზე. ვლადიმირი და ესტრაგონიც ეძებენ. პოცო დაფლუთილ ქუდს გაჰკრავს ფეხს.) რას ჰგავს ეს, ბოლოს და ბოლოს.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. იქნებ ქისაში გაქვთ, ქამარზე.

პ ო ც ო. მოითმინეთ. (წელში ორად იკეცება, ცდილობს მუცელზე ყური მიიღოს, სმენას ძაბავს.) არაფერი მესმის. (ხელით ანიშნებს, მომიახლოვდითო.) აბა, ერთი თქვენ სცადეთ. (ესტრაგონი და ვლადიმირი უახლოვდებიან, იკუზებიან. ზედ მუცელზე ადებენ ყურს. პაუზა.) მანდ რომ იყოს, წიკწიკს გავიგონებდით.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჩუ! (ყველა ყურს მიუგდებს.)

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. რალაც ფუთქავს.

პ ო ც ო. სად?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მანდ გულია.

პ ო ც ო (გულდაწყვეტილი). ეშმაკსაც წაუღია.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჩუმად! (ყურს უგდებენ.)

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. იქნებ გაჩერებულია საათი. (წელში სწორდება.)

პ ო ც ო. რომელი ყარხართ ასე?

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. ამას პირი უყარს, მე კი — ფეხები.

პ ო ც ო. წავედი მე.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. საათი?

პ ო ც ო. კოშკში თუ დამრჩებოდა.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. აბა, მაშ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

პ ო ც ო. მშვიდობით.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მშვიდობით.

ეს ტ რ ა გ ო ნ ი. მშვიდობით. (დუმილი. არაფერ ადგილიდან არ იძვრის.)

ვლადიმირი. მშვიდობით.
 პოცო. მშვიდობით.
 ესტრაგონი. მშვიდობით. (დუმილი.)
 პოცო. და მადლობელი ვარ.
 ვლადიმირი. პირიქით, ჩვენა ვართ მადლობელი.
 პოცო. როგორ გეკადრებათ.
 ესტრაგონი. რა თქმა უნდა.
 პოცო. კარგი ერთი.
 ვლადიმირი. რა თქმა უნდა.
 ესტრაგონი. რასაკვირველია. (დუმილი.)
 პოცო. მგონი, მიჭირს კიდევ წასვლა. (ყოყმანობს.)
 ესტრაგონი. ასეა ცხოვრება. (პოცო მობრუნდება, მიდის ლაკისთან კულისებში, თანდათანობით მიუშვებს თოკს.)
 ვლადიმირი. მგონი, გეშლებათ და საწინააღმდეგო მხარეს მიდიხართ.
 პოცო. არა, სტარტს ავიღებ და გამოვექანები. (ბოლომდე გამოუშვებს თოკს, ჩერდება კულისებში, მოტრიალდება და ყვირის.) გზიდან ჩამომეცალეთ! (ესტრაგონი და ვლადიმირი განზე გადგებიან. სცენის სიღრმიდან უყურებენ პოცოს, რომელიც მათრახს ატკაცუნებს.) აბა, გასწი! (ლაკი არ იძვრის.)
 ესტრაგონი. გასწი!
 ვლადიმირი. გასწი! (პოცო მათრახს ატკაცუნებს. ლაკი ნაბიჯს გადადგამს).
 პოცო. ცოცხლად! (პოცო გამოდის კულისებიდან, ლაკის კვალდაკვალ გადაჭრის სცენას. ვლადიმირი და ესტრაგონი ქუდებს იხდიან, უქნევენ. ლაკი თვალს მიუფარება. პოცო მას თოკის ქაჩვითა და მათრახის ტკაცუნით წინ მიუერეკება.) აბა, ცოცხლად, ცოცხლად! (მაგრამ სანამ საბოლოოდ მიუფარებოდეს თვალს, პოცო ჩერდება და ვლადიმირისა და ესტრაგონისაკენ მობრუნდება. თოკი იჭიმება, ისმის, როგორ მოადუნს ლაკი ბრაგვანს მიწაზე.) მშვიდობით.
 ვლადიმირი }
 ესტრაგონი } (ხელს უქნევენ). მშვიდობით.
 პოცო. აეთრიე! შე ღორო! (ისმის ლაკის ხვნეშა.) აჩუ! გასწი! მშვიდობით! ნაბიჯს აუჩქარე მძორო, სწრაფად-მეთქი! მშვიდობით! (დუმილი.)
 ვლადიმირი. აი, როგორც იქნა, დროც გავიდა.
 ესტრაგონი. ისედაც გავიდოდა.
 ვლადიმირი. პო, მაგრამ ასე სწრაფად არა. (პაუზა.)
 ესტრაგონი. ახლა როგორღა მოვიქცეთ?
 ვლადიმირი. არ ვიცი.
 ესტრაგონი. მოდი, წავიდეთ.
 ვლადიმირი. ვერ წავალთ.
 ესტრაგონი. რატომ?
 ვლადიმირი. გიდოს ვულოდებით და იმიტომ.
 ესტრაგონი. პო, მართლა. (პაუზა.)
 ვლადიმირი. მაგრად კი გამოცვლილან.
 ესტრაგონი. ვინ?
 ვლადიმირი. ეგ ორნი.
 ესტრაგონი. პო, მოდი, მართლა, ცოტა ვილაპარაკოთ.

ვლადიმირი. რა, შენი აზრით, არ გამოცვლილან?

ესტრაგონი. ადვილი შესაძლებელია. ოღონდ ესაა, მე და შენ ვეღარაფერი გამოგვცვლის.



ვლადიმირი. იქნებ მართალიც ხარ. ეგერა. მაგრამ ისინი ხომ...

ესტრაგონი. ვთქვით, გამოცვლილან კიდევ. მაგრამ მე ნებნობდი. რა ვიცი, უწინ როგორები იყვნენ.

ვლადიმირი. იცნობდი, ჩემო კარგო.

ესტრაგონი. ნამდვილად გეუბნები, არ ვიცნობდი.

ვლადიმირი. მე კი გეუბნები, მაგათ ჩვენ თრივე ვიცნობდით. შენ ყველაფერი გავიწყდებ. (პაუზა, თავისთვის.) თუ მართლა სხვები არ არიან...

ესტრაგონი. მაშ, თვითონ მაინც რატომ ვერ გვიცნეს?

ვლადიმირი. ეგ არაფერს არ ნიშნავს. მეც თავი ისე მეჭირა, თითქოს მაგათ პირველად ვხედავდი. (პაუზა.) და თანაც, არავინ არ მოისურვებს მე და შენ გვიცნოს; არასდროს.

ესტრაგონი. მოგეშვით ამას... სჯობს... ვაი! (ვლადიმირი უძრავად დგას.) ვაი! ვლადიმირი (თავისთვის). თუ მართლა სხვები არ არიან...

ესტრაგონი. დიდრ! ახლა მეორე ფეხში მივლის! (კოჭლობით იმ ადგილისაკენ მიემართება, სადაც პირველად იჯდა, ფარდის ახლისას.)

ხმა კულისებოდან. ბატონო! (ესტრაგონი შეჩერდება. ორივე იმ მხარეს იყურება, საიდანაც ხმა მოისმა.) აჰა, ისევე თავიდან იწყება.

ვლადიმირი. მომიახლოვდი, შვილო ჩემო. (გაუბედავად შემოდის ბიჭი; მორიდებით შეჩერდება.)

ბიჭი. ბატონი ალბური... თუ შეიძლება...

ვლადიმირი. მე ვარ ბატონი ალბური.

ესტრაგონი. რა ვინდა?

ვლადიმირი. აქ მოდი. (ბიჭი არ უახლოვდება.) ესტრაგონი (ბრძანების კილოთი.) აქ ნოდო-მეთქი, შენ გეუბნები. (ბიჭი შემინებული გადადგამს ნაბიჯს, მერე მეორეს... ჩერდება.)

ვლადიმირი. რაო, რა მოხდა.

ბიჭი. ბატონი გოდო... (ჩუმდება.)

ვლადიმირი. გასაგებია... (პაუზა.) მოდი აქ. (ბიჭი არ მიდის.)

ესტრაგონი (ხმას აუწევს, მბრძანებლურად). აქ მოდი-მეთქი! (ბიჭი მორიდებით გადადგამს ნაბიჯს, მერე მეორეს, ჩერდება.) ასე რად დაიგვიანე?

ვლადიმირი. ბატონმა გოდომ გამოგვზავნა?

ბიჭი. დიას, ბატონო.

ვლადიმირი. მაშ, გვითხარი...

ესტრაგონი. რად დაიგვიანე? (ბიჭი ხან ერთს მიაპყრობს მხურას, ხან მეორეს, არ იცის, რომელს უპასუხოს.)

ვლადიმირი (ესტრაგონს). თავი დაანებე!

ესტრაგონი (ვლადიმირს). მომეშვი. (უახლოვდება ბიჭს.) იცი, ახლა რომელი საათია?

ბიჭი (უკან-უკან იხევს). ჩემი ბრალი არ არის... ბატონო...

ესტრაგონი. მაშ, ვისი ბრალია, ჩემი?

ბიჭი. მეშინოდა...

- ესტრაგონი. გეშინოდა? რის? ჩვენი? მიპასუხე.
 ვლადიმირი. ვხვდები, ისინი შეაშინებდნენ.
 ესტრაგონი. რამდენი ხანი იქნება, რაც აქ იცდი?
 ბიჭი. რამდენიმე წუთი, ბატონო.
 ვლადიმირი. მათრახისა შეგეშინდა?
 ბიჭი. დიახ, ბატონო.
 ვლადიმირი. და ყვირილისა?
 ბიჭი. დიახ, ბატონო.
 ვლადიმირი. და იმ ორი კაცისა?
 ბიჭი. დიახ, ბატონო.
 ვლადიმირი. იცნობ იმათ?
 ბიჭი. არა, ბატონო.
 ვლადიმირი. აქაური ხარ?
 ბიჭი. დიახ, ბატონო.
 ესტრაგონი. ეგ სულ მაგის ზღაპრებია. (ბიჭს მკლავში ჩააფრინდება იდაყვს ზემოთ, ანჯღრევს.) მართალი თქვი!
 ბიჭი (ცახცახებს). მართალს მოგახსენებთ, ბატონო.
 ვლადიმირი. თავი დაანებე, რა მოგდის. (ესტრაგონი ბიჭს ხელს შეუშვებს, მიდის, სახეს ხელებით იფარავს. ბიჭი და ვლადიმირი თვალს არ აშორებენ. ესტრაგონი ხელებს დაუშვებს, სახე მწუხარებით დაზაფვრია.) რა დაგემართა?
 ესტრაგონი. თო... უბედური ვარ.
 ვლადიმირი. გეყოფა ერთი; როტავ ტყუილებს, როდის აქვთა ხარ უბედური.
 ესტრაგონი. აღარ მახსოვს.
 ვლადიმირი. ეჰ, რას გვიშვრება ეს მეხსიერება! (ესტრაგონი ცდილობს რაღაცა თქვას, გადაიფიქრებს, მერე კოჭლობით მიდის, სცენას გაივლის, დაჯდება და ფეხზე იხდის.) აბა, რას გვეტყვი...
 ბიჭი. ბატონი გოდო...
 ვლადიმირი (აწყვეტინებს). მგონი, შე შენ სადღაც უკვე მინახავხარ, არა?
 ბიჭი. არ ვიცი, ბატონო.
 ვლადიმირი. შენ მე არ მიცნობ?
 ბიჭი. არა, ბატონო.
 ვლადიმირი. შენ აქ გუშინ არ ყოფილხარ?
 ბიჭი. არა, ბატონო.
 ვლადიმირი. აქ პირველად ხარ?
 ბიჭი. დიახ, ბატონო. (დუმილი.)
 ვლადიმირი. ყველაფერი მითხარი, რაც გინდა. (პაუზა.) ჰო, გიცდი ახლა.
 ბიჭი (ერთბაშად მიაყრის). ბატონმა გოდომ მიბრძანა გადმოგცეთ, რომ ამ საღამოს ვერ მოვა, ხვალ კი უეჭველად გეახლებათ.
 ვლადიმირი. და ეგ არის სულ?
 ბიჭი. დიახ, ბატონო.
 ვლადიმირი. შენ ბატონ გოდოს ემსახურები?
 ბიჭი. დიახ, ბატონო.
 ვლადიმირი. რას აკეთებ?
 ბიჭი. თხებს ვმწყემსავ.



- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შენი ბატონი კარგად გეპყრობა?
- ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. არასოდეს არ გცემს?
- ბ ი ჭ ი. შე არა.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. აბა, ვის სცემს?
- ბ ი ჭ ი. ჩემს ძმას, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. აჰა, მაშ, ძმაცა გყავს?
- ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ის რაღას აკეთებს?
- ბ ი ჭ ი. ის ცხერებს მწყემსავს.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. თუ შენს ძმას სცემს, შენ რაღად გიფრთხილდება?
- ბ ი ჭ ი. არ ვიცვი, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. კარგადაც გაჭმევს, მაძღრად? (ბიჭი იშმუშნება.) მითხარი, შენი ბატონი კარგად გკვებავს?
- ბ ი ჭ ი. ძალიან კარგად, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როგორ გგონია, ბედნიერი ხარ? (ბიჭი იშმუშნება.) არ ვესმის?
- ბ ი ჭ ი. არ ვიცვი.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაშ, არც ის იცი, უბედური ხარ თუ არა?
- ბ ი ჭ ი. არა, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჩემსაფით ყოფილხარ. (პაუზა.) ღამე კი სად გძინავს?
- ბ ი ჭ ი. სხვენზე, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ძმასთან ერთად?
- ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. თივაზე?
- ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო. (პაუზა.)
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. კარგი... წადი.
- ბ ი ჭ ი. ბატონ გოდოს რა მოუახსენო?
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. უთხარი, რომ... (ყოყმანობს.) უთხარი, რომ გვნახე. (პაუზა.) ხომ მართლა გვნახე? ხომ მართალია?
- ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო. (უკან-უკან იხევს, ტკეპნის ერთ ადგილს, მერე შებრუნდება და გარბის.)
(უეცრად ბნულდება. რაღაც ძალიან სწრაფად ჩამოწვევა ღამე. იქ, პორიზონტის სიღრმეში მთვარე მიცურავს, მიიწევს სულ მაღლა, მაღლა, მერე კაბადონს უძრავად დაეკიდება და სცენას მჭრქალ ვერცხლისფრად გაანათებს.)
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როგორც იქნა!
- (ესტრაგონი ადგება და ვლადიმირისკენ გამოემართება. ხელში ფეხსაცმელური უკავია. შემდეგ სცენის განაპირას დააწყობს, რამპასთან. ჩერდება, თავს აიღებს და მთვარეს შეჰყურებს.) რას აკეთებ?
- ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. რასაც შენ, მთვარის ცქერით ვტკბები.
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ფეხსაცმელებზე გეკითხები, იქ რად დააწყვე-მეთქი.
- ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. აქ უნდა დავტოვო. (პაუზა.) ერთხელაც იქნება, აქ ვინმე ისეთი გამოივლის... ჩემისთანა... თღონდ ფეხი ცოტა პატარა ექნება... იპოვის... გაიხარებს...
- ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შენ კი ფეხშიშველა ივლი?

ესტრაგონი. ქრისტე ფუხშიშველი დადიოდა.

ვლადიმირი. მერე, ქრისტე რა შუაშია თუ ქრისტეს ადარებ თავს?

ესტრაგონი. მე მთელი ჩემი სიცოცხლე ქრისტეს ვადარებ თავს.

ვლადიმირი. ჰო, მაგრამ იქ თბილთა და საერთოდ... იქ კარგად უნდა იყოს.

ესტრაგონი. ჰო, სწრაფად მაინც გაცვამდნენ ჯვარზე. (დუმილი.)

ვლადიმირი. წავიდეთ, აქ რაღა დაგვრჩენია.

ესტრაგონი. არც არსად დაგვრჩენია რამე.

ვლადიმირი. გოგო, ყური მიგდე, გულს ნუ ასკდები; აი ნახავ, ხვალ უკეთესად ვიქნებით.

ესტრაგონი. მაინც, როგორ დაასკვენნი?

ვლადიმირი. ვერ გაიგე, ბიჭმა რა თქვა?

ესტრაგონი. რათ?

ვლადიმირი. ბიჭმა თქვა, გოდო ხვალ უმჯობლად მოვათ. (პაუზა.) განა ეს არაფერია?

ესტრაგონი. მაშ, ხვალამდე აქ უნდა მოვუცადოთ?

ვლადიმირი. ხომ არ შეიშალე! სადმე თავი უნდა შევაფაროთ. (ესტრაგონს მკლავსე ეჭიდება.) წავიდეთ! (მიათრევს. ესტრაგონი ჯერ ნებას დაჰყვება, მერე უძალიანდება. შეზერდებიან.)

ესტრაგონი (ხეს ახედავს). ეპ, თოკი მაინც გვექონდეს.

ვლადიმირი. წავიდეთ, აცვიდა. (მიათრევს. რამდენიმე ნაბიჯის მერე იგივე მხორდება.)

ესტრაგონი. ხვალ თოკის წამოღება არ დამავიწყო!

ვლადიმირი. კარგი. წავიდეთ. (ძალისძალად მიათრევს. კვლავ იგივე სცენა.)

ესტრაგონი. რა ხანია, მე და შენ აი, ეგრე ვართ, სულ ერთად?

ვლადიმირი. რა მახსოვს. ერთი ორმოცდაათი წელი მაინც იქნება.

ესტრაგონი. გახსოვს ის დღე, რონაში რომ უიხრჩობდი თავს?

ვლადიმირი. მაშინ ჩვენ ყურძნის კრეფაზე ვმუშაობდით.

ესტრაგონი. შენ ამომათრიე.

ვლადიმირი. ეგ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა.

ესტრაგონი. ჩემი ტანსაცმელი მზეზე შრებოდა...

ვლადიმირი. მოუშვი მაგაზე ფიქრს. წავიდეთ. (მხორდება იგივე სცენა.)

ესტრაგონი. დაიცა.

ვლადიმირი. გავიყინე.

ესტრაგონი. ვგონებ, აჯობებდა... ისევ ვყოფილიყავით... ცალ-ცალკე — ჩვენ-ჩვენი გზით გვევლო. (პაუზა.) ისე გავჩენილვართ, რომ ცალ-ცალკე უნდა ვიაროთ.

ვლადიმირი (არ სწყენია). დაბეჯითებით ვერ იტყვი.

ესტრაგონი. დაბეჯითებით ვერაფერს ვერ იტყვი.


ვლადიმირი. ეგ ახლაც არაა გვიან, თუ ფიქრობ, რომ უკეთ იქნები.

ესტრაგონი. ახლა აღარ ღირს. (დუმილი.)

ვლადიმირი. ეპ, ახლა მართლაც აღარ ღირს. (დუმილი.)

ესტრაგონი. წავიდეთ, მაშ.

ვლადიმირი. წავიდეთ. (დგანან.)



მ ე ო რ ე მ ო ტ მ ე მ დ ე ბ ა



მეორე დღე. იგივე დრო. იგივე ადგილი. ესტრაგონის ფეხსაცმელები რამზასთან ისევ ისე აწყვია — ქუსლებით ერთად, ცხვირებით წინ გაშვებული. ჯანჯანის ქუსლები ქვევ გდია. ხე მწვანით შემოსილა. შეფთვლილა. სწრაფი ნაბიჯით შემოდის ვლადიმირი. კარგა ხანს აკვირდება ხეს. უეცრად ადვილიდან მოწყდება და გაჩქარებული ბოლთასა სცემს სცენაზე. შემდეგ ისევ ჩერდება ფეხსაცმელების წინ, აიღებს ერთს, ათვალთვლებს, დაყნოსავს და სიფრთხილით იმავე ადგილზე დებს. ისევ ბოლთას ცემს. მარჯვენა გასასვლელთან შეჩერდება, თვალს ხელით მოიჩრდილავს, დიდხანს შორს გაიყურება. მერე ისევ წინ და უკან დადის. ახლა მარცხენა გასასვლელთან შედგება. შორს გასცქერის. კვლავ აწრიალდება. შემდეგ მოულოდნელად ისევ შეჩერდება, გულსელს დაიკრეფს, თავს უკან გადაიგდებს და რაც ძალი და ღონე აქვს მღერის.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მღვდელსა ჰყავდა... (მაგრამ რაკი ძალიან დაბლა დაიწყო, ვეღარ გააგრძელა, ჩაახველა და ახლა მაღლა წაშთიწყო.)

მღვდელსა ჰყავდა ერთი ძალღი
შერჩენილი თბლად,
ძალღმა ხორცი მოჰპარა და
მღვდელმა ძალღი მოკლა.
მერე ორმო გაუთხარა —
წესი უნდა აეგო,
ზედ წარწერაც გაუკეთა —
ყოველ გამვლელს გაეგო,
რომ...

(შეჩერდება, სულს მოითქვამს და ხელახლა იწყებს.)

მღვდელსა ჰყავდა ერთი ძალღი
შერჩენილი...

(ჩუმდება. უძრავად დგას, ისევ ციებთანით აქეთ-იქით აწყდება. ისევ ჩერდება ხის წინ, ისევ აწრიალდება, შედგება, ფეხსაცმელებს აკვირდება, გაეჭანება მარცხნივ, შორს იყურება. მარჯვენა გასასვლელთან მიიჩრებს, შორს გასცქერის. ამასობაში მარცხენა მხრიდან შემოდის ესტრაგონი. ფეხშიშველი, თავდახრილი, ნელა, მძიმედ შემოდის. ვლადიმირი შემობრუნდება, დაინახავს.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაშ, ისევ შენა ხარ? (ესტრაგონი შეჩერდება, თავდახრილია; ვლადიმირი მისკენ გაემართება.) მოდი გაკოცო.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. არ მომეკარო. (ვლადიმირი გულდაწყვეტილი მიეყინება ადგილს.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. თუ გინდა წავალ. (პაუზა.) გოგო! (პაუზა. ვლადიმირი დაუინებოთ აკვირდება, თავიდან ფეხებამდე ათვალთვლებს.) გცემს? (პაუზა.) გოგო... (ესტრაგონი კვლავ დუმს... თავს მაღლა არ იღებს.) დამე სად გაატარე? (დუმილი. ვლადიმირი უახლოვდება.)

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. ნუ მომეკარები, არც არაფერი მკითხო. ცოტა ხანს იყავი ჩემთან.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. განა მე როდისმე ჩემი ნებით მიმიტოვებინხარ?

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. შენ მე ჩემს ნებაზე მიმაგდე, საშუალება მომეცი წავსულიყავი.

ვლადიმირი. გოგო, შემომხედე. (ესტრაგონი თავდახრილია; ვლადიმირი ბრძანებით.) შემომხედე, რომ გეუბნები! (ესტრაგონი თავს ასწევს, დიდხანს მესტერთან ერთმანეთს: ხან უკან დაიხვეწენ, ხან წინ წამოვლენ, ხან გვერდზე გადახრიან თავს, თითქოს ხელოვნების რაიმე ნიმუშს ათვალთქვებენ.) შემოდგ ერთმანეთს უახლოვდებიან და გადაეხვევიან, ბეჭებზე ურტყამენ ხელს, შემდეგ სწორდებიან და საყრდენგამოცლილი ესტრაგონი ლამის არის დაეცეს.)

ესტრაგონი. რა დღეა!

ვლადიმირი. მითხარი, ვინ გცემა, ყველაფერი მიაჩნებოდა.

ესტრაგონი. ეს ერთი დღეც მივასიკვდილეთ.

ვლადიმირი. ჯერ რა დროსია.

ესტრაგონი. თუმცა, რაც არ უნდა მოხდეს ამ დღეს, ჩემთვის ყველაფერმა აზრი დაჰკარგა. (პაუზა.) შენ ხომ მღეროდი, მე გავიგონე.

ვლადიმირი. მართალია, ვმღეროდი.

ესტრაგონი. მაგან მომათავა. გამიუღვა: „აჰა, მარტოა, ჩემზე ფიქრობს, საბოლოოდ მოვიშორე თავიდან და მღერის-მეთქი“.

ვლადიმირი. ძალით ხომ ვერ გაიფუჭებ გუნებას. დღეს კი მთელი დღე მართლაც შესანიშნავად ვგრძნობ თავს. (პაუზა.) წუხელ ღამითაც, ერთხელაც არ ავმდგარვარ.

ესტრაგონი (ნაღვლიანად). აი, ხედავ, უჩემოდ უკეთესად ხარ.

ვლადიმირი. როგორ შენატრებოდით, სულ მაკლდი, მაგრამ კმაყოფილიც ვიყავი, უცნაურია, არა?

ესტრაგონი (გაგულისხებით). კმაყოფილიც იყავი?

ვლადიმირი. შეიძლება ზუსტად ისე ვერ ვითხარი...

ესტრაგონი. ახლა?

ვლადიმირი (დაფიქრდება). ახლა... (გახარებული.) ახლა შენ ისევ აქა ხარ... (გულგრილად.) ჩვენ ისევ აქა ვართ... (ნაღვლიანად.) მეც ისევ აქა ვარ...

ესტრაგონი. აი ხედავ, ჩემთან ისე კარგად ვერ ხარ. მეც უკეთ ვგრძნობ თავს, როცა მარტო ვარ.

ვლადიმირი (გულზე მოხვდა). მაშ, ეს განუწყვეტელი შეხვედრები რაღა საჭიროა.

ესტრაგონი. რა ვიცი.

ვლადიმირი. მე ვიცი, შენ სულ უმწურო ხარ, თავის დაცვა არ შეგიძლია. მე კი ვერ მოვიტმენ, ვინმემ გცემოს. აი ახლაც, მე რომ შენთან ვყოფილიყავი...

ესტრაგონი. ვერაფერს გახდებოდი.

ვლადიმირი. როგორ?

ესტრაგონი. ისინი ათნი იყვნენ.

ვლადიმირი. მაგას როდი ვამბობ, ჩემთან ვერ გააღიზიანებდი იმათ ისე, რომ ეცემე.

ესტრაგონი. ისეთი არაფერი გამიკეთებია.

ვლადიმირი. მაშ, რაღად გცემეს?

ესტრაგონი. არ ვიცი.

ვლადიმირი. ეჰ, გოგო, ყური მიგდე, არის ბევრი რამ ისეთი, რაც შენდაუნებუ-

რად ხდება, რასაც შენ ვერ ამჩნევ, მე კი ვამჩნევ. ამას თვითონაც უნდა გრძნობდე...



ესტრაგონი. გუბნები, ისეთი არაფერი გამიკვეთებია-მეთქი.

ვლადიმირი. მესმის, შესაძლოა მართალიც იყო, მაგრამ გააჩნდა რაღაცეა და იჭერ თავს. გამომწვევი არ უნდა იყო, თუ გინდა, რომ ცოცხალი გავხდე. მაგრამ მოვეშვათ ამას. შენ ჩემთან ხარ და მე ძალიან კმაყოფილი ვარ.

ესტრაგონი. ისინი ათნი იყვნენ.

ვლადიმირი. გამოტყდი, რომ შენც გიხარია. და სადღაც გულის სიღრმეში შენც ძალიან კმაყოფილი ხარ.

ესტრაგონი. კმაყოფილი ვარ? რით?

ვლადიმირი. იმიტომ, რომ ისევ ერთად ვართ.

ესტრაგონი. ეგრე გგონია?

ვლადიმირი. ჰო-თქო, მითხარი, თუნდაც გულში სულ სხვას ფიქრობდე.

ესტრაგონი. რა გითხრა?

ვლადიმირი. მითხარი: მე კმაყოფილი ვარ.

ესტრაგონი. მე კმაყოფილი ვარ.

ვლადიმირი. მეც.

ესტრაგონი. მეც.

ვლადიმირი. ჩვენ კმაყოფილნი ვართ.

ესტრაგონი. ჩვენ კმაყოფილნი ვართ. (სიჩუმე.) და რა ვქნათ ახლა, რაკი კმაყოფილნი ვართ?

ვლადიმირი. გოდოს დაველოდოთ.

ესტრაგონი. სწორია. (დუმილი.)

ვლადიმირი. გუშინდელს მერე შეცვლილა აქაურობა.

ესტრაგონი. რომ არ მოვიდეს?

ვლადიმირი (წუთით ისე შესცქერის, არ მესმის, რას ამბობთ). რაღაცას მოვიფიქრებთ. გუბნები მე შენ, გუშინდელს აქვთ გამოცვლილა აქაურობა.

ესტრაგონი. ყველაფერი ჟონავს.

ვლადიმირი. ხეს შეხედე.

ესტრაგონი. ორჯერ ერთსა და იმავე სიბინძურეშიც ვერ ჩაწვები.

ვლადიმირი. არა, ხეს, ამ ხეს შეხედე. (ესტრაგონი უყურებს ხეს.)

ესტრაგონი. გუშინ იყო აქ ეს ხე?

ვლადიმირი. იყო, რა თქმა უნდა. როგორ დაგავიწყდა, კინაღამ ზედ თავი არ ჩამოვიხრჩეთ? (ჩაფიქრდება.) ცოტაც და (ნელა, მკაფიოდ გამოთქვამს თითო-ეულ სიტყვას.) ზედ დავეკიდებოდით, მაგრამ შენ აღარ ინდომე. აღარ გახსოვს?

ესტრაგონი. დაგესიზმრებოდა.

ვლადიმირი. ყველაფერი ასე როგორ უნდა დაგვიწყნოდა.

ესტრაგონი. ასეთი გაგჩენილვარ, რაც მოხდება, მაშინვე ან სამუდამოდ უნდა დავივიწყო, ან სამუდამოდ დავიმახსოვრო.

ვლადიმირი. აღარც პოცო და ლაკი გახსოვს?

ესტრაგონი. პოცო და ლაკი?

ვლადიმირი. ყველაფერი დავიწყებია!

ესტრაგონი. მახსოვს ვიღაც გამოთაყვანებულმა ფეხში წიხლი მომარტყა, მერე როგორღაც ტაკიმახსარობდა.



- ვლადიმირი. ეს იყო ლაკი.
- ესტრაგონი. მახსოვს, მაგრამ როდის იყო ეს?
- ვლადიმირი. ლაკის რომ თოკზე გამობმულს შორეკავდა, ის კაცი აღარ გახსოვს?
- ესტრაგონი. ძვლები რომ მომცა.
- ვლადიმირი. ეს იყო პოცო.
- ესტრაგონი. და შენ ამბობ, რომ ეს ყველაფერი გუშინ მოხდა?
- ვლადიმირი. გუშინ, რა თქმა უნდა.
- ესტრაგონი. და აქ, ამ ადგილზე?
- ვლადიმირი. აქ, მაშ, სად, სულ ველარა სცნობ?
- ესტრაგონი (უეცრად თითქოს ცოფი მოერიათ). სცნობ, ვერა სცნობ! რა უნდა ვიცნო, მთელი სიცოცხლე ლაფში ვგორავდი და ახლა გნებავს პეიზაჟები გავარჩიო? (გარშემო თვალს მოავლებს.) შეხედე ამ არარაობას, უბადრუკ წუმბეს, ფეხი არ მომიცვლია, ნაბიჯი არ გადამიდგამს აქედან.
- ვლადიმირი. ნუ ცხარობ, ნუ ცხარობ.
- ესტრაგონი. პოდა, მაშ, მომწყდით თავიდან შენი პეიზაჟებიანად. სჯობს ჭიყვლებზე შელაპარაკო.
- ვლადიმირი. პო, მაგრამ, ხომ მაინც ვერ იტყვი, რომ ეს (მკლავს გარშემო მოატარებს), ვოკლუზის მიდამოებს ჰგავს. რაც არ უნდა თქვა, განსხვავება მაინც საგრძნობია.
- ესტრაგონი. ვოკლუზი რაღა მოსატანია, ვინ გაიხსენა ვოკლუზი.
- ვლადიმირი. კი მაგრამ, ხომ ყოფილხარ ვოკლუზში?
- ესტრაგონი. არასოდეს არ ვყოფილვარ ვოკლუზში. მთელი ჩემი მათხოვრული არსებობა აქ, ამ დამპალუზში გამიტარებია.
- ვლადიმირი. კისერს მოვიჭრი, თუ მე და შენ ერთად არ ვყოფილიყავით ვოკლუზში, და ყურძნის კრუფაზე იმასთან, — რა ჰქვია, ბონელისთან, რუსილიონში არ გვემუშაოს.
- ესტრაგონი (შედარებით მშვიდად). შესაძლებელია. ოღონდ მე არც იქ შემინიშნავს რაიმე ისეთი.
- ვლადიმირი. როგორ, ერთიანად გადაწითლებულია იქაურობა.
- ესტრაგონი (მთმინებადაკარგული). არაფერი შემინიშნავს-მეთქი, გეუბნები. (სიჩუმე. ვლადიმირი ღრმად ამოიოხრებს.)
- ვლადიმირი. ეჰ, მძიმე ხასიათი გაქვს, გოგო.
- ესტრაგონი. ცალ-ცალკე ყოფნა სჯობდა ორივესთვის.
- ვლადიმირი. სულ ასე ამბობ და ბრუნდები მაინც. (დუმილი.)
- ესტრაგონი. ყველაზე კარგი ის იქნებოდა, მეც მოგეკალი, დიდო, როგორც აი ის, სხვა.
- ვლადიმირი. ვინ სხვა? (პაუზა.) ვინ სხვა?
- ესტრაგონი. როგორც ბილითნი სხვები.
- ვლადიმირი (შეგონებით). თითოეულ ადამიანს იმხელა ტვირთი დაჰყვება, რისი ზიდვაც შეუძლია... სანამ ცოცხალია... (დაფიქრდება.) მერე კი მოკვდება, და იმ კაცსაც ყველა დაივიწყებს.
- ესტრაგონი. რაკი გარუმება არ შეგვიძლია, მოდი მშვიდად მაინც ვილაპარაკოთ.
- ვლადიმირი. მართლაც დაუცხრომლები ვართ მე და შენ.
- ესტრაგონი. ეს იმიტომ, რომ არ ვიფიქროთ.



- ვლადიმირი. გამართლებას ყოველთვის მოვუძებნით.
- ესტრაგონი. რომ არ გავიგონოთ.
- ვლადიმირი. მიზეზი არ დაგველევა.
- ესტრაგონი. ყველა ეს სამარისეული ხმა.
- ვლადიმირი. ფრთების შრიალის მსგავსი.
- ესტრაგონი. ფოთოლთა შრიალის.
- ვლადიმირი. ჭვიშის.
- ესტრაგონი. ფოთოლთა. (დუმილი.)
- ვლადიმირი. ისინი ყველანი ერთად ლაპარაკობენ.
- ესტრაგონი. და თითოეული თავისას მოთქვამს. (დუმილი.)
- ვლადიმირი. უფრო სწორად, ჩურჩულებენ.
- ესტრაგონი. დრტვინავენ.
- ვლადიმირი. შრიალებენ.
- ესტრაგონი. დრტვინავენ. (დუმილი.)
- ვლადიმირი. რას, რას ამბობენ?
- ესტრაგონი. თავიანთ ცხოვრებაზე ლაპარაკობენ.
- ვლადიმირი. ის არ ჰყოფნით, რომ ცოცხლობენ?
- ესტრაგონი. ის არ ჰყოფნით, რომ მკვდრები არიან? (დუმილი.)
- ვლადიმირი. ისინი ბუმბულის ჩქამს მოგაგონებენ.
- ესტრაგონი. ფოთოლთა შრიალს.
- ვლადიმირი. ფერფლის ჩამიჩუმს.
- ესტრაგონი. ფოთოლთა შრიალს. (დუმიან.)
- ვლადიმირი. თქვი გოგო, რამე.
- ესტრაგონი. ვუძებ სათქმელს. (ხანგრძლივი დუმილი.)
- ვლადიმირი. (ნაღვლიანად). თქვი რამე, სულ ერთია, რა იქნება.
- ესტრაგონი. რა გზას დავადგეთ?
- ვლადიმირი. გოდოს დაველოდოთ.
- ესტრაგონი. სწორია. (დუმილი.)
- ვლადიმირი. საოცრად მიმძიმს. აუტანელია მოლოდინი.
- ესტრაგონი. იქნებ გემღერა?
- ვლადიმირი. არა, არ შემიძლია. (ფიქრობს.) სჯობს ყველაფერი თავიდან და-
ვიწყო.
- ესტრაგონი. მართლაც, ეს არც ისე ძნელია.
- ვლადიმირი. დაწყებაა ძნელი.
- ესტრაგონი. საიდანაც გინდა, იქიდან დაიწყებ.
- ვლადიმირი. ჰო, მაგრამ, ხომ უნდა გადაწყვიტო.
- ესტრაგონი. მართალია. (დუმილი.)
- ვლადიმირი. მიშველე რამე!
- ესტრაგონი. ვცდილობ. (დუმილი.)
- ვლადიმირი. როცა ცდილობ, ბევრ რამეს გაიგონებ.
- ესტრაგონი. ჰო.
- ვლადიმირი. ეს კი ხელს გიშლის მიაგნო, რასაც ეძებ.
- ესტრაგონი. რა თქმა უნდა!
- ვლადიმირი. ფიქრშიაც გიშლის ხელს.

- ესტრაგონი. და მაინც ფიქრობ.
- ვლადიმირი. არა, ეს შეუძლებელია.
- ესტრაგონი. ჰო, ჰო, მოდი ერთმანეთს ვეკამათოთ.
- ვლადიმირი. არ შემიძლია.
- ესტრაგონი. ფიქრობ?
- ვლადიმირი. არა, ფიქრის საფრთხე სამუდამოდ აღილებული გვაქვს.
- ესტრაგონი. მაშ, რაღას ვემდურით ბედს?
- ვლადიმირი. ეჭ, ფიქრი არც თუ უსაშველო უბედურებაა.
- ესტრაგონი. რაღა თქმა უნდა, მაგრამ საქმეც ეგ არის.
- ვლადიმირი. როგორ თუ, საქმეც ეგ არის?
- ესტრაგონი. აი როგორ: მუტი კითხვები დაეუსვათ ერთმანეთს.
- ვლადიმირი. რის თქმა გინდა, საქმეც ეგ არისო, რომ ამბობ?
- ესტრაგონი. არაფერი გვექონია სამდურაფი.
- ვლადიმირი. როგორც ჩანს.
- ესტრაგონი. მაშ, ასე. ვიფიქროთ, ვითომ ბედი გეწყალობს.
- ვლადიმირი. საშინელებაა, როცა ფიქრობ.
- ესტრაგონი. განა ხშირად ვფიქრობთ ხოლმე?
- ვლადიმირი. საიდან მოზვავდა ამდენი მიცვალებული?
- ესტრაგონი. ამდენი ჩონჩხი.
- ვლადიმირი. აი, თურმე საიდან.
- ესტრაგონი. ხომ ყველაფერი ნათელია?
- ვლადიმირი. რა თქმა უნდა, — ვიფიქრეთ ცოტა.
- ესტრაგონი. ჰო, თავდაპირველად, დასაწყისში.
- ვლადიმირი. რა სასაკლაოა, რა სასაკლაოა!
- ესტრაგონი. უნდა ეცადო თვალი აარიდო, სხვა გზა არა გაქვს.
- ვლადიმირი. ძალაუნებურად მოგახედებს.
- ესტრაგონი. ჰო.
- ვლადიმირი. თვალებიც რომ დაითხარო, მაინც, ამასთან ვერაფერს გააწყობ.
- ესტრაგონი. რა თქვი?
- ვლადიმირი. ვერაფერს გააწყობ-მეთქი.
- ესტრაგონი. სადმე ბუნების წიაღში უნდა გვეცხოვრა.
- ვლადიმირი. აკი ვცადეთ.
- ესტრაგონი. ჰო, მართლა.
- ვლადიმირი. ბოლოს და ბოლოს, ეს არც ისე უსაშველო უბედურებაა.
- ესტრაგონი. რა ეს?
- ვლადიმირი. ფიქრი.
- ესტრაგონი. ალბათ.
- ვლადიმირი. თუმცა ამისთვისაც შეიძლებოდა გვერდის ავლა.
- ესტრაგონი. ჰო, მაგრამ, რას იზამ...
- ვლადიმირი. რა თქმა უნდა... ვიცი... (დუმილი.)
- ესტრაგონი. მაინც სწრაფად ჩავეგრიადდით ბოლოში.
- ვლადიმირი. ჰო, და ახლა სხვა რაღაც გამოვძებნოთ.
- ესტრაგონი. რა?
- ვლადიმირი. გამოვძებნოთ რაიმე.

ესტრაგონი. დაუძებნოთ. (უძებენ.)

ვლადიმირი. რაზე ვლაპარაკობდი? აი, აქედან შეიძლება დავიწყოთ.

ესტრაგონი. როდის?

ვლადიმირი. სულ თავში, სულ დასაწყისში.

ესტრაგონი. რის დასაწყისში?

ვლადიმირი. ამ საღამოს. მე ვამბობდი, რომ... მე ვამბობდი...

ესტრაგონი. ახლა მეტისმეტსაც კი ნუ მომთხოვ.

ვლადიმირი. მოიცა... ჯერ, გადავეხვიეთ ერთმანეთს... მერე კმაყოფილები ვიყავით. ჰო, კმაყოფილები... ნერვ — რა ვქნათ, რაკი კმაყოფილები ვართო... ველოდოთო... დამაცადე, ახლავე გავიხსენებ... ჰო, ველოდოთო... ველოდოთო... დამაცადე ახლავე გავიხსენებ... ჰო ველოდით... კმაყოფილები ვიყავით... ველოდით... ველოდით... აჰა, გამახსენდა: ხე!

ესტრაგონი. რა ხე?

ვლადიმირი. აღარ გახსოვს?

ესტრაგონი. ძალიან დავიღალე.

ვლადიმირი. შეხედე ხეს. (ესტრაგონი უყურებს ხეს.)

ესტრაგონი. ვერაფერს ვამჩნევ

ვლადიმირი. გუშინ მოშიშვლებული იდგა, ჩაწვეებული, დღეს როგორ შეფოთლილა.

ესტრაგონი. შეფოთლილა?

ვლადიმირი. სულ ერთ ღამეში!

ესტრაგონი. იქნებ გაზაფხულდა.

ვლადიმირი. ერთ ღამეში!

ესტრაგონი. ჩვენ აქ გუშინ არ ვყოფილვართ. ეგ სულ შენი კომმარების ბრალია.

ვლადიმირი. მაშ, სად ვიყავით გუშინ, შენი აზრით?

ესტრაგონი. რა ვიცი მე, სხვაგან; ცოტა სიცარიელეა? სადმე საჩეხეში ვეგდებოდით.

ვლადიმირი (თავის სიმართლეში დარწმუნებული). კარგი. არ ვყოფილვართ აქ გუშინ საღამოს, მაგრამ იქ რას ვაკეთებდით, სადაც ვიყავით?

ესტრაგონი. რას ვაკეთებდით?

ვლადიმირი. ჰო, იქნებ გაიხსენო.

ესტრაგონი. ჩვენ? მე რა ვიცი. ვილახებდით რაღაცას.

ვლადიმირი. რას?

ესტრაგონი. რა ვიცი, ან იმას, ან ამას, ათას სისულელეს. (დარწმუნებით.) მართლა, ახლა გამახსენდა. მე და შენ გუშინ ათასნაირ სისულელეს ვროშავდით. მთელი ნახევარი საუკუნეა, სულ მაგას არ ვუნდებოთ?

ვლადიმირი. ჰო, მაგრამ რაიმე ფაქტს, ან სიტუაციას ვერ გაიხსენებ?

ესტრაგონი. სული ნუ ამომხადე, დიდო.

ვლადიმირი. მზე? ან მთვარე? მთვარეც არ გახსოვს?

ესტრაგონი. რა უნდა მახსოვდეს, ძირს ხომ არ ჩამოსულა.

ვლადიმირი. არაფერი განსაკუთრებული არ შეგიმჩნევია?

ესტრაგონი. საუბედუროდ!

ვლადიმირი. მაშ, პოცო, ლაკი...

ესტრაგონი. პოცო?



- ვლადიმირი. ჰო, ძვლები.
- ესტრაგონი. ისიც, რომ ძვლები იყო...
- ვლადიმირი. რაც იყო. პოცომ მოგცა.
- ესტრაგონი. არ მახსოვს.
- ვლადიმირი. წიხლი რომ მოგაზილეს, ის გახსოვს?
- ესტრაგონი. ჰო, ვილაცამ მართლაც მომარტყა კოჭში.
- ვლადიმირი. ლაკი იყო.
- ესტრაგონი. და ეს ყველაფერი გუშინ მოხდა?
- ვლადიმირი. შარვალი აიწიე, ერთი, და კოჭი მაჩვენე.
- ესტრაგონი. რომელი?
- ვლადიმირი. ორივე. აიწიე შარვალი. (ცალ ფეხზე მდგარი ესტრაგონი მეორე ფეხს ვლადიმირისაკენ გაიმეურს და კინადამ დაეცემა. ვლადიმირი ფეხში ჩააფლებს ხელს. ესტრაგონი ბარბაცებს.) აიწიე შარვალი.
- ესტრაგონი (ირყვია). — არ შემოძლია. (ვლადიმირი შარვლის ტოტს აუკეცავს, ფეხს უთვალთვლებს, ხელს გაუშვებს. ესტრაგონი ლამის არის დაეცეს.)
- ვლადიმირი. მეორე ფეხი მაჩვენე. (ესტრაგონი ისევ იმ ფეხს გაუწვდის.) მეორე. აპა, შეხედე, იარა დაგჩირქებია კიდევ.
- ესტრაგონი. შერე რა?
- ვლადიმირი. ფეხსაცმელები სადა გაქვს?
- ესტრაგონი. ალბათ გადავყრიდი.
- ვლადიმირი. როდის?
- ესტრაგონი. არ ვიცი.
- ვლადიმირი. რატომ?
- ესტრაგონი. არ მახსოვს.
- ვლადიმირი. არა, რატომ არ იცი კი არა, რად გადაყრიდი-მეთქი.
- ესტრაგონი. ფეხს მტკუნდა.
- ვლადიმირი. (მიახედებს). აგე შენი ფეხსაცმელები. (ესტრაგონი უყურებს ფეხსაცმელებს.) ისევ იქაა, სადაც გუშინ დატოვე. (ესტრაგონი უფრო ახლო მიდის, ჩაიჩოქებს. ცხვირს თითქმის დაადებს ფეხსაცმელებს და ათვალთვლებს.)
- ესტრაგონი. ეს ჩემი არაა.
- ვლადიმირი. იცი რას გეტყვი...
- ესტრაგონი. ჩემი შავი იყო, ეს ყვითელია.
- ვლადიმირი. დარწმუნებული ხარ, რომ შავი იყო?
- ესტრაგონი. როგორ ვითხრა, ნაცრისფერიც ეთქმოდა.
- ვლადიმირი. და ეგ ყვითელია? მაჩვენე.
- ესტრაგონი (ერთ ცალს დასწვდება, აიღებს.) არა, უფრო მომწვანოა.
- ვლადიმირი (უახლოვდება). მაჩვენე. (ესტრაგონი გაუწვდის ფეხსაცმელს. ვლადიმირი გამოართმევს და გაბრაზებული ძირს დაახეთქებს.) მართლა და მართლა...
- ესტრაგონი. აი, ხედავ, მთელი ეს...
- ვლადიმირი. ძალიან კარგად ვხედავ ყველაფერს. იმასაც ვხედავ, რაც აქ მომხდარა.
- ესტრაგონი. ყველაფერი ეს...
- ვლადიმირი. ყველაფერი ეს დღესავით ნათელია. ყოფილა აქ ვილაც, ჩაუცვამს

შენი ფეხსაცმელი, თავისი კი დაუტოვებია.

ესტრაგონი. რატომ?

ვლადიმირი. მოუჭირა ალბათ. პოდა, შენი ჩაიცვა.

ესტრაგონი. მე ძალიან მიჭერდა.

ვლადიმირი. ძალიან გიჭერდა შენ, იმას კარგად მოერგო.

ესტრაგონი დავიღალე დიდძ. (პაუზა.) მოდი წავიდეთ.

ვლადიმირი. ვერ წავალთ.

ესტრაგონი. რატომ?

ვლადიმირი. ვოდოს ვულოდებით.

ესტრაგონი. პო, მართლა. რა ვქნათ?

ვლადიმირი. რა უნდა ქნა.

ესტრაგონი. მე შეტი აღარ შემიძლია.

ვლადიმირი. გინდა ბოლოკი?

ესტრაგონი. სულ ვგ არის ჩვენი სიმდიდრე?

ვლადიმირი. თალგამიცა გვაქვს.

ესტრაგონი. სტაფილო?

ვლადიმირი. სტაფილო არა გვაქვს. რას ამოირჩემე ეს სტაფილო.

ესტრაგონი. კარგი, მაშ, მოიტა ბოლოკი. (ვლადიმირი ჯიბეებს იქექავს, მხოლოდ თალგამს იპოვის, მერე ერთ ბოლოკსაც მიაგნებს და აწვდის ესტრაგონს. ესტრაგონი ათვალისურვებს ბოლოკს. ტუნს აიბზუებს.) რა შავია!

ვლადიმირი. რა გინდა, ბოლოკია.

ესტრაგონი. მე წითელი ბოლოკი მიყვარს, ძალიან კარგად იცო.

ვლადიმირი. მაშ, არ გინდა?

ესტრაგონი. მე წითელი ბოლოკი მიყვარს.

ვლადიმირი. მოიტა, მე მომეცე. (ესტრაგონი უბრუნებს ბოლოკს.)

ესტრაგონი. წავალ, იქნებ სტაფილო ვიპოვო. (ადგილიდან არ იძვრის.)

ვლადიმირი. ამას ახლა ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

ესტრაგონი. მაგრამ ჯერ მაინც აქვს (დუმილი.)

ვლადიმირი. რა იქნება, მაინც მოისინჯო?

ესტრაგონი. ყველაფერი მოსინჯული მაქვს.

ვლადიმირი. ფეხსაცმელებზე გეუბნები.

ესტრაგონი. ვითომ ღირს?

ვლადიმირი. დროს გაგაყვანილებს. (ესტრაგონი ყოყმანობს.) მართლა გეუბნები, გულს გადააყოლებ.

ესტრაგონი. გულზე მომეშვება.

ვლადიმირი. გაურთობი.

ესტრაგონი. დავისვენებ.

ვლადიმირი. პო, გაისინჯე ახლა, გთხოვ.

ესტრაგონი. მომესმარები?

ვლადიმირი. რა თქმა უნდა.

ესტრაგონი. ორნი ყველაფერს იოლად ვართმევთ თავს, არა, დიდძ?

ვლადიმირი. პო, ჩემო კარგო; აბა ჯერ მარცხენაზე სცადე.

ესტრაგონი. მაინც ყოველთვის გამოტყვრება რაღაც ისეთი, რაც შთანთქმავდა ბას გვიქმნის, არსებობთო, არა დიდძ?



ვლადიმირი. კი, კი, მე და შენ ნამდვილი ჯადოქრები ვართ. მაგრამ არც იმას უნდა გადაუხვიოთ, რის გაკეთებაც გადაწყვიტეთ, თორემ მოგვიწიებთ საქმე. (აიღებს ფეხსაცმელს.) აბა, მომიშვირე ფეხი. (ესტრაგონი უახლოვდება, მიუშვირს ფეხს.) ეგ არა, შტერო! (ესტრაგონი ახლა მეორე ფეხს უშვირს, როგორც მალა ასწიე. (ჩაებლაუჭებიან ერთმანეთს და სცენაზე ბარბაცეიენს. ბოლოს, როგორც იქნა, ვლადიმირი წამოაცმევს ფეხსაცმელს ესტრაგონს.) ახლა გაიარ-გამოიარე! (ესტრაგონი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს.) კარგადა გაქვს?

ესტრაგონი. ჩემს ფეხზეა შეკერილი.

ვლადიმირი (ჯიბიდან ბაწარს ამოიღებს). ახლა შეგიკრავ ბარემ.

ესტრაგონი (გაცეცხლებული). არა, არავითარ შემთხვევაში, არ შემიკრა.

ვლადიმირი. მერე ინანებ, იცოდეთ! მოიტა მეორე ფეხი. (მეორდება იგივე სცენა.)
ეგ როგორღა გაქვს?

ესტრაგონი. ზედგამოჭრილია.

ვლადიმირი. სულ არ გიჭერს?

ესტრაგონი (მძიმედ ადგამს ნაბიჯებს). ჯერჯერობით, არა.

ვლადიმირი. პოდა, გეცვას, მაგას რა სჯობს.

ესტრაგონი. ძალიან დიდია.

ვლადიმირი. ერთ მშვენიერ დღეს, იქნებ წინდებიც გაიკრა, მაშინ კარგად გექნება.

ესტრაგონი. პო, მართლა.

ვლადიმირი. გვეყო ამ ფეხსაცმელებზე ლაპარაკი.

ესტრაგონი. მაშ, გადაწყდა! იტოვებ!

ვლადიმირი. პო, მაგრამ...

ესტრაგონი. გვეყო! (დუმილი.) ექ, მოდი დაჯდები. (ირგულივ მიიხედ-მოიხედავს, შემდეგ მიდის და იმავე ადგილზე ჯდება, სადაც პირველი მოქმედების დასაწყისში იჯდა.)

ვლადიმირი. აი, სწორედ მანდ იჯექი გუშინ საღამოს. (დუმილი.)

ესტრაგონი. ნეტა დამეძინებოდეს.

ვლადიმირი. გუშინ საღამოს გეძინა.

ესტრაგონი. ვცდი მაინც. (დაჯდება და თავს მუხლებში ჩარგავს.)

ვლადიმირი. ერთ წუთს დაიცა! (მივა, გვერდით მიუჯდება და მთელი ხმით უმღერის.) ნანი-ნანა ნანიანა!

ესტრაგონი (თავს ასწევს). ძალიან ყვირი.

ვლადიმირი (ხმას დაუდაბლებს). ნანი-ნანა ნანიანა, ნანი-ნანა... (ესტრაგონი იძინებს, ვლადიმირი ქურთუკს გაიხდის და ესტრაგონს შემოახვევს. ადგება, ბოლთას ცემს, თან ხელებს იქნევს, გავითბოთ. ესტრაგონი უეცრად იღვიძებს, ყვირის, სახეშემოილი წამოვარდება, ვლადიმირი მიიბრუნს, გულში ჩაიკრავს.) დამშვიდდი, დამშვიდდი... აქა ვარ... ნუ გეშინია.

ესტრაგონი. ოო! ოოო!

ვლადიმირი. ცოტაც და, გაივლის, ნუ გეშინია.

ესტრაგონი. უფსკრულში ვვარდებოდდი.

ვლადიმირი. ყველაფერი გაივლის, ნუ აპყვები, ნუ...

ესტრაგონი. მწვერვალზე ვიდექ!

ვლადიმირი. გაჩუმდი, გაჩუმდი, ნუ იხსენებ. ადექი, ცოტა გაუიარ-გაოუიაროთ.

(ხელს ჩაჰკიდებს და დადიან, ვიდრე ესტრაგონი თავს არ გააქნევს განძრევა
-ალარ შემოძლიაო.)



ესტრაგონი. არაქათი აღარა მაქვს!

ვლადიმირი. აბა, გირჩევნია ვერე გულხელდაკრეფილი

ესტრაგონი. ჰო.

ვლადიმირი. როგორც გენებოს. (ხელს შეუშვებს ესტრაგონს, თავის ქუროუკს
მოხდის და იცვამს.)

ესტრაგონი. წამო, წავიდეთ

ვლადიმირი. ვერ წავალთ.

ესტრაგონი. რატომ?

ვლადიმირი. გოდოს უნდა დაუყუცადოთ.

ესტრაგონი. ჰო. (ვლადიმირი ისევ ადგება და ბოლთასა სცემს.) არ შეგიძლია
მოისვენო?

ვლადიმირი. მცევა.

ესტრაგონი. ადრე მოგვივიდა მოსვლა.

ვლადიმირი. რალა ადრეა, სადაცაა დაღამდება.

ესტრაგონი. მაგრამ არ ღამდება.

ვლადიმირი. უცებ ჩამოწვება სიბნელე, გუშინდელივით.

ესტრაგონი. და მერე ღამე იქნება.

ვლადიმირი. მერე ჩვენც წავალთ.

ესტრაგონი. მერე ისევ იქნება დღე. (პაუზა.) რა გვეშველება, რა გვეშველება?

ვლადიმირი (აღშფოთებული შეჩერდება). სულ როგორ უნდა ტიროდე, აღარ
შემიძლია შენი წუწუნის მოსმენა.

ესტრაგონი. მე მივდივარ.

ვლადიმირი (ლაკის ქუდს დაინახავს). ეს რაღაა?

ესტრაგონი. მშვიდობით!

ვლადიმირი. ლაკის ქუდი! (უახლოვდება.) მთელი საათია აქა ვარ და ახლალა
შეენიშნე. (დალიან გახარებულია.) რა ბედნიერებაა!

ესტრაგონი. მე შენ საერთოდ ვეღარ მიხილავ, ვეღარასოდეს.

ვლადიმირი. ესე იგი, ადგილი არ შემშლია. ახლა კი მშვიდად დაველოდები.
(ლაკის ქუდს აიღებს, ათვალღერებს, ასწორებს.) მშვენიერი ქუდი იქნებოდა.

(თავისი ქუდის მაგივრად იხურავს, თავისას კი ესტრაგონს გაუწვდის.)

ესტრაგონი. რა არი?

ვლადიმირი. გამომართვი. (გამოართმევს. ვლადიმირი ლაკის ქუდს იხურავს და
ცდილობს მოირგოს. ესტრაგონი იხურავს ვლადიმირის ქუდს, თავისას კი ვლა-
დიმირს აწვდის. ვლადიმირი გამოართმევს. ესტრაგონი ცდილობს მოირგოს
ვლადიმირის ქუდი. ვლადიმირი ესტრაგონის ქუდს იხურავს, ლაკისას კი ესტ-
რაგონს აძლევს. ესტრაგონი გამოართმევს ლაკის ქუდს. ვლადიმირი ცდილობს
მოირგოს ესტრაგონის ქუდი. ესტრაგონი იხურავს ლაკის ქუდს, ვლადიმირის
ქუდს კი ვლადიმირსვე უბრუნებს. ვლადიმირი გამოართმევს, ესტრაგონს მის-
სავე ქუდს უბრუნებს. ესტრაგონი იღებს თავის ქუდს. ვლადიმირი ორივე ხე-
ლით ისწორებს თავზე საკუთარ ქუდს, ესტრაგონიც თავის ქუდს იხურავს და
ლაკის ქუდს ვლადიმირს გაუწვდის. ვლადიმირს ლაკის ქუდი უკავია. ესტრა-
გონი ორივე ხელით ისწორებს საკუთარ ქუდს. ვლადიმირი ლაკის ქუდს იხუ-

რავს, თავისას კი ესტრაგონს აწვდის. ესტრაგონი გამოართმევს და ხელში უკავია ვლადიმირის ქუდი. ვლადიმირი ცდილობს მოირგოს თავზე ლაკის ქუდი. ესტრაგონი უბრუნებს ვლადიმირს მის ქუდს. ვლადიმირი გამოართმევს და ისევ აწვდის ესტრაგონს, ესტრაგონი გამოართმევს და კვლავ ვლადიმირს უბრუნებს. ვლადიმირი გამოართმევს და შორს გადაისვრის. ყოველივე შესწავლისას (სწავლის ტემპში ხდება).

ვლადიმირი. მიხდება?

ესტრაგონი. არ ვიცი.

ვლადიმირი. არა, მაინც როგორ გამოვიყურები? (თავმომწონედ მარჯვნივ და მარცხნივ ატრიალებს თავს.)

ესტრაგონი. გულისამრეგად.

ვლადიმირი. ჩვეულებრივზე უარესად?

ესტრაგონი. ზუსტად ისევ ისე.

ვლადიმირი. მაშ, ეს მეხუროს, ჩემი თავს მტკენდა. (პაუზა.) თითქოს კიდევ მკაწრავდა.

ესტრაგონი. მე წავედი.

ვლადიმირი. თამაში აღარ გინდა?

ესტრაგონი. რა თამაში?

ვლადიმირი. ვითომ პოცო და ლაკი ვართ.

ესტრაგონი. არ ვიცნობ.

ვლადიმირი. შენ იქნები პოცო, მე ვიქნები ლაკი. (ვლადიმირი წელში მოიხრება, ტვირთმოკიდებულ ლაკის დაემსგავსება. ესტრაგონი გაგიჟებული უყურებს.) მოდი.

ესტრაგონი. მე რა უნდა გაგაკეთო.

ვლადიმირი. მლანძღე და მთათხე!

ესტრაგონი. ვიგინდარავ!

ვლადიმირი. უფრო მაგრად!

ესტრაგონი. დამყაყებულო... შე ნესვო... (წელში ათად მოგაკვეული ვლადიმირი რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს წინ, მერე უკან გაბრუნდება.)

ვლადიმირი. მიბრძანე, იფიქრე-თქო.

ესტრაგონი. როგორ?

ვლადიმირი. მიდრიალე, მძორო, იფიქრე-თქო.

ესტრაგონი. იფიქრე, მძორო! (დუმილი.)

ვლადიმირი. არ შემიძლია.

ესტრაგონი. კმარა!

ვლადიმირი. ახლა იცეკვე-თქო, მიბრძანე.

ესტრაგონი. წავედი.

ვლადიმირი. იცეკვე, მძორო. (ერთ ადგილზე ცოდილობს. ესტრაგონი სასწრაფოდ გადის.) ისე კარგად ვერ გამომდის, ვერ ვარ დიდი ოსტატი. (თავს ასწევს, ხედავს, რომ ესტრაგონი წასულა.) გოგო! (სიჩუმე. ვლადიმირი გადარეულივით აქეთ-იქით აწყდება: აქოშინებული შემორბის ესტრაგონი, ვლადიმირთან მიიღბენს.) როგორც იქნა! სად დაიკარგე!

ესტრაგონი (სუნთქვა ეკვრის). დაწყევლილი ვარ!

ვლადიმირი. სად იყავი. მე მეგონა, სულ წახვედი.



ესტრაგონი. მოდიან.

ვლადიმირი. ვინ?

ესტრაგონი. არ ვიცი.

ვლადიმირი (გაბადრული). გოდო იქნება, გოდო! როგორც ჩანს, შენ არღებ, გადაუხვევა ესტრაგონს.) გოგო, გოგო, გესმის, ახლა არაფერი გჭირს, გვეშველა! წამო შევეგებოთ, ჩქარა! (ესტრაგონს კულისისაკენ მიათრევს; ესტრაგონი უძალიანდება, მერე ხელიდან უსხლტება და სცენის მეორე მხარეს მოპირდაპირე გასასვლელში გაუჩინარდება.) გოგო! დაბრუნდი, დაბრუნდი! (ღუმილი. ვლადიმირი იქითკენ გარბის, საიდანაც ესტრაგონი გავიდა. შორს იყურება. მეორე მხრიდან ესტრაგონი შემოდის, ფეხაკრეფით მიიბრუნს და ვლადიმირს ზურგიდან წამოეპარება ვლადიმირი შემობრუნდება.) აქა ხარ!

ესტრაგონი. დავიღუპე!

ვლადიმირი. შორს იყავი?

ესტრაგონი. პლატომდე. იმ მხრიდანაც მოდიან!

ვლადიმირი: გარშემორტყმულები ვართ! (თავგზაბნეული ესტრაგონი სცენის სიღრმისაკენ გაექანება, დეკორაციას დაეჯახება, წაიქცევა.) სად მიბრძნარ, დამთხვეულთ, სად არის მანდ გასასვლელი. (წამოაყენებს ესტრაგონს, რამბასთან მიიყვანს. მაყურებელთა დარბაზისაკენ მიუთითებს.) აი, იქ არავინაა, იქ გაიქეცი, სწრაფად. (დარბაზისკენ უბიძგებს. ესტრაგონი დამფრთხალი უკან დაიხევს.) არ ვინდა? (დარბაზში რიგებს ათვალიერებს.) მესმის შენი, დაიცა, რამეს მოვიფიქრებ. (ფიქრობს.) ერთი გამოსავალი დაგჩვენია — უნდა გაქრე, სხვა გზა არა გაქვს.

ესტრაგონი. სად?

ვლადიმირი. ხეს ამოეფარე. (ესტრაგონი ყოყმანობს.) ჩქარა, ხეს ამოეფარე! (ესტრაგონი გარბის და ხეს ამოეფარება, მაგრამ მაინც ჩანს.) ნუ ინძრევი! (ესტრაგონი წინ გამოდის.) არაფერში არ გვარგია ეს ხე. (ესტრაგონს.) შენ ხომ არ გაგიჟდი?

ესტრაგონი (შედარებით დამშვიდებულია). სულ გადავირიე, რა მომდის. (დარცხენილი თავს ჩაპკიდებს.) მაპატიე! (ამაყად სწევს თავს.) სიტყვას გაძღვე, ეს აღარ გამეორდება. აი ნახავ, მიიხარო, რა უნდა გავაკეთო?

ვლადიმირი. არაფერი, რა უნდა გავაკეთო.

ესტრაგონი. შენ იქ დადექი. (მარცხენა კულისისაკენ მიათრევს ვლადიმირს, გზის გასწვრივ სცენისკენ ზურგშექცევით დააყენებს.) აი ასე. არ გაინძრე და თვალყური ადევნე, არაფერი გამოგეპაროს. (თვითონ მარჯვენა მხარეს გარბის. ვლადიმირი მხარს ზემოდან გახედავს მას. ესტრაგონი შეჩერდება, შორს იყურება, შემობრუნდება. ორივენი მხარს ზემოდან უყურებენ ერთმანეთს.) აბა, ძველი დროება გავიხსენოთ და ზურგშექცევით დავდგეთ! (წუთით კვლავ თვალს გაუსწორებენ ერთმანეთს, შემდეგ სმენაგამახვილებული აქეთ-იქით იყურებიან. ხანგრძლივი სიჩუმე.) ხომ არ მოდიან?

ვლადიმირი (მიხედავს). რა თქვი?

ესტრაგონი. ხომ არავინ ჩანს, ხომ არ მოდიან-მეთქი.

ვლადიმირი. არა.

ესტრაგონი. მეც ვერავის ვამჩნევ. (კვლავ მიდამოს ზვერავენ. ხანგრძლივი სიჩუმე.)



ვლადიმირი. ალბათ მოგეჩვენა.
 ესტრაგონი. (თავს მოაბრუნებს). რა მითხარი?
 ვლადიმირი. (უფრო ხმამაღლა). ალბათ მოგეჩვენა-მეთქი.
 ესტრაგონი. რა გალრიალებს. (ისევ გარშემო იყურებიან. ხანგრძლივი სიჩუმე.)
 ვლადიმირი } (ერთდროულად შემობრუნდებიან). მე განა...
 ესტრაგონი }
 ვლადიმირი. თქვი, თქვი, უკაცრავად!
 ესტრაგონი. არა, გისმენ, გისმენ!
 ვლადიმირი. არაფერი.
 ესტრაგონი. თქვი ახლა.
 ვლადიმირი. მე შეგაწყვეტინე.
 ესტრაგონი. პირიქით (ბრაზი ერევათ, გულმოსულნი უყურებენ ერთმანეთს.)
 ვლადიმირი. რა ტუტუცურად ლაპარაკობ.
 ესტრაგონი. რას ჯიუტობ, თქვი რაც გინდოდა.
 ვლადიმირი. (შეუყვირებს). თქვი, რომ გეუბნები.
 ესტრაგონი. (იმავვე ტონით). ჯერ შენ. (სიჩუმე. ერთმანეთს უახლოვდებიან. შეჩერდებიან.)
 ვლადიმირი. რა უნდა გითხრა, ნამდვილი იდიოტი ხარ.
 ესტრაგონი. კო, კო, მართალია, მოდი ერთმანეთი გლანძღოთ. (რიგრიგობით ილანძღებიან. სიჩუმე). ახლა კი შევრიგდეთ.
 ვლადიმირი. გოგონა!
 ესტრაგონი. დიდი!
 ვლადიმირი. მომეცი ხელი.
 ესტრაგონი. აჰა, ჩემო კარგო.
 ვლადიმირი. მოდი გაკოცო.
 ესტრაგონი. მაკოცო?
 ვლადიმირი. (მკლავებს გაშლის). კო, მოდი ჩემთან.
 ესტრაგონი. ახლავე, (გადაეხვევიან ერთმანეთს. სიჩუმე.)
 ვლადიმირი. რა მალე გადის დრო, როცა ერთობი. (სიჩუმე.)
 ესტრაგონი. ახლა რაღა გავაკეთოთ?
 ვლადიმირი. ჯერჯერობით ველოდოთ.
 ესტრაგონი. ველოდოთ ჯერჯერობით. (სიჩუმე.)
 ვლადიმირი. ხომ არ გვევარჯიშა?
 ესტრაგონი. ჩვენი მოძრაობები გავიმეოროთ?
 ვლადიმირი. კო. ჯერ წელში მოვიხართო.
 ესტრაგონი. მერე გავიმართოთ.
 ვლადიმირი. ჩავჯდეთ.
 ესტრაგონი. ისევ გავიმართოთ.
 ვლადიმირი. იქნებ გავთბეთ ცოტა.
 ესტრაგონი. იქნებ დავწყინარდეთ.
 ვლადიმირი. დავიწყოთ. (ვლადიმირი ჯერ ცალ ფეხზე ხტის, მერე მეორეზე, ესტრაგონიც მას ბაძავს.)
 ესტრაგონი. (შეჩერდება). გვეყოფა, დავიღალე.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. (მიხედავს, შეჩერდება). ცოტა მხრებში გავიშალეთ, ესე-ორჯე-
რაც ჩავისუნთქოთ და ამოვისუნთქოთ.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. მომბეზრდა ეგ ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შენ მართალი ხარ. (პაუზა.) მოდი ახლა წონახუნთობის გავი-
ვარჯიშოთ, ხე გავაკეთოთ.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. ხე გავაკეთოთ?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჰო (ვლადიმირი ხესავით ცალ ფეხზე შედგება, აქეთ-იქით ქანა-
ობს.) ახლა შენი ჯერია. (ესტრაგონიც ცალ ფეხზე შედგება, ირყევს.)

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. როგორ გგონია, ღმერთი მხედავს მე?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. თვალები უნდა დახუჭო. (ესტრაგონი თვალებს დახუჭავს, უფრო
მეტად ირყევს.)

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი (გასწორდება, მუშტებს ცისკენ აღმართავს და, რაც ძალი და ღონე
აქვს, ყვირის.) უფალო, შემიწყალე მე!

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი (გულდაწყვეტილი). მე რაღა დავაშავე.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი (განაგრძობს ყვირილს). შემიწყალე! მე შემიწყალე!

(შემოდინან პოცო და ლაკი. პოცოს მხედველობა დაუკარგავს, ბრძაა. ლაკი
ისევ მოათრევს ტვირთს, და როგორც პირველ მოქმედებაში, კისერზე თოკი
აბია, ოღონდ ახლა ბევრად უფრო მოკლე, რომ პოცო უფრო მოხერხებულად
მიჰყვეს სიარულში. ლაკის ახალი ქუდი ახურავს. ვლადიმირის და ესტრაგონის
დანახვაზე ლაკი შედგება. პოცო განაგრძობს სვლას და ლაკის მიაწყდება.
ესტრაგონი და ვლადიმირი გზას უთმობენ.)

პ ო ც ო (ებღაუჭება ლაკის, რომელიც მომეტებული ტვირთისაგან ძლივს დგას ფეხ-
ზე). რა ამბავია, ვინ ყვირის? (ლაკი ეცემა, ტვირთს ქვეშ მოიყოლებს, თან გა-
დაიტანს პოცოს, და ასე გამხლართულნი წვანან მიმოყრილ ნივთებს შორის.)

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. ეს გოდოა?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. უჰ, სულზე მოგვისწრო (უახლოვდება მათ, ესტრაგონიც უკან მიჰ-
ყვება.) სწორედ დროზე შეგვეშველება.

პ ო ც ო. მომეხმარეთ.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. გამაგებინე, გოდოა?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ვფიქრობდი, წასულია ჩვენი საქმე, მეტისმეტად მოვიჩვართეთ,
გვიმტყუნა მოთმინებამ-მეთქი.

პ ო ც ო. მიშველეთ!

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. გესმის ყვირილი?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მარტოები აღარ მივაჩერდებით სივრცეს, როდის დაღამდებაო,
აღარც გოდოს მოლოდინი დაგვტანჯავს და არც საერთოდ... მოლოდინი. მთელი
საღამო ვეწამეთ ჩვენი თავის ამარა, ახლა კი ყველაფერი გადატანილი გვაქვს.
გათავდა, ხვალინდელმა დღემ თითქმის მოაღწია.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. კარგი ერთი, მგზავრები არიან ჩაივლიან და ეგ იქნება.

პ ო ც ო. მიშველეთ!

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ასე დროც სხვაგვარად გადის. მზე ჩავა, მერე ღრუბლებიდან ამოვა
მთვარე და ჩვენც... წავალთ აქედან.

ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. ხომ გეუბნები, ჩაივლიან და გათავდა-მეთქი.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ჰოდა, სწორედ საკმარისია.

პ ო ც ო. შემიბრალეთ!

ვლადიმირი. საწყალი პოცო!

ესტრაგონი. მე ვიცოდი, რომ ეგ იყო.

ვლადიმირი. ვინ?

ესტრაგონი. გოდო.

ვლადიმირი. ეგ გოდო არ არის.

ესტრაგონი. გოდო არ არის?

ვლადიმირი. არა.

ესტრაგონი. აბა, ვინ არის?

ვლადიმირი. პოცოა.

პოცო. მე ვარ, მე! ამაყუნეთ!

ვლადიმირი. ხედავ, თვითონ ველარ დგება.

ესტრაგონი. წავიდეთ აქედან.

ვლადიმირი. ვერ წავალთ.

ესტრაგონი. რატომ?

ვლადიმირი. გოდოს უნდა ველოდოთ.

ესტრაგონი. სწორია.

ვლადიმირი. იქნებ კიდევ ჰქონდეს ძვლები შენტვის?

ესტრაგონი. რა ძვლები?

ვლადიმირი. წიწილის ძვლები. ეგეც დაგავიწყდა?

ესტრაგონი. აჰ, მაგან მომცა?

ვლადიმირი. ჰო.

ესტრაგონი. ჰკითხე თუ აქვს.

ვლადიმირი. ჯერ იქნებ მივხმარებოდით?

ესტრაგონი. რაში მივხმარებოდით?

ვლადიმირი. აგვეყენებინა.

ესტრაგონი. თვითონ ვერ ადგება?

ვლადიმირი. სურვილი კი აქვს.

ესტრაგონი. ადგეს მერე, ვინ იჭერს.

ვლადიმირი. არ შეუძლია.

ესტრაგონი. რა სჭირს?

ვლადიმირი. რა ვიცი. (პოცო იკლაკნება, კვნესის, მიწას მუშტებს უშენს.)

ესტრაგონი. მოიხედუ, ჯერ ძვლები ვთხოვოთ. თუ მოგვცა, ხომ კარგი, თუ არა და, ეგდოს ეგრე მიწაზე.

ვლადიმირი. რა გინდა მაგით თქვა, ჩვენს ხელშიათ?

ესტრაგონი. ჰო.

ვლადიმირი. და ამიტომაც ვიდრე რაიმე სამსახურს გავუწევდეთ, ჯერ მოთხოვნები წავუყენოთ?

ესტრაგონი. ჰო.

ვლადიმირი. თქმა არ უნდა, გონივრულია, მაგრამ ერთია საფრთხილი.

ესტრაგონი. რა?

ვლადიმირი. ლაკიმ არ იფეთქოს. ეგ თუ გადაირია, მტრისას. ცუდი დღე დაგვადგება.

ესტრაგონი. ლაკი ვილაა?

ვლადიმირი. შენ რომ წიხლი მოგაზილა.

ესტრაგონი. ხომ გითხარი, ისინი ათნი იყვნენ-მეთქი.

ვლადიმირი. მაგაზე ადრე, კოჭი რომ მოვიზრია.

ესტრაგონი. და ის აქ არის?

ვლადიმირი. აკე, შეხედე. (ხელით ანიშნებს.) ახლა გატვრენელა, მაგრამ ყოველ წაშს მოსალოდნელია აიწყვიტოს.



ესტრაგონი. მოდი მაგას ერთი კარგად ვასწავლოთ ჭკუა.

ვლადიმირი. ვისარგებლოთ სანამ სძინავს და ვეცეთ?

ესტრაგონი. ჰო.

ვლადიმირი. კარგი აზრია, მაგრამ მოფერევით კი? ან, რა იცო, მართლა სძინავს? (პაუზა.) არა, ისევ სჯობს ვისარგებლოთ, რომ პოცო საშველად გვიხმობს და მივეხმართოთ — მადლიერი დაგვრჩება...

ესტრაგონი. არაფერსაც აღარ გიხმობს.

ვლადიმირი. იმიტომ, რომ იმედი დაკარგა.

ესტრაგონი. შესაძლებელია, მაგრამ...

ვლადიმირი. რატომ ვკარგავთ დროს ტყუილუბრალს ლაპარაკში. (პაუზა. გაღიზიანებული.) მოდი, გავაკეთოთ რამე, რაკი ხელსაყრელი შემთხვევა გვეძლევა. ყოველდღე კი არ ვჭირდებით ვინმეს. არ იფიქრო, რომ სწორედ ჩვენ დაგჭირდით ახლა. სხვაც მშვენივრად მიეხმარებოდა, იქნებ უკეთესადაც. ეს ძახილი „მიშველეთო“, პირადად მე და შენ კი არა, — მთელ კაცობრიობას მოუხმობს, მაგრამ რაკი აქ, ამ ადგილზე, ამ წუთს, კაცობრიობა ჩვენ ვართ, სულ ერთია, მოგწონს ეს თუ არა, უნდა ვისარგებლოთ, სანამ გვიან არ არის და ერთხელ მაინც ღირსეული წარმომადგენლები ვიყოთ იმ ფლიდი და უკეთური მოდგმისა, რომელსაც უკუღმართმა ბედისწერამ მიგვაკუთვნა. რას იტყვი ამაზე? (ესტრაგონი ხმას არ იღებს.) აი, წარმოიდგინე, როცა ჩვენ გულხელდაკრეფილნი ადამიანთა ავ-კარგს ვწონით და განსჯას ვუნდებით, მოყვასს მოვეხმართოთ თუ არაო, ამ დროს ჩვენს ბუნებას ვაველენთ და საკუთარ ღირსებას ვიცავთ. ვეფხვი დაუფიქრებლად, თვალის დახამხამებაში გადაეშვება თავისი ამხანაგის საშველად, ან სადმე ტევრში მიიძალება. მაგრამ ამას როდი ვამბობ. აქ რომ ვართ, რას ვაკეთებთ? აი, რა უნდა ვკითხოთ ჩვენს თავს; და ჩვენი ბედი, რომ ვიცით, რა ვუპასუხოთ. ჰო, ამ თავბრუდამხვევ, უზარმაზარ ქაოსში ერთი რამ ნათელია: ვვლით, როდის მოვა გოდო.

ესტრაგონი. ეგ მართალია.

ვლადიმირი. ანუ, როდის მოვა ლამე. (პაუზა.) პაემანზე ვართ. მორჩა და გათავდა. ჩვენ წმინდანები არა ვართ, მაგრამ შესახვედრად მაინც მოვედით. და განა ბევრი იტყვის ამას საკუთარ თავზე?

ესტრაგონი. მილიონი.

ვლადიმირი. ვითომ?

ესტრაგონი. რა ვიცი.

ვლადიმირი. იქნებ მართლაც.

პოცო. მიშველეთ!

ვლადიმირი. ჰოდა, ცხადია, ასეთ პირობებში დრო აუტანელად ნულს მიიზღავს და იძულებულნი ვართ შევავსოთ იგი მოქმედებით, რომლებიც, ერთი შეხედვით, გონივრულად მიგვაჩნია, სანამ ჩვეულებად გადაგვექცეოდეს. ახლა შენ მეტყვი, ეს იმიტომ, რომ გონება არ შეგვერყესო. გასაგებია. მაგრამ განა ჩვენი

გონება უფსკერო სიღრმეების მუდმივ განუჭვრეტ წყვილადში არ დაბოროტ-
ლობს? ხომ მიტყვები ჩემს მსჯელობას?

ესტრაგონი. ეჰ, ჩვენ ყველანი შეშლილები ვიბადებით. ზოგს კი სიგიჟე ბოლომ-
დე გასდევს.

პოცო. მიშველეთ! ფულს გადაგიხდით!

ესტრაგონი. რამდენს?

პოცო. ას ფრანკს.

ესტრაგონი. ცოტაა.

ვლადიმირი. ძალიანაც ნუ გამოიღებ თავს.

ესტრაგონი. შენი აზრით, ასი ფრანკი საკმარისია?

ვლადიმირი. მაგაზე არ გეუბნები, გონება არა მქონდა წესრიგში, როცა დავი-
ბადე-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი. მაგრამ ეს როდია მთავარი.

პოცო. ვიდრევი ორასს!

ვლადიმირი. ჩვენ ველოდებით, ჩვენ მოწყენილები ვართ, გავბეზრდით. (შემარ-
თავს ხელს.) არა, ნუ შემედავები, ვკვდებით მოწყენისაგან, ამაზე უარს ვერ
იტყვი. კარგი და პატიოსანი. ახლა შემთხვევამ გასართობი გამოგვიგზავნა, ჩვენ
კი როგორ ვიქცევით? ზურგს ვუბრუნებთ მას, ხელსა ვკრავთ. აბა, შევუდგეთ
ახლა საქმეს! (პოცოსკენ გაემართება, შეჩერდება.) თორემ წამიც და, ყველა-
ფერი გაქრება და ჩვენ ისევ მარტონი დავრჩებით უდიდესი მარტოობის პირის-
პირ. (დაფიქრდება.)

პოცო. ვიდრევი ორასს!

ვლადიმირი. მოვდივართ. (ცდილობს წამთაყენოს პოცო, ვერ ახერხებს. ძალას
მოიკრებს, ისევ დაეჭიდება, წაიბორძიკებს და თვითონაც ეცემა, ცდილობს წა-
მოდგეს, მაგრამ ვერ ახერხებს.)

ესტრაგონი. რა დაგემართათ დღეს ყველას?

ვლადიმირი. მომეხმარე.

ესტრაგონი. მე წავედი.

ვლადიმირი. ამათ ხელში ნუ დამტოვებ, მომკლავენ ესენი.

პოცო. სადა ვარ?

ვლადიმირი. გოგო!

პოცო. ჩემკენ! აქეთ!

ვლადიმირი. მომეხმარე.

ესტრაგონი. ნივდივარ მე.

ვლადიმირი. მიშველე ადგომა, მერე ერთად წავიდეთ.

ესტრაგონი. სიტყვას მაძლევ?

ვლადიმირი. გეფიცები.

ესტრაგონი. და აქ აღარასოდეს მოვბრუნდებით?

ვლადიმირი. აღარასოდეს.

ესტრაგონი. არიეჟში წავალთ.

ვლადიმირი. სადაც ისურვებ.

პოცო. სამას ფრანკს გაძლევთ, ოთხასს!

ესტრაგონი. სულ ფნატრობდი, ნეტავ არიეჟში გამატარა-მეთქი.

ვლადიმირი. გაივლი.

ესტრაგონი (უეცრად უკან დაიწევს). ვინ დააბოყინა?



ბოლოს მოლოდინში
საბჭოთაო
საბჭოთაო



ქართული
საქმიანობა

ვლადიმირი. იმან, პოცომ...
 პოცო. პო, მე ვარ, მე... შემობრალეთ!
 ესტრაგონი. რა საზიზღრობაა!
 ვლადიმირი. ჩქარა, ჩქარა, მომეცი ხელი!
 ესტრაგონი. წავედი მე. (პაუსა, ხმამაღლა.) წავედი. (წამოიწევს, ეცემა.)
 ვლადიმირი. ბოლოს და ბოლოს, მე თვითონაც აუღვები. (წამოიწევს, ეცემა.)

როგორც იქნება, ადრე თუ გვიან.
 ესტრაგონი. რა მოგდის?
 ვლადიმირი. ჯანდაბამდისაც გზა გქონია!
 ესტრაგონი. შენ რა, აქ რჩები?
 ვლადიმირი. ჯერჯერობით კი.
 ესტრაგონი. ადექი, მართლა და მართლა, გაცივდები.
 ვლადიმირი. ნუ სწუხხარ ჩემზე.
 ესტრაგონი. გამიგონე, დიდრ, რას ჭირვეულობ. (გაუწვდის ხელს, ვლადიმირიც მაშინვე მოეჭიდება.) ადექი ახლა.

ვლადიმირი. ამწიე.
 (ესტრაგონი მოსწევს ხელზე, წაბარბაცდება და ეცემა. ხანგრძლივი სიჩუმე.)

პოცო. ჩემკენ! აქეთ, აქეთ!
 ვლადიმირი. აქა ვართ ჩვენ.
 პოცო. ვინ თქვენ?
 ვლადიმირი. ხალხი. (დუმილი.)
 ესტრაგონი. რა კარგია მიწაზე!
 ვლადიმირი. შეგიძლია ადგე?
 ესტრაგონი. არ ვიცი.
 ვლადიმირი. სცადე.
 ესტრაგონი. ახლავე, ახლავე. (დუმილი.)
 პოცო. რა მოხდა, რა ამბავია.

ვლადიმირი (განრისხებული). გაჩუმდები თუ არა შენ, ბოლოს და ბოლოს; ეს რა მოუშორებელი ჭირი აგვიტყდა. სულ თავის თავზე არ ფიქრობს?

ესტრაგონი. ვცადოთ, იქნებ დაგვეძინოს.
 ვლადიმირი. გესმის, რა მოხდაო, დაინტერესდა.
 ესტრაგონი. დაანებე თავი, დაიძინე. (დუმილი.)
 პოცო. შემობრალეთ, შემობრალეთ.
 ესტრაგონი (შეკრთება). რა მოხდა? რა ამბავია?
 ვლადიმირი. გეძინა?
 ესტრაგონი. ეტყობა.
 ვლადიმირი. ისევ ეს ლეში აყვირდა, ეს პოცო.

ესტრაგონი ხმა გააკმენდინე ერთი მაგას, ლაზათიანად ჩააფარე.
 ვლადიმირი (სცემს პოცოს). ჩაიგდებ თუ არა ენას მუცელში, გაჩუმდები თუ არა როდისმე, შე მუდრეგო. (ტკივილებისაგან გამწარებული პოცო ხმამაღლა ჰგოდებს, ცდილობს ხელიდან დაუსხლტეს ვლადიმირს და განზე მიხობხავს. დროდადრო შედგება, ხელით ჰაერს ეპოტინება, სწორედ ისე, ბრმებს რომ სჩვევიათ, და მოუხმობს ლაკის. იდაყვზე დაბჯენილი ვლადიმირი თვალს არ ამორებს.) თავს უშველა. (პოცო მიწაზე ჩაიკეცება. სიჩუმე.) ერთიანად ჩაიკრიფა.



- ესტრაგონი. ახლა რაღა გავაკეთოთ?
- ვლადიმირი. იქნებ მივხოსდე მასთან.
- ესტრაგონი. მარტოს ნუ დამაგდებ.
- ვლადიმირი. ან იქნებ ხმა მივაწვდინო.
- ესტრაგონი. ჰო, ეგრე აჯობებს, გამოეხმაურე.
- ვლადიმირი. პოცო! (სიჩუმე.) პოცო! (სიჩუმე.) აღარ გვპასუხობს.
- ესტრაგონი. ერთად დავუძახოთ.
- ესტრაგონი. } პოცო! პოცო!
- ვლადიმირი. }
- ვლადიმირი. შეირხაო თითქოს!
- ესტრაგონი. ნამდვილად იცი, რომ პოცო ჰქვია?
- ვლადიმირი (შეშფოთებული). ბატონო პოცო, დაბრუნდით, ხელს აღარ გახლებთ. (სიჩუმე.)
- ესტრაგონი. სხვა სახელი რომ დავუძახოთ, იქნებ მაშინ გაგვაგონოს?
- ვლადიმირი. სიკვდილის პირას არ იყოს.
- ესტრაგონი. რა ოინი იქნება?
- ვლადიმირი. რა იქნება ოინი?
- ესტრაგონი. სხვა სახელი რომ დავუძახოთ და გაგვაგონოს: სხვადასხვა სახელები ვცადოთ, ჯერ ერთი, მერე მეორე, დროც უფრო მალე გავა და იქნებ მისი ნამდვილი სახელიც დაემთხვეს.
- ვლადიმირი. რომ გეუბნები, დამიჯერე, პოცო ჰქვია.
- ესტრაგონი. ახლავე შევამოწმებთ. (დაფიქრდება.) აბელ!
- პოცო. აქეთ, აქეთ!
- ესტრაგონი. ხედავ?
- ვლადიმირი. ყულში ამომივიდა ეგ სიმღერა.
- ესტრაგონი. მეორეს იქნებ კაინი ჰქვია. (უძახის.) კაინ! კაინ!
- პოცო. ჩემკენ, აქა ვარ!
- ესტრაგონი. აქ აღამიანთა მთელი მოდგმა შეყრილა. (სიჩუმე.) შეხედე იმ ღრუბელს.
- ვლადიმირი (მალლა აიხედავს). აბა?
- ესტრაგონი. ეგერ, სულ მალლა, ზენიტში.
- ვლადიმირი. მერე, რა გავიკვირდა? (სიჩუმე.)
- ესტრაგონი. მოდი ახლა სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, გინდა?
- ვლადიმირი. მეც სწორედ ეს უნდა მეთქვა.
- ესტრაგონი. ჰო, მაგრამ რაზე?
- ვლადიმირი. იმ ღრუბელზე. (სიჩუმე.)
- ესტრაგონი. იქნებ ჯერ ადგომა მოგვეხერხებინა?
- ვლადიმირი. ვცადოთ. (ადგებიან.)
- ვლადიმირი. არც ისე ძნელი ყოფილა.
- ვლადიმირი. მთავარია, მოინდომო.
- ესტრაგონი. ახლა რაღა გავაკეთოთ?
- პოცო. მომეხმარეთ!
- ესტრაგონი. წავიდეთ აქედან.
- ვლადიმირი. ვერ წავალთ.



ესტრაგონი. რატომ?

ვლადიმირი. გოდოს უნდა ველოდოთ.

ესტრაგონი. პო, მართლა. (პაუზა.) სხვა რა გზა გვაქვს.

პოცო. მიშველეთ!

ვლადიმირი. იქნებ მივშველებოდით?

ესტრაგონი. კი მაგრამ, რა უნდა?

ვლადიმირი. ადგომა უნდა.

ესტრაგონი. მერე?

ვლადიმირი. მაგას უნდა, რომ მივეხმაროთ, წამოვაცუნოთ.

ესტრაგონი. წამოდი აბა, მივეხმაროთ, რაღას ვუყურებთ? (მიდიან, წამოაყენებენ და განზე გადაგებიან. პოცო ისევ ეცემა.)

ვლადიმირი. ხელი არ უნდა გაგვეშვა. (ისევ წამოაყენებენ, აქეთ-იქიდან ამოუდგებიან, პოცო მათ კისერზე მოხვევს მკლავებს და ძლივსძლივობით დგას ფეხზე.) ჯერ ფეხზე დგომას უნდა შეეჩვიოს. (პოცოს.) აბა, როგორ გრძნობთ თავს, უკეთ?

პოცო. თქვენ ვინ ბრძანდებით?

ვლადიმირი. ვერ გვიცანით?

პოცო. მე ბრმა ვარ. (სიჩუმე.)

ესტრაგონი. იქნებ მომავალს ხედავს?

ვლადიმირი (პოცოს). დიდი ხანია?

პოცო. შესანიშნავი მხედველობა მქონდა, მაგრამ... მითხარით, თქვენ მეგობრები ხართ?

ესტრაგონი (ხმამალლა გაიცინებს). გესმის, აინტერესებს, ვართ თუ არა მე და შენ მეგობრები.

ვლადიმირი. არა, მაგისი მეგობრები თუ ვართ, ეს აინტერესებს. ჩემი მოკეთებები ხართ თუ მტრებიო.

ესტრაგონი. მერე?

ვლადიმირი. ჩვენ ეს ჩვენი საქციელით დავამტკიცეთ.

ესტრაგონი. აბა რა! მეგობრები რომ არ ვყოფილიყავით, მივეხმარებოდით?

ვლადიმირი. იქნებ მაინც მივეხმარებოდით.

ესტრაგონი. აუცილებლად მივეხმარებოდით.

ვლადიმირი. პოდა, მოდი ამაზე ნუ ვიდავებთ.

პოცო. ყაჩაღები ხომ არა ხართ?

ესტრაგონი (აენტეუბა). ყაჩაღებს რა გვიგავს.

ვლადიმირი. რა დაგემართა, ბრმაა.

ესტრაგონი. ფუპ, მართლა! ეშმაკმა წაიღოს მაგის თავი. (პაუზა.) მაგრამ ისე ლაპარაკობს...

პოცო. თავს ხომ არ დამანებებთ?

ვლადიმირი. არც გავიფიქრებთ მაგას.

ესტრაგონი. ჯერჯერობით.

პოცო. რომელი საათია?

ვლადიმირი (ცას უყურებს). იქნება ასე, შვიდი, რვა საათი.

ესტრაგონი. უკ იმაზეა დამოკიდებული, წლის რომელი დროა.

პოცო. ახლა სალამოა? (ხმას არ იღებენ. ვლადიმირი და ესტრაგონი მზის ჩასვლას უყურებენ.)

ესტრაგონი. თითქოს ახლა ამოდისო.

ვლადიმირი. შეუძლებელია.

ესტრაგონი. რა იცი, იქნებ მართლაც ახლა ამოდის მზე.

ვლადიმირი. რას სულელობ, აქ დასავლეთია.

ესტრაგონი. რა იცი?

პოცო (წამებულის ხმით). ახლა სალამოა?

ესტრაგონი. გეუბნები, ნამდვილად ახლა ამოდის მზე.

პოცო. რატომ არც ერთი არ მპასუხობთ?

ესტრაგონი. იმიტომ, რომ არ შემოგველანძლოთ.

ვლადიმირი (დაყვავებით). დიახ, ბატონო, სალამოა, შელამდა უკვე. ძალიან ცდილობს ჩემი მეგობარი გადამარწმუნოს, თენდებაო, და გამოგიტყდებით, წუთით სერიოზულადაც კი დამაფიქრა, იქნებ მართლა ვცდები-მეთქი. მაგრამ ტყუილუბრალოდ ხომ არ ვიყურყუტე დღეს ამდენი ხანი? არა, ბატონო, დღე ნამდვილად უკვე თავისი რეპერტუარის დასასრულს უახლოვდება. (პაუზა.) ეს კი ასეა, მაგრამ თქვენ როგორა ბრძანდებით?

ესტრაგონი. (პოცოზე ანიშნებს.) კიდევ რამდენ ხანს უნდა ვათრიოთ ვგრე კისერზე წამოკიდებული? (წუთით შეუშვებენ ხელს. მაგრამ მყისვე ისევ შეაშველებენ, რადგან პოცო იქვე ჩაიკეცება.)

ვლადიმირი. თუ სმენა არ მლალატობს, მგონი ბრძანეთ, უწინ შესანიშნავი მხედველობა მქონდაო?

პოცო. დიახ, ძალიან კარგი მხედველობა მქონდა. (დუმილი.)

ესტრაგონი (გალიზიანებული პოცოს). მართლა და მართლა, თქვენც გაინძერით ცოტა.

ვლადიმირი. მოეშვი, ვერა ხედავ, თავის დაკარგულ ბედნიერებაზე ოცნებას მიეცა. (პაუზა.) Memoria preteritorum honorum — ეს ალბათ მძიმე მოსაგონარია.

პოცო. ძალიან კარგი მხედველობა მქონდა.

ვლადიმირი. და ეგ მოსულოდნელად დაგემართათ?

პოცო. შეიძლება ითქვას, ჩინებული მხედველობა მქონდა.

ვლადიმირი. უკაცრავად, ეგ ამბავი უეცრად დაგემართათ?

პოცო. ერთ მშვენიერ დღეს გავიღვიძე და ვედარაფერი დავინახე. ბრმა ვიყავი... როგორც ბედისწერა. (პაუზა.) ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები, ისევ ხომ არ მძინავს-მეთქი.

ვლადიმირი. და როდის მოხდა ეს ყველაფერი?

პოცო. არ ვიცი.

ვლადიმირი. კი, მაგრამ, ჯერ კიდევ გუშინ...

პოცო. ნუ მეკითხებით. ბრმებს არა აქვთ დროის შეგრძნება. (პაუზა.) და ვერ აღიქვამენ ვერაფერს, რასაც კავშირი აქვს დროსთან.

ვლადიმირი. წარმოგიდგენიათ, მე კი პირიქით მეგონა.

ესტრაგონი. მე უნდა წავიდე.

პოცო. სადა ვართ?





ქართული
საქმიანობა

ვლადიმირი. არ ვიცი.
 პოცო. ლა პლანშის მიდამოები ხომ არ არის?
 ვლადიმირი. ვერ გეტყვით.
 პოცო. მაინც, ისე, როგორი ადგილია?
 ვლადიმირი (სტენას მიმოავლებს თვალს). შეუძლებელია აღწერა, არც არაფერს
 ჰგავს, ერთადერთი ხე დგას, მეტი არაფერი, ერთი მიუსაფარი ადგილია.
 პოცო. ჰოო, მაშ, ლა პლანში არა ყოფილა.
 ესტრაგონი. და შენ იტყვი, რომ ერთობი?
 პოცო. ჩემი მსახური სადაა?
 ვლადიმირი. აქვე გახლავთ.
 პოცო. აბა ხნას რატომ არ მცემს, როცა ვეძახი?
 ვლადიმირი. არ ვიცი, მგონი, სძინავს. ან იქნებ მოკვდა?
 პოცო. რომ ვთქვათ, არსებითად, რა მოხდა?
 ესტრაგონი. არსებითად!
 ვლადიმირი. ორივენი წაიქეცით, მეტი არაფერი.
 პოცო. მიდით, მერე, ნახეთ, ხომ არ დაიმტვრა.
 ვლადიმირი. როგორ ვნახოთ, თავს ხომ ვერ დაგანებებთ.
 პოცო. ერთ-ერთი წადით.
 ვლადიმირი (ესტრაგონს). მოდი, შენ წადი.
 პოცო. დიახ, დიახ, ეგრე აჯობებს, თქვენი მეგობარი წავიდეს. როგორ ყარს.
 ვლადიმირი. მიდი ერთი, გააღვიძე.
 ესტრაგონი. მე? მაგან რომ მე საქმე დამმართა. არასოდეს.
 ვლადიმირი. აჰა, მაშ, მაინც გახსოვს, რომ მაგან რაღაცა დაგმართა.
 ესტრაგონი. არაფერიც არ მახსოვს, შენ მითხარი.
 ვლადიმირი (პოცოს). ჩემი მეგობარი ვერ მივა, ეშინია.
 პოცო. საშიში არაფერია.
 ვლადიმირი (ესტრაგონს). მართლა, წელან რომ დაინახე, ის ხალხი რა იქნა?
 ესტრაგონი. არ ვიცი.
 ვლადიმირი. იქნებ, სადმე აქვე მიიმალნენ და ჩვენ გვითვალთვალებენ?
 ესტრაგონი. შეიძლება.
 ვლადიმირი. ან იქნებ ისე შეჩერდნენ სადმე?
 ესტრაგონი. ჰო, ჰო, მეც ეგრე მგონია.
 ვლადიმირი. სულის მოსათქმელად.
 ესტრაგონი. წასახუმსებლად.
 ვლადიმირი. იქნებ უკანაც გაბრუნდნენ?
 ესტრაგონი. ნამდვილად ეგრე იქნება.
 ვლადიმირი. ან იქნებ მოჩვენება იყო.
 ესტრაგონი. უფრო ილუზია.
 ვლადიმირი. ჰალუცინაცია.
 ესტრაგონი. ილუზია.
 პოცო. რაღას ელოდება?
 ვლადიმირი (ესტრაგონს). რაღას ელოდები?
 ესტრაგონი. მე ველოდები გოდოს.
 ვლადიმირი (პოცოს). აკი მოგახსენეთ, ეშინია ჩემს მეგობარს თქვენი მსახუ-

რის. კინალამ ფეხი მიაბტვრია გუშინ, და არ იკითხავთ, რატომ? ცრემლის მოწმენდა დაუპირა.

პოცო. აჰ, მაგ ხალხს არასოდეს არ უნდა ელოლიავო, ისინი ამას ვერ იტანენ.

ვლადიმირი. კი მაგრამ, მაინც, რა უნდა გააკეთოს?

პოცო. რა უნდა გააკეთოს? ჯერ... თოკს მოსწიოს, რასაკვირველია... თხილით, ისე, რომ არ მოგუდოს, ჩვეულებრივ, ამ ბიძგს მოჰყავს ხოლმე იგი გონზე. თუ ამანაც არ უშველა, მაშინ წიხლი ჩააწილოს მუცლის ქვემო არეში და დრუნჩში, რაც შეიძლება მაგრად.

ვლადიმირი (ესტრაგონს). ხედავ, სულ ტყუილად გეშინოდა. კი არა, შემთხვევა გეძლევა შური იძიო.

ესტრაგონი. მერე იმანაც რომ სამაგიერო გადამიხადოს?

პოცო. ეგ ნუ შეგაწუხებთ, არასოდეს არ დაუცავს თავი.

ვლადიმირი. მე აქ არა ვარ, იმ წამსვე მოგეშველები.

ესტრაგონი. თვალს მაინც ნუ მომაცილებ! (მიემართება ლაკისკენ.)

ვლადიმირი. ჯერ დახედე, ცოცხალი თუა. მკვდრის ცემით თავს ნუ შეიწუხებ.

ესტრაგონი (დაიხრება, აკვირდება ლაკის). სუნთქავს.

ვლადიმირი. ჰოდა, მისცხე.

(ესტრაგონი უცრად გამხეცდება, ღმუილით წიხლებს უშენს ლაკის, მაგრამ ფეხს იტკენს და სიმწრის კვნესით სცენაზე მოკელანობს. ლაკი გონს მოდის.)

ესტრაგონი (ესტრაგონი ცალ ფეხზე დგას). თჰ, შე პირუტყვო! (ჩაჯდება იქვე და წვალობს წაიძროს ფეხსაცმელი. მაგრამ მალე მობეზრდება, ოთხად მოიკეცება, თავს მუხლებში ჩარგავს, ზემოდან ხელებს წაიფარებს.)

პოცო. რაო, რა მოხდა კიდევ?

ვლადიმირი. ჩემმა მეგობარმა ფეხი იტკინა.

პოცო. ლაკის რაღა დაემართა?

ვლადიმირი. მაშ, ეს ნამდვილად ლაკია?

პოცო. რა ბრძანეთ?

ვლადიმირი. თქვენ კი პოცო ხართ?

პოცო. რა თქმა უნდა!

ვლადიმირი. თქვენ გუშინაც არ შეგეხვდით?

პოცო. გუშინ?

ვლადიმირი. გუშინ არ გვნახეთ? (დუმილი.) აღარ გახსოვთ?

პოცო. არ მაგონდება, რომ გუშინ ვინმე მენახოს. ხვალ კი ვეღარ გავიხსენებ, დღეს შემხვდა ვინმე თუ არა. ტყუილად გულშიც არ გაივლოთ, რომ ჩემგან რამეს შეიტყობთ. გარდა ამისა, კმარა ამაზე ლაპარაკი (ლაკის.) აბა, ადექი ფეხზე!

ვლადიმირი. თქვენ ეგ წმინდა მაცხოვრის ბაზარზე მიგყავდათ გასაყიდად. მერე ჩვენ ვისაუბრეთ. მაგან იცეკვა, იფიქრა, თქვენც მშვენიერი მხედველობა გქონდათ.

პოცო. იყოს აგრე, რაკი ასე დაბეჯითებით ამბობთ; გამატარეთ, გეთაყვა! (ვლადიმირი უკან იხუფს.) ადექი-მეთქი, ვის ვეუბნები!

ვლადიმირი. დგება. (ლაკი დგება, ნივთებს კრეფს.)

პოცო. და ჭკვიანურადაც იქცევა!

ვლადიმირი. ახლა სადღა მიბრძანდებით?

პოცო. ეს უკვე მე არ მეკითხება.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როგორ გამოიყვალეთ! (ტვირთმოკიდებული ლაკი წინ დაუდგება პოცოს).

პ ო ც ო. მათრახი! (ლაკი დაბლა დააწყო მთელ ბარგი-ბარხანას, ეძებს მათრახს, პოულობს, აწვდის პოცოს, და ისევ იკიდებს ბარგს.) თოკი! (ლაკი დააწყო ბარგს, თოკის ბოლოს ხელში ჩაუდებს პოცოს, ისევ წამოიჭრის ტვირთს.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რა გაქვთ მანდ, ჩემოდანში?

პ ო ც ო. ქვიშა. (მოსწევს თოკს.) გასწი! (ლაკი მიდის, პოცო მიჰყვება.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ერთი წუთით! (პოცო შეჩერდება, თოკი იჭიმება. ლაკი ეცემა, და ყველაფერი ხელიდან უცვივია. პოცოც ლამის არის დაეცეს, მაგრამ დროზე შეუშვებს თოკს ხელს, და რის ვაივავლახით შეიმავრებს თავს. ვლადიმირი ხელს აშველებს.)

პ ო ც ო. რა ხდება?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ისევ დაეცა.

პ ო ც ო. სწრაფად, ააყენეთ ფეხზე, სანამ ჩაეძინებოდეს.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ხომ არ დაეცემით, ხელი რომ გაგიშვათ?

პ ო ც ო. არა მგონია. (ვლადიმირი ფეხს მიარტყამს ლაკის.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. აეთრიე, მძორო! (ლაკი დგება, თავის ტვირთს აგროვებს.) ადგა!

პ ო ც ო (ხელს გაიწვდის). თოკი! (ლაკი მიწაზე დებს ტვირთს, თოკის ბოლოს პოცოს ჩაუდებს ხელში, შემდეგ ისევ აიკიდებს ტვირთს.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ნუ წახვალთ ჯერ.

პ ო ც ო. მივდივარ.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. როდესაც ეცემით და არავინ არის, რომ აგაყენოთ, მაშინ როგორ-ღა იქცევით?

პ ო ც ო. ვუცდით, როდის მოგვეცემა ადგომის საშუალება. შემდეგ მივდივართ.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. სანამ წახვიდოდეთ, უბრძანეთ იმღეროს.

პ ო ც ო. ვის ვუბრძანო?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ლაკის.

პ ო ც ო. იმღეროს?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. დიახ, ან იფიქროს, ან გვიამბოს რამე.

პ ო ც ო. როგორ, მუნჯია.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მუნჯია?!

პ ო ც ო. აბსოლუტურად ვერც კი დაიკვნესებს.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. აჰა, ღმერთო! როდის დამუნჯდა?

პ ო ც ო. (უეცრად განრისხდება). არ იქნა და აღარ გაათავეთ, სიტყვებს მიწამლავთ მაგ თქვენი დროის დაზუსტებით. ეს უაზრობაა! როდის! როდის! ერთ დღეს — თქვენ ეს არ გყოფნით? — ერთ დღეს, რომელიც ათას სხვა დღეს ჰგავს, ის დამუნჯდა. ერთ დღეს დაგბრმავდი მე. ერთ დღეს ჩვენ დავეყრუვდებით, ერთ დღეს დავიბადეთ, ერთ დღეს მოვკვდებით, იმავე დღეს, იმავე წამს, — არა კმარა ეს განმარტება თქვენთვის? (შედარებით მშვიდი ტონით.) მშობიარობენ სამარეს გართხმულნი, სულ ერთი წამით იფლავებს დღე და მერე ისევ გრძელდება ღამე. (თოკს მოსწევს.) გასწი!

(მიდიან. ვლადიმირი სცენის ბოლომდე მიჰყვება. ხედავს, თანდათან როგორ შორდებიან ისინი. შორიდან ხმაური მოისმის, ვლადიმირის მიმიკა გვამ-

ცნობს, რომ ისინი ისევ დაეცნენ. სიჩუმე. ვლადიმირი გაემართება ესტრაგონი-
საკენ, რომელსაც სძინავს; დასცქერის ერთხანს, შემდეგ ალვიძებს.)

ესტრაგონი (გადარეულივით იქნევს ხელებს, უთავბოლოდ ბოდავს, ბოლოს ერ-
კვევა). რატომ არასოდეს არ მაძინებ?

ერეკლესი
ზიზღილი

ვლადიმირი. ისეთი სიმარტოვე ვიგრძენი.

ესტრაგონი. მესიზმრა, ვითომ ბედნიერი ვიყავი.

ვლადიმირი. დრო ხომ მაინც გაგაყვანინა, სხვა თუ არაფერი.

ესტრაგონი. მესიზმრა თითქოს...

ვლადიმირი. გაჩუმდი. (სიჩუმე.) ჩემს თავს ვეკითხები, ნეტა ნამდვილად თუ
ბრმაა-მეთქი.

ესტრაგონი. ვინ?

ვლადიმირი. მართლა უსინათლო იტყვის განა, დროის შეგრძნება არა მაქვსო?

ესტრაგონი. ვისზე ლაპარაკობ, გამაგებინე.

ვლადიმირი. პოცოზე.

ესტრაგონი. პოცო ბრმაა?

ვლადიმირი. ეგრე არ გვითხრა?

ესტრაგონი. მერე?

ვლადიმირი. მე კი მეჩვენებოდა, რომ გჭაუდავდა.

ესტრაგონი. მოგჩვენებოდა. (პაუზა.) წავიდეთ აქედან. თუმცა არა, ვერ წა-
ვალთ. (პაუზა.) დარწმუნებული ხარ, რომ ეს ის არ იყო?

ვლადიმირი. ვინ ის?

ესტრაგონი. გოდო.

ვლადიმირი. მოშკლა. ვინ არ იყო გოდო?

ესტრაგონი. პოცო.

ვლადიმირი. ოჰ, არა! არა! (პაუზა.) ნამდვილად არა.

ესტრაგონი. ეჰ, ავდგები მაინც. (გაჭირვებით წამოდგება.) ვაი!

ვლადიმირი. უკვე აღარც კი ვიცი, რა ვიფიქრო.

ესტრაგონი. ფეხები, როგორ მტეხს ფეხები. (კვლავ ჩაჯდება და წვალობს წაიძ-
როს ფეხსაცმელი.) მომეხმარე.

ვლადიმირი. ნუთუ მეძინა, როცა სხვები ეწამებოდნენ? ან იქნებ ახლა მძინავს?
რას ვიტყვი დღევანდელ დღეზე ხვალ, როცა მეგონება გამოვიღვიძე-მეთქი? რომ
ჩემს მეგობარ ესტრაგონთან ერთად აქ, ამ ადგილზე, დაღამებამდე გოდოს
ველოდი? რომ პოცომ და მისმა მსახურმა ჩაიარეს და პოცო გამოგველაპარაკა?
სწორია, ასე იყო, მაგრამ სინამდვილეა თუ არა ეს? (ესტრაგონი ცდილობდა
ფეხსაცმელი გაეძრო, დიდხანს იწვალა, მაგრამ ამაოდ, და გაბეზრებულს ჩასთვ-
ლიმა კიდევ. ვლადიმირი დაძყურებს მძინარს.) ამას კი არაფერი ეცოდინება.
მიაშობს, როგორ ურტყეს, როგორ გაილახა; მერე მე მას სტაფილოს მივცემ.
(პაუზა.) სამარეს გადაემშობიან და ტანჯვით გაგაჩენენ. სამარის ფსკერზე კი
მესაფლავე ზღაზენით უკვე იარაღს ამზადებს. თურმე სიბერე მოსულა. ცას
სწვდება ჩვენი ზარი, პაერი ჩვენი მოთქმითაა საესე. (უსმენს.) მაგრამ ჩვეუ-
ლება — ეს უდიდესი ჩამხშობია. (დახედავს ესტრაგონს.) აი, მეც ასევე დამ-
ყურებს ვიღაც სხვა და ფიქრობს, სძინავს და არაფერი იცის, ეძინოსო; (პაუზა.)
აღარ შემიძლია. (პაუზა.) რას ვამბობდი? (ბოლოს სცემს ადელევებული,

ბოლოს მარცხენა გასასვლელთან შეჩერდება, შორს გასცქერის. მარჯვენა მხრიდან შემოდის ბიჭი, ისევ ის, წინა საღამოს რომ იყო. შეჩერდება. (სიჩუმე.)

ბ ი ჭ ი. ბ ა ტ ო ნ ო... (ვლადიმირი სწრაფად შემოტრიალდება.) ბატონო ალბერტი...

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ასე. დავიწყეთ ისევ. (პაუზა. ბიჭს.) შენ მე ვერა...

ბ ი ჭ ი. ვერა, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შენ არ იყავი ვუშინ საღამოს?

ბ ი ჭ ი. არა, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაშ, აქ პირველად მოხვედი?

ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო. (სიჩუმე.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ბატონმა გოდომ გამოგგზავნა?

ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ამ საღამოს არ მოვა?

ბ ი ჭ ი. არა, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაგრამ უეჭველად მოვა. ხვალ, არა?

ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ნამდვილად?

ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო. (დუმილი.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. რომ შემოდით, ხომ არავინ შეგხვედრია?

ბ ი ჭ ი. არა ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ორი სხვა (ყოყმანობს თქვას)... ადამიანი.

ბ ი ჭ ი. თვალთ არავინ მინახავს, ბატონო. (დუმილი.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ერთი ეს მითხარი, ბატონო გოდო რას აკეთებს? (პაუზა.) არ გესმის?

ბ ი ჭ ი. შესმის, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მერე?

ბ ი ჭ ი. არაფერს არ აკეთებს, ბატონო. (დუმილი.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შენი ძმა როგორ არის?

ბ ი ჭ ი. ავადაა.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ალბათ ის თუ იყო გუშინ.

ბ ი ჭ ი. არ ვიცი. (დუმილი.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შენს ბატონ გოდოს წვერი აქვს?

ბ ი ჭ ი. დიახ, ბატონო.

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ქვალის თუ (ყოყმანობს)... შავი.

ბ ი ჭ ი (ყოყმანობს). მე მგონია, თეთრი წვერი უნდა ჰქონდეს, ბატონო. (დუმილი.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ვაიმე! ვაიმე! (დუმილი.)

ბ ი ჭ ი. ბატონ გოდოს რა მოვახსენო?

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. უთხარი რომ... (სიტყვა უწყდება.) უთხარი, რომ მნახე და რომ... (ჩაფიქრდება.) რომ მნახე. (პაუზა. ვლადიმირი ბიჭისაკენ ნაბიჯს გადადგამს, ბიჭი უკან იხევს. ვლადიმირი შეჩერდება, შეჩერდება ბიჭიც.) მითხარი, ნამდვილად იცი, რომ მნახე? ხვალ ხომ არ მეტყვი, არასოდეს მინახავხარო? (დუმილი. ვლადიმირი მოულოდნელად ისკუპებს ბიჭისკენ. ბიჭი ისარივით გაქრება. სიჩუმეა. მზე ჩადის, ამოდის მთვარე. ვლადიმირი გაქვავებული დგას. ესტრავონი იღვიძებს, ფეხზე იხდის, ფეხსაცმელს რამბის წინ დააწყობს, შემდეგ ვლადიმირთან მივა, დააკვირდება.)

- ესტრაგონი. რა დაგემართა?
- ვლადიმირი. არაფერი.
- ესტრაგონი. იცი, მე მივდივარ.
- ვლადიმირი. მეც. (სიჩუმე.)
- ესტრაგონი. დიდხანს მეძინა?
- ვლადიმირი. არ ვიცი. (სიჩუმე.)
- ესტრაგონი. სად წავიდეთ?
- ვლადიმირი. აქვე სადმე.
- ესტრაგონი. არა, არა, შორს წავიდეთ აქედან.
- ვლადიმირი. ვერ წავალთ.
- ესტრაგონი. რატომ?
- ვლადიმირი. ხვალ ისევ აქ არ უნდა მოვიდეთ.
- ესტრაგონი. ისევ აქ რაღა გვინდა.
- ვლადიმირი. გოდოს უნდა დაველოდოთ.
- ესტრაგონი. ჰო, მართლა. (პაუზა.) არ მოსულა?
- ვლადიმირი. არა.
- ესტრაგონი. ახლა უკვე ძალიან გვიანია?
- ვლადიმირი. ჰო, ახლა დამეა.
- ესტრაგონი. სულ რომ მოვეშვათ მაგ გოდოს? (პაუზა.) ვითომ რა მოხდება, რომ მოვეშვათ?
- ვლადიმირი. დაგვსჯის. (დუმილი. უყურებს ხეს.) მხოლოდ ხე ცოცხლობს.
- ესტრაგონი (ათვალღერებს ხეს). რა არის ეს?
- ვლადიმირი. ხეა.
- ესტრაგონი. კი, მაგრამ, რა ხეა?
- ვლადიმირი. რა ვიცი მე, ტირიფია.
- ესტრაგონი. წამოდდი, ვნახოთ. (ვლადიმირს ძალით მიათრევს ხესთან. მივლენ და ორივენი უსიტყვოდ გაშეშდებიან ხის წინ.) რა იქნება, თავი რომ ჩამოვიხრჩოთ?
- ვლადიმირი. რით?
- ესტრაგონი. თოკის ნაწყვეტიც არ გვაქვს?
- ვლადიმირი. არა.
- ესტრაგონი. აბა, რა გამოგვივა.
- ვლადიმირი. წავიდეთ აქედან.
- ესტრაგონი. მოიცა, ქამარი, მაქვს.
- ვლადიმირი. მოკლე იქნება.
- ესტრაგონი. შენ მე ფეხებში ჩამავლებ ხელს და ძირს დამწევ.
- ვლადიმირი. მე ვინ დამწევს?
- ესტრაგონი. ჰო, მართლა.
- ვლადიმირი. მაჩვენე მაინც შენი ქამარი. (ესტრაგონი შემოიხსნის თოკს, რომლითაც შარვალი აქვს შეკრული. შარვალი მეტისმეტად განიერია და მაშინვე კოჭებთან ჩამოუვარდება. ორივენი თოკს ათვალღერებენ.) გაჭირვებისაა, მაგრამ მაინც გამოდგება. შენ ის თქვი, მაგარი იყოს.
- ესტრაგონი. ვსინჯოთ. (თოკის ერთი ბოლო ვლადიმირს უკავია, მეორე — ესტრაგონს, გასწევენ — გაწყდება, ორივე დაბარბაცდება.)

ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. არაფრად არ ვარგა. (სიჩუმე.)
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. შენ ამბობ, ხვალაც უნდა მოვიდეთო?
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. უნდა მოვიდეთ.
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. აბა, მაშინ კი წამოვიღებთ მაგარ თოგს.
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. პო. (სიჩუმე.)
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. დიდ.
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. პო...
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. მე მეტი აღარ შემიძლია.
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. ასეთ დროს, ეგრე ამბობენ ხოლმე.
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. ან იქნებ დავშორებულებიყავით, იქნებ ასე სჯობდეს?
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მე და შენ ხვალ ჩამოვიხრჩობთ თავს. (პაუზა.) თუ გოდო არ მოვიდა.
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. და თუ მოვიდა?
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. მაშინ გადარჩენილები ვართ. (ვლადიმირი ქუდს მოიხდის — ლაკის ქუდს, ჩაიხედავს შიგ, ხელს ჩაყოფს და მოსინჯავს, დაბერტყავს, კვლავ იხურავს.)
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. მაშ, წავიდეთ?
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შარვალი აიწიე.
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. რა თქვი?
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. შარვალი აიწიე.
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. შარვალი გავიწით?
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. აიწიე, შარვალი აიწიე-მეთქი.
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. პო. (აიწევს შარვალს. დუმილი.)
 ვ ლ ა დ ი მ ი რ ი. წავიდეთ?
 ე ს ტ რ ა გ ო ნ ი. წავიდეთ. (დგანან.)



(ფ ა რ დ ა)

ს ა მ უ ე ლ ბ ე კ ე ტ ი ს პ ი ე ს ა „გოდოს მოლოდინში“

„არ ვიცო რად დავწერე „გოდოს მოლოდინში“, ეს თავისთავად მოხდა.“

(ბ ე კ ე ტ ი)

1957 წლის ნოემბერში სან-ფრანცისკოს ერთ-ერთი თეატრის დასი და მისი რეჟისორი დიდი ძღვევარებით ელოდებოდნენ წარმოდგენის დაწყებას. ასაღელვებელი მართლაც რომ ჰქონდათ: მათ უნდა ეთამაშათ სან-კენტენის ციხის 400 ტუსაღის წინაშე. პიესა, რომელიც დასმა ძირითადად იმ მიზეზით შეარჩია, რომ მასში ქალის როლი არ არის, ვახლდათ ბეკეტის „გოდოს მოლოდინში“.

ფარდა აიხადა, სპექტაკლი დაიწყო. პირველივე ფრაზიდან ტუსაღებისაგან შემდგარი აუდიტორია დაინტერესდა პიესით, რომელმაც თავდაპირველად დააბნია პარიზის, ლონდონისა

და ნიუ-იორკის რაფინირებული მაყურებელი...¹ რამდენიმე პატიმარს განწრახული ჰქონდა ხმამაღალი სიცილ-ხარხარით ჩაეშალა წარმოდგენა, როგორც კი ქალი გამოჩნდებოდა სცენაზე, მაგრამ მათ თავიდანვე პატარა შეცდომა დაუშვეს: მოუსმინეს რამდენიმე ფრაზას და პიესაში ისე შეიტყუა, რომ ფარდის ახლიდან პიესის ბოლო წუთამდე ეს მძიმე საზოგადოება ხულ-მოუთქმელად უყურებდა ამ სამსახურის წარმოდგენას.²

რატომ და რითი მოახდინა ამ რთულმა ინტელექტუალურმა პიესამ, რამდენიმე ცნობილ ფრაზეებსა და სიტყვებს კრიტიკოსები შიფრავენ, აანალიზებენ და ათასგვარ ინტერპრეტაციას აძლევენ, ასეთი დიდი შთაბეჭდილება იმ ადამიანებზე, რომლებიც შორს არიან ლიტერატურისა და ხელოვნების სამყაროსაგან და თანამედროვე ლიტერატურის სიახლეებს დიდი გულსუბურით არ უნდა ადევნებდნენ თვალს? რა არის ამ პიესაში ისეთი, რაც ასე ეხება ადამიანს?.. ამ შემთხვევაში „ტუსალებს თვალწინ წარმოუდგათ თავიანთი პირადი გამოცდილება: დროის, მოლოდინის და იმედის განცდისა. პოცოხა და ლაკის სადისტურ-მაზოხისტურ დამოკიდებულებასა და ვლადიმირისა და ესტრაგონის სიყვარულ-სიძულვილში მათ საკუთარი ურთიერთდამოკიდებულების ქეშმარიტება შეიცნეს“².

ბეკეტის პერსონაჟებიც საპურობილეში არიან მოთავსებულნი, ჩაფლულნი დროში, რომელიც არ იძვრის, დაკარგულები სამყაროში, რომელიც მათ არაფრად აგდებს. უაზრობაა წარსული, რადგან იგი დაკარგულია, გაუგებარია მომავალი, რადგან იგი შეუცნობელია, მათ შორის მომწყვდეული აწმყო კი წამიერი და მოსაწყენია. უოველდღე ერთი და იგივე მეორდება, არ არსებობს განსხვავება დღევანდელ დღესა და გუშინდელს შორის.

პიესაში არაფერი ხდება, არაფერს მოქმედებს. გამეფებულია მონოტონურობისა და მოწყენილობის ატმოსფერო. ცვლილებები უმნიშვნელოა. სცენაზე მყოფ ერთ წყვილს, ვლადიმერსა და ესტრაგონს, ემატება მეორე წყვილი—პოცოხა და ლაკი. მათ შორის უმნიშვნელო საუბარია. მეორე წყვილის გახვლის შემდეგ ისეთივე განწყობაა. არაფერი იცვლება. ერთადერთი რამ, რაც ინტერესს იწვევს, ეს გახლავთ ის, რომ პირველი წყვილი ელის ვინმე გოდოს, მაგრამ პირველი მოქმედების ბოლოს ირკვევა, რომ გოდო იმ დღეს არ მოვა. იმედია, რომ მეორე დღეს გამოჩნდება. მეორე მოქმედებაშიც თითქმის იგივე მეორდება: იგივე წყვილები, იგივე საუბარი, ისევ მოლოდინი და ბოლოს ისევ გამოჩნდება ბიკი და განაცხადებს, რომ გოდო დღეს კი არა, ალბათ ხვალ მოვა! ამით მთავრდება პიესა. ორი მაწანწალა პიესის ბოლოს ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც დასაწყისში — უმოქმედონი და პასიურნი გოდოს მოლოდინში.

პიესის ავადმყოფი, უძლური და დავრდომილი პერსონაჟები ძლივსლა დაათრევენ თავიანთ საცოდავ სხეულს. უმოქმედონი, შიშით მოცულნი „სხვების“ წინაშე, ისინი სრულიად მარტონი არიან, უოველი ადამიანი მარტოა და თავისთვისაა იმ სიცარიელეში, რომელსაც ვერაფრითარა იმედი ვერ ავსებს. ადამიანებს ერთმანეთიც სძულთ, მაგრამ საკუთარი მარტოობის შიშით, სიცარიელის ამოსავსებად იძულებულნი არიან ერთად იყვნენ. ისინი ერთმანეთისათვის ისევე აუცილებელნი არიან, როგორც „ადამიანისათვის — მარჯვენა და მარცხენა ხელი“ (ბეკეტი). განუყრელთ, ხანდახან სიძულვილი მოეძალებათ და ცდილობენ ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ერთად უოფნა თავდაცვაა მარტოობის წინააღმდეგ.

ადამიანებს არც ერთმანეთისა ესმით. თითოეული თავის თავშია ჩაკეტილი და არ ძალუძს ვინმესთან ელემენტარული კომუნიკაციის დამყარებაც კი. „კომუნიკაცია არ არსებობს“ (ბეკეტი). მართალია პიესის პერსონაჟები გაუთავებელივ რაღაცაზე ბაახობენ, მაგრამ ეს საუბარი ურთიერთგაგებინების საშუალება კი არ არის, არამედ დროის მოსაკლავი იარაღი, საკუთარი ხმის გაგონების სურვილია. ჰყვებიან სრულიად უმნიშვნელო ამბებს, იგონებენ, თხზავენ; ერთი ჰყვება, მეორე აწყვეტინებს, რომ თვითონ თქვას რაიმე, ანდა არ აწყვეტინებს, რადგან არ უსმენს რას ეუბნებიან.

ასე, ყველაფრისაგან დაცლილნი, დაკარგულები დროსა და სივრცეში უაზროდ არსებობენ და მოძრაობენ უხანძვრო სიცარიელეში, ინერციით განაგრძობენ იმ აბსურდულ ცხოვრებას, რომელშიც რატომღაც მოხვდნენ და ელიან სიკვდილს. თავის მოკვლასაც დააპირებენ, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ჭერ იმ მიზეზით უარყოფენ, რომ ხე შეიძლება გადატყდეს და მეო-

¹ „გოდოს მოლოდინში“ ითარგმნა 20 ენაზე და დაიდგა 30 ქვეყანაში, დიდი პოპულარობა მოიპოვა გერმანიაში.

² M. Esslin — „Théâtre de l'absurde“ p. 67.

რე მართლ დარჩება, მერე კი — თოკი არ აღმოჩნდებათ. გამოდის, რომ სიკვდილის გარდა აღარაფერი დარჩენიათ, სიკვდილისა, რომელიც შეიძლება ხსნა იყოს მათთვის. „რაღა უნდა ვქნათ? — არაფერი გამოვა“. აი რა სდევს მუდმივ რეფრენად პერსონაჟების დიალოგებს. მათი ყოფნის ერთადერთი გამართლება არის გოდო; მისი უსაზღვრო მოლოდინით არიან ისინი აღვსილნი. და ეს იმედი აიძულებს აიტანონ საკუთარი არსებობა, რადგან სიკვდილი არის კაცთა ყოფის მიუცილებელი პირობა: „სადღაც ნისლში არის ერთი კუნძული და კუნძულზე სასახლე და სასახლეში არის პატარა ნათურით განათებული დიდი დარბაზი და დიდ დარბაზში არის ხალხი რომელიც იცდის. რას უცდიან? არ იციან. იცდიან, რომ კარზე ვინმემ დააკაკუნოს, რომ ნათურა ჩაქრეს, ელიან შიშს, სიკვდილს. ღაპარაკობენ, მათი სიტყვები სიჩუმეს არღვევს ერთი წამით. მერე ისევ უფრო მიუგდებენ, გაურკვეველ შესტებს აკეთებენ, უსმენენ, იცდიან, რომ არ მოვიდეს? ოჰ, მოვა! უკვე გვიან არის, აღბათ ხვალ მოვა, და დიდ დარბაზში პატარა ნათურის ქვეშ შეგროვილი ხალხი იდუმება. მათ იმედი აქვთ. კარზე აკაკუნებენ. ეს არის სულ, ეს არის მთელი სიცოცხლე“¹.

ბეკეტი დე გურმონივით პირდაპირ სიტყვებით კი არ აცხადებს, რომ ცხოვრება მოლოდინი და იმედია, რომ ადამიანური ყოფა აბსურდულია, იგი ამას პიესის მხატვრული ფორმით გამოხატავს. ის თავის თეატრს თითქოს ცირკად, ხანაზაობად აქცევს, პერსონაჟებს კი კლოუნებად, რომლებიც ყოველთვის წყვილად დადიან. ისინი ეცემიან, წიხლებს ურტყამენ ერთმანეთს, მათრახს უქნევენ, შარვალი სძვრებთ, როგორც კლოუნებს. ერთმანეთს უყვებიან ამბებს, რომლებიც არა ერთხელ უამბინათ, არ ამთავრებენ, ბილწსიტყვაობენ. ისინი თამაშს თამაშობენ როგორც კლოუნები და თითქოს იციან კიდევ, რომ თამაშობენ. თამაშობენ ჩხუბს, შერიგებას, დაცემას. ვლადიმირსა და ესტრაგონს განა მართლა სჯერათ, რომ გოდო მოვა? მათ წესიერად არც კი იციან ვის ელიან, არც ხანელი იციან კარგად, არც ის, სად უნდა შეხვდნენ, ვერ სცნობენ ადგილს, სადაც იყვნენ და ელოდნენ გოდოს, არც ის იციან ზუსტად, რა უნდა სთხოვონ, არც ის ახსოვთ, რა დღეა, მაგრამ მაინც აქვთ ბუნდოვანი, გაურკვეველი იმედი რაღაცისა.

ადამიანური ყოფის საშინელი სურათების ხატვისას თავს იჩენს ბეკეტის მანვილი იუმორი და ირონია. „გოდოს მოლოდინში“ და სხვა პიესებშიც კომიკური ელემენტები ხშირად გვხვდება: კომიკურ ელფერს ქმნიან კოსტიუმები, მომკმედ პირთა სახელები, ვულგარული გამოთქმები, სიტყვების დეფორმაცია, შეუსაბამობები სიტყვასა და შესტს შორის, სიტყვების თამაში. ხანდახან პერსონაჟები მაყურებელს თვალსაც კი ჩაუკრავენ ხოლმე².

პიესის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ადგილია ოთხივე პერსონაჟის მიწაზე ფართხალის სცენა: ლაკი და პოცო, ორი დავრდომილი გზაზე დაეცემიან ისე, რომ ადგომა აღარ შეუძლიათ, ვლადიმირს დახმარება სურს, მაგრამ ფეხი წაუცდება და ისიც ზედ დაეცემა: ესტრაგონი ხელს უწვდის, მაგრამ წონასწორობას კარგავს და ისიც მიწაზე აღმოჩნდება. მაყურებელს აცინებს ეს ხანაზაობა ისევე, როგორც ბანალური კლოუნადა გააცინებდა, მაგრამ როცა ვერც ერთი მათგანი ვერ დგება ფეხზე და ამ შედახორიდან გაისმის ვლადიმირის ხმა: „ჩვენ ადამიანები ვართ“, კომიკურობა ქრება და მაყურებელს ტკივილისა და სიბრაღის გრძნობა ეუფლება. ბურლესკის ელემენტები ტრაგიკულში გადაიზრდება. რეჟისორ ბლენის აზრით, ბეკეტივით „არავის მოუცია ასეთი ძალით იუმორი და კომიკური ტრაგიკულში. ეს პიესა ერთდროულად ტრაგიკულიცაა და კომიკურიც“. ანუ იმ აღნიშნა, „გოდოს მოლოდინში“ ფრატელის მიერ პასკალის „ფიქრების“ მიხედვით დაწერილი სკეტჩიაო“. ხოლო ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ბეკეტის მთელი შემოქმედება ასე განსაზღვრა: შემოქმედება პასკალისა, პასკალი კლოუნად რომ დაბადებულიყო.

სამი საათის განმავლობაში სცენაზე თითქმის არაფერი ხდება, პერსონაჟები საინტერესოს არაფერს ამბობენ, ამბავი არ ვითარდება, გარეგნულადაც თითქოს არაფერია ისეთი, რომ მაყურებელი მიიზიდოს: არც დეკორაციები, არც კოსტიუმები. სცენაზე სიცარიელის, მოწყენილობის ატმოსფეროა გამეფებული, უსუსურ ადამიანებს სრულიად უინტერესო და ბანალური საუბარი აქვთ. მაყურებელი კი ჩაფლულია პიესაში და სცენაზე მყოფ პერსონაჟებთან ერ-

¹ რემი დე გურმონი მეტერლინკის შესახებ.
² პიესის პირველ დამდგმელს ფრანგ რეჟისორს რ. ბლენს პერსონაჟების იდეალურ შემსრულებლებად წარმოდგენილი აქვდა: ჩარლი ჩაპლინი — ვლადიმირი, ბესტერ კიტონი — ესტრაგონი, შარლ ლოუტონი — პოცო.

თად ისიც ელის გოდოს. ეს იმიტომ ხდება, რომ ბეკეტის პიესა თავისი სპეციფიკით ნამდვილი თეატრია; „გოდოს მოლოდინში“ სპექტაკლია და აუცილებლად სცენაზე სანახავე, ახალი — თავისი ფორმით და გამოთქმის საშუალებებით; ხოლო ტრადიციულ-ბურჟუაზიული შესტიკულაციებითა, გროტესკული პერსონაჟებითა, და ძველი მოხეტიალე დასწრისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნით იგი „კომედია დელ არტეს“ წარმოადგენს. კლასიციზტური ფრანგული თეატრის მსგავსად პიესაში არის ერთიანობა დრამის (დრამატუზის), ადგილის (მართალია გაურკვეველის) და მოქმედების (ანუ უმოქმედობის); პერსონაჟთა რიცხვიც მცირეა.

ტრადიციულ თეატრში მეტყველებითა და სიტუაციებით გამოიხატებოდა რაღაც კეშმარიტება, ვლინდებოდა ხასიათები და ადამიანთა ვნებები. თეატრში უველაფერი ახსნილი და განსაზღვრული უნდა ყოფილიყო. ახალ თეატრში (ანტი-თეატრში) მეტყველება და სიტუაცია საშუალება კი არ არის, თვითმიზანია. ახალი თეატრი არ ლაპარაკობს ადამიანის ყოფაზე, მის შიშსა და ძრწოლვაზე, იგი „აჩვენებს“. მისი მთავარი საგანია უშუალო, პირდაპირი მეტყველება და შესტები. „მაიდგერის აზრი, რომ „ადამიანური ცხოვრების პირობა ეს არის ყოფნა „იქ“, უველაზე ნამდვილად სწორედ თეატრმა შეიძლება აჩვენოს. მაყურებელი ხედავს „იქ“ მყოფ ადამიანს... პიესის პერსონაჟები კი არ თამაშობენ, საკუთარ ცხოვრებას აჩვენებენ. ისინი ნახვავლ ტექსტს კი არ იმეორებენ, არამედ თითქოს იმას ამბობენ, რაც ენაზე მოადგებათ“¹.

ბეკეტის პერსონაჟები ძალიან მშრალად ლაპარაკობენ, მათი ლექსიკონი ძალზე ღარიბია, ფრაზები დაუმთავრებელი და უმნიშვნელონი. როცა საკირო სიტყვას ვერ პოულობენ, მიმიკას მოიშველიებენ ხოლმე. მნიშვნელობას მოკლებული და დაცარიელებული მეტყველებით, დიალოგებით, რაც პიესის მამოძრავებელი ძალაა, უნდა შეიქმნას მაგიური ძალა, რომელიც მაყურებელს ჩაითრევს. ამგვარი მეტყველებით გამოიხატება ადამიანის უაზრო არსებობა და საბოლოო განადგურების წინაშე (ბეკეტის პერსონაჟები ნელ-ნელა სრულ დეგრადაციას განიცდიან) სწორედ ამ უმნიშვნელო სიტყვებითა და ფრაზებით ცდილობს ადამიანი თავს უშველოს. უაზრო დიალოგები, ულოგიკო ფრაზები და დაუმთავრებელი აზრების შემცველი წინადადებები, რომლებიც არ შეესაბამება ტრაგიკულ სიტუაციას, პიესას სიმძაფრეს შატებენ.

ანტი-თეატრის ზოგიერთი დრამატურგის პიესებში მეტყველება თავის თავს შლის და იმ რეალობასაც ანგრევს, რომელიც უნდა დაიხატოს². უან ენე თვლის, რომ არ არსებობს ადამიანური ურთიერთობის ჭეშმარიტება, რადგან უველაფერი სიტყვით გამოიხატება, ხოლო ყოველი სიტყვა შეიცავს ტყუილს. იონესკო კი ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი საუბარი აღარ შეიძლება მიმდინარეობდეს პერსონაჟებს შორის, რადგან ჩვეულებრივი სიტყვებითა და დიალოგებით აღდგება სამყაროს ხედვის ესა თუ ის კონცეფცია. საუბარი, მეტყველება უნდა დაიშალოს. ამიტომ მიმართავს იგი ტავტოლოგიებს, წინააღმდეგობრივ ფრაზებს, გაურკვეველ ბგერებს და შეუსაბამო გამოთქმებს. ბეკეტის პიესებში მეტყველება დაშლილი არ არის; მაგრამ ის იმდენად დაცარიელებულია მნიშვნელობისაგან, რომ პერსონაჟი და მოქმედება ქრება. ავტორი ხშირად მიმართავს პაროდიას. როცა პერსონაჟები ამბობენ „ვივარჯიშოთ“ ეს პაროდიაა ადამიანების მექანიკური მოძრაობებისა. პერსონაჟებს ისევე, როგორც ცირკში კლოუნებს თავისი აქსესუარები აქვთ: ლაქის — თოკი, პოცოს — მათრახი, ვლადიმირს — ქუდი, ესტრაგონს — ფეხსაცმელი. თამაში ისეთივე საშუალებაა თავის თავისაგან გაქცევისა, როგორც გულმავიწყობა (პერსონაჟებს ხომ უველაფერი ავიწყდებათ?). „სიტყვები მიხდევენ შეუსაბამო შესტებს, შესტებს წინ უძღვით ასევე შეუსაბამო სიტყვები... ასე მიდის ყოველივე ორ პლანში. სიტყვა და შესტი ერთმანეთს არ ემთხვევა და ბოლოს მეტყველება პაროდიალ იქცევა. ზოგჯერ პაროდიაულობა ადამიანს საგნად აქცევს და ადამიანი შეიძლება დაიკარგოს კიდევ (იონესკო).

ბეკეტის პიესაში შესაძლებელია სიმბოლოები ვიპოვოთ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ავტორი სიმბოლიზაციას სრულიად უარყოფს. მინიშნებს თუ არა რაიმეზე პიესის სათაური? ნიშნავს თუ არა რაიმეს თვით სიტყვა გოდო?³ ზოგი ინტერპრეტაციის მიხედვით გოდოს

¹ ა. რომ გრიე — „გზა ახალი რომანისათვის“.

² ცნობილი ფრანგი დრამატურგების იონესკოსა და ენეს პიესებში.

³ როცა აღან შეიღწევა, პიესის პირველმა დამდგმელმა ამერიკაში, ჰეითა ბეკეტს, ვინ იყო გოდო ან რას ნიშნავდა ეს სიტყვა, ავტორმა უპასუხა: „მე რომ მცოდნოდა, პიესაში ვიტყვოდიო“.

მნიშვნელობა უნდა ვეძებოთ ინგლისურ სიტყვაში „God“, რაც ღმერთს ნიშნავს. შეიძლება სათაური გვაძინებდეს, რომ უიშვებო და ღმერთმოკლებული კაცობრიობა დაკარგული ღმერთის ძიებაშია? ზოგი კრიტიკოსი ბეკეტის შემოქმედებას ქრისტიანული მეტაფიზიკით ხსნის, მაგრამ ბეკეტი ასეთი ინტერპრეტაციის კატეგორიულად წინააღმდეგია: „არავითარი რელიგიური გრძნობა არ გამაჩნია!“ განაცხადა მან რამდენჯერმე. შეიძლება პირიქით, ღმერთის უარყოფაა, ანდა ირონიული დემონსტრაცია მისი უსარგებლობისა. შეიძლება გოდარ სტრენდის მოლოდინია, რადგან პერსონაჟები უკვე აგონიაში არიან. არსებობა მოლოდინი და იმედია და ორი მაწანწალას მოლოდინი შესაძლებელია სიმბოლოა საერთოდ ადამიანური ყოფისა. პოცოსა და ლაკის დამოკიდებულება ბატონისა და უმის ურთიერთობას მიაგავს, ვლადიმირი შეიძლება უმწყო ინტელიგენტს, ხოლო ესტრაგონი ვულგარულ მატერიალისტს გამოხატავდეს. ხე — ხეცნობადად აღვიქვათ ანდა ჭვრის სიმბოლოდ, რომელზედაც ოდესღაც ქრისტე აცვეს. გოგრსა და დიდის თავის ჩამოსახრჩობად ხომ სულ ამ ხისაკენ უჭირავთ თვალი. აქ ამბობს კიდევ ერთ-ერთი, ქრისტეზე „საუბრის“ დროს: იგი უცებ აცვეს ჭვარსო. სინანულით აღნიშნავენ ამ ფაქტს, რადგან თვითონ ნელ-ნელა ეწამებიან. ბევრი ფრაზა ბიბლიის გამონათქვამს გვაგონებს.

ბეკეტს თუ დავუჭერებთ, ეს პიესა ყველამ თავისებურად შეიძლება გაიგოს: „იქ, სადაც ერთდროულად გვაქვს სიბნელე და სინათლე, ყოველთვის აუხსნელი დაგვრჩება ბევრი რამ. სწორედ იმიტომ, რომ არსებობს სიცოცხლე და სიკვდილი, მხოლოდ იმიტომ, რომ არსებობს სინათლე და სიბნელე ერთდროულად (მხოლოდ სიბნელე რომ ყოფილიყო ყველაფერი ცხადი იქნებოდა. ჩვენი სიტუაცია აუხსნელია. ჩემი პიესების გასაღებია „იქნებ“, „შეიძლება“ (Peut-être).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პიესით ბეკეტმა თავისი მრწამსი გამოხატა სამყაროსა და მასში გადმოვლებული ადამიანის შესახებ. ადამიანები დაძრწიან აბსურდულ სამყაროში, დაკარგული აქვთ ღირსების გრძნობა და თავის გარშემო არაფერს ხედავენ და არც ეძიებენ რაიმეს. ეპოტიზებიან ბუნდოვან იმედს, რომლისაც სინანდვილში არ სჭერათ.

ბეკეტის პერსონაჟების ჩვეულებრივ, ყოფით, ელემენტარულ სალაპარაკო ენასა და მნიშვნელობებს მოკლებულ დიალოგების მიღმა ჩანს ყოველივე ის, რაც დამახასიათებელია ამქვეყნიური აბსურდული არსებობისათვის; „ბეკეტი ძირითადად ტრაგიკულია. ტრაგიკულია, რადგან მისი შემოქმედება ასახავს ადამიანურ ყოფას თავის ტოტალობაში და არა ამა თუ იმ საზოგადოების ადამიანს... ადამიანი ჩნდება მის უამრავ სიღრმეებსა და განზომილებებში. ბეკეტის პიესაში ადამიანის უკანასკნელი ამოსუნთქვის პრობლემაა“ (იონესკო). ამ მწვავე პესიმიზმს ბეკეტმა შესატყვისი ფორმა გამოუძებნა. მნიშვნელობებისაგან დაცლილი დიალოგებით გვაგრძნობინა, ან უფრო სწორედ გვიჩვენა საკუთარი წარმოდგენით შექმნილი სამყარო. სცენა ძველი თეატრის მსგავსად რაიმე კონკრეტული, განსაზღვრული ადგილი კი არ არის, არამედ მუდმივი ადამიანური ყოფაა, მარადიული, უცვლელი სამყარო ქვეყნის გაჩენის პირველი წუთიდან დღემდე. ორი მოქმედების განმავლობაში ჩვენ თვალწინ „ტაკიმახრულ ფერხულში“ ჩაივლის კაცობრიობის სურათი ისე, როგორც ეს ესმის ბეკეტს, — „სამყაროს მისი უცვლელი სახე გააჩნია და ადამიანს მისი მუდმივი ყოფა“. მაგრამ „შეცდომა იქნებოდა პიესის ტრაგიკულად აღქმა, რადგან მასში ირლანდიული იუმორია. პიესა არ უნდა დამთავრდეს ჭვარცმის შთაბეჭდილებით და არც ცრემლებით. ეს არ არის ცრემლების თეატრი, ეს არის დაუნდობელი, მაგრამ ადამიანური თეატრი“ (რ. ბლენი).

ბეკეტი თვლის, რომ სამყაროს შეცნობა შეუძლებელია, ამიტომ ამაო არის ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის მიმართ ისმებოდეს შეკითხვა „რატომ?“ უნდა მივიღოთ ცხოვრება ისეთი, როგორიც ის არის, არც უნდა ვძრწოდეთ და არც უნდა ვტიროდეთ.

ასე ხედავს ბეკეტი იმ სამყაროს, რომელშიც იგი ცხოვრობს და ქმნის. მაგრამ სამწუხაროდ იგი ანზოგადოებს ამ კონცეფციას და ერთგვარ მითს ქმნის ადამიანურ ყოფაზე მთლიანად.

ბეკეტის უსაზღვრო პესიმიზმი ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მისი შემოქმედება საინტერესოა იმით, რომ მასში ვხედავთ თანამედროვეობის (უდიდესი) მხატვრის მიერ ბურჟუაზიული სამყაროს სიცარიელისა და უპერსპექტივობის კონსტატაციას.

მზინა ზაპრამძე

ქველბერძნულიდან თარგმნა
გიგლა სარიშვილმა

ა ვ მ

ქერას

ძილში მუაზლა საკვირველი ხატება შენი,
დედუფალო ჰერა, შენი მშვიდი ხატება,
ვათარცა აგი ეზმანათ ერთხელ
ძმათა ატრიდთა...

როს აღასრულეს მათ არესის საქმე საგმარო,
ვერ განეშორნენ სკამანდროსის ხშიან ნაპირებს,
ვერ მიაშურეს სასურველ არგოსს,
შორი გზით მავალს, —

ვიდრე მხურვალედ არ ილოცეს, დედაო, შენთვის,
დიდი ზევსისთვის და აგრეთვე მლალაბელ ღმერთის —
თეონეს ძისთვის...

უწინდებურად
აზლაც გწირავენ
წმიდა საწარავს და უნაზესს გიქსოვენ პეპლოსს
ტურფა ასულნი და აჯილით მოსავენ ეგრეთ
შენს უტკნობ სახეს, დედუფალო
ჰერა!

* * *



ეგრე მგონია,
კაცი იგი ღმერთის ტოლია,
შენს წინარე რომ ზის და გისმენს გაფაციცებით
ამოდ სასმენელს,
ამოდ მცინარსა. მე კი გული არ მაქვს საგულეს...
უმცირესი დახანებით თვალს თუ შეგავლეს,
ძალი არ შემწევს ვითხრა რაიმე...
ეგრე მუნჯდება
ენა ჩემი... და მთელ ტანზე შემესევიან
ნაპერწყალთა პაწაწინა ფუსუნსელები.
ვერას ისმენენ ყურნი ჩემნი,
თვალნი ჩემნი
ვერარას ხედვენ.
ერთიანად ვიღვრები ოფლში,
ვცახცახებ მწარედ და ბალახზე მწვანე ვარ... წამიც,
და შენს წინარე ქვე დავემხობი
უსულოდ, სულო!

* * *

არა მგონია,
ქვეყნად ეგრეთ უსათნოესი ასულთავანი,
ვით არის იგი,
ჯერ შობილიყოს,
ან აწი იშვას
ნათელი მზის ქვეშ.

* * *

(საქორწილო)

ჰა, მალემსრბოლი იდაოსი მოდვა და ამცნო:
„დაებედაო სვე კეთილი აზიის მხარეს.
მარალოვან ზღვით ჰექტორსა და მის თანამოძმეო

ხომალდზე მჭდარი პირინთვარე მოჰყავთო ქალი —
 შუქმომთოვარე ანდრომაქე... წყალმრავალი პლაკიის მხრიდან,
 ღვთიურ თებედან. მოაქვთ ოქროს დასტანაგები,
 ფერუთვალავი ოქრომკედი და აჯიღები
 ძოწისფერადნი, კაცის თვალთა გამზარებელნი,
 თას-ვერცხლეული დაუთვლელი და სპილოს ძვალი“.
 რა თქვა მან ესე, აღდგა პრიამოს.
 ხმა დაირხა მთელ ქალაქში, ძმა-მეგობრებში.
 ლამაზ ურმებში ილიონის ვაჟებმა მყისვე
 შეაბეს ჯორნი, ზედ დაბრძანდნენ მანდილოსანნი
 და ასულნი ტანად-ტანადი. პრიამეს ქალნი
 ცალკერძ წაბრძანდნენ. ჭაბუკებმა შეკაზმეს ეტლნი...
 ზეგანეფინა ფოინიქსის საკმევლის სუნი.
 მანდილოსნებმა აღავლინეს წყნარი გალობა,
 ხოლო ვაჟკაცთა ბანი მოსცეს მძლავრი პეანით
 და უგალობდნენ გალობათა უფალს — ჰეკებოლს
 და ღვთიურ ჰექტორ — ანდრომაქეს განადიდებდნენ.



* * *

ისე ელვარებს დობილი ჩემი,
 როგორც შაქარა კენტი ვაშლი
 ხის კენწეროზე,
 მებაღეებს რომ დავიწყებით.
 დავიწყებით კი არა და,
 ვერ შესწვდომიან.

* * *

ო, დაიდაფნე დალაღები,
 ლამაზო დიკე!
 ანისას რტონი შეჰკარ
 შენი ქორფა თითებით.
 თავგვირგვინოსანთ
 სწყალობს ნეტარ ქარიტთა თვალთ,
 და უგვირგვინოთ
 ქარიტები თვალთ არიდებენ.

აკაკისი

* * *

ღვინით გაისველე ყელი.

მზე ცარგვალზე ამადლებულა,
ზაფხულის თაკარა დღეა.

წყურვილით ითანგება ყოველი,
კრიჭინობელა

კრიჭინებს მხოლოდ ფოთოლთა ჩრდილში
მის ფრთათა ქრქოლა

პაერს ეხება გაბმულ ზუზუნად.

სიცხემ კი ლამის

გადაბუგოს ქვეყნად ყოველი.

და ოქრომხალა ჰყვავის...

ამ დროს დიაცნი

მოჭარბებულად ნდომიამლოლნი არიან,

ხოლო კაცნა მოდუნებულნი:

ტვინსა და სახსარს სწვავს სირიოსი.

* * *

შევსვათ ღვინო, მიქრა პატრუქი.

ღღე დაღვა უკვე.

გამოიტანე ზორბა ჯამები,

მოტვიფრულები.

ზევსისა და სემელეს ვაჟმა გვიბოძა ღვინო,

სევდის წამალი.

განმიზავე ორწილ წყალში

ერთწილი ღვინო...

დაგდევნოს ჯამები ჯამებს.



დავლიოთ ერთად, მელანიბე. ხომ არ გგონია,
 რაჟამს გადასცურავ აქერონტის ზვირთებს,
 მზის წმინდა ნათელს კვლავ ეღირსება?
 თავი ანებე ტყუილს. ნუ თცნებობ არარსებულზე.
 ეოლიდ სიზიფოსსაც, თავად ხელმწიფეს,
 უპირველეს მზაკვართაგანს მოკვდავთა შორის,
 ეგონა სიკვდილს გააბრიყვებდა, იღონა ბევრიც.
 მაგრამ მეორედ აქერონტი ვერ გადასცურა
 მან დაუსჯელად.

ქვესკნელში მძიმე სასჯელი დასდვა კრონიდემ.
 ნუ თცნებობ არარსებულზე.

ყველანი მიწაში ჩავილალეებით აღრე თუ გვიან.
 ეს გარდუვალი ხვედრია ჩვენი.
 და ხანამ ბორეასი იბრდღვენს, ავზნეობს შმაგი,
 მოდი, ნუნუას ქათში ჩავკლათ ვარამი.

ახაკრებები

* * *

ყრბაო, მომაწოდე თასი,
მინდა დავლიო სულმოუთქმელად.
ათ ტარკოშ წყალში
ჩაასხი ღვინო ხუთი ტარკოში.
რომ შევუდგე
წესით და რიგით ბახუსის საქმეთ.
ჩვენ, რა თქმა უნდა,
არ დავაწყებთ სკვითურ ღრეობას
ან შფოთს და ყაყანს კი არ ავტებთ.
არა, ჩვენ დავლევთ
და ვიღიღინებთ
ხელისგულეებზე ჩამომსხდარი
ჭრელი თასებით.

შიანარკა კოლოზინელი

* * *

დავაგდეთ მაღალი პილოსი, ნელეოსის ციხე ქალაქი.
გარს შემოვადექით ნავებით კეკლუც აზიას.
ვეკვეთეთ საყვარელ კოლოფონს, ავიღეთ მედიდური ძალით.
ზეწამოვასხედით ტლანჭად, ჩვენ ურცხვი მპყრობელნი.
იქედან შევყევით შეციხულ მღანარეს... ახლა კი,
ღმერთთა განგებით, ეოლიის სმირნას ვესწრაფვით.

* * *

ჩვენც ესევე ვართ, ვით ფოთლები, ყვავილუხვი გაზაფხულის ყამს
მსწრაფლ რომ იშლება და მწვანედ ფეთქავს მზის სხივთა ქვეშე.
დროის შტკაველში ვხარობთ მხოლოდ სიყრმის ყვავილით
და ღმერთთა ნებით ველარ ვარჩევთ ბოროტს და კეთილს.
გარემომდგარან კერები ბნელი:
ერთი სიბერის განაჩენით, მეორე კიდევ — სიკვდილისა.
ნაყოფს სიყრმისას მალედევე ვისთვლით
ანქვეყნად ყველგან, სადამდეც სხივი გაწვდება მზისა...
და რა ჩაივლის სინორჩის ხანა
სიკვდილი გვიჯობს, ვიდრე სიცოცხლე.
გაგვიმრავლდება საღმობანი, ზოგჯერ სახლ-კარი
ჩამოგვეშცევა და ბეჩავი სიღარიბე დაისადგურებს,
ზოგჯერ უძეოდ გარდაეგება შვილთმონატრული
და მარტოსული ჩავა ჰადესს, ან სნება რამე
შეეყრება სულის მსახვრალი. არ არის ქვეყნად
კაცი, რომელსაც ჭირმრავლობა დააკლოს ზევსმა.

ქეტიან მენსვილი

გარდაცვლილი კოლქოვნიკის ძალიუვილები

ინგლისურიდან თარგმნა
მანანა ამისულაშვილმა

I

შემდგომი კვირა ყველაზე მომქანცველი იყო მათ ცხოვრებაში. მაშინაც კი, როცა დასაძინებლად წვებოდნენ, მხოლოდ სხეული ისვენებდა მათი, გონება კი ფხიზლობდა, ათას საფიქრალს ფიქრობდა, ათასი რამის გაგებას ლამობდა, ათასნაირ გადაწყვეტილებას იღებდა, ცდილობდა გაესხენებინა საღ...

კონსტანცია გახვეებული იწვა, ხელები სხეულის გასწვრივ დაეწყო, ფეხები ჯვარედინად გადაედო ერთიმეორეზე. ზეწრიდან მხოლოდ პირისახე უჩანდა. თვალები ჭერისათვის მიეპყრო.

— როგორ ფიქრობ, ვითომ რამეს იტყოდა მამა, მისი ცილინდრი კარისკაცისათვის რომ მიგვეცა?

— კარისკაცისათვის? — შეუღრინა ჯოზეფინამ. — რატომ მაინცდამაინც კარისკაცისათვის? რა უცნაური აზრია?

— იმიტომ, — წყნარად მიუგო კონსტანციამ, — რომ ხშირად უხდება და საფლავებაზე წასვლა. სასაფლაოზე შევნიშნე, რომ ქვაბქუდა ეხურა.

მცირე ღუმილის შემდეგ ისევ განაგრძო:

— სწორედ მაშინ ვიფიქრე, რა მადლიერი იქნება, ცილინდრი რომ გაჩუქოთ-მეთქი. მოვალენიცა ვართ. მამას ძალზე კეთილად ექცეოდა.

— მაგრამ, — წამოიძახა ჯოზეფინამ, აწრიალდა და სიბნელეში გაჰხედა დას. — მამამ რაღა დაიხუროს! — უეცრად ქირქილი აუტყდა. იმიტომ კი არა, რომ კარგ გუნებაზე იყო; ასეთი ჩვეულება ჰქონდა. დიდი ხნის წინ, როცა ღებს ღამღამობით არ ეძინათ და საუბრობდნენ ხოლმე, მათი სიცილისა თუ ქირქილისაგან საწოლებს ზანზარი გაჰქონდათ. და ახლა, როცა მეკარის თავი წარმოიდგინა მამამისის ცილინდრით, რომელიც ხან სანთელივით გამთანათებდა სიბნელეში და ხანაც გაუჩინარდებოდა, ჯოზეფინამ ქირქილს უმატა, თან ხე-

ლებს მუშტავდა, რომ თავი როგორმე შეემაგრებინა. ბოლოს, როგორც იქნა დაშვიდდა. მერე უცბად შუბლი შეიკრა და მკაცრად გააფრთხილა საკუთარი თავი: „გონს მოდი!“

— ხვალაც შეგვიძლია ამის გადაწყვეტა, — უთხრა დას. მარკსს კონსტანციას არაფერი შეუნიშნავს. მან ამოიხრა.

— რას იტყვი, ხალათებიც უნდა შევალე ბინოთ?

— შავად? — თითქმის იკივლა ჯოზეფინამ.

— შავად, აბა რა ფრად? — მიუგო კონსტანციამ. — ვფიქრობდი, რომ... ასეა თუ ისე, გულწრფელობაში არაფერს ჩამოგვართმევს, გარეთ რომ შავები ჩავიცვათ, შინ კი...

— ნეტავ, შინ ვინ გვხედავს? — თქვა ჯოზეფინამ, კვლავ მოუსვენრად აწრიალდა ლოჯიანში და ორივე ფეხი გამოუჩნდა ზეწრიდან. მერე, უფრო მაღლა დასდო ბალიშზე თავი და ზეწარი გაისწორა.

— ქეთი ხომ გვხედავს. — უპასუხა კონსტანციამ. — ნუ გეშინია, არც ფოსტალიონს გამორჩება რამე.

ჯოზეფინას თავისი მუქი წითელი ქოშები გაახსენდა, რომლებიც ძალიან უხდებოდა მის ხალათს. თვალწინ დაუდგა კონსტანციას ხალათის შესაფერი ღია მწვანე ფერის ქოშებიც, გაგიჟებით რომ უყვარდა მის დას. შავი! ორი შავი ხალათი და ორი წაფილი შავ ბიწვანაი ქოში ორ შავ კატასავით ჩუმად, ფეხკრეფით მიიპარება სააბაზანოში.

— არა მგონია, რომ აუცილებელი იყოს, — თქვა მან.

სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხნის შემდეგ საუბარი კონსტანციამ განაახლა:

— სამგლოვიარო ბარათები ხვალვე უნდა გავაგზავნოთ, რომ ცელონის ფოსტას მიუხსროს. რამდენი წერილი მივიღეთ დღემდე?

— ოცდასამი.

ჯოზეფინამ ოცდასამივეს უპასუხა და ყოველთვის, როგორც კი ამ ადგილს მიუახლოვდებოდა: „დიდად განვიცდათ ძვირფასი მამის დაკარგვას“, თავს ვერ იმაგრებდა ტირილისაგან და ცხვირსახოცს მოიშველიებდა ხოლმე. ზოგჯერ მაინც ინაშებოდა ბარათი ჯოზეფინას ღია ცისფერი ცრემლით და ისიც საშრობით აშრობდა ქაღალდს. საოცარია! ოცდასამ წერილს უპასუხა და მაინც ვერ შეეჩვია ამ აზრს! და ახლაც, როცა გულში გაიმეორა ეს სიტყვები: „დიდად განვიცდით ძვირფასი მამის დაკარგვას“, იტირებდა, თავი რომ არ შეეკავებინა.

— მარკები საკმარისი გაქვს? — შეეკითხა კონსტანცია.

— აბა, რა ვიცი, — გაბრაზდა ჯოზეფინა, — რა დროს ეგ არის?

— ისე, მაინტერესებდა, — მშვიდად უთხრა კონსტანციამ.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ოთახში ფხაკუნნი გაისმა.

— თაგვი, — თქვა კონსტანციამ.

— არა, თაგვი არ იქნება. აქ ხომ პურის ნამცეცები არ ყრია? — უთხრა ჯოზეფინამ.

— თაგვმა რა იცის, რომ აქ პურის ნამცეცები არ ყრია! — მიუგო კონსტანციამ.

კონსტანციას სიბრაღულით აევსო გული. საწყალი პატარა თაგუნია! ერთი

ბეწო ნამცხვარი მაინც დაეტოვებინა ტუალეტის მაგიდაზე! ახლა ხომ ვშიერი დარჩა თავუნა! რა საშინელებაა! ნეტავ, რას იზამს საბრალო?

— მიკვირს, შიმშილით რომ არ იხოცებიან, — თქვა მან წყნარად.

— ვინ? — იკითხა ჯოზეფინამ.

— თავვებიო, ისე ხმამაღლა მოუვიდა კონსტანციას, რომ მონიშნავდა ეუცნაურა.

ჯოზეფინა გაცეცხლდა:

— რას ჩმახავ, კონ! რა დროს თავვებაა? სიზმარში ხომ არა ხარ?

— არა მგონია, — უთხრა კონსტანციამ და თვალები დახუჭა, რომ დარწმუნებულიყო თავის სისწორეში.

ჯოზეფინა მოიკუნტა, ფეხები მოხარა, ხელები თავქვეშ ამოიწყო და ლოყით დაეკრა ბალიშს.

II

კიდევ ერთი გარემოება ართულებდა მდგომარეობას: მთელი ის კვირა მათთან გაატარა მომვლელმა ენდრიუსმა. ყველაფერი თავიანთი ბრალი იყო; თვითონ სთხოვეს ენდრიუსს, რომ დარჩენილიყო. ეს აზრად ჯოზეფინას მოუვიდა. ჰოდა, იმ დილას, ამ უკანასკნელ დილას, როცა ექიმი წავიდა, ჯოზეფინამ უთხრა კონსტანციას:

— ხომ არ გვეთხოვა ენდრიუსისათვის ჩვენთან დარჩენილიყო სტუმრად ერთი კვირით?

— ძალიან კარგი იქნებოდა, — უპასუხა კონსტანციამ.

— ვფიქრობდი, რომ შუადღისას, როცა ფულს გადავუხდიდი, — სწრაფად განაგრძო ჯოზეფინამ, — ენდრიუსისათვის შეთქვა: „თქვენ დიდი სიკეთე დაგედეთ და ძალიან გვასიამოვნებთ მე და ჩემ დას, თუ სტუმრად დარჩებით ჩვენთან ერთი კვირით“. ყოველ შემთხვევისათვის ჩავურთავდი, რომ სწორედ სტუმრად დარჩენას ვთხოვთ, თორემ, ვან იცის, იქნებ...

— ღმერთო ჩემო, ნუთუ ამაშიაც გასამრჯელოს მოგვთხოვს! — წამოიყვირა კონსტანციამ.

— რა ვაცი, კაცი ვართ! — ბრძნულად მიუგო ჯოზეფინამ.

ენდრიუსი სიამოვნებით ჩაეჭიდა ამ წინადადებას. ფიქრადაც არ მოსვლია, რა საზრუნავსა და სადარდელს უმატებდა დებს. ამიერიდან მისი გულისათვის განსაზღვრულ დროს უნდა ესვათ, ეჭამათ და ამავე დროს, გარკვეული ფორმალობაც დაეცვათ სუფრაზე. მარტონი რომ ყოფილიყვნენ, ქეითს სთხოვდნენ, რა თქმა უნდა, თუ ქეითი წინააღმდეგი არ იქნებოდა, იქ მიეტანა მათთვის საჭმელი, სადაც მოესურვებოდათ. ახლა კი სუფრასთან ჯდომა წამებად გადაექცათ.

ენდრიუსი კარაქისთვის გიჟდებოდა. ჯოზეფინას და კონსტანციას ეს არ გამოჰპარვიათ, მაგრამ არაფერს იმჩნევდნენ. სტუმარი კი მათი გულკეთილობით სარგებლობდა. მას კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ჩვეულება ჰქონდა: ცოტაოდენ პურს მოითხოვდა ხოლმე დამატებით, რომ თეფშზე დარჩენილი საჭმელი მოეთავებინა, და შემდეგ, როცა უკანასკნელ ლუკმას გადაყლაპავდა,

III



მაგრამ ცოტაც და, ენდრიუსი სამუდამოდ წავიდოდა. ყოვლად შეუძლებელი იყო, კაცს მის მიერ გაწეული ამაგი არ დაენახა. იგი ძალზე კეთილშეიქცეოდა მამას. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ხომ, საერთოდ უკანასკნელი ღია მის სარეცელს. მაგრამ ორივენი, ჯოზეფინაცა და კონსტანციაც, გრძობდნენ, თუმცა ერთმანეთს კი არ უმხელდნენ, რომ ენდრიუსმა გადაჭარბებული მზრუნველობა გამოიჩინა, როცა უკანასკნელ წუთებში მყოფ მამას გვერდიდან არ მოსცილდა. როდესაც განოსამშვიდობებლად შევიდნენ მამასთან, მომვლელი ენდრიუსი ისეთი გამომეტყველებით იჯდა მის გვერდით, თითქოს მთელი გულისყურით უსინჯავსო მაჯას. ფიქრადაც არ მოსვლია მართო დაეტოვებინა ქალიშვილები მასთან, იქნებ არც იყო საჭარო ასეთი მზრუნველობის გამოჩენა. ძალზე უტაქტოდ მოიქცა ენდრიუსი. რა მიუხედავრელი ყოფილა... იქნებ მამას რაიმე სათქმელი ჰქონდა მათთვის საიდუმლოდ. რა თქმა უნდა, მას არავითარი საიდუმლო არა ჰქონია, მაგრამ მაინც... სიბრაზისაგან სახეალეწილი იწვა და ერთხელაც არ შეუხედავს თავისი ქალიშვილებისათვის, როცა ისინი ოთახში შევიდნენ. ჯოზეფინა და კონსტანცია იდგნენ და იმას ფიქრობდნენ, როგორ მოვიქცეთო, რომ უცბად მამამ ცალი თვალი გაახილა. სულ სხვანაირი, სულ სხვანაირი დარჩებოდა მამა მათ ხსოვნაში, და ხალხთანაც ბევრად გაუადვილდებოდათ მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებზე ლაპარაკი, ორივე თვალი რომ გაეხილა. მაგრამ არა, მან მხოლოდ ცალი თვალი გაახილა. ერთხანს მკაცრად უყურა მათ და, შემდეგ... მზერა გაეყინა.

IV

ჯოზეფინა და კონსტანცია ძალზე უხერხულ მდგომარეობაში ჩაეარდნენ, როცა შუადღისას წმინდა ჯონსის პასტორი, მისტერ ფეროლზი მივიდა მათ სახახავად.

— იმედია, მამათქვენმა მშვიდად განუტევა სული, — მასვლისთანავე ეს თქვა მისტერ ფეროლზმა, ბნელი სასტუმრო ოთახი ლივლივით გაიარა და მათ მიუახლოვდა.

— დიახ, მშვიდად, — ძლივს გასაგონად თქვა ჯოზეფინამ, ორივემ თავი დახარა, კარგად იცოდნენ, რა საშვიდეც იყო მომაკვდავის მზერაში.

— დაბრძანდით, — სთხოვა ჯოზეფინამ.

— გმადლობთ, მის პინერ, — უთხრა მისტერ ფეროლზმა. სერთუკას კალთა აიკეცა და ის იყო განსვენებულის საგარძელზე დაეშვა, რომ წამოხტა და შემკრთალმა სხვა სკამზე გადაინაცვლა.

მან ჩაახველა. ჯოზეფინამ ზელები მოკუმწა. კონსტანცია დაიბნა.

— მე მსურს იცოდეთ, მას პინერ, — თქვა მისტერ ფეროლზმა, — და თქვენც მის კონსტანცია, რომ მზად ვარ თქვენს დასახმარებლად. მე მიინდა დავგებმართოთ, თუ ნებას დამრთავთ. ადამიანს, — განაგრძო მისტერ ფეროლზმა უბრალოდ და სერიოზულად, — ჭირში უნდა შველა.

— დიდად გმადლობთ, მისტერ ფეროლზ, — უთხრეს ჯოზეფინამ კონსტანციამ ერთხმად.

— მადლობად არ ღირს, — უპასუხა მისტერ ფეროლზმა ალერსიანად, მან ტყავის ხელთათმანები პეწიანად წაიძრო და წინ გადაიხარა. — თუ რომელიმეს გინდათ სახელდახელოდ ზიარების მიღება, რომელიმეს, ან შეიძლება ორივესაც, არ დაგზარდებით. ხშირად, ზიარება ძალზე შეველის... დიდი ნუგეშია აღამიანისათვის, — მზრუნველობით დაუმატა მან.

ზიარების გაგონებაზე ისინი შეკრთნენ. როგორ! ვის გაუგია ზიარების მიღება სასტუმრო ოთახში, სადაც არც საკურთხეველია, არც... პიანინო ძალზე მაღალია, ფაქრობს კონსტანცია, და მისტერ ფეროლზი ვერ გადმოიხრება მასზე ბარძიმით ხელში. ექვი არაა, რომ ქეითიც შემოვარდება ოთახში და ხელს შეუშლის, ფაქრობს ჯოზეფინა. იქნებ, შუა ზიარებაში რომ იქნებიან ვინმე მოვადეს, ვთქვათ, მათი სამგლოვიარო ტანსაცმლის თაობაზე. რა უნდა ქნან მაშინ? მოწიწებით წამოდგნენ და გავიდნენ ოთახიდან, თუ დაიცადონ... მაგრამ, ვაი იმ დაცდას! წამება იქნება მათთვის.

— თუ ახლა არ გსურთ, ბარათი გამოატანეთ ჩემთან თქვენს კეთილ ქეითს და შემატყობინეთ, როდის შესძლებთ ზიარების მალებას.

— აუცილებლად, დიდად გმადლობთ, — ერთხმად უპასუხა ორთავემ. მისტერ ფეროლზი წამოდგა და ჩალის შავი ქუდი აიღო მრგვალი მაგიდიდან.

ჯოზეფინა და კონსტანციაც წამოდგნენ.

— მე მანდა, რომ დაკრძალვამ სადად, უბრალოდ ჩაიაროს, — მტკიცედ თქვა ჯოზეფინამ, — თან არც მაინცდამაინც ძვირი დაჯდეს. ამასთანავე მინდა, რომ...

„გამძლე იყოს“, გაიფიქრა გულუბრყვილო კონსტანციამ, თითქოს და, ჯოზეფინა ღამის პერანგს ყიდულობსო. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჯოზეფინას ეს არ უთქვამს:

— მამაჩვენის მდგომარეობას შესაფერი იყოს. — ჯოზეფინა ძალიან ნერვიულობდა.

— აუცილებლად შევუვლი ჩვენ კეთილ მეგობარს, მისტერ ნაითს, — თქვა მისტერ ფეროლზმა დამამწვიდებლად. — ვთხოვ, რომ გინახულოთ. დარწმუნებული ვარ დიდ სამსახურს გაგიწევთ.

V

როგორც იქნა, ამ ამბავმა ჩაიარა, მაგრამ ვერც ერთს ვერ დაეჯერებინა, რომ მამა აღარასოდეს დაბრუნდებოდა. როცა კუბო საფლავში ჩაუშვეს, ჯოზეფინა დაუძლეველმა შიშმა შეიპყრო, რადგან გაიფიქრა, ამას ხომ მამის დაუკითხავად ჩავდივართ შე და კონსტანციასო. ნეტავ, რას იტყვის მამა, როცა ყოველივეს მიხვდება? ის კი აუცილებლად მიხვდება ადრე თუ გვიან. ის ყოველთვის ყველაფერს ხვდებოდა. „დამმარხეთ! თქვენ, ორმა გომბიომ დამმარხეთ, ხომ?!“ ჯოზეფინას მისი ჯობის კაკუნიც კი მოესმა. ო, რას ეტყვიან? რით იმართლებენ თავს? საკუთარი მამის დამარხვა ხომ გაუგონარი უგულობაა! დიდი ცოდვია,

ასე უწყალოდ გაუსწორდე უმწეო ადამიანს. სხვებასთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია, ისინი უცბანი არიან და ვერც მიხვდებიან, რომ სხვას კიდევ შეიძლება შემთხვეოდ ანეტი რამ, მათ მამას კი არასოდეს. არა, მთელი ცოდვა მას და კონსტანციას დააწვება კისერზე. ყველაფერს რომ თავი დაანებებოდა, ყველა ხარჯს რა ეშველება? გაიფიქრა ჯოზეფინამ, როცა დახუტულ კონსტანციაში ჯდებოდა. ნეტავ, რას იტყვის მამა, როცა დანახარჯს აჩვენებს? უცბად მამის ყურისწამლები ყვირილი შემოესმა: „ხომ არ გგონიათ, რომ ამ ოინბაზური გასეირნებისათვის შე დავახარჯო?!“

— ოჰ, — ამოიოხრა საწყალმა ჯოზეფინამ, — არასოდეს არ უნდა ჩაგვედინა ეს, კონ.

კონსტანციამ, ფერმკრთალი ლიმონავით რომ ჩანდა მთელ ამ სიშავეში, მიშნარევი ჩურჩულით ჰკითხა:

— რა, ჯაგ?

— არ უნდა და-დაგვესაფლავებინა მამა, — უთხრა ჯოზეფინამ, მწარედ აქვითინდა და სახე ახალთახალ სამგლოვიარო ცხვირსახოცში ჩარგო, რომელსაც უცნაური სუნი ასდიოდა.

— შეტი რა გზა გვქონდა, — უთხრა გაოცებულმა კონსტანციამ. — ჩვენ არ შეგვეძლო მისი შენახვა, ჯაგ, არ შეგვეძლო. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს პატარა ბინაში ასეთი რამ წარმოუდგენელია.

ჯოზეფინამ ცხვარი მოიხოცა. ეტლში საშინლად დახუთული ჰაერი იყო.

— რა ვიცი, — საბრალოდ თქვა ჯოზეფინამ. — ყოველივე, რაც მოხდა, ისე საშინელია!.. მე მგონი, მაინც უნდა გვეცადა, მცირე ხანს მაინც, რომ დავრწმუნებულყავით, შეიძლებოდა თუ არა. ერთი კი ცხადია, — თქვა და ისევ ცრემლები წამოსცვივდა, — მამა არასოდეს გვაპატიებს, არასოდეს.

VI

მამა არასოდეს აპატიებთ. ეს კიდევ უფრო მძაფრად იგრძნეს ორი დღის შემდეგ, როცა მამის ოთახში შევიდნენ, რომ მისა ნივთები გადაესინჯათ. წინდაწინ მშვილად მოილაპარაკეს ამის თაობაზე. ჯოზეფინამ ჩაინიშნა კიდევ: „გადავათვალეოთ და მოვაწესრიგოთ მამის ნივთები“, მაგრამ სათქმელად ყველაფერი ადვალა. ხაქმე შესრულებაა.

საუზმის შემდეგ ჯოზეფინამ დას უთხრა:

— მაშ კარგი, მზად ხარ, კონ?

— ჰო, ჯაგ, თუ შენც მზად ხარ.

— მაშინ სჯობს, ახლავე შევუდგეთ საქმეს.

დერეფანში ბნელოდა. წლების განმავლობაში წესად ჰქონდათ გადაქცეული, რომ მამა არ შეეწუხებინათ დილით, თუნდაც ქვეყანა დაქცეულიყო. ახლა კი დაუკაკუნებლადაც აპირებდნენ კარის გაღებას... კონსტანციას შიშისაგან თვალები გაუფართოვდა, ჯოზეფინას მუხლთ მოეკვეთა.

— შენ, შენ შედი პირველი, — სუნთქვა შეეკრა ჯოზეფინას და კონსტანციას უბიძგა.

მაგრამ კონსტანციამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც ასე უპასუხა:

— არა, ჯაგ. ეგ ხომ უსინდისობაა. შენ ჩემზე უფროსა ხარ.

ის იყო, ჯოზეფინას უნდა ეთქვა, მაგრამ შენ ხომ ჩემზე მაღალი ხარ (რასაც სხვა დროს არაფრის გულისათვის არ ეტყოდა დას, თუ ძალიან ნაწყენი არ იყო), რომ დროზე შეიკავა თავი, რადგან სამზარეულოში ქვეყნის მფლობელი

— როგორ ჩაქედალა, — თქვა ჯოზეფინამ, კარის სახელურს სწავლიდა და მთელი ძალით შეეცადა მის გადატრიალებას. მაგრამ ასე ადვილი არ იყო ქეითის მოტყუება.

მეტი რა გზა ჰქონდათ, უნდა შესულიყვნენ. ის გოგო თვალს არ... შემდეგ კარიც დაიხურა, მაგრამ ისინი მამის ოთახში კი არა, სულ სხვა ოთახში აღმოჩნდნენ. იქნებ, უეცრად კედელში გაძვრნენ და შეცდომით სხვა ბინაში მოხვდნენ. ნეტავ, კარი თუ იყო მაინც მათ უკან? ისე ეშინოდათ, რომ მიხედვაც ვერ გაბედეს. ჯოზეფინას სჯეროდა, თუ კარი მართლა იყო იქ, მაგრამ იქნებოდა დაკეტილი. კონსტანცია კი გრძობდა, რომ სიზმრად ნანახ კარივით, არც მას ჰქონდა სახელური. სიცივე სდებდა ყველაფერს შემადრწუნებელ ელფერს, სიცივე სცემდა მათაც შიშის ზარს, ან იქნებ სითეთრეც. ყველაფერს თეთრი ჰქონდა გადაფარებული. ფარდები დაბლა იყო დაშვებული, სარკეს რაღაც ნაჭერი ჰქონდა ჩამოფარებული, საწოლს ზეწარი ეფანა, ბუხრის დაღებულ პირს თეთრი ქაღალდის უზარმაზარი ფურცელი ავსებდა. კონსტანციამ გაუბედავად გაიშვირა ხელი; თითქმის სჯეროდა, რომ თოვლის ფაფქი დაეცემოდა. ჯოზეფინამ ნესტოებში სუსხიანი ჩხვლეტა იგრძნო, თითქოს საცაა ცხვირი მოეყინებო. შემდეგ კებმა ჩაიგრილა ქვაფენილზე და სიმყუდროვე დაარღვია.

— მოლა, ფარდას აეწეე, — თამამად თქვა ჯოზეფინამ.

— ჰო, ძალიან კარგს იზამ, — წაიჩურჩულა კონსტანციამ.

როგორც კი ფარდას შეახეს ხელი, იგი ზემოთ ასრიალდა, თან ზონარი აიყოლა, რომელიც ჯოზეფინას დაეხვია და პატარა ფუნჯმა ხტუნვა დაიწყო, თითქოს აწყვეტას ლამობსო. ამას კი ვედარ გაუძლო კონსტანციამ.

— როგორ ფიქრობ, როგორ ფიქრობ, არ შეიძლება სხვა დღისათვის გადავდოთ ეს საქმე? — აჩურჩულდა იგი.

— რატომ? — მკვახედ მიახალა ჯოზეფინამ, რომელსაც გამბედაობა შეემატა, დარწმუნდა თუ არა კონსტანციისაც ეშინიაო. — ახლავე უნდა მოვათავოთ. ოღონდ, თუ ღმერთი გწამს, ნუ ჩურჩულებ, კონ.

— მართლა ვჩურჩულებ? — კვლავ ჩურჩულით ჰკითხა კონსტანციამ.

— რას დაშტერებინარ მაგ საწოლს? — გამომწვევად აუწია ჯოზეფინამ ხმას. — ნეტავ, რას ხედავ მანდ?

— ო, ჯაგ, მაგას ნუ ამბობ, — თქვა საბრალო კონმა. — ასე ხმამაღლა მაინც ნუ ამბობ.

თვითონვე იგრძნო ჯოზეფინამ, რომ მეტისმეტი მოუვიდა. შორიდან მოუარა კომოდს, ხელი გაიშვირა, რომ შეჭხებოდა, მაგრამ იმწამსვე გველნაკბენით უკან გამოსწია.

— კონ! — დაიძახა სუნთქვაშეკრულმა ჯოზეფინამ, შემოტრიალდა და ზურგით მიეყრდნო კომოდს.

— ო, ჯაგ, რა მოხდა?

ჯოზეფინა ფართოდ გახელილი თვალებით მიშტერებოდა დას და კრინტს ვერ სძრავდა. საოცარი გრძნობა ჰქონდა, თითქოს რაღაც საშინელს დაუსხლტა

ხელიდან. მაგრამ როგორ აეხსნა კონსტანციასთვის, რომ კომოდში მამა ეგუ-
ლებოდა. ის იყო ზედა უჯრაში, სადაც მისი ცხვირსახოცები და ელსარკვევები
ეწყო, მონღევნოშიც, სადაც მისი პერანგები და საცვლები ელაგა, უკანასკნელ-
შიც, მისი კოსტიუმები რომ ინახებოდა. კომოდის კარსუკან დამტყუტუნეულები
თვალვებდა თავის ქალიშვილებს და მზად იყო გადმოსახტომად მზღმმმმმმ

ჯოზეფინას სასაცალო ბებრული სახე დაემანჭა. უწინაც ასე მოსდიოდა
ხოლმე, როცა კი ტირილს დააპირებდა.

— ვერ ვალებ, — დაიბლაღლა მან.

— ნუ, ნუ გაალებ, ჯაგ, — გულწრფელად აჩურჩულდა კონსტანცია. —
სჯობს თავი დაანებო. მოდი, ნურაფერს გავალებთ, ცოტა ხანს მაინც.

— მაგრამ, მაგრამ ეს ხომ სისუსტეა, — უთხრა წონასწორობიდან გამო-
სულმა ჯოზეფინამ.

— შერედა, რა მოხდა, ვიყოთ სუსტები ჩვენ სიცოცხლეში ერთხელ
მაინც, თუ ასეთი ქცევა სისუსტედ შეიძლება ჩაგვეთვალოს? — გაცხარებით
ჩურჩულებდა კონსტანცია და ცდილობდა დაერწმუნებინა და თავისი სიტყვე-
ბის სიმართლეში. უსიცოცხლო მზერა საიმედოდ უჭრებდაკეტილ საწერი მაგი-
დიდან სწრაფად გადაიტანა ტანსაცმლის უზარმაზარ პრილა კარადაზე. —
რატომ არ შეიძლება, რომ ერთხელ სიცოცხლეში ჩვენც ვიყოთ სუსტები, ჯაგ?
ბოლოს და ბოლოს ეს გვეპატება კიდევ. მოდი, ვიყოთ სუსტები, ვიყოთ სუს-
ტები, ჯაგ! იქნებ უკეთესიც იყოს.

შემდეგ კონსტანციამ საოცარი გმირობა გამოიჩინა, რომლის მსგავსი რამ
ერთი ორჯერ თუ ჩაუდენია მთელს სიცოცხლეში. ის ტანსაცმლის კარადისაკენ
გაემართა, გასაღები გადაატრიალა და საკეტავიდან გამოაძრო. საკეტავიდან გა-
მოაძრო და ჯოზეფინას გაუწოდა, თან უცნაურად იღიმებოდა, თითქოს გუბ-
ნებოდა, კარგად ვიცი, რაც გავაკეთეო. მან ამით შეგნებულად ჩაიგდო თავი
საფრთხეში, რადგან მამა კარადაში ეგულებოდა პალტოებს შორის. ეს უზარ-
მაზარი კარადა რომ გადმოწოლილიყო და ქვეშ დაეტანა კონსტანცია, ჯოზე-
ფინას არ გაუკვირდებოდა, პირიქით, იფიქრებდა, სწორედ ასე უნდა მომხდა-
რიყო. მაგრამ არაფერიც არ მომხდარა ამის მაგვარი. მხოლოდ, ისედაც მდუ-
მარე ოთახი უფრო დადუმდა და ცივი, სუსხიანი ჰაერი ფართო ჰავლებად
ევლებოდა ჯოზეფინას მხრებსა და მუხლებს. მან კანკალი დაიწყო.

— წამოდი, ჯაგ, — უთხრა კონსტანციამ, თან ისევ უმოწყალოდ იღიმებო-
და. ჯოზეფინაც მაჰყვა, სწორედ ისე, როგორც მაშინ, კონსტანციამ ბენი რომ
ჩააგდო გუბეში.

VII

სასადილო ოთახში დაბრუნებისას ჯოზეფინასა და კონსტანციას უფრო მე-
ტი ნერვიულობა და დაძაბულობა დაეტყოთ. სავარძელში მოცელილებივით
ჩაეშვინენ და ერთიმეორეს შეხედეს.

— არაფრის გამკეთებელი არა ვარ, — თქვა ჯოზეფინამ, — თუ ცოტა არ
მოვმაგრდი. აქნებ ქეთისთვის გვეთხოვა, რომ ორი ფინჯანი ცხელი წყალი მო-
ეტანა ჩვენთვის?

— რატომაც არა, — უთხრა კონსტანციამ მზრუნველობით. მას კვლავ დაუბრუნდა სიმშვიდე. — ზარს არ დავურეკავ. სამზარეულოში მე თვითონ ვაქვად ვთხოვ.

— ჰო, ასე მოიქეცი, — უთხრა ჯოზეფინამ და სავარძელში უხვნიანდნადაა ჩაჯდა. — მხოლოდ ორი ფინჯანი წამოიღოს, კონ, ლახგარათ. სხვა არაფერი.

— არც ჩაიდანია, არა? — ჰკითხა კონსტანციამ, თითქოსდა ქეითი უსაყვედურებდათ, ჩაიდანია რაღად მომატანიხეთო.

— არა, რა თქმა უნდა, არა! ჩაიდანია სულაც არაა საჭირო. იქვე შეავსოს ფინჯნები, — მიაძახა ჯოზეფინამ. ეგონა, რომ ამით ქეითს საქმე შეუმსუბუქდებოდა.

ესინი ცივი, აცახცახებული ტუჩებით ეხებოდნენ მწვანედ პირმოარშიებულ ფინჯნებს. ჯოზეფინას პატარა დაწითლებული ხელები მოეწეო ფინჯნისთვის. კონსტანცია წელში გამართული იჯდა და გრავნილად აღმავალ ორთქლს უბერავდა. ყოველ შებერვაზე იგი ბოლქვებად იფანტებოდა.

— ჰო, ბენიზე ვამბობდი, — თქვა ჯოზეფინამ.

თუმცა ბენი არ უხსენებიათ, კონსტანციამ ისე მიიღო დას ნათქვამი, თითქოს მართლა მასზე ჰქონოდათ საუბარი. ეტყობა, თვითონაც ბენიზე ფიქრობდა იმ წუთში.

— რა თქმა უნდა, ბენი მოელის, რომ მამისეულ რომელიმე ნივთს გავუგზავნი. მაგრამ რა გაიმეტოს კაცმა ცეილონში გასაგზავნად...

— ამით იმის თქმა გინდა, რომ გზაში ამანათებს ხსნიან, არა? — ჩააბუტბუტა კონსტანციამ.

— არა, კარგავენ, — უკმეხად უპასუხა ჯოზეფინამ. — ხომ იცი, რომ იქ ფოსტა არა აქვთ. მხოლოდ შიკრიკები ჰყავთ.

ლაპარაკი შეწყვიტეს და ტილოს თეთრ საცვლიან შავკანიან კაცს დაუწყეს ყურება, რომელსაც ყავისფერ ქალაქში გახვეული ვეება ამანათი ეჭირა და თავქუდმოგლეჯილი გარბოდა მზისგან გადამწვარ მინდორზე. ჯოზეფინას შავკანიანი მსახური ჩია კაცი იყო. მთელი დღე ჯარასავით ტრიალებდა, თან ისეთი ლაპლაპი გაჰქონდა, თითქოს ტანზე ქონი წაუსვიათო. კონსტანციას მაღალი, კაფანდარა მსახური კი ერთი გადაჩეული, დაუდგრომელი ვინმე იყო, რის გამოც ქალბატონს ძალზე აუტანელ ადამიანად მიაჩნდა... ვერანდაზე თეთრსამოსიანი ბენი იდგა და თავზე ლაფნის ხრალისაგან დაწნული ჩაფხუტი ეხურა. მარჯვენა ხელი ნერვიულად უხტოდა, უტოკავდა. სწორედ ასე მოსდიოდა ხოლმე მამამისს, როცა მოთმინებიდან გამოვიდოდა. მის უკან იჯდა ჰილდა, ჯოზეფინასა და კონსტანციას უცნობი რძალი, რომელსაც სახეზე გულგრილობა აღბეჭდოდა. ის ლერწმის სარწეველაში იჯდა. ქანობდა და „ტატლერის“ ფურცლებს თითებს მსუბუქად ურტყამდა.

— მე მგონი, საათი ყველაზე კარგი საჩუქარი იქნება, — თქვა ჯოზეფინამ. კონსტანციამ დას აჰხედა. სახეზე გაკვირვება დაეტყო.

— ღმერთო ჩემო, ფერადკანიანს როგორ უნდა ანდო ოქროს საათი?

— ნუ გეშინია, — უთხრა ჯოზეფინამ, — ისეთნაირად შევფუთავ, რომ კაციშვილი ვერ მიხვდეს, რას ვაგზავნი.

ჯოზეფინას ჭკუაში დაუჯდა თავისივე ნათქვამი. წამით გაიფიქრა კიდევ, რომ საათი კორსეტის ვიწრო, მუყაოს ყუთში ჩაედო, რომელსაც დიდი ხანია

ინახავდა. ფიქრობდა, ოდესმე გამომადგებო. ყუთი ჩინებული, მაგარი მუყაოსი იყო, მაგრამ არა, ამ შემთხვევაში არ გამოდგებოდა. ზედ ასეთი წარწერა ჰქონდა: „ქალის კორსეტი, საშუალო ზომა 28. უმაღლესი ხარისხის გამძლე ფირფიტებით“. ძალიან გაუკვირდებოდა ბენის, როცა ყუთს ^{წაწმენდა} და შიგნით ^{შეისწავლა} მამამისის საათს დაინახავდა.

— რასაკვირველია, ეს არ იმუშავებს, მინდოდა მეთქვა, არ იწიკწიკებს-მეთქი, — უთხრა კონსტანციამ, რომელიც კვლავ იმას ფიქრობდა, რა ძალიან უყვართ ფერადკანიანებს ძვარფასეულობაო. — ყოველ შემთხვევაში, — დაუმატა მან, — საოცარი იქნება, რომ ამდენი ხნის შემდეგ კიდევ იმუშაოს.

VIII

ჯოზეფინამ არაფერი უპასუხა. ის ფიქრით სხვაგან იყო. განა უკეთესი არ იქნება, რომ პაპის საათი ერთადერთ შვალისწილს ერგოს წილად? სირილმა ხომ ჩინებულად იცის ყველაფრის ყადრი, ოქროს საათზე კი რომელი ახალგაზრდა იტყვის უარს. ბენი, ალბათ, მთლად გადაეჩვია საათის ტარებას; მამაკაცები იშვიათად თუ აცვამენ ფილეტს ცხელ ქვეყნებში, მაშინ, როცა ლონდონში სირილი მთელი წლის განმავლობაში ნაბიჯსაც არ გადადგამს უფილეტოდ. გული ხომ სიამით აევსებოდათ მას და კონსტანციას, რომ სირილს, როდესაც ჩააზე ესტუმრებოდათ იგი, ფილეტის ჯიბეში პაპისეული საათი სდებოდა. „ვხედავ, პაპის საათს ატარებ, სირილ“. რაოდენ კმაყოფილებას იგრძნობდნენ ამის გამო!

ძვირფასი ბიჭი! რა დიდი ტკივილი მიაყენა მათ მისმა გულთბილმა, თანაგრძნობით აღსავსე პატარა ბარათმა! რა თქმა უნდა, სირილის მდგომარეობაში შევიდნენ და არ დაუძრახავთ ის, მაგრამ მაინც დიდ უბედურებად მიაჩნდათ მისი ჩამოუსვლელიობა.

— ჩვენს ბედს ძალღი არ დაჰყეფდა, ის რომ ჩამოსულიყო, — თქვა ჯოზეფინამ.

— თვითონაც ძალზე ნასიამოვნები დარჩებოდა, — მიუგო კონსტანციამ ისე, რომ არც კი დაფიქრებულა, რას ვამბობო.

მაგრამ როცა კი ჩამოსულა, როცა კი დაბრუნებულა სირილი, მამიდების ხშირი სტუმარი ყოფილა. მისი სტუმრობა იშვიათ სიამოვნებას ჰგვრიდა მათ.

— ახლა, ნამცხვრებს ნუ დაგვიწუნებ, სირილ. მამიდა კონმა და მე ბაზარდის საკონდიტროში ვიყიდეთ ამ დალას. ვიცით, მამაკაცებს რა მადაც გაქვთ. ასე რომ, ნუ მოგერიდება, ჭამე გემოზე.

ჯოზეფინამ თამამად დაუსვა დანა შოკოლადის მშვენიერ ტორტს. ამ ტორტის საფასურით იგი ზამთრის ხელთათმანებს იყიდდა, ანდა კონსტანცია თავის ერთადერთ წყვილ საგარეო ფეხსაცმელს დააკერებინებდა. ნეტავ რა ძალადგათ? სირილმა ქალივით ნაზი ჭამა-სმა იცოდა.

— გამაგონე, მამიდა ჯოზეფინა, არ შემძლია და რა ვქნა. ახლასან ვისაუზმე, ხომ იცი.

— ოჰ, სირილ, მართალს არ ამბობ, მეხუთე საათია ახლა! — წამოიყვირა

ჯოზეფინამ. კონსტანციას დანა მოეღერებინა შოკოლადის ტორტის სხვა ნაჭრის ჩამოსაჭრელად.

— მე მაინც მართალს ვამბობ, — თქვა სირილმა. — ერთ კაცს უნდა შევეხვედროდი ვიქტორიას სადგურზე, ჰოდა, იმდენ ხანს მალოდანა და ვისაუზმე. შემდეგ კი პირდაპირ თქვენკენ გამოვწიე. ფუ, ღმერთმა დასწყევლოს, — სირილმა შუბლზე მიიღო ხელი, — რა მშვენიერი დრო გამატარებინა!

ჯოზეფინა და კონსტანცია ასე არავის გაუწბილებია, მაგრამ სირილი ვერც კი გრძნობდა ამას.

— მერენგა მაინც ვადაიღე, სირილ! — უთხრა მამიდა ჯოზეფინამ. — საგანგებოდ შენთვის ვიყიდეთ. შენს ძვირფას მამას უყვარდა ძალიან. დარწმუნებული ვიყავით, შენც გეყვარებოდა.

— მიყვარს, მამიდა ჯოზეფინა, — მხურვალედ მიუგო სირილმა. — ხომ არ გაჯავრდებით, რომ ჯერ ნახევარი გადავიღო?

— სრულიადაც არა, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ნუ გგონია, რომ მხოლოდ ეგ გაკმაროთ.

— ისევ უყვარს მამაშენს მერენგა? — ნაზად ჰკითხა მამიდა კონსტანცია და სახე ისე დაემანჭა, თითქოს ლაპარაკი ტკავილს აყენებდნენ.

— რა ვიცი, მამიდა კონსტანცია, — მხიარულად, შატაბუტად უბასუხა სირილმა. — მამიდეგმა გაკვირვებით შეხედეს.

— არ იცი? — ეცა ჯოზეფინა. — მაშ, არ იცი, მამაშენს რა უყვარს, სირილ?

— ეტყობა, არ იცის, — წყნარად თქვა მამიდა კონსტანცია.

სირილმა სცადა ხუმრობაში ჩაეტარებინა ყველაფერი.

— ჰო, რა მოხდა, არ ვიცი. რამდენი ხანია, რაც... — მას ენა დაება, შეჩერდა. მამიდეგის დაძაბულ მზერას ვეღარ გაუძლო.

— გინდაც ასე იყოს, — უთხრა ჯოზეფინამ.

მამიდა კონსტანცია სმენად იქცა.

სირილმა ფინჯანი დადგა.

— დამაცადეთ! — წამოიძახა მან. — დამაცადეთ, მამიდა ჯოზეფინა! ამას რას ვამბობ, რამ გამომაშტერა?!

მამიდეგს შეხედა. მათ სახე გაუხატდათ. სირილმა მუხლზე შემოიკრა ხელი.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან, — მამას მერენგა უყვარს. რამ დამავიწყა! დიას, მამიდა ჯოზეფინა, თქვენ მართალი ხართ. მამას გაგიყვებით უყვარს მერენგა.

შინაბერები მთლად გაიბადრნენ. უფრო მეტად, მამიდა ჯოზეფინა სიამოვნებისაგან წამოწითლდა, მამიდა კონსტანცია კი შვებით ამოისუნთქა.

— ახლა კი, სირილ, უნდა წამოხვიდე და პაპა ნახო, — უთხრა მამიდა ჯოზეფინამ. — მან იცის, რომ დღეს უნდა მოსულაყავი ჩვენთან.

— მართალია, — თქვა სირილმა მტკიცედ და გულწრფელად. იგი წამოდგა. უეცრად საათს შეხედა.

— მისმინე, მამიდა კონსტანცია, თქვენი საათი ცოტა უკან ხომ არ არის? ერთ

კაცს უნდა შევხვდე პად... პადინგტონის სადგურზე ხუთის მერე. ვშიშობ, რომ დიდხანს ვერ დავრჩები პაპასთან.

— ნუ გეშინია, დიდხანს არ გაგაჩერებს, — უთხრა მამიდა ჯოზეფინამ.

კონსტანცია კვლავ საათს მისჩერებოდა. ვერ გაეგო, სწორი იყო თუ არა. ის კი იცოდა, რომ აღრე ხან წინ გარბოდა, ხან უკან რჩებოდა. სირილი ისევ ფეხს ითრევდა.

— თქვენ არ მოდიხართ, მამიდა კონ?

— რა თქმა უნდა, — უთხრა ჯოზეფინამ, — ერთად წავიდეთ. წამოდი, კონ!

IX

კარზე დააკაკუნეს, და სირილი ფეხდაფეხ შეჰყვა მამიდებს პაპის უჭაერო, დახუთულ ოთახში, რომელშიც უცნაური მოტკბო სუნი იდგა.

— მომიახლოვდით, — თქვა პაპა პინერმა. — რა შორს გაჩერებულხართ? რა მოხდა? რისთვის მოსულხართ?

ის გაფიცებულ ბუხართან იჯდა და ხელჯოხი მაგრად ჩაებლუჯა. მუხლებზე სქელი, ფოჩებიანი შალი ეფარა. კალთაში მშვენიერი ღია ყვითელი ფერის აბრეშუმის ცხვირსახოცი ედო.

— სირილი გვესტუმრა, მამა, — გაუბედავად უთხრა ჯოზეფინამ. მან ხელი ჩასკადა სირილს და მოხუცთან მიიყვანა.

— გამარჯობა, პაპა, — უთხრა სირილმა და სცადა ჯოზეფინას ხელისაგან თავი დაეღწია. პაპა პინერმა გამკოლავი მზერა შეაგება. ასეთი ჩვევა ჰქონდა. მამიდა კონი სადღია? აგერ ისიც, მამიდა ჯოზეფინას გვერდით დგას; გრძელი მკლავება ძირს დაუშვია, ხელები დაუმუშტავს და მონუსხულივით შესცქერის პაპას.

— აბა, — უთხრა პაპა პინერმა და ხელჯოხი დააკაკუნა, — რას მეტყვი?

მართლად, რა აქვს, რა აქვს სათქმელი? სირილი გრძნობდა, რომ ყვეფივით იღიმებოდა. ოთახშიც სულის შემხუთავი ჰაერი იდგა.

მადლობა ღმერთს, დროზე შეეშველა მამიდა ჯოზეფინა.

— სირილს იმის თქმა უნდა, რომ მამამისს ისევ ძალიან უყვარს მერენგა, ძვირფასო მამა! — თქვა ჯოზეფინამ ხმამაღლა და მკაფიოდ.

— რაო? — იკითხა პაპა პინერმა, წითელი ხელი მერენგას ნიქარასავით მოღუნა და ყურზე მიიღო.

ჯოზეფინამ გაუმეორა:

— სირილს იმის თქმა უნდა, რომ მამამისს ისევ ძალიან უყვარს მერენგა.

— მაინც არ მესმის, — თქვა მოხუცმა პოლკოვნიკმა. მან ჯოხით ანიშნა ჯოზეფინას, განზე გადექო, შემდეგ სირილისაკენ გაიშვირა ჯოხი და უთხრა: — მითხარი ერთი, რას ამბობს ეს ქალი.

„ღმერთო ჩემო!“

— ვუთხრა? — იკითხა სირილმა და გაწითლდა, თან მამიდა ჯოზეფინას უყურებდა.

— უთხარი, ძვირფასო, — გაუღიმა მან. — ძალიან ესიამოვნება.

— რაღას უცდი, დროზე თქვი! — უყვირა მოთმანებიდან გამოსულმა ბოლ-
კოვნიკმა პანერმა და კვლავ ჯობი დააკაკუნა.

სირილი დაიხარა და მთელი ძალით ჩაჰყვირა ყურში:

— მამაჩემს ისევ ძალიან უყვარს მერენგა.

პაპა პინერი ტყვიანაკრავივით შეხტა.

— რა ვაღრიალებს! — იყვირა მან. — ნეტავ, რა დაემართა ამ ბიჭს? რის
მერენგა, რა მერენგა?

— ო, მამიდა ჯოზეფინა, კიდევ დიდხანს ვიცოდებილებთ? — ამოიოხრა
სასოწარკვეთილმა სირილმა.

— დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო, ნუ ღელავ, — ისეთნაირად უთხრა მამიდა
ჯოზეფინამ, თითქოს კბილის ექიმთან არიანო. — ამ წუთში გავაგებინებ. —
შემდეგ წასჩურჩულა: — ხომ იცი, თანდათან ყურს აკლდება. — ბოლოს, დაი-
ხარა და დასწყვიელა პაპა პინერს, — სირილს მხოლოდ იმის თქმა უნდოდა,
ძვირფასო მამა, რომ მამამისს ისევ ძალიან უყვარს მერენგა.

ამჯერად კი გაიგო პოლკოვნიკმა პინერმა, გაიგო და შეფიქრებულმა
აათვალღიერ-ჩაათვალღიერა სირილი.

— რა საოჩარო ამბავი მოთხრა! — ჩაიჩიფჩიფა პაპა პინერმა. — ღირდა კი
ამის სათქმელად ამხელა გზის გამოვლა?

სირილი გრძნობდა, რომ პაპა მართალი იყო.

— რა თქმა უნდა, სირილს გავუგზავნი საათს, — თქვა ჯოზეფინამ.

— ძალიან კარგი იქნება, — დაეთანხმა კონსტანცია. — თუ მეხსიერება არ
მლაღატობს, უკანასკნელად რომ იყო ჩვენთან, ცოტას ღელავდა, რადგან სად-
ღაც მიეჩქარებოდა და ზუსტად არ იცოდა რა დრო იყო.

X

ლაპარავი ქეითმა შეაწყვეტინა, რომელიც ისე მოულოდნელად გაჩნდა
ოთახში, რომ კაცი იფიქრებდა, კედელში საიდუმლო კარი აღმოუჩენია და
იქიდან შემოსულაო.

— შემწვარი თუ მოხარშული? — თავხედურად იკითხა ქეითმა.

შემწვარა თუ მოხარშული? ჯოზეფინა და კონსტანცია უცბად დაიბნენ.
ვერ მიხვდნენ რას ამბობდა.

— შემწვარი თუ მოხარშული? რა, ქეით? — ჰკითხა ჯოზეფინამ და სცადა
გონება მოეკრიბა.

— თეეზი, — ცხენავით წაიფრუტუნა ქეითმა.

— კარგი, მაგრამ თავიდანვე რატომ არა თქვი ასე? — უსაყვედურა ჯოზე-
ფინამ. — აბა, რანაირად უნდა გაგვეგო, ქეით, რას ამბობდი. ხომ იცი, რამდე-
ნი რამეა ამქვეყნად, რისი შეწვაც შეიძლება და მოხარშვაც. — ასეთი სითამა-
მის გამოჩენის შემდეგ მან ცოცხლად ჰკითხა კონსტანციას: — შენ რომელი
გირჩევნია, კონ?

— მე მგონი, შემწვარი გემრიელი უნდა იყოს, — თქვა კონსტანციამ, —
თუმცა მოხარშულიც ძალიან გემრიელია. მაგრამ, რა ვიცი, მგონი, არც ერთზე
არ ვიტყოდა უარს... იმ შემთხვევაში... თუ შენ...

— შევწვავ, — თქვა ქეითმა და შურდულივით გავარდა. ოთახის კარი ღია დატოვა, სამზარეულოსი კი ერთი მაგრად მიიჯახუნა.

ჯოზეფინამ კონსტანციას შეხედა. გრემა წარბები ასე აზიდა, რომ ქერათმამ მთლად დაუფარა. იგი წამოდგა და მედიდური, შთამბეჭდავი კილოდუ მიმართა დას:

შინჯლირთუქა

— თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, სასტუმრო ოთახში წამომყევი, კონსტანცია. მეტად მნიშვნელოვან რამეზე მინდა მოგელაპარაკო.

ყოველთვის ასე იყო: როცა ქეითზე ჰქონდათ სალაპარაკო, სასტუმრო ოთახში განმარტოვდებოდნენ ხოლმე.

ჯოზეფინამ საგანგებოდ მიხურა კარი.

— დაჯექი, კონსტანცია, — კვლავ მედიდურად განაგრძო მან. კაცი იფიქრებდა, პირველად იღებს კონსტანციასო. კონსტანციამაც სკამს დაუწყო ძებნა. მან ისე დაბნეულად მოავლო ოთახს თვალი, თითქოსდა, მთლად უცხო არისო.

— აი, რა მინდოდა მეთქვა, — თქვა ჯოზეფინამ და წინ წაიხარა, — დროა გადავწყვიტოთ, რა ვუყოთ ქეითს, დავითხოვოთ თუ არა.

— მართალია, — დაეთანხმა კონსტანცია.

— ამჯერად, — თქვა ჯოზეფინამ მტკიცედ, — რალაც გარკვეული გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ.

კონსტანციამ გაიფიქრა, ჯოზეფინას სხვა დროსაც ბევრჯერ უთქვამსო ეს, მაგრამ დროზე მოეგო გონს და დაუდასტურა:

— ჰო, ჯაგ, უნდა მივიღოთ.

— როგორც ხედავ, — უხსნიდა ჯოზეფინა, — მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. — კონსტანციამ სწრაფად აპხედა დას. — მე მხედველობაში მაქვს ის, — განაგრძო ჯოზეფინამ, — რომ უწინდელივით აღარა ვართ დამოკიდებულნი ქეითზე. — მას ლოყები ოდნავ შეუფაკლდა. — მამა აღარ არის და ვილასთვის დაგვექირდება საკმლას მომზადება.

— სრული სამართლეა, — დაეთანხმა კონსტანცია. — რა თქმა უნდა, მამას აღარც საკმელი დასქირდება და აღარც...

ჯოზეფინამ უხეშად შეაწყვეტინა:

— სიზმარში ხომ არა ხარ, კონ?

— სიზმარში, ჯაგ? — თვალები გაუფართოვდა კონსტანციას.

— კარგი, ყურადღებით იყავი, — მკაცრად უთხრა ჯოზეფინამ და კვლავ საჭირბოროტო საკითხს დაუბრუნდა. — მამ, უფრო გასაგებად გეტყვი. ქეითი რომ, — აქ მან ხმა დაიდაბლა, თან კარისაკენ გააპარა თვალი. — დაგვეთხოვა, — ჯოზეფინამ კვლავ აუწია ხმას, — ჩვენ თვითონაც მშვენივრად ვიზრუნებდით საკმელზე.

— რატომაც არა, — წამოიძახა კონსტანციამ და ღიმილი ველარ შეიკავა. ეს აზრი მეტად მიმზიდველი ეჩვენა. მან ხელები დამუშტა. — რით ვიარსებებთ, ჯაგ?

— როგორ თუ რით? ჯერ მარტო კვერცხისაგან რამდენი რამის დამზადება შეიძლება! — კვლავ მედიდური კილოთი თქვა ჯოზეფინამ. — ამას გარდა, მზაკერძებსაც ვიყიდვით.

— მაგრამ მე გამიგია, — უთხრა კონსტანციამ, — რომ მზაკერძები ძალიან ძვირი ჯდება.

— სრულიადაც არა, თუ ზომიერებას გამოვიჩინებ, — მიუგო ჯოზეფინამ და ამით დაასრულა ამ მიმზიდველ საგანზე საუბარი.

— ამაზე შემდეგაც ვილაპარაკებთ, ახლა კი უნდა დავაზუსტოთ, სანდოა თუ არა ქეითი.

კონსტანცია სკამის ზურგს მიეყრდნო და უსანდომოდ ჩაიცივნა. — განა საოცარი არ არის, ჯაგ, — თქვა მან, — მაგრამ დღემდე ვერ გამოვია, სანდოა თუ არა იგი.

XI

კონსტანცია აქამდე ვერ გარკვეულიყო ამაში. ძნელია კაცს რაიმე დაუმტკიცო. მაინც როგორ უნდა დაუმტკიცო? რანაირად? ვთქვათ, ქეითი დაუდგა წინ და განზრახ დაეჭლანა, ხომ შეიძლება, რომ ტკივილისაგან დაემანჭოს სახე? განა უხერხული არ იქნება ჰკითხოს ქეითს, მე ხომ არ დამეჭლანეო? და თუ ქეითი უპასუხებს, არაო, და რა თქმა უნდა, ასე უპასუხებს, ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში ჩავარდება კონსტანცია, რა შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს! მას მაინც ეჭვი ეპარებოდა, თითქმის სჯეროდა, რომ ქეითი, როგორც კი მათ სხვაგან დაიგულვებდა, წამსვე კომოდთან გაჩნდებოდა ხოლმე. იმიტომ კი არა, რომ რაიმე აეღო, იმისათვის, რომ ენახა, სად რა ჰქონდათ შენახული. რამდენჯერ უნახავს თავისი ამეთვისტოს ჯვარი ისეთ ადგილას, რომ გაჰკვირვებია, აქ რა უნდაო. ის ხან არშაამოვლებული ყელსახვევების ქვეშ იყო მოქცეული, ხან მაქმანის საყელოს ედო ზემოდან. რამდენჯერ დაუგია ქეითისათვის მახე: უჯრებში გარკვეული წესითა და რიგით ჩაულაგებია ნივთები, შემდეგ კი ჯოზეფინასათვის მოუხმია, რომ საკუთარი თვალით ენახა მათი თანამიმდევრობა.

— ხომ ხედავ, ჯაგ?

— ჰო, კონ.

— ახლა კი ველარ გაცვაცურებს.

მაგრამ, როცა უჯრას გამოაღებდა შესამოწმებლად, თავისი ეჭვის დამადასტურებელ საბუთს ვერასოდეს პოულობდა. ზოგჯერ მართლაც იყო რაიმე გადაადგალებული, მაგრამ ძალზე უმნიშვნელოდ. სულ ადვილად შეიძლებოდა მისი გადაწევა მაშინ, როცა უჯრას ხურავდა კონსტანცია. პატარა ბიძგს შეეძლო ამას გამოწევა.

— მოდი და, გადაჭრით თქვი რაიმე, ჯაგ. ღმერთმანი არ შემიძლია. ძალიან მეძნელება.

ჯოზეფინა ერთხანს უსიტყვოდ მიაშტერდებოდა დას, ბოლოს ამოიხრებდა.

— შენ მეც დამაეჭვე, კონ. დანამდვილებით ვერც მე ვატყვი რამეს.

— ჰო, მაგრამ სხვა დროისთვის ველარ გადავდებთ, — თქვა ჯოზეფინამ. — თუ ახლაც გადავდებთ...



ამ დროს არღნის ხმა გაისმა ქუჩაში. ჯოზეფინა და კონსტანცია ერთდროულად წამოცვივდნენ ფეხზე.

— გაიქეცა, კონ, — თქვა ჯოზეფინამ. — ჩქარა გაიქეცე! — მკაცრად განიღვინა.

შენდეგ გაახსენდათ, რომ ამას აღარავათარა მნიშვნელობა არ ჰქონდა. მე-არღნეს აღარასოდეს შეაწყვეტინებდნენ დაკვრას. აღარავინ ეტყოდა მას და კონსტანციას, მოაშორეთ ეგ მიიმუხნი აქედან, სადაც უნდა იქ დაუკრასო. აღარასოდეს გაიგონებენ იმ ყურისწამლებ, არაადამიანურ ღრიალს, რომელიც მამას აღმოხდებოდა ხოლმე, როცა ფიქრობდა, ძალზე ნელა ირჯებიანო. მეარღნეს შეეძლო მთელი დღე არ გაეჩერებინა არღანი ახლა. ჯონას კაცუნს აღარავინ დაიწყებდა.

აღარასოდეს დააკვლნებს,
აღარასოდეს დააკვუნებს, —

უკრავდა არღანი.

ნეტავ, რას ფიქრობდა კონსტანცია? რა უჩვეულო ღიმილი დასთამაშებდა სახეზე! მთლად გამოცვლილიყო, არა, ტირილს სულაც არ აპირებდა.

— ჯაგ, ჯაგ, — ხელები ერთმანეთს მოუჭირა კონსტანციამ და ნაზად დაუძახა დას. — დღეს იცა რა დღეა? შაბათია. დღეს კვირა შესრულდა, მთელი კვირა.

მთელი კვირაა, რაც მამა მოკვდა,
მთელი კვირაა, რაც მამა მოკვდა, —

გაჰყვიროდა არღანი. სადღა იყო პრაქტიკული და კეთილგონიერი ჯოზეფინა; იღგა და გაუბედავად, უცნაურად იღიმებოდა. ინდურ ხალიჩაზე მზის სინათლე ოთხკუთხედად დაეცა, მკრთალ წათელ ოთხკუთხედად. იგი ხტუნაობდა, ხან გაქრებოდა, ხან გამოჩნდებოდა... ბოლოს გაჩერდა, თანდათან გამუქდა და ოქროსფრად აბრიალდა.

— მზე გამოვიდა, — თქვა ჯოზეფინამ, თითქოს, ამას რაიმე მნიშვნელობა აქვსო.

არღანი მორთოლვარე ბგერების ნამდვილ შადრევანს აფრქვევდა, ხავერდოვანი, მხიარული ბგერებისას, რომლებიც ლაღად იფანტებოდა ჰაერში.

კონსტანციამ თავისი დადრონი, ცივი ხელები წინ გაიწვდინა, თითქოს, მათი დაქერა უნდაო. შემდეგ კვლავ დაუშვა. იგი ბუხრისკენ გაემართა, რომელზედაც მისი საყვარელი ბუდა იღგა. ქვის ოქროფერილი ქანდაკება დღესაც უღიმოდა, მისი ღიმილი უცნაურ შეგრძნებას ბადებდა მასში, თითქმის ტკივილისას, მაგრამ სასიამოვნო ტკივილისას. უფრო მეტიც. მას იღუმალი გამოუმეტყველება მიეღო. რაღაც იცოდა, საიდუმლო ჰქონდა. „მე ისეთი რამ ვიცი, რაც შენ არ იცი“, ეუბნებოდა ბუდა. ო, რა იცოდა, ნეტავ? რა შეიძლებოდა, რომ სცოდნოდა? და მაინც ყოველთვის გრძნობდა, რომ... რაღაც იცოდა.

მზის სინათლე ქურდულად შემოიპარა ფანჯრებში, ავეჯსა და ფოტოსურათებს მოეფინა და სულ ერთიანად აალაპლაპა. ჯოზეფინა თვალს აღევნებდა

მზის სხივების მოძრაობას. როცა მათ დედის გადიდებულ სურათს მიაღწევს, რომელიც პიანინოს თავზე ეკიდა, ერთხანს შეჩერდნენ, თითქოს გაუკვირდათ, დედა სად გამჭრალაო, ისე გახუნებულიყო სურათი. მხოლოდ მისი მაგროდას ფორმის საყურეები და შავი ბეწვას ბოა ჩანდა მკაფიოდ. რატომ ზღვრდებოდა გარდაცვლილთა სურათები? ვერ მიხვედრილიყო ჯოზეფინა, მოკვდნენ... ხსოვნა ადამიანი, მისი სურათიც კვდება. მაგრამ, თქმა არ უნდა, ეს სურათი ძალზე ძველი იყო; ოცდათხუთმეტი წლის წინ გადაეღო დედას. კარგად ახსოვს ჯოზეფინას, როგორ შედგებოდა ხოლმე სკამზე, კონსტანციას ბეწვას ბოაზე მიუთითებდა და ეტყოდა, ეს ის გველია, დედაჩენი რომ მოკლა ცეილონშიო... ვითომ სხვანაირი იქნებოდა მათი ცხოვრება, დედა რომ არ მომკვდარაყო? მაინც რატომ უნდა ყოფილიყო სხვანაირი? არ ესმოდა ჯოზეფინას. დედა ფლორენსი ცხოვრობდა მათთან, სანამ სკოლას დაამთავრებდნენ, სამჯერ გადავიდნენ საცხოვრებლად სხვაგან, ყოველ წელს ჰქონდათ არდადეგები... ცხადია, მოსამსახურეებსაც იცვლიდნენ.

პატარა ბელურები, ახლად დაფრთიანებული ბელურები ჟღერტულვდნენ ფანჯრის რაფაზე. ჟღურტ... ჟღურტ... ჟღურტ... ჯოზეფინას ესმოდა ჟღურტული, მაგრამ გრძნობდა, რომ ბელურები კი არ ჟღერტულვდნენ, ბელურები კი არ ისხდნენ ფანჯრის რაფაზე, მისი გული ჟღერტულვდა, მისი გულიდან ამოდიოდა ეს უცნაურა, ყრუ ხმა: ჟღურტ, ჟღურტ, ჟღურტ... ნეტავ, რას ჟღერტულვდა მისი საბრალო, ბედკრული გული.

ნეტავ თუ გათხოვდებოდნენ, დედა რომ ცოცხალი ყოფილიყო? მაგრამ არავინ გამოჩენილა ისეთი, რომ ცოლად გაჰყოლოდნენ. მხოლოდ მამის ინდოელ და ინგლისელ მეგობრებს იცნობდნენ. ისინიც მალე შემოეცალნენ, რადგან პოლკოვნიკ პინერს უთანხმოება მოუვიდა მათთან. მას შემდეგ მას და კონსტანციას თვალთ არ უნახავთ მამაკაცი, გარდა სასულიერო პირისა. სხვები როგორ გაიცნობენ ხოლმე მამაკაცებს? გინდაც რომ გაეცნოთ ვინმე, როგორ უნდა გაეცნოთ ისე ახლოს, რომ უცხოები აღარ ყოფილიყვნენ ერთმანეთისათვის? რომანებში ნაირ-ნაირ სასიყვარულო თავგადასავალს შეხვდებით, მამაკაცები მოსვენებას არ აძლევენ ქალებს და ა. შ. მისთვის და კონსტანციასთვის კი არავის დაუკარგავს მოსვენება. თუმცა არა, დიდი ხნის წინ ისტბორნში ერთი საიდუმლოებით მოცული კაცი ჩამოხდა მათ პანსიონში. მან ცხელი წყლით სავსე ჩაიდანზე დადო ბარათი და მათი საწოლი ოთახის კართან დატოვა. მაგრამ, როცა კონმა შეამჩნია ბარათი, ორთქლს ისე წაეშალა ნაწერი, რომ მისი წაკითხვა შეუძლებელი იყო. ისიც კი ვერ გაიგეს, რომელს ეკუთვნოდა იგი. ის კაცი მეორე დღეს წავიდა. სულ ეს იყო და ეს. მთელი თავიანთი ახალგაზრდობა ავადმყოფი მამის მოვლას შეაღიეს, თან სულ იმას ცდაში იყვნენ, რომ წარამარა თვალში არ მოხვედროდნენ და არ განერისხებიანთ იგი. მაგრამ ახლა? ახლა? ოთახში შემოპარული მზე ნაზად მიესალბუნა ჯოზეფინას. მან სახე ასწია. საამო სხივებმა ფანჯრისკენ გაიტყუეს.

სანამ არღანი გაჩერდებოდა, კონსტანცია ბუდას წინ იდგა. რაღაცის გაგება სურდა. მაგრამ ეს სურვილი აღარ იყო ბუნდოვანი, როგორც სხვა დროს. ამჯერად იგი დაუძლეველ ლტოლვად ქცეულიყო. გაახსენდა ის დრო, როცა სავსე მთვარიან ღამეს პერანგასამარა გადმოიპარებოდა საწოლიდან და აქ მოვიდოდა, იატაკზე გაწევებოდა და მკლავებს გაშლიდა, თითქოს ჯვარზე იც-

ვესო. რატომ? დიდი ფერმკრთალი მთვარე აჯადოებდა მას. ფანჯრის მოჩუქურთმებულ გისოსებზე შიშის მომგვრელი გამოსახულებანი ცეკვავდნენ და ალმაცერად უყურებდნენ კონსტანციას, მაგრამ იგი აიხუნშიაც არ აგდებდა მათ. გაახსენდა ისიც, თუ როგორ გაიქცეოდა ხოლმე მარტო და რთვად მოხდებოდა სულ ახლოს ზღვასთან, როცა ზღვის სანაპიროზე იმყოფებოდნენ... როცა კერძოდა მოუსვენარ ტალღებს და თან რაღაცას ღიღინებდა, რაღაცას ღიღინებდა თავისსავე მოგონილს. მაგრამ ასეთი ნათელი წუთები თითზე ჩამოსათვლელი იყო მათ გაუხარელ ცხოვრებაში. წლების განმავლობაში მოსვენება არ ჰქონიათ: სულ აქეთ-იქით დარბოდნენ, რაღაცას ყიდულობდნენ, მოჰქონდათ სახლში, მსჯელობდნენ ნაყიდის ავ-კარგზე, ხან იწონებდნენ, ხან იწუნებდნენ, მიჰქონდათ უკან, ახლა სხვა რამეს ყიდულობდნენ და ისევ მსჯელობდნენ... კერძებს უმზადებდნენ მამას და თან ცდილობდნენ, ისე მოქცეულიყვნენ, რომ მისი გულასწერომა არ გამოეწვიათ. თითქოს, ყოველივე წყვილიაღი მოცულ გვირაბში მოხდა; რეალური არ იყო. ნამდვილად მხოლოდ მაშინ იგრძნობდა საკუთარი თავის არსებობას, როცა გვირაბიდან გამოვიდოდა გარეთ მთვარის შუქზე, ზღვასთან, ან ჰექა-ქუხალში. რას ნიშნავდა ეს? რა სურდა მუდამ? საითკენ მიჰყავდა ყოველივეს? ახლა? ახლა?

კონსტანცია გაურკვეველი მოძრაობით მოშორდა ბუდას. იგი ჯოზეფინასკენ გაემართა. რაღაცის თქმა უნდოდა ჯოზეფინასთვის, რაღაც უალრესად მნიშვნელოვანისა მომავლის, მომავლის შესახებ და კიდევ...

— როგორ ფიქრობ, იქნებ... — დაიწყო მან, მაგრამ ჯოზეფინამ შეაწყვეტინა:

— მაინტერესებდა, ახლა მაინც თუ... — წაიჩურჩულა ჯოზეფინამ. ერთხანს ჩუმად იყვნენ... ერთმანეთს უცდიდნენ.

— განაგრძე, კონ, — თქვა ჯოზეფინამ.

— არა, არა, ჯაგ, მხოლოდ შენს შემდეგ, — მიუგო კონსტაციამ.

— არა, თქვი, რის თქმასაც აპირებდი. პირველად ხომ შენ დაიწყე? — აღარ მოეშვა ჯოზეფინა.

— უკეთესი იქნებოდა, ჯერ შენთვის მომესმინა, რისი თქმა განდოდა, — უთხრა კონსტაციამ.

— ნუ სულელობ, კონ!

— მართლა, ჯაგ, ჯერ შენ თქვი.

— კონ!

— ჯაგ!

გაჩუმდნენ. შემდეგ კონსტაციამ ძლივს გასაგონად თქვა:

— ვერ გეტყვი, რის თქმას ვაპირებდი, ჯაგ, იმიტომ, რომ დამავიწყდა, რა უნდა მეთქვა...

ჯოზეფინა ერთხანს დუმდა. იგი ვეება ღრუბელს მიაშტერდა, რომელსაც მზე დაეფარა. შემდეგ მოკლედ მიუგო:

-- მეც დამავიწყდა.

ფრანგულიდან თარგმნა
გივი ბუბუკორმა

შარლ ბოდლერი

ს ე პ

ბიბლიოთეკის ბაბილონის მეხურა ქერი,
ჩემი აკვანი იქ დაირწა. თვლემდა წყვდიადი,
ლათინურ ფერფლში ირეოდა ბერძნული მტვერი,
ამაღლებული ვიყავ ისე, ვით ფოლიანტი.
ორ ხმას ვუსმენდი. იმ ორთაგან ერთი, ვერაგი
მეუბნებოდა: „ცხოვრებაა ტკბილი ნამცხვარი;
მიადეხ ისე, ვერ გაჯობოს ქვეყნად ვერავინ
და შენ მოგელის ნეტარება აურაცხელი.“
მეორემ მითხრა: „მიუწვდომელს გაპყევ და წადი,
გაპყევ ოცნებას...“ ქარიანი ზღვის ნაპირივით
ის ხმა მღეროდა, — არსაიდან მოსული ლანდი, —
გაუგებარი ისე, როგორც ჩვილის ტირილი.
ალერსიანი იყო იგი, იყო ხიფათი,
მოვდივარ-მეთქი, ვთქვი თანხმობა და არჩევანი
საბედისწეროდ გადაიწყვა, იქ დაიბადა
ჩემი ტკივილი და მაწვალებს ბედი-მღევარი.
ხილულის მიღმა, სადაც არის ჯერარნახული,

ვხედავ მკათიოდ სხვა ქვეყანას და სხვა სინათლეს,
 ექსტაზის მსხვერპლი, ნათელხილვის ჩუმი მსახური,
 გველებით ფეხებდაგესლილი გველებს მივათრევ.
 ო, იმ დღის შემდეგ, იმ დღის შემდეგ მოციქულივით
 ვარ უდაბნოში და ზღვა არის ჩემი ემბაზი
 მშვენიერების მსურს ღვინოში ჩავკლა წყურვილი,
 ვტირი ზეიმზე და ვიცინი მწუხარებაში.
 იმ დღიდან თითქოს ილუზიას ვემსახურები,
 ვეცემი თბრილში, როცა მინდა შევხედო ზენიტს...
 და მაინც ის ხმა მეუბნება: „იყავ სულელი,
 შენნაირ სიზმრებს ვერასოდეს იხილავს ბრძენი...“




სხივან მაღარეძე

ზ ლ ე ა უ რ ი

წვალობს სხეული. წაკითხულია ყველა წიგნი და ყველა წერილი.
უნდა გავიქცე! იქ, სადაც არის მთვრალი ჩიტებით ცა დასერილი,
ქაფიან ზვირთებს თავს ევლებიან და ლაყვარდოვან გუმბათს ეცვრიან!
უნდა გავიქცე; თუმცა თვალეში ძველი ბაღების ანარეკლია...
არც განკურნება არ მსურს სულსა, მისი მკურნალი ზვირთის ქაფია,
ო, ღამევ! არ მსურს ღამის სინათლევ, არ არის მისი შუქი მკაფიო
და იმის შუქში ისევ მფარველობს უმანკოება ცარიელ ქალაქს,
არც ახალგაზრდა ქალი, დახრილი ჩვილის აკვანთან, აღარ მსურს, აღარ!
უნდა გავიქცე, მხარე სინათლის და ეგზოტიკის სადაც მიმელის,
ჩემო ოცნებავ, ახსენი ღუზა, ააქანავე შენი სტიმერი!

ცრუ იმედებით სასოწარკვეთილს, სასოწარკვეთილს ფუჭი ოცნებით
ჯერ კიდევ ხიბლავს უკანასკნელი გამოთხოვება ცხვირსახოცებით!
ახლა, რომ ასე მოუხმობს გრიგალს, ნუთუ გრიგალში ეს იალქნები
ოდესმე გვერდზე გადაიხრება და გადახრილი ნელა გაქრება,
იქ, სადაც არის უნაყოფობა და კუნძულები ქვიშის ფერია...
მაგრამ რა არის, ეს რა ხმა მესმის, შეზღვაურები რაზე მღერიან!

ბოლ პერლენი



საწყალო, კეთილო ფიქრებო, თქვენ ისევ ჩემთან ხართ, ჩემთან!
ნიადაგ ცოცხალო იმედო, უაზროდ განვლილის სევდავ,
სინაზევ მორჩილი სულისა და მასთან სიმკაცრევ აზრის
და კიდევ გონების სიფხიზლევ, რომ იცი სიმშვიდის ფასი.
ყველანი მიდიხართ, ვიხდებით მხნეობა და მაინც მიდის
ევ თქვენი კორტეჟი ტაატით, ყველანი მიიწევთ რიდით.
თვალეებში გინთიათ ოცნება და კიდევ ვარსკვლავთა ხომლი,
მიიწევთ უმწეოდ, მსვლელობა, ვინ იცის, სჯობია რომლის...
იფრქვევა ნათელი მთვარისა და მთვარეც გაშინებთ, მთვარეც,
ასეა ცხვრის ფარაც: ტკეპნიან მიწას და ეკვრიან ფარეს.
იქ — ერთი, აქ — ორი, იქ — სამი. მიწამდე დახრილი თავი.
იხრჩობა შეხუთულ ჰაერში უმწეო ცხვარი და კრავი.
თუ ყოჩი დადგება, დგებიან, თუ წავა, ისინიც წავლენ,
დამფრთხალნი ერთმანეთს მისდევენ, ზურგებზე ადებენ თავებს.
ან რატომ, ან რისთვის მიდიან, იმათში არავის ესმის,
მე საით, ან როგორ გატაროთ, არა ვარ მე თქვენი მწყემსი.
სხვა მოვა, სხვასა და ღირსეულს ოდესმე გაჰყვებით ცხვრები
და სანამ წაგიყვანთ, ფარესში იქნებით იმისი ნებით.
და მერე დადგება დღე იგი და მწყემსი გაგიღებთ კარებს,
ექნება ძლიერი კომბალი, ბლავილით დასტოვებთ ფარეს.
და მაშინ მე თქვენთან ვიქნები, მე ფარას მტვრიანს და დაღლილს
გავყვები მწუხარე ბლავილში, ვით ფარის ერთგული ძაღლი.



იქ, სადაც გარეთ, ფარდის მიღმა, მიღმა მინების, უჩინებელი
პეიზაჟია მოღუშული და საშინელი, უჩინებელი
გინგამი
გადაქცეული გაგლუვებულ ცაღ და ყანებად,
ხედ და მდინარედ, ფარდის მიღმა მიექანება.
ღამით შთანთქმული ტელეგრაფის სწორი და მრუდი,
დადევნებული მავთულების ურიცხვი გუნდი,
როდესაც ზოგჯერ უკან იხევს უეცრად ბნელი,
სახილველია, ვით ნაწერი გაკრული ხელით.

იწვის ნახშირი და ხმა ისმის ქვესკნელის ნგრევის,
ღრჭიალებს ჯაჭვი, გაღახული ათასი დევი
ღრიალებს თითქოს, მერე უცებ რომ დაიკვივლოს,
მოგმზადება და წყვდიადი უსმენს მიკიოტს.

მაგრამ არაფერს არ დავეძებ... თვალეზში მისი
ფართხალებს თეთრი მოლანდება, ის გვერდით მიზის —
კეთილშობილი, მშვენიერი, იგი ჩამძახის,
იგი ჩურჩულებს, ეს მუსიკა და ეს ცახცახი
და ეს სინაზე არის ახლა ყველაფრის ღერძი
აქ, სადაც ტლანჭი რკინის რიტმი სიბნელეს ებრძვის.

ლოცვა, რომ გავხვი არ მოკვდეს

ღმერთო, გემუღარები, დაიფარე ბავშვი,
როგორც ბალახს იფარავ მოზუზუნე ქარში.
ბავშვი გადაარჩინო, აბა, რაა შენთვის,
როცა ღედის ქვითინი იმის კენესას ერთვის!
თუ სიცოცხლეს აჩუქებ, შეგვაშრება ცრემლი,
ის შენს ღდესასწაულზე ვარდით მოვა შერმისს.
არა, შენ ხარ კეთილი. შენ არ იზამ, ღმერთო,
რომ გალურჯდეს, ის უნდა სანთელივით ენთოს.
იქნებ გინდა, ჩაიკრას ანგელოსთა დასმა,
ანდა ფანჯრის რაფაზე ღვთისმშობელთან დასვა?
არა, ღმერთო, აქ იყვეს, აქაცა ჰყავს ღედა,
ღედის გვერდით ბიჭები აქაც კარგად სხედან.
მომაკვდავი ბავშვის წინ გაიხსენე, გვედრო,
რომ შენც ღედის გვერდით ხარ, მარიამის გვერდით.

ლოცვა, რომ სამოთხევი ვიკავთან ერთად ვხვიღა

როდესაც მიხმობ, უფალო, შენთან წამოვალ უმაღ,
მაგრამ თუ მაშინ წამიყვან ამ წუთისოფლის სტუმარს,
გზას რომ ამტვერებს ღლეობა, გვედრებ, უფლება მომეც,
გზა თვითონ ამოვირჩიო, რომელს გამოვყვე, რომელს.
მანღ უნდა ვნახო სამოთხე და ვარსკვლავები ღდისით,
ავიღებ ჯოხს და წამოვალ შენსკენ სამოთხის ღირსი.

შემომხედებიან ვირები და იმათ ასე ვეტყვი:
მე ძმებო, ფრანსის ეამი ვარ, რა გითხრათ ამის მეტი,
სადაც მივდივარ, წამოდით მთელი ვირების დასტა,
ღვთის ქვეყანაში მივდივარ, მე არ მივდივარ სხვასთან. **ქრისტესული**
დამდგარხართ, ყურის პარტყუნით ანდა თავების ქნევიტ **მზღმმწმმწმმ**
ბუხებს იშორებთ საწყლები... ზევით წამოდით, ზევით...



გარშემორტყმული ვირებით, ღმერთო, ამოვალ მაღლა,
მიყვარან, დარბაისლურად იციან თავის დახრა,
ღვებთან, ნორჩი ზეხილის ტყე გეგონება ხშირი
პათი პატარა ფეხები, შეგებრალება ვირი.
არსად არ გადაუხვევენ შენსკენ მომავალ გზიდან,
ვისაც გვერდები ჩაენგრა და კალათები ზიდა.
ვისაც დაჰქონდა თუნუქი და საზიდრების ღვედით
ან ჯამბაზების ფორხებით გადაჰყვლეფია ქელი.
მოდთან ჭაკი ვირები, ბევრი იარეს, ბევრი,
გაკერბებული ბუხების მოუსვენარი მრევლი
ლურჯ იარებზე ესევათ, რიდი არა აქვთ არვის,
ფეხებზე გუნდად სხდებიან, ვირებს იცმევენ შარვალს.
მე გვედრები, უფალო, როცა ვირებთან ერთად
ამოვალ, ანგელოსებმა რომ გვიპატრონონ შენთან,
მანდ, სადაც ნაკადულები დაფარულია მწვანით
და ალუბალი ცახცახებს, როგორც ქალწულის ტანი.
მოვალ ვირივით ნაჯაფი, გამიღე წმინდა სახლი,
კარგი იქნება, უფალო, ღვთაებრივ წყალზე დახრილთ
თუ დაგვანახვენ, — უბადრუკ და მოკრძალებულ ამქარს, —
მარადიული საწმინდის და სიყვარულის კამკამს.

რძგერ ღანღნი

მუხის გულით

დიდი ტყეებით, ნორჩი ხეხილით, ან მუხის-გულით, ან არყის ქერქით რამდენი ცა და ოკეანე გამოვიდოდა ან იზაბელა ნისლიანის ლამაზი ფეხის რამდენი ქოში გამოვიდოდა.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით.

ან ლურჯი ზეცით რამდენი მზერა, ანდა კედელზე რამდენი ჩრდილი, ანდა რამდენი თეთრი პერანგი გამოვიდოდა იზაბელა ნისლიანისა.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით, ან ლურჯი ზეცით.

გამოვიდოდა ოკეანის რამდენი ცეცხლი, ანდა რამდენი სხივის ციაგი სასახლეების მარმარილოზე, ანდა რამდენი ცისარტყელა — შარავანდედი იზაბელა ნისლიანისა.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით, ან ლურჯი ზეცით, ან ოკეანით.

ანდა ქოშების რამდენი ხომლი, ვარსკვლავთა ხომლი გამოვიდოდა, ან გზა ღამეში, ან კვალი ფერფლზე; ასასვლელია რამდენი კიბე, რომ ერთხელ მაინც იყო მხილველი იზაბელა ნისლიანისა.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით, ან ლურჯი ზეცით, ან ოკეანით, ანდა ქოშებით.

მაგრამ თქვენ გესმით, გესმით თუ არა, რომ იზაბელა ნისლიანი არის ოცნება გაელვებული სიყვარულისა და სიკვდილის ხის ნათელ ფოთლებზე.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით.

ამაოდ მოვა, თუ ჩემთან მოდის, რა უნდა მითხრას, რისთვის,
ან როდის, თუ ბედზე მეტყვის, იქნება ფუჭი, მე ბედისწერა მიქრავს
მუჭით და მუჭის გაშლას არა აქვს აზრი, ხელისგულზეა მრავალხმიანობა
და იგი ვერსად ვერ გაფრინდება.

მას ძალუძს ჩემი სულის სიღრმეში რომ აირეკლოს და დაინახოს
თავისი თავი, თავისი თმები და ჩემს ბაგეებს დააცხრეს ვნებით.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით, ან ლურჯი ზეცით,
ან ოკეანით.

მას შეუძლია, მოვიდეს ჩემთან, იყოს შიშველი, მე იმის
გვერდით ქვეყნის კიდემდე ვივლი ღამეში და შევაშფოთებ ღამის
ღარაჯებს. მას შეუძლია, მომკლას, გამთელოს და ჩემს ფეხებთან
დალიოს სული.

რადგან ვინც მიყვარს, იგი სხვა არის და იზაბელა ნისლიანზე
უხაზესია.

ან მუხის გულით, ან არყის ქერქით, ან ლურჯი ზეცით, ან
ოკეანით, ანდა ქოშებით.

არა, არ ცოცხლობს სიყვარული...

არა, ვერ ცოცხლობს სიყვარული, ჩემს გულში ცოცხლობს, ო, იგი
ცოცხლობს ჩემს თვალებში, ჩემს ბაგეებზე, მისი დაკრძალვის დასაწყისის
მაუწყებლებზე.

ყური დამიგდეთ, მომბეზრებია მშვენიერება, ფერები და
მომხიბლაობა.


მე მიყვარს, მიყვარს სიყვარული, ნაზი და მკაცრი.

სიყვარულს ჩემსას ჰქვია მხოლოდ ერთი სახელი და არის მხოლოდ
ერთსახოვანი.

შენ, ვისაც ჩემი სიყვარულის გქვია სახელი და ჩემს სიყვარულს
შეასბი ხორცი,

თუ გამიხსენებ ოკეანეში, ამერიკას და ევროპას შორის

მაშინ, როდესაც მზე ჩამავალი აირეკლება ბურუსიან ზღვის
ზედაპირზე,



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ანდა სოფელში, როდესაც ხეებს ქარიშხალი დაარწევს ღამით,
 ან გაქანებულ ავტომობილში,
 ან გაზაფხულის მზიანი დილით, როცა გაპყვები მალხერბის
 ბულვარს,
 ანდა წვიმაში,
 ან კიდევ მაშინ, როცა თავდება უძილო ღამე,
 თუ გამიხსენებ, თქვი, რომ მე ვიყავ მუდამ და ყველგან
 შენი ფანტომი, რომ შენ ჩემსავით არვის უყვარდი, რომ ვერ მიუხვდი
 შენ ამ სიყვარულს და სანანური ეგ არის შენი.
 თქვი, არაფერზე რომ არ ინანებ: ჩემამდე რონსარს და კიდევ
 ბოდლერს უთქვამთ სიმღერა მოხუცთა და მზეგადასულთა, სიმღერა მათი
 სინანულისა, უარყოფილი სიყვარულის წმინდა სიმღერა.
 შენ ამ ქვეყნიდან როდესაც წახვალ,
 იქნები ისევ მშვენიერი და სასურველი.
 როცა მოგკვდები, მე შემიფარებს მარადიული შენი სხეული,
 მე შემიფარებს შენი ხატება წარუხმოცავი და საოცარი, დაუსრულებელ
 ამქვეყნიურ სასწაულთაგან რასაც გაქრობა არ უწერია.
 მაგრამ თუ ქვეყნად დავრჩი ცოცხალი,
 მაშინ შენი ხმა, შენი ბგერა, შენი ხმოვანი,
 შენი მზერა და თვალების სხივი,
 ან კიდევ შენი სურნელება და სურნელება შენი თმისა და
 მრავალი ნივთის ჩემით იცოცხლებს,
 იცოცხლებს ჩემით.
 არც რონსარი ვარ და არც ბოდლერი,
 მე ვარ, ძვირფასო, რობერ დესნოსი,
 შენ რომ გიცნობდი და გაღმერთებდი. ო, მე ამიტომ
 ვღირვარ ორივედ.
 მე, ვისაც მქვია რობერ დესნოსი,
 ვისაც მიყვარდი და ვისაც უნდა, რომ ამ საძულველ დედამიწაზე
 თუ გაიხსენეს, მისი სახელი დაუკავშირონ მხოლოდ სიყვარულს.

ხ მ კ

ო, ის ხმა ისე შორს არის ჩვენგან,
 რომ ყურებს ჩვენსას გაგონება არ ძალუძს მისი,
 მაგრამ ის დოლის შორეული ბაგაბუგივით
 მაინც აღწევს და მოდის ჩვენამდე.

ის თითქოს არის ხმა სამარიდან,
 მაგრამ ზაფხულზე ლაპარაკობს და გაზაფხულზე,

ის სიხარულად დაუვლის სხეულს
და ბაგეებზე აანთებს ღიმილს.



ქართული

საქართველოს

ეროვნული

ბიბლიოთეკა

მე მესმის, მესმის. ის ხმა არის ადამიანის,
გადმოიჭროლა ცხოვრების გზებზე და კიდევ ბრძოლის ორომტრიალში,
იგი ისმოდა ჭექა-ქუხილში, აჩურჩულებულ ბაგის შრიალში.

თქვენ გესმით? ის ხმა გესმით თუ არა?
ის ამბობს: „ბოლო მოელება მალე ნიშქიმილს.“
ის ამბობს: „მალე სიხარულის დადგება ჟამი“.

ნუთუ არ გესმით?

ახალი მიწა

სიკვდილის გზაზე

სიკვდილის გზაზე

დედაჩემს შეხვდა უზარმაზარი კლდე ყინულისა:

იგი ცდილობდა ეთქვა რაიმე,

მაგრამ ძალიან გვიანი იყო,

ყინულოვანი კლდე იდგა ბამბის.

მან შემოგვხვდა მეც, ჩემს ძმასაც

და აქვითინდა.

ჩვენ მას ვუთხარით — სინამდვილეში იყო ტყუილი, იყო აბსურდი
და არაფერი ჩვენ არ გვესმოდა — რომ ჩვენ ვიცოდით,
რატომ ტიროდა.

მაშინ ღიმილი ქალიშვილობის გამოისახა იმის სახეზე,

ასე კეთილი და მომხიბლავი,

ის იმ ღიმილით იყო ნამდვილი,

ჩვენ დავინახეთ ისევ ლამაზი, თითქმის ცელქური ღიმილი მისი;

და გადუფარა შემდეგ ბურუსი.

DUENDE-ს თეორია და თაქანი¹

ფედერაციო გარსია ლორკას შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის სტატიებსა და ზეპირ გამოსვლებს. ლორკას პროზა — სტატიები და ზეპირი გამოსვლები — პოეტური პროზაა, პოეტის მიერ დაწერილი სტატიებია და პოეტის გამოსვლებია, შთაგონებული ერთი რომელიმე იდეით და გამოხატული უბადლო პოეტური სახეებით.

„Duende-ს თეორიისა და თამაშს“ — მოხსენებას, რომელიც პოეტს 1930 წელს წაუკითხავს ჰავანაში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობისთვის. ამ მოხსენებაში ლორკამ პირველად ჩამოაყალიბა ფართოდ თავისი შეხედულებანი ხელოვნებაზე და თავისებურად გაიანზრა მისი განვითარების გზები.

ქალბატონებო და ბატონებო! 1918 წლიდან 1929 წლამდე, სანამ მადრიდის სტუდენტურ რეზიდენციაში ვიმუშავებოდი და ვიდრე დივიზიონალური ჩემს ლიტერატურულსა თუ ფილოსოფიურ განსწავლას, რაფინირებულ სალონში, რომელსაც ხშირად ესწრებოდა ესპანეთის ძველი არისტოკრატია, რათა გამოეხსილა თავისი ფუქსავატური ყოფა საფრანგეთის კურორტებზე, მე მომისმენია ათანზე მეტი ლექცია. ჰერისა და მზის მონატრულს ამ ლექციების სმენა ისე მბეზრდებოდა, რომ გამოსვლისას, გაღიზიანების წიწკად ქცეული, ვგრძნობდი, რომ მილიანად დაფარული ვიყავ ფერფლის თხელი ფენით.

მე არ მინდა, რომ ამ დარბაზშიც შემთვრინდეს მოწყენილობის საშინელი კრანა, რომელსაც ძალუას ქინძისთაყვების წვრილი წვეტებით დაჩველიტოს მსმენელთა თვალები და ყველა თავი თვლებს უწვრილეს ძაფზე ასხას.

მე შევეცდები მხოლოდ ჩემი პოეტური ხშია რეგისტრში, რომელსაც არ გააჩნია ხელოვნური ბრწყინვალეობა, ციკლუს ბევრულება და ირონიის მახვილებად მოქცევალი ცრუმამებლობის ნასახი, გადმოგცეთ სადა გაკვეთილი ნატანჯი ესპანეთის იდუმალი სულისა.

ვისაც უმოგზაურია ხუვარის, გვადალეტეს, სილისა და პასუერვას მდინარეთა შორის ხარის ტყავივით გადაჭიმულ მიწაზე (მე საგანგებოდ არ ვახსენებ ლამლატის წყალუხვსა და ლომისთაფრისფერტალღოვან მდინარეებს), იდრე თუ გვიან, უაბოლოდ გაიგონებდა ასეთ გამოთქმას: „ამაში არის duende“.

დიდ ანდალუსიელ არტისტს მანუელ ტორესს² ერთხელ უთქვამს რომელიღაც მომღერლისათვის: „თქვენ გაქვთ ხმაც და სიმღერის საკუთარი სტილიც, მაგრამ ვერასოდეს მიაღწევთ წარმატებას, ვინაიდან არ გავაჩნიათ duende“.

¹ წაკითხულია მოხსენების სახით 1930 წ. ჰავანაში. duende (იკითხება ისევე, როგორც იწერება — დუენდე) — ესპანურად ნიშნავს არაბოროტ დემონს, რომელიც მფარველობს ფუძეს (შორეულად ჩვენებური „ფუძის ანგელოსი“ ან „ადგილის დედა“). ლორკა ამ ტერმინს ხმარობს ხელოვნების დიონისური საწყისის გამოსახატავად (აბოლონურის საპირისპიროდ). ამ მოხსენების თარგმანისას წამოიჭრა პრობლემა ტერმინ duende-ს ქართულად გამოხატვისა. ზუსტი შესატყვისის დაძებნა უაღრესად გაჭირდა. ევროპულ ენებზე შესრულებულ თარგმანებში ეს ტერმინი უცვლელად არის გადატანილი. ჩვენც ასევე მოვიქვეციით (მთარგმნ. შენიშვნა).

² ლორკას თანამედროვე ესპანელი მომღერალი, ანდალუსიური სიმღერების უბადლო შემსრულებელი.

მთელ ანდალუსიაში, ხაენის მთებიდან კადისის ნიჟარამდე, ხალხი გამუდმებით ახსენებს duende-ს. ეს ხალხი duende-ს მისი გამომვლავლებისთანავე გრძნობა უტყუარო ინსტიქტით. დებლის¹ შემქმნელა, ლებრიხელ ფლამენკოთა სოცარ მოძღვრალს განუცხადებია: როდესაც მამღვრებს duende, ვერაფერ შემედრებაო. ხნიერმა ბოშა მოცეკვავემ ლა მელენემ ბრაილოესკის მიერ ბახის მუსიკის შესრულებისას წამოიძახა: „ოლე!² აჰჰჰჰ! რაღა duende!“ ბოლო გლაუეს, ბრაიმისა და დარაუს შიგოს სმენა კი მოსწყინდა.

მანველ ტორესმა, რომელსაც სისხლნი აქვს მეტა კულტურა, ვიდრე რომელსამე სხვას ჩემს ნაცნობთ შორის, ფალდას მიერ შესრულებული მისივე „ტენერალიფეს ბილდის ნოკტაურნის“ მოსმენისას გამოთქვა ეს საოცარი აზრი: „ყოველივე, რისი წიაღიდანაც გამოიციება უკუნი ხმები, შეიცავს duende-ს“. და არ არსებობს უფრო დიდი სიმართლე.

ეს „უკუნი ხმები“ არის იდუმალი ფესვები, გადგმული ნოყიერ ნიადაგში; რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის ნაცნობია და მაინც უცნობი; საიდანაც ჩვენ ამოგვაქვს ის, რაც ჭეშმარიტია ხელოვნებაში. ტორესის აზრი აქ თანხველება გოგთეს გუმანს, რომელიც განსაზღვრავდა duende-ს, ოდეს იგი პაგანინის ანიჭებდა იდუმალ ძალმოსილებას, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ აუხანია.

მაშასადამე, duende ძალმოსილებაა და არა მზა საქციელი, იგი ბრძოლაა, და არა აზრი. მე გამიგონია, როგორ ამბობდა ვიტარია მოხუცი ჩაღოქარი: „duende ველში არ ბუდობს, იგი ზეადმოსწრაფვის ტერფებიდან“; რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გაწაფულობა კი არ არის, არამედ — სისხლის, ძველი კულტურისა და ქმნალობის ჭეშმარიტი, ცოცხალი ფორმა.

ეს „იდუმალი ძალმოსილება, რომელსაც ყველა გრძნობს, მაგრამ ვერც ერთ ფილოსოფოსს ვერ აუხანია“, არის სული მიწისა.

სწორედ duende იყო, ნაცმეს გულს რომ ჩაეჭიდა, რომელიც ამ duende-ს გარეგან ფორმებს რიალტოს ხიდზე თუ ბიზეს მუსიკაში ეძიებდა და ვერ პოულობდა. მან არ იცოდა, რომ მისი საძიებელი duende კადისის მოცეკვავეებსა თუ საღვერიოს სეგირიის³ დიონისურ შეძახილებს ძველი ბერძნებისაგან ჰქონდათ გადმოცემული.

მე არ მინდა, რომ ვინმეს duende ეგონოს ლუთერის თეოლოგიური ეჭვის დემონი, რომელსაც მან ნიურნბერგში ბახუსური ეესტით მიახალა სამელნე; არც კათოლიკური განმანადგურებელი და ნაკლებგონიერი დემონი, რომელიც ძუქნა ძალღივით დაძრწის მონასტრის თაღებში; არც ნოლაპარაკე მაიმუნი, რომელიც აჭარბებდა სერვანტესის თაღლითს ანდალუსიის ეჭვიანობისა და ველურობის კომედიაში. არა უკუნი და მთრთოლვარე duende, რომელზედაც მე მოგახსენებთ, მომდინარეობს სოკრატეს მხიარული დემონისაგან, მარმარილოსა და მარილისაგან, რომლის მომწუსხველი რიჩხა შეუშხავს ხოლმე მის გაბრუებულ მფლობელს. იგი მომდინარეობს, აგრეთვე, დეკარტეს მეღანქოლიფრი დემონისაგან, პატარა, როგორც მწვინე ხუში, რომელიც წრეებისა და ხაზებისაგან თავგაბეზრებულა ამოღია არხებიდან მეზღვაურთა სიმღერების მოსასმენად.

ადამიანი, ან როგორც ნიციუ იტყოდა, არტისტი, თავისი სრულყოფილებიდან გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მოიპოვებს სწორედ duende-სთან (და არა ანგელოსთან ან მუზასთან) ბრძოლის ფასად. ყოველი ნაწარმოების ფესვებამდე ჩასაწვდომად, აუცილებელია, ამ ძირეული სხვაობის გამოვლენა.

ანგელოსი წინამძღოლია და მადლმცხებელი, ეით წმ. რაფაელა, ანდა მცველი და მფარველი, როგორც წმ. მიქაელი, ან კიდევ წინასწარმავრთხილებელი, ვითარცა წმ. გაბრიელი.

ანგელოსს ძალუძს გაცეკვის გამოწვევა, მაგრამ იგი მხოლოდ თავს დასტრიალებს ადამიანს; იგი ვასცემა თავის წეალობას, რის გამოც კაცთათვის აღვილად მიიწოდომის საქმე, თანაგრძნობა თუ ცეკვა. დამასკოს გზად მიმავალი ანგელოსი, ან ის ანგელოსი, რომელიც ასიზის პატარა კანკლედში შეფრინდა, ან იგი, რომელიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა ენრიკეს სუზოს — მბრძანებელი ანგელოსია, რომელიც ნათების გაძლება არავის ძალუძს, ვინაიდან იგი რჩეულის სიახლოვეს იქნება თავის ფოლადის ფრთებს.

¹ დებლა — ანდალუსიური „კანტე ხონდოს“ ერთ-ერთი სახეობა (თვით „კანტე ხონდო“ ნიშნავს „სიდრმისეულ სიმღერას“).

² ვაშა!

³ იგულისხმება იტალიელი მომღვრალი სილვერიო ფრანკონეტი, რომელმაც ანდალუსიაში დანერგა „კანტე ხონდოს“ განვითარებული სახეობა „სეგირია“.

მუზაც მბრძანებელია და ზოგჯერ აღმაფრთოვანებელიც, მაგრამ იგი, შედარებით, ნაკლებმოქმედი, ვინაიდან შორეულია და იმდენად ქანკიხილი (მე იგი ოჯგო მისხაფი), რომ საჭირო ხდება მარბარილო მის მოსალონიერებლად. მუზით შთაგონებულ პოეტი ესპანის მისი ხმები, მაგრამ არ უწყის, საიდან მოედინებიან იანი. ეს ხმები მომდინარეობს მუზისაგან, რომელიც მათ ინახავს და ზოგჯერ კიდევ შთანთქავს ხოლმე. ასე შეიქმნა ესპანური ლირა დიდ პოეტს, განადგურებულს შემაზრზენი მუზისაგან, რომლის გვერდითაც დახატა იგი დეობრივმა და ანგელოზურმა რუსომ. მუზა აღაგზნებს ინტელექტს. მას მოაგვს სვეტებიანი ლანდშაფტები და უალბი წევრძნება დაფნისა. ინტელექტი პოეზიას, ხალხე ხშირად, მტრად ევლინება; ვინაიდან იგი ამიტაციისაკენ ისწრაფვის, ვინაიდან მას პოეტი აპყავს ეკლიან ტახტზე და აიძულებს დაივიწყოს ის, რომ შესაძლებელია, მას თავზე დაეცეს შხამიანი კიბო, ანდა იგი კიანტველებმა გამოხრან. ყოვლისავე ამის წინაშე უძღურნი არიან მუზები, რომელნიც მონოკლებში ირეკლებიან ხოლმე პატარა, თბილი სალონების ხელოვნურსა და პრიალა კარდებს შორის.

ანგელოზი და მუზა გარედან მოილტვიან. ანგელოზი მანათობელია, მუზა — მქადაგებელი (პესიოდე სწავლობდა მათგან). პოეტი თავის ნიმუშება: თქროს ფოთოლს თუ ტუნეის ნაოქს იღებს დაფნის ბუჩქნარიდან, ხოლო duende გაღვიძებულ უნდა იქნეს სისხლში.

ჩვენ უნდა განვიშორთ ანგელოზი და გავაძევოთ მუზა, თავი დავიხსნათ იმ შიშისაგან, რომელსაც გვეგობს XVIII საუკუნის პოეზიიდან მომდინარე იის სურნელი, თუ დიდი ტელესკოპი, რომლის ლინზებშიც თვლემს დატყვევებულ და საზღვრებით დასნეულებული მუზა.

ქეშმარიტი ბრძოლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გაბრძოლებს duende. ჩვენ ვიცით, როგორ ვეძიოთ ღმერთი: განდევლის უმძიმესი გზით თუ მისტიკოსის დაბეწვილობით, წმ. ტერეზას კოშკით თუ ხუან დე ლა კრუსის! სამი გზით. და თუნდაც ჩვენ მოგვიხდეს ესაიას ხმით დალაღისა: „გლავი უფლისა ვის გამოეცხადა?“, ბოლოს და ბოლოს, ღმერთი მაინც ზეგარდმოუვლენს პირველ ცეცხლოვან ეკლს მის მაძიებელს.

duende-ს საძიებლად არ არსებობს არც რუკა და არც ნოდღრება. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი სისხლს გვიწყავს როგორც ნიშის ნაფშებენი: გულის და გვქანცავს. უკუაგდებს ჩვენს ნიურ ნახწავლ გეომეტრიას, უარპყოფს ყოველგვარ სტილა და აიძულებს გოიას, საუკეთესო ინგლისელ მათეგაროთა მსგავსად რუხი, ვერცხლისფერი და გარდისფერი ტონების ოსტატს, თავისი მუშტებისა და მუხლებს მემეფობით ხატოს კუბრივით შავი, შემხარავი ღვრით; ანდა იგი პირინების სუნსში აშიშვლებს სინტო ბერდაგერს²; აიძულებს ხორხე მანრივეს³, ელოდოს თავის სიკვდილს ოკანდას უდაბნოში; აკრობატის წწვანე კოსტიუმით მოსაგს რენბოს დასუსტებულ სხეულს; ანდა შერიერაეებულ ბულგარებზე მყვდარი თევზის თვალებით მიშტერებია ლოტრეამონა.

სამხრეთ ესპანეთის დიდმა არტიტებმა, ბოშებმა ანუ ფლამენკოებმა, იციან, რომ სიმღერია; ცეკვისა თუ თამაშის დროს ქეშმარიტი ემოცია არ იწვის, სანამ თავს არ ირენს duende. მათ, შესაძლებელია, ნათყფონ კიდევ აუდიტორია და მთაჩვენონ, რომ ფლობენ duende-ს, ისევე, როგორც ყოველდღიურად გვატყუებენ მწერლები, მხატვრები და ლიტერატურულ მოდასაყოლილნი, რომელთაც არ გააზნიათ duende-ს ნახიცი. მაგრამ საკმარისია დაევირვება, უყურადღებობისაგან თავის დახსნა, რომ ხელოვნურობა იმწამსვე გამოაშვარავდეს და უკუგდებულ იქნეს ყალბი duende.

ერთხელ ანდალუსიური ფლამენკოების მომღერალი პასტორა პავონი, „სავარცხლებიანი ქალიშეილი“, ესპანეთის მრუმე გენია, რომელიც თავისი წარნოსახვის ნიჭით შეედრებოდა გოიას ან რაფაელ ელ გალიოს⁴, მღეროდა კადიას პატარა ტავერნაში. იგი ნღეროდა ჩრდილის ხმით, დამდნარი ლითონის ხმით, ბავსით დაფარული ხმით, რომელიც მის გაშლილ თმებში იხლართებოდა. იგი თავის ხმას ხან მანსანილაში⁵ აწებდა, ხან კი ბნელსა და შორეულ

¹ ხუან დე ლა კრუსი (1542—1591) — ესპანელი მისტიკოსი პოეტი.

² ხასინტ ბერდაგერი — XIX ს. კატალონელი პოეტი.

³ ხორხე მანრივე — XV ს. ესპანელი პოეტი.

⁴ რაფაელ ელ გალიო — ცნობილი ესპანელი ტარტრო.

⁵ მანსანილა — თეატრი, ძეღვი ღვინო.

იშვიათი ესპანელი პოეტი XVII საუკუნის პედრო სოტო დე როხასი¹, ანდა წმ. იოანე კლი-
მაქუსი² თავის გოდებათა მოცახცახე კიბეზე.

როდესაც ეს განდგომა მიღწეულია, მის ეფექტს ყველა გრძნობს: რჩეულნიც, რომელნიც
ზედავენ, თუ როგორ იმარჯვებს სტილი საცოდავ მატერიაზე და უმეცარნიც, რომელნიც შეპყ-
რობილნი არიან ჭეშმარიტი მღელვარებით. რამდენიმე წლის წინ ბერეს დე ლა ფლორენცია
გამართულ მოცეკვავეთა შეჯიბრზე ოთხმოცი წლის მოხუცმა ქალმა წაართვა ზრისი მშვენიერი
ქალებსა და ქალიშვილებს, რომელთაც ჰქონდათ ნაკადულივით წელი. მას ბელები სადად და
უბრალოდ ჰქონდა ზეაწეული, თავი უკან გადაეგდო და ერთ ადგილზე როკავდა. ანგელონთა
და მუხათა ამ კრებულში, მშვენიერ ფორმათა და ულამაზეს ღიმილთა შორის, უნდა გაემარჯვა
მომაკვდავ duende-ს, რომელსაც მიწაზე მისთრევდა თავისი ფრთების ენგიაანი დანები. და
გაიმარჯვა კიდევ.

ყოველი ხელოვნება უნდა ფლობდეს duende-ს, და ბუნებრივია, ყველაზე მეტად მუსიკა,
ცეკვა და ზეპირმეტყველი პოეზია, ვინაიდან ესენი მოითხოვენ ცოცხალ სხეულს, როგორც
ინტერპრეტატორს; ვინაიდან ესენი არიან ფორმები, მარადმოცვდიანი და მარადშობადნი,
რონელთა კონტურები მართოდენ აწმყოში იკვებება. ხშირად ავტორის duende ინტერპრე-
ტატორს გადაეცემა. ზოგჯერ კი, კომპოზიტორი და პოეტი ყალბნიც რომ იყვნენ, თვით ინ-
ტერპრეტატორის duende ჰქმნის ახალ სასწაულს, რომელსაც ორიგინალთან ცოტა რამ აქვს
საერთო. ასე იქცეოდა duende-ს მფლობელი ელენორა დუზუ, რომელიც საგანგებოდ ეძებდა
მარცხებს, რათა ისინი გამარჯვებებად ექცია. იმის შემწეობით, რასაც იგი მათში დებდა; ანდა
პაგანინი, რომელსაც გოეთეს თქმით, შეეძლო უაღრესად ბახალური მუსიკიდან უღრმესი
მელოდიების ამოხვეწა; ან კიდევ მშვენიერი ქალიშვილი, რომელიც პუერტო დე სანტა მარ-
იაში ისეთი პაუზებითა და მნიშვნელობის მინიჭებით მღეროდა შემზარავ იტალიურ სიმ-
ღერას „O Mari“-ს, რომ მან ეს იაფფასიანი სიმღერა ოქროსგან ჩამოსხმულ გველად აქცია.
ერთი სიტყვით, ეს იყო ინტერპრეტატორის მიერ შექმნილი ორიგინალი. ექსპრესიას მოც-
ლებულ ნაწარმოებში შევიდა ცოცხალი სხეული და არტიკული გენია.

ყოველგვარ ხელოვნებას და ყველა ქვეყანას ძალუბს ფლობდეს duende-ს, ანგელოზსა და
მუხას. თუ გერმანია, ზოგიერთ გამონაკლისს გარდა, ფლობს მუხას, ხოლო იტალია მარადის
ინარჩუნებს ანგელოზს, ესპანეთს ყოველთვის ამორავებს და წარმართავს duende. ეს ასეა.
ვინაიდან ესპანეთი არის ძველი მუსიკისა და ცეკვის საუფლო, სადაც duende წურავს გან-
თიადის ღიმილს, და ვინაიდან იგი არის სიკვდილისათვის განხმული ქვეყანა.

სიკვდილი ყველა ქვეყანაში აღსასრულია. იგი მოდის და ფარდები ეშვება. ესპანეთში
პირიქით, ფარდები ზემოთ იწევს. ბევრი ესპანელი ცხოვრობს ოთხ კედელს შორის მომწყვ-
დილი სიკვდილის დღემდე. ხოლო ამ დღეს იგი მზეზე გამოჰყავთ. ესპანეთში მიცვალებული
უფრო მეტად ცოცხალია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. იგი სამართებელივით კვითს
ესპანეთის პროფილს. ესპანელთათვის დამახასიათებელია სიკვდილზე ხუმრობა და მისი მღუ-
ნარე განქვრეტი. ყველას „თავის ქალათა ზმანებისა“ და ვალდეს ლეალის „ბრწყინად ეპისკო-
პოსს“ შორის, XVII საუკუნის მარაბელას, რომელიც შორ გზაზე ამხედრებული მშობიარო-
ბისას გარდაიცვალა ამ სიტყვებით:

„ჩემი საშოს სისხლა
დაუფარავს ცხენი,
შენი მერნას ფლოქვები
ცუცხლს აფრქვევენ კუპრივით...“

და ხარის მიერ ახლახან განგმირულ სალამანკელ ჰაბუკს შორის, რომელმაც სიკვდილის
წინ წამოიძახა:

„ძმებო, აღსასრულის ქამი
ღამიდგა შიგანში მკენესარი,
მკერდში ხელსახოცი სამი
ჩამრჩა და მეოთხეც ეს არი...“

¹ ლორკა გულისხმობს გრანადის ბაღებით შთაგონებული პედრო სოტო დე როხასის
წიგნს — „მრავალთავის დახშული სამოთხე, ყველასათვის განხმული ბაღები“.

² იოანე კლიმაქუსი — VI ს. ასკეტი, ავტორი ცნობილი წიგნისა „სასულიერო კიბე“.

ყოველსავე ამას შორის აღმართულია გვარჯილის ყვავილთა ზღუდე, რომლის მიღმაც ბუღობს სიკვდილის მჭვრეტელი ხალხი, რომელიც თავის სიმკაცრეში შეაგონებულა იერემიას სიტყვებით და რომელსაც ღირსშის გრძობას უღვიძებს კვიპაროსების სტრნელი. ეს არის ქვეყანა, რომელშიც ყოველივეს, რაც ხდება, დაკრავს სიკვდილის კოფუნსი დაქო.

ღანა, ურმის თვალი, სამართებელი, მწყევსების ეკლიანი წვერი, წმინდა სიყვარული, წესტიანი თახჩა, ქვაფენილი, მაქმანით დაფარული ხატები, ჩაუმქრალი კირი, კარნიზებისა და საგუშაგო კოშკების დაკბილული მოხაზულობა, აი ისინი, რომელთა შორისაც ესპანეთში მოიბრძვის სიკვდილის წვრილი ბალახი, გაურკვეველი ხმები, საცხაურნი მხოლოდ დაკვირვებული გონებისათვის, რომელნიც ჩვენს მხსიერებას წარმადობის გულგრილობის იერს ანიჭებენ. ესპანეთის ხელოვნების ნიადაგთან კავშირი შემთხვევითი არ არის. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ნარშავს და დასაბამეული ქვებით არის მოფენილი. პლუბერიოს გოდება თუ ხოსე მარია დე ვალდივიელსოს ცეკვა გამოხატავს არ წარმოადგენს. შემთხვევითი არც ის არის, რომ ევროპის ყველა ბალადას შორის გამოირჩევა ეს ესპანური სატრფიალო სიმღერა:

„— თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
რატომ მარიდებ თვალთა?
— ჩაქრნენ თვალეზი ჩენი,
ჩრდილმა მოჰქუინა ქალთა.

— თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
ბავს რად აღარ მიწეავ?
— ბავის ნათელი ჩემი
ღანავლა შავმა მიწამ.

— თუ შენ სატრფო ხარ ჩემი,
მკლავს რატომ აღარ მომხვევ?
— საშენო მკლავი ჩემი
შავს ქიებმა მოხრეს“.

არც ის არის საოცარი, რომ ძველ ესპანურ ლირიკულ პოეზიაში ეხვედებით ასეთ სიმღერას:

„ბაღში მელოდება სიკვდილი,
ვარდების ბუჩქნარში
მოვეკვდები.

ღეღა, მუ წავედი ბაღისკენ,
ვარდების საკრფფად წავედი
და ბაღში ვიპოვე
სიკვდილი.

ღეღა, მუ წავედი ბაღისკენ,
ვარდების საკრფფად წავედი
და ვარდის ბუჩქნარში ვიპოვე
სიკვდილი.

ბაღში მელოდება სიკვდილი,
ვარდების ბუჩქნარში
მოვეკვდები“.

მთვარით გაყინული თავები, რომელთაც ხატავდა აურბარანი, ელ გრეკოს ზეათოვანი და ღია ყვითელი ფერი, სიგუენცეს პროზა, გოიას ყველა ნაწარმოები, ეაკორილის ეკლესიის აბსიდა, მთელი ჩვენი პოლიქრონული სკულპტურა, ოსუნას საგვარეულო აკლდამა, ბონავენტესის სამრევლო მდინა და რიო სეკოში, „სიკვდილი გიტარით“ — ეს ყველაფერი უღრის

წმ. ანდრეს დე ტეიქსიდოს ზილიგრიზობაა, სადაც სიკვდილი პროცესის მიქცევა; სამგლო-
ვიარო სიმღერებს, რომელთაც ნოემბრის დანეში მბეჭეტი ფარნების შუქზე ასრულებენ
ასტურიელი ქალები; მაიორისა და ტოლედოს კათედრალთა სიბილებს ცეკვას და ვენისა
პარასკევის უსასრულო რიტუალებს, რაც ხარებთან ბრძოლის ცივილიზებულ სპექტაკლებთან
ერთად წარმოადგენს სიკვდილის ტრაუნდს ესპანეთში. მსოფლიოთა ყველა ქვეყანაში მსოფლიო
ამით მარტოოდენ მექსიკას ძალუძს ესპანეთთან გატოლება.

მუნა, როგორც კი შეიგრძნობს სიკვდილს, ახშობს კარიბჭეს, ანდა გამოდგამს ურხას და
ცვილის ხელით წერს ეპიტაფიას. იგი იმწამსვე წეწავს თავის გვირგვინს ორ ქარს შორის
ნოქანავე მღუმარებაში. იგი ხოტბათა მოკვეთილ თაღებქვეშ მგლოვიარე ხელებით წნავს ყვა-
ვილებს, რომელთაც ასეთი გულმოდგინებით ხატავდნენ XV საუკუნის იტალიელი მხატვრები;
ანდა იგი მოუხმობს ლუკრეციუსის საიმედო მამალს, რათა განდევნოს მოულოდნელი აჩრ-
დილები.

ანგელოზი, როდესაც იგი სიკვდილის გამოჩენას იგრძნობს, ნელა წრეებით უცლის მას
კარშემო და ცინულოვანი ცრემლებითა და ნარგიზებით წნავს ელეგიას, რომელიც თრთის
იტხას, ვილას სანდინოს, ჰერერას, ბეკერისა თუ ხუან რამონ ხიმენესის ხელებში. მაგრამ
როგორი თრთოლაა, როდესაც ანგელოზი თავის გარდისფერ ფეხზე იგრძნობს თუნდაც ძლიერ
პატარა თბობას?

duende არ ვლინდება, სანამ არ წარმოიშვეს სიკვდილის წინათგრძნობა და სანამ იგი
არ დარწმუნდება, რომ მას ხშირად მოუხდება სიკვდილის სამყოფელთა მონახულება.
duende არ არის დარწმუნებული, რომ მას ძალუძს იმ რტოების შერხვევა, რომელნიც ჩვენ
გვიბყრია ხელთ და რომელთაც ჩვენთვის არაკითარი ნუგეში არ მოაქვთ.

აზრში, ხმაში თუ მოძრაობაში duende შემოქმედთან ჭიდილისას ჭის კიდეს ელტვის, და
მაშინ, როდესაც ანგელოზი და მუნა ვილინთთი ან ზომიერი რიტმით კმაყოფილდებიან,
duende გვაყენებს ჭრილობას, რომლის შეხორცების ცდაში (რაც არასოდეს მოხდება) ვლინ-
დება იდამიანის საოცარი ქნედილი თვითმყოფადობა.

პოემის მაგიური დვისება იმაში გამოიხატება, რომ იგი ყოველთვის უნდა წარიმართე-
ბოდეს duende-ს მიერ, რათა მასში მხედველი უკუნეთური წყლით მოინათლოს, duende-ს
ნემწყობათ ადვილია სხვისი სიყვარული და გაგება, და იმის რწმენაც, რომ შენც შეგოყვა-
რებს და გაგიგებს სხვა. პოეზიაში ეს ბრძოლა გამყდვენებისა და ურთიერთგაგებისათვის
სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილის ხასიათს იღებს ხოლმე.

გაგახსენოთ უკიდურესი ფლამენკო, duende-ს მფლობელი წმ. ტერეზა, ფლამენკო არა
ახლოდ იმიტომ, რომ მან საში დიდებული ქრისტიან შუაგრა გახლებული ხარი, და არც
იმიტომ, რომ იგი ხუან დე ლა მიზერიას წინაშე თავის სილამაზეს იკეუხნიდა, და არც იმის
გამო, რომ მან სილა გააწნა პაპის ნუნციას, არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ერთ-ერთი იმ
მცირერიცხოვანთაგანი, რომელიც თავისი ისრით დაპკოდა duende-მ (და არა ანგელოზმა,
ყინაიდან იგი თავს არ ესხმის არცის, არასოდეს). duende-ს სურდა შიპი განგმირვა, ვინაიდან
წმ. ტერეზამ მას მოსტაცა უკანასკნელი საიდუმლოება — შემაერთებელი ხიდი, რომელიც აკავ-
შირებს ხუთ გრძნობას: ცოცხალი სხეულის არსთან, ცოცხალ ღრუბელთან, ცოცხალ ზღვას-
თან და დროისაგან გახთავისუფლებულ სიყვარულთან. მან დიდი თავდადებით დაიპარცა
duende, წინააღმდეგ ფილიპე ავსტრიელისა, რომელიც მუზისა და თეოლოგიის ანგელოზის
მიგნების წყურვილით იმყოფებოდა duende-ს ტყვეობაში, და რომელიც უსიცოცხლო ძიების
duende-მ ესკორიალში მოამწყვდია, სადაც გეომეტრია ზმანებას ემიჯნება და სადაც დიდი
ნეფის სამარადისოდ დასასჯელად duende-ს დაქვს მუჯის ნილაბი.

შეიძლება ითქვას, რომ duende-ს უყვარს საგანთა კიდე, ჭრილობა, და იგი იქ ბუდობს,
სადაც ფორმები ერთმანეთს ეღუღაბებიან ერთ ვნებთან ლტოლვად შენივთულნი, და როდესაც
ეს ლტოლვა უფრო მეტია, ვიდრე მისი ხილული გამოვლენა.

ესპანეთში (ისევე, როგორც აღმოსავლეთში, სადაც ცეკვა რელიგიურ გამოვლინებად ითვ-
ლება) duende განუსაზღვრელ სამოქმედო ასპარეზს პოულობს მარციალის მიერ ხოტბამესხ-
მულ კადიაელ მოცეკვავე ქალთა სხეულში, იუვენალის მიერ შექცებულ მოძღვრალთა გულებსა
თუ ხარებთან ბრძოლის ყველა რიტუალში, რომელიც ტეშმარიტ რელიგიურ დრამას წარმო-
ადგენს, სადაც ისევე არუდდება მსხვერპლშეწირვა და ღეთისმსახურება, როგორც წირვისას.

კლასიკური სამყაროს მთელმა duende-მ თითქოს თავი მოიყარა ამქვეყნიურ შესანიშნავ
სპექტაკლში, რომელიც ერის განუზომელი მგრძნობელობისა და კულტურის სიმბოლოს წარ-

მოადგენს, სადაც დახვეწილი მრისხანება, ნატყვი მელანქოლია და დაწმენდილი კანონი-
ვლინდება. ესპანური ცეკვებისა და ხარებთან ბრძოლის მზერისას არავენ ერთობა. ტრამის
მეშვეობით duende გაიძულებს იტანჯო ცოცხალი ფორმებით და იგი ამზადებს ნაღვს/გარე-
მომცველი რეალობისაგან გასაქცევად. duende ისე მოქმედებს მოცეკვების სხეულზე, რო-
გორც ქარი ქვიშაზე. იგი მავიური ძალმოსილებით აიძულებს ახალგაზრდა ქალს, იმუშაოს
მთვარეულივით; ტავერნის სიახლოვეს მონათხოვრე მოხუცს ანიჭებს ქაბუკურ იერს. გობე-
ლი ნაწნავებით მოაქვს დამეული ნავსადგურების სურნელი და ყოველ წამს ისეთ ნოდრო-
ბაში მოჰყავს ხელები, რომელიც ნებისმიერ დროს ბადებს ცეკვას.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ duende არასოდეს მეორდება, როგორც არა-
სოდეს მეორდება ჩარიშხლიანი ზღვის ფორმები.

თავისი გამომსახველობის უმაღლეს მწვერვალს duende აღწევს ხარებთან ბრძოლისას,
ვინაიდან იგი ებრძვის, ერთი მხრივ, სიკვდილს, რომელსაც ძალუძს მისი მოსპობა, და მეორე
მხრივ, გეომეტრიას, რომელიც სპექტაკლის ძირითად საზომს წარმოადგენს.

ხარს თავისი ორბიტა აქვს, ტორეროს — თავისი. და ამ ორ ორბიტას შორის მოქცეულია
ფათერაჟის წერტილი, რომელიც ამ შემაზრზენი თამაშის უმაღლეს მწვერვალად გვევლინება.

შეიძლება ითულებოდეს შესანიშნავ ტორეროდ, როდესაც გშველია მულეტთან¹ მუზა და
ბანდერილით² შეიარაღებული ანგელოზი, მაგრამ, როდესაც მუშაობ მოსასხამით, როდესაც
ხარი ჯერ კიდევ არ არის დაჭრილი, და ბოლოს, როდესაც დგება წამი მისი მოკვლისა,
არტიტული სიმართლის ლურსმნის ჩასასმელად აუცილებელია duende.

ტორერო, რომელიც უგონო სიმაძაქით აშინებს მაყურებელს, არ იძლევა ხარებთან ბრძო-
ლის ნამდვილ სანახაობას. იგი ახდენს სიკვდილესთან აბსურდული თამაშის დემონსტრაციას,
რაც ყველას ძალუძს; ბოლო duende-ს მიერ ნაგესლი ტორერო პითაგორული მუსიკის გაკ-
ვეთილს გვიძლევს და გვიძულებს დავივიწყოთ ის გარემოება, რომ იგი თავის გულს წამ-
დაუწუმ ხარის რქებზე დსვრის.

ლეგარტიოს³ რომანული duende, ზოსელიტოს⁴ ებრაული duende, ბელმონტეს
ბაროკალური duende და კავანჩოან⁵ ბოშური duende, შებინდულ არენაზე ტორეროებს,
პოეტებს, მხატვრებსა და მუსიკოსებსათვის იძლევიან ესპანეთის ტრადიციის ოთხი დიდი-
გზის გაკვეთილს.

ესპანეთი არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სიკვდილი ბუნებრივ სანახაობას წარმოადგენს:
სადაც სიკვდილი ყოველი გაზაფხულის დადგომისას გაბმით ახშიანებს ბუეს და ესპანეთის
ხელოვნება ყოველთვის წარიმართვის გამჭრიახი duende-ს მიერ, რომელიც ამ ხელოვნებას
ანიჭებს სრულიად განახვავებულ იერსა და გამომსახველობით თვისებებს.

duende, რომელიც ქანდაკების ისტორიაში პირველად ავსებს წითელი სისხლით მატეო-
დე კომპოსტელას წმინდანთა დაწვებს, იგივე duende-ა, რომელიც სან ხუან დე ლა კრუსს
აიძულებს გოდებას, ანდა წკავს გაშიშვლებულ ნიშნებს ლობე და ვეგას რელიგიურ სონე-
ტებში.

duende, რომელიც აღმართავს სააგუნის კოშკს, ანდა აწყობს კალატაჟდისა⁷ თუ ტერუე-
ლის⁸ გახურებულ აგურებს, იგივე duende-ა, რომელიც აპობს ელ გრეკოს დრუბლებს, კინ-
წისკვრით ფანტავს კევედოს⁹ ალგვისალებს¹⁰ და ალაგზნებს გოიას ქიმერებს.

duende წვიმაში ავლენს იდეალ ველასკესს, თოვლში აჩენს შიშველ ერერას¹¹ რომე-
ლიც გვარწმუნებს, რომ სუსხი მომაკვდიინებელი არ არის. გაღვივებული duende ბრწყინვა-
ლებამდე აღანთებს ბერუგეტეს¹² და მას აიძულებს ქანდაკების ახალ განზომილებათა პოვნას.

¹ მულეტა — ფოლადის ბუნიკიან ჯაშზე დაბეჭდილი ალისფერი ფარჩა.

² ბანდერილა — ფერადი ქაღალდებითა და ბაფთებით შემკული პატარა, წვრილი შუბი, რომელიც ხარის გასახელებლად იხმარება.

^{3, 4, 5, 6} ცნობილი ესპანელი ტორეროები.

⁷ ქალაქი ესპანეთში, სარაგოსის პროვინციაში, „იერუსალიმის რაინდთა“ ძველი დედა-ქალაქი.

⁸ ქალაქი ესპანეთში, არაგონის პროვინციაში.

⁹ ფრანსისკო გომეს დე კევედო ი ვილ ეგას (1580—1645) — ესპანელი მწერალი.

¹⁰ ალგვისილი — სასამართლოს აღმასრულებელი.

¹¹ ხუან დე ერერა — ესკორიალის არქიტექტორი.

¹² ბერუგეტე (1480—1561) — ესპანელი მხატვარი, მოქანდაკე და არქიტექტორი.

გონგორას¹ მუზასა და გარსილაზოს² ანგელოსს მოუხდათ გვირგვინის დათობა წმ. ხუან-დე-ლა-კრუსის duende-სათვის, როდესაც

„დაჭრილი ირემი
გადმოდგა სერზე...“



ქართულად

გონზალო დე ბერსეო³ მუზასა და იტის ეპისკოპოსის ანგელოსს მოუხდათ ხორხე მანრიკესათვის⁴, როდესაც, იგი სასიკვდილოდ დაჭრილი მიადგა ბელმონტეს ციხე-სიმაგრის კარბჭეს. გრეგორიო ვრნანდესის მუზასა და ხოსე დე მორას⁵ ანგელოსს მოუხდათ უკან დახევა, რათა გზა მიეცათ მენას⁶ სისხლიანი ცრემლებით მოტირალი duende-სათვის. ასევე, კატალონიის მეღანქოლიური მუზა და წვიმით გაღუმბული გალისიის ანგელოზი გაოცებული საყვარულით მისჩგრებიან კასტილიის duende-ს, ასე დამორებულს თბილი პურისა და ძროხისაგან, რომელიც ჭარით დაცარიელებულ ცისა და დახეტქილი მიწის მიღმა იცოხნება.

კევედოსი და სერვანტესის duende, ერთი — ფოსფორული ნათების მქონე მწვანე ანემონებით, ხოლო მეორე — რუიღერის თაბაშირის ანემონებით აკობენ ესპანეთის duende-საკურთხეველს.

ცხადია, რომ ყოველი ხელოვნება ფლობს სხვადასხვა სახისა და ფორმის duende-ს, მაგრამ მათი ფესვები იქ ერთდებიან, საიდანაც, ტორესის თქმით, გამოიცივმან „უკუნი ხმები“, ანუ პირველადი ნივთიერება, ხის, ხმის, ტილოსა და სიტყვის მთრთოლვარე და დაუოკებელი საფუძველი.

სწორედ ეს „უკუნი ხმები“, რომელთა მიღმაც ჩვენ ვაგნებთ მჭიდრო კავშირში მყოფ ეულკანებს, ჭიანჭველებს, ნაზ სიოებსა და ირმის ნახტომს, რომელსაც ფერდებზე მიჰკვრია დიდებულა ღამე.

ქალბატონებო და ბატონებო! მე აღვმართე სამი თალი და გამოუცდელი ხელით მათში მოვითავსე მუზა, ანგელოზი და duende.

მუზა დაწყნარებულია. მას შეუძლია, შეიმოსოს ძლიერ დანაოკებული ტუნიკით ან იცქიროს პომპეის ძროხის გამტერებული თვალებით, ან კიდევ პქონდეს დიდი ცხვირი და ოთხი სახე, როგორც მას მისმა მეგობარმა პიკასომ შესძინა.

ანგელოსს შეუძლია თრთოდეს ანტონელო და მესინას⁷ მიერ დახატულ ნაწნავებში თუ ფილიპო ლიპის⁸ მიერ შექმნილ ტუნიკაში, მაზოლინოს⁹ ვიოლინოში თუ რუსოსთან¹⁰.

მაგრამ სად არის duende? ცარიელ თაღში შედის გონების ნიავი, რომელიც დაქინებით დაჭვარფარებს მიცვალებულთა თავებს ახალი ლანდშაფტებისა და იღუმალ ხმათა ძიების წყურვილით; ნიავი, რომელსაც დაჰკრავს ბავშვის ნერწყვის, გაქეღილი ბალახისა და მედუზის გამჭვირვალე აკვის სურნელი; ნიავი, რომელიც ყველგან და ყოველთვის გვაუწყებს ახლად-ქმნილ საგანთა მარადიულ ნათლობას.

ესპანურიდან თარგმნეს
ლია ლორიამ და ვახუშტი კოტეტიშვილმა

¹ დონ ლუის დე გონგორა (1561—1627) — ესპანელი პოეტი.
² გარსილაზო (1500—1559) — ესპანელი კონკისტადორი, ცნობილი ინკებისადმი უაღრესად ჰუმანური დამოკიდებულებით.
³ გონზალო დე ბერსეო — XIII ს. კასტილიელი პოეტი.
⁴ ხორხე მანრიკე — XV ს. ესპანელი პოეტი და მეზღვაური.
⁵ ხოსე დე მორა (1783—1863) — ესპანელი მწერალი.
⁶ ხუან დე მენა (1411—1456) — ესპანელი პოეტი.
⁷ ანტონელო და მესინა (1431—1477) — იტალიელი მხატვარი.
⁸ ფილიპო ლიპი (1406—1469) — იტალიელი მხატვარი.
⁹ მაზოლინო (1383—1447) — იტალიელი მხატვარი.
¹⁰ ანრი რუსო (1844—1910) — ფრანგი მხატვარი.

ვიორგი ჭელიძე

ოპარ ხაიამის ათეიზმი

ოპარ ხაიამის ლირიკა სხარტი და აფორისტულია. მას შეეძლო რამდენიმე სიტყვით გადმოეცა იმდენი გრძნობა და აზრი, რის გადმოცემად სხვას ალბათ თაბახებზე არ ეყოფოდა. ამიტომ ოპარ ხაიამის ლირიკას სამართლიანად უწოდებენ ოპის სტრიქონში მომწყვდევლ, ორიგინალურად დამუშავებულ პოემას, სადაც, როგორც პროფ. დ. კობიძე აღნიშნავს, „აზრს არ ეწირება პოეტური მეტყველების სამკაულები“ და პირიქით.

მოხლენილი და გაბედული ლექსების გამო ხაიამზე ლეგენდაც კი შექმნილია. მისი შინაარსი ასეთია:

ერთხელ ოპარ ხაიამი თავის ამხანაგებთან ლეინოს შეექცეოდა. უცებ ქარი ამოფარდა და ღვინით სავსე ხელადა გაუტეხა. ხაიამი საყვედურით მიმართავს ღმერთს:

რად გამიტეხე მე საღვინე ხელადა, ღმერთო,
 ხაიამის ბჭენი დამიხსუ და რითაა გავერთო,
 ნუთუ დათვერ და უნებლიეთ დამაღვრევიანე
 ღვინო, რომელიც გახაფხულის ვარდივით ეხლო.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა)

შეურაცხყოფილმა ღმერთმა მას სახე დაუბრია, ხაიამი ახალი ბრალდებით მიმართავს ღმერთს:

ბმ ვინც იყო ქვეყნად, ვინ გადარჩა აქ უცოდველი?
 ვინც არ შესცოდა, როგორ გაწელო წუთისოდელი?
 მე უწენი ცუდი, შენაც ცუდად გადამიხადე,
 საღლაა სვენში განახვავება — მე პასუხს ველი...

(თარგმანი ა. ჭელიძისა)

ღმ. ამის შემდეგ, ღმერთი იძულებული გახდა, ხაიამისათვის სახე გაესწორებინა. ლეგენდის მეშვეობით, ხაიამმა თავისი მოსწრებული და აზრიანი სიტყვებით შეარცხვინა და დაამარცხა ღმერთი.

ბნელეთით მოცულ საშუალო საუკუნეებში აღაშინის ღირსება და სახელი ფასდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენად ერთგულად ემსახურებოდა ეს მეფესა და ღმერთს. ხაიამს თანაბრად სძულდა მეფესა და ღმერთიც და გაბედულად აცხადებდა:

ჩვენ მეფის გვირგვინს სიხარულით გაუყიდით ფულზე,
 მოქარგულ ხალხსა — საღამურის ხმის სიყვარულზე,
 და საღვთო ლოცვებს, საბრალო ხალხს რომ ატყუებენ,
 გავცვლით ღვინოში, თაფლივით რომ ეცხება გულზე.

(თარგმანი ა. ჭელიძისა)

ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ომარ ხაიამს არც ერთხელ არ მოუბრია ქედი სულ-
თანისა და მისი ვეზირების წინაშე, არ დაუწერია მათი საქმები არც ერთი ლექსი, არ უზრუნ-
ვია მოწყალებასა და ნასუფრალზე. ხაიამის სიამაყესა და მოუსყიდველ ხასიათზე ლაპარაკობს
შემდეგი რობაი:

სანამ შენა სახელს ისევ აკრავს ხორცი და ძვალი,
რაც გვაქვს, იმაზე უნდა ფხიზლად გეჭიროს თვალი.
ქედს ნუ მოიხრია, თუნდ შეგებას როსტომ და ზალი,
და ჰათემ-თაის სამოწყალოც ნუ გინდა ვალი.



(თარგმანი ა. ჭელიძისა).

უნდა გყოფნოდა ნებისყოფა და გამბედაობა, რომ შეთერამეტე საუკუნეში, რელიგიური
ფანატიზმისა და რეაქციის ბატონობის პერიოდში, გამოგეთქვა ასეთი თავისუფალი აზრი,
შიმართული უზენაესი არსებისა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინააღმდეგ.

ომარ ხაიამის ზოგიერთი რობაი უმღერას ღვინოსა და ღვინით ღვინოს, მაგრამ არა
ლოთობას და თავაწებებულებას. „ღვინოს თუ დაღევ, — წერს იგი, — ისევ ჭკვიან კაცთან
დალიე. ზედმეტს ნუ დაღევ, იყავ შენთვის, ნულა, ცოტ-ცოტა, გვიან-გვიან, ტკბილად დალიე“.
ანალოგიური შესხედულებაა მოცემული სხვა ლექსებშიც:

ღვინოს ვსვამ, მაგრამ არასოდეს არა ვარ მთერალი,
ძალადობისკენ არ გამიბრძის სიხარბით თვალი.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

ანდა:

ღვინოს თუ დაღევ, გონების ვზას ნუ გადაცდები,
ნურც შიში გიპყრობს, სულელივით ნურსად დაჭდები,
თუ გინდა, ღვინო რომ ყოველთვის შეგერგოს ტკბილად,
სხვაჲ ნურას ერჩი, და თვითონ შენც ნუ გავიყდები.

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

ღვინოს, ღვინოს რომანტიკას ხაიამი ხშირად უპირისპირებს მორწმუნეთა ასკეტიზმს:

ათას მორწმუნეს ერთი წვეთი ღვინო სჯობია,
და ერთი ჭიქა, თუ კი იქნა, მთელ ჩინეთად ღირს.

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

ანდა:

ფარდი, ღვინო და ლამაზი ქალი,
მე ამ საუნჯეს დავადგი თვალი,
სანამ ვარ ქვეყნად, სანამ ვიქნები,
ვიყავი, ვარ და ვიქნები მთერალი.

ან:

მეჩვეთია, მარხვას თუ ნამაზი,
ომარ, სვი და არ იღიქრო ამაზე,
შენი მიწით რა გაკეთდეს, ვინ იცის,
ვამი, ყოველ თუ ხელადა ლამაზი.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

ერთ-ერთ რობაიში პოეტი წარმატებით იყენებს ყურბანში აღწერილ ეპიზოდს, რომლის
მიხედვით ალაჰმა შექმნა ანგელოზები ცეცხლისაგან. შემდეგ კი თიხისაგან გააჩინა ადამიანი.
დმერთმა ანგელოზები მიიყვანა ადამთან და უბრძანა თავგანი ეცათ მისთვის, ერთი ანგე-
ლოზი — იბლისი არ დაემორჩილა ღვთის ბრძანებას. მან განაცხადა: — მისთვის, ვინც მაღალი
მატერიალისაგანაა გაჩენილი, დამამცირებელია თავგანი სცეს უბრალო თიხისაგან შექმნილ არსე-

ბასო; ამისათვის იბლისა სასტიკად დაისაჯა, განდევნილ იქნა სამოთხიდან, რამაც, ყურანის განმარტებით, დასაბამი მისცა ბოროტი სულის — ეშმაკის წარმოშობას. ხაიამი ბრძნით შენიშნა: — ღმერთს ღვინის ერთი წვეთაც რომ დაეღვინებინა ეშმაკისათვის, იგი ადამის მოღვმის მონა-მორჩილი გახდებოდაო.



თ, ეს ლექსიც:

ღვინო ანელებს ქედმაღლობას ამაყთა ზედა,
მას ძალუძს ახსნა და დამსხვრევა ბოროტთა მძლეთა,
ეშმაკს ამ ღვინის ერთი წვეთაც რომ დაეღვია,
მორჩილი მონა იქნებოდა ადამის ძეთა.

(თარგმანი გ. კოტეტიშვილისა).

როგორც ვიცით, ისლამის რელიგია და მისი მსახურნი ღვინის სმისათვის ადამიანს ჯოჯოხეთის ცეცხლით ემუქრებიან. ხაიამი დასცინია მათ და ამბობს: თქვენ იკითხეთ, თორემ ლოთები იმდენად არიან ღვინით გაჟღენთილნი, რომ მათ ჯოჯოხეთის ცეცხლი არ აწინებთო. ცნობილია, რომ მუსლამანური სარწმუნოება კრძალავს ყოველივე ადამიანურს, ამქვეყნიურს. მას ეს პრივილეგიები ზეცაში გადაიქვს და ვინც მოითმენს, მას პატივება სამოთხის ნეტარებას, რაც ყურანს შესაფერი მომხიბვლელობით აქვს აღწერილი. ხაიამს ეჯაებება ისლამი, მისი მსახურნი, წმიდანები, ყურანი და მისი მოძღვრება, არ სწამს საიტიო ცხოვრება, სამოთხე და ჯოჯოხეთი და მას უპირისპირებს ამქვეყნიურ ბედნიერებას: სიყვარულს, ქეიფს, დროსტარებას, უღარდებლობასა და საერთოდ, ადამიანთა სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ხაიამის აზრით, სხეული სულს არ უნდა ეწიშებოდეს. თუ ადამიანი ბედნიერებისათვის არ იბრძვის, ამქვეყნიური სიამით არ სარგებლობს, ის ამაოდ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე.

თუ შენ ლხენა-სიამეს აღარ გაეჯარები,
მე შენ გეტყვი, ამქვეყნად ამაოდ ეტარები.

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

„დასტკბი, მიტომ ვაქვს სიცოცხლე მინიჭებული“, „იმხიარულე და ცხოვრება გაილაშხე“, — წერს ხაიამი თავის ლექსებში, და ამ შეხედულებას არასოდეს დალიტობს. ომარ ხაიამის ბევრი რომაი პოლიტიკური და პოლემიკური ხასიათისაა და დაწერილია რელიგიური დოკუმების დამცველთა წინააღმდეგ განწყობილი ბრძოლის პირობებში. ღვინის სმისა და დროსტარების შექება ხაიამისათვის იყო მხოლოდ საშუალება, რომლითაც სურდა გამოეხატა თავისი დამოკიდებულება გარემომცველი რელიგიური უანატიზმით შეპყრობილი საზოგადოებრივი წყობილების მიმართ. ერთი წუთითაც არ შეიძლება იმის გაფიქრება, თითქოს უდიდეს მეცნიერსა და ბრძენს, რომელიც განუწყვეტლივ შრომობდა, დარჩენოდა დრო გაუთავებელი დროსტარებისა და ფუქსავატი ცხოვრებისათვის, მუდმივი ლოთობისა და აღვირახსნილობისათვის, რასაც ხაიამისავე განმარტებით, არ შეუძლია ადამიანისათვის ბედნიერების მოტანა. შეცდომა იქნებოდა აგრეთვე ჩაგვეთვალა ხაიამი ლოთობის აპოლოგეტად. მაშ რითი ავხსნათ ღვინის ერთგვარ კულტად აღიარება? მხოლოდ და მხოლოდ ისლამის რელიგიის მიერ ამქვეყნიურ სიამეთა აკრძალვის წინააღმდეგ ბროტესტის თავისებური ფორმით, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის ნაირსახეობით. მაგალითისათვის ავიღოთ ერთ-ერთი რომაის პირველი ორი სტრიქონი.

ეჰ, ღვინო! ღვინო სულია და გულია ჩემი,
უთველი რჯულის უარყოფა — რჯულია ჩემი.

(თარგმანი მ. თოდუასა).

ეჭვი არ არის, რომ ამ ლექსის მეორე სტრიქონი აშკარად ათეისტურია, მაგრამ ათეისტურია პირველი სტრიქონიც, ვინაიდან ღვინის ტრფიალი სასტიკად ეწინააღმდეგება ისლამის რელიგიას, ეწინააღმდეგება ყურანის მოთხოვნებს.

ღმერთმა მყობადი მრავალფერად თუ შორთო ოდით,
იცოდა ილბათ ჩვენ ამქვეყნად რასაც ვიქმნოდით.
მე თუ ცოდვა მაქვს, განგებამ ის თვით მომანაწა,
მაშ, ჯოჯოხეთში რაღად უნდა დავიწვა ცოდვით?



ქართველთა
(თარგმანი ა. ჭელიძისა)

„ყოველისმცოდნე“ ღმერთს, — ხაიამის აზრით, — წინასწარ უნდა სცოდნოდა, რომ იგი ურწმუნო და ცოდვილი იქნებოდა და, თუ იგი მოულოდნელად შეცვლიდა ღვთის ამ წინასწარდასაბულობას, ამით ღვთის საწინააღმდეგო საქმეს ჩაიდენდა:

მე ვსვამ ღვინოს, და სხვა ვინც ჩემებრ შეგნებულა,
მისთვის სმა, ღვთის წინაშე გაადვილებულა.
ღმერთმა ჩემი ლოთობა თავიდანვე იცოდა,
თუ არ დავღვევ, ღმერთი, ჩანს — ცოდნას მოკლებულა.

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ომარ ხაიამი თავის ლექსებში ამხელს ლოგიკურ წინააღმდეგობებს, რომელიც დამახასიათებელია ისლამისა და ყველა სხვა რელიგიისათვის. იქ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ზოგიერთ მათგანზე:

ისტორიაში ხშირია შემთხვევა, — ამბობს ხაიამი, — როდესაც ბილწი დამპყრობნი ცეცხლს აძლევენ მშრომელთა სახლ-კარს, ფეხქვეშ თელავენ ნარგავ-ნათესებს, არ ინდობენ დედებსა და ბავშვებს, აუბატურებენ ქალიშვილებს. შეეძლო თუ არა „ყოველისმცოდნე“ ღმერთს თავიდან აეშორებინა ასეთი დანაშაული? თუ არ შეეძლო, მაშინ ზედმეტია მას ყოველისმცოდნეობაზე ლაპარაკი, ხოლო თუ შეეძლო და არ გააკეთა, მაშინ ის თვით არის ბოროტი, დამნაშავე. ის უფრო მეტად ბოროტია, ვიდრე ადამიანი, რომელსაც შეეძლო ბოროტება ჩაედინა უეცარი ადუღების დროს, წინასწარობიდან გამოსულს, მაშინ, როდესაც მისი გონება შერყეულია, მაგრამ ღმერთი, რომელიც თავისუფალია ყველა ნაკლოვანებებისაგან, რომელსაც ყველაფერი შეუძლია, ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის, ყველგან იმყოფება, იცნობს წარსულს, ერკვევა აწმყოსში, ითვალისწინებს მომავალს, ღმერთი, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს სისხლიან დანაშაულს და სხვა ბოროტებას, და არ აკეთებს ამას, უფრო მეტად დამნაშავეა, ვიდრე ყოველი არამზადა და გარეწარი ადამიანი.

ისლამის რელიგია გამოირჩევა ლოცვების სიუხვით და სიხშირით. ამ საკითხს ხაიამმა მრავალი მახვილგონიერი და კრიტიკული ლექსი უძღვნა. გასაკვირია, — ამბობს ხაიამი, — ისეთ სრულყოფილ არსებას, როგორც ღმერთია, რად სჭარდებდა ლოცვა. რისთვის უნდა მოვაბებართო მას თავი ჩვენი გაუთავებელი თხოვნით? ნუთუ ღმერთი იმდენად გულმავიწყია, რომ თუ ყოველდღე და ყოველ წუთს არ შევახსენებთ მას ჩვენს თხოვნას, ის შეუსრულებელი დარჩება, და ბირაჯით?

რელიგიური მოძღვრების მიხედვით, ღმერთი გამოცდას უტარებს ადამიანებს, რომ გამოავლინოს ცოდვილნი და მართალნი. განა „ყოველისმცოდნე“ ღმერთმა ეს წინასწარ არ უნდა იცოდეს? — ზეამს კითხვას ხაიამი.

სულიერი მამები შთაგვაგონებენ, რომ ალაჰი აბატებებს ადამიანს ყოველგვარ ცოდვას, თუ იგი მას მოინანიებს. თუ ეს ასეა, მაშინ არავინ შეიკავებს თავს ცოდვებისაგან, — ამბობს ხაიამი.

თავის ლექსებში ომარ ხაიამი აყენებს საკითხს, თუ როგორ შეუთავსოს ყოველადღიერი, გონიერი, მართალი, და კეთილი ღმერთის არსებობა ბოროტების არსებობას დედამიწაზე?

ომარ ხაიამის ზოგიერთი შეხედულება, რომელიც გამოთქმულია ოთხსტრიქონიან ლექსებში, რამდენიმე ასეული წლით უსწრებს წინ რელიგიის ლოგიკურ კრიტიკას, რომელსაც აწარმოებდნენ აღორძინების პერიოდის ფილოსოფოსები და მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი განმანათლებლები.

ხაიამის ცხოვრებაზე შემონახულია მის თანამედროვეთა მოგონებანი. ხაიამის ერთ-ერთი მოწაფე, პოეტი ნიზამი სამარყანდელი იგონებს ომარ ხაიამის მიერ ქალაქ ბალხში ამხანაგურ ნაღიმზე ნათქვამ სიტყვას: „მე ისეთ ადგილზე დამშარბავენ, სადაც ნიავი ყოველ გაზაფხულზე

ყვეილებს მიმოაბნევს ჩემს საფლავზეო! — ამ ნათქვამმა გამაკვირვა, — ამბობს ნიზამი, — მაგრამ ვიცოდი, რომ ისეთი კაცი, როგორც ომარ ხაიამია, უაზროდ სიტყვებს არ ფანტავს. ამის შემდეგ, 1135 წელს მე ნიშაბურში მივედი. უკვე ოთხი წელი იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩემი მასწავლებლის, ამ დიდი ადამიანის სახეს მიწის საბურველი ეხურა და ქვეყანა დაობლებული იყო მისი დაკარგვით. პარასკევს წავედი, რათა ვთავყვანებოდი მის საფლავს. წავიყვანე მეგზური, რომელსაც უნდა ეჩვენებინა მისი საფლავი. მეგზურმა ჩემს საფლავ-ლაოზე მიმიყვანა და როცა მარცხენა მხარეს მივიხედე, ბაღის კედლის შირზე ვიხილე მისი საფლავი. ბაღიდან გადმოფენილ მსხლისა და გარგარის აყვავებულ ტოტებს მთლიანად დაე-ფარათ იგი. მომაგონდა სიტყვები, რომლებიც ბაღში მოვისმინე მისგან და ავტირდი. მთელი დედამიწის ზურგზე მე ვერ ვიპოვიდი მისი საფლავისათვის ამაზე უფრო შესაფერ ადგილს.

ალაჰმა, — ამბობს ხაიამი, — ადამიანს მისცა საუკეთესო საჩუქარო — სიცოცხლე, მაგრამ რისთვის შექმნა სიკვდილი? თუ ის უკმაყოფილო იყო მის მიერ შექმნილი ადამიანით, ვინ უშლიდა ხელს, შეექმნა უფრო სრულყოფილი არსება? როდესაც შექმონეს არ მოსწონს თავისი შრომის პროდუქტი, ის, ჩვეულებრივად, ამტყრევს მას და აკეთებს ახალს. მაგრამ სასაცილო იქნებოდა ის მექონე, რომელიც დასჯიდა ქოთანს მხოლოდ იმისათვის, რომ ის თვითონვე გააკეთა ცუდად. ღმერთი ამ შემთხვევაში ისე იქცევა, როგორც ჭირვეული ბავშვი. ის სჯის ადამიანს, ე. ი. საკუთარი ქმნილების გვირგვინს, მართო იმისათვის, რომ ის ცუდად შექმნა:

რომელმან შექმნა ეს სამყარო და ცის თაღები,
თავის ქმნილებებს არსებობას უსპობს განგებით.
აუ ცუდად შექმნა, ვის მიუძღვის ამაში ბრალი?
და თუ კარგია, რაღად ამსხვრევს მათ ხელაღებით?

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

ღმერთნო, — ამბობს ხაიამი, — მანვე დაუგო ადამიანებს და სასტიკად სჯის მათ, თუკი ისინი გაებმებიან ამ ნახეში:

საითაც წავალ, ათას ადგილს დამიგებ მახეს,
ფიქრობ: „დავიტერ მე მას, იგი თუ პირს შეახებს“.

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

ხაიამს ვერ გაუგია, რად გააჩინა ღმერთმა ადამიანი? და თუ გააჩინა, რად კლავს მას?

ჩემი გაჩენით სარგებელი ღმერთს არ ჰქონია,
ჩემმა სიკვდილიმაც რამ შემატოს, არა ნგონია.
მე ძლიერ მიკვირს, ამას პალუსს არავინ მაძღვეს, —
ეს წასულა-მოავლა მან რა მიზნით მოუგონია?

(თარგმანი მ. თოდუასი).

ომარ ხაიამი ავისმოკმედს უწოდებს ღმერთს, რომელმაც შექმნა ადამიანი თიხისაგან, ორი დღე ამყოფა დედამიწაზე და ისევ ხელი აადებინა.

ვინ არის ეკითხო, რომ სიმართლე გამაგებინა,
ბირველ ყოფნამდე კაცი ნეტავ რა იყო წინათ?
ავის მოქმედმა ტანჯვის თიხით შექმნა ქვეყნად ის,
დაჰყო ორი დღე, და კვლავ ხელი აადებინა..

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

ხაიამი აღმფრთხილებულია ღმერთის საქციელით, მისი შეუზღუდავი უფლებებით. ის ეუბნება ადამიანს:

ის, ვისი ნებით ქვეყნად შენი გაჩენა მოხდა,
მოგამითობს ისე, არ სჭირდება ბოღაშის მოხდა.

(თარგმანი მ. თოდუასი).

რელიგიის მიხედვით, ღმერთს მხოლოდ შორჩილი უყვარს. ვინც შორჩილი არ არის, ის ცოდვილია, ხოლო ცოდვილთათვის სამოთხის კარი გამოკეტულია. „მოწყალე“ და „გეთილი“ ღმერთის ასეთი მოქმედების გამო ხაიამი ანბობს:



შენ მოწყალე ხარ, მოწყალეა არის სიკვდილი,
სამოთხის კარი ცოდვილთ რაღად გამოგვიკეტე.
შორჩილს თუ მიწოდებ, გერაფერი მოწყალეაა,
ცოდვილს წეშინდო, ამაშია, ღმერთო, სიკეთე.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

ზოგიერთ ოთხსტრიქონიან ლექსში ხაიამი მშვიდად გამოთქვამს უკმაყოფილებას რელიგიის მიმართ, ხოლო როდესაც საბოლოოდ რწმუნდება რელიგიის არა მარტო უაზრობაში, არამედ მის მავნეობაშიც, პოეტი გადადის გამომწვევე, მებრძოლ ტონზე და კატეგორიულად მოითხოვს ღვთისაგან პასუხს.

ხაიამის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მისი ათეიზმი. არა უბრალო ანტირელიგიურობა, რომელიც მიმართულია ისლამის სიბნელის წინააღმდეგ, ყურანისა და შოლეების წინააღმდეგ, არამედ ათეიზმი, რომელიც უარყოფს ყველა ღმერთის არსებობას. ვერც ერთმა რელიგიამ ვერ დაიკმაყოფილა ხაიამის მაძიებელი გონება, ის ხელს იღებს ყველა რელიგიაზე.

ამდევნებს რა ღმერთის არსებობას იდეის ლოგიკურ წინააღმდეგობებს, რელიგიური იდეოლოგიის სიყალბესა და უსუსურობას, ხაიამი ვერ ხედავს განსხვავებას ისლამსა და სხვა რელიგიას შორის:

არც სინაგოგა, არც მეჩეთი, არც ეკლესია, —
არ მწამს არც ერთი, მათი ვაობა ჩემი წესია!
ნუ არც სამოთხის იმედებით ვუოფილვარ ქვეყნად,
არც ჭოჭოხუთის მოლოდინით დამიკუნესია.

(თარგმანი მ. თოდუასი).

სამღვდელოება ცილს წაძებს ადამიანებს თავდაუშვრლობაში, მაშინ როდესაც თვით ეწევა თავწუქუკაყებულ ცხოვრებას, აწყობს ორგებს, ეფლობა ფუფუნებისა და გარყვნილების წლებში. ნოვუსმინოთ ერთ-ერთ რომაეში მოცემულ მეძაფე ქალისა და შეიბის დიალოგს:

შეიბი მეძაფს ეუბნის: „ქალი, ავი ზნისა ხარ,
ხან ერთისა ხარ, ხან მეორის, ხან კი სხვისა ხარ.“
„პო, მართალია, — თქვა მეძაფმა, — მე არა ვფარავ,
მაგრამ შენ რაც ხარ გარეგნობით, შიგნიც იაა ხარ?“

(თარგმანი ა. ჭელიძისა).

თმარ ხაიამს ეჯავრებოდა ეულტის მსახურთა ფარისევლობა, ორპირობა და მზად იყო შეძლებისდაგვარად სამაგიერო გადაეხალა მათთვის. აი, ერთი ებიზოდა: როგორც გეოგრაფი კაზვინი მოგვითხრობს, ხაიამთან ყოველ დილით, მზის ამოსვლამდე დიდობდა საღვთო რჯულის მასწავლებელი და ღებულობდა მისგან ფილოსოფიის ვაკვეთილებს, ხოლო სხვებთან კი ცილს სწამებდა მას. ერთხელ დილით, ხაიამმა გამოიძაბა თავის სახლში ქალაქის მედოლეში და მესტვირეა. როდესაც საღვთო რჯულის მასწავლებელი მოვიდა ვაკვეთილის მოსასმენად, ხაიამმა უბრძანა დამკვრელებს ჩაებრათ საყვირებში და დაეწყოთ დოლის ცემა. ყოველი მხრიდან მოცვივდა ხალხი, მაშინ ხაიამმა მიმართა მათ:

„თი ნიშაბურელებო! აი თქვენი მეცნიერი, ის დადის ჩემთან ყოველ დღე ამ დროს, რომ მასწავლოს ჩემგან, თქვენთან კი ცილს მწამებს. თუ მე ისეთი ვარ, როგორც თქვენთან დაბარაკობს, მაშინ რად დადის ჩემთან, ხოლო თუ ისეთი არა ვარ, მაშინ რად მწამებს ცილს?“ ამგვარმა ადამიანებმა ათქმევინეს ხაიამს ეს ლექსი:

ცუდის მოქმედ კაცს მიზანი არ გაუსწორდება,
სანამ ერთ ცუდს იქნს, ასი ცუდი თავს დაატყდება,
მე კარგს ვიშურებ შენ და შენ კი ცუდი გსურს ჩემთვის,
შენ კარგა ვერ ნახავ და ცუდი კი მე ამშორდება.



ქართველნი

(თარგმანი ა. ჭელიძისა)

ხაიამის შეხედულებით სამყარო, სადაც ადამიანს უხდება ცხოვრება, დაუსაბამოა, არსებობდა ადამიანის ცნობიერების გარეშე და იარსებებს ყოველთვის. მას სწამს ყოფიერების და ცის სხეულთა მარადიულობა.

ვაპ, ოდეს არ ვიქნებით, ზღვა და ხმელი იქნება,
ჩვენი აღარც ნიშანი, არც სახელი იქნება,
არ ვიყავით ოდესღაც, და ყველაფერი იყო,
არ ვიქნებით, და მაინც აქ ყოველი იქნება.

(თარგმანი ა. ჭელიძისა)

ან:

თუ მოგვედებით, სულ ერთია ბაღდადი თუ ბაღი,
ღვინო გინდა თუთრი იყოს, გინდა ფერად თაღი.
შესვი, ძმობი! არ ვიქნებით ჩვენ ამ ქვეყნად, თორემ
სულ იქნება მზე და მთვარე, სულ იბრუნებს ჩარხი.

(თარგმანი მ. თოდუასი).

ომარ ხაიამი არაბეთისა და სპარსეთის ფილოსოფიის მატერიალისტური ნაკადის ნათელი წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში მატერიალიზმი და ათეიზმი მოცემულია უფრო ძლიერად, ვიდრე მის წინამორბედთა შეხედულებებში. მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებაში ომარ ხაიამს ხელი შეუწყო ნათემატიკურ მეცნიერებათა დაკვლევამ. მათემატიკოსისათვის ჭეშმარიტების კრიტერიუმია არის არა ბუნდოვანი ლეგენდები, არამედ სწორი ლოგიკური აზროვნება, არა რელიგიური დოგმების ბრმა რწმენა, არამედ თავისუფალი აზროვნება. ხაიამი არ მიაწერდა ბუნებას ზებუნებრივ თვისებებს, არ განიხილავდა მას მისტიკურად, რაზედაც ნათლად მეტყველებს ზემოთ მოტანილი ლექსები.

ომარ ხაიამი თავის რომაეებში იძლევა თრიგინალურ შეხედულებას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის ნატურიის მედმივ მიმოქცევაზე. ამ შეხედულების მიხედვით, სიკვდილის შემდეგ ჩვენი სხეული იბრუნება და მიწად იქცევა. არ არის განორიციხელი, ფიქრობს ხაიამი, რომ საგნებში, რომლებიც ვაკეთებულა მიწიდან, მათ შორის, დოქში, რომლიდანაც ჩვენ ვკვამთ სურნელოვან ვარდისფერ ღვინოს, შეიძლება ერთს დედამაწის ყოფილი ბინადრის — უმშვენიერესი ქალწულის, მრისხანე მეფის, ან მათხოვრის სხეულის ნაწილი. ამ საკითხს ხაიამმა საკმაოდ ბევრი რომაი უძღვნა.

გავეცნოთ ზოგჯერ მათგანს:

გუშინ ბაზარში ჩავიარე და მეცა ვლდა,
მქაიანე ვაჩქე მაწას უეხით უხეშად ზელდა,
გმინავდა ნიწა: მეც შენსავით კაცი ვიყავი,
ფრახილად, შენც მიწად გარდაგაქცევს სიმრავლე წელთა.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

აი, ეს მაწა, ცხოველები ზედ რომ მადიან, —
ქალის ხილთია, ეს ატურა, აქ რომ ვიღვია, —
ქალწულის ღოკა და ბაგვა, კაცის თვალია,
ღიფი ვეზირის მკლავია და მეფის თითია!

(თარგმანი მ. თოდუასი).

ერთ დროს ეს ჩემი ხელადა აღბათ ჩემსავით ღელავდა,
მზეთუნახავის ნაწნავი ბორკავდა ქვეულს ხელადა,
ხელი რომ უღევს დონჯად, ასე არ პქონდა ძველადი,
ნიჯნურის უელზე უხვია. ლაღად და უღარდელადა.



ქართველნი
წიგლმწიფთქა

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

ხაიამის შეხედულებით, მატერიალის წრებრუნვის კანონებს თანაბრად ემორჩილება ყველა არსება, დაწყებული უბრალო ადამიანით, ვათავებული გვირგვინოსნებით, ბალახითა და ყვავილებით. სასაფლაოზე ამოსული ყვავილი, ხაიამის აზრით, წარმოადგენს გუშინდელი ადამიანის დღევანდელ ფორმას, ხოლო დედამიწა — საყოველთაო მატერიას, რომლიდანაც ყველაფერი წარმოიშობა და რომელსაც ყველაფერი უბრუნდება.

ომარ ხაიამის მსოფლმხედველობა ზუსტი თანმიმდევრობით როდი ხასიათდება. ზოგჯერ მისი პიროვნება გაორებულია. ზოგიერთი რობაი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებს შეიცავს. მატერიალისტური მსოფლმხედველობის ტენდენციებში შეჭრილია იდეალისტური ნაკადი. პოეტი ხან არსებულ სოციალურ წყობის უკუღმართობის წინააღმდეგ საბრძოლველად არის განწყობილი, ხან კი უიმედობა იპყრობს. მოკლედ, ომარ ხაიამის რობაიებში შეიმჩნევა სიხარულიც, მწუხარებაც, იმედიცა და უიმედობაც. ასეთი წინააღმდეგობანი ხაიამის შემოქმედებაში მაშინდელი, წინააღმდეგობათა შემცველი ეპოქის სოციალური წყობის ანარეკლია, იმ ცხოვრების თავისებურებათა ასახვაა. ზიგზაგების, უწყმანის, ეჭვებისა და ძიების გზით ომარ ხაიამი მიდის გონების პრიმატის აღიარებამდე — ჭეშმარიტებამდე.

ომარ ხაიამს, ისე, როგორც იმ დროის ბევრ განთქმულ მეცნიერსა და მოაზროვნეს, საკუთარი რწმენისა და შეხედულების შენიღბვა უხდებოდა. ხაიამი თვით იყო მოწმე, თუ როგორ უსამართლოდ იღუპებოდა ბევრი მეცნიერი და მოაზროვნე. ფასდებოდა „არა ქუთა-გონება, არა სიბრძნე, არამედ უვიცობა და ფარისევლობა“. ამ გარემოებამ ათქმევინა პოეტს შემდეგი სიტყვები:

ამქვეყნად გმართებს არ გადააცდე სიფხიზლის კიდეს,
მოსაველს შენსას ქვეყნად უნდა უჩუპრად მკიდე,
სანამ გაჭეს ენა, უღრები და თვალებიც ვიჭრის,
უნდა დამეჩადე, დაყრუდე და დაბრმავდე კადეც.

(თარგმანი ვ. კოტეტიშვილისა).

გაბორტებული სამღვდელთა ემზადებოდა ხაიამი წინააღმდეგ სასტიკი ზომების მისაღებად. რომ დაეცხრო მათი აღწფოთება და სიცოცხლე შეენარჩუნებინა, ხაიამი მიუხედავად სიბერისა, იძულებული იყო მუქაში გამგზავრებულიყო მაჰმადის საფლავის პატივსაცემად. ეს იყო ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდი ხაიამის პირად ცხოვრებაში.

მძიმე იყო ხაიამის ცხოვრების უკანასკნელი წლები. ვარდა იმისა, რომ იგი გაბორტებული სამღვდელთებს მუღმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ხელმოკლეობასაც განიცდიდა. ერთ-ერთ რობააში ის მწარე ირონიით წერს: ერთადერთი სიმდიდრე, რომელსაც ის ფლობს, არის სიღარიბე, ერთადერთი რამ, რომლის სესხება მას არ სჭირდება, არის ტანჯვა. ხაიამის ნუგეში წიგნები იყო, რომლის საყვარული მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა.

რეაქციისა და ბნელეთის მოციქულების შეტევამ ვერ შესძლო შეუჩერებინა ომარ ხაიამის რობაიების იდეების ტრიუმფალური სვლა. ის ფარულად ივკლავდა გზას, ხელიდან ხელში გადადიოდა და ზეპირად ერცვლდებოდა ხალხში. ასე იყო მანამდე, სანამ ომარ ხაიამის ხელი-ხელ საგოგმანებელი ოახსტრიტონიანი ლექსები კანონიერ უფლებებს მოიპოვებდა არა მარტო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ მთელს მსოფლიოში.

ვატლავ კუბაცკი

ორი მოგონება

(გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი)

გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი ახლა თბილისში, შამა დავითის მთაზე, მთაწმინდაზე განისვენებენ. ამ მთაზე ღირსეულ მამულიშვილებს კრძალავს ქართველი ხალხი.

ორივეს საფლავი რაღაცით მაგონებს ლევ ტოლსტოის სამარეს იასნაია პოლიანაში. ლეონიძის საფლავი უბრალო ქვებითაა შემოღობილი. იგი მოვერცხლისფრო მცენარეებს დაუფარავს. ერთ კუთხეში რამდენიმე ცისფერი ყვავილია, საქართველოში ესანეს ეძახიან. მეორეში — ლოდი, რომელსაც ერთი გვერდი ნაპირკეთებული აქვს; ზედ პოეტის ფაქსიმილეა გამოსახული, სხვა არაფერი. ჩემთვის კარგად ნაცნობი ამ ხელმოწერის მიხედვით მე, ქართული ენის უცოდინარი კაცი, ადვილად მივაგნებდი მეგობრის საფლავს. ვაა რომ გიორგის უკანასკნელი ავტოგრაფი ბაზალტზეა ამოკვეთილი, როგორც ეპიტაფია! ორ დანარჩენ კუთხეში ვარდები და ზაფრანები პყვავიან. პოეტის თავით ხე დგას. ხეს სურთ შემოვლებია, მიღლა ისულა, გადმონნეჭილა და თრთას. ესაა ხიდი — მიწისა და ჰოეზიას შორის გადებული.

ჩიქოვანის საფლავი მთის ქვეშ მცენარეებს შემოუქობავს. შუაგულში დაბალი ხასხასა ბალახია. ეს — დროებით. უფრო გვიან პოეტის ვაჟმა მაჩვენა საფლავის ქვის პროექტი. გრანიტის ფილაა ირბად კვთას ბალახის ზოლი, ხოლო ამ მწვანე ბალახზე აღმართულია ბროწეულის ხე — კავკასიური თრნანემეტას ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ჩიქოვანს ძალიან უყვარდა ბროწეული და ხშირად იზაენიებდა თავის ლექსებში.

უფროდ გამოვსალმა წუთისოფელს თანამედროვე საქართველოს ორი საუკეთესო პოეტი. წავიდა ერთი და სულ მალე მიჰყვა მეორე. წავიდნენ და მწუხარებით აავსეს მეგობართა და მათი ნიჭის თაყვანისმცემელთა გულები. რაღაც აგბედითი იყო მათ უეცარ სიკვდილში. ეს იყო სიკვდილის შემზარავი ძალადობა სიმღერაზე.

უანუკილი ქიუი

გიორგი ლეონიძე იყო შესანიშნავი პოეტი, მეცნიერი-ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე და ისტორიკოსი. მას ეკავა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის პოსტი. მაგრამ მე იგი უპირველეს ყოვლისა დამამახსოვრდა, როგორც თამადა.

თამადა საქართველოში სუფრის განმგებელია. ლხინის დიდი ხელოვანი. ის აწესებს კერძებს, სასმელებსა და სადღევრძელოების თანამდევრობას, დიდი გამომგონებლური ნიჭითა

და უნარით ხელმძღვანელობს ყოველივეს. ქართული ნადიმები და მათი განმგებელნი — ესაა აღმოსავლეთში უხსოვარი დროიდან ცნობილი საწესო ლხინთა მემკვიდრეობა.

ლევონიძე ჯან-ღონით სავსე, ძლიერი და ტემპერამენტიანი კაცი იყო. გარდასულ საუკუნეებში ასეთ კაცს ძალიან მოუხდებოდა რაინდის მოხვედრებული ფოლქორის მემკვიდრეობა და მუზარადი. მე იგი პოლონეთში გავიდა მიცვევიჩია იუბილეზე, როცა ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ხელმძღვანელობდა სუფრას. მაგრამ მისი ნამდვილი ფასი გავიგე მოსკოვში, 1955 წლის დეკემბრის დღეს, როცა გაუჩინებლად თამაშობდა თავის სასტუმროს აპარტამენტში, პოლონელი, რუსი და კავკასიელი მეგობრებით გარშემორტყმული.

ასეთივე მახსოვს იგი თბილისში, 1964 წლის აგვისტოში. მუზეუმში შემოიჭრა და სწორედ მაშინ, როცა ხახულის ღვთისმშობლის ცენტრით გტკებოდა, მტაცა ხელი, უნაგირზე შემსვია, თვითონაც ამხედრდა და ცხენა ღეზი ჰკრა... არა, ასე არ ყოფილა! ყველაფერი ბევრად უფრო სწრაფად და დღევანდელი დღის შესაფერისად მოხდა. მუზეუმი შესასვლელიან ძრავხართული „ვოლგა“ უცდიდა. მანქანაში ჩავსხედით და მისი მშობლიური კახეთისაკენ გავქახდით. მთელი ჩემი დღის წესრიგი აირ-დაირია. საათს დავხედე და შევეცადე ნახეიარი საათი მაინც გამომეთხოვა გიორგისათვის, რათა სასტუმროში შემერბინა, სადღაც დამერეკა, ზოგი რამ შემეცვალა, ზოგიც გადამეადგილებინა. ლევონიძემ მოთმინებით მომიმინა და მოწყალე ღიმილით მომიგო:

— ძვირფასო ვაცლავ! რაკი ბედმა გავდიომა და აღმოსავლეთში მოხვდი, ბარემ დროც დაივიწყე! აქ დროს არ ითვლიან, აქ ცხოვრობენ!

გზაში ლევონიძე ნამდვილი მასპინძელივით იქცეოდა. ჯერ ერთ მხარეს გაიწვდინა ხელი:

— აი ჩემი მდინარე!

ეს იორი იყო. მერე მეორე მხარეზე მიმითითა:

— ავერ ჩემი დედუღეთი!

მერე კიდევ:

— აი ჩემ წინაპართა საფლავები!

კიდევ ცოტაც და:

— ესეც ჩემი სახლი!

მეწინააღმდეგე ნინოწმინდის ეკლესიისაგან აღარაფერი დარჩენილა, მთავარი აბსიდის გარდა. სამი ვიწრო სარკმელი, მტრედისფერი ცა, თეთრი ღრუბლები და შუაგულში ამოსული ზე — აი ვიტრაჟების ფერები და მოტივები ცარიელ ჩარჩოებში. ნანგრევთა შორის ბალახი და ყვავილები ამოზრდილა. კედელთან ბირკაგებო ჰყვავიან. ძველი ფრესკებიდან მხოლოდ ღვთისმშობლის გამოსახულება გადარჩენილა. წარსულ საუკუნეებში სპარს და თურქ ჩარისკაცებს თვალები დაუთხრიათ. და ახლა იგი საყვედურით შემოგვეცქერის დაშრეტილი ფვალებით. აბსიდის გარეთა მხარეს ერთ-ერთი აქამდე ამოუკითხავი წარწერაა, რომელსაც დღესაც ბევრს უტრიალებენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები.

ლევონიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა როლი შეასრულა მის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მშობლიური კუთხის პეიზაჟმა — ამ ნანგრევებმა, ფრესკების ნაშთებმა, უცნობ ენაზე დაწერილმა და ჯერაც ამოუკითხავნი წარწერამ... ის ლაპარაკობდა მღვდვარედ, მაგრამ უბრალოდ, მოვონებებში ეწაფებოდა თავისი პოეტის მარად ცოცხალსა და დაუნწრალ წყაროს.

საუბარი ლევონიძის მეგობრებმა შეგვაწვევტინეს. მათ უკვე შეეტყოთ გიორგის ჩამოსვლა. მოდიოდნენ, ვულითადად ესალმებოდნენ პოეტს. თანდათან ვროვდებოდა ხალხი. თანდათან უფრო საამო იყო ამ აღამიანების ცენტრა. ავერ მწყემსმა ფარა მორეკა. ძველ ნანგრევთა შორის ბიჭუნები ხტიათ. შორიახლო მოკრძალებით დგანან ქალიშვილები. ინტიკური სახეები აქვთ, შავი ნაწნავები წულამდე სვემთ. სწორედ ამდევკარი ქალიშვილებია გამოსახული კრეტულ კერამიკაზე.

აკაური ხალხი ამყობს თავისი სოციალისტური სიახლეებით. ყთნოგრაფიულ მუზეუმში მაჩვენეს პრიმიტიული კავი და გუთანი, რომლებსაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ხმართბდნენ. კედლებზე ჰკადია პირველი ტრაქტორებისა და აღმოსავლური სტილით ნაგებო საკოლმეურნეო სახლების ფოტოსურათები. აქ ზოგი რამ პოლონურიც ენახე. სააგიტაციო პლაკატის „რუსეთის რევოლუციის პირველი დღეების“ ქვეშ დაბეჭდილი იყო „ვარშაველი ქალის“ თარგმანი.

ლევონიძის მშობლიურ ხმა სოფელმა პატარაქულმა ჩემი სოფელი ნეშავა გამახსენა. ბორც-

ვები და ხრამები, ქვიშიანი გზები, ალვის ხეები და აკაციები. სიჩუმე. კალთებზე რუკული ხე-
ვები და ამ ხეების ქარებში მწვანედ მობიბინე ბაღები. ღვია და ქერიფქლა. უკლია ბეთა
ჩრდილში შეფარებული კოხტა სახლები. კვლებში ამიყად მღვარი გეორგიანები. შედობილი
თუ შეუღობავი ეზოები. რუხ-მოწითალო ანდა ყამათა სვლისაგან ჩაშავებული ბრტყელი თუ
ნრგვალი კრანტები. ეს ხომ კახეთში „შეპარული“ ნამდვილი პოლონური პეიზაჟია!

შამლებიც ისევე ყვიან, როგორც ვისლის პირას. ზაფხულის ცაც ისევე მწვანე, მწვანე-მწვანე
ჩვენთან, პოლონეთში. არც ეკლებია უცხო ჩემთვის, ოღონდ აქ ისინი ეენახებს აკრავს, ჩვენ-
თან კი ყანებს. იმდენად გაწვინაურდი, რომ აჭაური პეიზაჟის ზოგი არაპოლონური დეტალი,
როგორცაა, ნავალითად, კვიპაროსები, მუტუხოვა კიდევ. ქვიშიან გზაზე თელების კრილი
ვაისმა. რა ნაცნობი და მშობლიური ხმაა!

აქ ერთი მანქანით მოვედი. სასადილოდ კი უკვე რამდენიმე მანქანით მივდივართ. მთელი
კორტეჟი მიგვაცილებს ლეონიძის პატივსაცემად! სოფლის გზები რომ გავიარეთ, გამოჩნდა
მინდორი. მერე მდინარისკენ ჩავუყვით. ფართო, ქვალორლიან კალაპოტში ძლივს მოჩანდა
წყალი. „ვოლგას“ სველ ქვებზე სიარული უჭირდა. ხმაურობდნენ თვლები. ჩხრილი გაქონ-
დათ კენჭებს. კიდევ ერთი წუთი, და მანქანები ტანკებივით იტკრენ გაღმა ნაპირზე. ქალაში
შევედით. ჩვენმა თანამგზავრებმა საბარგულებიდან ამოალაგეს ტაბაკები, შოთი პურები, კიტ-
რი. პამიდარი, წითელი წიწაკა, იტმები და კახური ღვინით სავსე ბოცები. გაიშალა სუფრა.
აქა-იქ კოცონები ენო. თხილის შამფურებზე შიშისინებდა მწვადი.

გახურდა ქეიფი. სადღევრელოებში, სიძღვრება და მოგონებებში ვერც კი შევაქჩნიეთ,
როგორ დაფარეს დრუბლებმა ცა. წამოვიდა წვიმა. პერანგები დაგვისველდა და ტანზე გვეყე-
როდა, მაგრამ ქეიფი მაინც გრძელდებოდა. ისევ სვამდნენ, მღეროდნენ, იგონებდნენ გარდა-
სულ ამბებს, აღდევრებლებდნენ გვერდით მყოფ თუ არმყოფ მეგობრებს. როცა წვიმამ იმძ-
ლეობა, ლეონიძემ მოფერს მანქანიდან ბრუნენტი მოატანინა და თავზე წამომახურა, როგორც
ქართულ პავსა და ქართულ იდათ-წესებს შეუჩვეველ კაცს.

ვზივარ ასე, თითქოს კარავში ვიყო, ცოტა მრცხვენია კიდევ ჩემი პრივილეგიური მდგო-
მარეობისა, და ვუყურებ რა მამაცურად სველდებიან დანარჩენები. თამაღის — ამ შეუვალი
განწყობის — ნებადაურთუელად არავის შეუძლია სუფრიდან ადგომა. ხოლო თამაღა თვით
გიორგი ლეონიძეა.

ჩამობნელდა. იელვა. დაიქუხა. ახლა უკვე კოცისპირულად წვიმდა. მაგრამ აი გამოჩნდა
მამაცი ადამიანი, რომელმაც შეგვაწყვეტინა ქეიფი. ერთ-ერთმა შოფერმა მოიბრინა და
გვიასხრა, მდინარე აღიდაო. ყველახი წამოვბით, დეტაეტ ხელი ჩვენს პურ-მარისს, სა-
ბარგულებში ჩავყარეთ, მანქანებში ჩავსხდით და შინისაკენ გამოვწიეთ. „ვოლგებს“ ღერძამ-
დე სწედაბოდათ წყალი, მაგრამ აბობოქრებულ მღვრიე ნაკადში შეუპოვრად მიიწევდნენ წინ.
ბოლოა რის ეაი-ვაგლიათ აღოდდნენ სველ აღმართზე და მალე ავიდნენ. მაგრამ სოფლის
გზები სადღაც გამქრალიყვნენ. მანქანები ბრძოდ მიდიოდნენ ლაფში. შარავზაზე რომ გვედით,
ცა თითქოს სულ ჩამოიქცა. ელვა ფხრეწდა სიბნელეს. ჩვენ უშიშრად მივექანებოდით თვალის-
მომპრელი სინათლისა და ქექა-ქუხილის შესახვედრად.

მალე ქალაქში შემოვედით. თბილისის ქუჩებში ნაკადებოდ მოჩქედდა წყალი, სახლის
სახურავებიდან და აივნებიდან ჩქერებდად მოდიოდა და ნთედნებზე პატარ-პატარა ტბებად იქ-
ცეოდა.

ასტურრო „ინტურიკთან“ სასწრაფოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. რას ვიფიქრებდი,
რომ ლეონიძის ღონიერი, მხურვალე ხელის ჩამორთმევა ჩემთვის უკანასკნელი იქნებოდა!

ჩამოხრალი სანუარო

1955 წლის შემოდგომის საღამოს ვარშავაში, პოლონელი და საბჭოთა მწერლების მეგობ-
რულ წრეში, რომლის უფროსობა ხალისიანმა და ენამახვილმა გიორგი ლეონიძემ იგდო ხელთ,
ერთი სიტყვაძვირი, ოდნავ ნერვული სახის კაცი იჯდა. გამოიკვირდა, სინონ ჩიქოვანიო, რომ
შითხრეს. ქართველი იყო, სამეგრელოდან, შესახვედავად კი სულაც არ ჰგავდა სამხრეთელ თუ
აღმოსავლელ კაცს. ხმელ-ხმელი, მოგრძო სახისა, გულისყურიანი, ფაქიზი, სადა, მაგრამ

შთამბეჭდავი სიტყვის პატრონი, არაჩვეულებრივად მგრძობიარე და ღრმა ლირიკოსი. იგი ბოლომდე ჭრთვული დარჩა პოეზიისა. მეგობრებში კი თავმდაბალი და სიტყვაძვირი იყო. ავტობიოგრაფიულად მეჩვენება მისი ლექსის „იქვის“ დასაწყისი:



დიდი პოეტის თვისება არი —
 გრძობას სიფრთხილით გაუღოს კარი,
 თუ გაუღენთილი არ არის ქნარი,
 არ შეაშფოთოს მთვლემარე ლარი,
 არ დააყოვნოს დაშვება ღუზის,
 ნაწვიმარ სულში დაწრიტოს ღვარი
 და მიმოქცევას მღელვარე მუზის
 გზა უჩვენოს და დაუღოს ზღვარი.

ამ თავდაჭერილ, ჩუმი კაცში ცოცხლობდა უსაზღვრო სინაზე ყოველი არსისადმი. ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია მისი ლექსი „მერცხლის ბუდე“. პოეტის იენის თავზე ბუდე გაიკეთა მერცხალმა. აიენის ახლოს მოფუსფუსე ფრინველსა და პოეტს შორის რაღაც შინაგანი ურთიერთგაგების ძაფი გაიბა.

მსურს გადავუგდო ჩემი ნაწერიც,
 შავი, რომელიც გუშინლამ დამრჩა,
 ეგებ აიღოს ნისკარტის წვერიით
 და ჩაიფინოს ბუდეში დარჩად.
 ეგებ აიღოს გრძობა, რომელიც
 ვერ შეუთავსდა დახვეწილ ნაწერს.
 აგრე ცქრილა მერცხალს მოველი,
 მშენებლის ჩრდილი სტრიქონზე მაწევს.

პოეტი ეხვეწება მერცხალს, ნუ გაფრინდები თბილ ქვეყნებშიო...

მინდა ხალისით მერცხლის ბუდეში
 მე ჩავაფინო გრძობა მართალი,
 ანდა ჩავისვა ბარტყი უბეში
 და შევავარო ჩვენი ზამთარი.

სიმონ ჩიქოვანის პოეზია გვიხატავს მშობლიურა, საქართველოს, მწველი მზისა და მთართოლვარე ჩრდილების, ცოცხალი და ნათელი ფერების მხარის მშვენებას. ბორის პასტერნაკმა აღნიშნა ეს თვისება, როცა „ნათელი, თვალწარმტაცი სახეების“ ოსტატი უწოდა პოეტს («Вопросы литературы» № 1, 1965). განსაკუთრებით ძვირფასია ჩიქოვანისათვის შუქ-ჩრდილის სახეები. აი ბწყარები ლექსიდან „ალვის ხე“:

ვინ დარგო მაინც ალვები ააე,
 ვინ დაუნიშნა მწყემსებად ყანას.
 ალმაზებენ მზის ჩასვლას ზღვაზე
 და მზის ამოსვლას უძღერენ ნანაა.

ანდა „ქადრები“ ავილოთ:

... შენი ჩრდილია იმ ქადრის ჩრდილში,
 ამ ქადრის ჩრდილში ჩემი მგონია.

წლები წავლენ და არი ქადრები,
 ეს ტრფიალებაც მათი ტოლია,
 შენთვის ქადრების ჯერში ჩავდგები
 და ჩამიქროლებ ისევ მგონია.

ლექსში „მეორე ბარათი ტატრიდან“ პოლონეთის მზის სხივი აღმოსავლურ მეტაფორასავით ბრწყინვალეა:

მთაზე მკარნახობს ბარათს ტრფიალი,
ბარათს დაისის წერენ ისრები.



შუქი, ჩრდილი, ბრწყინვალეობა და ფერები სიმონ ჩიქოვანის შემოქმედებაში გარეშე ატრიალებული კი არაა, კოლორიტს ან ტონალობას რომ აძლევს ლექსს, ეს არის ლექსის ფუნქციონირების ერთ-ერთი საოცარი პოეზიის ბირთვი და საფუძველი. ავიღოთ ლექსი „ღვინის მახლობლად“:

მზობელი ჩემი მომკვდარა აღრე,
თურმე ყოფილა მწუხრივით ჩემი.
მშრომელი, ტურჯა, შემკული აგრე,
ოქროსთმიანი და აბრეშუმი.

აღვნის მახლობლად ჩამჭრაღა დედა,
არ მოღწეულა ხატება მისი,
როგორ შევიძლო ვიხილო, ნეტავ, —
შევიქნე მხოლოდ შეხვედრის ღირსი!

„თბილისელი მეთევზე“ — მოთხრობა ადამიანზე, რომელსაც დილაუთენია მიაგეს ბაზარში ღამით დაქვრილი, ჯერაც მოფართქალე თევზები, — ესაა ფანტასტიკური გარდატეხა განთიადის, ცოცხალი თევზის ქერცლისა და წყლის ელვარებისა:

დაქვრის, დაეძვბს გაღებულ ფანჯრებს,
ფანჯრის სინათლეს ქალაქში ეძებს,
კალმახს ყიდის თუ რიფრაჟის ნაჭრებს,
და შნოიანად გადიარის თევზებს.

პოეტმა დაწერა ლექსების ციკლი სომხეთზე, რომელსაც „სეფანის ფერები“ უწოდა.

როცა ვცდილობ ჩიქოვანი წარმოვიდგინო შორეულ წარსულში, იგი, რაინდთა რაზმის ბელადის ლეონიძისაგან განსხვავებით, მესახება განდევნილად, სადღაც უდაბურ მთაზე რომ განმარტოებულა და „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებას შესდგომია. დარწმუნებული ვარ, იგი მუშაობისას გამოიყენებდა ფირუზის, ზურმუხტის, ლაღისა და ოქროს ფერებს. ხოლო მრავალი საუკუნის შემდეგ ხალხი ნახავდა ნემატიანის ჩანაწერს და მასში ამოიკითხავდა ნათელი, თვალწარმტაც ფერების ოსტატის ამბავს.

ჩიქოვანი ცხოვრობდა ახალ, თანამედროვე სახლში მდებარე სართულზე. მისი ფანჯრებიდან მოჩანდა მთელი თბილისი. კაბინეტში ედგა მრავალუჯრიახი ღია სეკრეტერი, შემინული კარადა, სადაც კლასიკოსთა ტომები იყო ჩამწკრივებული, და მომცრო თარო, რომელზედაც დამხმარე ლიტერატურა ეწყო. არავითარი ლიტერატურული ხარახურა, არც უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ქუჩრნალები და წიგნები... ჩვენ ვისაუბრეთ თანამედროვე პოლონურ ლიტერატურაზე. ჩიქოვანი კარგად ერკვეოდა ჩვენს სალიტერატურო იერარქიაში. მან ვაიზიარა ჩემი შეხედულება ღირებულებათა გადათასების საკითხში. მკითხა, ვინ მიგაჩნიათ ყველაზე ნათელ პოეტურ ინდივიდუალობადო. ის არ კითხულობდა პოლონურ ენაზე წიგნებს. არ იცნობდა იულიან პშიბოსის ლექსებს. აინტერესებდა, რატომ მიაჩნიათ შეუძლებლად ამ ლექსების თარგმნა. თავის სამუშაოზე უხალისოდ ლაპარაკობდა, წვრილმანებს ერიდებოდა.

— დიდი სამუშაოა, ნელა მიედინება, — აი ყველაფერი, რაც თავის უკანასკნელ ნაწარმოებზე შიხრა.

სუფრაზე მიგვიპატივეს. სასტუმრო ოთახი მზის შუქით იყო სავსე. კედელზე ფერადი ფანქრით ნახატი ღამაში სურათები ეკიდა. მე დამამახსოვრდა კაკაბაძისა და ახვლედიანის ნახატები. ჩიქოვანმა რომ შეატყო მხატვრობა მაინტერესებდა, საწოლ ოთახში გამიყვანა და ფიროსმანაშვილის დიდი ტილო მაჩვენა.

სუფრაზე დაგვხვდა საუცხოო ქართული კონიაკი, ნაირ-ნაირი სურნელოვანი და გემრიელი ნამცხვრები, შუაგულ სუფრაზე კი იდგა ატმით, მსხლითა და ქლიავით სავსე უშველებელი ვაზა. ყველაფერი ნათელი და თვალწარმტაცი იყო, ისევე როგორც თვით ჩიქოვანის ლექსები. როცა ყავა მოგვართვეს, პოეტმა გაიღიმა და თქვა:

— ისე გემრიელი არ არის, პოლონეთში რომ იცით.

სანამ ჩიქოვანს ვესტუმრებოდა, გამაფრთხილეს, პოეტს თვალში სინათლე აღსდებოდა. რატრაგედიაა სამხრეთის თუ აღმოსავლეთის ფერთა პორტფილზე პოეტისათვის! საუბარში გავუბრბოდი ყველაფერ იმას, რასაც შეიძლება უბედურება გაეხსენებინა ჩიქოვანისათვის. სიტყვა არ დამცდენია სინათლის თუ ჩრდილის შესახებ, არც გარემოწარმოების სიმშვენიერეზე მითქვამს რამე. არსებითად ყოველგვარი თემა სახიფათო ყოფილა ჩიქოვანს — შემოქმედება. დელიკატურობის გამო მეშინოდა ნელაპარაკა იმაზე, თუ როგორ მხიბლავდა მისი პოეზია. ჩიქოვანი საყულოვანსილი უჯლა მაგიდას, ფერნიხილი, გამბდარი. კინაღამ გუთხარი, სოფელში ცხოვრება მოგიხდებათ-მეთქი. მაგრამ თვითონვე შეეხო მტკიცეულ თემას. მომიყვა, ამ ზაფხულს ქალაქში დივრჩი, რომ კატარაქტა სათპერაციოდ მომწიფდესო. თავის ავადმყოფობაზე მშვიდად ლაპარაკობდა. წყვილიადში ინთქმებოდა და სწამდა, რომ ეს ერთადერთი გზა იყო სინათლისაკენ.

როცა რუსთაველის საიუბილეო ღღეებში კვლავ მოეხვედი სიმონ ჩიქოვანის კაბინეტში, პოეტი უკვე აღარ იყო ცოცხალი. კატარაქტა საბედისწერო აღმოჩნდა. კედელზე ეკიდა განავენებულის უკანასკნელი ფოტოსურათები. ერთმა მათგანმა განსაკუთრებით ამაღელვა. ჩიქოვანს თავისი ხელნაწერი თვალთან ახლოს, სულ ახლოს აქვს მიტანილი, მზერა დაუძაბავს და ლამობს შეაჩეროს სხივი, რომელიც უღმობლად გაურბის. პოეტი ვეღარ კითხულობს იმას, რაც დაწერა. მაგრამ მაინც არ კარგავს სიმშვიდეს. იგი სინათლითა და სიბოთით სავსე ლექსებით შეპყურებს მიმქრალ სამყაროს.

თარგმნა ბივი ციციშვილმა



გამომცემლობის რედაქტორები:
მინანა იორდანიშვილი, ბესიკ ხარანაული
ტექნიკური რედაქტორი ნათელა ქავთარაძე
კორექტორები: ლეილა არეშიძე, ლაურა კალანდიაძე
გამომშვები ნოე მაქარაშვილი

ვადეცა წარმოებას 20/X-71 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 1/VIII-72 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,8 სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 19,08.
ტირაჟი 20.000. შეკვ. № 405.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი-
სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფ-
მრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი.
თბილისი, კამოს ქ. 18.

Комбинат печати Главполиграфпрома
Государственного комитета Совета Министров
Грузинской ССР по печати.
Тбилиси, ул. Камо № 18.

И
18—82
6 722



ХОМЛИ № 8

Альманах иностранной литературы
(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили 5.
1972

7—3—4

273 — 72 003.

№ 217/122

42079



ქართული
წიგნობა

